

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი

შრომები

XIII

Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
Faculty of Humanities

Institute of Georgian History

Proceedings

XIII

თბილისი  
Tbilisi  
2018

უკ(UDC)94(479.22)

ს-323

**რედაქტორები:**

თედო დუნდუა

ალექსანდრე ბოშიშვილი

**სარედაქციო კოლეგია:**

მარიამ ლორთქიფანიძე

გიული ალასანია

თეიმურაზ პაპასქირი

აპოლონ თაბუაშვილი

ქეთევან გორიტაშვილი

ლერი თავაძე

შალვა გლოველი

აკაკი ჩიქობავა

ემილ ავდალიანი

ეკა კვირკველია

ჰიროტაკე მაედა (იაპონია)

ფარჰად ჯაბაროვი (აზერბაიჯანი)

მიხაილ ჩორეფი (რუსეთი)

ალირეზა სოლეიმანზადე (ირანი)

გუნტის ზემიტისი (ლატვია)

რიმვიდას პეტრაუსკასი (ლიტვა)

ანჟეი პუქშტო (ლიტვა)

ჟაიმე დე ფერა ი ჟიზბერტი (ესპანეთი)

რობერტო მარტინ არანდა (ესპანეთი)

ალექსანდრე ბურშე (პოლონეთი)

იულიან მოგა (რუმინეთი)

მირჩა პადურარუ (რუმინეთი)

<http://geohistory.humanities.tsu.ge>

E-mail: [geohistory@tsu.ge](mailto:geohistory@tsu.ge)

შემდგენლები: თ. დუნდუა, ა. ბოშიშვილი

ავტორთა სტილი დაცულია

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2018

ISSN 1987-9970

**Editors:**

Tedo Dundua

Alexander Boshishvili

**Editorial Board:**

Mariam Lordkipanidze

Giuli Alasania

Teimuraz Papaskiri

Apolon Tabuashvili

Ketevan Gochitashvili

Leri Tavadze

Shalva Gloveli

Akaki Chikobava

Emil Avdaliani

Eka Kvirkvelia

Hirotake Maeda (Japan)

Farhad Jabbarov (Azerbaijan)

Mikhail Choref (Russia)

Alireza Soleymanzadeh (Iran)

Guntis Zemītis (Latvia)

Rimvydas Petrauskas (Lithuania)

Andžej Pukšto (Lithuania)

Jaime de Ferrá y Gisbert (Spain)

Roberto Martín Aranda (Spain)

Aleksander Bursche (Poland)

Iulian Moga (Romania)

Mircea Păduraru (Romania)

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**Ivane Javakhishvili Tbilisi State University**

**100**



**შინაარსი**  
**CONTENTS**

***ქეთევან ნადირაძე***

„სიყვარულის გარეშე არ გაკეთდება დიდი საქმე“.  
ივანე ჯავახიშვილი, უნივერსიტეტი და საქართველოს ისტორია ..... 11

***ლერი თავაძე***

თეთრციხე (ციხესიმაგრე და კოშკი) ..... 27

***Leri Tavadze***

Tetrtsikhe (Fortress and Tower Castle) (Summary) ..... 67

***Alireza Soleymanzadeh***

The Achaemenid Economic System and the Armenian-Georgian Situation ... 70

***Михаил Чорев***

Изображения на ранних боспорских серебряных монетах: атрибуция и  
причины появления ..... 88

***Mikhail Choref***

Animal Images on Early Bosporan Silver Coins: Attribution and  
Their Origin (Summary) ..... 102

***მარია მშვილდაძე***

ფლავიუსებისა და ანტონინუსების საიმპერატორო გვართან დაკავშირებული  
ნივთები სვეტიცხოვლის №14 მდიდრული აკლდამიდან ..... 103

***Marika Mshvildadze***

Objects from the Rich Tomb №14 in the Yard of Svetitskhoveli Linked to the  
Imperial Family Name of Flavius and Antoninus (Summary) ..... 114

***ნინო სილაგაძე***

სადირას ციხის ეკლესია და თავისუფალი ჯვრის არქიტექტურული ტიპის  
განვითარების თავისებურებები ტაო-კლარჯეთის ხუროთმოძღვრებაში ..... 116

***Nino Silagadze***

The Church of Fortress Sagira and the Developmental Characteristics of *croix libre* in Tao-Klarjeti (Summary) ..... 137

***ევგენი ჭანიშვილი***

თბილისის ამირათა ისტორია ნუმისმატიკური მასალების მიხედვით ..... 138

***Evgeni Chanishvili***

The History of Emirs of Tbilisi According to Numismatic Materials (Summary) ..... 146

***ნესტან სულავა***

წმ. გიორგი შეყენებული/დაყუდებული-შაემთელი – მოღვაწე, ჰიმნოგრაფი, ჰაგიოგრაფიული თხზულების პერსონაჟი ..... 147

***Nestan Sulava***

Saint Giorgi the Eremite – Ecclesiastic Figure, Hymnographer, Character of the Hagiographic Story (Summary) ..... 163

***აპოლონ თაბუაშვილი***

ხორბლის ფასი ფეოდალური ეპოქის საქართველოში ..... 165

***Apolon Tabuashvili***

Prices of Wheat in Feudal Georgia (11<sup>th</sup>-18<sup>th</sup> Centuries) (Summary) ..... 204

***ალექსანდრე ბოშიშვილი***

ნიხახის ციხე ..... 206

***Alexander Boshishvili***

Nikhakhi Fortress (Summary) ..... 242

***აკაკი ჩიქობავა***

აზორდი/ალჯაყალა/უზუნდერე ..... 245

***Akaki Chikobava***

Azordi/Aghjakala/Uzundere (Summary) ..... 254

**მიხეილ ბახტაძე**

1121 წელს საქართველოში შემოჭრილი მუსლიმთა კოალიციური  
ლაშქრის მიზანი და მარშრუტი ..... 255

**Mikheil Bakhtadze**

The Goal and Route of the Muslim Coalition Army During the 1121  
Campaign in Georgia (Summary) ..... 274

**გიორგი სოსიაშვილი**

ფავლენიშვილთა ურთიერთობა იერუსალიმის ჯვრის მონასტერთან ..... 276

**Giorgi Sosiashvili**

Relations of Pavlenishvilis with the Monastery of the  
Cross of Jerusalem (Summary) ..... 284

**ემილ ავდალიანი**

პირველი ქართული რეკლამა ..... 285

**Emil Avdaliani**

First Georgian Advertisement (Summary) ..... 297

**ანა ჭეიშვილი, კარინ პელტიე-კაროფი**

ბარონი დე ბაი და საქართველო, ფრანგი მოგზაურის ფოტოკოლექცია .... 298

**Ana Cheishvili, Carine Peltier-Caroff**

Baron de Baye and Georgia, Photographic Collection of a French  
Traveler (Summary) ..... 323

**დიმიტრი შველიძე**

პატრიოტ-კონსერვატორთა დასი XIX საუკუნის საქართველოში ..... 324

**Dimitri Shvelidze**

Patriot-Conservative Political Group  
in Georgia (50s of the 19<sup>th</sup> Century) (Summary) ..... 337

**ქეთევან ნადირაძე, ომარ გოგიაშვილი**

ილია ჭავჭავაძის კონსერვატიულ-ლიბერალური შეხედულებანი ეროვნული იდეოლოგიის კონტექსტში თანამედროვე პერსპექტივიდან ..... 339

**Ketevan Nadiradze, Omar Gogiasvili**

Ilia Chavchavadze's Conservative-Liberal Views Within the Context of National Ideology From a Modern Perspective (Summary) ..... 350

**Фархад Джаббаров**

К событиям армяно-азербайджанского конфликта 1905 г. в Тифлисской губернии..... 352

**Farhad Jabbarov**

About the 1905 Armenian-Azerbaijani Massacre in the Tiflis/Tbilisi Governorate (Summary) ..... 362

**თენგიზ სიმაშვილი**

რუსეთის იმპერიის საიდუმლო პოლიცია და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება XX საუკუნის დასაწყისის თელავში ..... 363

**Tengiz Simashvili**

The Secret Police of the Russian Empire and the Social-Political Situation in Telavi in Early 20<sup>th</sup> Century (Summary) ..... 383

**ნიკო ჯავახიშვილი**

ხელფასები და ფასები რუსეთის იმპერიაში (XIX საუკუნის მიწურულიდან 1914 წლამდე) ..... 384

**Niko Javakhishvili**

Salaries and Prices in the Russian Empire (Late 19<sup>th</sup>-Early 20<sup>th</sup> Century) (Summary) ..... 417

**ლამა ჩანტლაძე**

ბოლშევიკური ამბოხი ღუმეთის მაზრაში 1918 წელს ..... 418



**Lasha Chantladze**  
The Bolshevik Revolt in Dusheti Region in 1918 (Summary) ..... 442

**კახაბერ ყალიჩავა**

კოსოვო, აფხაზეთი, ცხინვალის რეგიონი – თანამედროვე კონფლიქტური რეგიონების ისტორიული განვითარების საერთო და განმასხვავებელი ტენდენციები: XIX საუკუნის დასაწყისიდან XX საუკუნის 20-იან წლებამდე.. 443

**Kakhaber Kalichava.**

Kosovo, Abkhazia and Tskhinvali Region – Common and Uncommon Trends of Historical Development in Contemporary Conflict Regions: from the Beginning of 19<sup>th</sup> Century to 1920s (Summary) ..... 474

**როლანდ თოფჩიშვილი**

ზნეობრივი ნორმები შუა საუკუნეების საქართველოში..... 476

**Roland Topchishvili**

Moral Norms in Medieval Georgia (Summary) ..... 507

**ელენე გოგიაშვილი**

მამა-შვილის ორთაბრძოლა აღმოსავლურ და დასავლურ ეპიკურ ტრადიციებში („როსტომიანი“ და „ჰილდებრანდის სიმღერა“)..... 510

**Elene Gogiashvili**

The Father-Son Fight in Oriental and Occidental Epic Traditions (“Rostomiani” and “Hildebrandslied”) (Summary) ..... 523

**საერთაშორისო პრეზენტაცია  
International Conferences**

**Tedo Dunda**

Об одном сведении Мовсеса Хоренаци ..... 525

## გახსენება

### *ზაზა აბაშიძე, არჩილ კოხრეიძე*

ღვაწლმოსილი (აკადემიკოს მარია მლორთქიფანიძის  
გარდაცვალების გამო) ..... 543

### *მერაბ კალანდაძე*

აკადემიკოს მარია მლორთქიფანიძის გახსენება ..... 547

*ქეთევან ნადირაძე*

ასოცირებული პროფესორი, თსუ

**„სიყვარულის გარეშე არ გაკეთდება დიდი საქმე“  
ივანე ჯავახიშვილი, უნივერსიტეტი და საქართველოს ისტორია**

„...სიყვარულის გარეშე არ გაკეთდება დიდი საქმე.  
გულცივი, გულგრილი ადამიანი ვერ გააკეთებს  
ვერასოდეს დიდ საქმეს; უნდა უყვარდეს ყოველ  
მათგანს თავისი ხალხი, უნდა უყვარდეს მეცნიერება,  
უნდა გრძნობდეს პასუხისმგებლობას, რომ  
შეალიოს თავის ძალა მეცნიერებას და ხალხს.“

*ივანე ჯავახიშვილი, 1938 წელი*

ივანე ჯავახიშვილი ნარკვევში „მამულიშვილობა და მეცნიერება“, რომელიც 1904 წელს დაისტამბა, წერს: „ისტორიკოსი მოვალეა მხოლოდ მეცნიერულად შეისწავლოს და გამოიკვლიოს ამა თუ იმ ერის წარსული, გამოირკვიოს რა და რა პირობებსა და მიზეზებზე იყო დამოკიდებული სახელმწიფო. მისი საზოგადოებრივი და ზნეობრივ-გონებრივი განვითარება თუ წარმატების მიმდინარეობა. ის მეცნიერი, რომელიც მეცნიერების წინაშე თავის მოვალეობას პირნათლად ასრულებს, უეჭველია, იმავე დროს ქართულ საზოგადოებასაც სარგებლობას მოუტანს, იმიტომ, რომ ყოველი განათლებული ეროვნებისათვის, რომელსაც თვითშემეცნება მოეპოვება, აუცილებლად საჭიროა იცოდეს, რასაკვირველია, უტყუარი, ჭეშმარიტი ისტორია და არა გაზვიადებული, ყალბი.

მაგრამ საქართველოს ისტორიის პირუთვნელი, მეცნიერული ცოდნა მარტო ქართველებისათვის კი არ არის საჭირო, სხვა ერთა წარმომადგენლე-

ბისთვისაც: რა ჩამომავლობისაც უნდა გახლდეთ მეცნიერი, გერმანელი იქნება იგი, თუ ფრანგი, რუსი, თუ ქართველი, ყველანი ერთნაირად, თუ ისინი მართლა მეცნიერებას ემსახურებიან, დაინტერესებულნი არიან, რომ საქართველოს წარსული საფუძვლიანად და პირუთვნელად იყოს შესწავლილი, იმიტომ, რომ თითოეული ხალხის ისტორიის შესწავლაზე დამოკიდებული ბევრის მხრივ ის მეცნიერება, რომელსაც ისტორიის ფილოსოფიას ეძახიან და რომელიც შეადგენს ჩვენი მეცნიერების უზენაეს მიზანს...

..ქართველმა ისტორიკოსებმა სრულიად პირუთვნელად უნდა წარუდგინოს თავის სამშობლოს წარსული, თანამემამულეებსაც და უცხოელებსაც, რადგან მას არ უნდა დაავიწყდეს, რა დიდი ღვაწლიც უნდა მიუძღოდეს ეროვნებას წარსულში, თუ იგი აწმყოში არას წარმოადგენს, ბრწყინვალე წარსული ვერას უშველის... ამკარაა, დიდებულ წარსულს საერთაშორისო პოლიტიკასა და ცხოვრებაში დიდი გასავალი არ უნდა ჰქონდეს, აწმყო მხოლოდ მხედველობაში მიღებული, აწმყო კულტურული...

...მეცნიერი ისტორიკოსები მოვალენი არიან უპირველესად კრიტიკულად განიხილონ ყველა ის ცნობა, რომელზედაც დამყარებულია ჩვეულებრივი წარმოდგენა წარსულ ცხოვრებაზე. ცხადია, ვიდრე ამგვარი პირველ დაწყებითი მასალათა განხილვა გათავებული არ იქნება, მანამდისინ შეუძლებელია საქართველოს სამეცნიერო ისტორია დაიწეროს... რაც უფრო მეტი დრო გაივლის, უფრო უკეთესად შემუშავებული და განხილული იქნება ქართულიწერლობა და სამოქალაქო ისტორია...

მარტო ისტორიაში კი არა, მეცნიერების ყველა დარგში საჭიროა კრიტიკულმა მიმართულებამ ჩვენში იჩინოს თავი...“.

ვფიქრობთ, ჩვენ მიერ მოყვანილი ამონარიდიდან კარგად ჩანს მეცნიერის კრედო, ის ფასეულობები, რომელზედაც დგას მისი სამეცნიერო მემკვიდრეობა და ის ქართველოლოგიური სკოლა, რომლის ჩამოყალიბებისათვის ივანე ჯავახიშვილმა უზარმაზარი შრომა გასწია. მისი მეცნიერული მოღვაწეობა, მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა არის წარმატებული ბრძოლა სიახლის დასამკვიდრებლად, როგორც მეცნიერებაში, ასევე, იმდროინდელ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. უდავოა, რომ ივანე ჯავახიშვილის სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლით იწყება სრულიად ახალი ეპოქა ერის ცხოვრებაში, რისი გამოხატულებაცაა ქართული უნივერსიტეტის დაარსება და ქართველოლოგიური მეცნიერების სისტემური ჩამოყალიბება.

1918 წლის 26 იანვარს (ახალი სტილით 8 თებერვალს), დავით აღმა-

ქეთევან ნადირაძე. „სიყვარულის გარეშე არ გაკეთდება დიდი საქმე“ ივანე ჯავახიშვილი, უნივერსიტეტი და საქართველოს ისტორია

---

შენებლის ხსენების დღეს, გელათის აკადემიის დაარსებიდან 800 წლის შემდეგ, თბილისში, წყნეთის ქუჩის 40 ნომერში მდებარე გიმნაზიის შენობაში გაიხსნა პირველი ქართული უმაღლესი სასწავლებელი – ქართული უნივერსიტეტი.



ივანე ჯავახიშვილი

გიმნაზიის ეკლესიაში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა კირიონ II-მ (III) პარაკლისი გადაიხადა და შემდეგი სიტყვებით მიმართა პროფესუ-

რას: „ახლა თქვენს ხელშია, ბატონო პროფესორნო, ბედ-იღბალი ამ მაღალი სამეცნიერო ტაძრისა. ჩვენი გული ივსება სიხარულით, რომ სიბრძნეს, რომელიც დაუსრულებელია, ვნერგავთ ამიერიდან ჩვენს ხალხში. ამ დღესაც მოვესწართ, რომ ქართულ უნივერსიტეტს ვხსნით... ლტოლვილებამ სინათლისადმი, ცოდნის წყურვილმა და ჭეშმარიტების სიყვარულმა შეჰკრიბა დღეს აქ აუარებელი ხალხი. კაცი სინათლისათვის არის შექმნილი და თვით ბუნებისაგან ჩანერგილია მასში ღვთიური ნიჭი – ძიება ჭეშმარიტებისა, რომელიც ქმნის კაცს თავისუფლად. გილოცავთ, ჩვენი პირველი უნივერსიტეტის ხელმძღვანელო, და ვისურვებ ჩვენი საზოგადო საქმის წარმატებას საკეთილდღეოდ ჩვენი ერისა. განათლებით ირჩევა კაცი კაცისაგან. იგი ფასდაუდებელი საუნჯეა, რომლის შეძენას ბევრი დრო, მოთმინება და ცდა უნდა...“

აუარებელი ხალხი დაესწრო უნივერსიტეტის გახსნას. მრავლად იყვნენ სტუმრებიც. რუსულ, სომხურ, აზერბაიჯანულ, ებრაულ, პოლონურ საზოგადოებათა წარმომადგენლები. საქართველოს მრავალ ქალაქსა თუ დაბაში ეს დღე ზემოთ აღინიშნა. ქუთაისის გაზეთი წერდა: „ქუთაისმა იუქმა ქართული მეცნიერების ტაძრის გახსნის დღე 26 იანვარი. ამ დღეს ქუთაისში არსებულ სკოლებში სწავლა ყველგან შეწყდა. სასწავლებლებში გადაიხადეს პარაკლისი. იყო მუსიკა, წარმოითქვა სიტყვები.“

საზეიმო ცერემონიალი დაიწყო უნივერსიტეტის დამხმარე საზოგადოების თავმჯდომარის, აკაკი ჩხენკელის, გამოსვლით. შემდეგ სიტყვა თქვა უნივერსიტეტის რექტორმა, პეტრე მელიქიშვილმა. მან მკვეთრად განსაზღვრა ქართული უნივერსიტეტის მიზანი, რათა გაექარწყლებინა მთარული ხმები იმის შესახებ, თითქოს თბილისის უნივერსიტეტს მიზნად ჰქონდა, გადაქცეულიყო კავკასიის უნივერსიტეტად. „ჩვენ გვინდა იმ ენაზე, რომელზედაც პირველად მოვისმინეთ დედის ალერსი და პირველად თვით ავმეტყველდით, მოვისმინეთ მეცნიერული ჭეშმარიტებანი და ის ჰუმანიტარული პრინციპები, რომლებიც საფუძვლად უძევს თანამედროვე კულტურას“, – ხაზგასმით აღნიშნა მან და საგანგებოდ გაიხსენა ევროპაში ყოფნის დროს შეხვედრა ცნობილ ლინგვისტ პროფესორ შუხართან, რომელსაც, მისი თქმით, უკითხავს: ქართველი რატომ მაინცდამაინც ქიმიას სწავლობ და არ იკვლევ უძლიერესი ქართული ენის ბუნებას. ეს ფაქტი – დასძინა მეცნიერმა – ნათლად ადასტურებს, რომ ჰუმანიტარული მეცნიერებანი უნდა დაედოს საფუძვლად ჩვენი მუშაობის დაწყებას. სწავლული მდივნის, იოსებ ყიფშიძის, მოხსენება მიედგინა ქართული უნივერსიტეტის დაარსების ისტორიას.

გამომსვლელთა შორის იყო ელისაბედ ორბელიანი, რომელსაც დაეკისრა უნივერსიტეტში ფრანგული ენის სწავლება. მან საზოგადოებას შემდეგი სიტყვებით მიმართა: „ბატონებო! დიდი ძლეღვარებით აღსავსე გამოვდივარ თქვენ წინაშე, რადგანაც გაცნობიერებული მაქვს ამ წუთის სიდიადე და განსაკუთრებით ვაფასებ იმ პატივს, რომელიც წილად მხვდა მე. ვხსნით ჩვენ საკუთარ ქართულ უნივერსიტეტს და ამით კვლავ ვნასკვავთ ჩვენი ძველი კულტურის შეწყვეტილ ძაფს.

აღმოსავლეთის მხეზე გაბრწყინებული კულტურა უფრო მშვენიერდება დასავლეთის აზროვნებასთან დაახლოებით. ევროპა გვიცნობდა ჩვენ, მას ვუყვარვართ...

ბედნიერად ვთვლი ჩემ თავს, რომ მოვალეობად მარგუნეს, თქვენ ფრანგული შეგასწავლოთ, რათა ენის საშუალებით გაეცნოთ, იგემოთ მისი გენიოსების ნაწერები“.



ელისაბედ ორბელიანი

დასასრულს, ბატონ ივანეს უნდა წაეკითხა ლექცია თემაზე „ადამიანის პიროვნება და მისი მნიშვნელობა ძველ ქართულ საისტორიო-საფილოსოფო მწერლობასა და ცხოვრებაში“, მაგრამ ხალხის სიმრავლის, მისასალმებელი სიტყვების გახანგრძლივებისა და დარბაზის მოუწყობლობის გამო ლექციის წაკითხვა ვერ მოხერხდა. ქართულ უნივერსიტეტში პირველი საჯარო ლექ-

ცია მან მოგვიანებით, 30 იანვარს წაიკითხა.

იმდროინდელი გაზეთი მეორე დღეს ძუნწად იუწყებოდა: „კმაყოფილმა საზოგადოებამ ხანგრძლივი ტაშისცემითა და ოვაციებით დააჯილდოვა ივანე ჯავახიშვილი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ქართულ უნივერსიტეტს“.

ამ დროს „ქართული მეცნიერების ტრიუმფატორს 42 წელი არ შესრულებოდა“.

ეს იყო შეუპოვრობისა და დიდი გარჯის ბრწყინვალე შედეგი. მანამდე მიზნის მისაღწევად ივანე ჯავახიშვილმა რთული, წინააღმდეგობებით სავსე და ხანგრძლივი გზა განვლო.

უპირველესი წინააღმდეგობა შეხვდა ეროვნული უნივერსიტეტის დაარსების თავად იდეას, როგორც საქართველოს შიგნით, ასევე, მის ფარგლებს გარეთ. ამ იდეის ყველაზე საშიში მტერი, სამწუხაროდ, ქართველი ინტელიგენციის საგრძნობი ნაწილის ურწმუნობა აღმოჩნდა. ისინი თვლიდნენ, რომ ეროვნული უნივერსიტეტი ვერ შეძლებდა მეცნიერების „ამეტყველებას“ ქართულ ენაზე, ვერ გაუძლებდა მსოფლიოს უნივერსიტეტების კონკურენციას და პროვინციული უნივერსიტეტის გახსნას სჯობდა საერთოდ უარი ეთქვათ ამ იდეაზე. ქართული ინტელიგენციის ეს ნიჰილიზმი ობიექტურად იმ ძალას უკავშირდებოდა, რომელმაც დაინახა რა ეროვნული უნივერსიტეტის „საშიშროება“, ჯერ ვარშავის, შემდეგ კი ტარტუს უნივერსიტეტის გადმოტანას აპირებდა თბილისში ან ტექნიკური უმაღლესი სასწავლებლის დაარსებას. ნაწილს კი მეცნიერების განვითარების საუკეთესო საშუალებად მეცნიერებათა აკადემიის დაარსება მიაჩნდა. ვფიქრობთ, სწორედ ამ ვნებათაღელვის მისანავლებლად წარადგინა საკუთარი გარჯის შედეგად დაარსებული უნივერსიტეტის პირველ რექტორად ივანე ჯავახიშვილმა პეტრე მელიქიშვილი. მას სჭირდებოდა კოსმოპოლიტური მეცნიერების თვალსაჩინო წარმომადგენელი, პატრიოტი ქართველი, რომელიც ეროვნული უნივერსიტეტისადმი მიმართულ ეჭვებს გაფანტავდა. სწორედ ასეთად მიიჩნია ბატონმა ივანემ დამსახურებული პროფესორი პეტრე მელიქიშვილი. ბატონმა პეტრემ ეს გზავნილი ზუსტად გაიგო, რისი დადასტურებაცაა მისი სიტყვიდან ის ამონარიდი, რომელიც ზემოთ მოვიყვანეთ.

ივანე ჯავახიშვილი აღნიშნულის შესახებ წერდა: „არც ერთ ეროვნებას და ქვეყანას არ შეუძლია შეუჩერებელი კულტურული ზრდა, თუ რომ მას შესაფერისად განვითარებული და მუდამ წარმატებაში მყოფი მეცნიერება არ აბადია. ერის ყოველი წარმატება, თვით ნივთიერი კულტურის სფეროშიც კი,



ქეთევან ნადირაძე. „სიყვარულის გარეშე არ გაკეთდება დიდი საქმე“ ივანე ჯავახიშვილი, უნივერსიტეტი და საქართველოს ისტორია

---

თეორიული მეცნიერების წარმატებასა და აღორძინებაზე დამოკიდებული. რაც უნდა კარგად შეისწავლოს პრაქტიკულად გამოსაყენებელი ტექნიკის თვით უკანასკნელი აღმოჩენა და საშუალებანი, თუ რომ თეორიული მეცნიერება მას საფუძვლიანად მუდამ ნიადაგს არ უმაგრებს, ამგვარს ცოდნას... მცირედი ღირებულება აქვს და თანდათან უნდა უეჭველად ჩამოქვეითდეს“. ხოლო ჰქონდა რა მხედველობაში საიმპერატორო სამეცნიერო აკადემია, მეცნიერი აღნიშნავდა: „სამეცნიერო აკადემია მარტო თვით აკადემიკოსებისათვის არსებობს, საზოგადოებასთან მას მცირედი დამოკიდებულება აქვს, მოზარდ თაობასთან ხომ არავითარი კავშირი არ აქვს და ამის გამო მისი მოქმედების გავლენის სფეროც შედარებით ვიწროდ არის შემოზღუდული“.

გასაგებია, რომ ივანე ჯავახიშვილს მეცნიერებათა აკადემიისა და ტექნიკური ინსტიტუტის მნიშვნელობა კარგად ესმოდა, მაგრამ იგი უპირველესად სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულების განხრის აუცილებლობას ხედავდა. რასაც ბუნებრივად როგორც აკადემიის, ასევე, სპეციალიზირებული ინსტიტუტების ჩამოყალიბება უნდა მოჰყოლოდა, რაც შემდგომში მართლაც განხორციელდა.

უნივერსიტეტის შექმნას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა საშუალო სკოლების გაეროვნულებისათვის, რადგან მას უნდა აღეზარდა პედაგოგთა ეროვნული კადრები.

უნივერსიტეტის მეშვეობით საუკეთესოდ შეიძლებოდა საზღვარგარეთ გაფანტულ ქართველ მეცნიერთა თავმოყრა, რაც აუცილებელ პირობას წარმოადგენდა სამეცნიერო სკოლების ჩამოყალიბების საქმეში.

ბატონი ივანე დაბეჯითებით განმარტავდა: „სულ სხვაა უნივერსიტეტი: იქ მეცნიერება მთელი თავისი მრავალმხრივობითა და მრავალფერადოვნებით სუფევს..., სამეცნიერო გამოცდებისა და ხარისხების წყალობით იქ ერთად მოღვაწეობენ სიცოცხლით, ნიჭითა და გამბედაობით სავსე ახალგაზრდა მეცნიერნიც და სიბრძნის ბრძმედად გაკაჟებული განთქმულნი მეცნიერნიც. უნივერსიტეტი ამასთანავე უმაღლესი სამეცნიერო დაწესებულებაც არის და ამავე დროს უმაღლესი მეცნიერების სასწავლებელიც, სადაც მოზარდი ახალგაზრდობა და ჭაბუკნი, მომავალი თაობა მეცნიერ-მკვლევართა მოძღვრებითა და ხელმძღვანელობით უმაღლეს მეცნიერებას ითვისებს, სამეცნიერო მუშაობას ეჩვევა და თანდათან მის თანამოაზრედ ხდება... სწორედ ასეთი დაწესებულებაა ჩვენი ქართველებისათვის საჭირო“.

ივანე ჯავახიშვილს ქართულ ენაზე მეცნიერების „ამეტყველების“

პრობლემაც ჰქონდა გააზრებული. ამაზე ფიქრი და ზრუნვა მან ჯერ კიდევ პეტერბურგის უნივერსიტეტის პრიატ-დოცენტობის დროს დაიწყო. 1908 წლისთვის უნივერსიტეტში ჩამოაყალიბა ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრე. წრის ძირითადი დანიშნულება იყო მოხსენების წაკითხვა. მოხსენება ქართულ ენაზე იკითხებოდა, რაც თავისთავად გულისხმობდა სამეცნიერო ენის გავარჯიშებას ქართულად. თვითონაც ახერხებდა ლექციის ქართულად წაკითხვას თუ აუდიტორია მხოლოდ ქართველებისგან შედგებოდა.

წამოწყება მხოლოდ ჰუმანიტარულ დარგებში მეცნიერული ტერმინოლოგიის დახვეწას არ გულისხმობდა. 1915 წლიდან წრის წევრებმა დაიწყეს მასალის შეგროვება ქართული ენის ტექნიკური ლექსიკონისათვის. ქართული ხელნაწერებიდან და ძველი ნაბეჭდი წიგნებიდან იწერდნენ მეცნიერულ ტერმინებს და გამოთქმებს ფიზიკაში, მათემატიკაში, ბოტანიკაში, მედიცინაში, ლოგიკასა და სხვა დარგებში. მეცნიერს აგრეთვე შემუშავებული ჰქონდა პროგრამა სტუდენტების სამშობლოში ზაფხულის არადადეგების პერიოდში ყოფნის დროს საქმიანობისა ეთნოგრაფიული, ისტორიული, ეკონომიური და სხვა ხასიათის ცნობების შესაკრებად. მაგ., 1910 წელს სამეცნიერო წრემ შეიმუშავა გეგმა-კითხვარი, რომელიც საქართველოს სოფლების კომპლექსურ შესწავლას გულისხმობდა. აგრეთვე, სტუდენტთა წრის მიერ დაწერილი სამეცნიერო გამოკვლევებისაგან შედგა კრებული, რომელიც 1915 წელს გამოიცა, რაც მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა იმდროინდელ ქართულ სამეცნიერო ცხოვრებაში.

ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრის პოპულარობა სწრაფად გავრცელდა რუსეთის დედაქალაქში, რასაც შედეგად მოჰყვა გააქტიურებული ინტერესი აღმოსავლური ენების ფაკულტეტისადმი. როგორც მოგვიანებით ნიკო მარი აღნიშნავდა, „ქართველი სტუდენტები გამრავლდნენ სომხურ-ქართულ განყოფილებაზე და შექმნეს ძირითადი კონტინგენტი... ფაკულტეტზე არსებულმა ქართველ სტუდენტთა წრემ ჩემი მოწაფე-ქართველების ხელმძღვანელობით და ენერგიული მონაწილეობით განავითარა ინტენსიური საქმიანობა მშობლიური კულტურის შესასწავლად, რამაც თავის გამოვლინება ჰპოვა სტუდენტ ქართველების მოზღვავებით სხვადასხვა ფაკულტეტებიდან და თვით ქართველი სტუდენტი ქალები უმაღლეს ქალთა კურსებიდან, კავკასიისმცოდნეობის, უბრატესად ქართველმცოდნეობის ლექციებზე“. ვფიქრობთ, ამ ამონარიდიდან ნათლად ჩანს, თუ რატომ უწევდა შემდგომში, ნიკო მარი დიდ წინააღმდეგობას ქართული უნივერსიტეტის გახსნას თბილისში. იგი კარგავდა

როგორც აღზრდილებს, ასევე, აღსაზრდელებს, რასაც შესაძლებელია, მომავალში პეტერბურგის ქართველოლოგიური სკოლის დაკნინება გამოეწვიოს.

როგორც ვნახეთ, პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა წრე მთელი ქალაქის სტუდენტთა წრედ იქცა. მხოლოდ ერთი ქალაქის მასშტაბი ივანე ჯავახიშვილს არ აკმაყოფილებდა. მისთვის საშურ საქმეს წარმოადგენდა, დაედგინა, თუ რამდენი ქართველი სწავლობდა რუსეთისა და ევროპის უმაღლეს სკოლებში, როგორი იყო მათი ლტოლვა მეცნიერების სხვადასხვა დარგებისადმი. 1912-13 წლებში წრემ რუსეთისა და ევროპის ქვეყნებში დააგზავნა ანკეტები, საიდანაც დადგინდა ვითარება ქართველ სტუდენტთა რაოდენობის, ინტერესების, მისწრაფებების, ჯანმრთელობისა და ცხოვრების პირობების შესახებ.

ანკეტების მონაცემების საფუძველზე აკ. შანიძე წერდა: „ბევრი რამ საყურადღებო გამოირკვა. წინათ, მაგალითად, განმტკიცებული იყო აზრი, თითქოს ქართველობა უმთავრესად იურიდიულ ფაკულტეტს ეტანებოდა. თითქოს დიდი ნაწილი სტუდენტობისა ფუქსავატ ცხოვრებას ატარებდა და სხვ. ანკეტამ ცხადყო, რომ ქართველ სტუდენტობაში დიდი ინტერესია მეცნიერებისადმი, რომ ეს ინტერესი მრავალფეროვანია; არ იყო თითქმის არც ერთი დარგი მეცნიერებისა, ხელოვნებისა და ტექნიკისა, რომ მას არ დასწაფებოდა ქართველი სტუდენტი. ამიტომ ნათელი გახდა, რომ ქართული უმაღლესი სასწავლებლის საქმე ამ მხრივ სავსებით უზრუნველყოფილი იყო“.

ცხადია, რომ მთელი ეს საქმიანობა წარმოადგენდა სამზადისს ქართული უნივერსიტეტის გახსნისათვის. ივანე ჯავახიშვილს ამ საქმეში მხარდამჭერებიც ბევრი ჰყავდა.

ქართველი ინტელიგენციის მებრძოლი ნაწილის სულისკვეთებას გამოხატავდა კონსტანტინე გამსახურდია. იგი პრესაში ამ საკითხის შესახებ ხშირად ბეჭდავდა წერილებს. მწერალი წერდა: „თაობათა მთელი რიგის მუყაითი შრომა საჭირო ჩვენ წინაპართაგან ნაანდერძევ კულტურულ საუნჯის მეცნიერულად შესასწავლად“, და რომ ამისათვის სრულიად არასაკმარისია რომელიმე სხვა ქვეყნის უნივერსიტეტში ქართველოლოგიის კათედრების შექმნა. საჭიროა ეროვნული უმაღლესი სასწავლებელი, ამიტომ დროა „რუსეთის სხვადასხვა უნივერსიტეტებში გაბნეულმა ქართველმა პროფესორებმა ეხლავე იზრუნონ ამაზე“. „საჭიროა მამულის მომავლისათვის მზრუნველმა ხელმა დააჩქაროს გაწამებული ერის დიდი ხნით ნაზრახი გულისნადების სისრულეში მოყვანა“. კ. გამსახურდიას მიერ „მთაგონებით დაწერილი ეს წერილები

ყველაზე დროულ, საჭირო, გაბედულ და სასარგებლო საქმეს წარმოადგენდა. მეტად დიდი იყო მათი ზემოქმედების ძალა“.

ქართულ პრესაში უნივერსიტეტის მხარდასაჭერად მრავალი წერილის ბეჭვდა დაიწყო, რაც ხალხში საუნივერსიტეტო იდეისადმი თანადგომას აღვიბებდა. ივანე ჯავახიშვილმა წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით მთელი აქცენტი გადაიტანა ეროვნული უნივერსიტეტის იდეის ხალხში პოპულარიზაციაზე. ამას ხელმძღვანელობდა „უნივერსიტეტის დამხმარე საზოგადოება“. 1917 წლის 3 ოქტომბერს თბილისში შედგა ამ საზოგადოების პირველი კრება; კრების მსვლელობიდან კარგად ჩანს:

როდესაც არსებობს ნება და ხალხის თანადგომა, ნებისმიერ გარემოში, ნებისმიერი წინააღმდეგობის გადალახვა შეიძლება მიზნის მისაღწევად. თუმცა ერთი კია, აუცილებელია ხალხის ნდობის მოპოვება, რაც ივანე ჯავახიშვილმა და მისმა თანამოაზრებებმა თავიანთი დიდი თავდადების შედეგად ნამდვილად შეძლეს.

უნივერსიტეტის დამფუძნებელი საზოგადოების მისამართით დაიწყო დენა ფულადმა თანხებმა შემოწირულობათა სახით. გამოძგზავნილ თანხას თითქმის ყოველთვის ახლდა სიყვარულითა და რწმენით სავსე წერილები. ამანათებს აგზავნიდნენ როგორც კერძო პირები, ასევე, კორპორაციები და საზოგადოებები. უნივერსიტეტის მიმართ განსაკუთრებული თანადგომა გამოამჟღავნეს საზღვარგარეთ მცხოვრებმა ქართველებმა. ასევე, ქართველი ხალხის ყველა მოკეთემ. უბრალო ხალხმაც მიიღო მონაწილეობა ამ დიდ საქმეში. საქართველოს სახელმწიფო არქივში, საუნივერსიტეტო ფონდში ინახება სიები, სადაც გლეხები, რომლებიც საკუთარი გვარის გასწვრივ ჯვარს სვამენ, უნივერსიტეტს სწირავენ შეძლებისდაგვარად: ერთ, ორ, სამ კაპიკს. აქედანაც კარგად ჩანს, რომ უნივერსიტეტის დაარსება ქართველი ხალხისათვის ეროვნული ღირსების საქმედ იქცა.

1917 წლის 9 ოქტომბერს უნივერსიტეტის დამხმარე საზოგადოების გამგეობამ და საფინანსო კომისიამ თავის პირველ გაერთიანებულ კრებაზე დაადგინა: მიენდოთ ნოვოროსიის უნივერსიტეტის პროფესორის – პეტრე მელიქიშვილისათვის, პეტერბურგის უნივერსიტეტის დოცენტის – ივანე ჯავახიშვილისა და მოსკოვის უნივერსიტეტის დოცენტის ანდრია რაზმაძისათვის პროფესორების მოწვევა და პროფესორთა კოლეგიის შედგენა. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ უნივერსიტეტს გახსნის დროისათვის შვიდი პროფესორი: პეტრე მელიქიშვილი, ივანე ჯავახიშვილი, ანდრია ბენაშვილი, კორნელი კე-

კელიძე, დიმიტრი უზნაძე, ფილიპე გოგინაიშვილი; ხუთი პროფესორის მოადგილე: ანდრია რაზმაძე, სიმონ ავალიანი, შალვა ნუცუბიძე, გიორგი ახვლედიანი, აკაკი შანიძე; ოთხი უცხო ენების ლექტორი: ელისაბედ ორბელიანი, არტურ ლაისტი, ილია ყიფშიძე, ვანდა დამბაშიძე ჰყავდა. ახლადგახსნილი უნივერსიტეტისათვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი იყო ხელოვნების ცნობილი ისტორიკოსის, აკადემიკოს ნიკოლოზ კონდაკოვის საპატიო წევრად არჩევა. პროფესორთა საბჭომ პირველად დაცვის გარეშე ექვთიმე თაყაიშვილს არქეოლოგიის დოქტორის ხარისხი მიანიჭა. ხოლო სასწავლო წლის მეორე სემესტრიდან სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტს შეემატა ხელოვნების ისტორიისა და თეორიის კათედრის დამაარსებელი გიორგი ჩუბინაშვილი.

1917 წლის 26 ნოემბრის სხდომაზე გადაწყდა, დაარსებულიყო სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი სამი განყოფილებით: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა (ფილოსოფია, ისტორია, ლიტერატურა, ენათმეცნიერება, სოციალური მეცნიერებანი, პედაგოგიკა), სამათემატიკო და საბუნებისმეტყველო. ამ ფაკულტეტის დეკანად არჩეულ იქნა ივანე ჯავახიშვილი.

როგორც ვხედავთ, უნივერსიტეტის პირველი ფაკულტეტი მრავალი დარგის გამაერთიანებელი იყო. ასეთ ფაკულტეტს გერმანიაში ფილოსოფიური ფაკულტეტი ეწოდებოდა. ივანე ჯავახიშვილმა სახელწოდებად სიბრძნისმეტყველება აირჩია. იგი ამის შესახებ განმარტებას იძლეოდა: „ფილოსოფიას ქართულში ვიწრო, საკუთრებითი მნიშვნელობა ჰქონდა და ეხლაცა აქვს. ამიტომ ჩვენი მიზნისთვის არ გამოდგება. სამაგიეროდ სიბრძნე ამისათვის შესაფერისია: მას ძველადაც მუდამ ფართო მნიშვნელობა ჰქონდა, ახლაც ამგვართვე ფართოდ იეულისხმება. შოთას უკვდავი ქმნილებაც ცხადყოფს, რომ „სიბრძნე“ მაშინ იმგვარადვე ფართო მნიშვნელობით იხმარებოდა, როგორც დასავლეთ ევროპაში, კერძოდ გერმანიაში ძველად ფილოსოფია ესმოდათ. „შაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი“ – ნათქვამია ვეფხისტყაოსანში. მამასადაძე, პოეზიაცა და ხელოვნებაც „სიბრძნედ“ ითვლებოდა. ეს ტერმინი ფართო ცნების შემცველი ყოფილა და მას სხვადასხვა დარგი ჰქონია. აი ამის გამო ვგონებ, გერმანული „ფილოსოფიური ფაკულტეტის“ გადმოსაცემად ქართულად „სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი“ უნდა ვიხმაროთ“.

ასევე, გადაწყდა, რომ უნივერსიტეტში საგნების დანაწილება დარგების მიხედვით მოხდებოდა (ფილოსოფიური, პედაგოგიური, საენათმეცნიერო, საისტორიო, სალიტერატურო და სხვ.) და არა ენების მიხედვით, როგორც ეს

რუსეთის უნივერსიტეტებში არსებობდა (სლავურ-რუსული, კლასიკური, რომანულ-გერმანული, კავკასიური და ა. შ.), ხოლო საყოველთაო სავალდებულო საგნებად გამოცხადდა: ლოგიკა, ფსიქოლოგია, ფილოსოფიის შესავალი, საქართველოს ისტორიის ზოგადი კურსი და ერთ-ერთი ევროპული ენა. ამ საგნების სწავლება ორი წლით განისაზღვრა.


პროფესორთა საბჭოსა და სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის ახალი კადრებით შევსება უნივერსიტეტის უპირველესი მოვალეობა იყო. 1917 წლის 26 ნოემბრის პროფესორთა საბჭოზე ივ. ჯავახიშვილმა წარადგინა სტუდენტთა სია, რომელთა დატოვებაც უნივერსიტეტში სასურველი იქნებოდა პროფესორად მოსამზადებლად. ბუნებრივია, ეს სტუდენტები ბატონ ივანეს ადრევე ჰყავდა შერჩეული. მათ შორის იყვნენ: ს. ყაუხჩიშვილი, გ. ქიქოძე, კ. გამსახურდია. უნივერსიტეტში პროფესორად აყვანის ერთ-ერთი პირობა საჯარო ლექციის წაკითხვა იყო. ერთი ლექციის თემას თავად კანდიდატი ირჩევდა, ხოლო მეორე ლექციის თემას ფაკულტეტი განსაზღვრავდა.

1918 წლის 3 სექტემბრის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კანონით, თბილისის ქართული უნივერსიტეტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტად გამოცხადდა. ოქტომბრიდან სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტს ცალკე გამოეყო სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო და ჩამოყალიბდა სამკურნალო ფაკულტეტი. 1919 წლის 24 დეკემბერს ივანე ჯავახიშვილი უნივერსიტეტის რექტორად აირჩიეს. ამ წლიდან უკვე ძლიერდება უნივერსიტეტის კავშირები საზღვარგარეთთან და თანდათან იწყება სრულფასოვანი სასწავლო-სამეცნიერო ცხოვრება.

ივანე ჯავახიშვილი მოგვიანებით იტყვის: „თუ ჩემს... საუნივერსიტეტო მოღვაწეობას საქართველოში, მართლაც ნაყოფიერი შედეგი მოჰყვა, ეს აიხსნება მართო ჩვენი მუშაობით კი არა, არამედ იმიტაც, რომ მე ბედნიერი ვიყავი, რომ გვერდს მიმშვენებდნენ საუკეთესო მუშაკები, საუკეთესო სულისკვეთებით გამსჭვალული, ერთი ნებისყოფით შეკავშირებული ადამიანები“. პეტრე მელიქიშვილი კი 1924 წლისთვის წერდა: „ივანე ჯავახიშვილი ბრძანდება ერთადერთი დამაარსებელი, სულისჩამდგმელი და ერთადერთი რაინდი ჩვენი უნივერსიტეტისა. აქ მას ვერავინ შეეტოქება და შეეზიარება“. სწორედ ამ გარემოებამ განაპირობა ის ფაქტი, რომ საქართველოს ისტორიის მეცნიერულმა შესწავლამ და ამ საგნის საუნივერსიტეტო სწავლებამ თავიდანვე ერთ-ერთი მთავარი ადგილი დაიკავა უნივერსიტეტის სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობაში. საქართველოს ისტორიის კათედრა იყო პირველი

**ქეთევან ნადირაძე. „სიყვარულის გარეშე არ გაკეთდება დიდი საქმე“ ივანე ჯავახიშვილი, უნივერსიტეტი და საქართველოს ისტორია**

და თითქმის ერთადერთი კათედრა ახლად დაარსებულ უნივერსიტეტში. ვინაიდან თავიდან გამოიჯენა ვერ მოხერხდა ქართველოლოგიური დისციპლინების, ამიტომ იგი წარმოადგენდა ქართველოლოგიური მეცნიერებების კვლევების ძირითად ბაზას.



**ივანე ჯავახიშვილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად**

პირველი საუნივერსიტეტო სასწავლო გეგმა საქართველოს ისტორიისა და მისი მომიჯნავე დარგების სწავლებას შემდეგნაირად ითვალისწინებდა: საქართველოს ისტორიის ზოგადი კურსი (ლექტ. ივ. ჯავახიშვილი), სემინარი საქართველოს ისტორიაში (ხელმძღ. ივ. ჯავახიშვილი), ქართული სამართლის ისტორია (ლექტ. ივ. ჯავახიშვილი), მიწისმფლობელობა საქართველოში (ლექტ. ს. ავალიანი), არქეოლოგია (ლექტ. ექ. თაყაიშვილი). ყველა ამ საგანს კვირაში ორ-ორი საათი ჰქონდა დათმობილი.

კათედრამ აგრეთვე დაიწყო მუშაობა საქართველოს ისტორიისა და მისი დამხმარე დისციპლინების სალექციო კურსების მოსამზადებლად. 1919-20 წლებში გამოქვეყნდა ივ. ჯავახიშვილის „ქართული სამართლის ისტორია“ (ტ. I), სხვადასხვა მნიშვნელოვანი შრომები და სტატიები. მაგ., ივ. ჯავახიშვილის „საქართველოს საზღვრები ისტორიული და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული“, „დამოკიდებულება საქართველოსა და რუსეთს შორის

XVIII საუკუნეში“, ს. ავალიანის „ხიზანი“, ქართველი ყმა-გლეხობის ისტორიიდან, «Крестьянский Вопрос в Закавказье» (ტ. IV), რომელიც ადრე გამოცემულ I-III ტომებთან ერთად ქმნიდა ერთიან ციკლს საქართველოსა და კავკასიის სოციალური ისტორიის მნიშვნელოვან საკითხებზე. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ძველი ქართული ლიტერატურული ძეგლების გამოქვეყნებას. 1920 წელს დაიწყო Monumenta Georgica-ს სერიის გამოცემა. კ. კეკელიძის, ს. ყაუხჩიშვილისა და ლ. მელიქსედ-ბეგის მიერ ამ სერიის ხაზით გამოქვეყნებულ სხვადასხვა ნათარგმნ ძეგლებთან ერთად ექ. თაყაიშვილმა გამოაქვეყნა უმნიშვნელოვანესი ქართული საისტორიო წყარო „ხელმწიფის კარის გარიგება“, ასევე, „შენიშვნები ზარზმის ეკლესიისა და მის სიძველეთა შესახებ“.

ბატონი ივანე თავად ხელმძღვანელობდა საქართველოს ისტორიის განხრით მეცნიერ-მკვლევართა მომზადებას. უკვე 1920 წლის 1 იანვრიდან საქართველოს ისტორიის კათედრასთან სტიპენდიით, საპროფესოროდ მოსამზადებლად დატოვეს სარგის კაკაბაძე. ივანე ჯავახიშვილი, აგრეთვე, დიდ ყურადღებას აქცევდა საქართველოს მეზობელი ხალხების ისტორიის სპეციალობით კადრების მომზადებას, რათა შემდგომში მათი კვლევები საქართველოს ამ ქვეყნებთან ურთიერთობის შესწავლის გზით წარმართულიყო. მაგ., ალ. წერეთელს ამზადებდნენ მსოფლიო ისტორიაში, დ. ყიფშიძეს სომხეთის საისტორიო მწერლობაში, ხოლო მ. წერეთელს – ასირიოლოგიასა და აღმოსავლეთის ისტორიაში. გარდა ამისა, პროფესორებად მოიწვიეს ბიზანტინისტი რ. ბლეიკი და მ. პოლივექტოვი, რუსეთის ისტორიის სპეციალისტი.

მიღწეულ იქნა ყოველწლიურად ისტორიული მასალების მოძიება-შეგროვებისათვის სამეცნიერო ექსპედიციებისა და მივლინებების სისტემური მოწყობა. ივ. ჯავახიშვილის მითითებით, ამ საქმიანობაში პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად აქტიურად იყვნენ ჩართულები ასპირანტები და სტუდენტები. მაგ., 1921 წლის ზაფხულში ქუთაისში მივლინებით გაიგზავნა სარგის კაკაბაძე, რომლის მიერ შეგროვებული და მომზადებული საბუთები დაისტამბა ორ წიგნად, ხოლო სტუდენტი სიმონ ჯანაშია მივლინებულ იქნა აფხაზეთში, ეთნოგრაფიული ხასიათის მასალის შესაგროვებლად.

1922 წელს უნივერსიტეტმა გამოუშვა პირველი კურსდამთავრებულები. ისტორიის დარგი 15 სტუდენტმა დაამთავრა. მათ შორის ბატონმა ივანემ ორი: სიმონ ჯანაშია და თამარ ლომოური საპროფესოროდ მოსამზადებლად კათედრაზე დატოვა, ხოლო 1926 წელს კათედრაზე ამავე მიზნით დატოვეს



ნიკო ბერძენიშვილი. ვფიქრობთ, ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს ნიკო ბერძენიშვილის ერთი წლის აკადემიური მუშაობის ანგარიშიდან ამონარიდი: ჩემი აკადემიური მუშაობა შემდეგში გამოიხატა „არაბული ენისა და ისტორიის შესწავლის მიზნით წავიკითხე და შევისწავლე: ყურანი არაბულად, გრიგოლ პართელის ცხოვრების არაბული ვერსია, კარაულოვის გამოცემა არაბული ტექსტებისა... Арабские географы о кавказе, იაჰია ანტიოქიელის ისტორია (X-XI სს. ბიზანტია) არაბულად, იბნ-ალ ასირი (ეპიზოდები ჯვაროსანთა ეპოქის ომებიდან) არაბულად, ღოზის, გოლდციერის და კრიმსკის წერილების კრებული: История Мусульманства, კრიმსკის: Источники для истории Мухамеда... ვმუშაობდი საქართველოს ისტორიის საკითხების გარშემო: უნ-ტეტის მუზეუმში დაცულ ხელნაწერთაგან ვიწერდი ისტორიული ხასიათის მინაწერებს მათი შესწავლა-გამოცემის მიზნით, შევისწავლე ხელნაწერი №558 და დავამუშავე საკითხები: „ათონის კრებულის რედაქცია“, „ათონის კრებულის სულთა მატთანე ანუ აღაპები და მათი დათარიღება“; შევისწავლე ხელნაწერები №1742, 2383, 895. დავამუშავე შრომა „ქართული სახელმწიფო წესწყობილების ერთი საკითხისათვის...“, ამავე დროს ვაგროვებდი მასალებს ზოგიერთი ქართული საერო და საეკლესიო ხელისუფალთა შესახებ XIII ს-ში მათი ურთიერთ შორის დამოკიდებულების გამოკვლევის მიზნით...“ ანგარიშს ახლავს ივ. ჯავახიშვილის რეზოლუცია: „ანგარიში დამაკმაყოფილებელია“.

1925 წელს ივ. ჯავახიშვილის მოწაფეთა ჯგუფმა მასწავლებლის სამეცნიერო მოღვაწეობის 25 წლისთავთან დაკავშირებით საგანგებო კრებული გამოუშვა, სახელწოდებით „არილი“, სადაც ს. ჯანაშიას და თ. ლომოურის სტატიებიც დაიბეჭდა, ხოლო 1926 წელს გამოვიდა სპეციალური ნომერი „ჩვენი მეცნიერება“, მიძღვნილი ივ. ჯავახიშვილის დაბადებიდან 50 წლისთავისადმი.

სამეცნიერო კვლევა-ძიებამ განსაკუთრებით მყარი ნიადაგი შეიძინა მას შემდეგ, რაც თანდათან დაიწყო საქართველოს ისტორიის კათედრის გვერდით სხვა მომიჯნავე კათედრების ჩამოყალიბება: სიმონ ყაუხჩიშვილის, იუსტინე აბულაძისა და სხვათა ხელმძღვანელობით.

შემდგომში საქართველოს ისტორიის კათედრა აკადემიკოსების: სიმონ ჯანაშიას, ნიკო ბერძენიშვილის, შოთა მესხიას, მარიამ ლორთქიფანიძისა და როინ მეტრეველის ხელმძღვანელობით „ქართული მეცნიერების იდეოლოგიის“ ივანე ჯავახიშვილის გზის მიმდევრად დარჩა. ვფიქრობთ, დღეს ივანე ჯავა-

ნიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტს კარგად აქვს გააზრებული ამ მემკვიდრეობის ფასეულობა.

ამიერკავკასიაში პირველი უნივერსიტეტის დაარსება მთელმა საქართველომ იხეიმა, განურჩევლად იმისა, თავიდანვე უჭერდნენ თუ არა მხარს ამ ეროვნულ საქმეს. დღეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 100 წლის იუბილე იუნესკოს (UNESCO) ეგიდით გაიმართა. ეს გადაწყვეტილება მიიღო გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციამ პარიზში, გენერალური კონფერენციის 39-ე სესიაზე მეგობარი ქვეყნების მხარდაჭერით. თუნდაც ზემოთ მოთხრობილიდან გამომდინარე, გასაგები უნდა იყოს, რომ გადაწყვეტილება მარტივად არ მიიღება, ხოლო გადაწყვეტილების განხორციელება კი დიდი მონღომებისა და შრომის გარეშე არ ხდება. ვფიქრობთ, ეს დიდი სიხარული ჩვენ, საზოგადოებამ, ანგარების გარეშე უნდა გავიზიაროთ. ეს კი მოხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კარგად გვექნება გააზრებული, ამ მოვლენის სახელმწიფოებრივი და ეროვნული მნიშვნელობა.



## *ლერი თავაძე*

ასისტენტ-პროფესორი, თსუ

### თეთრციხე (ციხესიმაგრე და კოშკი)

თეთრციხე თურქეთის რესპუბლიკის არდაგანის პროვინციის ჩილდირის რაიონში მდებარეობს. ციხესიმაგრე ამავე ტერიტორიაზე არსებულ ჩრდილის (თურქ. ჩილდირი) ტბის კუნძულზე არის აგებული (სურ. 1).

ჩრდილის ტბის ჩრდილო-აღმოსავლეთით პატარა კუნძულია, რომელიც მატერიკიდან წყლის ვიწრო ზოლით არის გამოყოფილი. ხმელეთი მიწაყრით მემკობით, რომელიც ხიდის ფუნქციას ასრულებს, კუნძულს უერთდება. სწორედ ამგვარი კონსტრუქციით ვუკავშირდებით ტბაზე არსებულ კუნძულს, რომელსაც ადგილობრივი თურქები აჩაკალეს (აღჯაყალა) უწოდებენ, რაც ქართულად თეთრციხეს ნიშნავს (სურ. 2).

ტერმინი „თეთრციხე“ კუნძულის და მასზე მდებარე ციხესიმაგრის ძველი, ავთენტური, ქართული სახელწოდებაა. ეს სახელწოდება თურქებმა თავიანთ ენაზე თარგმნეს და დღეს მას ოფიციალურად აჩაკალე ეწოდება. კუნძულზე მისასვლელი სოფელზე გადის, რომელსაც იგივე სახელწოდება აქვს, რაც ციხესიმაგრესა და საკუთრივ კუნძულს. ყველაფერი ეს ერთ სისტემაშია მოქცეული და ამგვარი სახით არსებობდა ძველი დროიდან მოყოლებული.

თეთრციხე ისტორიული ტაო-კლარჯეთის შემადგენელი ნაწილია, თუმცა ეს უკანასკნელი უფრო აკადემიურ წრეებში დამკვიდრებული ხელოვნური ტერმინია. ისტორიულ-გეოგრაფიული თვალსაზრისით თეთრციხე პალაკაციოს „ქვეყნის“, შემადგენლობაში ექცევა, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ჯავახეთის მხარესთან იყო დაკავშირებული. პალაკაციო სასაზღვრო ტერიტორია გახლდათ და წარმოადგენდა ისტორიული სამხრეთ საქართველოს ერთ-ერთ სტრატეგიულად მნიშვნელოვან პროვინციას.

კუნძულის ტერიტორიაზე ჩვენი ამჟამინდელი კვლევისთვის საინტერესო ორი ისტორიული ძეგლია, თეთრციხის ციხესიმაგრე და თეთრციხის კოშკი. ამათ გარდა კუნძულზე სხვა მნიშვნელოვანი ისტორიული ძეგლებიც გვხვდება, თუმცა ახლანდელი ნარკვევის შესწავლის ობიექტი სწორედ ეს ორი საფორტიფიკაციო ნაგებობაა.

### **შესწავლის ისტორია**

თეთრციხის მეცნიერული შესწავლის ისტორიის პირველი ეტაპი გამოჩენილი ქართველი მეცნიერის ექვთიმე თაყაიშვილის სახელს უკავშირდება. რუსეთის მიერ 1877-1878 წლებში ტაო-კლარჯეთის ტერიტორიის ერთი ნაწილის შემოერთებამ (მათ შორის იყო პალაკაციო) შესაძლებელი გახდა აღნიშნულ ტერიტორიაზე ინტენსიური კვლევა-ძიება ჩატარებულიყო. ერთადერთი რაც სამეცნიერო სამუშაოებს აფერხებდა მწვავე კრიმინალური ვითარება გახლდათ. ეს უკანასკნელი მომთაბარეთა მძარცველური თავდასხმებით იყო გამოწვეული, რაც ასახვას ჰპოვებდა ქურდობაში და ყაჩაღობაში. ასეთი ვითარების მიუხედავად პალაკაციოს მხარის ერთ-ერთი პირველი მეცნიერული აღწერილობა ექვთიმე თაყაიშვილმა (1863-1953 წწ.) დაგვიტოვა, რომელმაც თავისი 1902 და 1907 წლების მოგზაურობებისა და დაკვირვებების შედეგები სპეციალურ დღიურებში შეიტანა.<sup>1</sup>

ექვთიმე თაყაიშვილამდე ამ მხარეში იმოგზაურა ვასილ კოპტონაშვილმა, რომელმაც მეცნიერული თვალსაზრისით ნაკლებად ღირებული მასალა შემოგვინახა. თუმცა, ვ. კოპტონაშვილის მოგზაურობის მთავარი ღირსება ისაა, რომ თავისი ეთნოგრაფიული მასალა, რომელსაც ის პერიოდულად აქვეყნებდა გაზ. „ივერიაში“, ორიგინალურია და სამეცნიერო კვლევაში მნიშვნელოვან დახმარებას გვიწევს. ამ მხრივ გარკვეული ინფორმაცია ვ. კოპტონაშვილს დაცული აქვს თეთრციხის შესახებაც.<sup>2</sup>

ვასილ კოპტონაშვილის შემდეგ, ტაო-კლარჯეთის მხარეში ორი ექსპედიცია, 1902 და 1904 წლებში, მოაწყო გამოჩენილმა ქართველმა მეცნიერმა ნიკო მარმა. მისი ექსპედიციის ძირითადი მიმართულება შავშეთი და

<sup>1</sup> Маршрут и предвостительные заметки: Христианские памятники (Экскурсия Е. Такайшвили 1902 г.). Материалы по археологии Кавказа собранные экспедициями Императорского Московского Археологического Общества. Вып. XII. М. 1909, გვ. 45-117; ექ. თაყაიშვილი. არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგლში 1907 წელს. პარიზი. 1938.

<sup>2</sup> გაზ. „ივერია“. 1894. № 155, გვ. 3.

კლარჯეთი იყო, ამდენად ნ. მარი, ფაქტობრივად, არ შენებია პალაკაციოს მხარეს. უფრო ადრეული ექსპედიციებიდან გამოსაყოფია დიმიტრი ბაქრაძის (1873 წ.) და რუსი აკადემიკოსის, პავლინოვის, (1888 წ.) ექსპედიციები. მათ ასევე შეისწავლეს ტაო-კლარჯეთის ისტორიული ძეგლები, თუმცა არ უძუშავიათ, უშუალოდ, ჩრდილის ტბის ირგვლივ მდებარე ძეგლებზე. 1893, 1894, 1896 წლებში მოსკოვის საიმპერატორო არქეოლოგიური საზოგადოების ედივით სამხრეთ კავკასიაში რამდენიმე სამეცნიერო ექსპედიცია განხორციელდა. ამთგან, 1894 წელს ა. ა. ივანოვსკიმ მოინახულა ჩრდილის ტბის მიდამოები და ამავე ტბის კუნძულზე მდებარე ციხესიმაგრე და კოშკი. მოგვიანებით, „კავკასიის არქეოლოგიის მასალებში“ გამოქვეყნდა ამ ექსპედიციის შედეგები, მათ შორის თეთრციხის ციხესიმაგრის (ავტორი მას ჩალდირის ციხეს უწოდებს) აღწერილობა, გეგმა, სურათები, კოშკის მოკლე დასახიათება და ავტორისეული დაკვირვებები.<sup>3</sup>

XX საუკუნის დასაწყისში მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკურმა კონფლიქტებმა, პირველმა მსოფლიო ომმა, რუსეთში მომხდარმა რევოლუციებმა, თუ სხვა მოვლენებმა მნიშვნელოვნად შეაფერხეს ამ მხარეში სამეცნიერო საქმიანობის წარმოება. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წწ.) არსებობამ ამ მხრივ საქმეს ვერ უშველა, ხოლო ყარსის ხელშეკრულებით საბჭოთა რუსეთის მიერ ქართული ტერიტორიების თურქეთისთვის გადაცემამ ტაო-კლარჯეთის მხარე მთელი 70 წლის მანძილზე (1921-1991 წწ.), პრაქტიკულად, მიუწვდომელი გახადა ქართული სამეცნიერო საზოგადოებისთვის.

ქართველი მეცნიერი, ვისაც 70 წლის მანძილზე საშუალება ჰქონდა გაცნობოდა ტაო-კლარჯეთის ისტორიულ ქართულ მემკვიდრეობას და ამ კუთხით გარკვეული მასალა მიეწოდებინა აკადემიური წრეებისთვის იყო ვახტანგ ჯობაძე (1917-2007 წწ.).<sup>4</sup> ამერიკაში მოღვაწე ქართველ მეცნიერს, ვ. ჯობაძეს, საქართველოში მყოფი ქართველი მკვლევარებისგან განსხვავებით, საშუალება ეძლეოდა ემოგზაურა და შეესწავლა თურქეთის ქართული სიძველეები, რაც დიდი დახმარებას უწევდა საქართველოში მოღვაწე აკადემიურ

<sup>3</sup> А. А. Ивановский. По Закавказью: Археологическія наблюдения и исследования 1893, 1894 и 1896 гг. Материалы по археологии Кавказа собранные экспедициями Императорского Московского Археологического Общества. Вып. VI. М. 1911, გვ. 80-84.

<sup>4</sup> W. Djobadze. Early Medieval Georgian Monasteries in Historic Tao, Klardjeti and Šavšeti. Stuttgart. 1992.

წრებსაც ინფორმაცია მიეღოთ ქართული ციხეებისა თუ ეკლესია-მონასტრების მდგომარეობის შესახებ. საბჭოთა პერიოდში სასულიერო ცენტრების შესახებ დიდი ინფორმაცია შეაგროვა ხელოვნებათმცოდნე ვახტანგ ბერიძემ (1914-2000 წწ.).<sup>5</sup> თუმცა, ყველა ესა თუ სხვა ინფორმაცია ტაო-კლარჯეთის ქართული სიძველეების შესახებ, ძირითადად, ეკლესია-მონასტრებს ეხებოდა და ნაკლებად აქცენტირდებოდა ციხესიმაგრეების შესწავლაზე.

ქართველ მეცნიერებთან ერთად ტაო-კლარჯეთით უცხოელი მკვლევარებიც დაინტერესდნენ. ამ კუთხით მნიშვნელოვანია ფრანგი ცოლ-ქმრის, ნიკოლ და ჟან-მიშელ ტიერების გამოკვლევები.<sup>6</sup> ისინი ერთ-ერთი პირველი უცხოელები იყვნენ, რომლებმაც ამ მხარეში იმოგზაურეს და სამეცნიერო აღწერილობები დაგვიტოვეს. დასავლელ მკვლევართაგან, ასევე, გამოვყოფდით ბ. ბაუმგარტნერის, ე. ბრაიერის, დ. ვინფილდის, რ. ელუარდისა და თ. სინკლერის შრომებს ტაო-კლარჯეთის შესახებ.<sup>7</sup> მიუხედავად იმისა, რომ მათი ნაშრომები ტაო-კლარჯეთის ყველაზე მნიშვნელოვანი ხუროთმოძღვრული ძეგლების შესწავლაზე აქცენტირდებოდა, გარკვეულწილად, მათ შრომებში თეორიციხეც მოხვდა.

დასავლელი მეცნიერების პარალელურად აღნიშნული მხარის ძეგლების მიმართ ინტერესი გაჩნდა თურქ მკვლევრებშიც. ჩრდილის ტბის მიდამოები მრავალი თურქი არქეოლოგისა და ისტორიკოსის ყურადღების ცენტრში მოექცა. ერთ-ერთი პირველი იყო ი. ქ. ქოქთენი.<sup>8</sup> მოგვიანებით ის შეისწავ-

<sup>5</sup> В. Беридзе. Место памятников Тао-Кларджети в истории грузинской архитектуры. Тб. 1981

<sup>6</sup> M. Thierry, N. Thierry. Thierry Notes d'un voyage en Géorgie turque. Bedi kartlisa: Revue de kartvelologie. Vol. VIII-IX. 1960, გვ. 10-29; M. Thierry, N. Thierry. Notes d'un nouveau voyage en Georgie turque. Bedi Kartlisa: Revue de kartvelologie. Vol. XXV. 1968, გვ. 51-65; J-M. Thierry. Topographie et état actuel des monuments géorgiens en Turquie orientale. Revue des études géorgiennes et caucasiennes. 5. 1989.

<sup>7</sup> B. Baumgartner. Studien zur historischen Geographie von Tao-Klaržeti. Dissertation zur Erlangung des Doktorgrades der Philosophie eingereicht an der Geistes wissenschaftlichen Fakultät der Universität Wien. Wien. 1996; D. Winfield. Some Early Medieval Figure Sculpture from North-East Turkey. Journal of the Warburg and Courtauld Institutes. Vol. 31. 1968, გვ. 33-72; A. Brayer, D. Winfield. The Byzantine Monuments and Topography of Pontos. Vols. I-II. Dumbarton Oaks Research Library and Collection. Washington, D.C. 1985; R. W. Edwards. Medieval Architecture in the Oltu-Penek Valley: A Preliminary Report on the Marchlands of Northeast Turkey. Dumbarton Oaks Papers. Vol. 39. 1985; R. W. Edwards. The Fortifications of Artvin: A Second Preliminary Report on the Marchlands of Northeast Turkey. Dumbarton Oaks Papers. Vol. 40. 1986; T. A. Sinclair. Eastern Turkey: An Architectural and Archaeological Survey. Vol. II. London. 1989.

<sup>8</sup> İ.K. Kokten. Orta, Doğu ve Kuzey Anadolu'da Yapılan Tarih Oncesi Araştırmaları. Belleten VIII, 32. Ankara. 1944, გვ. 672.

ლეს ბ. იუქმენმა, ქ. ქოროღლუმ, ჰ. გუნდოღლუმ, ა. მ. აქთემურმა და ა.შ.<sup>9</sup> ჰ. გუნდოღლუმ და ა. მ. აქთემურმა 2001 წელს ჩილდირის რეგიონის ციხესიმაგრეების შესახებ სპეციალური ნარკვევი გამოსცეს, რომელშიც სხვა სიმაგრეებთან ერთად თეთრციხეს მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო.<sup>10</sup>

სამი პატაჯი კიდევ ერთი თურქი მკვლევარია, ვინც დეტალურად შეისწავლა არდაგანის მხარეში მდებარე ციხესიმაგრეები. ამ კუთხით საინტერესოა მისი ნაშრომი, „არდაგანის ციხეები და კოშკები“.<sup>11</sup> არდაგანის მხარის ისტორიული ძეგლებიდან შესწავლილია ჩვენთვის საინტერესო თეთრციხის კომპლექსიც.<sup>12</sup>

საქართველოში ტაო-კლარჯეთის ძეგლების მეცნიერული შესწავლის საქმე განსაკუთრებით წინ წავიდა დამოუკიდებლობის მოპოვების (1991 წ.) შემდეგ, როდესაც თურქეთსა და საქართველოს შორის დამყარდა დიპლომატიური და კეთილმეზობლური ურთიერთობა. ამ ურთიერთობას შედეგად მოყვა განახლებული სამეცნიერო ექსპედიციები. ქართულ სამეცნიერო სივრცეს კვლავ მიეცა საშუალება კვლევა-ძიება ეწარმოებინა ტაო-კლარჯეთის მხარეში. ამ მხრივ ერთ-ერთი პირველი იყო ხელოვნებათმცოდნე დავით ხოშტარია, რომელმაც განსაკუთრებული ყურადღება ტაო-კლარჯეთის ეკლესია-მონასტრების შესწავლას დაუთმო.<sup>13</sup> ტაო-კლარჯეთის არაერთი ეპიგრაფიკული ძეგლი გამოაქვეყნა ვალერი სილოგავამ.<sup>14</sup> სხვა მხრივ, დიდი სამუშაოები გასწიეს ისეთმა მკვლევრებმა, როგორებიც არიან: გიორგი ბაგრატიონი, ზაზა სხირტლაძე, გიორგი ქავთარაძე, გიორგი ჭეიშვილი და ა.შ. ამათგან თეთრციხის შესახებ აღნიშნული აქვს გიორგი ბაგრატიონს.<sup>15</sup> 2008 წელს თეთრციხე მოინახულა დევი ბერძენიშვიმ.<sup>16</sup>

<sup>9</sup> B. Yükm. Doğu Anadolu ve Güneydoğu Anadolu Dolmenleri Işığında Anadolu Megalitleri. Arkeoloji ve Sanat Yayınları. 2003; K. Koroglu. Urartu Krallığı'nın Küzey Yayılımı ve Qulha Ulkesinin Tarihi Coğrafyası. Belleten LXIV/241. 2001; H. Gundogdu, A. M. Aktemur. Tarihi Kalıntıları ile Cıdır. Ankara. 2001.

<sup>10</sup> H. Gundogdu, A. M. Aktemur. Tarihi Kalıntıları ile Cıdır.

<sup>11</sup> Ardahan Kale ve Kuleleri. Editör: Sami Pataci. Ardahan. 2016, გვ. 28-103.

<sup>12</sup> Ardahan Kale ve Kuleleri, გვ. 32-39.

<sup>13</sup> დ. ხოშტარია. კლარჯეთის ეკლესიები და მონასტრები. თბ. 2005.

<sup>14</sup> ვ. სილოგავა. ოშკი: X ს. მემორიალური ტაძარი. თბ. 2004; ვ. სილოგავა, კ. შენგელია. ტაო-კლარჯეთი. თბ. 2006

<sup>15</sup> გ. ბაგრატიონი. მოგზაურობა თურქეთში. ძეგლის მეგობარი. 1996. № 2 (93).

<sup>16</sup> დ. ბერძენიშვილი. მეხუთე ექსპედიციის დღიური. წგნ-ში: ანდრია პირველწოდებულის ნაკვალევზე. თბ. 2009, გვ. 115-116.

ტაო-კლარჯეთის სიძველეებს იკვლევს თეიმურაზ ხუციშვილის ხელმძღვანელობით მოქმედი სამეცნიერო ექსპედიცია. ისინი აღნიშნული საქმიანობით 2003 წლიდან არიან დაკავებული. აღსანიშნავია მათ მიერ გამოცემული 2014 წლის კვლევითი ექსპედიციების ანგარიშები, რომელშიც სხვა ძეგლებთან ერთად თეთრციხეც არის აღწერილი.<sup>17</sup>

ციხესიმაგრეების შესწავლის კუთხით აღსანიშნავია სამხრეთ კავკასიისა და ანატოლიის კვლევის ცენტრის ექსპედიციების შედეგებიც, რომელიც დღიურების, სტატიებისა თუ კატალოგების სახით გამოქვეყნდა სხვადასხვა კრებულებსა და წიგნებში.<sup>18</sup> თეთრციხის შესახებ ენციკლოპედიური სახის ცნობარი მოცემულია „ქართლის ცხოვრების“ ტოპოარქეოლოგიურ ლექსიკონში.<sup>19</sup>

ტაო-კლარჯეთის უძველესი მემკვიდრეობის შესწავლის კუთხით ერთ-ერთი უკანასკნელი სამეცნიერო ექსპედიცია, შოთა რუსთაველის ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის – „ტაო-კლარჯეთის ქართული ციხესიმაგრეები“ – ფარგლებში, 2014 წლის აგვისტო-სექტემბერში მოეწყო. თსუ საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის ეგიდით განხორციელებულ ამ ექსპედიციაში სხვა ძეგლებთან ერთად პალაკაციოს ციხესიმაგრეებიც იქნა შესწავლილი.<sup>20</sup>

თეთრციხის კუნძული ჯგუფმა 30 აგვისტოს მონინახულა. სამეცნიერო ექსპედიციამ დაათვალიერა და დეტალურად აზომა თეთრციხის ციხესიმაგრე და კოშკი. დაფიქსირდა ამ ძეგლების ამჟამინდელი მდგომარეობა. სწორედ ამ ექსპედიციის მასალების საფუძველზეა მომზადებული წინამდებარე ნარკვევი.

<sup>17</sup> ტაო-კლარჯეთის ძეგლების 2014 წლის საკვლევი ექსპედიციების ანგარიშები. ექსპედიციების ანგარიშები მოამზადეს თეიმურაზ ხუციშვილმა (ხელმძღვანელი), ლევან წიქარიშვილმა, ანა გელაშვილმა, ბებურ გოზალიშვილმა, შალვა კოლუაშვილმა, ანა იმედაშვილმა, დავით გაჩეჩილაძემ და დავით მაისურაძემ. თბ. 2015, გვ. 70-72.

<sup>18</sup> რეგიონის შესახებ არსებული ბიბლიოგრაფია იხ.: ტაო-კლარჯეთი: ისტორიისა და კულტურის ძეგლების კატალოგი. ავტორ-შემდგენლები: ნ. ბაგაური, ზ. ბატიაშვილი, ი. ბერიძე, ბ. კუდავა (რედ.), ნ. ქლენტი, გ. საითიძე, ნ. ხიზანიშვილი. თბ. 2017, გვ. 529-591.

<sup>19</sup> ქართლის ცხოვრების ტოპოარქეოლოგიური ლექსიკონი. გ. გამყრელიძის, დ. მინდორაშვილის, ზ. ბრაგვაძისა და მ. კვაჭაძის ავტორობით. თბ. 2013, გვ. 241.

<sup>20</sup> ექსპედიციაში მონაწილეობდნენ: პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი პროფ. ჯაბა სამუშია; პროექტის ძირითადი მონაწილეები: ასოც. პროფ. ბონდო კუპატაძე, ასისტ.-პროფ. ალექსანდრე ბოშიშვილი, ფილოლ. დოქტ. თსუ ენების ცენტრის მასწავლებელი მზისა ბუსკივაძე, დოქტორანტი აკაკი ჩიჭობავა, ისტ. მაგისტრი ოქროპირ ჯიქური, მხატვარი ასოც. პროფ. ლევან სილაგაძე, ასისტ.-პროფ. ლერი თავაძე; აზომით სამუშაოებს აწარმოებდა არქიტექტორი გიორგი ბაგრატიონი.



*ისტორიული გეოგრაფია და გეოგრაფიული გარემო*

თეთრციხე ისტორიული მესხეთის ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი კუთხის ჩრდილის ტბის მხარის უმნიშვნელოვანესი ციხესიმაგრეა. ჩრდილის მხარე ანუ პალაკაციო ისტორიულად საქართველო-სომხეთის საზღვარზე მდებარეობდა. თანამედროვე რეალობაში სამი სუვერენული ქვეყნის (საქართველო, სომხეთი, თურქეთი) სასაზღვრო ზოლთანაა გაშლილი.

„ქართლის ცხოვრების“ პირველი თხზულების მიხედვით, ფარანავაზის ადმინისტრაციული რეფორმით ეს მხარე წუნდის ანუ ჯავახეთის საერისთავოში მოექცა. ქართლში შემავალი ეს მხარე, ფარანავაზიანების დროს ადმინისტრაციული თვალსაზრისით ჯავახეთს ექვემდებარება. ხშირი იყო სომხეთის ექსპანსიაც. თუმცა, უპირატესად, ამ ტერიტორიას ქართველები ფლობდნენ – ჯერ ქართლის მეფეები, შემდეგ ზემო ქართლის მეფეები, სასაზღვრო ირანი, ქართლის ერისმთავრები და ბოლოს ქართველთა სამეფოს მონარქები ბაგრატიონთა დინასტიიდან. გაერთიანებული საქართველოს პირობებში ის თმოგვის საერისთავოს ექვემდებარება, ხოლო დაშლილი საქართველოს პერიოდში სამცხე-საათაბაგოს. ქართველებმა ეს მხარე ოსმალეთის ექსპანსიის დროს, 1578-1579 წლებში, დაკარგეს, როდესაც გურჯისტანის ვილაიეთი, ანუ მეორენაირად, ჩილდირის ვილაიეთი – საფაშო ჩამოყალიბდა. სამცხე-საათაბაგოს მიწებისთვის ბრძოლა გრძელდებოდა, თუმცა ოსმალების მიერ 1639 წელს სეფიანებთან დადებული ზავის შემდეგ ქართველების წინააღმდეგობა დიდი ხნით შეწყდა, ხოლო მესხეთის ტერიტორია ოსმალეთის იმპერიას დარჩა. მიუხედავად ოსმალთა გაბატონებისა XIX საუკუნემდე ამ მხარეს ახალციხის ფაშები მართავდნენ ჯაყელთა დინასტიიდან. ჯაყელთა მმართველობა მეტკვიდრობითი იყო, რის გამოც მიზერული სახის ავტონომია ყოფილ სამცხე-საათაბაგოს მმართველ ზედაფენას შენარჩუნებული ჰქონდა. ამგვარად, ძეგლი XVI საუკუნის ჩათვლით, უპირატესად, ქართული სახელმწიფოების ტერიტორიაზე მდებარეობდა, რასაც, ბუნებრივია, ადმინისტრირებას ადგილობრივი წარმომობის მოხელე-მფლობელები უწევდნენ.

ჩრდილის მხარის გეოგრაფიული გარემო მკაცრია, რაც თეთრციხის ყოფაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა. მთელი წლის განმავლობაში ცივი გარემო თავის დაღს ასვამდა ციხესიმაგრის მიმდებარე ტერიტორიას, თუ ზაფხულში თეთრციხე კარგი დასასვენებელია, ზამთრის სეზონში, მკაცრი ბუნებრივი პირობების გამო, ციხეზე მისვლა მნიშვნელოვნად რთულდებოდა. მაგრამ, ამავე დროს, როგორც გიორგი ბაგრატიონი შენიშნავს, ზამთარში

ჩრდილის ტბა იყინება, რის გამოც, კუნძულზე გადასვლა მნიშვნელოვნად გააღვილებულია.<sup>21</sup>

თეთრციხე და მისი მიმდებარე მიწები მთიანი რელიეფზე მდებარეობს. მთელი ეს მხარე მცირე კავკასიონის შემადგენელი ნაწილია. მცირე კავკასიონი დიდი კავკასიონის წყალგამყოფი ქედისგან განსხვავებით ზღვისღონიდან შედარებით დაბლა მდებარეობს, თუმცა მკაცრი გეოგრაფიული პირობებით მას არაფრით ჩამოუვარდება. ჩრდილის ტბას ირგვლივ ამავე სახელწოდების ქედი და ჯავახეთის ქედი შემოუყვება, რაც განაპირობებს კიდევ მის რელიეფურ თავისებურებას. ტბა და მასზე განლაგებული კუნძული ზღვისღონიდან საკმაოდ ამაღლებულ ზონაში მდებარეობს. ჩრდილის ქედის უმაღლესი მწვერვალი, კისირის მთა, ზღვისღონიდან 3068 მეტრზეა. აღნიშნული მწვერვალი ტბას სამხრეთ-დასავლეთიდან ესაზღვრება. ბუნებრივია, მწვერვალებისა და, ზოგადად, მთიანი ზონის არსებობა განაპირობებს ხეობების სიმრავლესაც. ჩრდილის ტბაში, ფაქტობრივად, ყოველი მხრიდან ჩაედინება მდინარეები, რაც ავსებს ტბას და ამ მხარის საკმაოდ დანაოჭებულ გეოგრაფიულ გარემოს განაპირობებს.<sup>22</sup>

ჩრდილის მხარე თავისი გეოგრაფიული თავისებურებებიდან გამომდინარე საკმაოდ დაცულია. მკაცრი კლიმატური პირობების გარდა მთიანი რელიეფი ამ ტერიტორიის თავდაცვითუნარიანობას მნიშვნელოვნად ზრდის, საკუთრივ ციხესიმაგრე თითქმის ზ.დ. 2000 მეტრზეა აგებული. ამის გარდა მნიშვნელოვანია კუნძულის ფაქტორიც. როგორც უკვე აღვნიშნეთ, თეთრციხე კუნძულზე მდებარეობს, ხოლო მატერიკთან დამაკავშირებელი ზონა კედლებით იყო ჩაკეტილი. ყველაფერი ზემოთქმულის გათვალისწინებით თეთრციხე ბუნებრივად დაცულ ციხესიმაგრედ წარმოგვიდგება. თეთრციხის მდებარეობა და დაცულობა განსაზღვრავდა აღნიშნული ციხესიმაგრის მნიშვნელობასა და სტატუსს მთელ რეგიონში. მიუხედავად იმისა, რომ პალაკაციოში სხვა ძველ ციხესიმაგრეებსაც ვხვდებით არცერთი მათგანი არ არის ბუნებრივად ისეთი დაცული როგორც თეთრციხე.

თეთრციხე თავისი უნიკალური მდებარეობის გათვალისწინებით პალაკაციოს „ქვეყნის“ ცენტრია, თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს არც ის, რომ

<sup>21</sup> ამ და სხვა საგულისხმო შენიშვნებისთვის მადლობას მოვასხენებთ.

<sup>22</sup> ადგილმდებარეობისა და ფიზიკურ-გეოგრაფიული მახასიათებლების შესახებ იხილეთ: „გურჯისტანის ვილაიეთის“ რუკა. შედგენილი XVI საუკუნის თურქული ხელნაწერი ძეგლის „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ ქართული თარგმანის მიხედვით ალ. ასლანიშვილის მიერ, რედაქტორი ს. ჯიქია. თბ. 1953; ტაო-კლარჯეთის ზუროთმომდერული ძეგლები. რუკის შემდგენლები თ. ზუციშვილი, გ. ბაგრატიონი, დ. მაისურაძე. მეორე გამოცემა. 2008.

მასთან სიახლოვეს მდებარეობს ამავე რეგიონის კიდევ ერთი ციხესიმაგრე – შავციხე. აღნიშნულ ციხეებს შორის მანძილი პირდაპირი ხაზით 9,6 კმ-ია. თეთრციხისა და შავციხის ურთიერთმიმართება არ შეიძლება განპირობებული ყოფილიყო მხოლოდ ეტიმოლოგიური და გეოგრაფიული სიახლოვით. ამ ციხესიმაგრეებს გაცილებით მეტი აქვთ საერთო, ვიდრე ეს უბრალოდ ტერიტორიული სიახლოვეა.

ჩრდილის ტბისა და მასზე მდებარე თეთრციხის გეოგრაფიული თავისებურებებიდან გამომდინარე აუცილებელია იმის აღნიშვნაც, რომ ისინი საქართველო-სომხეთის ისტორიულ საზღვარზე მდებარეობენ. ჩრდილის მხარის აღმოსავლეთით სომხეთია. ამ გეოგრაფიული მახასიათებლის გათვალისწინებით პალაკაციოსა და მისი ცენტრის ეთნიკური სურათი საკმაოდ ჭრელი იყო. ქართულ მოსახლეობას აქ ხშირად ერწყმოდა სომხური ელემენტი. XVI საუკუნიდან, როდესაც ეს მხარე ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა შერეულ ქართულ-სომხურ მოსახლეობას თურქები და ქურთები დაემატნენ.

### **ტოპონიმები**

გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის (1595 წ.) მიხედვით, ქართულ სოფელ თეთრციხეს თურქული სახელი, აქჩაკალა (ვარ. აღჯაყალა), ჰქვია.<sup>23</sup> ეს სახელი ქართული „თეთრციხის“ პირდაპირი თურქული თარგმანია, რომელიც სოფელს ოსმალებმა ჩრდილის ტბის მხარის იგივე პალაკაციოს, დაპყრობის შემდეგ უწოდეს. „მესხური დავითნის ქრონიკაში“ XVI საუკუნის ამბებთან დაკავშირებით ეს უკანასკნელი თეთრციხედ იწოდება.<sup>24</sup>

ექვთიმე თაყაიშვილის დაკვირვებით, კუნძულზე მისასვლელი გამაგრებული ყოფილა გალავნებით და კოშკებით, რომლებიც თეთრი ფერის თლილი ქვებით იყო მოპირკეთებული. ექვთიმე თაყაიშვილის აზრით, სწორედ ამის გამო ეწოდა მას თეთრციხე.<sup>25</sup>

ნიკო ლადინის ცნობით, „*აქა ითხრების თეთრი ქვა, მსგავსი მარმარილოსა. პალაკაციოს და აბოცს შორის არს მთა აღბაბასი და იგი მთა არს*

<sup>23</sup> ვარ. თეთრა-ციხე, იხ.: ს. ჯიქია. გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი. წგნ. III, გვ. 32.

<sup>24</sup> ს. ჯიქია. გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი. წგნ. III, გვ. 392.

<sup>25</sup> Материалы по археологии Кавказа. XII, გვ. 56; ს. ჯიქია. გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი. წგნ. III, გვ. 392.

საზღვარი ქართლისა და ყარსისა ვიდრე თეთრ-ციხემდე და ტბამდე ტაშაღანისა“<sup>26</sup>

ამგვარად, ნიკო დადიანის ცნობით, ამ ადგილებში მარმარილოს მსგავსი თეთრი ქვა მოიპოვება, რის გამოც, როგორც ჩანს, ციხესიმაგრეს თეთრციხე შეარქვეს. ბუნებრივია, ეს ის თეთრი ქვებია, რომელიც ექსპედიციის დროს ექვთიმე თაყაიშვილმა დააფიქსირა და რომლის კვალიც დღესაც შეიმჩნევა კუნძულის სანაპირო ზოლის მთელ რიგ მონაკვეთებში. აქედან გამომდინარე ექვთიმე თაყაიშვილის დაკვირვება უდავოდ გასათვალისწინებელია. როგორც ჩანს ამ ციხესიმაგრემ ადრიდანვე მიიღო „თეთრციხის“ სახელწოდება. მნიშვნელოვანია იმისი აღნიშვნაც, რომ ტაო-კლარჯეთის ისტორიულ მხარეში ეს სახელწოდება არ ვრცელდება მხოლოდ ჩვენთვის საინტერესო ციხეზე. ამგვარი სახელით მოიხსენიებდნენ სხვა ციხეებსაც, რომელთა მშენებლობაშიც თეთრი ქვის მასალა იყო გამოყენებული. ერთ-ერთი ასეთი ციხესიმაგრე, ჩვენი აზრით, ახალ ბერეხათუნთან მდებარე ხელევანის ციხე უნდა იყოს, რომელსაც ასევე თეთრციხედ მოიხსენიებდნენ. თუმცა ამ საკითხზე დაწვრილებით ხელევანის ციხის აღწერისას ვისაუბრებთ.

ციხესიმაგრის სახელწოდების გარდა აუცილებლად უნდა განვიხილოთ იმ ქვეყნის სახელწოდება, რომლის ცენტრად თეთრციხე მიგვაჩნია. ძველი ურარტული წყაროების მიხედვით, ის ქვეყანა, რომელიც მდებარეობდა ჩრდილის ტბის სანაპიროსთან იწოდება როგორც – იგანი.<sup>27</sup>

იგანის სამეფო ურარტულ წყაროებში დაფიქსირებული ეთიუნის გაერთიანების ერთ-ერთი წამყვანი პოლიტიკური ერთეულია. ურარტული და ქართული სამყაროს სამხედრო-პოლიტიკურ დაპირისპირებებზე ცოტა ქვემოთ ვისაუბრებ. ამჯერად ყურადღება მსურს მივაქციო ზემოხსენებული ტოპონიმის – „იგანი“ – წარმომავლობასა და ლოკალიზაციას. იგანი და მასში შემე-

<sup>26</sup> ნიკო დადიანი. ქართლის ცხოვრება. ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა, გამოკვლევა, კომენტარები, საძიებლები და ლექსიკონი დაურთო შ. ბურჯანაძემ. თბ. 1962, გვ. 127.

<sup>27</sup> ამ აზრს ურარტულ წყაროებზე დაყრდნობით გიორგი მელიქიშვილი გამოთქვამდა, იხ.: ანტიკური კავკასია: ენციკლოპედია. I. წყაროები. მთ. რედ. რ. გორდეზიანი. თბ. 2010, გვ. 28, 36; ლ. გორდეზიანი. ძველი ისტორიის ნარკვევები. მეორე, შევსებული და შესწორებული გამოცემა. თბ. 2012, გვ. 95, 110; Г. А. Меликишвили. Наир-Урарту. Тб. 1954, გვ. 57, 61-62, 262-263; გ. მელიქიშვილი. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის უძველესი გაერთიანებები. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. I: საქართველოს უძველესი დროიდან ახალი წელთაღრიცხვის IV საუკუნემდე. რედ. გ. მელიქიშვილი. თბ. 1970, გვ. 377, 383. ურარტული წარწერები მრავალჯერ გამოქვეყნდა, დავიმოწმებთ მხოლოდ მათ უკანასკნელ და ისიც ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს (იხ.: ანტიკური კავკასია: ენციკლოპედია. I; ლ. გორდეზიანი. ძველი ისტორიის ნარკვევები).

ვალი ერთ-ერთი დასახლება ზუსტადაა ლოკალიზებული თანამედროვე თურქეთის რესპუბლიკის ჩრდილის ტბის სამხრეთ სანაპიროზე მდებარე სოფელ თაშქოფურუში (დამ-კარბი), სადაც შესაბამისი წარწერა აღმოჩნდა ქალაქი მაკალთუნის მოხსენიებით, რომელიც სარდურ II-მ დაიპყრო და წარწერა შეასრულებინა.<sup>28</sup> ცოტა უფრო ადრე ქალაქი მაკალთუნი მოხსენიებულია მეფე არგიშთი I-ის წარწერებში როგორც ივანის ქვეყნის ქალაქი.<sup>29</sup>

გიორგი მელიქიშვილმა, ზემოხსენებული წარწერების მიხედვით, ივანის ლოკალიზაცია ჩრდილის ტბის მხარესთან მოახდინა, რაც გაიზიარეს კიდევ სამეცნიერო ლიტერატურაში.<sup>30</sup> ჩვენ შევეცდებით ამ თვალსაზრისის გამყარებას, ახალი მონაცემებით შევსებასა და კონკრეტიზაციას.

სოფელ თაშქოფურუს სიახლოვეს, მის ოდნავ სამხრეთით მდებარეობს სოფელი გონულალანი, რომლის ძველი სახელწოდებაა იგნადორი, ანუ იგნას ხევი. ეს ტოპონიმი, თითქმის ამგვარი ფორმით, „საქართველოს ისტორიულ რუკაზე“ დატანილი ჰქონდათ ეგვიპტის ბარამიძესა და ივანე ჯავახიშვილს.<sup>31</sup> ასევე, მნიშვნელოვანი ცნობაა დაცული „ისტორიანი და აზმანი შარავანდეღთანის“ უცნობი ავტორის ტექსტში. მემათიანეს მიხედვით, ერთმანეთის გვერდიგვერდ არსებობდა ისეთი ისტორიულ-გეოგრაფიული ქვეყნები როგორებიცაა: არტანი, ძაღინის ჴევი და პალაკაციო.<sup>32</sup> ამ ცნობაში მოხსენიებული ძაღინის ჴევი იმდენად არის საინტერესო რამდენადაც მისი სახელი ივანის ავთენტურთან მიახლოებულ ქართულ ფორმას შეიძლება ასახავდეს (ძაღინი, ძიღანი).<sup>33</sup>

<sup>28</sup> ანტიკური კავკასია: ენციკლოპედია. I, გვ. 36; ლ. გორდეზიანი. ძველი ისტორიის ნარკვევები, გვ. 110; გ. მელიქიშვილი. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის უძველესი გაერთიანებები, გვ. 383.

<sup>29</sup> ანტიკური კავკასია: ენციკლოპედია. I, გვ. 28; ლ. გორდეზიანი. ძველი ისტორიის ნარკვევები, გვ. 95; გ. მელიქიშვილი. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის უძველესი გაერთიანებები, გვ. 377.

<sup>30</sup> Г. А. Меликишвили. Наირи-Урарту, გვ. 57, 61-62, 262-263, შ. ასათიანი. ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ონომასტიკა ასურულ და ურარტულ წერილობით წყაროებში. საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია. თბ. 1993, გვ. 15.

<sup>31</sup> საქართველოს ისტორიული რუკა. შედგენილი ევ. ბარამიძის მიერ ივ. ჯავახიშვილის რედაქტორობით. თბ. 1923.

<sup>32</sup> ისტორიანი და აზმანი შარავანდეღთანი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს გ. კარტოზიამ და ც. კიკვიძემ. ქართლის ცხოვრება. მთ. რედ. როინ მეტრეველი. თბ. 2008, გვ. 448.

<sup>33</sup> ტოპონიმებში ხმოვანთა მონაცვლეობა საკმაოდ ხშირადაა დადასტურებული (ძაღინა>ძიღანი), ხოლო ასო-ნიშანი „ღ“-ს გადასვლა „გ“-ში (ძაღინა/ძიღანი>[ძი]განი), ასევე, ინტენსიურია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საკუთარი სახელების ტრანსლიტერაცია ხდება (გუბა-ზი>ღობაზი და სხვ.). ხოლო, რაც შეეხება ფუძისეული „ძ“-ს ამოვარდნას, ის დაკავშირებული

ძალის კევი, რომელიც იმავე თხზულებაში ძალისკევად არის წოდებული,<sup>34</sup> მელქისედეკ კათალიკოსის დაწერილის (1031-1033 წწ.) მიხედვით, სოფელ ორთას (ურთა) აერთიანებდა, რომელიც ჩრდილის ტბის უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ წერტილში მდებარეობს.<sup>35</sup> ძალისკევი/ძალის კევის გეოგრაფიული საზღვრები უფრო შორსაც უნდა მიდიოდა და მოიცავდა ქაჯის ციხის გავლით მთელ ხეობას, ვიდრე მდინარე მტკვრამდე, ხოლო ძველ პერიოდში, როგორც ჩანს, ანაცვლებს მთლიანად პალაკაციოს. ყველაფერი ამის საფუძველს იძლევა ივანის მოხსენიება ძველ ურარტულ წყაროებში, რომელიც ქართული ძალის, ან ძილის, შეცვლილ-შეკვეცილ ფორმას უნდა წარმოადგენდეს. „ძალის კევი“ ქართულ საისტორიო წყაროში ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინციაა, რაც, სხვა ანალოგიების გათვალისწინებით, ურარტული ეპოქის (ძვ.წ. IX-VII სს.) სუვერენულ ქვეყანას შეესაბამება.

### ისტორია

თეთრციხის აგებასთან დაკავშირებით საისტორიო წყაროებში არანაირი ცნობა არ არის დაცული. ამდენად, დასკვნები ციხესიმაგრის მშენებლობაზე ზოგადი ხასიათისა და გამომდინარეობს საფორტიფიკაციო ნაგებობის არქიტექტურული თავისებურებებიდან, ან პარალელური არქეოლოგიური მასალის ანალიზიდან. იმისთვის რომ დადგინდეს თეთრციხის შედარებით ზუსტი ასაკი ციხის ტერიტორიაზე კომპლექსური არქეოლოგიური კვლევა-ძიების ჩატარებაა აუცილებელი, რისი საშუალებაც, ამჟამად, არ გაგვაჩნია.

---

უნდა იყოს ურარტულ ენაში ამ თანხმონის არ არსებობით. ამგვარად, ტოპონიმი „ივანი“, სავარაუდოდ, ქართველური სამყაროდან უნდა იყოს ნასესხები და ურარტულ ტექსტებში სახეცვლილი ფორმით დაფიქსირებული. „ძალის“ ქართველურ წარმომავლობაზე ამ ტოპონიმის საქართველოში გავრცელება მეტყველებს. იხ.: საქართველოს ისტორია ტოპონიმიაში. ტ. 2. შემდგენელები: დ. ბერძენიშვილი, მ. კანდელაკი, დ. მუსხელიშვილი და სხვ. რედ. დ. მუსხელიშვილი. თბ. 2010, გვ. 391-392.

<sup>34</sup> ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, გვ. 412; ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. ტ. II. პირველად გამოცემა 1914. თბ. 1965, გვ. 272.

<sup>35</sup> ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. I. ქართული ისტორიული საბუთები IX-XIII სს. შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა. თბ. 1984, გვ. 26; საქართველოს ისტორიული რუკა. შედგენილი ევ. ბარამიძის მიერ ივ. ჯავახიშვილის რედაქტორობით; „გურჯისტანის ვილაიეთის“ რუკა. შედგენილი ალ. ასლანიშვილის მიერ, რედაქტორი ს. ჯიქია.

როგორც ციხესიმაგრის ზედაპირული დათვალიერება ცხადყოფს მასში მეგალითური კონსტრუქცია შეინიშნება. მეგალითური ნაგებობის ნიშნებს ვხედავთ, როგორც თეთრციხის სიმაგრეში, ასევე ღღემდე შემორჩინილი თეთრციხის კოშკის ქვედა ფენაში. მიუხედავად იმისა, რომ ციხესიმაგრის კედლები დანგრეულია და სრულად არცერთი კედელი არ არის შემორჩენილი, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ციხის ქვედა ფენა სწორედ მეგალითურ კონსტრუქციას წარმოადგენს. თუ რა სახის კონსტრუქცია დააშენეს მას ზემოდან შუა საუკუნეებში, რეალურად, არ ჩანს, ვინაიდან აღნიშნული პერიოდის ფენა უკვე აღარ იკითხება. თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ შუა საუკუნეებში ეს ციხესიმაგრე მოქმედი იყო უნდა ვივარაუდოთ, რომ მას ხშირად ანახლებდნენ.

კუნძულის ტერიტორიაზე გამოვლინდა მრავალი უძველესი არტეფაქტი, მათ შორის ნეოლითური ხანის ძეგლები. გამოვლენილ ნაგებობებს შორისაა კრომლეხი. ეჭვი არ არის, რომ აქვე უნდა ყოფილიყო ადრე ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარი. დაფიქსირებულია ყორღანებიც. მათგან მნიშვნელოვანია ე.წ. დიდი ყორღანი, რომელიც კუნძულის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობს, კუნძულის შესასვლელთან საკმაოდ ახლოს.<sup>36</sup> აღნიშნული თეთრციხის კუნძულზე ინტენსიურ დასახლებაზე მიუთითებს ჯერ კიდევ შუა ბრინჯაოს ხანაში. შენიშნულია მისი მსგავსება თრიალეთის ყორღანების კულტურასთან.<sup>37</sup> ბრინჯაოს ხანაში უკვე გამაგრებული საფორტიფიკაციო სისტემის საჭიროება ჩნდება.

პირველი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები, მსხვილი მიგრაციები და ფართომასშტაბიანი სამხედრო კონფლიქტები ბრინჯაოს ხანაში (ძვ.წ. IV-II ათასწლეულები) დაიწყო, ბუნებრივია, თეთრციხის ციხესიმაგრის მშენებლობა სწორედ ამ ეპოქას უნდა დაუკავშიროთ, უფრო ზუსტად ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარს. აღნიშნული პერიოდი ადრეკლასობრივი სახელმწიფოების ჩამოყალიბების ხანაა. სუვერენულ ქვეყნებს შორის ტერიტორიებისა და რესურსების გადანაწილებისთვის ბრძოლა მიმდინარეობს, ხოლო ვრცელი მიწების კონტროლისა და შენარჩუნებისათვის ძლიერი საფორტიფიკაციო ნაგებობების აგება საჭირო. ძვ.წ. XIII-XII საუკუნეებში იწყება ასურეთის სამეფოს ექსპანსია, ხოლო, ცოტა მოგვიანებით, ძვ.წ. IX-VIII საუკუნეებიდან

<sup>36</sup> უძველესი პერიოდის ამ აღმოჩენების მოკლე მიმოხილვის შესახებ იხილეთ: Ardahan Kale ve Kuleleri, გვ. 36-37.

<sup>37</sup> Ardahan Kale ve Kuleleri, გვ. 37.

ურარტუს სამეფოს სისტემატიური ლაშქრობები.<sup>38</sup> ყველაფერი ეს დამატებითი სტიმულია, რათა რეგიონის მოსახლეობამ თავდაცვის მიზნით დიდი ნაგებობები აღმართოს და ფართო სამშენებლო სამუშაოები აწარმოოს.

ამავე პერიოდში უნდა აგებულიყო კუნძულის ბოლოში მდებარე სათვალთვალ კოშკი. მას სხვა, მოგვიანო პერიოდის, ფენაც გააჩნია, თუმცა, თავდაპირველად, ისიც მეგალითური ნაგებობა უნდა ყოფილიყო. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ კუნძულზე შემოსასვლელიც ციხე-გალავნებით იყო გამაგრებული აშკარაა რომ სახეზე გვაქვს ბრინჯაოს ხანის უძველესი სამოსახლო, რომელიც შესაძლოა ანტიკური პერიოდის ციხე-ქალაქსაც წარმოადგენდა. ის ფაქტი, რომ თეთრციხე უკვე ამ პერიოდში აკონტროლებდა ჩრდილის ტბის მიდამოებს ეჭვს არ იწვევს.

თეთრციხესთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული კიდევ ერთი მასიური მეგალითური კომპლექსი, რომელიც სოფელ თეთრციხის ახლოს, მის ჩრდილოეთით 1,9 კილომეტრში მდებარეობს.<sup>39</sup> აღნიშნული მეგალითური კომპლექსი სპეციალურ ლიტერატურაში სენგერის ციხედ (ან სენგერ-თეფეს ციხე) იწოდება.<sup>40</sup> ის აგებულია ზ.დ. 2135 მეტრზე, ჩრდილის ტბის ჩრდილოეთ სანაპიროზე.<sup>41</sup> როგორც ცნობილია, ადგილობრივი მოსახლეობა ამ ადგილს სწორედ ამ სახელით მოიხსენიებს. გამოძინარე იქიდან რომ მეგალითურ ნაგებობებს აქ მასიური მასშტაბები აქვს (გალავნის სიგრძე 150 მეტრი; სიგანე 80 მეტრი. კედლის სისქე 2,5 მეტრი. კედლების საერთო განფენილობა 1 კილომეტრამდე<sup>42</sup>), უძვობესია მას კომპლექსი ეწოდოს, როგორც ეს აღნიშნულია თ. ზუციშვილის ექსპედიციის ანგარიშში.<sup>43</sup>

სენგერის კომპლექსისა და თეთრციხის ტერიტორიული სიახლოვის გათვალისწინებით (მათ შორის მანძილი დაახლოებით ორი კილომეტრია), ასევე მეგალითური კონსტრუქციების არსებობით, რომელიც მეტ-ნაკლებად თანადროული უნდა იყოს, არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ეს ორი დასახლება ერთი სახელმწიფოებრივი გაერთიანების პოლიტიკური ცენტრი უნდა ყო-

<sup>38</sup> გ. მელიქიშვილი. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის უძველესი გაერთიანებები, გვ. 361-389.

<sup>39</sup> ტაო-კლარჯეთის ძეგლების 2014 წლის საკვლევი ექსპედიციების ანგარიშები, გვ. 84-85; Ardahan Kale ve Kuleleri, გვ. 34-35.

<sup>40</sup> Ardahan Kale ve Kuleleri, გვ. 34.

<sup>41</sup> ტაო-კლარჯეთის ძეგლების 2014 წლის საკვლევი ექსპედიციების ანგარიშები, გვ. 84; Ardahan Kale ve Kuleleri, გვ. 34.

<sup>42</sup> ტაო-კლარჯეთის ძეგლების 2014 წლის საკვლევი ექსპედიციების ანგარიშები, გვ. 84.

<sup>43</sup> ტაო-კლარჯეთის ძეგლების 2014 წლის საკვლევი ექსპედიციების ანგარიშები, გვ. 84-85.



ფილიყო. ჩვენი დაკვირვებით, სენგერის კომპლექსისა და თეთრციხისა და თავისი კოშკის მეგალითური ნაგებობათა ქვის წყობა, ასევე სამშენებლო მასალა მნიშვნელოვნად იდენტურია. თეთრციხის კომპლექსი ბუნებრივად დაცულ კუნძულზე მდებარეობს. კოშკის მეშვეობით განსაკუთრებით კარგად კონტროლდება ტბაზე მისასვლელი სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი, ხოლო საკუთრივ თეთრციხის მეშვეობით ჩრდილო-დასავლეთი. ყველაფერი აქედან გამომდინარე ტბიდან თეთრციხე კარგად იყო დაცული, თუმცა საჭირო იყო მისი სტაბილური თავდაცვის უზრუნველყოფა მატერიკიდანაც. ამ კუთხით, ხმელეთთან დამაკავშირებელ ზოლში კედელი ააგეს, ხოლო, როგორც ჩანს, მოგვიანებით საჭირო გახდა, კუნძულის ჩრდილოეთი მისასვლელის კონტროლის მიზნით, ჩრდილოეთის გამაგრებაც. სენგერის ციხე და შემდეგ უკვე მთელი თავდაცვითი კომპლექსი ამ მიზნით უნდა აგებულიყო. საბოლოოდ, ისინი ერთი პოლიტიკური ცენტრის ორ დამოუკიდებელ ნაწილად გადაიქცნენ.

ამგვარად, თეთრციხის სტაბილური ზრდა ნელ-ნელა მიმდინარეობდა და მთელი ბრინჯაოს ხანის განმავლობაში კუნძულისა და მისი მიმდებარე, სენგერის კომპლექსის აღმავლობა შესამჩნევია. ანალოგიური სიტუაცია უნდა ყოფილიყო რკინის ხანაში. ამ ეპოქიდან მოყოლებული ჩნდება პირველი წერილობითი წყაროები ჩრდილის ტბის მხარის შესახებ. ესენია ურარტული წარწერები, რომელთა შესწავლა ძვ.წ. IX-VII საუკუნეების ტაო-კლარჯეთის ისტორიული-გეოგრაფიის კვლევის კუთხით უაღრესად მნიშვნელოვანია.<sup>44</sup>

<sup>44</sup> ტაო-კლარჯეთის შესახებ არსებული ურარტული წარწერები საქართველოში ბევრმა მკვლევარმა შეისწავლა, მათ შორის იხ.: ა. სვანიძე. ქართველი ტომები. განათლება. 1912, № 9; პ. უშაკოვი. საქართველოს უძველესი ხალხები და უკანასკნელი ხანის აღმოჩენები არქეოლოგიის დარგში. საქართველოს მუზეუმის მოამბე. თბ. 1940, გვ. 245-265; ჯანაშია. ურარტუ-შრომები. II. პირველად დაიბეჭდა 1937 წელს. თბ. 1952, გვ. 1-12; გ. მელიქიშვილი. საქართველოს, კავკასიის და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის. თბ. 1965; გ. მელიქიშვილი. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის უძველესი გაერთიანებები, გვ. 358-391; თ. მიქელაძე. ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთი შავი ზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან. თბ. 1974; შ. ასათიანი. ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ონომასტიკა ასურულ და ურარტულ წერილობით წყაროებში, გვ. 10-20; გ. ქავთარაძე. საქართველოს სახელმწიფოებრივი განვითარების საკითხები (ადრეული ხანიდან). თბ. 2006; ლ. გორდეზიანი. რამდენიმე შენიშვნა ურარტულ ტექსტებში ტაო-კლარჯეთის მოხსენიებასთან დაკავშირებით. საერთაშორისო კონფერენცია: „ტაო-კლარჯეთი“ (მასალები). თბ. 2010, გვ. 357-364; ლ. გორდეზიანი. ტაო-კლარჯეთი ურარტულ ტექსტებში. კულტურულ-საისტორიო ძიებანი. თბ. 2010, გვ. 36-45; ლ. გორდეზიანი. ძველი ისტორიის ნარკვევები. მეორე, შევსებული და შესწორებული გამოცემა. თბ. 2012, 85-115, 371-383; შ. ასათიანი. ტაო-კლარჯეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან. II საერთაშო-

აღნიშნული რეგიონი, ჩვენს ხელთ არსებული საისტორიო წყაროებში, პირველად იხსენიება დაახლოებით ძვ.წ. 820-810 წლებში. წარწერები ურარტუს მეფეებს, იშფუინსა (ძვ.წ. 830-810 წწ.) და მენუას (ძვ.წ. 810-785 წწ.), ეკუთვნის. ეს პირველი წერილობითი წყაროებია, რომელშიც ჩრდილის ტბის მიმდებარე ტერიტორია ფიქსირდება.

ძვ.წ. IX საუკუნიდან განსაკუთრებით მწვავე ხდება ურარტუს აგრესია ჩრდილოეთით მდებარე ქვეყნების მიმართ. ურარტუს სამეფოს გაძლიერება მეფე იშფუინისა და მისი მემკვიდრის, მენუას, სახელს უკავშირდება.<sup>45</sup> მათ განიზრახეს ურარტუს პოლიტიკური გავლენის გაფართოება ვანის ტბის ჩრდილოეთით. აქ მათ წინააღმდეგ დიდი კოალიცია გამოდის, რომელსაც, მოგვიანებით, ურარტული წარწერების მიხედვით, დიაოხი მეთაურობს. კოალიციის მიზანი ურარტუს აგრესიის კოლექტიური შეჩერებაა. კოალიციის მმართველები წარწერებში ეთიუნის (ეთიუხი) მეფეებად მოიხსენიებიან. ეთიუნი, როგორც ფიქრობენ, ზოგადი სახელწოდება უნდა იყოს იმ ქვეყნებისა, რომლებიც ურარტუს ჩრდილოეთით მდებარეობდნენ.<sup>46</sup> მასში სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან ქართული სამეფოები და მათი მეზობელი სახელმწიფოები უნდა ვიგულისხმოთ.<sup>47</sup>

ეთიუნის ქვეყნები დახმარებას უიტერუხის, ლუშას და ქათარზას სამეფოებს უწევენ. სამივე ამ გაერთიანებაში ქართულ პოლიტიკურ ერთეულებს – ოძრხეს ანუ ბიძერების გაერთიანებას, ლაზთა ან ერუშმელთა და კლარჯთა ტომებს ვარაუდობენ.<sup>48</sup> ურარტული წარწერების მიხედვით, ურარტულ მე-

რისო კონფერენცია: „ტაო-კლარჯეთი“ (მოხსენებათა თეზისები). თბილისი-ბათუმი. 2012, გვ. 26-27; ლ. ვორდჯიანი. ურარტული წარწერა ხანაკიდან. აღმოსავლეთმცოდნეობა. № 3. თბ. 2014, გვ. 331-336; Г. А. Меликишвили. Наири-Урарту; Г. А. Меликишвили. К истории древней Грузии. Тб. 1959.

<sup>45</sup> ურარტუს ისტორიის შესახებ ლიტერატურა ძალიან ვრცელია, ვასახელებთ მხოლოდ მის მცირე ნაწილს, რომლებიც მონოგრაფიების სახით არის გამოცემული, იხ.: გ. წერეთელი. საქართველოს მეზეუმის ურარტული ძეგლები. ტფ. 1939; Г. А. Меликишвили. Наири-Урарту; Б. Б. Пиотровский. Ванское царство (Урарту). М. 1959; Г. А. Меликишвили Урартские клинообразные надписи. М. 1960; И. М. Дьяконов. Урартские письма и документы. М.-Л. 1963; Н. В. Арутюнян. Земледелие и скотоводство Урарту. Ереван. 1964; P. E. Zimansky. Ecology and Empire: The Structure of the Urartian State. The University of Chicago Press. 1985; Н. В. Арутюнян. Биайнили-Урарту: Военно-политическая история и вопросы топонимики. 2-е издание. СПб. 2006; R. Dan. From the Armenian Highland to Iran: A Study on the Relations between the Kingdom of Urartu and the Achaemenid Empire. Rome. 2015.

<sup>46</sup> გ. მელიქიშვილი. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის უძველესი გაერთიანებები, გვ. 385.

<sup>47</sup> Г. А. Меликишвили. Наири-Урарту, გვ. 56-57.

<sup>48</sup> გ. მელიქიშვილი. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის უძველესი გაერთიანებე-

ფეებს ისინი დაუმარცხებიათ და მიუღწევიათ ქალაქ ანეშამდე და დიდ მაკურუმდე.<sup>49</sup>

დაახლოებით ძვ.წ. 820-810 წლებში მომხდარ ამ ბრძოლებში<sup>50</sup> ეჭვი არ არის, რომ თეორციხის ტერიტორიაზე მდებარე პოლიტიკური გაერთიანებაც იღებდა მონაწილეობას. ეთიუნის ქვეყნები, რომლებიც ვიძერუხის (ოდრხე), ლუშას (ლაზეთი ან ერუშეთი) და ქათარზას (კლარჯეთი) დასახმარებლად მოდიან სწორედ მათ ირგვლივ მდებარე პოლიტიკური გაერთიანებებია. ჩრდილის ტბის ირგვლივ მდებარე იგანის (იგანიეხი. აიგივებენ ჰენიოხთან, რაც საკამათოა) ქვეყანა ამ ბრძოლებში უშუალოდ უნდა ყოფილიყო ჩართული. იგანის ქვეყანა მათ შორისაა, რომელიც ურარტულ წარწერებში ეთიუნის ქვეყნად არის დასახელებული. იგანი ეთიუნის ქვეყნებში შემავალი ერთ-ერთი ყველაზე აქტიური სახელმწიფო იყო.<sup>51</sup>

ლ. გორდეზიანი ფიქრობს, რომ უიტერუხის, ლუშას და ქათარზას წინააღმდეგ ბრძოლა მათი თარემის აღსაკვეთად მიმართული ღონისძიება იყო.<sup>52</sup> ურარტუს მეფეები ამ ტომების საცხოვრისს ცოტა მოგვიანებით აღწევენ.<sup>53</sup> აღნიშნული ანალიზიდან კარგად ჩანს, რომ ალაშქერტისა და, ზოგადად, მდინარე არაქსის მიდამოები არ იყო ამ ტომების პირველსაცხოვრისი. თარემის გარდა ამ ქვეყნებს ურარტუს ექსპანსიის შეჩერებაც სურდათ, ასეთი კოალიციები ამგვარი სურვილით უნდა ყოფილიყო ნაკარნახევი. ეთიუნის ქვეყნები დამხმარეს როლში გამოდიოდნენ, ვინაიდან აცნობიერებდნენ, რომ ურარტუს აგრესია ადრე თუ გვიან მათაც მისწვდებოდა. მალე ეს უამც დადგა. ჩრდილის ტბის სამხრეთ სანაპიროზე მდებარე იგანის ქვეყანას ურარტუს აგრესია უშუალოდ დაატყდა თავს.

იმფუინისა და მენუას წარწერებიდან ყურადღებას იქცევს ვიძერუხი.<sup>54</sup> ეს ის პოლიტიკური გაერთიანებაა, რომელიც ქართულ წყაროებში

---

ბი, გვ. 382-385; ლ. გორდეზიანი. რამდენიმე შენიშვნა ურარტულ ტექსტებში ტაო-კლარჯეთის მოხსენიებასთან დაკავშირებით. საერთაშორისო კონფერენცია: „ტაო-კლარჯეთი“ (მასალე-ბი). თბ. 2010, გვ. 360.

<sup>49</sup> ანტიკური კავკასია: ენციკლოპედია. I, გვ. 24-25; ლ. გორდეზიანი. ძველი ისტორიის ნარკვევები, გვ. 85-86.

<sup>50</sup> ანტიკური კავკასია: ენციკლოპედია. I, გვ. 24.

<sup>51</sup> ანტიკური კავკასია: ენციკლოპედია. I, გვ. 28, 34-35; ლ. გორდეზიანი. ძველი ისტორიის ნარკვევები, გვ. 94-95, 105-106, 108-109; გ. მელიქიშვილი. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის უძველესი გაერთიანებები, გვ. 385.

<sup>52</sup> ლ. გორდეზიანი. ძველი ისტორიის ნარკვევები, გვ. 374-376.

<sup>53</sup> ლ. გორდეზიანი. ძველი ისტორიის ნარკვევები, გვ. 376.

<sup>54</sup> უიძერუხი/უიტერუხი. მკვლევრები უკავშირებენ ბერძ. წყაროების ბიძერუსს. იხ.: გ. მელი-

ოდრნის სახელწოდებითაა ცნობილი.<sup>55</sup> ეს უკანასკნელი ფარნავაზის მიერ შექმნილი ერთ-ერთი საერისთავოა. მისი საზღვრები, ძირითადად, სამცხეს ემთხვევა ცენტრით ოძრხეში, თუმცა არ უნდა გამოვიციხოთ მისი განვრცობა სხვა, მეზობელ ტერიტორიებზეც.

ვიძერუხი იხსენიება მეფე არგიშთი I-ის (ძვ.წ. 785-756 წწ.) წარწერებში, როდესაც, ის, დიაოხის მოკავშირეა სხვა სამეფოებთან ერთად ურარტუს წინააღმდეგ ბრძოლაში.<sup>56</sup> არგიშთი ასევე საუბრობს იმის შესახებ, თუ როგორ დაამარცხა მან ვიძერუხის მეფე და დაიპყრო მისი სამეფო ქალაქი ურიეიუნი.<sup>57</sup> ვფიქრობ, თამამად შეიძლება ამ ქალაქის გაიგივება ძველი ქართული წყაროების ქალაქ ჰურთან (ური. დღევანდელი სოფელი ალთაში),<sup>58</sup> რომლის მახლობლადაც მდებარეობდა თეთრციხე. ქალაქ ურაიანის ციხესიმაგრის აგებას ახსენებს არგიშთის შემკვიდრე სარდურ II, რომელიც იგივე ურიეიუნი უნდა იყოს.<sup>59</sup> აღსანიშნავია, რომ ძველი ქალაქი ჰურის, დღევანდელი სოფელი ალთაშის ტერიტორიაზე, ამჟამადაც არსებობს კარგად შემორჩენილი მეგალითური ციხესიმაგრე.<sup>60</sup> საინტერესოა, ხომ არ არის დღევანდელი ჰურის ციხე, ის, რომელიც ააგო სარდურ II-მ დაახლოებით ძვ.წ. 744-740 წლების ლაშქრობის დროს? ამას, მთელი სიცხადით, მხოლოდ არქეოლოგიური გათხრები გვიჩვენებს.

ქიშვილი. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის უძველესი გაერთიანებები, გვ. 382; შ. ასათიანი. ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ონომასტიკა ასურულ და ურარტულ წერილობით წყაროებში, გვ. 19; ლ. გორდეზიანი. ტაო-კლარჯეთი ურარტულ ტექსტებში, გვ. 44.

<sup>55</sup> გ. მელიქიშვილი. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის უძველესი გაერთიანებები, გვ. 376-377, 382-385.

<sup>56</sup> ანტიკური კავკასია: ენციკლოპედია. I, გვ. 28; ლ. გორდეზიანი. ძველი ისტორიის ნარკვევები, გვ. 95.

<sup>57</sup> ანტიკური კავკასია: ენციკლოპედია. I, გვ. 28; ლ. გორდეზიანი. ძველი ისტორიის ნარკვევები, გვ. 95.

<sup>58</sup> ლეონტი მროველი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს ზ. სარჯველაძემ, მ. ქავთარიამ და ელ. ცაგარეიშვილმა. ქართლის ცხოვრება. მთ. რედ. რ. მეტრეველი. თბ. 2008, გვ. 43.

<sup>59</sup> ანტიკური კავკასია: ენციკლოპედია. I, გვ. 35; ლ. გორდეზიანი. ძველი ისტორიის ნარკვევები, გვ. 108. ურარტული წარწერების ურიეიუნი და ურაიანი, სრულიად სამართლიანად, ერთმანეთთან გააიგივა გიორგი მელიქიშვილმა, იხ.: Г. А. Меликишвили. Наири-Урарту, გვ. 265. ურიეიუნი/ურაიანის ფუძე „ური“ უნდა იყოს, ხოლო სუფიქსი „იანი“ ინდოევროპულია, რომელიც ძვ.წ. II ათასწ. მეორე ნახევრის ქართული რეალობისთვის უკვე ნაცნობია. ინდოევროპული სუფიქსების შესახებ იხ.: თ. ღუნდუა. აღმოსავლურქართული შუა ბრინჯაოს ხანის (თრიალეთური) კულტურა და არიული *receptio*. თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. ტ. VI. თბ. 2012, გვ. 29-34.

<sup>60</sup> ჰურის ციხის შესახებ იხილეთ ამავე გრანტის ფარგლებში შესრულებული ალექსანდრე ბოშიშვილის ნარკვევი.

აღსანიშნავია ისიც, რომ დიაოხის მოკავშირეთა შორის დასახელებულია ზაბახას (ჯავახეთი) ქვეყანა.<sup>61</sup> ამ კუთხით განსაკუთრებით საინტერესოა არგიშთი I-ის მეფობის მერე და მესამე წელს განხორციელებული სამხედრო ექსპედიციები. არგიშთის მარჯვნივ თარიუნის ქვეყანა დაუქვემდებარებია, ხოლო შემდეგ ზაბახა დაუპყრია და მისულა ქალაქ უზინაბითარნამდე, სირი-მუთარას ქვეყანამდე, მთიან ქვეყანამდე, ხოლო აქედან მარჯვნივ იგანის ქვეყნის ქალაქი მაკალთუნი შეუწყალებია.<sup>62</sup> მნიშვნელოვანია რომ აღნიშნული პუნქტების დიდი ნაწილი თეთრციხის ირგვლივ ლოკალიზდება, რაც ადასტურებს იმას, რომ ეს ბრძოლები, სავარაუდოდ, თეთრციხესაც შეეხო, თუმცა რამდენად შევიდნენ ურარტუელები იქ როული სათქმელია.

თეთრციხე ამ დროს, მიუხედავად ტერიტორიული სიახლოვისა, ვიძერუხის (ოდრხის), ან/და ჯაბახას (ჯავახეთის) კონტროლის ქვეშ არ უნდა ყოფილიყო. ის, როგორც ზემოთ მივუთითეთ, იგანის ქვეყანაში ერთიანდება. აქვეა სირი-მუთარა, ანუ შირიმნის ქვეყანა,<sup>63</sup> ხოლო ქალაქი უზინაბითარნა კოლაში უნდა მოვიაზროთ.

ურარტუს მეფის მარშრუტი განსაკუთრებით საინტერესოა. არგიშთი ახსენებს მარჯვნივ მდებარე თარიუნის ქვეყანას, რომელსაც თორის „ქვეყანასთან“ აიგივებენ.<sup>64</sup> ის, უპირატესად, მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპიროზეა მდებარეობს. არგიშთის მითითება, რომ მან მარჯვნივ მდებარე ქვეყანა

<sup>61</sup> გ. მელიქიშვილი. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის უძველესი გაერთიანებები, გვ. 382-383; შ. ასათიანი. ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ონომასტიკა ასურულ და ურარტულ წერილობით წყაროებში, გვ. 13; ლ. გორდეზიანი. ტაო-კლარჯეთი ურარტულ ტექსტებში, გვ. 44.

<sup>62</sup> ანტიკური კავკასია: ენციკლოპედია. I, გვ. 28; ლ. გორდეზიანი. ძველი ისტორიის ნარკვევები, გვ. 95. გიორგი მელიქიშვილის აზრით, მაკალთუნი უნდა ყოფილიყო იგანის პოლიტიკური ცენტრი (Г. А. Меликишвили. Наир-Урарту, გვ. 61), თუმცა არსად წყაროში სამეფო ქალაქად არ იხსენიება.

<sup>63</sup> ტოპონიმი „შირიმნი“ XI საუკუნის თხზულების, „მატიანე ქართლისაის“, მიხედვით, კოლას ტერიტორიაზე ლოკალიზდება. XI საუკუნის პირველ ნახევარში ის დიდი სოფლის სახელწოდებაა. აღნიშნული ტოპონიმი შირიმნის ქვით მდიდარ მხარეს აღნიშნავს, რაც ძველად, როგორც ჩანს, ცალკე „ქვეყანა“, ხვეი იყო. ტოპონიმის შესახებ იხ.: შ. ასათიანი. ქართლის ცხოვრება. მთ. რედ. როინ მეტრეველი. თბ. 2008, გვ. 274. შოთა ასათიანი ამ ტოპონიმს „სირი-მუთალად“ კითხულობს და საერთო ქართულის საფუძველზე ხსნის; „სირი მთალა“ ჩიტის ბარტყებს, ანუ ფრინველის შვილებს აღნიშნავს. იხ.: შ. ასათიანი. ტაო-კლარჯეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან, გვ. 27. ჩვენი აზრით, ტემინი „სირი-მუთარა“ შირიმნის აღმნიშვნელი ურარტული ტოპონიმი უნდა იყოს. შესაბამისად, ქალაქი უზინაბითარნა კოლაში უნდა ლოკალიზდეს.

<sup>64</sup> შ. ასათიანი. ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ონომასტიკა ასურულ და ურარტულ წერილობით წყაროებში, გვ. 13-14; ლ. გორდეზიანი. ტაო-კლარჯეთი ურარტულ ტექსტებში, გვ. 44.

დაიმორჩილა მტკვრის მარჯვენა მხარე უნდა გულისხმობდეს. ამის შემდეგ იპყრობს ზაბახას (ჯავახეთი) და მიდის ქალაქ უზინაბითარამდე, რომელიც სირიშუთარას (შირიშნი, კოლა) ქვეყანაშია. ამ ორი ქვეყნის შემთხვევაში მას არა აქვს დაკონკრეტებული მიმართულება, ვინაიდან ორივე მათგანი, ზაბახა/ჯავახეთი და სირიშუთარა/შირიშნი მტკვრის ორივე მხარეს მდებარეობს. სხვათაშორის არ ახსენებს არც სირიშუთარას დაპყრობას, როგორც ჩანს, ეს ქვეყანა მას დამორჩილებული ყავს და იქ გასასვლელი გზა თავისუფალია, ხოლო ზაბახას თარიუნის დამორჩილების შემდეგ დაპყრობა იმისი მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ ზაბახამ უკან მობრუნებისას გაუწია მას წინააღმდეგობა. ამის შემდეგ, არგიშთი მარჯვნივ ივანის ქვეყნის წინააღმდეგ ლაშქრობს და ჩრდილის ტბის სამხრეთით მდებარე ქალაქ მაკალთნის შეიწყალებს. ამ შემთხვევაშიც მარჯვნივ ლაშქრობა მტკვრის მარჯვენა მხარეს მდებარე ქვეყნას უნდა გულისხმობდეს.

ყველაფერი ზემოთ თქმული ურარტუს მეფე არგიშთის მეფობის დასაწყისში განხორციელებული ლაშქრობებია. აქედან მოყოლებული არგიშთი სისტემატიურად ახორციელებს სამხედრო კამპანიებს ჩრდილოეთის მიმართულებით, ხოლო სამიხნე, როგორც წესი, დიაოხი, ეთიუნის ქვეყნები და მათი მოკავშირეებია. არგიშთი დაპყრობების პარალელურად ქვეყნის განმტკიცებითა და ციხესიმაგრეებისა თუ ქალაქების დაარსებითაც არის დაკავებული, რასაც ლაკონურად გადმოსცემს მისი პერიოდის ლურსმული წარწერები.<sup>65</sup>

აუცილებელია იმისი აღნიშვნაც, რომ ურარტუელთა ეს ლაშქრობები ძალიან დაუნდობელი იყო, ხშირად ისინი მთელ მოსახლეობას ხოცავდნენ და დარჩენილებს მეფესთან და მის ოჯახის წევრებთან ერთად დედაწულიანად ტუმბაში, ურარტუს სამეფოს დედაქალაქში მიერეკებოდნენ.<sup>66</sup> ბუნებრივია, ასეთ შემთხვევებში მრავალი ტომი სრულიად უნდა განადგურებულიყო, რის გამოც რისკი დიდი იყო დაკარგულიყო ის ტოპონიმებიც, რომლებიც ამ ძველ დასახლებებს ჰქონდათ. აქედან გამომდინარე ჩვენ არც ის ვიცით თუ რამდენად ძველია ტოპონიმი „თეთრციხე“. არ არის გამორიცხული რომ ის გაჩენილიყო მოგვიანებით ამ ტერიტორიაზე ქართლის სამეფოს გაბატონების შემდეგ.

<sup>65</sup> ანტიკური კავკასია: ენციკლოპედია. I, გვ. 27-32; ლ. გორდეზიანი. ძველი ისტორიის ნარკვევები, გვ. 93-103.

<sup>66</sup> ანტიკური კავკასია: ენციკლოპედია. I, გვ. 36; ლ. გორდეზიანი. ძველი ისტორიის ნარკვევები, გვ. 110.

სარდურ II (ძვ.წ. 756-730 წწ.) არგიშთის ძის დროს ურარტუს სამეფოს აგრესია კიდევ უფრო გაიზარდა. მისი წარწერების მიხედვით, იგანის ქვეყნის წინააღმდეგ სულ მცირე ორი ლაშქრობა ეწყო. ამათგან პირველი სარდურ II-ის მეფობის დასაწყისში დაახლოებით ძვ.წ. 750-745 წლებში.<sup>67</sup> სავარაუდოდ, ამ პერიოდის დასაწყისში სარდური კოლხას და მის ვასალს, ხუშალხის მეფე ხახანს ამარცხებს, რომელიც ტყვედ ჩაუგდია ხელში. იმავე წელს გაანადგურა აბილიანიხის ქვეყანა. წარწერის მიხედვით, ორივე ეს ქვეყანა საშინლად იქნა განადგურებული, ხოლო მოსახლეობა და პირუტყვი ურარტუში გარეკეს. ყველაფერი ეს ერთ წელიწადში შესრულდა.<sup>68</sup> აქედან გარკვეული ხნის შემდეგ სარდური ხელახლა ლაშქრობს აბილიანიხის და მასთან ერთად ერიახის ქვეყნების წინააღმდეგ. მათი განადგურება ერთი წლის განმავლობაში აღსრულდა.<sup>69</sup> ამის მერე, კიდევ ერთი ცალკე აღებული სამხედრო კამპანიის ფარგლებში, ურარტუელები ამარცხებენ რუიშიანის სამეფოს<sup>70</sup> მეფე რაშუინის და იგანის მეფე დიუცინის. ამ მონარქთა შორის დიუცინი, იგანის პარალელურად, ეთიუნის (ეთიუხი) ქვეყნის მეფედაც იწოდება. წარწერის მიხედვით, ორივე – რაშუინი და დიუცინი – სარდურ II-ის წინაშე იქნენ დამხობილი.<sup>71</sup> იგანი საკმაოდ გაძლიერებული ჩანს, ვინაიდან მისი მეფე ეთიუნის იმ ნაწილს აკონტროლებს, რომელიც ურარტუს საზღვრებს გარეთაა.<sup>72</sup> აღნიშნული ლაშქრობა ეთიუნის მხარეში ჰეგემონიის მოსაპოვებლად იყო გამიზნული და იგანისა და მისი მეზობელი ქვეყნების დამორჩილებას ისახავდა მიზნად. როგორც ჩანს, იგანის მეფე დაამხეს და, შესაძლოა, მალევე

<sup>67</sup> ანტიკური კავკასია: ენციკლოპედია. I, გვ. 33-34; ლ. გორდეზიანი. ძველი ისტორიის ნარკვევები, გვ. 105-106.

<sup>68</sup> ანტიკური კავკასია: ენციკლოპედია. I, გვ. 33; ლ. გორდეზიანი. ძველი ისტორიის ნარკვევები, გვ. 105..

<sup>69</sup> ანტიკური კავკასია: ენციკლოპედია. I, გვ. 33-34; ლ. გორდეზიანი. ძველი ისტორიის ნარკვევები, გვ. 105-106.

<sup>70</sup> სავარაუდოდ, ერუშეთი. შესაძლოა იყოს იგივე იშუუინის, მენუასა და არგიშთის მეფობის პერიოდის წარწერებში მოხსენიებული ლუშა, რომელსაც, როგორც ზემოთ მივუთითეთ, ერუშეთის „ქვეყანასთანაც“ აიგივებენ. აღნიშნულ მოსაზრებას გეოგრაფიული ადგილმდებარეობა და ტოპონიმის ანალიზი უჭერს მხარს. ტერმინი „რუიშიანი“ ტოპონიმის „ერუშეთი“-ს ფუძიდან (ერუშ) უნდა იყოს ნაწარმოები. ხოლო, იგივე, ურარტული წყაროების რუიშიანის სამეფოს იგანის სამეფოს გვერდით მოხსენიება მათ ტერიტორიულ სიახლოვეზე მიუთითებს (Г. А. Меликишвили. Наირи-Урарту, გვ. 62), რასაც ადგილი აქვს ძაღინის/ძიღანის ზევისა და ერუშეთის ისტორიული პროვინციების შემთხვევაშიც.

<sup>71</sup> ანტიკური კავკასია: ენციკლოპედია. I, გვ. 34; ლ. გორდეზიანი. ძველი ისტორიის ნარკვევები, გვ. 106.

<sup>72</sup> Г. А. Меликишвили. Наირи-Урарту, გვ. 262,

მოკლეს კიდეც, ვინაიდან, მცირე ხნის შემდეგ, ივანის მეფედ დიუცინის ნაცვლად კაფურინი იხსენიება.

ურარტუელთა ერთ-ერთი უკანასკნელი მეტევა დაახლოებით ძვ.წ. 742-739 წლებს შორის უნდა განხორციელებულიყო, როდესაც ურარტუს მეფე სარდურ II-მ ივანის ქვეყანა დალაშქრა.<sup>73</sup> სარდური იკვეხნის, რომ ღვთაება ხალდის დახმარებით მან დაამარცხა ივანის მეფე კაფურინი და იარაღის ძალით ერთ დღეში აიღო 35 ციხესიმაგრე და 200 დასახლებული პუნქტი, ისინი დაუწვავს, ხოლო მოსახლეობა ურარტუში წაუყვანია.<sup>74</sup> აქ საინტერესო ისაა, რომ არსებობს კიდევ ერთი წარწერა, რომელშიც ივანის ქვეყნის დალაშქრახეა საუბარი. ძველი აღმოჩნდა ჩრდილის ტბის სამხრეთ სანაპიროსთან სოფელ თამკობრუში. აღნიშნულ წარწერაში სარდურ II ივანიელთა ქალაქ მაკალთუნის დაპყრობისა და განადგურებს შესახებ საუბრობს.<sup>75</sup> როგორც გიორგი მელიქიშვილი აღნიშნავს, სავარაუდოდ, წარწერა იქ არის შესრულებული, სადაც აღნიშნული წარმატება იქნა მიღწეული.<sup>76</sup> გამოდის რომ ქალაქი მაკალთუნი უშუალოდ ჩრდილის ტბის სამხრეთ სანაპიროსთან მდებარეობდა. აღნიშნული საინტერესოა და მიუთითებს იმაზე, რომ ამ პერიოდში ჩრდილის „ქვეყანა“ ივანიელთა სამფლობელო ყოფილა. ეს ვითარება უნდა ვრცელდებოდეს არამხოლოდ სარდურ II-ის მეფობის პერიოდზე, არამედ ადრეულ ხანაზეც, როდესაც ურარტუს იმფუინი და მენუა მართავდნენ. მაკალთუნის დაპყრობა და შემოერთება, რამაც სარდურ II-ს საშუალება მისცა წარწერა აღემართა, მხოლოდ ძვ.წ. VIII საუკუნის 40-30-იან წლებში ხდება. აქამდე ურარტუს მეფეები, უპირატესად, მხოლოდ მარბიელ ლაშქრობებსა და რეგიონის დახარკვას ჯერდებოდნენ, ხოლო ამჯერად ქვეყნის ინტენსიური დაპყრობით არიან დაკავებულები.

მაკალთუნის ხშირი მოხსენიების მიუხედავად ურარტულ წყაროებში არ გვხვდება ივანიელთა სამეფო ქალაქის ანუ დედაქალაქის ხსენება, რაც შეიძლება იმასთანაც იყოს დაკავშირებული რომ მათ ვერ აიღეს ამ პოლიტი-

<sup>73</sup> გ. მელიქიშვილი. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის უძველესი გაერთიანებები, გვ. 385; ანტიკური კავკასია: ენციკლოპედია. I, გვ. 35; ლ. გორდუზიანი. ძველი ისტორიის ნარკვევები, გვ. 108-109.

<sup>74</sup> ანტიკური კავკასია: ენციკლოპედია. I, გვ. 35; ლ. გორდუზიანი. ძველი ისტორიის ნარკვევები, გვ. 108-109.

<sup>75</sup> გ. მელიქიშვილი. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის უძველესი გაერთიანებები, გვ. 383; ანტიკური კავკასია: ენციკლოპედია. I, გვ. 36.

<sup>76</sup> Г. А. Меликишвили. Наირи-Урарту, გვ. 263; გ. მელიქიშვილი. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის უძველესი გაერთიანებები, გვ. 383.



კური გაერთიანების ცენტრი. არ არის საუბარი არც იგანის მეფის, კაფური-ნის შეპყრობაზე. წარწერაში ჩანს, რომ სარდურმა მხოლოდ დაამარცხა იგანის მეფე, თუმცა ის ვერ შეიპყრო. გამორიცხული არაა რომ იგანის პოლიტიკური ცენტრი კიდეც უფრო ჩრდილოეთით, თეთრციხის ტერიტორიაზე ყოფილიყო განთავსებული. ქალაქ მაკალთუნისგან განსხვავებით თეთრციხე რთულად მისადგომ ჩრდილის ტბის კუნძულზე მდებარეობდა და იდეალური ადგილი იყო თავდაცვითი ბრძოლის წარმოებისთვის, თუნდაც ისეთი ძლიერი ქვეყნის წინააღმდეგ როგორც ურარტუ იყო. თეთრციხეს ჩრდილოეთის მხრიდან სენგერის ციხის კომპლექსი იცავდა, ხოლო ერთიანად ისინი, როგორც ჩანს, იგანის პოლიტიკურ ცენტრს ჰქმნიდნენ.

დაიკავეს თუ არა თეთრციხე ურარტუელებმა არ ჩანს. ურარტულ წარწერებში ყურადღება არ არის გამახვილებული პოლიტიკურ და სამხედრო წარუმატებლობებზე, შესაბამისად, მსჯელობა იმის შესახებ, რამდენად ჰქონდა გამაგრებულ კუნძულს ალყა ჩვენ გვიჭირს. თეთრციხისა და სენგერის მასშტაბებიდან გამომდინარე იგანის ამ გამაგრებულ ადგილებს საკმაო ძალა უნდა ჰქონოდა იმისთვის, რომ ურარტუს მრავალრიცხოვანი ჯარების შემოტევებისათვის გაეძლო.

სარდური ასევე საუბრობს 35 ციხესიმაგრისა და 200 ქალაქის ალებზე, რომლთაგან ურარტუელებს ციხესიმაგრეები დაუნგრევიათ, ხოლო ქალაქები გადაუწვიათ.<sup>77</sup> ამ შემთხვევაში 200 ქალაქი ამავე რაოდენობის დასახლებულ პუნქტს გულისხმობს,<sup>78</sup> ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც დასახლება შედარებით უფრო ფართო მასშტაბისაა ურარტულ საისტორიო წყაროებში ასეთი პუნქტები, როგორც წესი, სახელით მოიხსენიება ხოლმე, მაგ. მაკალთუნი. იმ შემთხვევაში, როდესაც წყაროებში პოლიტიკურ ან ადმინისტრაციულ ცენტრზე კეთდება აქცენტი ისინი სამეფო ქალაქად იწოდებიან. იგანის სამეფოს დედაქალაქი ჰქონდა, მაგრამ, ჩვენს ხელთ არსებულ მასალებში, ის არ ჩანს. ჩვენ შემთხვევაში ყველაზე უფრო საინტერესო საისტორიო წყაროში მოხსენიებული ტერმინი „ციხესიმაგრეა“. ეჭვის გარეშეა, რომ აღნიშნული ტერმინი გამაგრებული პუნქტის აღმნიშვნელია.

ჩრდილის ტბის რეგიონის შემთხვევაში, ასეთი გამაგრებული პუნქტები მეგალთური ციხესიმაგრეებია. ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობების გათვა-

<sup>77</sup> ანტიკური კავკასია: ენციკლოპედია. I, გვ. 35; ლ. გორდეზიანი. ძველი ისტორიის ნარკვევები, გვ. 108-109.

<sup>78</sup> ლ. გორდეზიანი. ძველი ისტორიის ნარკვევები, გვ. 381-382.

ლისწინებით სხვა ტიპის საფორტიფიკაციო ნაგებობა ურარტულ პერიოდში ამ არეალის თავდაცვის უზრუნველყოფას ვერ მოახერხებდა. ჩრდილის ტბის მხარეში არსებულმა დაზვერვითმა სამუშაოებმა რეგიონში დღემდე შემორჩენილი ათზე მეტი მეგალითური საფორტიფიკაციო ნაგებობა ან მათი ნაშთები დააფიქსირა.<sup>79</sup> აღრეულ პერიოდში, ბუნებრივია, მათი რაოდენობა საგრძნობლად მეტი უნდა ყოფილიყო არც ისაა გამორიცხული, რომ მომავალში კიდევ მეტი მეგალითური სიმაგრე გამოვლინდეს. ყოველ შემთხვევისთვის, ჩვენს ხელთ არსებული მონაცემების გათვალისწინებით, მხოლოდ იგანის სამეფოს ტერიტორიაზე, რომელიც ძაღინის ხევსა და პალაკაციოს მოიცავდა, თავისუფლად შეიძლებოდა ყოფილიყო 35 მეგალითური ციხესიმაგრე, რაც ურარტუელებმა დაიკავეს. შესაძლებელია მათი ჰიპოთეტური რაოდენობის გაზრდა, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ იგანის პოლიტიკური ცენტრი, სავარაუდოდ, თეთრციხე და მისი მიმდინარე ტერიტორიები, მათ არ დაუკავებიათ.

ამგვარად, საისტორიო წყაროთა მონაცემები და სავსე ექსპედიციების შედეგები ერთმანეთს ავსებს და ურარტული ლურსმული ძეგლების მონაცემებს ადასტურებს. საერთო ჯამში, ეთიუნის ვრცელ რეგიონში შემავალი იგანის სამეფო ძვ.წ. VIII საუკუნეში საკმაოდ გამაგრებულ ქვეყნად წარმოგვიდგება.

ეთიუნის მხარე, რომელშიც ერთიანდება იგანის ქვეყანა, VIII საუკუნის ბოლოსაც იხსენიება ურარტულ წარწერებში. ამჯერად, ეთიუნის ერთ-ერთი უცნობი მეფე ურარტუს მეფე არგიშთი II-ის (ძვ.წ. 713-685) მოხარკე ჩანს.<sup>80</sup>

არგიშთი I-სა და მისი მემკვიდრე, სარდურ II-ის დროს, ძვ.წ. VIII საუკუნის 80-30-იან წლებში, იგანის სამეფო ურარტუს მეფეთა მოხარკე ხდება. მართალია ეთიუნის ქვეყნები პერიოდულად აჯანყებებს აწყობენ, მაგრამ ურარტუს მონარქები მეტ-ნაკლებად მაინც ინარჩუნებენ თავიანთ გავლენას ჩრდილის ტბის მხარეზე. აღნიშნული ვითარება ძვ.წ. VIII საუკუნის შემდეგ დიდხანს არ უნდა შენარჩუნებულიყო. ამის შემდეგ ურარტუს თავად უწყევს თავდაცვითი ბრძოლების წარმოება, რის გამოც, ბუნებრივია, ვერ შეძლებდა პოზიციების დიდი ხნით შენარჩუნებას დამორჩილებულ ქვეყნებში.

<sup>79</sup> ტაო-კლარჯეთის ძეგლების 2014 წლის საკვლევი ექსპედიციების ანგარიშები. რუკა; Ardahan Kale ve Kuleleri, გვ. 33, რუკა № 1.

<sup>80</sup> M. Salvini. Die Ausdehnung des Reiches Urartu unter Argišti II. (713-ca. 685 v. Chr.). კავკასიურ-აზღოსავლური კრებული. XIII. თბ. 2009, გვ. 203-227; ანტიკური კავკასია: ენციკლოპედია. I, გვ. 37; ლ. გორდუზიანი. ძველი ისტორიის ნარკვევები, გვ. 111-112.

ძვ.წ. VIII საუკუნის შემდეგ ამ მხარის შესახებ მონაცემები უმნიშვნელოა, ვიდრე ჩრდილის მხარე ქართლის სამეფოს შემადგენლობა არ შედის ძვ.წ. IV-III საუკუნეების მიჯნაზე. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ამ პერიოდიდან თეთრციხის მიწები სტაბილურად ჯავახეთის (წუნდის) საერისთავოს შემადგენლობაში მოჩანს. თუ არ ჩავთვლით სომხების მმართველობის ხანმოკლე მონაკვეთს, აქედან მოყოლებული თეთრციხე ქართლის სამეფოს ერთ-ერთი ციხესიმაგრეა.<sup>81</sup>

თეთრციხე ადმინისტრაციული თვალსაზრისით წუნდაში ძველში ერისთავის დაქვემდებარებაშია, სომხეთის მმართველობის მოკლე პერიოდის გამოკლებით, ვახტანგ I გორგასლის (449-502 წწ.) მეფობის ჩათვლით ეს სიტუაცია არ შეცვლილა. ვახტანგის გარდაცვალების შემდეგ ამ მხარეს მისი ძე, მირდატი და ამ უკანასკნელის მემკვიდრეები განაგებენ.<sup>82</sup>

ქართლის სამეფოს გაყოფის შემდეგ ჯავახეთს ზემო ქართლის მეფეები, მირდატ ვახტანგ გორგასლის ძის მემკვიდრეები, აკონტროლებენ. ამას მოსდევს მცირე ხნით სასანური ირანის პირდაპირი მმართველობის დამყარება.<sup>83</sup> შემდეგ ქართლის ერისმთავართა,<sup>84</sup> არაბთა სახალიფოსა და ბოლოს ქართველთა სამეფოს (ტაო-კლარჯეთის) მონარქთა მმართველობა.<sup>85</sup> ქართველთა სამეფოს მფლობელობის პერიოდით თარიღდება თეთრციხის ეკლესია, რომელიც, უშუალოდ, მთავარი ციხის სიახლოვეს მდებარეობს, კუნძულის ტერიტორიაზე. თეთრციხის ეკლესია დარბაზული ტიპის ხუროთმოძღვრული ძეგლია, რომელსაც კედლების მხოლოდ ერთი ნაწილი აქვს შემორჩენილი. ეკლესიის გეგმისა და მშენებლობის თავისებურების გათვალისწინებით, თეთრციხის ეკლესია X საუკუნეში უნდა იყო აგებული.<sup>86</sup>

XI საუკუნიდან თეთრციხე გაერთიანებული საქართველოს სამეფოს შემადგენლობაშია, ხოლო დაშლილი ქვეყნის პირობებში სამცხე-საათაბაგოში. ქართველებმა თეთრციხე ოსმალეთის ექსპანსიის დროს 1578 წელს დაკარგეს, სადაც გურჯისტანის ვილაიეთი, ანუ მეორენაირად, ჩილდირის ვილაიეთი – საფაშო ჩამოყალიბდა.

<sup>81</sup> ლენტი მროველი, გვ. 30, 44-45, 50, 58-60, 63, 71, 146; ჯუანშერი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს ზ. სარჯველაძემ და ს. სარჯველაძემ. ქართლის ცხოვრება. მთ. რედ. რ. მეტრეველი. თბ. 2008, გვ. 201, 215, 220.

<sup>82</sup> ჯუანშერი, გვ. 220-223.

<sup>83</sup> ჯუანშერი, გვ. 225-226.

<sup>84</sup> ჯუანშერი, გვ. 226-228.

<sup>85</sup> მათიანე ქართლისაი. გამოსაცემად მოამზადა მ. ლორთქიფანიძემ. ქართლის ცხოვრება. მთ. რედ. რ. მეტრეველი. თბ. 2008, გვ.256, 258.

<sup>86</sup> იხილეთ ამავე გრანტის ფარგლებში შესრულებული ნინო სილაგაძის ნარკვევი.

ქართულ მატთანებში თეთრციხე სწორედ ამ დროს ჩნდება. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, 1576 წლის ზაფხულში სამცხის ათაბაგმა ყვარყვარე IV-მ (1573-1581 წწ.) და მისმა ძმამ, მანუჩარმა, მოღალატე მესხი ფეოდალების მამულების დარბევა დაიწყეს. ამავე ზაფხულის სეზონში ბიძაშვილის, ერეკლე ბაგრატიონ-მუხრანბატონის დახმარებით ძმებმა ორგულ ფეოდალთა სამფლობელოების დარბევის პარალელურად პალაკაციოში თეთრციხის მიდამოებიც მოარბიეს.<sup>87</sup> იმავე მოვლენებს აღწერს და იგივე წყაროთი სარგებლობს „ახალი ქართლის ცხოვრების“ მესამე ტექსტის ავტორი.<sup>88</sup> ვახუშტის ცნობა სწორედ ამ თხზულებას მიუყვება. ხოლო ორივე მათგანის წყარო „მესხური მატთანეს“ ცნობებია.<sup>89</sup> პირველწყაროში, „მესხური მატთანეში“, ვკითხულობთ:

*„25. ამსვე წელსა (1576 წ.), ივნისსა, ათაბაგი პატრონი ყ(ვა)რყ(ვა)რე და ძმა მათი პატრონი მანუჩარ და ბიძაშვილი მათი მეფის შვილი პატრონი ჰერ[ა]კლე მეგლციხეს წავიდეს ყაენთან (ირანის შაჰი) ელჩის გასაგზავნად. ავკარგად სამოცამდის კაცი იახლა. სამწბთ ღელეში დავდევით.*

*აცნობ[ა]ი ოლაღის ქუაბიღამა ბეღანისშვილმა იასონ ვარაზაშვილს კოკოლასა და მის ძმასა ლაშქარასა და მის ბიძას გურგაქს. იახლნეს თანა დიასამიძის ელიას შვილი ავთანდილ და მისი ძმა შერმაზან, ამატეისშვილის როსტომის შვილი ამატ[ა]კ და აბღუყაფარ და მათი ძმისწული როსტომ და ამიტეის ვაჟი სეხნიაი. დაეკაზმნეს ხუთასამდი კაცი და წამოვიდეს და ორთვალთკიდს გამოვიდეს, ბორგს მივიდეს. იქ ფანასკერტელი იობის შვილი ჯირასონ გუშრც იახლა, საუბარს შეესწრა კ[ა]ცსა, თუ – გულმართლა ბატონებზე თავს დასაღხმელად და დასაკოცლად მიდიანო. იარა და აცნობა [უგუბოს] დოღენჯიშვილს ყანდურაღის; თუ გულმართლა ბატონიშვილებს დაჰკოცენ! ფიცხლა აცნობე! წამოვიდა ყანდურაღი, აცნობად ბატონებსა. ქათამს ეყვილა. ადგეს ბატონები და ვინც იყო, დაეკაზმნეს. ოცამდე შეკაზმული კაცი იყო. ბარგი აჰკიდეს, დიდხანს იქვ იბრუნეს და არ მოვიდეს. უკმოვდეს ოკერათ-თავს სიმაგრესა.*

<sup>87</sup> ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება. ტ. IV. ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ. 1973, გვ. 719-720.

<sup>88</sup> ახალი ქართლის ცხოვრება: მესამე ტექსტი. ქართლის ცხოვრება. ტ. II. ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ. 1959, გვ. 519.

<sup>89</sup> „მესხური მატთანე“. სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVI სს.). ტექსტების პუბლიკაცია, გამოკვლევები და საძიებლები ქრ. შარაშიძისა. თბ. 1961, გვ. 43-44.

26. ივნის ლ (30), შაბათს დღეს განთიად დაესხნეს ნასადგომვესა. სხ[ვა] აღარა დახუდა რა: თუხარლიანთ კარავი და ბარგი დახუდა და ის დაიფორაქეს; ჯერები კიდევ მოსცეს: ჩვენი და მათი კაცი გარდიკიდნეს; ერთი მოკლეს და ერთი ჯელ დაიჭირეს ჩ(უე)ნთა. წავდეს გაწბილებულნი. ეკუშხა: „არ გაგუსწრ[ო]ბდეს, თავებს დავსჭრიდით და მკუდარს ასო-ასო ავ-ეშმოდი[თ]. და ეს გუეწა, მარტულილებსაც არ გაუშვებდით ცოცხალს!“

დავარდა კმაი; დაიწყო ჩ(უე)ნმა ლაშქარმა მოდენა. გამართნეს პატრონი ყ(ვა)რყ(ვა)რე და პატრონი მანუხარ და ჰერაკლე სახელსა ზედა ღთისასა და მივედით ზედა-თმოგვს. და თმოგუის ქლაქი მოვარბიეთ და იქივე ზედა-თმოგუს ამოვედით და პატრონი დედა მათი, დედისიმედ ყოფილი დებარა იქ მოვიდა. და ორშაბათს ვაჰანის-ქუაბს მოვადევით და ოთხშაბათს იერიშით ავიღეთ და პარასკევს დღეს ავიყარენით, ჩაუდევით, რჩეულიანი შემოვიწყუშნით, კუირას დღეს ოლაღის-ქუაბი ავიღეთ, ამოვედით, კარწახს დავდევით.

27. ივლისსა ით (19), დღესა ხუთშაბათსა, ქ(ორონი)კ(ონ)სა სიდ (254=1576 წ.) ჰერაკლე შევკვაზმეთ, წლისა ივ-სა (16), სამის თუისა და სამის კუირისა მიუკედით ფოსოს, სახლი დავწუით და ამოვსწყუიდეთ. გაუძახეთ ლაშქარი. დარღუეულთ ხიზანი და ალაფი გამოვიღეთ და მოვედით და პალაკაციოს დავდევით და იქიღამა თეთრ-ციხის გარეშემო დავწუით ალბუტი და კამაროანი და მასთან (ირანის შაჰი) ელჩი გავგზავნეთ“.<sup>90</sup>

„მესხურ მატიანეში“ ამბების თვითმხილველის მიერ მთელი სიმძაფრით არის გადმოცემული ის დაპირისპირება, რაც მიდილა სამცხე-საათაბაგოში თეთრციხის დაკარგვამდე. სამთავროში მიმდინარე ეს ბრძოლები ოცი თვის განმავლობაში გაგრძელდა,<sup>91</sup> რაც გახდა ერთ-ერთი მიზეზი, რომ ამ დაპირისპირებების შედეგად მესხებმა დათმეს თეთრციხე და მასთან ერთად სხვა მნიშვნელოვანი ციხესიმაგრეებიც.<sup>92</sup>

„მესხური მატიანეს“ მიხედვით, სამცხის მმართველებს 1576 წლის 27 ივლისის შემდეგ, იმავე ზაფხულის სეზონში თეთრციხის გარეშემო არსებული სოფლები, ალბუტი და კამაროანი, მოურბევიათ. ამგვარი ღონისძიება აუცილებელი იყო იმისთვის, რომ კუნძულზე გამაგრებულ აჯანყებულებს,

<sup>90</sup> „მესხური მატიანე“, გვ. 43-44.

<sup>91</sup> ვ. გუჩუა, მ. სვანიძე. საქართველო XVI საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. IV. თბ. 1973, გვ. 125-126.

<sup>92</sup> „მესხური მატიანე“, გვ. 43-47.

რომლებიც შალიკაშვილების მხარეს იბრძოდნენ სურსათ-სანოვავე არ მიეღოთ. ყვარყვარეს მომხრეებს მოცემულ მომენტში არ შესწავლათ ძალა თეთრციხის აღების, რის გამოც ცდილობდნენ ციხის დამცველები ამგვარი გზით გაეტეხათ.

მოგვიანებით, იმავე „მესხური მატიანეს“ ცნობით, ციხესიმაგრეების ერთი ნაწილი კვლავ ათაბაგის დაქვემდებარებაში აღმოჩნდა. მათ შორის უნდა ყოფილიყო თეთრციხე, რომელიც სხვა სიმაგრეებთან ერთად ორი წლის შემდეგ ოსმალთა სერასქერის ლალა-ფაშას სამიზნე აღმოჩნდა.

„მესხური მატიანეს“ ავტორი თავის ნაწარმოებში შემდეგნაირად აღვიწერს თეთრციხის დაკარგვას:

მცხეთის №14 სამარხში აღმოჩენილი ქალისგამოსახულებიანი სკულპტურის დანახვისთანავე თვალშისაცემია ქალის მაღალი თმის ვარცხნილობა, რომელიც შეესაბამება ფლავიუსების დინასტიისა და ტრაიანეს პერიოდის არისტოკრატი ქალების თმის ვარცხნილობას, როდესაც გავრცელებას იწყებს ძალზედ მაღალი თმის ვარცხნილობა, რამდენიმე ხვეულის (კულული) სიმაღლის, რომელთა რაოდენობა ექვსამდეც კი აღწევდა. **ე.წ. ტუტულუსი (tutulus)**. მაგალითად, **ლომიცია ლონგინა** – ლომიციანეს მეუღლე? (სურ. 9, სან-ანტონიოს მუზეუმი, ტენასი, მარმარილო), **იულია – ტიტუსის ქალიშვილი** (სურ. 10, სანკტ-პეტერბურგი, ერმიტაჟი, ერთფენოვანი მწვანე პრაზერი). ფლავიუსების პერიოდის თმის ვარცხნილობის კლასიკურ ნიმუშს წარმოადგენს უცნობი არისტოკრატი ქალის მარმარილოს სკულპტურული ბიუსტი, რომელიც დაცულია რომში, კაპიტოლიუმის მუზეუმები (Palazzo Nuovo), მარმარილო და ახ.წ. 80-90-იანი წწ. (სურ.11). აღნიშნული თმის ვარცხნილობით ქალების გამოსახვა არც გლიპტიკის ნიმუშებისათვის არის უცხო. მაგალითად: ვენის ხელოვნების მუზეუმში დაცული ტრაიანეს მეუღლის **პომპეა პლოტინას** გამოსახულებიანი უფრო კვარცისაგან დამზადებული საბეჭდავი ბეჭედი (ახ.წ. II ს.) (სურ.12).

ე.წ. ტუტულუსის ვარცხნილობის მისაღებად თავზე თმა ორად იყოფოდა. პირველი ნაწილი წინ იყო წამოღებული, რომლიდანაც ზემოაღნიშნული

<sup>10</sup> О. Я. Неверов. Античные камеи. СПб. 1994, гв. 140-141, № 58. <http://ancientrome.ru/art/artwork/index.htm?id=282&pn=20&sp=11>

<sup>11</sup> ქალს ლამაზი სახე აქვს, ცხვირი – სწორი, ამაღლებული, ტუჩები შემსხვილებული, ნიკაპი – ოდნავ წინ წამოწეული. სიმაღლე ბიუსტიანად – 2.7 სმ, სიგანე – 1.6 სმ, ჩარჩოს დმ – 1.5X1.6 სმ. აღმოჩნდა მუცლის არეში.

<sup>12</sup> მცხეთა. X. თბ. 1995, გვ. 128-129 (128-133), სურ. 1075-1077, ტაბ. 1262.

ხვეულები მზადდებოდა. ხოლო მეორე ნაწილი უკან იყო წაღებული და დაწნული, რომელიც შეკრული იყო ბუბლიკის ფორმით.<sup>13</sup> აღრეანეს პერიოდიდან მოდაში ისევ დაბალი, ბრტყელი თმის ვარცხნილობა შემოდის და შემდეგ ერთიანი რომის იმპერიის პერიოდში ფლავიუსების პერიოდის თმის ვარცხნილობა არასოდეს ყოფილა მოდაში. თუმცა ფლავიუსებისა და ტრაიანეს პერიოდის თმის ვარცხნილობის გამოძახილს მაინც ვხვდებით აღრეანეს ეპოქაში. მაგალითად, ფიეზოლის არქეოლოგიურ მუზეუმში (Area archeologica di Fiesole) დაცულ ქალის ბიუსტს, რომელზეც აღრეანეს მეუღლე ვიბია საბინაა (85-137 წწ.) გამოხატული სწორედ ფლავიუსების სტილის ტუტულუსის ვარცხნილობა ამშვენებს (სურ.13).

მცხეთის მინიატურულ სკულპტურა-საკიდზე გამოსახული ქალბატონის თმის ვარცხნილობა სწორედ ფლავიუსებისა და ტრაიანეს იმპერატორობის პერიოდით შეიძლება დათარიღდეს. იგი ძალზედ წაგავს სანკტ-პეტერბურგში, სახელმწიფო ერმიტაჟში დაცულ ერთფენოვანი მწვანე პრაზერისაგან დამზადებულ ტიტუსის ქალიშვილის იულია ფლავიას მინიატურულ სკულპტურას (ახ.წ. II.)(სურ.10).<sup>14</sup> ჩვენი აზრით, მცხეთის მინიატურულ სკულპტურა-საკიდზე გამოსახული ქალბატონი ფლავიუსების ან ტრაიანეს – ულპიუსის (ანტონინუსების) საიმპერატორო გვარის წარმომადგენელი ქალბატონი შეიძლება იყოს.

რაც შეეხება სარდონისაგან დამზადებულ ბავშვების მცირე ზომის ბიუსტებს, რომლებიც ოვალური მოყვანილობის, ცრუგრეხილით შედგენილ, ძირგახსნილ, ყუნწიან ბუდეშია ჩასმული და ოქროს ყელსაბამი აქვთ შებმული (სურ.14,15,16).<sup>15</sup> მეცნიერთა აზრით, ასეთი ფორმის ბიუსტებზე რომლებიც ძვ.წ. I ს-დან იწყებს გავრცელებას, საიმპერატორო გვარის ბავშვებია წარმოდგენილი ამურის სახით. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იმეორებს კლეოპატრა VII მმართველობის პერიოდით დათარიღებული ერმიტაჟში დაცული გემა, რომელზეც მეცნიერთა ნაწილის აზრით, კლეოპატრა VII-ს და მარკუს

<sup>13</sup> E. Bartman. Hair and the Artifice of Roman Female Adornment. American Journal of Archaeology. Vol. 105. No. 1 (Jan. 2001), გვ. 1-25, <http://www.jstor.org/stable/507324>

<sup>14</sup> О. Я. Неверов. Античные камеи. СПб. 1994, გვ. 140-141, №58.

<sup>15</sup> ბავშვს შუბლი დაქანებული აქვს, ცხვირი სწორი, ტუჩები მსხვილი, ლოყები ფუნწულა. ნიკაპი წინ გამოწეული. თავზე ნაწნავი აქვს გამოსახული. ვარცხნილობა ხუთ ნაწილად არის გაყოფილი. ბიჭის გამოსახულება მაღალი რელიეფითაა გადმოცემული, წმინდა და ფაქიზი ნახელავია. სიმაღლე – 1,2 სმ, სიგანე – 1,2 სმ, წონა – 1,6 გრ. მეორე ბიუსტი პირველის ანალოგიურია, ოღონდ ყელზე, ქვემოთ, ბადისებური ნაჭდევებიანი გრილიანდაა გამოსახული. ბიუსტის გარშემო კიდებზე ორი ამოღარული ღრმული ემჩნევა. სიმაღლე – 1,2 სმ, სიგანე – 1,2 სმ, წონა – 1,71 გრ.

ანტონინუსისა და კეისრის საერთო შვილებია გამოსახული ამურის სახით.<sup>16</sup> სვეტონიუსის მიხედვით, რომაელებმა გადაიღეს ბერძნული ტრადიცია გამოსახათ თავიანთი გარდაცვლილი შვილები კუბიდონის ფორმით (Suet., Caius, 7). სახელმწიფო ერმიტაჟში დაცულია, ამურისგამოსახულებიანი მცირე ზომის პლასტიკის ნიმუში, რომელიც ფაუსტინა უმცროსისა და მარკუს ავრელიუსის გარდაცვლილი ვაჟის ანიუს ვერუსის (Annius Verus) გამოსახულებას წარმოადგენს (სურ. 17).<sup>17</sup> ჩვენი აზრით, მცხეთის №14 სამარხში დაცული მცირე ზომის პლასტიკის ნიმუშები „ამურის“ გამოსახულებით, საიმპერატორო გვარის წარმომადგენლის გარდაცვლილი შვილებია. **არ არის გამოცხადებული, რომ ეს ლუცილას გარდაცვლილი შვილები Aurelia Lucilla და Lucius Verus-ი იყვნენ.**

ამრიგად, კვლევის შედეგად დგინდება, რომ მცხეთის №14 სამარხში აღმოჩენილი ნივთები მჭიდრო კავშირშია რომის საიმპერატორო ფლავიუსებისა და ანტონინუსების გვართან. შესაძლებელი ხდება აკლდამაში დაფიქსირებული ზოგიერთი ნივთის თარიღის დაზუსტება. აკლდამა ეჭვგარეშეა, იბერიის სამეფო კარის ოჯახის წარმომადგენელ ქალბატონს ეკუთვნის, რომელსაც მჭიდრო კავშირი ჰქონდა რომის იმპერიის უმაღლეს წრეებთან. არტეფაქტების შესწავლის შედეგად დგინდება, რომ იბერიის პოლიტიკური ორიენტაცია ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში დასავლეთისკენ იყო მიმართული.

---

<sup>16</sup> О. Я. Неверов. Античные геммы в собрании Эрмитажа. Ленинград. 1988, გვ. 44-45; А. В. Колобов. Римская фалера из Пермского Приуралья. ВДИ. 1999. №1, გვ. 46-53.

<sup>17</sup> О. Я. Неверов. Античные камеи. СПб. 1994, გვ. 252-253, №114. <http://ancientrome.ru/art/rtwork/index.htm?id=282&pn=20&sp=11>.

ახალგაიხილეთ იხ.: Babelon. Catalogue des camées antiques et modernes de la Bibliothèque nationale (E. Leroux. 1897). № 198, ტაბ. 32, 2 (პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკა); G. Richter. Catalogue of Greek and Roman Antiquities in the Dumbarton Oaks Collection, Cambridge. 1956, ტაბ. V (პარიზი. ლუვრი); ტაბ. V. 14 (პარვარდის უნივერსიტეტი).

სურათები:



სურ. 1



სურ. 2



სურ. 3



სურ. 4



სურ. 5




სურ. 6



სურ. 7



სურ. 8



სურ. 9



სურ. 10




სურ. 11



სურ. 12





სურ. 13



სურ. 14



სურ. 15



სურ. 16



სურ. 17

*Marika Mshvildadze*

Associate Professor,  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

**OBJECTS FROM THE RICH TOMB №14 IN THE YARD OF  
SVETITSKHOVELI LINKED TO THE IMPERIAL FAMILY NAME OF  
FLAVIUS AND ANTONINUS**

Summary

Collation of the facts proves that in the first centuries A.D. Iberia was quite a powerful state, the interests of which had to be considered even by the Roman Emperors. Iberia was Rome's ally. Both countries, due to their interests had their own reasons for the alliance. The Iberian kings conducted a flexible foreign policy. Written sources along with the artefacts uncovered in Georgia lately point to the height of the relationship between Kartli's ruling circles and the Roman world in 1<sup>th</sup>-3<sup>rd</sup> centuries. The given fact finds its reflection in the objects discovered in tomb №14 in Svetitskhoveli.

The work is a thorough study of the pieces discovered in a rich tomb by the north-east wall of Svetitskhoveli Cathedral (tomb №14, dated by 3<sup>rd</sup> c. A.D.): 1. Golden coin pendants with the images of Faustina Junior and Lucilla; 2. Gold pendant, chalcedon bust with the woman's image, placed in an oval frame and adorned with the golden spiry necklace, the woman is clad in a wrinkled chiton (?); 3. Golden pendant (two pieces), portrait busts of the children, placed in a frame with the hanger. The mentioned materials are analyzed within historical framework.

Pieces uncovered in the tomb №14 in Mtskheta are closely linked to the Roman Flavian and Antonine imperial names.

The gold coin pendants bearing the images of Faustina Minor and Lucilla are, in our opinion, pendant-medallions, which used to be awarded as the prize by the Emperor to the Legionnaires for outstanding military achievements or to the trusted officials for faithful services. "Queen Ulpia" had to be closely related to

the Emperor, due to which she was given two pendant-medallions for certain merits. The medallions had to be crafted before 182/3 A.D. (Lucilla's death).

Cameo pendants, to be more precise, sculpture pendants (three sculptures of the women and two of the children) could be regarded as pieces of art. Figurines of similar shape are scarcely encountered in the world. Similar busts were used to adorn golden crowns, and were usually inserted into medallions. Relatively bigger ones were attached to the banners of the Roman legions.

Taking into account the style and shape of the image it could be concluded that the lady portrayed on the miniature sculpture – pendant – may be a representative of the Flavian or Ulpian imperial name. The children's plastic art samples (two pieces) probably are not the figurines of "Cupids". In our opinion they are the deceased children of the imperial family (they may be Lucilla's deceased children Aurelia Lucilla and Lucius Verus the Younger).

*ნინო სილაგაძე*

ასოცირებული პროფესორი, თსუ

**საღირას ციხის ეკლესია და თავისუფალი ჯვრის  
არქიტექტურული ტიპის განვითარების თავისებურებები  
ტაო-კლარჯეთის ხუროთმოძღვრებაში**

2015-2017 წლებში შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით განხორციელებული პროექტის „ტაო-კლარჯეთის ციხე-სიმაგრეები“ ფარგლებში ჩვენმა სამეცნიერო ექსპედიციამ შეისწავლა ხსენებულ რეგიონში არსებული შუა საუკუნეების დაახლოებით 120 ციხე-სიმაგრე. პროექტის მთავარ მიზანს საფორტიფიკაციო არქიტექტურის ნიმუშების შესწავლა, აზომვა, ფოტოფიქსაცია, მათთან დაკავშირებული ისტორიული წყაროების, ტოპონიმების და სხვ. კვლევა წარმოადგენდა, თუმცა ჩვენი თვალთახედვის არეში საკულტო არქიტექტურის ძეგლებიც ექცეოდა. ეს უმეტესად ციხე-სიმაგრეების ან მათ მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ეკლესიებია, რომელთა შესწავლა როგორც თავისთავადაა მნიშვნელოვანი, ასევე, ხშირ შემთხვევაში უტყუარ არგუმენტებს იძლევა საფორტიფიკაციო კომპლექსების დათარიღებისათვის.

ბევრი ასეთი ეკლესია აქამდე მეცნიერულად შეუსწავლელია. ერთ-ერთი ასეთია საღირას ციხის ეკლესია.

საღირას ციხე ართვინის პროვინციაში მდებარეობს, არტანუჯიდან სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით, მდინარე ტანძოთისწყლის (ულიგილინდერე) ხეობაში, სოფ. საქარიას (Sakarya) უშუალო საიხლოვეს, მისი ერთ-ერთი უბნიდან – კუნიადან – 500 მეტრის მანძილზე (ზღვის დონიდან 855 მ-ზე, ციხე-სიმაგრის კოორდინატებია N- 41°05'01.00"; E- 42°02'17.00"). თავად სოფელი მოიხსენიება 1574 წლის „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“. ის არტანუჯს ექვემდებარებოდა.<sup>1</sup>

---

<sup>1</sup> 1574 წლის გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი. ოსმალური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, შენიშვნებითა და ფაქსიმილებით გამოსაცემად მოამზადა ნოდარ შენგელიამ. თბ. 2016, გვ. 420.

**ნინო სილაგაძე. საღირას ციხის ეკლესია და თავისუფალი ჯვრის  
არქიტექტურული ტიპის განვითარების თავისებურებები ტაო-კლარჯეთის  
ხუროთმოძღვრებაში**

---

საღირას ციხე ერთ-ერთი გამორჩეულია კლარჯეთის საფორტიფიკაციო სისტემაში. ის პირველი სიმაგრეა ტანძოთისწყლის ხეობაში. საღირას ციხესა და არტანუჯს შორის პირდაპირი დამაკავშირებელი გზა არსებობს, არტანუჯი კი, როგორც ცნობილია, ვახტანგ გორგასლის დროიდან რეგიონის ადმინისტრაციულ და სტრატეგიულ ცენტრს წარმოადგენდა.<sup>2</sup>

ციხე საკმაოდ დიდი ზომისაა, თუმცა ამჟამად მხოლოდ ნანგრევების სახითაა შემორჩენილი. მათ შორისაა თავისუფალი ჯვრის ტიპის ეკლესიის ნაშთები.

საღირას ციხე პირველად თეიმურაზ ხუციშვილის ხელმძღვანელობით მოქმედმა სამეცნიერო ექსპედიციამ დააფიქსირა. მოკლე აღწერილობასთან ერთად გამოქვეყნდა საღირას ციხის რამდენიმე ფოტოსურათი და ექსპედიციის ერთ-ერთი წევრის, ლ. წიქარიშვილის, მიერ შესრულებული გეგმა<sup>3</sup> (სურ. 1).

პროექტ „ტაო-კლარჯეთის ქართული ციხე-სიმაგრეების“ სამეცნიერო ექსპედიციამ საღირას ციხე 2017 წლის 19-25 ივნისის ექსპედიციის ფარგლებში მონახულა. დაფიქსირებული მასალა საფუძველად დაედო მოცემულ სტატიას (სურ. 2, 3).

საღირას ციხის ეკლესიის დათარიღებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ციხე-სიმაგრის აგების თარიღის განსაზღვრისთვის. ციხე-სიმაგრე და მისი ეკლესია ერთ ქრონოლოგიურ მონაკვეთში უნდა იყოს აგებული.

ეკლესია პრაქტიკულად მხოლოდ გეგმის დონეზეა შემორჩენილი. მისი მოხაზულობის მიხედვით, შენობა თავისუფალი ჯვრის მარტივი ტიპისაა, არ აქვს საკურთხეველის აქეთ-იქით დამატებითი სათავსები, აფსიდს ასევე, არ გააჩნია ნიშები. სამი მკლავი – დასავლეთი, სამხრეთი და ჩრდილოეთი – მოკლე და თანაბარი ზომისაა, აღმოსავლეთის მკლავი მცირედით აღემატება დანარჩენებს. აფსიდი ფართო, ოდნავ ნალისებრი და ელიფსური მოხაზულობისაა, ექსტერიერში მისი ფორმა ჩაწერილია მკლავის სწორკუთხედში. კედლების მხოლოდ მცირე მონაკვეთი ამოდის მიწიდან ერთი მეტრის სიმაღლეზე, პერიმეტრის კედლების უდიდესი ნაწილი საძირკველის დონემდეა მოსწორებული. შემორჩენილ ფრაგმენტზე საპირის ქვები თითქმის სულ შემოდარცვულია.

---

<sup>2</sup> ჯუანშერ ჯუანშერიანი. ქართლის ცხოვრება. რედ. რ. მეტრეველი. თბ. 2008, გვ. 192.

<sup>3</sup> ტაო-კლარჯეთის ძეგლების 2015 წლის საკვლევი ექსპედიციების ანგარიში. თ. ხუციშვილი (ხელმძღვანელი), ლ. წიქარიშვილი, დ. მაისურაძე, ნ. არაბული, დ. გაჩეჩილაძე, ა. გელაშვილი, ბ. გოზალიშვილი, ა. იმედაშვილი, შ. კოლუაშვილი და ნ. ხუსკივაძე. თბ. 2016, გვ. 167-169.

ძეგლი განსაკუთრებით საინტერესო ჩანს იმით, რომ ტაო-კლარჯეთის არქიტექტურულ სკოლაში თავისუფალი ჯვრის მარტივი ტიპის ნიმუშები აქამდე იშვიათადაა დაფიქსირებული. მის გარდა, ჩვენთვის ცნობილ ერთადერთ ასეთ ნაგებობას ისტორიულ სამცხეში, ფოცხოვის ხეობაში მდებარე ყველის ციხის ეკლესია წარმოადგენს (სურ. 4). შენობა საღირაც ციხის ეკლესიის მსგავსია, მხოლოდ უფრო ვიწრო აღმოსავლეთის მკლავი და უფრო ღრმა, ნახევარწრიული მოხაზულობის აფსიდი აქვს პატარა ბემით. გეგმაში მისი ოთხივე მკლავი თანაბარზომიერია.<sup>4</sup> რადგანაც ყველის ციხის აგების თარიღთან დაკავშირებით მოგვეპოვება გარკვეული ისტორიული ცნობები,<sup>5</sup> მისი ეკლესიაც შეგვიძლია დაახლოებით IX-X სს-ით დავათარილოთ.

თავისუფალი ჯვრის, ანუ croix libre-ს ტიპის ეკლესიები ქართული შუა საუკუნეების ხუროთმოძღვრების განვითარების საწყის ეტაპებზე გვხვდება.<sup>6</sup> როგორც ამას მრავალი მკვლევარი აღნიშნავს, ეს ქრისტიანული გუმბათიანი არქიტექტურის ერთ-ერთ ყველაზე მარტივი და არქაული ტიპია, რომელიც საფუძვლად დაედო სხვა უფრო რთული ჯვრული გეგმარების გუმბათიანი კომპოზიციების ჩამოყალიბებას.<sup>7</sup> ასეთებია ქართლის და კახეთის ძეგლები ზეგანის წმ. მარინეს ეკლესია (V ს.), ერელანთ საყდარი (V-VI სს.), შიომღვიმე (VI ს.), იდელთის ნათლიმცემელი (VI ს.),<sup>8</sup> სამწევრისი (VII ს.), ატენის მცირე ეკლესია (VIII-IX სს.),<sup>9</sup> თრიალეთის ახალქალქის წმ. გიორგის ტაძარი (X-XI სს. მიჯნა)<sup>10</sup> (სურ. 5). ეს ძეგლები, საღირას ცი-

<sup>4</sup> ყველის ციხე და მისი ეკლესია შესწავლილია პროექტის „ტაო-კლარჯეთის ციხე-სიმაგრეები“ ფარგლებში, 2015 წლის ექსპედიციის დროს. გაკეთდა შემორჩენილი ფრაგმენტების ანაზომები, გეგმები, ჭრილები, მოხდა მათი ფოტოფიქსაცია.

<sup>5</sup> ვახუშტი ბაგრატიონი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ფაუხნიშვილის მიერ. ტ. IV. თბ. 1973, გვ. 665; მატთანე ქართლისა. ქართლის ცხოვრება. ტ. I, გვ. 263; ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი. ქართლის ცხოვრება. ტ. I, გვ. 319; არსებობს ასევე სტელა საქტიტორო წარწერით ყველის ციხიდან, რომელიც IX ს-ით თარიღდება. იხ. ქართული წარწერების კორპუსი. ლაბი-დარული წარწერები I. აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო V-X სს. შემდგენელი ნ. შოშიაშვილი. თბ. 1980, გვ. 134-135.

<sup>6</sup> Г. Чубинашвили. Вопросы истории искусства. т. I. Тб. 1970, გვ. 44-50.

<sup>7</sup> დ. ზოშტარია. კლარჯეთის ეკლესიები და მონასტრები. თბ. 2009, გვ. 160-161.

<sup>8</sup> ვ. ცინცაძე. იდელთის ნათლიმცემლის გუმბათიანი ეკლესია. ქართული ხელოვნება. ტ. 3. თბ. 1950, გვ. 3-10.

<sup>9</sup> ლ. რჩულიშვილი. ატენის მცირე გუმბათიანი ეკლესია. ქართული ხელოვნება. ტ. 1. თბ. 1942, გვ. 31-40.

<sup>10</sup> ნ. ჯაბუა. ქრისტიანული ტაძრის არქიტექტურული ტიპები შუა საუკუნეების საქართველოში. თბ. 2012, გვ. 94-103; რემინისცენციების სახით თავისუფალი ჯვრის ტიპის ნაგებობები გვხვდება გვიანი შუა საუკუნეების არქიტექტურაშიც (ტყვირი, ქორეთის უბანი, ზედა საქარის „გულბანდიანი“), თუმცა ამჯერად მათზე არ შევჩერდებით.

**ნინო სილაგაძე. საღირას ციხის ეკლესია და თავისუფალი ჯვრის  
არქიტექტურული ტიპის განვითარების თავისებურებები ტაო-კლარჯეთის  
ხუროთმოძღვრებაში**

---

ხის ეკლესიის მსგავსად, თავისუფალი ჯვრის ტიპის მარტივ ვარიანტს წარმოგვიდგენს, რომლის საკუროთხევლის ნაწილს არ გააჩნია პასტოფორიები. პასტოფორიების უქონლობა თავისთავად მიუთითებს ძეგლის არქაულობაზე, რადგანაც ქრისტიანული საკულტო არქიტექტურის განვითარების საწყის ეტაპზე, კულტმსახურების არსებული პრაქტიკის გამო, სამკვეთლოსა და სადაიკენესათვის ცალკე სათავსის გამოყოფა საჭირო არ იყო. თუმცა ზოგჯერ, გამონაკლისის სახით, ეკლესიები პასტოფორიების გარეშე გვხვდება გარდამავალ ხანაშიც და განვითარებული შუა საუკუნეების არქიტექტურაშიც, როგორც ამას ატენის მცირე ეკლესიის და თრიალეთის ახალქალაქის წმ. გიორგის ტაძრის მაგალითზე ვხედავთ. ეს ნიშანი – პასტოფორიების უქონლობა – ნაკლებად გასათვალისწინებელია ციხის ეკლესიების დათარიღებისას, რადგან ასეთი ტიპის ნებისმიერი ეპოქის ნიმუშს შეიძლება აკლდეს დამატებითი სათავეები საკუროთხევლის გვერდით: ამის მიზეზი უთუოდ ღვთისმსახურების გამარტივებული პრაქტიკაა, რომელიც შესაბამისობაში იყო მოყვანილი ციხე-სიმაგრეში მდგომი სამხედრო ნაწილების ცხოვრებასთან. კერძოდ, ასეთებია ჩვენი პროექტის ფარგლებში შესწავლილი კალმახის, კობის, გარყლობის, ფანჯურეთის, თეთრციხის, ალათარლას ზედა კომპლექსის, იგდელის, ღუთლუს, წევთას, საფაჯას, ნარიმანის, ქაჯის, უზუნდერეს, ბორჩხას ციხეების დარბაზული ეკლესიები (სურ. 6, 7). ამ ეკლესიებს არ აქვთ არც პასტოფორიები და არც ეკვდერები ან გალერეები.<sup>11</sup> რიგ შემთხვევაში პასტოფორიები არ გააჩნია გუმბათიან ტაძრებსაც (მაგ., ფარნაკი I-ის (IX ს.) (სურ. 8), ყველის ციხის ეკლესიებს). გასათვალისწინებელია ასევე ტაო-კლარჯეთის ხუროთმოძღვრების რეგიონალური თავისებურება – მასში პასტოფორიების არმქონე ძეგლები (როგორც გუმბათიანი, ისე უგუმბათო ეკლესიები) შედარებით მოგვიანო ხანაშიც ხშირად გვხვდება არა მხოლოდ ციხის ეკლესიებს შორის, არამედ სამონასტრო კომპლექსებშიც და დამოუკიდებლად არსებული საკულტო ნაგებობების შემთხვევაშიც. ასეთებია დარბაზული ეკლესიები ხანძთა (წყაროზე აგებული მცირე ეკლესია), პარენტა, ტაოსკარი II, ღორთქილისე I, იშხნის მცირე ეკლესია, ხახულის სამხრეთი კაპელა, ვაშლობი, ჯალა (ჭალა), სოხთორთი და სხვ. (IX-X სს.).<sup>12</sup> (სურ. 9); კუპელპალეებიდან პასტოფორიები არ გააჩნია ფარნაკი I-ის ციხის ეკლესიას<sup>13</sup>

<sup>11</sup> ზოგ შემთხვევაში საკუროთხევლს შეიძლება ჰქონდეს ნიშები.

<sup>12</sup> რიგ ძეგლებში აფხიდს შეიძლება ჰქონდეს ნიშები.

<sup>13</sup> ნ. გენგიური. ფარნაკის ციხის ეკლესია. საქართველოს სიძველენი. 3. თბ. 2003, გვ. 32-33.

და სოლომონ-ყალას (X ს-ის I ნახ.),<sup>14</sup> ტეტრაკონქებიდან სუხბენს (V-VI სს.) და ბანას მცირე ეკლესიას,<sup>15</sup> ტრიკონქებიდან დორთ-ქილისას, ბახჩალო-ყიშლასა და ორთულს (IX ს.) (სურ. 10).<sup>16</sup>

თუ დავუბრუნდებით ისევ საღირას ციხის ეკლესიის ტიპოლოგიას, როგორც უკვე ვთქვით, საინტერესოა, რომ მისი ანალოგიები, ანუ მარტივი სახის თავისუფალი ჯვრის ტიპის ეკლესიები, ტაოსა და კლარჯეთის პროვინციების არქიტექტურაში დღემდე დაფიქსირებული არ ყოფილა (იშვიათ შემთხვევას წარმოადგენს სამცხეში მდებარე ყველის ციხის ეკლესია). ტაო-კლარჯეთში გვხვდება *croix libre*-ს მხოლოდ გარკვეული სახეცვლილება, რომელსაც იშვიათად ვხვდავთ ჩვენი ქვეყნის სხვა რეგიონებში: ესაა ინტერიერში თავისუფალი ჯვრის ფორმის ეკლესია, რომელიც გართულებულია პასტოფორიებითა და გალერეებით. ასეთი გართულებული ვარიანტი ორია: ეკლესიები, რომლებსაც დამატებითი სათავსები ემატება მხოლოდ საკურთხევლის ნაწილში, და ეკლესიები, რომლებსაც მინაშენები გააჩნია ოთხსავე მხარეს.

პირველი ტიპის ნიმუშებს ვ. ბერიძე „ნახევრად თავისუფალ ჯვარს უწოდებს“.<sup>17</sup> ასეთებია ოპიზა (IX-X სს.), მიძნაძორი (830-840-იანი წლები),<sup>18</sup> ენი რაბათი (X ს.),<sup>19</sup> ექექი (X ს-ის 50-60-იანი წლები),<sup>20</sup> ჩანგლი

<sup>14</sup> ე. თაყაიშვილი. არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და სოფელ ჩანგლში 1907 წელს. პარიზი. 1938, გვ. 327.

<sup>15</sup> გამონაკლისს წარმოადგენს მუხლადგვილისი, რომელსაც მხოლოდ ერთი დამატებითი სათავსი აქვს. ამ შემთხვევაში არ განვიხილავთ ასევე ბობისფერის ტაძარსაც, რომელიც გამონაკლისს წარმოადგენს ტეტრაკონქის ტიპის ნაგებობებს შორის (იხ. ნ. ჯაბუა. ქრისტიანული ტაძრის არქიტექტურული ტიპები შუა საუკუნეების საქართველოში, გვ. 84-85).

<sup>16</sup> ამ ჩამონათვალში ინტერიერის სივრცული წყობის თავისებურების გამო არ შეგვეყვას მრავალაფსიდანი ტიპის ნაგებობები. მართალია, ზოგ მათგანში დამატებითი სათავსები არაა სახეზე (ოლთისი, ვოგიუბა), ზოგს საგანგებო ნიშები-სათავსები გააჩნია (კიადმის ალთი), მაგრამ რთულია იმის მტკიცება, რომ საკურთხეველის გვერდითა მკლავები პასტოფორიებად არ გამოიყენებოდა.

<sup>17</sup> ი. გვიგაიშვილი, ი. კოლბატაძე. ტაო-კლარჯეთი. თბ. 2004, გვ. 33.

<sup>18</sup> დ. ხოშტარია. კლარჯეთის ეკლესიები და მონასტრები, გვ. 162-163.

<sup>19</sup> ვ. ჯობაძე. ადრეული შუა საუკუნეების ქართული მონასტრები ისტორიულ ტაოში, კლარჯეთსა და შავშეთში. თბ. 2006, გვ. 90-96.

<sup>20</sup> ძეგლი ამჟამად განადგურებულია. იხ. Sh. Cantacusino. Georgian Churches in North-East Turkey. The Architectural Review. vol. CLVII. Jan. 1975, no. 935; ამჟამად სამეცნიერო ლიტერატურაში უარყოფილია ექექის 1007 წლით დათარიღება, რომელსაც იზიარებდა ზოგიერთი მკვლევარი მ. ბროსეს მიერ გამოცემული ბერძნული წარწერის საფუძველზე. იხ. M. Brosset. Inscriptions géorgiennes et autres, recueillies par le Père Nersès Sargisian. Memoires de l'Academie Imperiale des Sciences. VII-e serie. t. VIII. #10. S-Petersbourg. 1864, გვ. 12-14, ტაბ. 3a.



(XI სის I ნახ.).<sup>21</sup> მათ უახლოეს ტიპოლოგიურ პარალელს ქართლში და კახეთში იკვის (X-XI სს. მიჯნა),<sup>22</sup> ხოჭორნის (X ს.)<sup>23</sup> და კუნთურის (XI ს-ის დასაწყ.)<sup>24</sup> ტაძრები წარმოადგენს (სურ. 11). მათ გარდა, ტაო-კლარჯეთის არქიტექტურულ სკოლაში გვხვდება, ასევე, თავისუფალი ჯვრის გართულების მცდელობები ოთხივე მხარეს განლაგებული დამატებითი სათავსების საშუალებით. ასეთი ნაგებობის კორპუსი სწორკუთხა მონახულობას იძენს და ძალიან ჰგავს ჩახაზული ჯვრის, ანუ croix inscrite-ის კომპოზიციას. თუმცა ინტერიერში ამ უკანასკნელისაგან საკმაოდ განსხვავდება როგორც გუმბათქვეშა კონსტრუქციის მხრივ (croix libre-ში გუმბათი მკლავების კედლების შეყრის წერტილებს ეყრდნობა, croix inscrite-ში კი – თავისუფლად მდგომ ბურჯებს), ასევე, სივრცის წყობის თვალსაზრისით. როგორც დ. ხოშტარია აღნიშნავს, ამ ტიპის ნაგებობისათვის სამეცნიერო ლიტერატურაში სპეციალური ტერმინი არ არსებობს.<sup>25</sup> ასეთი ძეგლებია, მაგალითად, IX-X სს-ის არტანუჯის ეკლესია, დოლისყანისა (950-იანი წლები)<sup>26</sup> და დადაშენის ტაძრები (X ს.-XI ს-ის I ნახ.)<sup>27</sup> (სურ. 12).

დ. ხოშტარიას მართებული შენიშვნით, ორივე ეს ვარიანტი – ნახევრადთავისუფალი ჯვრის ტიპი და ოთხმხრივ სათავსებით გართულებული ტიპი – ძალიან დამახასიათებელია სამხრეთ საქართველოსთვის და, კონკრეტულად, კლარჯეთისათვის: კლარჯეთში IX-XI სს-დან შემორჩენილი 9 გუმბათიანი ეკლესიიდან 6 სწორედ ასეთია.<sup>28</sup>

ტაო-კლარჯეთის არქიტექტურას ზოგადად ახასიათებს, ასევე, გუმბათიანი ხუროთმოძღვრების ტიპების სინთეზირება, განსხვავებული კომპოზიცი-

---

<sup>21</sup> ე. თაყაიშვილი. არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და სოფელ ჩანგლში 1907 წელს, გვ. 78-86; გვ. დ. ხოშტარია. კლარჯეთის ეკლესიები და მონასტრები, გვ. 165-166.

<sup>22</sup> P. Шмерлинг. Купольный храм в Икви. Ars Georgica. 7a, Тб. 1971, გვ. 163-190.

<sup>23</sup> გ. გაგოშიძის მიხედვით, ხოჭორნის ეკლესია თავდაპირველად X ს-ში აიგო ქართული მრევლისათვის, შემდეგ ტაშირ-ძორაკერტის სამეფოს ეპოქაში სომხების ხელში გადავიდა. XI საუკუნეში დანგრეული ეკლესია აღადგინეს თავდაპირველი გეგმის მიხედვით. გ. გაგოშიძე. ხოჭორნის გუმბათიანი ეკლესია. ძეგლის მეგობარი №2 (97), თბილისი, 1997, გვ. 21-28.

<sup>24</sup> Г. Чубинашвили. Архитектура Кахетии. Тб. 1959, გვ. 407-411.

<sup>25</sup> დ. ხოშტარია. კლარჯეთის ეკლესიები და მონასტრები, გვ. 167.

<sup>26</sup> დ. ხოშტარია. კლარჯეთის ეკლესიები და მონასტრები, გვ. 169.

<sup>27</sup> ე. თაყაიშვილი. არქეოლოგიური მოგზაურობა კოლა-ოლთისში და სოფელ ჩანგლში 1907 წელს, გვ. 10-12; დ. ხოშტარიას აზრით, დადაშენის ტაძარი უფრო X ს-ის II ნახევრის ან XI ს-ის დასაწყისის უნდა იყოს. როგორც მკვლევარი აღნიშნავს, მისთვის ცნობილია ამ ნაგებობის მხოლოდ ერთი პარალელი – XVI ს-ის ზაგემის ეკლესია საინგილოში. იხ. დ. ხოშტარია. კლარჯეთის ეკლესიები და მონასტრები, გვ. 169-170.

<sup>28</sup> დ. ხოშტარია. კლარჯეთის ეკლესიები და მონასტრები, გვ. 168-172.

ური ელემენტების კომბინირება ერთი ნაგებობის ფარგლებში. Croix libre-ს ტიპის კომპოზიციის გართულება აქ მხოლოდ დამატებითი სათავსების და გაღერების საშუალებით არ ხდება, არამედ ჩახაზული ჯვრის ტიპის ელემენტებთან შეერთების ხერხითაც. მაგალითად, ტბეთის (X ს.), იშხნის (X-XI სს.) და ერუშეთის წყაროსთავის (IX ს.)<sup>29</sup> შემთხვევაში ექსტერიერში ჯვრული ფორმის კომპოზიცია croix inscrite-ის არქიტექტურული ტიპის ელემენტებით – თავისუფლად მდგომი გუმბათქვეშა ბურჯებითაა გართულებული.

ამრიგად, თავისუფალი ჯვრის არქიტექტურულმა ტიპმა ტაო-კლარჯეთში საკმაოდ რთული და საინტერესო განვითარება განიცადა IX ს-ის – XI ს-ის პირველი ნახევრის არქიტექტურაში,<sup>30</sup> თუმცა აქამდე რეგიონში არ იყო დაფიქსირებული ამ ტიპის ყველაზე მარტივი, არქაული, მისი ევოლუციის ამოსავალი ვარიანტი: კლასიკური სახის croix libre.

მიუხედავად იმისა, რომ ზემოთჩამოთვლილი მთელი რიგი ძეგლებისა (ოპიზა, დადაშენი, დოლისყანა, მიძნადორი, ენი რაბათი, ჩანგლი, ექექი) თავისუფალი ჯვრის არქიტექტურულ ტიპს წარმოგვიდგენს (თუმცაღა კომპოზიცია გართულებული დამატებითი სათავსებითა თუ გაღერებით), ისინი საკმაოდ განსხვავდება საღირას ციხის ეკლესიისაგან დიდი ზომით, განვითარებული გეგმით, კონსტრუქციული წყობით, თავისი, როგორც საეკლესიო-სამონასტრო ცენტრების, მნიშვნელოვნებით და სხვ. საღირას ციხის ეკლესიას ამ ძეგლების პირდაპირ ანალოგიად მხოლოდ გარკვეული კომპოზიციური და ტიპოლოგიური მსგავსების გამო ვერ მივიჩნევთ. მის ერთადერთ უახლოეს პარალელად ყველის ციხის ეკლესია გვესახება, რომელიც გეგმაში საღირას ციხის ეკლესიის თითქმის ანალოგიურია, ასევე, უახლოვდება მას ზომებით და დანიშნულებითაც (ორივე ციხე-სიმაგრის კომპლექსში არსებული მცირე ეკლესიაა), და, სავარაუდოდ, ერთ პერიოდშია აგებული.

<sup>29</sup> ვგულისხმობთ ამ ძეგლის რეკონსტრუქციის შემდგომ სახეს, რადგან, როგორც ცნობილია, ნაგებობა თავდაპირველად ბაზილიკას წარმოადგენდა და მოგვიანებით გადაკეთდა გუმბათიან ტაძრად.

<sup>30</sup> როგორც დ. ზომტარია აღნიშნავს, ეს თემა მართლაც ნაყოფიერი გამოდგა IX–XI სს-ს ქართულ ხუროთმოძღვრებაში, თუმცა XI ს-ის მერე ეს ტიპი იშვიათად გვხვდება. იხ. დ. ზომტარია. კლარჯეთის ეკლესიები და მონასტრები, გვ. 167; გამონაკლისის სახით მარტივი თავისუფალი ჯვრის ტიპის ნაგებობებს ვხვდებით უმეტესად დასავლეთ საქართველოს პროვინციულ სკოლებში XV-XVI სს-ში (ტყვირი, ქორეთის უბანი, ზედა საქარის „გულბანდიანი“) და XIX ს-ში (მრავალძალის წმ. გიორგის ეკლესია), იხ. გ. ბოჭორიძე. რაჭა-ლეჩხუმის ისტორიული ძეგლები და სიძველეები. თბ. 1994, გვ. 202-203; ზ. სხირტლაძე. მრავალძალის წმ. გიორგის ეკლესია. ჟურნ. „ძეგლის მეგობარი“. №60. თბ. 1982, გვ. 40-42.

**ნინო სილაგაძე. საღირას ციხის ეკლესია და თავისუფალი ჯვრის  
არქიტექტურული ტიპის განვითარების თავისებურებები ტაო-კლარჯეთის  
ხუროთმოძღვრებაში**

---

ჩვენი აზრით, უფრო სწორია ვივარაუდოთ, რომ საღირას ციხის მცირე ეკლესია ყველის ციხის ეკლესიასთან ერთად ტაო-კლარჯეთში თავისუფალი ჯვრის ტიპის ევოლუციის საწყის რგოლს წარმოადგენს.

ჯვრული გეგმარების ეკლესიები ტაო-კლარჯეთში კიდევ ერთი ნიმუშით შეიძლება დავეთო: წაგრძელებული და მეტ-ნაკლებად კვადრატს მიახლოებული კორპუსის მქონე, ლათინური და ბერძნული ჯვრის ფორმის ნაგებობები. IX-XI სს-ში აგებული თავისუფალი ჯვრის გართულებული ვარიანტებიდან უმეტესობას დასავლეთ-აღმოსავლეთ ღერძზე წაგრძელებული გეგმარება, ლათინური ჯვრის ფორმა აქვს: ასეთებია ოპიზა, დოლისყანა, მიძნადორი, ენი რაბათი.<sup>31</sup> მეტიც, ზოგადად რეგიონის გუმბათიან არქიტექტურაში ლათინური ჯვრის მოხაზულობის კორპუსი სჭარბობს (ხანძთა, ისი, ბაღჩალო-ყიშლა, დორთ-ქილისა, ზეგანი, ოშკი, იშხანი, ხახული).<sup>32</sup>

კვადრატთან და ტოლმკლავა ჯვართან მიახლოებული გეგმარება ტაო-კლარჯეთში ხსენებულ ეპოქაში შედარებით იშვიათია.<sup>33</sup> ასეთი ფორმა აქვს დადაშენის (ძეგლის კორპუსის კვადრატულ მოხაზულობას მხოლოდ საკუთრხველის აფსიდის შვერილი არღვევს), ექექის და ჩანგლის<sup>34</sup> ტაძრებს, ისევე, როგორც მათ უხლოეს პარალელებს ქართლსა და კახეთში – კუნთურს, ხოჟორნასა და იკვს. თუმცა უკანასკნელს – იკვის ტაძარს – უფრო გაზრდილი აღმოსავლეთის ნაწილი ახასიათებს, რაც გარკვეულწილად არღვევს მისი გეგმის ცენტრულობას.<sup>35</sup> ჩვენი აზრით, შესაძლებელია საღირას და ყველის ციხის ეკლესიები სწორედ დადაშენის, ექექის და ჩანგლის ევოლუციურ მწკრივში დავაყენოთ როგორც ყველაზე გამარტივებული, უბრალო ციხის ეკლესიის მოთხოვნებთან შესაბამისი ვარიანტი.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ თუმცაღა მარტივი თავისუფალი ჯვრის ტიპის უპასტოფორიო ეკლესიების უმეტესობა საქართველოში მარ-

---

<sup>31</sup> დ. ხოშტარია. კლარჯეთის ეკლესიები და მონასტრები, გვ. 177-178.

<sup>32</sup> მხედველობაში გვაქვს ნახევრადთავისუფალი ჯვრის, ტრიკონქის, ჩახაზული ჯვრის ტიპის ნაგებობები და მათი სინთეზური ვარიანტები. ამ შემთხვევაში არ ვგულისხმობთ ტეტრაკონქებსა და მრავალაფსიდიან ტაძრებს, რადგან ამ არქიტექტურულ ტიპებს თავისთავად ახასიათებს გეგმის ცენტრულობა.

<sup>33</sup> საინტერესოა, რომ ტრიკონქების ტიპის ნაგებობებიდან ერთადერთ გამონაკლისს ტაო-კლარჯეთში ორთულის ეკლესია წარმოადგენს, რომლის გეგმა მეტ-ნაკლებადაა მიახლოებული ტოლმკლავა ჯვრის ფორმასთან.

<sup>34</sup> J.-M Thierry. çengelli-kilise. Bédi Kartlisa. Revue de kartvelologie. XXII-XXIV. Paris. 1967, გვ. 177-183.


<sup>35</sup> მსგავსი ტიპის ნაგებობები სომხურ ხუროთმოძღვრებაშიც გვხვდება – ესაა VII ს-ის მაინანის, სასუნიკისა და კომის ეკლესიები. იხ. დ. ხოშტარია. კლარჯეთის ეკლესიები და მონასტრები, გვ. 168-169.

თლაც V-VII სს-შია აგებული,<sup>36</sup> ტაო-კლარჯეთის არქიტექტურული სკოლის ზოგიერთ ნიმუშს ახასიათებს პასტოფორიების უქონლობა მოგვიანო ეპოქაშიც, თვით IX და ზოგჯერ X ს-ის დასაწყისის ძეგლებშიც კი. კიდევ უფრო დამახასიათებელია დამატებითი სათავსების უქონლობა ციხის ეკლესიებისათვის. ყოველივე ეს კი არ გამორიცხავს საღირას ციხის ეკლესიის აგების შესაძლებლობას IX ს-ში ან X ს-ის I ნახევარში. დაახლოებით ამ ეპოქაშია აგებული, ასევე, მისი უახლოესი პარალელი – ყველის ციხის ეკლესია, რომლის დათარიღებისათვის ისტორიული ცნობები საკმაოდ მოგვეპოვება. ასევე, საგულისხმოა, რომ ვინაიდან გართულებული ჯვრული გეგმარების ეკლესიები რეგიონში, ძირითადად, IX-XI სს-ში იქმნებოდა, მარტივი თავისუფალი ჯვრის ტიპის საღირას ციხის ეკლესია სავსებით შეიძლება მათ წინამორბედ ძეგლად მივიჩნიოთ. ამრიგად, შესაძლებელია, რომ საღირას ციხის ეკლესია კონკრეტულად IX ს-შია აგებული. ეს ჰიპოთეზა ასევე არ მოდის წინააღმდეგობაში თავად ციხე-სიმაგრის აგების სავარაუდო თარიღთან. ამ პერიოდში, როგორც ცნობილია, იზრდება არტანუჯის ციხე-ქალაქის, როგორც რეგიონის სტრატეგიული და ადმინისტრაციული ცენტრის, მნიშვნელობა. სავარაუდოა, რომ საღირას ციხეც, როგორც არტანუჯის საფორტიფიკაციო სისტემაში შემავალი ერთეული, სწორედ IX ს-ში აიგო (ან გაფართოვდა, რეკონსტრუქცია განიცადა) და ამავე პერიოდს განეკუთვნება ციხის ეკლესიაც.

---


<sup>36</sup> ნ. ჯაბუა. ქრისტიანული ტაძრის არქიტექტურული ტიპები შუა საუკუნეების საქართველოში, გვ. 97.

სურ. 1



საღირას ციხის გეგმა ლ. წიქარიშვილის მიხედვით

სურ. 2



სადირას ციხის ფრაგმენტები და ეკლესია.  
გეგმა და ჭრილი გ. ბაგრატიონისა

ნინო სილაგაძე. საღირას ციხის ეკლესია და თავისუფალი ჯვრის  
არქიტექტურული ტიპის განვითარების თავისებურებები ტაო-კლარჯეთის  
სუროთმოდერებაში

---

სურ. 3




საღირას ციხის ეკლესიის ფრაგმენტი



ხედი საღირას ციხიდან ტანძოთისწყლის ხეობაზე




სურ. 4








სურ. 5





ილეთის ნათლიმცემელი  
 ვ. ციციძის მიხედვით




შიომღვიმეს ეკლესია  
 ვ. ბერიძის მიხედვით




ერელანთ საყდარი  
 ლ. რჩულიშვილის და  
 ნ. ჩუბინაშვილის მიხედვით



სამწევრისის ეკლესია  
 ნ. სევეროვის მიხედვით



სურ. 6




ნინო სილაგაძე. საღირას ციხის ეკლესია და თავისუფალი ჯვრის  
არქიტექტურული ტიპის განვითარების თავისებურებები ტაო-კლარჯეთის  
სუროთმოდგერებაში

სურ. 7


პალმასი. II ეკლესიის ფრილი




პალმასი. II, III და IV ეკლესიის გეგმა



ნაფთის ციხე  
გეგმა




უპუნდრას ციხის გეგმა



გეგმები გ. ბაგრატიონისა

სურ. 8


ფარნაკი I




გეგმა გ. ბაგრატიონისა

ნინო სილაგაძე. საღირას ციხის ეკლესია და თავისუფალი ჯვრის არქიტექტურული ტიპის განვითარების თავისებურებები ტაო-კლარჯეთის სუროთმოდერებაში


სურ. 9




სურ. 10



ბაღჩალო-ყიშლა




ღორთ-ქილისე



ორთული


ნინო სილაგაძე. საღირას ციხის ეკლესია და თავისუფალი ჯვრის  
 არქიტექტურული ტიპის განვითარების თავისებურებები ტაო-კლარჯეთის  
 სუროთმოდერებაში

სურ. 11



დამატებით სათავსიანი ჯვრული ეკლესიების გეგმები  
 დ. ხოშტარიას მიხედვით

სურ. 12



დადაშენის ტაძარი



*Nino Silagadze*

Associate Professor,  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

**THE CHURCH OF FORTRESS SAGIRA  
AND THE DEVELOPMENTAL CHARACTERISTICS  
OF *CROIX LIBRE* IN TAO-KLARJETI**

Summary

In 2015-2017 the research project team “Georgian Castles and Fortifications in Tao-Klarjeti” supported by Shota Rustaveli National Science Foundation has studied more than 100 medieval Georgian fortifications located in the southern provinces of Georgia - Tao-Klarjeti. Main goal of the project was the measurement, photo and video fixation of architectural monuments. Most important part of the research was also the study of the historical sources concerning these monuments. Besides the ruins of castles, keeps and ramparts, the object of our consideration were the samples of sacred architecture too. Many of them have not yet been studied by the scholars. These are the churches and chapels inside or nearby the fortified architectural complexes. They served the local garrison quartered in the fortresses, the inhabitants of the feudal residences and, in some cases, the local community of nearby villages too. This research proved to be very important: besides their evident value, in some cases, the pattern of religious architecture are the only arguments for establishing the dating of castles.

One of these churches is the small cross-shaped, domed church in the fortress of Sagira, of architectural type called in the scientific literature as *croix libre*. Unfortunately, like the great part of the Georgian medieval monuments in Turkey, the small church and the fortress itself is completely destroyed.

The ruins of Sagira fortress are located not far from the medieval fortified town of Artanuji, which was an administrative center and the stronghold of the Klarjeti province. Sagira fortress was evidently the part of its defensive system. The church is outstanding as it is the only known building of simple *croix libre* in the region. Concerning our research, we have dated it by the 9<sup>th</sup> c. and considered it as the starting point of the evolution of numerous more complicated cross-shaped buildings of Tao-Klarjeti built in 9<sup>th</sup>-11<sup>th</sup> cc.

*ევგენი ჭანიშვილი*

ოსუ

### თბილისის ამირათა ისტორია ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით

ქართული სამეფოებისგან განსხვავებული გზა განვლო იმ პოლიტიკურმა ერთეულმა, რომელიც თბილისის საამიროს<sup>1</sup> სახელით არის ცნობილი. როგორც ცნობილია, მურვან ყრუს ლაშქრობის შემდეგ, ქართლში არაბი მოხელის, ამირას ხელისუფლება დამკვიდრდა. თბილისის საამიროს სამი მმართველი დინასტია განაგებდა: შუბიანთა, შაბანიანთა და ჯაფარიანთა. მათგან საკუთარი სახელით მოჭრილი მონეტები მხოლოდ ჯაფარიანებმა დაგვიტოვეს. აღნიშნული დინასტიის მმართველთა სახელების და მათი ზეობის წლების უმეტესობას სწორედ ნუმიზმატიკური მასალები გვაძინებს. X საუკუნის დასაწყისიდან უკვე ნათელია არაბთა სახალიფოს დაკნინება და სწორედ ამ პერიოდიდან თბილისის ამირები სახალიფოსადმი ურჩობას იწყებენ და თბილისურ დირჰამებზე ხალიფას სახელთან ერთად საკუთარ სახელებსაც ათავსებენ. ჩვენი მიზანია ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით განვიხილოთ პოლიტიკური ვითარება და ყველა ის ისტორიული პირი, რომელიც განაგებდა თბილისის საამიროს და რომელთა მოღვაწეობაც მნიშვნელოვანი იყო არაბთა ბატონობის პერიოდის თბილისის ისტორიისთვის.

თბილისის პირველი ამირა, რომელმაც თბილისში საკუთარი სახელით მონეტა მოჭრა, მანსურ ბ. ჯაფარი იყო. მანსურ ბ. ჯაფარის დირჰამი (სურ. 3) 342 წლის ჰიჯრით (953/54) არის დათარიღებული, მაგრამ ამირა მანსური არ იყო პირველი არაბი, რომელმაც საკუთარი სახელით და ამირას ტიტულით თბილისში მოჭრა მონეტა. როგორც აღმოჩნდა, ჯერ კიდევ ორი საუკუნით ადრე მერვან ბ. მუჰამადის (ქართული წყაროებით მურვან ყრუს) საქართველოში გამანადგურებელი ლაშქრობის შემდეგ (735-737 წლებში),

---

<sup>1</sup> საქართველოს ისტორია. ტ. II. თბ. 2012, გვ. 223.


მან თბილისის ზარაფხანაში გამოუშვა ფელსების საკუთარი ემისია (სურ. 1).  
ვიძლევეთ ფელსის აღწერილობას:



სურ. 1

შუბლი:	لا اله الا الله	არ არს ღმერთი გარდა ალლაჰისა
ირგვლივ:	بسم الله ضرب هذا الفلوس بتفليس خاز	სახელითა ალლაჰისა იჭე- და ეს ფელსი თფილისს
ზურგი:	محمد رسول الله	მუჰამადი მოციქულია ალლაჰისა
ირგვლივ:	مما امر به الامير مروان بن محمد هذا الفلوس	ეს ფელსი რომელიც არის ამირა მარვან იბნ მუჰამა- დის

ვიძლევეთ ასევე აღნიშნული ფელსის რეკონსტრუქციას (სურ. 2):



სურ. 2

აღნიშნული მონეტა ტიუბინგენის უნივერსიტეტის ისლამური ნუმისმატიკის კვლევითი ცენტრის ნუმისმატიკურ კოლექციაში ინახება.<sup>2</sup> იგი საქართველოში პირველად გამოაქვეყნა და აღწერა ი. ფალავამ.

ეს ფელსი მასზე დატანილი ლეგენდებისა და კალიგრაფიის სტილით ომაიანთა ხანის ფელსებს განეკუთვნება. შესაბამისად ეს ფელსი სწორედ მურვან ყრუს უკავშირდება, მართალია ომანიდური ფელსების უმრავლესობა ანონიმურია და რომელიმე კონკრეტული ამირას ან ხალიფას სახელს იშვიათად ატარებს, მაგრამ მერვან ბ. მუჰამადის სახელით ფელსები ასევე ქალაქ ალ-ბაბშიც იჭრებოდა.

მერვან ბ. მუჰამადი შემდგომში ომაიანთა დინასტიის ბოლო ხალიფა მერვან II, სამხრეთ კავკასიაში 732/33 წლებში გამოიგზავნა სალაშქროდ და სამართავად, ხოლო საქართველოში 735/36 წლებში ილაშქრა. შესაბამისად აღნიშნული ფელსის ემისია 735-744 წლების შუალედში უნდა განხორციელებულიყო, რადგან 744 წლიდან მერვან ბ. მუჰამადი უკვე ხალიფა ხდება. ჩვენ დანამდვილებით არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მურვან ყრუ თბილისის პირველი ამირა იყო, მაგრამ ეს ფელსი არის პირველი ეპიგრაფიკული ძეგლი, სადაც ტიტული ამირა და სიტყვა თბილისი ერთად გვხვდება, ხოლო წყაროებიდან ჩვენ ვიცით, რომ ქართლში არაბი მოხელის, ამირას ინსტიტუტი სწორედ მურვან ყრუს ლაშქრობის შემდეგ დაარსდა.

<sup>2</sup> Forschungsstelle für islamische numismatic. Tübingen. AM 10B3.

დაკუბრუნდეთ ჩვენს მიერ ზემოთ ხსენებულ ჯაფარიანთა დინასტიის ამირებს. IX საუკუნიდან მოყოლებული, როდესაც სახალიფოში რთული შიდაპოლიტიკური ვითარება შეიქმნა, თბილისის ამირები გარკვეული სახის ურჩობაზე წასვლას და ავტონომიის დამკვიდრებას ცდილობდნენ. ამის ნათელი მაგალითია ბუღა თურქის 853 წლის სადამსჯელო ექსპედიცია თბილისის ამირა ისჰაკ იბნ-შუაბის (ქართულ წყაროებში ცნობილი როგორც საჰაკი) წინააღმდეგ და 914 წლის იუსუფ იბნ აბუ ლ-საჯის (საქართველოში ცნობილი როგორც აბულ ლ-კასიმის) ექსპედიცია. თუმცა X საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული ჯაფარიანი ამირები არ ერიდებიან თბილისში მოჭრილ მონეტებზე ხალიფის სახელის გვერდით საკუთარი სახელის განთავსებას, რაც საქართველოში ხალიფას პოზიციების საბოლოოდ შესუსტებაზე მიანიშნებს.

მანსურ ბ. ჯაფარი ამირა პირველი იყო, რომლის სახელითაც მოჭრილი თფილისური დირჰამები (სურ. 3) შემოგვრჩა, რომლის არსებობაც მხოლოდ ნუმიზმატიკური მასალებით არის დადასტურებული. მისი სახელით მოჭრილი დირჰამი 342 (953/54 წწ.) და 343 (954-55 წწ.) წლების ჰიჯრით არის დათარიღებული და მანსურის სახელი ხალიფა ალ-მუჰტი ლილლასის სახელთან ერთად არის დატანილი. ჯაფარიანთა ნუმიზმატიკურ ისტორიაში 343 წლის ემისიის დირჰამი იყო პირველი მონეტა, რომელიც აღიწერა.<sup>3</sup> იგი აღმოჩენილ იქნა ქ. მინსკთან ახლოს 1871 წელს სხვა არაბულ მონეტებთან ერთად.



სურ. 3

შემდეგი თბილისის ამირა, რომელსაც საკუთარი სახელით აქვს მოჭრილი მონეტა, რომლის არსებობაც ასევე ნუმიზმატიკური მასალებით არის

<sup>3</sup> Е. А. Пахомов. Монеты Грузии. Тб. 1970, кк. 47.

დადასტურებული ჯაფარ II ბ. მანსურია. მისი სამონეტო ემისიები (სურ. 4) ცნობილია ჰიჯრის 364 (974/75 წწ.), 366 (976/77 წწ.), 367 (977/78 წწ.) და 370 (980/81 წწ.) წლებით. აქაც ჯაფარის სახელთან ერთად დატანილია ხალიფა აბ-ტაი ლილლაჰის სახელი.



სურ. 4

ჯაფარიანთა ხანის ნუმიზმატიკურ მასალებში ერთ-ერთი რეფორმისეული ადგილი უჭირავს ამირა ალი ბ. ჯაფარის სამონეტო ემისიებს (სურ. 5). აღსანიშნავია, რომ უკვე მეათე საუკუნის ბოლოსკენ საამიროში იწყება ვერცხლის ხარისხის მზარდი გაფუჭება, შესაბამისად ღირჰამების წონითი და ზომითი ერთეულებიც იცვლება.<sup>4</sup> თუ აქამდე არაბული ღირჰამები მრგვალი მოყვანილობის იყო ამ პერიოდიდან უკვე სხვადასხვა ზომის მონეტების მოჭრა ხდება. აღნიშნულ ფაქტს კარგად აჩვენებს 1953 წელს ძველი თბილისის, მეტეხის ხიდის მახლობლად აღმოჩენილი ალი ბ. ჯაფარის მონეტათა მოზრდილი განძი. მისი სახელით მოჭრილი პირველი მონეტა 386 წლის ჰიჯრით (996/97 წწ.) არის დათარიღებული, ხოლო უკანასკნელი 418 წლით (1027/28 წწ.). მისი მმართველობის პერიოდში, 386-418 წლების შუალედში, რამოდენიმე სამონეტო ტიპი შეიძლება გამოიყოს. ჩვენ განვიხილავთ ალი ბ. ჯაფარის ძირითად ემისიებს.

<sup>4</sup> დ. კაპანაძე. ქართული ნუმიზმატიკა. თბ. 1969, გვ. 54-56.



სურ. 5

აღსანიშნავია რომ, 386 წლის ჰიჯრის დირჰამი უკვე საკმაოდ დაბალი ხარისხის ვერცხლით არის მოჭრილი. ალი ბ. ჯაფარი მისი წინამორბედების მსგავსად საკუთარ სახელთან ერთად ხალიფას სახელსაც ათავსებს, მის სამონეტო ემისიები ორი სხვადასხვა ხალიფას ზეობას ემთხვევა. შესაბამისად ალის სახელთან ერთად დატანილია ხალიფების აბ-ტაი ლილლაჰის და ალ-კადირ ბილლაჰის სახელები. 386 წლის ჰიჯრის გარდა ცნობილია მის მიერ მოჭრილი 394 ან 404 წლის ჰიჯრის დირჰამი (ზუსტი თარიღის დადგენა შეუძლებელია მონეტის შენახულობიდან გამომდინარე), ასევე 413 (1022/23 წწ.) წლის და 418 (1027/28 წწ.) წლის დირჰამები. თუმცა ბოლო კვლევებით აღმოჩნდა ალი ბ. ჯაფარის კიდევ ერთი ახალი სამონეტო ტიპი (სურ. 6), რომელიც შიდა ქართლში იქნა აღმოჩენილი და აქამდე აღწერილი არ იყო. მონეტა თარიღდება 408 (1017/18 წწ.) წლის ჰიჯრით და ამირას სახელთან ერთად აქაც დატანილია ხალიფას სახელი – ალ-კადირ ბილლაჰი.



სურ. 6

ზაზგასასმელია ის ფაქტი, რომ მონეტას სრულად აქვს შერჩენილი თარიღი და ზარაფხანის ადგილი (თბილისი), რითაც ჩვენ ალი ბ. ჯაფარის კიდევ ერთი აქამდე უცნობი მონეტა გამოვავლინეთ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 408 წლის ღირჰამსაც ეტყობა ვერცხლის სინჯის გაუარესება, რაც კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს, რომ ამ პერიოდში თბილისის საამიროში მძვინვარებდა ეკონომიკური კრიზისი და გაჭირვება, რასაც თავისთავად ხელს უწყობდა თბილისის საამიროს სრული გეოგრაფიული იზოლაცია სხვა ქართული სამეფო სამთავროების მიერ. ვიდრე ვით ასევე მონეტის რეკონსტრუქციას (სურ. 7):



სურ. 7

ვიძლევიტ ახალ ცხრილს, რომელიც შეიცავს ჯაფარიან ამირათა მიერ გამოშვებულ ძირითად სამონეტო ემისიებს:<sup>5</sup>

	ამირა/ხალიფა	წონა	ზომა	ლითონი	თარიღი
1	მანსურ იბნ ჯაფარი; ალ-მუტი ლილ-ლაჰი	3,53 გრ.	29-31 მმ.	ვერცხლი	342 (953/54)
2	მანსურ იბნ ჯაფარი; ალ-მუტი ლილ-ლაჰი	2,5-3,12 გრ.	30-31 მმ.	ვერცხლი	343(954/55)

<sup>5</sup> თ. დუნდუა, გ. დუნდუა. ქართული ნუმიზმატიკის კატალოგი. II ნაწილი. თბ. 2014, გვ. 124-125.



ვეგენი ჭანიშვილი. თბილისის ამირათა ისტორია  
ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით

3	ჯაფარ იბნ მან-სური; ატ-ტაი ლილ-ლაჰი	2,76-3,51 გრ.	28 მმ.	ვერცხლი	364 (974/75)
4	ჯაფარ იბნ მან-სური; ატ-ტაი ლილ-ლაჰი	2,67 გრ.	29 მმ.	ვერცხლი	366 (976/77)
5	ჯაფარ იბნ მან-სური; ატ-ტაი ლილ-ლაჰი	2,18 გრ.	19-20 მმ.	ვერცხლი	367 (977/78)
6	ჯაფარ იბნ მან-სური; ატ-ტაი ლილ-ლაჰი	2,10-3,04 გრ.	26-28 მმ.	ვერცხლი	370 (980/81)
7	ალი იბნ ჯაფარი; ატ-ტაი ლილ-ლაჰი	3,84-4,62 გრ.	27-28 მმ.	ვერცხლი	386 (996/97)
8	ალი იბნ ჯაფარი; ალ-კადირ ბილ-ლაჰი	4,12 გრ.	23 მმ.	ვერცხლი	394 (1003/04) ან 404 (1013/14)
9	ალი იბნ ჯაფარი; ალ-კადირ ბილ-ლაჰი	3,2 გრ.	22 მმ.	ვერცხლი	408 (1017/18)
10	ალი იბნ ჯაფარი; ალ-კადირ ბილ-ლაჰი	3,4-5,29 გრ.	22-28 მმ.	მოვერცხლილი	413 (1022/23)
11	ალი იბნ ჯაფარი; ალ-კადირ ბილ-ლაჰი	3,94-6,36 გრ.	23-27 მმ.	მოვერცხლილი	418 (1027/28)

*Evgeni Chanishvili*

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

## **THE HISTORY OF EMIRS OF TBILISI ACCORDING TO NUMISMATIC MATERIALS**

### Summary

The first coin of emirs of Tbilisi was struck in A.H. 342 (953-954) during the rule of emir Mansur b. Ja'far. However, he was not the first Arab who struck his own coins at Tbilisi mint. Even two centuries earlier Marwan bin Muhammad (later known as Faliph Marwan II) released Arabic copper coins with his name (pic. 1). That coin by its calligraphy and its Islamic legend belongs to the coin group struck by the Umayyad Faliphate. Thus we can assume that the coin is related to Marwan bin Muhhamad, the last Faliph of Umayyad Faliphate.

Marwan bin Muhammad invaded Georgia in 735-737 and in 744 he became Faliph. Thus, this coin could have been struck in 735-744. We cannot say for sure that Marwan bin Muhammad was the first emir of Tbilisi, but that coin is the first epigraphic monument where the title "Emir" and the word "Tbilisi" are mentioned together. Moreover, we also know that the institution of Emir in Kartli was founded after the conquests of Marwan bin Muhammad.

As to the coins of Ja'farid emirs of Tbilisi, we mentioned that the first emir who struck the coin with his own name was Mansur bin Ja'far (pic. 3), whose ruling is known only through the numismatic sources, as is the case with his successor Ja'far b. Mansur (pic. 4).

The emission occupies an important place in the coinage of the Ja'farid dynasty. Under the rule of emir 'Ali b. Ja'far began the so called "silver crisis" and the dirhems became silver plated. So far we have known only four emissions of 'Ali b. Ja'far, but in this paper we showed that there also existed his yet another emission. That coin (pic. 6) was struck in A.H. 408 (1017/1018) and was not known before. As we mentioned, the quality of silver in that coin is low and it means that in that period in Tbilisi there was an economic crisis caused by almost complete isolation of Tbilisi Emirate by other Georgian kingdoms.

*ნესტან სულავა*

ასოცირებული პროფესორი, თსუ

**წმ. გიორგი შეყენებული/დაყუდებული-შავმთელი – მოღვაწე,  
ჰიმნოგრაფი, ჰაგიოგრაფიული თხზულების პერსონაჟი**

ქართველი მკითხველი წმ. გიორგი შეყენებულს, უწინარეს ყოვლისა, იცნობს როგორც წმ. გიორგი მთაწმინდელის მოძღვარსა და მასწავლებელს. იგი არის გიორგი მცირის ჰაგიოგრაფიული თხზულების პერსონაჟი და სასულიერო-საეკლესიო მოღვაწე, ქართული მწერლობაზე მზრუნველი და მოამაგე, თხზულებათა შექმნის ინიციატორი და თავადაც ჰიმნოგრაფი. წმ. გიორგი შეყენებული/დაყუდებული, იგივე შავმთელი, XI საუკუნის 20-30-იანი წლებიდან მოყოლებული 60-იანი წლების ბოლომდე, გარდაცვალებამდე, ე. ი. 1068 წლამდე, მოღვაწეობდა შავი მთის მონასტერში, სადაც XI საუკუნეში ერთ-ერთი უძლიერესი ქართული საღვთისმეტყველო-ლიტერატურული სკოლა ჩამოყალიბდა. ცნობები წმ. გიორგი შეყენებულის შესახებ შემოგვინახა გიორგი მცირის ჰაგიოგრაფიულმა თხზულებამ, აგრეთვე შავ მთასა და ათონზე შექმნილი და გადაწერილი ხელნაწერების კოლოფონებმა. გვიანდელი წყაროებიდან წმ. გიორგი შეყენებულის შესახებ ყურადღებას იქცევს ანტონ პირველის „წყობილსიტყვაობა“, რომელშიც წმ. გიორგი შეყენებული ავტორისათვის ჩვეული მეტაფორებით, სტილითა და სახისმეტყველებით არის წარმოსახული და შემკული: „სკმენ დიდისა მთისა საკკრველისა / საცხოვრებოძსა მესავანე გიორგი / შეკშული ნებსით, წყუდევით პატიმრებული, / სწავლათა იფქლის განმყოფელი იოსებ, / ბრძენი მოძღუარი, საღმრთო ფილოსოფოსი./ აქებს ღუმილით ამას საქმენი თჯსნი,/ რამეთუ საღმრთოდ მოქალაქობდა აქა,/ არარა აქუნდა, არ მიიღებდის ვისგან,/ არა სწადოდა დიდება, არც პატივი, / განაღა ქრისტე – ნამდვილ საწყური არსთა“<sup>1</sup>. დამოწმებული იამბიკო მიუთ-

---

<sup>1</sup> ანტონ ბაგრატიონი. წყობილსიტყვაობა. გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ივანე ლოლაშვილმა. თბ. 1980, გვ. 266.

ითებს, რომ ანტონ კათალიკოსმა იცის წმ. გიორგი შეყენებულის ვინაობა, მოღვაწეობის ადგილი, ღირსებები, სიბრძნე, საღმრთო მოქალაქობა და ფილოსოფოსობა, მაგრამ მისეული დახასიათება მაინც სტილიზებული და ტრაფარეტულია.

სამეცნიერო ლიტერატურაში სპეციალური კვლევის საგანი არ ყოფილა, მხოლოდ წმ. გიორგი მთაწმინდელის მოღვაწეობისა და შავი მთის საღვთისმეტყველო-ლიტერატურული სკოლის პრობლემატიკის კვლევისას ექცეოდა ყურადღება. ამიტომ შევეცადეთ მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის, ჰიმნოგრაფიული მემკვიდრეობის, აგრეთვე როგორც ჰაგიოგრაფიული თხზულების პერსონაჟის ხატ-სახის წარმოჩენას.

წმ. გიორგი შეყენებულის მოღვაწეობის შესახებ უპირველესი წყაროა გიორგი მცირის ჰაგიოგრაფიული თხზულება, რომელსაც წინ უძღვის თხზულების ავტორის გიორგი მცირის წმ. გიორგი შეყენებულისათვის გაგზავნილი ეპისტოლე. სწორედ ეს ეპისტოლე გვაცნობს გიორგი შეყენებულის პიროვნებას, მის სულიერ სამყაროს, მრწამსს. გიორგი მცირე მოგვითხრობს, რომ გიორგი შავმთელი, რომელიც წყაროებში შეყენებულად და დაყუდებულად იხსენიება, შავ, საკვირველ მთაზე, წმ. სვიმეონის სახელობის მონასტრის მკვიდრი იყო. მწიგნობრული საქმიანობით, სიწმინდითა და განსწავლულობით გამორჩეული წმინდა მამა თანამემამულეთა შორის უდიდესი პატივისცემით სარგებლობდა. სწორედ მას დაემოწაფა წმ. გიორგი მთაწმინდელი და 1036-1040 წლებში შავ მთაზე სვიმეონწმინდისა და რომანწმინდის მონასტრებში განისწავლა, რის გამოც მისი ხატ-სახე ყურადღებას იქცევს, როგორც მოძღვრისა.

წმ. გიორგი შეყენებულს უდიდესი დამსახურება მიუძღვის ქართული ლიტერატურის ორი უმნიშვნელოვანესი თხზულების შექმნაში, რადგან სწორედ მან დაავალა ორ შესანიშნავ ქართველ მწერალს ჰაგიოგრაფიული თხზულებების შექმნა, კერძოდ წმ. გიორგი მთაწმინდელს წმ. იოვანე და წმ. ეფთვიმე მთაწმინდელების ცხოვრების, ხოლო გიორგი მცირეს – წმ. გიორგი მთაწმინდელის ცხოვრების აღწერა. ფაქტობრივად, იგი ამ თხზულებათა შექმნის ინიციატორია. შეიძლება ითქვას, რომ არც წმ. გიორგი მთაწმინდელს და არც გიორგი მცირეს, შესაძლოა, არ შეექმნათ თავიანთი ჰაგიოგრაფიული თხზულებები, რომ არა წმ. გიორგი შეყენებული. წმ. გიორგი შეყენებული თავისი პიროვნული ღირსებებით შეიძლება შევადაროთ წმ. იოვანე მთაწმინდელს. როგორც წმ. იოვანემ შენიშნა, რომ შვილს, წმ. ეფთვიმეს ჰქონდა სუ-

ლიერი და გონებრივი მონაცემები, რათა ქართული მწერლობის გასამდიდრებლად ბერძნულიდან ეთარგმნა საღვთისმეტყველო თხზულებები და შთააგონა მთარგმნელობითი საქმიანობის დაწყება, ხელი შეუწყო საამისოდ, ასევე წმ. გიორგი შეყენებულმა წმ. გიორგი მთაწმინდელის სახით დაინახა წმ. ეფთვიმეს შემოქმედებითი გზის გამგრძელებელი და ამიტომაც მიავლინა ათონის ქართველთა მონასტერში ლიტერატურულ-საღვთისმეტყველო საქმიანობის წარსამართად.

წმ. გიორგი შეყენებულმა-შავმთელმა გადამწყვეტი როლი შეასრულა მოძავალი დიდი ათონელი მამის, წმ. გიორგი მთაწმინდელის სულიერად ჩამოყალიბებაში, შენიშნა მისი ნიჭიერება, „იხილა სიკეთე სულისა მისისა და განიცადა ტალანტი იგი მის შორის დაუნჯებული, განიხარა სიხარულითა დიდითა და სულთა გულისკმა-ყო, რად-იგი ყოფად იყო“<sup>2</sup>. წმ. გიორგი დაყუდებული/შეყენებული მოსურნე იყო, რომ გამოჩენილიყო ისეთი პიროვნება, რომელიც განსწავლული იქნებოდა უცხო ენებში, ღვთისმეტყველების ყველა სფეროში, რათა შეძლებოდა წმ. ეფთვიმეს საქმის გაგრძელება: „კუალად გამო-ვინმე-აჩინა მოწყალებამან ღმრთისამან ნათესავსა შორის ჩუენსა კაცი, რომელმანცა სრულ ყო ნაკლულევანებად ენისა ჩუენისა, რომელი-იგი წმიდისა მამისა ჩუენისა ეფთვმესაგან დაშთომილ იყო და ნებითა ღმრთისადათა პოვა, რომელსა-იგი ეძიებდა, და მადლობად შეწირა ღმრთისა, რომელი არაოდეს უგულებელს ჰყოფს სიგლახაკესა ჩუენსა მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობელისადათა“<sup>3</sup>. წმ. გიორგი შეყენებულს ამგვარ ღვთისგან და ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისაგან გამორჩეულ პიროვნებად მოეკვლინა მოძავალი წმინდა მამა გიორგი მთაწმინდელი.

საქართველოდან წასული წმ. გიორგი მთაწმინდელი წმ. სვიმეონ საკვირველთმოქმედის ლავრაში მივიდა, მოილოცა ყოველი მონასტერი და სულიერი მოძღვრის ძიებას შეუდგა, რადგან იცოდა, რომ სულიერი ცხოვრება და მონაზვნური ღვაწლი მოძღვრის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა. სწორედ აქ, შავ მთაზე, „მთასა საკერველსა პოვა ნაპრალსა შინა კლდისასა ბერი წმიდაი შეყენებული, ვითარცა გურიტი, უბიწოდ და ტრედი უმანკოდ, კაცი ზეცისა და ანგელოზი ქუეყანისა, ყოვლითურთ უცხოდ და განშორებული

---

<sup>2</sup> ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. II. გამოსაცემად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ნ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, მ. დოლაჭიძემ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანკიევმა და ც. ჯღამაიამ, ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით. თბ. 1967, გვ. 121.

<sup>3</sup> ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. II, გვ. 121.

კორცთაგან და კორციელთა ზრუნვათა და გონებითა ღმრთისა მიცვალებულნი, გიორგის ვიტყვ დაყუდებულსა, დიდსა მას მნათობსა ნათესავისა ჩუენისასა, კაცსა ყოველთა მიერ გულის-სათქუმელსა, რომელმან-ესე ჩუენ უნდოთა ამათ ამისი აღწერად გუაიბულა“<sup>4</sup>. ყურადღებას იქცევს გიორგი შეყენებულის, როგორც წმინდანის ხატ-სახე. იგი ჰაგიოგრაფიაში დამკვიდრებული სახის-მეტყველებითი საშუალებებითაა წარმოსახული და მის არქეტიპად, წინასახედ გიორგი მერჩულის თხზულების პერსონაჟი ხუედიოსი შეიძლება მივიჩნიოთ. „გურიტი, უბიწოდ და ტრედი უმანკო“, „კაცი ზეცისად და ანგელოზი ქუეყანისად“, „ღმერთშემოსილი“, „დიდი მნათობი ნათესავისა ჩუენისა“ – ასეა დანახული ავტორის მიერ წმ. გიორგი შეყენებულნი/დაყუდებული, რომელიც თხზულებაში, შეიძლება ითქვას, ხუედიოსის მსგავსი წინასწარმეტყველური მისიით შემოდის, რათა ახალგაზრდა გიორგის, მომავალ წმ. გიორგი მთაწმინდელს, შთააგონოს საღვთო საქმის აღსრულება და ერისათვის ზრუნვა წმინდა წიგნების გამრავლებით. წმ. გიორგი შეყენებულის სივრცული არეალიც, „ნაპრაღი კლდესა შინა“, საოცრად ჰგავს სიცოცხლის მიმწუხრს ხუედიოსის მიერ არჩეულ სამყოფელს, მღვიმეს. როგორც ხუედიოსი არ გასცილებია ხანციის მიდამოებში არსებულ მღვიმეს, სადაც აღესრულა კიდეც, ასევე არ გასცილებია წმ. გიორგი შეყენებული შავ მთაზე კლდის ნაპრაღს, ე. ი. მღვიმეს. ცხადია, მემღვიმეობას, სხვა ასკეტურ ყოფასთან ერთად, უდიდესი სულიერი მისია ეკისრებოდა, მღვიმე სულიერი განდმრთობის ადგილად მიიჩნეოდა, საიდანაც მოღვაწეს, სულიერად მცხოვრებ წმინდანს ზეცათა მოქალაქობის მოპოვების შესაძლებლობა ეძლეოდა.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს წმ. გიორგი შეყენებულის ხატის წარმოსახავად გამოყენებული ოქსიმორონი „ზეცისა კაცი და ქუეყანისა ანგელოზი“, რომელიც ის ხატ-სახეა, რომელიც მრავალგზის გამოიყენეს ქართულ და სხვა ქრისტიანულ ქვეყნების ჰაგიოგრაფიულ თხზულებებში. ასე იწოდება წმ. საბა განწმენდილი კირილე სკვითოპოლელის თხზულებაში: „ქუეყანისა ანგელოზი ნეტარი საბა და ზეცისა კაცი, ბრძენი და სარწმუნო მობღუარი“,<sup>5</sup> წმ. მაქსიმე აღმსარებელი: „და ისწავეს მისგან მოქალაქობად ანგელოზებრივი და იქმნეს ზეცისა კაცი და ქუეყანისა ანგელოზი“,<sup>6</sup> გიორგი

<sup>4</sup> ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. II, გვ. 121.

<sup>5</sup> მამათა ცხორებანი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ვახტანგ იმნაიშვილმა. თბ. 1975, გვ. 56.

<sup>6</sup> კიმენი. I. კორნელი კეკელიძის რედაქტორობით. ტფ. 1918, გვ. 65.

მერჩულის თხზულებაში წმ. გრიგოლ ხანცთელი.<sup>7</sup> გიორგი მცირემ ორივე გიორგი, წმ. გიორგი შეყენებული და წმ. გიორგი მთაწმინდელი, მოიხსენია როგორც „ზეცისა კაცი და ქუეყანისა ანგელოზი“. წმ. გიორგი შეყენებულის ამგვარი ხსენება იმან განაპირობა, რომ იგი, ერთი მხრივ, სულიერ განდმართობას მიეღობის, მეორე მხრივ, ზრუნავს ქართული ლიტერატურის განვითარებაზე, ქართული მწერლობის შევსებაზე ახალ-ახალი ნათარგმნი თხზულებებით, რათა გაუტოლდეს და თვალი გაუსწოროს ბიზანტიურ მწერლობას. მის პიროვნებაში შეზავებულია სულიერი და ინტელექტუალური საწყისები, რომელთა შერწყმა აყალიბებს წმინდანად წმ. გიორგი შეყენებულს. ამიტომ წმ. გიორგი შეყენებულმა იმთავითვე იზრუნა გიორგი მთაწმინდელის მოსამზადებლად სასულიერო მოღვაწეობისათვის, რათა მომავალი წმინდა მამა სულიერად გაძლიერებული და განსწავლული შესდგომოდა უდიდესი მისიის აღსრულებას.

წმ. გიორგი მთაწმინდელმა წმ. გიორგი შეყენებულის სიახლოვეს რომანწმინდაში გაატარა სამი წელი „დიდითა შრომითა და მოღუაწებითა, მარხვითა და მღკდარებითა და უფროდს ხოლო სიმდაბლითა და მორჩილებითა“.<sup>8</sup> აქ იგი თავისი მოძღვრისაგან, წმ. გიორგი შეყენებულისაგან სწავლობდა და ეჩვეოდა ბერმონაზვნურ სიბრძნეს, ასკეტურ ყოფასა და ცხოვრებას. როდესაც წმ. გიორგი შეყენებულმა შენიშნა, რომ გიორგი სულიერად და ფიზიკურად მომზადებული იყო დიდი ღვაწლისათვის, სქემით აკურთხა და იერუსალიმს წარგზავნა: „იხილა ნეტარმან ბერმან გიორგი შეყენებულმან მოძღუარმან მისმან, ვითარმედ ყოვლითა სრულქმნილ არს ჰასაკისა თანა სიბრძნითა და გონიერებითა, სქემითა აკურთხა, და ესრეთ სრულ-ყო მონაზონებისა მოღუაწებად სქემისა გურგუნითა და მერმელა იერუსალემად წარგზავნა“.<sup>9</sup>

რისთვის იყო საჭირო წმინდა მამის მიერ მომავალი დიდი მოღვაწისა და მთარგმნელის, ჰაგიოგრაფისა და ჰიმნოგრაფის იერუსალიმს წარგზავნა? უწინარეს ყოვლისა, სულიერი გამოცდილების შესაძენად. მას უნდა მოეხილა მაცხოვრის ამქვეყნიურ ცხოვრებასთან დაკავშირებული წმინდა ადგილები, მაცხოვრის ჯვარცმის საიდუმლო დრო-სივრცულად აღექვა და ზიარებოდა მას, სულიერად გაწვრთნილს და მომზადებულს მიელო ღვთის მადლი, წყა-

---

<sup>7</sup> ნ. სულავა. წმ. გიორგი მთაწმინდელი – „ზეცისა კაცი და ქუეყანისა ანგელოზი“. ქრისტიანული კულტურის კვლევის ცენტრი. „ლოგოსი“. საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები. 10-11 მაისი. 2011, გვ. 136-144.

<sup>8</sup> ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. II, გვ. 121.

<sup>9</sup> ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. II, გვ. 122.

ლობა, რათა ამგვარად განსწავლულს, ღვთაებრივი სიბრძნით განათლებულს ქართველი ერის სულიერ განსწავლაში შეეტანა თავისი წვლილი.

იერუსალიმიდან შავ მთაზე დაბრუნებული წმ. გიორგი მთაწმინდელი თავის სულიერ მოძღვართან მივიდა, როგორც მორჩილი შვილი მშობელთან, რომელმაც სამწიგნობრო-ლიტერატურული საქმიანობის დაწყება ურჩია. წმ. გიორგი შეყენებულმა ხელი შეუწყო წმ. გიორგი მთაწმინდელს, რათა მისი სახელი, როგორც მწერლისა და მთარგმნელისა, ათონიდან გაბრწყინებულიყო: „ესრეთ ყოვლითურთ სრულქმნილისა საღმრთოდ ესე ტალანტი კვლელთ უდვა, რომელ არს თარგმანებად წიგნთა საღმრთოთად ბერძულისაგან ქართულად“. <sup>10</sup> გიორგი მცირე საგანგებოდ გვიჩვენებს წმ. გიორგი შეყენებულის როლს წმ. გიორგი მთაწმინდელის სამწერლო-მთარგმნელობითი მოღვაწეობის დაწყებისას. მწერალი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, თუ როგორ ყალიბდება ორ გიორგის შორის მოძღვრისა და მოწაფის ურთიერთობა, რაც მაცხოვრისა და წმინდა მამათა სახისმეტყველებითაა ნაჩვენები, როგორ ხელავს მოძღვარი მოწაფის მომავალ საქმიანობას, როგორ ჭვრეტს მის სამწერლო-მთარგმნელობით ტალანტს და წინასწარ საზღვრავს მისი ღვაწლის ადგილს ქართველი ერის ისტორიაში, ქართული მწერლობის, ქართული კულტურის ისტორიაში. ყოველივე ეს იმას მიუთითებს, რომ წმ. გიორგი დაყუდებული ეპოქის მაჯისცემას გრძნობს და იცის, რა სჭირდება ქართველ ერს.

გიორგი მცირემ თავმდაბლობის იშვიათი თვისებით აღჭურვილ პიროვნებად წარმოსახა წმ. გიორგი მთაწმინდელი, რომელმაც მოძღვრის ბრძანების მიუხედავად შეუძლებლად მიიჩნია იმ საქმის აღსრულება, რომელიც მხოლოდ ღვთის რჩეულთ ხელეწიფებათ: „შეუძლებელ არს ესე ჩემგანო, და ესევითართა განღმრთობილთა კაცთა შუენის, ვითარცა იყო წმიდად მამად ჩუენი ეფთვიძი“. <sup>11</sup> წმ. გიორგი შეყენებულმა თავის მოწაფეს შეახსენა წმ. ეფთვიძეს ღვაწლი და ღვთისმშობლის შეწვევით სამწერლო-მთარგმნელობითი საქმიანობის დაწყება, რითაც წმ. გიორგი მთაწმინდელს შთააგონა ათონზე წასვლის აუცილებლობა, წმ. ეფთვიძეს მიერ დაწყებული საქმის გაგრძელება და სრულყოფა, რათა ყველა წმინდა წიგნი ქართულ ენაზე ჰქონოდათ ქართველებს. გიორგი მცირის თხზულების მიხედვით, წმ. გიორგი შეყენებული წმ. ეფთვიძე და წმ. გიორგი მთაწმინდელებს ჰიპოდიგმურ-პარადიგმულად გაიაზრება და გიორგი მთაწმინდელს მისი მოძღვარი წმ. ეფთვიძეს მაგალითად, ნი-

<sup>10</sup> ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. II, გვ. 122.

<sup>11</sup> ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. II, გვ. 122-123.



მუშად უსახავს: „შვილო, რომელმან წმიდა იგი სიკუდილისაგან იკვნა და ქართული ენა განუმარტა, იგივე შემძლებელ არს შენდაცა შეწვევად, რამეთუ მას ღიდად ეწყალის და უყუარს ნათესავი ჩუენი. და თუთ მას წმიდასა მამასა ეფთჳემს კვედრნეთ, რაითა შეგეწიოს, რომელ ნეშტი დაშთომილი მისი შენ სრულ-ჰყო მადლითავე მისითა, ვითარცა პავლე ქრისტესი“.<sup>12</sup> ეს სიტყვები მოწმობს, რომ წმ. გიორგი შეყენებულმა წმ. ეფთვიმეს ბავშვობის-დროინდელი ავადმყოფობისა და ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიერ მისი გადარჩენის შესახებ იცოდა; როგორც წმ. ეფთვიმემ ღვთისმშობლის შეწვევით ქართულად გახსნილად საუბარი დაიწყო და მთარგმნელობით საქმიანობას შეუდგა, ასევე შეეწეოდა ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი წმ. გიორგი მთაწმინდელს, რათა მისთვის დაკისრებული მოვალეობა აღესრულებინა და წმ. ეფთვიმეს დაწყებული საქმე გაეგრძელებინა ისევე, როგორც ქრისტეს მოძღვრების გაგრძელების პატივი პავლე მოციქულს მიენიჭა. გიორგი მცირის თხზულებაში წმ. ეფთვიმე და წმ. გიორგი მთაწმინდელები მაცხოვრისა და პავლეს ჰიპოდიგმა-პარადიგმით არიან წარმოსახულნი.

წმ. გიორგი შეყენებულმა წმ. ეფთვიმეს ხატ-სახის წარმოჩენით წმ. გიორგი მთაწმინდელს უჩვენა გზა, როგორ უნდა წარემართა მომავალი საქმიანობა ათონის მთაზე ქართველთა მონასტერში. ფაქტობრივად, წმ. გიორგი შეყენებულმა „წმიდასა მამასა ჩუენსა ეფთჳემს მოწაფე სარწმუნოდ და შვილი ერთგული და ძღუენი შემსგავსებული სიწმიდისა მისისაი მოუძღუანა, რაითა ვინაი-იგი წყაროდს-თუალი სიბრძნისაი აღმოეცენა მომრწვევლად ნათესავისა ჩუენისა“.<sup>13</sup> ამრიგად მოუპოვა წმ. გიორგი შეყენებულმა ქართველ ერს ათონის ივირონის მონასტერში ახალი ოქროპირი წმ. გიორგი მთაწმინდელის სახით. გიორგი მცირემ წმ. ეფთვიმესა და წმ. გიორგი მთაწმინდელის სულიერი მოღვაწეობა, როგორც ჰიპოდიგმურ-პარადიგმული სახისმეტყველებით წარმოჩენილი თაობათა ღირსეული ცვლის მოწმობა, პარადიგმული ხატმეტყველებით მოსესა და ისუ ნავეს, აჰრონსა და ელეაზარს, ელიასა და ელისეს, პავლესა და ტიმოთეს შეადარა.

გიორგი მცირის თხზულების მიხედვით, წმ. გიორგი შეყენებულმა წმ. გიორგი მთაწმინდელს ათონზე წასვლა საგანგებო მისიის აღსასრულებლად დაავალა. ათონის ქართველთა მონასტერში შექმნილი მძიმე ვითარების გამო, რაც ძირითადად ბერძენთა მტაცებლურმა პოლიტიკამ გამოიწვია, წმ. გიორგი

---

<sup>12</sup> ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. II, გვ. 123.

<sup>13</sup> ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. II, გვ. 123.

მთაწმინდელს მიზნად ორი რამ დაუსახა: 1. სათავეში ჩასდგომოდა და მოეწესრიგებინა ათონის ქართველთა მონასტრის საქმეები, წმ. ეფთვიმე მთაწმინდელის მიერ დაწყებული მთარგმნელობითი მოღვაწეობა გაეგრძელებინა; აგრეთვე დაავალა ათონის ქართველთა მონასტრის დამაარსებლების წმ. იოვანე და წმ. ეფთვიმე მთაწმინდლების შესახებ იმგვარი თხზულების შექმნა, რომ ბერძნებს ქართველთა მონასტრის დაუფლების სურვილი საშუალოდ აღკვეთოდათ; ეს ის პერიოდი იყო, როდესაც ბერძნებს ივირონზე ეჭირათ თვალი და ქართველებისათვის მისი წართმევის სურვილი და მცდელობა არ ასვენებდათ; 2. წმ. გიორგი შეყენებულის აზრით, საღვთისმეტყველო-ლიტერატურული და კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობისათვის ათონზე შესაფერისი პირობები იყო, რადგან „ღმერთმან ყოველი აღმოსავლეთი საღმრთოდთა წიგნითა მაგის წმიდისა ადგილისაგან განაბრწყინვა და წმიდანი ეკლესიანი ქართლისანი ღმერთმან ახლად შეამკვნა“.<sup>14</sup>

წმ. გიორგი შეყენებულის მიერ განსწავლის, დარიგების, წინასწარ განსაზღვრის მიუხედავად, თუ რა უნდა ეკეთებინა და რა მისიით წარიგზავნა ათონზე, წმ. გიორგი მთაწმინდელი თავმდაბლობის გამო ათონზე მისვლისთანავე არ შესდგომია მოძღვრის დავალების აღსრულებას. ამიტომ გახდა საჭირო საგანგებოდ შავი მთიდან წმ. გიორგი შეყენებულის მოწაფის, კაცის ღირსისა და სახიერის იოვანეს წარგზავნა ათონზე და წმ. გიორგი მთაწმინდელისათვის მისი მოვალეობისა და მისიის შეხსენება. მხოლოდ ამის შემდეგ მოძღვრის წინაშე ურჩების გამო სინდისის ქენჯნით იტვირთა წინამძღვრის ტვირთი და შეუდგა მონასტრის დამაარსებელთა შესახებ ჰაგიოგრაფიული თხზულების შექმნას. ამიერიდან წმ. გიორგი მთაწმინდელი დიდად დაშვრა ქართული ლიტერატურის გასამდიდრებლად, ქართველი ერის სულიერი საგანძურის შესავსებად, ქვეყნის ავტორიტეტის დასაცავად და ასაღორძინებლად.

წმ. გიორგი მთაწმინდელისა და მისი მოძღვრის, წმ. გიორგი შეყენებულის შემოქმედებითი ურთიერთობა ქართველ მწიგნობართა წრებისათვის კარგად იყო ცნობილი. ამას მოწმობს სამოციქულოზე წმ. ეფრემ მცირის მიერ დართული კოლოფონის ცნობა, რომლის მიხედვით წმ. გიორგი მთაწმინდელს „პირველნი დავითნიცა, რომელ ახლად ეთარგმნეს, მრავალი სიტყუად ძუელისა ჩუეულებისადა მიეყვანა, ვიდრემდის უკუანადსკნელ დიდისა მის მოლუაწისა გიორგი დაყუდებულისა იძულებით ბრძანებითა კუალად უსრულე-

<sup>14</sup> კ. კეკელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ. I. თბ. 1960. გვ. 215.

სად და უწმიდესად ეთარგმნეს“.<sup>15</sup> წმ. გიორგი მთაწმინდელი ბერძნულ ტექსტებს უმეტესწილად წმ. გიორგი შეყენებულის დავალებით თარგმნიდა, რის გამოც ხელნაწერთა ანდერძებში მადლიერებით იხსენიებდა თავის სულიერ მოძღვარს. დავიმოწმებთ ნაწყვეტს ანდერძიდან, რომელშიც თარგმნის ინციტორია დასახელებული და მთარგმნელის ღვაწლი წარმოჩენილი: „დასრულდა განგებად თუეთა წელიწდისათა... ლოცვა ყავთ გლახაკისა გიორგისათჳს, რომელნიცა იკითხვიდეთ, გინა წერდეთ, რამეთუ ღმერთმან იცის, ფრიადი ღუაწლი და ჭირი მინახავს ამისსა თარგმნასა სალხინებელად ცოდვათა ჩემთა და მოსახსენებელად სულიერისა მოძღურისა ჩუენისა გიორგისსა, რამეთუ შეძგომად ღუთისა იგი არს მიზეზი ყოვლისა კეთილისა და მათითა ბრძანებითა და მადლითა და ლოცვითა მითარგმნიან ესე საღმრთონი წიგნი“.<sup>16</sup> სხვა მოღვაწეებიც აღიარებდნენ, რომ წმ. გიორგი მთაწმინდელი წმ. გიორგი დაყუდებულის რჩევითა და ინიციატივით თარგმნიდა ბერძნულიდან ქართულად თხზულებებს. კერძოდ, ცნობილმა მოღვაწემ იოანე ჯიბისძემ აღნიშნა, რომ „სვინაქსარი“ წმ. გიორგი მთაწმინდელს „ათარგმნინა მოძღუარმან მისმან გიორგი დაყუდებულმან“. მათი შემოქმედებითი ურთიერთობა წმ. გიორგი მთაწმინდელის ათონის მთაზე ყოფნის დროს გრძელდებოდა, რასაც სამოციქულოზე დართული ანდერძის სიტყვები მოწმობს: „წმიდანო მამანო, ესე წმიდაი წიგნი და ყოვლისა სოფლისა მოძღუარი მე, გლახაკმან გიორგი ხუცესმონაზონმან ვთარგმნე მთაწმიდას სულიერის მოძღურისა ჩემისა გიორგის ბრძანებით და მადლითა, რომელი მყოფ არს მთასა საკურველსა“.<sup>17</sup>

წმ. გიორგი შეყენებული-შავმთელის ხელმძღვანელობა და დახმარება წმ. გიორგი მთაწმინდელის მიმართ მხოლოდ ამით არ ამოიწურებოდა, თავის სასახელო მოწაფეს მხოლოდ მთარგმნელობით საქმიანობას კი არ ურჩევდა, არამედ სათარგმნელ მასალასაც თავადვე უსახელებდა. მისი თაოსნობით წმ. გიორგი მთაწმინდელმა რედაქციულად გამართა ადრე თარგმნილი დავითნი, სამოციქულო და სხვა წიგნები. მანვე სთხოვა გიორგი მცირეს აღეწერა წმ. გიორგი მთაწმინდელის, ამ დიდი მოღვაწის „ცხორება და მიცვალება“.

---

<sup>15</sup> საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (მ კოლექცია). კ. კეკელიძის საერთო რედაქციით. ტ. IV. შედგენილია და დასაბეჭდად დამზადებული ე. მეტრეველისა და ე. ვირსალაძის მიერ, ე. მეტრეველის რედაქციით. თბ. 1950, გვ. 151-152.

<sup>16</sup> საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (მ კოლექცია), გვ. 82-83.

<sup>17</sup> გიორგი მცირე. ცხორება გიორგი მთაწმინდელისა. გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო ივანე ლოლაშვილმა. თბ. 1994, გვ. 102.

არსებითად 1066-1068 წლებში მისი ინიციატივით დაიწერა ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ბრწყინვალე ძეგლი „ცხოვრება და მოქალაქობა წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გიორგი მთაწმიდელისა“, რომელსაც წინ უძღვის „ეპისტოლე მიწერილი გიორგის მიმართ, დიდისა მის შეყენებულისა, რომელი მკვდრ იყო მთასა საკურველსა, მონასტერსა წმიდისა სუმეონისსა, ბერისა მის, რომლისადა ეთხოვა, რადთა აღუწეროს ცხოვრება და მიცუალება წმიდისა მამისა ჩუენისა გიორგი მთაწმიდელისა“,<sup>18</sup> ხოლო ეპისტოლეზე წარწერილია: „ღმრთივ სანატრელსა, სათნობათა შინა განთქმულსა, მოძღუარსა მოძღუართასა და სულიერსა წინამძღუარსა გიორგის შეყენებულსა უფლისა მიერ გიხაროდენ! მითი წმიდით მთასა საკურველსა ქრისტესს მიერ ღმრთისა ჩუენისა გახარებ!“. <sup>19</sup> ეპისტოლე მთავრდება დამკვეთის მიმართ თხოვნით წიგნის სრულყოფისათვის: „ესრეთ ერთობით შეგკრიბო საწადელი ესე და სასურველი მოთხრობად და ვითარცა ჯაჭვ ოქროისად ერთობით შეთხზული და შეწყობილი წარმოვსცე წინაშე სიწმიდისა თქუენისა საკურველსა მაგას და სასურველსა მთასა, რომელსა შინა თავს-ისხნა მრავალნი შრომანი და ღუაწლნი კაცმან მან ღმრთისა შეყუარებულმან თარგმანებისათკს წმიდათა წიგნთაისა. ხოლო რომელი იპოოს ნაკლულევანებად მიზეხითა ჩუენ მიერ აღწერილობისადათა, განმართოს თქუენ მიერ მაღლითა სულისა წმიდისადათა, რომელი მკვდრ არს თქუენ თანა სადიდებელად მამისა და ძისა და წმიდისა სულისა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ“.<sup>20</sup> ეპისტოლე მოწმობს, რომ გიორგი მცირემ წმ. გიორგი შეყენებულს სთხოვა შავ მთაზე გაგზავნილი თავისი ჰაგიოგრაფიული თხზულების სრულყოფა, განმართვა. მაგრამ ცნობილი არ არის, შეასწორა თუ არა წმ. გიორგი შეყენებულმა გიორგი მცირის თხზულება.

რატომ დაავალა გიორგი მცირეს და თავად წმ. გიორგი შეყენებულმა შავმთელმა რატომ არ აღწერა თავისი მოწაფის, წმ. გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება და მოღვაწეობა? მით უმეტეს, რომ ელენე მეტრეველის ვარაუდით, იგი არის წმ. გიორგი მთაწმინდელისადმი მიძღვნილი საგალობლების ავტორი. ამავე დროს, მისადმი გიორგი მცირის მიერ გაგზავნილი ეპისტოლიდანაც ნათლად ჩანს, რომ გიორგი შეყენებულს შესანიშნავად ხელეწიფებოდა თავისი ღირსეული მოწაფის მოღვაწეობის ღირსეულად აღწერა, მის შესახებ ჰა-

<sup>18</sup> ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. II, გვ. 101.

<sup>19</sup> ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. II, გვ. 101.

<sup>20</sup> ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. II, გვ. 105.

გიოგრაფიული თხზულების შექმნა. ის ფაქტი, რომ იგი საგალობელთა ავტორია და ამ საგალობლებში ძალიან კარგადაა წარმოჩენილი წმ. გიორგი მთაწმინდელის ღვაწლი, შრომა, მთარგმნელობითი საქმიანობა, დამსახურება ქართველი ერის, ქართული ეკლესიის წინაშე, იმას მიუთითებს, რომ წმ. გიორგი შეყენებულს შეეძლო ჰაგიოგრაფიული თხზულების შექმნაც. პასუხი ამ კითხვაზე ის უნდა იყოს, რომ წმ. გიორგი მთაწმინდელს მისი სიცოცხლის ბოლო ოცი წლის განმავლობაში გიორგი მცირე მუდმივად თან ახლდა ყველგან, სადაც კი წმინდა მამა მიდიოდა. მან დაწვრილებით იცოდა მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ყოველი დეტალი, რასაც მოწმობს თვითმხილველის, თანადამხდურის მიერ აღწერილი ყოველი ეპიზოდის სიზუსტე, წმინდანის შინაგანი სამყაროს, სულიერი მდგომარეობის, განცდების ასახვა, სამწერლო-მთარგმნელობითი საქმიანობის ზუსტი აღწერა, წმ. გიორგი მთაწმინდელის მიერ წარმოთქმული სიტყვები და ახსნილია მათი არსი.

ეპისტოლე მოწმობს, რომ წმ. გიორგი შეყენებულმა როგორც ორჯერ დაავალა წმ. გიორგი მთაწმინდელს წმ. იოვანე და წმ. ეფთვიმე მთაწმინდულების ცხოვრების აღწერა და ათონის მონასტრის გაძღოლა, ასევე გიორგი მცირეს ორჯერ შეუთვალა და დაავალა წმ. გიორგი მთაწმინდელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის აღწერა. გიორგი მცირე წმ. გიორგი შეყენებულს სწერს: „ხოლო ვინაითგან კუალადცა მეორედ მოიწია წმიდა ეპისტოლე თქუენი სიგლახაკისა მომართ ჩუენისა, ვითარცა მრავალჟამ ყოფილისა და მის მიერ განათლებულისა და ღმრთისა მსგავსითა სიყუარულითა მის მიერ შეყუარებულისა და უმეტესადღა ვთქუათ თუ, ჟამსა მას სოფლით განსლვისა და ღმრთისა თანა მისლვისა მისისასა, რომელსა-იგი სუროდა და წადიერ იყო, მის თანადახუედრებულისა, და კუალად ღმრთისმოყუარისაცა მის მიერ მთავარეპისკოპოსისა, იოვანეს ვიტყვ ჭყონდიდელსა, ძმასა ნეტარისა პეტრე პატრიკისასა, მო-რად-ვიდა სამეუფოდ ქალაქად მოციქულად მოვლინებული ბაგრატ აფხაზთა მეფისა მიერ და სევასტოსისა. ამის პირისათჳს დიდად იძულებულ იქმნა უღირსებად ჩუენი, ვითარცა შვილისაგან მამისმოყუარისა და, უფროდ-ღა ვთქუათ თუ, ქრისტჳს მოყუარისა, რადთა ყოველი სახე აღსრულებისა და სოფლით განსლვისა წმიდისა ამის მამისა ჩუენისა უნაკლულად მიუთხრათ“.<sup>21</sup> ეპისტოლიდან დამოწმებული სიტყვები მიუთითებს, რომ წმ. გიორგი შეყენებულს ორჯერ გაუგზავნია ეპისტოლე გიორგი მცირისათვის, რათა წმ. გიორგი მთაწმინდელის მოღვაწეობა აღეწერა. მან ზედმიწევნით იც-

---

<sup>21</sup> ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. II, გვ. 103.

ოდა ყოველივე მისი მოღვაწეობის შესახებ, მის მიერ იყო განსწავლულ-განათლებული და ღვთის მსგავსი სიყვარულით შეყვარებული, შემსწრე მისი გარდაცვალებისაც. ისიც ჩანს, რომ გიორგი მცირეს იოანე ჭყონდიდელმაც იგივე სოხოვა, რაც სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთგზის აღინიშნა.<sup>22</sup>

გიორგი მცირე-ხუცესმონაზონი, გიორგი მთაწმინდელის მოწაფე და თანამოღვაწე, მისი „თუალით-მხილველი და ხელით-მსახური... და ყურითა მომსმენელი სიტყუათა წმიდისა პირისა მისისათა“,<sup>23</sup> ყველგან თან ახლდა თავის სულიერ მოძღვარს: სამშობლოში, ახლო აღმოსავლეთში – შავი მთის ქართულ საგანებში, იერუსალიმში, ანტიოქიაში, ბიზანტიაში – ათონის მთაზე, კონსტანტინეპოლში, თანამედროვეთაგან სხვაზე ბევრად უკეთ იცნობდა მას. ამიტომ წმ. გიორგი მთაწმინდელის ცხოვრების აღწერა წმ. გიორგი შავმთელის ინიციატივით გიორგი მცირეს სავსებით კანონზომიერად დაეკისრა.

წმ. გიორგი შეყენებული მუდმივად ზრუნავდა ქართველთა მონასტრების ბიბლიოთეკების შევსება-გამდიდრებაზე, კერძოდ შავი მთის, ათონის მონასტრების ბიბლიოთეკებს ხელნაწერი წიგნები შესწირა. მისი მწიგნობრული და კულტურული საქმიანობის შესახებ გვამცნობენ ქართულ სკრიპტორიუმებში დაცულ ხელნაწერებზე დართული ანდერძ-მინაწერები, რომლებშიც დაცულია ცნობები მისი მზრუნველობის შესახებ ქართული საღვთისმეტყველო ცენტრების ბიბლიოთეკების გამდიდრების შესახებ. ერთ-ერთ ათონურ ხელნაწერში, ესაა Ath-84, არის ანდერძი, რომელიც წმ. გიორგი შეყენებული/დაყუდებულის ღვაწლის თაობაზე გვიაბობს: „მე, გლახაკსა ბერსა გიორგი დაყუდებულისა, მასმიოდა, ვითა ესე წმიდისა და დიდებულისა ნეტარისა მართაის ცხორებად და წმიდისა ბარლაამისი მთაწმიდას არა არსო და ამის ჯერისათვის ვინებე აღწერად ამისი და მაგას წმიდა ეკლესიას შემოწირვად“. ანდერძი მოწმობს, რომ წმ. მართასა და წმ. ბარლაამის „ცხოვრება“ არ ყოფილა მთაწმინდაზე, ივირონის მონასტერში, რის გამოც თავად წმ. გიორგი დაყუდებულმა გადაწერა (1042-1044 წწ.) და შესწირა ათონის ქართველთა მონასტრის ბიბლიოთეკას.

**წმ. გიორგი შეყენებულის საგალობლები, მიძღვნილი წმ. გიორგი მთაწმინდელისადმი.** 1994 წელს ივანე ლოლაშვილის პირად არქივში დაცული ხელნაწერი სამეცნიერო ნაშრომის მიხედვით, რომელიც „წმ. გიორგი მთაწ-

<sup>22</sup> ე. მეტრეველი. ნარკვევები ათონის კულტურულ-საგანმანათლებლო კერის ისტორიიდან. თბ. 1996, გვ. 259, 263-316; გიორგი მცირე. ცხოვრება გიორგი მთაწმიდელისა.

<sup>23</sup> ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. II, გვ. 206.

მინდელის ცხოვრების“ მონოგრაფიულ შესწავლასა და ტექსტის გამოცემას ისახავდა მიზნად (ნაშრომი მკვლევრის გარდაცვალებიდან 10 წლის შემდეგ გამოქვეყნდა), თხზულების შემცველი საუკეთესო ხელნაწერია S-353 და იგი თავდაპირველი ნუსხიდანაა გადაწერილი. ეს ხელნაწერი ათონიდან შავ მთაზე ჩაუტანეს წმ. გიორგი შეყენებულს. ი. ლოლაშვილი ვარაუდობდა, რომ ხელნაწერი S-353 ეფრემ მცირის ავტოგრაფი უნდა იყოს.<sup>24</sup> მისი აზრით: „ტექსტზე დართული საგალობლების ერთნაირი სათაურები ადასტურებენ, რომ ეს საგალობლები იწერებოდა სხვადასხვა დროს იქ, სადაც „გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება“ გადაიწერა, და ისინი გადამწერს ჟამითიჟამად შეჭქონდა თავის ხელნაწერში. ამ მოსაზრებას მხარს უჭერს ისიც, რომ ბოლო საგალობლები შესრულებულია ოდნავ გაკრული ხელით და ისიც მუქი მელნით“.<sup>25</sup>

ელენე მეტრეველმა ათონის კულტურულ-საგანმანათლებლო კერისა და საღვთისმეტყველო-ლიტერატურული სკოლის ისტორიის კვლევისას ვარაუდი გამოთქვა, რომ წმ. გიორგი შეყენებულმა თავის მოწაფეს, წმ. გიორგი მთაწმინდელს საგალობლები თვითონ მიუძღვნა<sup>26</sup> და დაასკვნა: „გიორგი მთაწმინდელის „ცხოვრების“ შემცველი ხელნაწერების შესწავლამ დაადასტურა, რომ გიორგი დაყუდებულს თავის მხრივ მართლაც შეუვსია გიორგი მცირის დაწერილი „ცხოვრება“, დაურთავს მისთვის ოთხი გალობანი, ე.ი. ჰიმნოგრაფიული კანონი წმ. გიორგი მთაწმინდელის სახელზე. ეს ოთხი საგალობელი წარმოადგენს შესხმას და გიორგის ცხოვრების ოთხ პერიოდად აღწერას. ამ გზით გიორგი დაყუდებულმა საყვარელი მოწაფის წინაშე მოიხადა ვალი. ასე შეიქმნა გიორგის „ცხოვრების“ ახალი რედაქცია, რომელსაც ათონურისაგან განსხვავებით ერთვის ოთხი საგალობელი“.<sup>27</sup>

რამ განაპირობა წმ. გიორგი მთაწმინდელისადმი საგალობლების შეთხზვა წმ. გიორგი შეყენებულის მიერ? ელენე მეტრეველმა შენიშნა, რომ ათონის ქართველთა მონასტრის კუთვნილ ხელნაწერს Ath.72-ს წმ. გიორგი მთაწმინდელისადმი მიძღვნილი საგალობლები არ დაერთვის, რაც იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ისინი გიორგი მცირეს არ ეკუთვნის, მას არ შეუთხზავს.<sup>28</sup> იმის გამო, რომ გიორგი შეყენებულმა იცოდა წმ. გიორგი მთაწმინდელის

---

<sup>24</sup> გიორგი მცირე. ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა, გვ. 12.

<sup>25</sup> გიორგი მცირე. ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა, გვ. 12.

<sup>26</sup> ე. მეტრეველი. ნარკვევები ათონის კულტურულ-საგანმანათლებლო კერის ისტორიიდან, გვ. 259, 263-316.

<sup>27</sup> ე. მეტრეველი. ნარკვევები ათონის კულტურულ-საგანმანათლებლო კერის ისტორიიდან, გვ. 261.

<sup>28</sup> ე. მეტრეველი. ნარკვევები ათონის კულტურულ-საგანმანათლებლო კერის ისტორიიდან, გვ. 259.

სიყვარული და დამოკიდებულება საგალობლებისადმი, მან შავ მთაზე შეადგინა თვენის ნაწილი და თარგმნა პარაკლიტონი, აგრეთვე, სტიქარონთა დიდი ნაწილიც, თავისი ორიგინალური საგალობლებიც აქვე აქვს შექმნილი, ამიტომ ე. მეტრეველის აზრით, „შესაძლოა, სწორედ გიორგი შავმთელის ხელშეწყობით იქცა საგალობელთა კრებულების შექმნა გიორგი მთაწმიდელის მთარგმნელობით საქმიანობაში ერთ-ერთ უმთავრეს მიმართულებად... ეგების ამავე ფაქტორმა განაპირობა გიორგი შავმთელის სურვილიც: დაერთო გიორგის „ცხოვრებისათვის“ მისადმი მიძღვნილი საგალობლები“.<sup>29</sup>

საგალობლები შემონახულია S-353 ხელნაწერში, რომლის ი. ცანავას მიერ გადაწერილი ტექსტი გამოაქვეყნა ე. მეტრეველმა.<sup>30</sup> ხელნაწერზე დაკვირვების შედეგად ე. მეტრეველმა გაარკვია, რომ ნიკოლას ჯუმათელმა გადაწერა გიორგი მცირის ჰაგიოგრაფიული თხზულება და წმ. გიორგი მთაწმინდელისადმი მიძღვნილი საგალობლები, ხოლო მისი დედანი უნდა ყოფილიყო შავ მთაზე დაცული საგალობელთა შემცველი ხელნაწერი და არა Ath.72, რადგან ათონური ხელნაწერი №72 უფრო გვიანდელია, კერძოდ იგი XII-XIII საუკუნეებს განეკუთვნება, ვიდრე ათონური პირველადი ნუსხიდან მომდინარე S-353,<sup>31</sup> რომელიც, ელენე მეტრეველის დაკვირვებით, ნიკოლას ჯუმათელის გადაწერილია. წმ. გიორგი მთაწმინდელისადმი მიძღვნილი საგალობლები სწორედ ამ ხელნაწერშია წმ. გიორგი შეყენებულის მიერ შემატებული.

წმ. გიორგი შეყენებულის/შავმთელის სახელს უკავშირდება კიდევ ერთი ცნობილი სასულიერო პირის, მოღვაწის, მწიგნობრის ნიკოლას ჯუმათელის სახელიც, რომელიც, ე. მეტრეველის აზრით, გიორგი შეყენებულმა/შავმთელმა ათონზე გიორგი მცირის წმ. გიორგი მთაწმინდელისადმი მიძღვნილი ჰაგიოგრაფიული თხზულების წამოსაღებად წარგზავნა.<sup>32</sup> მისივე ვარაუდით, წმ. გიორგი მთაწმიდელის „ცხოვრების“ ეს რედაქცია, რომელიც წმინდანისადმი მიძღვნილ საგალობლებსაც შეიცავდა, „შავ მთაზე თავისი ხელით გადაუნუსხავს ნიკოლას ჯუმათელ-ყოფილს, შესაძლოა, ჯვრის მონასტრის შეკვეთით, ვინაიდან ნიკოლასის ეს ავტოგრაფიული ნუსხა XVI საუკუნეში ჯვრის მო-

<sup>29</sup> ე. მეტრეველი. ნარკვევები ათონის კულტურულ-საგანმანათლებლო კერის ისტორიიდან, გვ. 259.

<sup>30</sup> ე. მეტრეველი. ნარკვევები ათონის კულტურულ-საგანმანათლებლო კერის ისტორიიდან, გვ. 263-316.

<sup>31</sup> ე. მეტრეველი. ნარკვევები ათონის კულტურულ-საგანმანათლებლო კერის ისტორიიდან, გვ. 251-261.

<sup>32</sup> ე. მეტრეველი. ნარკვევები ათონის კულტურულ-საგანმანათლებლო კერის ისტორიიდან, გვ. 260.



ნასტრის კუთვნილება ყოფილა, რასაც ადასტურებს ჯვრის მონასტრის სკრიპტორიუმში ამ ხელნაწერზე გაკეთებული მინაწერები“.<sup>33</sup> როგორც ელენე მეტრეველი მიუთითებს, S-353-ში დაცული ოთხი საგალობლიდან ორი კანონი დომენტი კათალიკოსს შეუტანია 1713 წელს შედგენილ თავის ცნობილ კრებულში.

წმ. გიორგი მთაწმინდელისადმი მიძღვნილი საგალობლები ჰიმნოგრაფიულ-ლიტურგიკული განგებაა, რომელიც მცირე ფორმის საგალობლებისა და ოთხი ჰიმნოგრაფიული კანონისაგან შედგება და რომელშიც ჰიმნოგრაფიული სახისმეტყველებითი ხატოვანებით იქმნება საგალობლის პერსონაჟის ამაღლებული ხატ-სახე და ჰიმნოგრაფის პოეტური სამყარო. მთელი განგება ოთხ ჰიმნოგრაფიულ კანონს შეიცავს, როგორც წმ. ანდრია კრიტელის „დიდი კანონი“ შედგება ოთხი ჰიმნოგრაფიული კანონისაგან, რის გამოც წმ. ანდრია კრიტელი წმ. გიორგი შეყენებულის წინამორბედად შეიძლება მივიჩნიოთ. თუმცა „დიდი კანონის“ ტექსტი კომპოზიციური და არსობრივი თვალსაზრისით წმ. გიორგი მთაწმინდელისადმი მიძღვნილი საგალობლებისაგან საკმაოდ განსხვავდება.

წმ. გიორგი შეყენებულის წმ. გიორგი მთაწმინდელისადმი მიძღვნილი საგალობლები მოწმობს, რომ მისი ავტორი არა მხოლოდ თვით ქების ობიექტს იცნობს კარგად, არამედ მის შესახებ დაწერილ ჰაგიოგრაფიულ თხზულებასაც. ორივე თხზულებაში მსგავსი ეპიზოდებია ასახული, საგალობლები კი მოწმობს, რომ საგალობლის იდეალური პერსონაჟი ჟანრისათვის დამახასიათებელი ხატებით, სახეებით, გამომსახველობითი საშუალებებითაა წარმოსახული. ჰიმნოგრაფი ყურადღებას ამახვილებს წმ. გიორგი მთაწმინდელის მოღვაწეობსა და პიროვნულ ღირსებებზე: სულიერ სამყაროზე, ღვთისაგან და ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისაგან გამორჩეულობაზე, მის დამსახურებაზე მთარგმნელობით საქმიანობაში, სამწერლო მოღვაწეობაზე, მოწყალე ბუნებასა და საღმრთო მადლმოსილებაზე. წმ. გიორგი მთაწმინდელი არის მეცამეტე მოციქულის – წმ. ეფთვიმეს საქმეთა გამგრძელებელი და „ღმრთივსულიერთა წერილთა თარგმანი“, რომელმაც დაფარული ღვთაებრივი საუნჯე ახალი თარგმანების სახით გააცნო ქართველებს, „ხატი პირმეტყველი“, ფილოსოფოსი და ბრწყინვალე რიტორი, მრავალმნათობი ლამპარი, ქრისტეს მიერ თავისი ეკლესიის ეზოსმოდღვრად განწესებული. საგალობლებში აღნიშნულია, რომ წმ. გიორგი მთაწმინდელმა ბრწყინვალედ თარგმნა „თვენი“, სხვა უამრავ

---

<sup>33</sup> ე. მეტრეველი. ნარკვევები ათონის კულტურულ-საგანმანათლებლო კერის ისტორიიდან, გვ. 261.

ვი საღვთისმეტყველო თხზულება. აღნიშნულია მისი ორიგინალური თხზულება წმ. იოვანესა და წმ. ეფთვიმეს შესახებ. წმ. გიორგი შეყენებული მუდმივად ახსენებს წმ. გიორგი მთაწმინდელის სახელის სიმბოლურ მნიშვნელობას და გააზრებას, რათა ღვთივდაკისრებული მოვალეობა აღესრულებინა. წმინდანი შედარებულია პეტრე და პავლე მოციქულებთან, მას იფარავენ ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი, მისი მოსახელე წმინდა გიორგი. მისი გარდაცვალება მოციქულთა თავთა ხსენების დღეს ღვთის განგებისეულია და წმ. გიორგი მთაწმინდელს წმ. პეტრესა და წმ. პავლეს მეგობრად წარმოაჩენს.

ამრიგად, წმ. გიორგი შეყენებული/დაყუდებული-შავმთელი მრავალმხრივ საინტერესო მოღვაწეა, რომელმაც ღრმა კვალი გაავლო ქართულ კულტურაში, უდიდესი წვლილი შეიტანა ქართული ეკლესიის ისტორიაში, ქართული ლიტერატურის ისტორიაში, საქართველოს ისტორიაში. იგი ქართული მწერლობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წარმომადგენელია, რომელმაც ორი მწერალი მოუმზადა ქართულ ლიტერატურას და თავადაც შესანიშნავ კომპოზიტორად მოგვევლინა, როდესაც თავის მოწაფეს წმ. გიორგი მთაწმინდელს საგალობლები მიუძღვნა.

*Nestan Sulava*

Associate Professor,  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

**SAINT GIORGI THE EREMITTE – ECCLESIASTIC FIGURE,  
HYMNOGRAPHER, CHARACTER OF THE  
HAGIOGRAPHIC STORY**

Summary

Saint Giorgi the Eremite, confessor of Saint Giorgi Mtatsmindeli, was one of the characters of Giorgi Mtsire's hagiographical work (Life of Saint Giorgi from Mtatsminda) and a church figure. Saint Giorgi also was a man who actively contributed to the development of the Georgian literature. He was working in the Black Mountain Monastery from 1020s-1030s until his death in 1068. It was the most powerful school of theology at that time. We do not have stories about Saint Giorgi the Eremite's life, but all available information is kept in the literary work of Giorgi Mtsire and in some other works created in the Black Mountain and Athos. Among later sources on Saint Giorgi the Eremite the most important is the work of Anthon I (Katholikos).

Until now there has not been any significant research dedicated to the works and activities of Saint Giorgi the Eremite. The attention was paid to the works of Giorgi Mtatsmindeli and to the problematic issues of the Black Mountain literary school. It was the reason why we decided to pay attention in the present article to the activities of Saint Giorgi the Eremite and to show his personality according to the works of Giorgi Mtsire. Saint Giorgi is indirectly related to the creation of several important hagiographic works. Under his order Giorgi Mtatsmindeli wrote about the lives of Ioane and Ekvtime Mtatsmindeli, while Giorgi Mtsire was tasked with the description of George Mtatsmindeli's life. Thus, it is fair to say that without Saint Giorgi the Eremite, neither Saint Giorgi Mtatsmindeli nor Giorgi Mtsire would have worked on the above-mentioned stories.

Quite notable is how Saint Giorgi the Eremite is shown in various hagiographic works. In fact, his character reflects the typical style of hagiography. His spacial area, „cleft in the cliff“, must be explained as a

symbol. It means ascetic life of the monk and at the same time, it bears special spiritual meaning for the person. Cleft is the place for spiritual purification from which the ascetic person will be given the way to the heaven.

Elene Metreveli during her research about the literary works created at Athos, suggested that Saint Giorgi the Eremite dedicated special hymns to his student Saint Giorgi Mtatsmindeli and with these hymns he completed the hagiographic work of Saint Giorgi Mtsire.

Saint Giorgi the Eremite is an important person who left lasting influence on the Georgian culture. He was one of the great personalities in the Georgian history, literature, culture and the church. He is a notable representative of the Georgian literature through „preparing“ two famous writers in the Georgian literature and becoming a great hymnographer himself.

## აპოლონ თაბუაშვილი

ასოცირებული პროფესორი, თსუ

### ხორბლის ფასი ფეოდალური ეპოქის საქართველოში

ფეოდალურ ეპოქაში ხორბალს, როგორც ძირითად საკვებ პროდუქტს, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. „ქართლის ცხოვრებაში“ ქვეყნის კეთილდღეობის განსაზღვრისათვის მითითებულია: „და იყო ქართლს პური და ღვინოდ ფრია-დი“;<sup>1</sup> „ესრეთ დამშჯდნა ქუეყანა და ყოვლით კერძო იწყო მშჯდობა. მოხედნა ღმერთმან წყალობით მოსავთა მისთა. და იყო უხუება პურისა და ღვინისა“.<sup>2</sup> ხოლო ღვთის სასჯელად „პურისა მოკლება“ ითვლებოდა – „რამეთუ ესოდენთა სიბილწეთა, სოდომურთა ცოდვათა შემოსრულთათჳს განრისხნა ღმერთი და ვიქმნენით პირველად მწარესა ტყუეობასა და მეორედ ბარბაროზთა მიერ სრვასა და ჯოცასა, მესამედ იქმნა პურისა მოკლება“.<sup>3</sup> შესაბამისად, პურის ფასს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა და, ძირითადად, მისი ფასის მიხედვით განისაზღვრებოდა სხვა პროდუქტების ფასები.

ფეოდალური ეპოქის საქართველოში სხვადასხვა პროდუქციის ფასების შესახებ არც თუ ბევრი ინფორმაციაა შემონახული. გამონაკლისს არც ხორბლის ფასი წარმოადგენს. თუმცა ჩვენს ხელთ არსებული ცნობებიდან მაინც შესაძლებელია გარკვეული დასკვნების გაკეთება.

თავდაპირველად უნდა აღინიშნოს, რომ საუკუნეების განმავლობაში ხორბლის ფასის განსაზღვრა მაინც პირობითია და არ მოიცავს ყველა გამო-ნაკლისს. ხორბლის, ისევე როგორც სხვა პროდუქციის, ფასები კონკრეტულ ვითარებაში, ბუნებრივია, ცვალებადი იყო. მასშტაბური სტიქიური მოვლენები, საბრძოლო მოქმედებები, დამპყრობლების მიერ დაწესებული დიდი ხარკი და მსგავსი ფაქტორები გავლენას ახდენდა არა მარტო ხორბლის ფასზე, არამედ, ზოგადად, ქვეყნის ეკონომიკურ ვითარებაზე. წყაროებში ზოგიერთი ასეთი

<sup>1</sup> მატთანე ქართლისაჲ. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა მარიამ ლორთქიფანიძემ. ქართლის ცხოვრება. მთავარი რედაქტორი როინ მეტრეველი. თბ. 2008, გვ. 291.

<sup>2</sup> ჟამთააღმწერელი. ასწლოვანი მატთანე. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა გიული ალასანიამ. ქართლის ცხოვრება. მთავარი რედაქტორი როინ მეტრეველი, თბ. 2008, გვ. 615.

<sup>3</sup> ჟამთააღმწერელი. ასწლოვანი მატთანე, გვ. 641.

შემთხვევა ასახულია. მაგალითად, ბაგრატ IV-ის მიერ თბილისის ალყის შედეგად ქალაქში შიმშილობა დაწვებულა და „... ესრე შეაჭირვეს ტფილელთა, რომელ ლიტრა ვირის კორცი ხუთას დრამად ასყიდის“.<sup>4</sup> ბუნებრივია, თბილისში ამ დროს ხორბლის ფასიც ძალიან გაიზრდებოდა. ჟამთააღმწერლის გადმოცემით, დავით VIII-ის აჯანყების დროს „...არა იყო მათ ჟამთა შინა თესვა და არცა შენება ყოვლადვე... იქნა პურისა მოკლება, ყოვლად არა იპოვებოდა სასყიდლად არცა დიდითა ფასითა“.<sup>5</sup> მოსავლის განადგურების და დეფიციტის შექმნის წინაპირობა შეიძლება გამხდარიყო სეტყვა, წყალდიდობა და ა.შ. „ოდესცა დასეტყოს და არაი მოვიდეს“, – აღნიშნულია რკონის დაწერილში, თუმცა აქვე მითითებულია, რომ რომელ წელსაც კარგი მოსავალი მოვა, მოუსავლიანი წლისათვის მარავს „დაიგულებდნ“.<sup>6</sup> საინტერესოა, ასევე, კირაკოს განძაკელის ცნობა 1252 წელს სომხეთში ირანიდან შემოსეული კალიების მიერ ნათესის მასიურად განადგურების შესახებ.<sup>7</sup> მსგავსი მოვლენები დროდადრო საქართველოსთვისაც იქნებოდა დამახასიეთებელი. შესაბამისად, როდესაც ამა თუ იმ ეპოქაში კონკრეტულ ფასზე ვსაუბრობთ, ყოველთვის უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტი, რომ აღნიშნული ფასი არ არის მუდმივად ფიქსირებული და ვითარებისა და მიხედვით იცვლებოდა.<sup>8</sup>

აქვე აღვნიშნავთ, ვინაიდან სხვადასხვა დროს საქართველოში მოჭრილი და ბრუნვაში არსებული მონეტების, როგორც სახელწოდებები, ასევე, წონა და სხვა მახასიათებლები იცვლებოდა, ჩვენ ხორბლის ფასის დაანგარიშებას მოვახდენთ ვერცხლის წონასთან შეფარდებით.

ყველაზე ძველი, შეიძლება ითქვას, არაპირდაპირი ცნობა ხორბლის ფასის შესახებ თარიღდება XI საუკუნით. ამ საუკუნის მეორე ნახევარშია შედგენილი „დაწერილი ნიკოლაოს წმიდის წინამძღვრისა“ (ნიკორწმინდელის დაწერილი),<sup>9</sup> რომლის მიხედვითაც შესაძლებელია ხორბლის ფასის მიახლოებითი დაანგარიშება.

<sup>4</sup> მატთანე ქართლისაი, გვ. 281.

<sup>5</sup> ჟამთააღმწერელი. ასწლოვანი მატთანე, გვ. 641.

<sup>6</sup> დაწერილი კახა თორელისა რკონის ღმრთისმშობლისადმი. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. I. შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა. თბ. 1984, გვ. 150.

<sup>7</sup> Киракос Гандзакечи. История Армении. Перевод с древнеармянского, предисловие и комментарий Л. А. Ханларян. Москва 1976, гв. 219-220.

<sup>8</sup> თუმცა, როგორც გვიანფეოდალურ ეპოქის წყაროებზე დაკვირვებამ გვიჩვენა, ყოველი სტიქიური მოვლენა, მტრის შემოსევა თუ ქვეყნის დაზარკვა არ იყო ასეთი გამოწვევის შემთხვევების წინაპირობა.

<sup>9</sup> დაწერილი ნიკოლაოს წმიდის წინამძღვრისა. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. I, გვ. 39-44.

ნიკორწმინდელის დაწერილში მოხსენებულ სხვადასხვა პროდუქციის ფასებს თავდაპირველად ყურადღება მიაქცია აკად. ივანე ჯავახიშვილმა. მის ერთ-ერთ ადრეულ ნაშრომში, „საქართველოს ეკონომიური ისტორია“, მუხლებად არის მოცემული ფასებთან დაკავშირებული ცნობები. ყანისა და ზოგიერთი პროდუქციის (ყანის, წიგნისა და სხვ.) ფასი კი დაანგარიშებულია მის თანადროულ (1907 წ.) ფულთან მიმართებაში, თუმცა ავტორი საგანგებოდ ხორბლის ფასზე არ ჩერდება.<sup>10</sup>

ივ. ჯავახიშვილი მოგვიანებით კვლავ დაუბრუნდა აღნიშნულ თემატიკას და ფასების შესახებ გარკვეული კვლევა ჩაატარა. სამწუხაროდ, ეს შრომა გამოქვეყნებული არ არის, თუმცა დაცულია კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.<sup>11</sup>

ავტორი ხორბლის ფასთან მიმართებით თავდაპირველად ათონის ალაპში დაცულ ცნობას ეხება. ათონის ალაპებში აღნიშნულია: „სახელითა ღმრთისაჲთა და ბრძანებითა ყოველთა ძმთაჲთა დავაყენეთ მამად პავლე თუესა მარტსა, ინდიკტიონსა გ... მას ჟამსა შინა იყო იფქლი მოდი დრაჰკანად“. <sup>12</sup> ალაპი თარიღდება 1170 წლის ახლო ხანებით. ამ ცნობაზე დაყრდნობით ივ. ჯავახიშვილი შემდეგ დასკვნას გვთავაზობს: „მამასაჲდამე, 36 კილოგრამი იფქლი 1 დრაჰკანი ღირებულა, ხოლო 1 კილო 1/36 დრაჰკანისა“. <sup>13</sup>

უნდა აღინიშნოს, რომ ეს გამოთვლა არ არის მართებული, რადგან ბიზანტიაში მოდი იტეველა 12,8 კგ.-ს, <sup>14</sup> ანუ 12,8 კილოგრამი ერთი ოქროს მონეტა ღირებულა. ალაპში მოცემული ფასი არის ძალიან მაღალი და საქმე გვაქვს ხორბლის გაძვირებასთან. ჩვეულებრივ კი, XI საუკუნის მონაცემებით,

<sup>10</sup> ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია. ტფ. 1907, გვ. 106-109.

<sup>11</sup> კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (ხეც.). ივ. ჯავახიშვილის პირადი არქივი. № 206, ფ. 80-84. არქივში ფასების შესახებ ცნობების მხოლოდ მცირე ნაწილია დაცული (5 ფურცელი). სრულყოფილი ტექსტი კი ინახება ივ. ჯავახიშვილის პირადი არქივის დაუმუშავებელ მასალაში.

<sup>12</sup> ე. მეტრეველი. ათონის ქართველთა მონასტრის სააღაპე წიგნი. თბ. 1998, გვ. 188.

<sup>13</sup> ხეც. ივ. ჯავახიშვილის პირადი არქივის დაუმუშავებელი ნაწილი (ეკონომიკის ისტორიის საკითხები, ფ. 210-211).

<sup>14</sup> Jacques Lefort. The Rural Economy, Seventh–Twelfth Centuries. The Economic History of Byzantium: From the Seventh through the Fifteenth Century. Ed. by A. E. Laiou. Washington, 2002, გვ. 258; C. Morrisson, Jean-Claude Cheynet. Prices and Wages in the Byzantine World. The Economic History of Byzantium: From the Seventh through the Fifteenth Century. Ed. by A. E. Laiou. Washington, 2002, გვ. 817.

ბიზანტიაში 1 მოლის ფასი 1/12 ნომისმა იყო.<sup>15</sup> შესაბამისად, ათონის ალაპებში მოცემული ფაქტი წარმოადგენს გამონაკლისს. ბიზანტიის იმპერიაში დროდადრო ვხვდებით ხორბლის გაძვირების ფაქტებს.<sup>16</sup> სწორედ ასეთი ფაქტია ასახული ათონის ალაპებში. თუ ბიზანტიაში არსებულ ნორმალურ ფასს (1 მოლი=1/12 ნომისმას) ვერცხლის გრამებში დავინაგარიშებთ (ოქროს ნომისმას და 3 გრამიანი ვერცხლის მონეტის 1:14 შეფარდებით), გამოდის, რომ 1 კგ. ხორბალი ღირდა დაახლ. 0,27 გრამი ვერცხლი. ხოლო თუ უკიდურესი სიძვირის პირობებში (ათონის ალაპებში მოცემული ცნობის მიხედვით) დავინაგარიშებთ, 1 კგ.-ს ფასი იქნება დაახლ. 3,28 გრამი ვერცხლი. ათონის ალაპებში მოცემული ცნობა ჩვენ ზოგადი ფასის დასადგენად არ გამოგვადგება, რადგან აქ საუბარია არაორდინალურ მდგომარეობაზე, უკიდურეს სიძვირეზე და, ასევე, ეხება არა საქართველოს, არამედ ბიზანტიაში არსებულ ფასს. იმ ეპოქაში ბიზანტიასა და საქართველოს მახლობელ ქვეყნებში არსებულ ხორბლის ფასს მოგვიანებით შევეხებით. ამჯერად კი დავუბრუნდებით ნიკორწმინდელის დაწერილს.

ივ. ჯავახიშვილი ნიკორწმინდელის დაწერილის მიხედვით ხორბლის ფასთან დაკავშირებით აღნიშნავს: „პურის ჩვეულებრივი ფასის გამოსარკვევად შეიძლება ნიკორწმინდის XI ს. საბუთის შემდეგი ორი ცნობა იქმნეს გამოყენებული: ერთის მხრივ იქ ნათქვამია, რომ იალმაგისაგან ნაყიდ ყანაში „მივეც... დრაჰკანი კოსტანტინატი ორი“-ო. მეორეს მხრით იქ ნათქვამია, რომ „ზნაკუას, ვახტანგის გლეხისაგან ვიყიდე ყანაა ა. და მივეც ზუარბალი გრივი გ (სამი)“-ო. მამსადაჲე, დაახლ. 3 გრივი ხორბალი 2 დრაჰკანი კოსტანტინატი ღირებულა“.<sup>17</sup> ნიკორწმინდელის დაწერილში ყანის 2 დრაჰკან კონსტანტინატად ყიდვის გარდა, განსხვავებული ინფორმაციაც ფიქსირდება, თუმცა ავტორი საბუთში არსებულ სხვა აქტებს აღარ მიმოიხილავს. რო-

<sup>15</sup> C. Morrisson, Jean-Claude Cheynet. Prices and Wages in the Byzantine World. The Economic History of Byzantium: From the Seventh through the Fifteenth Century. Ed. by A. E. Laiou, გვ. 823, 830; მ. წურჭუბია. XI საუკუნის საქართველოს სოციალ-ეკონომიკური სურათისათვის (ფასები ნიკორწმინდელის დაწერილის მიხედვით). ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. ტ. VIII. თბ. 2013-2014, გვ. 140.

<sup>16</sup> მაგალითად, 1076 წლიდან ხორბალი მნიშვნელოვნად გაძვირდა და მოლის ფასმა მცირე ხნით მიიწია და გადააჭარბა კიდევ 1 ნომისმას. იხ.: C. Morrisson, Jean-Claude Cheynet. Prices and Wages in the Byzantine World. The Economic History of Byzantium: From the Seventh through the Fifteenth Century. Ed. by A. E. Laiou, გვ. 823-824.

<sup>17</sup> ხეც. ივ. ჯავახიშვილის პირადი არქივის დაუბეჭავი ნაწილი (ფ. 212).



გორც ვხედავთ, ივ. ჯავახიშვილი თვლის, რომ 3 გრივი ხორბლის ფასია 2 დრაჰკანი კონსტანტინატი.

უკანასკნელ პერიოდში ნიკორწმინდელის დაწერილში მოხსენებულ ფასებზე ყურადღება გაამახვილა მკვლევარმა მ. წურწუმიამ. ავტორმა დეტალურად განიხილა ნიკორწმინდელის დაწერილში დაფიქსირებული ფასები, შეისწავლა საბუთში დაცული გარიგების ყველა აქტი. მანაც, ხორბლის ფასის განსაზღვრისას ყურადღება მიაქცია ანალოგიურ ცნობას. მისი აზრით, 3 გრივი ხორბლის ფასი არის 2 ოქრო.<sup>18</sup>

როგორც ვხედავთ, ავტორისათვის ამოსავალი წერტილი ხორბლის ფასის განსაზღვრაში არის ის ცნობა, რომელშიც ჩანს, რომ ყანა შეიძინეს 3 გრივად, ხოლო ყანაში, იმავე წყაროს ცნობით, ერთ შემთხვევაში გადახდილია 2 დრაჰკანი კონსტანტინატი, მეორე შემთხვევაში კი – ჯაჭვი და 2 დრაჰკანი („ველიშეულს ფარსმანისძეთაგან ვიყიდე ორი ნაკუეთი ყანად და მივეც ჯაჭვ ა და დრაჰკანი კონსტანტინატი ბ. და მოწამე არიან კაცნი“). ლოგიკურია მკვლევარის ვარაუდი, რომ ჯაჭვი ღირდა 2 დრაჰკანი და ამ შემთხვევაშიც ყანის ფასი 2 დრაჰკანით განისაზღვრება.<sup>19</sup>

ჩვენ ძირითადად ვიზიარებთ აღნიშნულ დასკვნებს, თუმცა, ვფიქრობთ, გამოთქმული მოსაზრება გარკვეულ დაზუსტებას საჭიროებს. საქმე ისაა, რომ იმავე წყაროში მოცემული გვაქვს ყანის ყიდვის სხვა ფაქტებიც, რაც დაგვეხმარება ყანის და, შესაბამისად, ხორბლის ზოგადი ფასის დადგენაში.

ნიკორწმინდელის დაწერილში ყანის ყიდვა-გაყიდვის ოცზე მეტი შემთხვევიდან ორ მათგანში ფასი ძალიან მაღალია (მაგ. „მუნვე, საწირეს, ვიყიდე ყანად და მივეც ფური ა, ჯაჭვ ა, ჩაბალახი ვეცხლი ღრამად კ, და მოწამე არიან კაცნი“). ამიტომ სრულად ვეთანხმებით მ. წურწუმის ვერსიას, რომ აღნიშნული ცნობები გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს.<sup>20</sup> ჩვენი მხრივ დავამატებთ, რომ შესაძლებელია კონტრეტული მიწის ფართობთა უპირატესობა მათი მდებარეობა ყოფილიყო. ისიც დასაშვებია, რომ საქმე გვეკონდეს ყანის ფართობის სტანდარტულზე დიდ მოცულობასთან, რაც უბრალოდ საბუთში არ აისახა.

<sup>18</sup> მ. წურწუმიამ. XI საუკუნის საქართველოს სოციალ-ეკონომიკური სურათისათვის (ფასები ნიკორწმინდელის დაწერილის მიხედვით), გვ. 139-140.

<sup>19</sup> მ. წურწუმიამ. XI საუკუნის საქართველოს სოციალ-ეკონომიკური სურათისათვის (ფასები ნიკორწმინდელის დაწერილის მიხედვით), გვ. 131, 140.

<sup>20</sup> მ. წურწუმიამ. XI საუკუნის საქართველოს სოციალ-ეკონომიკური სურათისათვის (ფასები ნიკორწმინდელის დაწერილის მიხედვით), გვ. 139-140.

ყანის ყიდვა-გაყიდვის ოცზე მეტი აქტიდან სულ რამდენიმეა, სადაც გარკვევით იკითხება მისი ფასი.<sup>21</sup> ორ მათგანზე, ოქროს მონეტით ყანის ყიდვის შესახებ, საუბარი უკვე გვექონდა. გარდა ამისა, არის ორი შემთხვევა რომელშიც, ასევე, გარკვევით იკითხება ფასი. ორივე შემთხვევაში ყანის ფასად მითითებულია ადგილობრივი ფული, დრამა (ვერცხლის მონეტა) – 1. „ქუმელოანს ვიყიდე სგოჯადს ძისაგან ყანად ა და მივეც რკინად და მატყლი დრამისა ლ-სად, მოწამე არიან კაცნი“; 2. „თერნეულისა თავსა ვიყიდე თავბრტყელისაგან ყანად და მივეც ფასად ოცისა დრამისად, და მოწამე არიან კაცნი“.<sup>22</sup>

ამ შემთხვევაში ყანის ფასად გადახდილია 30 და 20 დრამა (ერთ შემთხვევაში 30 დრამის ღირებულების რკინა და მატყლი). ბუნებრივია, ამ ცნობებსაც უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება, რადგან ყანის 2 დრაჰკან კონსტანტინატად ყიდვის თუ ერთი შეუვალი ცნობა გაგვანჩნია, მეორე შემთხვევაში – პირობაზე დამყარებული, აქ, ორივე აქტში, ნათლად არის მითითებული ყანის ფასი ადგილობრივ ფულში. თანაც თუ დრაჰკანი კონსტანტინატის რაობა გარკვეულად კამათს იწვევს, ამავე დროს, ჩვენ არ ვიცით მისი ზუსტი შეფარდება ადგილობრივ ვერცხლის ფულთან, ვფიქრობთ, ეს ცნობები სანდოდ გამოიყურება. ამავე დროს, დრამებში ყიდვის ფაქტები გარკვეულწილად დახმარებას გაგვიწვევს 2 დრაჰკან კონსტანტინატის რეალური ღირებულების დადგენაში. ერთი სიტყვით, როგორც არ შეიძლება ყანის ოქროს ფულით შეძენის შემთხვევის უარყოფა, ასევე, დაუშვებლად მიგვანჩნია ვერცხლის დრამებით ყიდვის ფაქტების არ გათვალისწინება. მ. წურწუშია აღნიშნავს, რომ ყანის ფასის 2 ოქროდ განსაზღვრასთან ახლოს არის ყანის ვერცხლით ყიდვის შემთხვევებიც. მისი აზრით, „30 და 20 დრამა ოქროზე რომ გადავიყვანოთ (1:14), მივიღებთ 2,14 და 1,42 ოქროს.“<sup>23</sup> ამ დაანგარიშების ამოსავალი

<sup>21</sup> ერთგვარად საკამათოა ნიკორწმინდელის დაწერილში გლეხების მიერ ყანის გაყიდვის ფაქტების დადასტურება. შესაძლებელია აქ საქმე გვექონდეს გლეხის მიერ, არა როგორც ოურიდიული მესაკუთრის მხრიდან მიწის გასხვისებასთან, არამედ სარგებლობის უფლების დათმობასთან. ხოლო მიწის გაყიდვის ოურიდიულ თანხმობას, ალბათ, გლეხის მეზატონე იძლეოდა. საკითხზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ საბუთში რა ფორმითაც არ უნდა იყოს მიწის ფართობის ყიდვა-გაყიდვის ფაქტი ნაგულისხმევი, ეს ხელს არ გვიშლის ხორბლის ფასის დადგენაში.

<sup>22</sup> დაწერილი ნიკოლოს წმიდის წინამძღვრისა. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. I, გვ. 41.

<sup>23</sup> მ. წურწუშია. XI საუკუნის საქართველოს სოციალ-ეკონომიკური სურათისათვის (ფასები ნიკორწმინდელის დაწერილის მიხედვით), გვ. 139.

ის არის, რომ ავტორს დრამის წონად მიიჩნია არა რეალური მონეტა (XI საუკუნის მეორე ნახევრის მონეტების წონა), არამედ დრამის თავდაპირველი წონა მცირე დამრგვალებით – 3 გრამი. ავტორის აზრით, რადგან მონეტის რეპელიუმი მერყევი იყო, „მიტომაც ანგარიშსწორებას მონეტების აწონვის გზით ახდენდნენ“.<sup>24</sup>

აღნიშნული მოსაზრების გათვალისწინებით გამოდის, რომ 30 დრამში იანგარიშებოდა არა რეალური 20 მონეტა, არამედ მისი პირობითი წონა, ამ შემთხვევაში 90 გრამი ( $30 \times 3 = 90$ ). იმ ეპოქის დრამების რეალური წონა კი 1,2-2,2 გრამი იყო,<sup>25</sup> ხოლო, თუ ზედა ზღვარის სასარგებლოდ დავამრგვალებთ – დაახლ. 2 გრამი. ანუ ამ ლოგიკით 30 დრამად ნაყიდ ყანაში გადაუხდიათ მინიმუმ რეალური 45 დრამა. აქვე ვიტყვით, რომ ამ სახით დაანგარიშების ფორმა ძალზე საეჭვოდ მიგვაჩნია.

ავტორი თავის მოსაზრებას ამაგრებს ფავნელის დაწერილში და ჩვაბიანის მთავარანგელოზთა ეკლესიის წარწერაში არსებული ცნობებით, რომელშიც დადასტურებულია ფულის წონით ანგარიშსწორების ფაქტები: „მიათუალენით სოფელნი და მომიწონა ოცდაათი ლიტრა ოქრო, ოცდაათი ლიტრა ვერცხლი...“. ამავე საბუთის გვიანდელ მინაწერზე აღნიშნულია: „თეთრსა რა ანგარიში უნდა: კაბარჭითა გარდაუწყე...“.<sup>26</sup> ვერცხლის წონით მითვლაზე მოგვითხრობს ჩვაბიანის მთავარანგელოზთა ეკლესიის XI საუკუნის წარწერაც: „სამოცდასამი აჟურა, შკდი დრახკანი, ხუ]თისა დრახკნისა წონით სხვაი შეყრილი ვეცხლი, ხუთი ბეჭედი – ესე გიორგის, ხუცეს(ს)ა, ხაფთანსა მიუთვალა სოფელმ(ა)ნ“.<sup>27</sup>

ჩვენი აზრით, ეს ცნობები ვერ გამოდგება იმის დასამტკიცებლად, რომ იმ ეპოქის საქართველოში ანგარიშსწორების ფორმად უცილობლად ფულის აწონვა იყო დაკანონებული – ჯერ ერთი, ორივე შემთხვევაში, ფავნელის დაწერილშიც და ჩვაბიანის ეკლესიის წარწერაშიც, ხაზგასმულია, რომ ანგა-

<sup>24</sup> მ. წურწუშია. XI საუკუნის საქართველოს სოციალ-ეკონომიკური სურათისათვის (ფასები ნიკორწმინდელის დაწერილის მიხედვით), გვ. 136.

<sup>25</sup> ამ პერიოდის საქართველოში მოჭრილი მონეტები განხილულია ქვემოთ.

<sup>26</sup> დაწერილი ფავნელისა მღვიმისადმი. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. I, გვ. 18; მ. წურწუშია. XI საუკუნის საქართველოს სოციალ-ეკონომიკური სურათისათვის (ფასები ნიკორწმინდელის დაწერილის მიხედვით), გვ. 136.

<sup>27</sup> სვანეთის წერილობითი ძეგლები (X-XVIII სს.): ეპიგრაფიკული ძეგლები. ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები და სამეცნიერო-საცნობარო აპარატი დაურთო ვალერი სილოგავამ. ტ. II. თბ. 1988, გვ. 371-372; მ. წურწუშია. XI საუკუნის საქართველოს სოციალ-ეკონომიკური სურათისათვის (ფასები ნიკორწმინდელის დაწერილის მიხედვით), გვ. 136.

რიშსწორებისას ფულის აწონვა არის გამოყენებული. ეს კი მიანიშნებს იმაზე, რომ ასეთ შემთხვევებს საგანგებოდ აღნიშნავდნენ. ხოლო ნიკორწმინდელის დაწერილში ასეთი აღნიშვნა არ გვაქვს; მეორე, ფაენელის დაწერილში დიდი რაოდენობით ფულის აწონვაზეა საუბარი, ნიკორწმინდელის დაწერილში კი, უმეტესად, საქმე ეხება რამდენიმე ათეული დრამის გადახდას და ძნელი დასაჯერებელია, რომ ყველა ამ შემთხვევაში აწონვის მეთოდი გამოიყენებოდეს. თვალშისაცემია ის ფაქტიც, რომ ჩვაბიანის ეკლესიის წარწერაში, სადაც დადასტურებულია აწონის მეთოდი, იქვე არის მინაწერი: „ხუთისა დრახენისა წონით სხვაი შეყრილი ვეცხლი, ხუთი ბეჭედი“. ანუ, აწონილია არა ფული, არამედ ძვირფასი ლითონი. ხოლო სადაც რეალური ფულია დამოწმებული („სამოცდასამი აჟურა, შუდი დრახკანი“), იქ აწონის ფაქტი არ ჩანს. ანალოგიურ ვითარებასთან გვაქვს საქმე ფაენელის დაწერილში – აწონილია „ოცდაათი ლიტრა ოქრო“ და „ოცდაათი ლიტრა ვერცხლი“, ხოლო, „ათი ათასი პელპელი“ (ანუ პერპერა) გადახდილია აწონვის გარეშე.<sup>28</sup>

ერთი სიტყვით, ალოგიკურად მიგვაჩნია, რომ ნიკორწმინდელის დაწერილში მოსხენებულ 20 და 30 დრამაში მათი პირობითი წონა (60 და 90 გრამი ვერცხლი, რაც იმ ეპოქაში მოჭრილ 30 და 45 დრამის ტოლფასია) იყოს ნაგულისხმები. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ნიკორწმინდელის დაწერილში აღნიშნულია, რომ ყიდვა-გაყიდვისათვის, დრამის გარდა, გამოიყენებოდა ვერცხლის სხვა ნომინალიც – აჟურა.<sup>29</sup> თუ დრამაში მისი პირობითი წონა (3 გრ.) იგულისხმება, რატომ გახდებოდა საჭირო განსხვავებული წონის მქონე ვერცხლის ნომინალის მითითება?

ნიკორწმინდელის დაწერილი თარიღდება XI საუკუნის მეორე ნახევრით, უფრო კონკრეტულად – 1071-1080 წლებით. ამ პერიოდში იჭრებოდა ბაგრატ IV-ის (პირველი ჯგუფი – 1055/56-1060 წწ. რემედიუმი 1,6-2,2; მეორე ჯგუფი – 1060-1072 წწ. რემედიუმი 1,2-2,2) და გიორგი II-ის მონეტები (სამი ჯგუფი, საერთო რემედიუმი 1,1-2,1).<sup>30</sup> როგორც ვხედავთ, ბაგრატ IV-ისა და გიორგი II-ის მონეტების მაქსიმალური წონაა 2,2 გრამი შემცირების ტენდენციით. მონეტის წონის დაკლება შემოსავლების გაზრდის მიზნით ხორციელდებოდა და თავდაპირველად მას ძველი წონის ეფექტი უნ-

<sup>28</sup> დაწერილი ფაენელისა მღვიმისადმი. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. I, გვ. 18.

<sup>29</sup> დაწერილი ნიკოლაოს წმიდის წინამძღვრისა. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. I, გვ. 43.

<sup>30</sup> გ. ლუნდუა, თ. ლუნდუა. ქართული ნუმიზმატიკა. I ნაწილი. თბ. 2006, გვ. 190-193.

და ჰქონოდა, მისი რეალური წონა მოგვიანებით აისახებოდა ბაზარზე. ამის გათვალისწინებით, არ შევცდებით თუ ამ ეპოქის ქართული დრამების საშუალო წონის დადგენისას, როგორც ზემოთაც აღინიშნა, ზედა ზღვარის სასარგებლოდ გადავიხრებით და ავიღებთ 2 გრამს.

ერთი სიტყვით, 2 გრამიანი დრამის პირობებში, ნიკორწმინდელს ყანაში გადაუხდია, ერთ შემთხვევაში, 40 და, მეორე შემთხვევაში, 60 გრამი ვერცხლი. თუ ყანის 20 დრამად ყიდვის ფაქტს, ფასის სიმცირის გამო, გარკვეულ გამონაკლისად ჩავთვლით და ყანის საშუალო ფასად 30 დრამას მივიჩნევთ, დრამებით ყიდვისას, ყანის და, შესაბამისად, 3 გრივი ხორბლის, ფასი გამოდის 60 გრამი ვერცხლი.

ყანის 2 დრაჰკან კონსტანტინატად ყიდვის შემთხვევაში ღირებულების ვერცხლის გრამებში გადაყვანისთვის ყურადღება უნდა გავამახვილოთ ვერცხლისა და ოქროს შეფარდებაზე. თუ ბიზანტიაში X საუკუნის მიწურულსა და XI საუკუნის დასაწყისში მიღებული სტანდარტული კურსით დავიანგარიშებთ, 1 ოქროს ნომისმა უდრიდა 14 მილიარისს, რომელიც საშუალოდ 3 გრამს იწონიდა<sup>31</sup> და უტოლდებოდა დრამის დადგენის წონას – დაახლ. 3 გრამს.<sup>32</sup> ივ. ჯავახიშვილის აზრით, XII საუკუნეში ოქროს და ვერცხლის ღირებულებათა თანაფარდობა იყო 1:13, თუმცა, აღნიშნავს, რომ ოქროსა და ვერცხლის ფულის შეფარდება ცვალებადი იყო და მეზობელ ქვეყნებში მერყეობდა 1:10-დან 1:15-მდე.<sup>33</sup> ამ შემთხვევაშიც საუბარია ოქროსა და ვერცხლის არა წონით შეფარდებაზე, არამედ ოქროს და ვერცხლის ნომინალუბის – დრაჰკანის (4,4 გრამი ოქრო) და დრამის (დაახლ. 3 გრამი ვერცხლი) – შეფარდებაზე.<sup>34</sup> როგორც აღინიშნა, მ. წურწუშია (ოქროს და ვერცხლის 1:14 შეფარდებით) ყანაში გადახდილ 2 დრაჰკან კონსტანტინატის ეკვივალენტად მიიჩნევს 28 სრულწონიან (3 გრამიან) დრამას. 28 დრამა კი, 3 გრამიანი დრამის პირობებში, იწონიდა 84 გრამს.

<sup>31</sup> მ. წურწუშია. XI საუკუნის საქართველოს სოციალ-ეკონომიკური სურათისათვის (ფასები ნიკორწმინდელის დაწერილის მიხედვით), გვ. 137; C. Morrisson. Byzantine Money: Its Production and Circulation. The Economic History of Byzantium: From the Seventh through the Fifteenth Century. Ed. by A. E. Laiou. Washington 2002, გვ. 930.

<sup>32</sup> დრამის წონის შესახებ იხ.: ვ. ჯავახიშვილი. ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან (IX-XIX სს.). თბ. 1973, გვ. 40.

<sup>33</sup> ივ. ჯავახიშვილი. ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ეხლა. წიგნი III. ნაკვეთი მესამე. ქართული საფას-საწომომცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა-მეტროლოგია. ტფ. 1925, გვ. 40-41.

<sup>34</sup> ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია, გვ. 96.

ერთი სიტყვით, ჩვენი დაანგარიშებით, დრამებით ყიდვის შემთხვევაში ყანის ფასია დაახლ. 60 გრამი ვერცხლი, ხოლო, 2 დრაჰკანად ყიდვის შემთხვევაში (ოქროს და ვერცხლის მონეტების 1:14 შეფარდებით) – დაახლ. 84 გრამი ვერცხლი. ვფიქრობთ, ყანის „დრამის პირობებში“ ყიდვის ფაქტის ხელაღებით უარყოფა არ იქნება მართებული, ისევე როგორც ყურადსაღებია ოქროს შემთხვევაში მიღებული ციფრიც.

30 დრამასა და 2 დრაჰკან კონსტანტინატს შორის მნიშვნელოვან განსხვავებას ვიღებთ იმ დაშვებით, თუ დრაჰკანი კონსტანტინატისა და 3 გრამიან ვერცხლის მონეტის შეფარდება იქნება 1:14. თუმცა ხაზი უნდა გაესვას შემდეგ გარემოებას: ჩვენთვის საინტერესო ეპოქის ბიზანტიური ოქროს მონეტების განხილვა გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოდ, რომ დრაჰკანი კონსტანტინატის და 3 გრამიანი ვერცხლის მონეტის შეფარდება იმ ეპოქის საქართველოში 1:13, 1:14-ზე ნაკლები იყო. გ. ჯაფარიძე თავის სტატიაში – „ოქროს მონეტის ტერმინოლოგია XI-XIII საქართველოში“ – დეტალურად განიხილავს აღნიშნული ეპოქის ბიზანტიური ოქროს მონეტებს. ავტორის აზრით, ჩვენთვის საინტერესო მონეტა, კონსტანტინატი, უნდა იყოს კონსტანტინე IX მონომახის (1042-1055 წწ.) ნომისმა.<sup>35</sup> ბიზანტიაში XI საუკუნის 30-იანი წლებიდან იწყება ჰისტამენონ ნომისმას (4,4 გრ.) სინჯის დაცემა. 24 კარატიდან სინჯი XI საუკუნის 70-იან წლებში 8 კარატამდე დაეცა. კონსტანტინე IX მონომახის მმართველობის დროს იჭრებოდა 4 სახის ჰისტამენონ ნომისმა. მათი სინჯადობა განსხვავებული იყო. ყველაზე გავრცელებული ტიპის სინჯი 20-22 1/2 კარატი იყო.<sup>36</sup> კონსტანტინე IX-ის სხვა ტი-

<sup>35</sup> კონსტანტინატი ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში უკავშირდებოდა კონსტანტინე X ლუკას სახელს (1059-1067 წწ.), თუმცა მის მიერ მოჭრილი მონეტის ზედსახელი უნდა იყოს ლუკატი. ხოლო კონსტანტინე IX-ის ოქროს მონეტის – კონსტანტინატი. ეს აზრი გაზიარებულია თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში. იხ.: გ. ლუნდუა, თ. ლუნდუა. ქართული ნუმისმატიკა. I ნაწილი, გვ. 220.

აქვე აღვნიშნავთ, რომ გავრცელებული შეხედულებით XI-XIII საუკუნეებში საქართველოში დრაჰკანი შესატყვისებოდა როგორც აღმოსავლურ დინარს, ასევე, ბიზანტიურ ნომისმას. იხ.: ივ. ჯავახიშვილი. ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ეხლა. წიგნი III. ნაკვეთი მესამე. ქართული საფას-საზომთმცოდნეობა ანუ ნუმისმატიკა-მეტროლოგია, გვ. 14; გ. ჯაფარიძე. ოქროს მონეტის ტერმინოლოგია XI-XIII საქართველოში. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. თბ. 1976. № 3, გვ. 89-92.

დრაჰკანთან დაკავშირებით არსებობს განსხვავებული მოსაზრებაც. თ. ლუნდუას აზრით, დრაჰკანი ორი ნომისმა (8,4 გრ.). იხ.: თ. ლუნდუა. ქართული ეთნოკულტურული ევოლუცია და დასავლეთი ნუმისმატიკური მასალების მიხედვით. თბ. 1997, გვ. 202-203.

<sup>36</sup> გ. ჯაფარიძე. ოქროს მონეტის ტერმინოლოგია XI-XIII საქართველოში, გვ. 89-92.

პის ჰისტამენონ ნომისმას ხარისხი უფრო დაბალია, IV კლასის ჰისამენონ ნომისმას სინჯი 19 1/2 კარატამდე ჩამოდის.<sup>37</sup> ჰისტამენონ ნომისმას და 3 გრამიანი ვერცხლის დადგენილი შეფარდება იყო 1:12, ხოლო X საუკუნის მიწურულს, როგორც აღინიშნა, მიაღწია 1:14-მდე.<sup>38</sup> თუმცა, ეს შეფარდება ძალაშია 24 კარატის ჰისტამენონ ნომისმას პირობებში. კონსტანტინატის სინჯი კი, როგორც ვნახეთ, შედარებით დაბალია. შესაბამისად, შემცირებულა მისი კურსი ვერცხლის მონეტებთან მიმართებით. ვინაიდან ნიკორწმინდელის დაწერილიდან ოქროს მონეტების ღირებულებებს შორის სხვაობის დადგენა ვერ ხერხდება, მ. წურწუშია მათ, პირობითად, თანაბარი ძალის მქონედ მიიჩნევს.<sup>39</sup> თუმცა XI-XIII საუკუნის ქართულ წყაროებში ოქროს მონეტის ზედსახელების – კონსტანტინატის, დუკატის, ბოტინატის და სხვ. – გამოყენება<sup>40</sup> სწორედ მათ შორის ღირებულებითი განსხვავების ცოდნაზე მიუთითებს.<sup>41</sup> დრაჰკანის ზედსახელებს ოქროს სინჯადობის ინდიკატორად მიიჩნევს თ. ღუნდუა.<sup>42</sup> აქედან გამომდინარე, შედარებით დაბალი ხარისხის კონსტანტინატი საქართველოში, სავარაუდოდ, ხურდავდებოდა არა 3 გრამიან 13-14 ვერცხლის მონეტად, არამედ უფრო ნაკლებად. თუ დაეუშვებთ, რომ XI საუკუნის 70-იან წლების საქართველოში დრაჰკან კონსტანტინატის 3 გრამიან ვერცხლის მონეტასთან შეფარდება იყო 1:10-სა და 1:12-ს შორის, მაშინ 2 ოქროს ვერცხლში გამოხატულება იქნება საშუალოდ 6 გრამი (33 ადგილობრივი დრამა). მოცემული პირობის გათვალისწინებით, ყანის 2 დრაჰკან კონსტანტინატად და 30 დრამად ყიდვის შემთხვევებს შორის სხვაობა მინი-

<sup>37</sup> Catalogue of the Byzantine Coins in the Dumbarton Oaks Collection and in the Whittemore Collection. Ed. by Alfred E. Bellinger and Philip Grierson. Vol. 3, part 1, 2nd ed. Washington 1993, გვ. 40.

კონსტანტინე IX მონომახის დროს სინჯადობას 19-22 კარატი განსაზღვრავს თ. ღუნდუა. იხ.: თ. ღუნდუა. ქართული ეთნოკულტურული ევოლუცია და დასავლეთი ნუმისმატიკური მასალების მიხედვით, გვ. 220.

<sup>38</sup> C. Morrisson. Byzantine Money: Its Production and Circulation. The Economic History of Byzantium: From the Seventh through the Fifteenth Century. Ed. by A. E. Laiou, გვ. 930.

<sup>39</sup> მ. წურწუშია. XI საუკუნის საქართველოს სოციალ-ეკონომიკური სურათისათვის (ფასები ნიკორწმინდელის დაწერილის მიხედვით), გვ. 135.

<sup>40</sup> საკითხის შესახებ ვრცლად იხ.: გ. ჯაფარიძე. ოქროს მონეტის ტერმინოლოგია XI -XIII საქართველოში, გვ. 84-95.

<sup>41</sup> ნიკორწმინდელის დაწერილშიც დრაჰკან კონსტანტინატთან ერთად მოხსენებულია დრაჰკანი და დრაჰკანი დუკატი. დაწერილი ნიკოლას წმიდის წინამძღვრისა. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. I, გვ. 41-43.

<sup>42</sup> თ. ღუნდუა. ქართული ეთნოკულტურული ევოლუცია და დასავლეთი ნუმისმატიკური მასალების მიხედვით, გვ. 220.

მუშამდე დადის. ამდენად, კონსტანტინატის შემცირებული კურსის პირობებში 2 ოქროდ შეფასებული ყანის, ისევე როგორც 3 გრივი ხორბლის საშუალო ფასი გამოდის 60-66 გრამი ვერცხლი (30-33 დრამა).

იმისათვის, რომ დავადგინოთ ხორბლის, ანუ პურის ფასი, საჭიროა გავარკვიოთ გრივის ოდენობა. ივ. ჯავახიშვილი გრივის წონას 32,745 კილოგრამით განსაზღვრავდა.<sup>43</sup> რაც შეეხება მ. წურწუმის, ის იმოწმებს გ. ჯაფარიძის ნაშრომს „ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან“ და გრივის მოცულობად 100 კგ. მიიჩნევს.<sup>44</sup>

როგორც აღინიშნა, მ. წურწუმის აზრით, 3 გრივი, ანუ 300 კგ. ხორბალი ღირდა 2 დრაჰკანი კონსტანტინატი. ავტორს თავისი მოსაზრების სისწორის გადასამოწმებლად მოტანილი აქვს მეზობელ ქვეყნებში არსებული ხორბლის ფასები: „IX-XI საუკუნეების კონსტანტინოპოლში... 153.6 კგ. ხორბლის ფასი 1 ბიზანტიური ოქროს ნომისმა იყო; XI საუკუნის მეორე ნახევარში პალესტინაში 1 კაფიზი (199.09 კგ.) ხორბალი ღირდა 1.33-1.625 დინარი, რაც ნიშნავს, რომ 150 კგ. ხორბალი 1-1.22 დინარი ღირდა. XI საუკუნის ბაღდადისათვის ე. აშტორი ნორმალურ ფასად მიიჩნევს 0.75 დინარს 100 კგ. ხორბალში, XII საუკუნისათვის კი – 0.68 დინარს. ე.ი. XI საუკუნის ბაღდადში 150 კგ. ხორბალი ღირდა 1.125 დინარი, XII საუკუნეში კი – 1.02 დინარი“. ავტორი მიუთითებს, რომ XI-XII საუკუნეების კონსტანტინოპოლში, პალესტინასა და ბაღდადში 150 კგ.-ს ხორბლის ღირებულება იყო დაახლოებით 1 ოქრო, რაც მისი დაანგარიშების იდენტურია.<sup>45</sup> ავტორი, მართალია, არ ახდენს ხორბლის ფასის ვერცხლზე დაანგარიშებას, თუმცა, როგორც აღინიშნა, მას 2 დრაჰკან კონსტანტინატის ეკვივალენტად მიაჩნია 28 დრამა, 3 გრამიანი დრამის პირობებში (=84 გრამ ვერცხლს). აქვე დავძენთ, რომ ეს არგუმენტი მნიშვნელოვანია და, სულ მცირე, ამ დაანგარიშების დაახლოებით სისწორეზე მიუთითებს.

გავითვალისწინეთ რა ყანის დრამებში ყიდვის ფაქტები და დრაჰკანი კონსტანტინატის კურსის სავარაუდო კლება, ჩვენ 3 გრივი ხორბლის ღირებულების ამგვარ დაანგარიშებაში, როგორც ვნახეთ, გარკვეული კორექტივები შევიტანეთ. ჩვენ მიერ მიღებული ხორბლის ფასი (3 გრივი – დაახლ. 60-66

<sup>43</sup> ხეც. ივ. ჯავახიშვილის პირადი არქივის დაუმუშავებელი ნაწილი (ფ. 212).

<sup>44</sup> მ. წურწუმია. XI საუკუნის საქართველოს სოციალ-ეკონომიკური სურათისათვის (ფასები ნიკორწმინდელის დაწერილის მიხედვით), გვ. 128.

<sup>45</sup> მ. წურწუმია. XI საუკუნის საქართველოს სოციალ-ეკონომიკური სურათისათვის (ფასები ნიკორწმინდელის დაწერილის მიხედვით), გვ. 139140.



გრამი ვერცხლი), მართალია, რადიკალურად არ ცვლის მ. წურწუმის დასახელებულ ფასს (3 გრივი – დაახლ. 84 გრამი ვერცხლი), მაგრამ მაინც განსხვავებულია.

ვიდრე საკითხის განხილვას გავაგრძელებთ, ყურადღება უნდა მიექცეს ერთ დამაბრკოლებელ გარემოებას. გ. ჯაფარიძის ზემოთ დასახელებულ ნაშრომში აღნიშნულია, რომ XIII-XIV საუკუნეებში გრივის ზომა იყო დაახლოებით 100 კგ.<sup>46</sup> სწორედ ამ მეტროლოგიურ გათვლას ეყრდნობა მ. წურწუმია ხორბლის ფასის დაანგარიშებისას. თუმცა, როგორც ითქვა, გ. ჯაფარიძე 100 კილოგრამიან გრივს ვარაუდობს XIII-XIV საუკუნეებისათვის, ხოლო XI-XII საუკუნეებში გრივის წონას არ ასახელებს. გრივის მოცულობის დასადგენად ავტორი ეყრდნობა სულხან-საბას იმ ცნობას, რომელიც მას მოუპოვებია სამცხესა და გურიაში და, რომლის მიხედვითაც, გრივის დაყოფა საქართველოში ათობით პრინციპს ემყარებოდა. ამ ცნობაზე დაყრდნობით და, ასევე, ირანში გრივის 10 კაფიზად დაყოფის პრინციპის გათვალისწინებით, გ. ჯაფარიძე მიიჩნევს, რომ საქართველოში გრივი 10 კაბიწს შეიცავდა.<sup>47</sup> რაც შეეხება კაბიწს, ავტორი აღნიშნავს, რომ 24 ლიტრიანი კაბიწის არსებობა უნდა გამოირიცხოს და ის ტრადიციულად 10 ლიტრიანად უნდა მივიჩნიოთ, რაც XIII-XIV საუკუნეებში 10 კგ.-ის ტოლფასია.<sup>48</sup> როგორც ვხედავთ, გრივის ზომა ლიტრის სისტემაზე იყო დამყარებული. ლიტრა კი, იმავე ნაშრომში მოცემული ვრცელი გამოკვლევის მიხედვით, IX საუკუნიდან, ყველაზე ადრე, XIII საუკუნის დასაწყისამდე, 406,25 გრამს იწონიდა, ხოლო, მანამდე, ისევე როგორც თანადროულ ბიზანტიაში, – 327,45 გრამს. მხოლოდ XIII საუკუნიდან იზრდება ლიტრის წონა 1 კილოგრამამდე.<sup>49</sup> ამდენად, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ კაბიწს გ. ჯაფარიძე 10 ლიტრიანად მიიჩნევს, ხოლო გრივს 10 კაბიწიანად, ლიტრის 406,25 გრამის პირობებში, XI საუკუნეში გრივის ზომად ჩაითვლება 40,625 კგ. ( $0,406,25 \times 10 \times 10 = 40,625$ ).

როგორც აღინიშნა, ივ. ჯავახიშვილი გრივის წონას 32,745 კილოგრამით განსაზღვრავდა. მისი ამოსავალი იყო, ასევე, 10 კაბიწიანი გრივის სისტემა, 10 ლიტრიანი კაბიწის გათვალისწინებით, თუმცა ლიტრის წონად ის მიიჩნევდა მის თავდაპირველ ბიზანტიურ მოცულობას – 327,45 გრამს ( $0,32745 \times 10 \times 10 = 32,745$ ).

<sup>46</sup> გ. ჯაფარიძე. ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან (IX-XIX სს.), გვ. 84.

<sup>47</sup> გ. ჯაფარიძე. ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან (IX-XIX სს.), გვ. 83-84.

<sup>48</sup> გ. ჯაფარიძე. ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან (IX-XIX სს.), გვ. 92-93.

<sup>49</sup> გ. ჯაფარიძე. ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან (IX-XIX სს.), გვ. 48-61.

თუ გრივის მოცულობად მივიჩნევთ 40,625 კგ.-ს, მაშინ, 3 გრივი ხორბალი ყოფილა დაახლ. 122 კგ. და მის ფასი, ჩვენი გამოთვლით, ყოფილა 60-66 გრამი ვერცხლი. ხოლო, 1 კილოგრამის – 0,49-0,54 გრამი ვერცხლი. მოცემული ფასი ძალიან მაღალია, რაც ამ გათვლის სიზუსტეში ეჭვის შეტანის საფუძველს იძლევა. როგორც ზემოთ ითქვა, XI საუკუნეში უდიდეს ქალაქებში – კონსტანტინოპოლსა და ბაღდადში – საშუალოდ 150 კგ. ხორბლის ფასი 1 ოქრო იყო, ვერცხლზე გადატანით კი (ოქროს და ვერცხლის 1:13, 1:14 შეფარდებით) – 1 კგ. დაახლ. 0,27 გრამი ვერცხლი. შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპაშიც 1 კილოგრამამდე, 2 ფუნტი (960 გრ.) პური ღირდა 1/4 ინგლისური პენი. პენის წონა იყო 1,3 გრამი,<sup>50</sup> ხოლო მეოთხედი პენის – 0,325. როგორც ვხედავთ, შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპაში 1 კგ. პურის ფასი საშუალოდ 0,32 გრამი ვერცხლი იყო. ამდენად, ალოგიკურად მიგვაჩნია საქართველოში ხორბალი ჩამოთვლილ ქვეყნებში არსებულ ფასზე ორჯერ ძვირი ყოფილიყო. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სწორედ იმ დროს რაიმე მიზეზის გამო ქვეყანაში ხორბლის დეფიციტი შეიქმნა, რამაც მისი ფასი მკვეთრად გაზარდა, თუმცა ასეთი არაორდინალური შემთხვევა აუცილებლად აღინიშნებოდა დოკუმენტში – მონასტრის წინამძღვრის მიერ შედგენილი საბუთის მიზანი ხომ მისი გაწეული საქმის აღნუსხვაა და, შესაბამისად, მსგავს ვითარებაში ხორბლით რაიმეს შეძენისას აუცილებლად აღნიშნავდა მის განსაკუთრებული სიძვირეს.

ზემოთთქმულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, გადასახედია გრივის მოცემული წონა. გრივის 40,625 კილოგრამით განსაზღვრის შემთხვევაში ფასთან შეუსაბამობას რომ არ მივაქციოთ ყურადღება, რთულად ასახსნელია, ასევე, ყანის 122 კგ. ხორბლით ყიდვის ფაქტი. ყანა ეჭვგარეშეა, რომ მინიმუმ ერთ დღიურ მიწას მაინც მოიცავდა. გვიანდელი პერიოდის საქართველოში ვახტანგ VI-ის შედგენილი „დასტურლამალის“ მიხედვით, ერთ დღიურ მიწაზე ითესებოდა 2,5 კოდი ხორბალი.<sup>51</sup> კოდი ამ დროს იწონიდა 30 კილოგრამს,<sup>52</sup> ცნობის თანახმად, ერთ დღიურ მიწაზე ითესებოდა 75 კგ. ხორბალი, ხოლო მოსავალი, საშუალოდ, რვაჯერადი იყო და იღებდნენ 600 კილოგრამამდე. რაჭის ზონაში იმ დროს თუ ნაკლები მოსავლიანობა იქნებოდა, ყანი-

<sup>50</sup> Jeffrey L. Singman. The Middle Ages: Everyday Life in Medieval Europe. New York 2013, გვ. 68-69.

<sup>51</sup> ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიკური ისტორია. წიგნი პირველი. თბ. 1930, გვ. 379.

<sup>52</sup> გ. ჯავახიშვილი. ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან (IX-XIX სს.), გვ. 96-100.

დან 300-400 კგ. ხორბლის მოწვევა მაინც იქნებოდა შესაძლებელი. ამდენად, ფასის მიუხედავად, სრულებით ალოგიკურად მიგვაჩნია ყანის საფასურად 122 კილოგრამი ხორბლის გადახდა. ამ რაოდენობაზე მცირედით ნაკლები ხორბალი ხომ ყანის დათესვისათვის გამოიყენებოდა, ხოლო ერთი წლის განმავლობაში იმავე ყანიდან 122 კილოგრამზე მინიმუმ სამჯერ მეტი მოსავალის მიღება შეიძლებოდა. ერთი სიტყვით, არარეალურად მიგვაჩნია ფეოდალურ ეპოქაში ასეთი მცირე რაოდენობის ხორბლის საფასურად მიწის რაიმე ფორმით შექენა.

ჩვენი აზრით, გრივის 40 კილოგრამიანი ტევადობის საპირისპიროდ უნდა მეტყველებდეს X საუკუნის II ნახევარის ოშკის სამშენებლო წარწერა. წარწერაში აღნიშნულია, რომ მშენებლობაზე წელიწადში სხვა პროდუქტებთან ერთად იხარჯებოდა „ხუარბალი გრივი სმი“, ანუ 250. იმავე წარწერიდან ჩანს, რომ მშენებლობაზე მუშაობდა მინიმუმ 150 ადამიანი – „გალატონი და ხუროდ და მჭედელი დი (70)“, ასევე, „(ყოველი) ერი და მოქმედი პ (80)“.<sup>53</sup> 40,625 კილოგრამიანი გრივის ანგარიშით ერთ წელიწადში ოშკის მშენებლობაზე დახარჯულა 10156 კგ. ხორბალი (250X40,625=10156). თუ ჩავთვლით, რომ აქტიური სამშენებლო სამუშაოები, ზამთრის ყინვებისა და კვირის უქმი დღის გათვალისწინებით, წელიწადში 250 დღე გრძელდებოდა, 150 ადამიანის გამოსაკვებად დღეში დახარჯულა 40,624 კგ. ხორბალი. ანუ ერთი ადამიანისათვის განკუთვნილი ყოფილა დღეში 270 გრამი ხორბალი. ეს მონაცემი კი რეალობასთან შეუსაბამოა. წყაროებიდან ირკვევა, რომ ძველ საქართველოში პური კვების რაციონის უმთავრეს ადგილს იკავებდა და დღეში ერთი ადამიანის გამოსაკვებად გაცილებით მეტი ხორბალი იყო საჭირო. ამ საკითხის შესახებ ივ. ჯავახიშვილმა ყურადღება გაამახვილა დავით აღმაშენებლის ანდერძზე შიომღვიმისადმი, სადაც აღნიშნულია, რომ „საზრდელი ძმათა პური, – ხილი ფურნისად – ხუთასისა დრამისა წონი, ნუმცა ოდეს მოაკლდების“ („ხილი ფურნისად“ ივ. ჯავახიშვილს განმარტებული აქვს, როგორც „[ც]ხ[ობ]ილი ფურნისად“). მისი დაკვირვებით, ერთი ადამიანისათვის გათვალისწინებული იყო არანაკლებ 500 დრამა პური, დრამის წონას კი 3,411 გრამით განსაზღვრავს.<sup>54</sup> თანამედროვე კვლევების მიხედვით, დრამის წონად მიჩნეულია დაახლ. 3 გრამი.<sup>55</sup> ამ შემთხვევაში ერთი ადამიანის გამო-

<sup>53</sup> ე. თაყაიშვილი. თხზულებანი. I. თბ. 2016, გვ. 337-338.

<sup>54</sup> ხეც. ივ. ჯავახიშვილის პირადი არქივი. № 304, ფ. 184.

<sup>55</sup> გ. ჯაფარიძე. ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან (IX-XIX სს.), გვ. 34.

საკვებად დავით აღმაშენებლის ანდერძში ნაგულისხმევია 1,5 კგ. „ცხობილი“ პური. 1,5 კგ. გამომცხვარი პურისათვის კი 1 კილოგრამამდე ხორბალი იქნებოდა საჭირო. ამ მხრივ, ასევე, საინტერესოა გვიანდელი, XVIII საუკუნის 70-იან წლებში შედგენილი „მორივე ლაშქრის განჩინება“. განჩინების მიხედვით, ერთი ადამიანისათვის თვეში 1 კოდი ხორბალია ნაანგარიშები.<sup>56</sup> კოდი კი ამ დროს 36 კილოგრამს იწონიდა. როგორც ვხედავთ, ფეოდალურ ეპოქაში ერთი ადამიანის გამოსაკვებად დღეში საშუალოდ 1 კგ. ხორბალი იყო გათვალისწინებული.

ამდენად, ოშკის წარწერის მიხედვით, შეუძლებელია გრივის წონა 40 კილოგრამის ფარგლებში ყოფილიყო. ამ შემთხვევაში უფრო ლოგიკურია გრივის 100 კილოგრამიან საწყაოდ მიჩნევა.

„განგებად ვაჰანის ქუაბთაი“ გრივის მოცულობასთან დაკავშირებით, ასევე, იძლევა გარკვეული დასკვნების გაკეთების საშუალებას. აქ აღნიშნულია, რომ მოძღვარს უნდა მიეცეს 8 გრივი პური, 4 გრივი წმინდა, 4 ქრთილი, იკონომოსს – 6 (3 წმინდა და 3 ქრთილი), „ხოლო უთავადესთა ძმათა“ – 3 გრივი (2 წმინდა და 1 ქრთილი).<sup>57</sup> ამ ცნობების მიხედვით, XIII საუკუნის დასაწყისში გრივის წონას 100 კილოგრამზე ნაკლებად ვერ განვსაზღვრავთ, რადგან „უთავადესთა ძმათათვის“ მისაცემი ხორბალი, ერთი ადამიანის დღიური ნორმის გათვალისწინებით, 300 კილოგრამზე ნაკლები ვერ იქნებოდა. ლოგიკასთან ახლოსაა, რომ XI საუკუნეშიც გრივი 100 კილოგრამის ფარგლებში ვივარაუდოთ.

ამ შემთხვევაში საინტერესოდ მოჩანს ს. კაკაბაძისეული კაბიწის განსაზღვრება. ავტორი აღნიშნავს: „რკონის სიგელის მიხედვით საგულისხმებელია, რომ მე-13 საუკ. ნახევარში ქართლში კაბიწი მარცვლეულობის დაახლოვებით ისეთივე საზომი იყო, როგორც კოკა სითხისათვის: „კოკაი და კაბიწი ყოველი გამოწყული იყოს და ეგრე წაიგებოდეს“-ო... კოკა ამ ხანებში შიდა-ქართლში რკონის სიგელისავე მიხედვით 24 ლიტრიანი იგულისხმებოდა... თუ კაბიწი მარცვლეულობისათვის დაახლოვებით სითხის საზომი ერთეულის კოკის შესატყვისი იყო (როგორც შემდეგ ვნახავთ, კოკა და კოდი და-

<sup>56</sup> ქართული სამართლის ძეგლები. ტომი II. საერო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს.). ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. თბ. 1965, გვ. 443.

<sup>57</sup> ქართული სამართლის ძეგლები. ტომი III. საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.). ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. თბ. 1970, გვ. 141.

ახლოვებით ერთნაირი რაოდენობის ლიტრას შეიცავდნენ), მაშინ მივიღებდით კაბიწსაც მე-13 საუკ. ნახევარში შიდა-ქართლში 24 ლიტრის მოცულობისად“.<sup>58</sup> აღნიშნულ მოსაზრებას არ იზიარებს გ. ჯაფარიძე. ის მიუთითებს, რომ ს. კაკაბაძის არგუმენტი, თითქოს კოკა და კაბიწის შემცველი კოდი დაახლოებით ერთი სიდიდის იყო, არასწორია. წყაროებზე დაყრდნობით კოკა 8-24 ლიტრიანია, მაშინ როდესაც გვიანდელი კოდი 8-12 ლიტრიანი. 1524 წლის დავით მეფის სიგელზე დაყრდნობით, სადაც კაფიზი 10 ლიტრით განისაზღვრება, გ. ჯაფარიძე მიიჩნევს, რომ კაბიწი ტრადიციულად 10 ლიტრიანი იქნებოდა წინა საუკუნეებშიც.<sup>59</sup>

გ. ჯაფარიძე მართებულად აღნიშნავს, რომ კოკა და გვიანდელი კოდი, რომელიც კაბიწის შემცველია, ლიტრის ოდენობით ერთმანეთს არ ემთხვევა და 24 ლიტრიანი კოდი წყაროებით არ დასტურდება. თუმცა, ჩვენი აზრით, ეს ფაქტი არ გამორიცხავს იმას, რომ კოდის წინამორბედი კაბიწი ადრეულ ეპოქაში 24 ლიტრიანი ყოფილიყო. როგორც ზემოთ მოტანილმა არგუმენტებმა გვიჩვენა, გრივის ოდენობა XI-XII საუკუნეებში 40,625 კგ. (10 ლიტრიანი კაბიწის გათვალისწინებით) ვერ იქნებდა და ლოგიკის მიხედვით, მისი მოცულობა 100 კგ.-ს უახლოვდება. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ მცირე ლიტრის პირობებში (406,25 გრამი) კაბიწი, ისევე როგორც კოკა, შედგებოდა 24 ლიტრისაგან. ამ მხრივ საინტერესოა ისიც, რომ რკონის დაწერილში აღნიშნულია: „ხუთი გრივი ხორბალი მიეცემოდეს ხოდაბუნთაგანვე, სეფითა კაბიწითა“.<sup>60</sup> სავარაუდოდ, „სეფე კაბიწი“ სწორედ 24 ლიტრიანი იყო. მოგვიანებით, ლიტრის ზრდასთან ერთად, როგორც ჩანს, იკლებდა კაბიწში ლიტრების ოდენობა და საბოლოოდ 10 ლიტრიანი კაბიწი XVI საუკუნისათვის ნორმად იქცა. 24 ლიტრიანი კოდის არარსებობა, სავარაუდოდ, გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ კაბიწი კოდმა ჩაანაცვლა უკვე გაზრდილი ლიტრის პირობებში. 24 ლიტრიანი კაბიწის წონა კი დაახლ. 10 კგ. იქნებოდა.

მოცემული მეტროლოგიური გათვლით, გრივის, ანუ 10 კაბიწის (24 ლიტრიანი) წონა XI საუკუნისათვის იქნებოდა დაახლ. 100 კილოგრამი (97.5 კგ.). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გრივი 100 კილოგრამზე დიდი მოცულობის ვერ იქნებოდა, რადგან კოკის, ისევე როგორც კაბიწის, მაქსიმალური

<sup>58</sup> ს. კაკაბაძე. ქართული მეტროლოგია. საისტორიო მონაბე. წიგნი I. ტფ. 1925, გვ. 67-68.

<sup>59</sup> გ. ჯაფარიძე. ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან (IX-XIX სს.), გვ. 92-93.

<sup>60</sup> დაწერილი კახა თორელიისა რკონის ღმრთისმშობლისადმი. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. I, გვ. 149.

მოცულობა შეიძლება ყოფილიყო 24 ლიტრიანი – 24 ლიტრიანზე დიდი კოკა წყაროებში არ ჩანს, შესაბამისად, გამორიცხულია უფრო დიდი მოცულობის კაბიწის არსებობაც.

აღნიშნული მეტროლოგიური მონაცემის გათვალისწინებით (გრივი=დაახლ. 100 კგ.) ვიღებთ შემდეგ სურათს: 300 კილოგრამი ხორბლის ფასი გამოდის 60-65 გრამი ვერცხლი (30-33 დრამა), ხოლო 1 კილოგრამის – დაახლ. 0,20/0,22 გრამი ვერცხლი.

მ. წურწუშია, როგორც აღინიშნა, მიიჩნევს, რომ 150 კილოგრამი ხორბლის ფასი იყო 1 სრულფასოვანი ოქროს ნომისმა და ამ მაჩვენებლის სანდოობის არგუმენტად მოჰყავს კონსტანტინოპოლში, ბაღდადსა და პალესტინაში იმ დროს არსებული ფასები, რომელიც ემთხვევა მის მიერ გამოთვლილ მონაცემს. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ დიდი ქალაქების პროლუქციით მომარაგების სირთულეებს, რაც, თავის მხრივ, განაპირობებდა სიძვირეს, კონსტანტინოპოლისა და ბაღდადისაგან განსხვავებით საქართველოში, როგორც ხორბლის მწარმოებელ ქვეყანაში, ლოგიკურია, რომ ფასი შედარებით დაბალი ყოფილიყო. როგორც ქვემოთ ვნახავთ, გვიანდელ ეპოქაშიც მეზობელ სახელმწიფოებთან შედარებით საქართველოში ხორბალი გაცილებით იაფი ღირდა.

ჩვენი აზრით, XI საუკუნის მეორე ნახევარში, რაჭის რეგიონში, სადაც წყაროებით დასტურდება სოფლის მეურნეობის აღნიშნული დარგის ინტენსიური განვითარება, 1 კგ. ხორბლის ფასი განისაზღვრებოდა 0,20/0,22 გრამი ვერცხლით. შესაძლებელია, მისი ფასი აღმოსავლეთ საქართველოში მცირედით ნაკლებიც ყოფილიყო, ხოლო ზღვისპირა რაიონებში – მაღალი. რა თქმა უნდა, აქ არ იგულისხმება მოუსავლიანი წლები და „დიდი თურქობის“ თუ სხვა მასშტაბური საგარეო შემოსევების შედეგად შექმნილი რეალობა. აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ჩვენი გამოთვლა ბევრ პირობაზეა დამყარებული, რაც ხორბლის ფასის სიზუსტის ალბათობას ამცირებს, თუმცა მეზობელ ქვეყნებსა და ევროპაში არსებული ფასების გათვალისწინებით დაახლოებით სურათს მაინც იძლევა.

XI საუკუნიდან მოყოლებული XVI საუკუნემდე, ოთხი საუკუნის განმავლობაში, ხორბლის ფასთან დაკავშირებით პირდაპირი ცნობები არ გაგვაჩნია. ამ პერიოდის ფასის შესახებ მხოლოდ ზოგადი აღწერით უნდა შემოვიფარგლოთ: XII საუკუნის განმავლობაში და XIII საუკუნის დასაწყისში წყაროებში არ ფიქსირდება ხორბლის არც განსაკუთრებული გაძვირების, არც

გაიაფების ფაქტები, რაც გვაგვარაუდებინებს, რომ საშუალო ფასი დაახლოებით XI საუკუნის ანალოგიური იქნებოდა. ჯალალ ედ-დინის შემოსევის (1225 წ.) ახლო ხანებში, როგორც აბუსერიძე ტბელის ნაწარმოებში (ბოლოკ-ბასილის მშენებლობა შუარტყალში) აღნიშნულია, პურის სიძვირე ყოფილა: „ხოლო იყო მათ ჟამთა შინა სიყმილი და სიძვრე პურისაჲ“. <sup>61</sup> როგორც ჩანს, ხვარაზმელთა შემოსევამ ქვეყანაში პურის დეფიციტი და სიძვირე გამოიწვია. ანალოგიური მდგომარეობა იქნებოდა მონღოლთა შემოსევის პირველ ხანებში, თუმცა ფასები, სავარაუდოდ, მალევე დასტაბილურდა. ამ მოსაზრების გამოთქმის საფუძველს გვაძლევს ღვინის ფასთან დაკავშირებით რკონის დაწერილში არსებული ცნობა. საბუთიდან ჩანს, რომ მონღოლთა ხარკის გამო ქვეყანაში ფულის დეფიციტი შექმნილა. სავარაუდოდ, ამ პროცესმა პროდუქციის გაიაფება გამოიწვია, რადგან იმ დროს ღვინო საკმაოდ იაფი ყოფილა. <sup>62</sup> ღვინო კი ყოველთვის ხორბალზე ძვირად ფასობდა. ამდენად, 1260 წლის ახლო ხანებში ქვეყანაში პროდუქციის სიძვირე არ უნდა ყოფილიყო. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჟამთააღმწერლის გადმოცემით, დავით VIII-ის აჯანყების დროს „...არა იყო მათ ჟამთა შინა თესვა და არცა შენება ყოვლადვე... იქმნა პურისა მოკლება, ყოვლად არა იპოვებოდა სასყიდლად არცა ღვინითა ფასითა. ესოდენ განძენდა შიმშილი, მძორსა არაწმიდასა ურიდოდ ჭამდეს. სავსე იყვნეს უბანნი და ფოლოცნი, გზანი და მინდორნი და ქალაქნი და სოფელნი მკუდრებითა, ყრმანი მკუდართა დედათა ძუძუთა ლეშკთა სწოვდიან. და უმრავლესი ერი ქართლისა წარვიდა სამცხეს ქუეყანად ბექასსა, სადა-იგი იპოვებოდა პური სასყიდლად“. <sup>63</sup> როგორც ვხედავთ, XIII საუკუნის მიწურულსა და XIV საუკუნის დასაწყისში ქართლში სამხედრო მოქმედებების გამო ხორბლის დეფიციტი შექმნილა, რასაც ფასის ზრდა გამოუწვევია. ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ ქვეყნის ერთ-ერთ რეგიონში არსებული დეფიციტის აღმოფხვრა მეორე რეგიონის დახმარებით მოხერხდა – „უმრავლესი ერი ქართლისა წარვიდა სამცხეს ქუეყანად ბექასსა, სადა-იგი იპოვებოდა პური სასყიდლად“. ჩანს, სხვადასხვა დროს ქვეყნის შიგნით შექმნილი სასაქონლო კრიზისის აღმოფხვრა, უმეტესწილად, ამ ფორმით ხდებოდა.

XIV-XV საუკუნეებში ხორბლის გაძვირების ან გაიაფების შესახებ

<sup>61</sup> აბუსერიძე ტბელი. ბოლოკ-ბასილის მშენებლობა შუარტყალში და აბუსერიძეთა საგვარეულო მატთანე. გამოსცა ლ. მუსხელიშვილმა. თბ. 1941, გვ. 60.

<sup>62</sup> ღვინის ფასს აძვირად დეტალურად ვერ განვიხილავთ, მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ 6 კოკა (24 ლიტრიანი) ღვინის საფასურად მითითებულია 8 თეთრი. დაწერილი კახა თორელისა რკონის ღმრთისმშობლისადმი. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. I, გვ. 149.

<sup>63</sup> ჟამთააღმწერელი. ასწლოვანი მატთანე, გვ. 641.

ცნობები არ მოგვეპოვება, თუმცა ეჭვგარეშეა, რომ თემურ-ლენგის შემოსევა-ბი და გამუდმებული სამხედრო კამპანიები დროდადრო პროლუქციის დეფიციტს გამოიწვევდა.

XVI საუკუნიდან ხორბლის ფასების შესახებ მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის ოსმალური დავთრები. ჩვენ ამჯერად, ძირითადად, ყურადღებას გავამახვილებთ სამ მათგანზე: I. 1574 წლის გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარზე,<sup>64</sup> II. გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარზე (1595 წ.)<sup>65</sup> და III. 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდ დავთარზე.<sup>66</sup> ასევე, ჩვენთვის საინტერესო ინფორმაციის შემცველია ოსმალური დოკუმენტური წყაროები საქართველოს სხვადასხვა რეგიონის შესახებ.<sup>67</sup>

ამ სამ დავთარსა და დოკუმენტურ წყაროებში მოცემული ცნობები ზოგად წარმოდგენას შეგვიქმნის XVI, XVII და XVIII საუკუნის I მესამედის საქართველოში არსებულ ხორბლის ფასზე.

პირველი დავთარის შედგენა დასრულებულა 1574 წლის 23 მარტს. აქვე მოცემულია სულთან სელიმ II-ის (1566-1574 წწ.) თურღა.<sup>68</sup>

აღნიშნულ დავთარში ამა თუ იმ დასახლებული პუნქტის აღწერის შემდგომ მოცემულია გადასახადები და მითითებულია არა მხოლოდ ნატურალური პროდუქტის ოდენობა, არამედ მისი ფასიც. მაგ. „სოფელი ზემო და ქვემო სიძურდუნი ექვემდებარება ჩრდილს“. შემდეგ მოცემულია სოფლის მამაკაცების ჩამონათვალი, ბოლოს კი მიწერილია გადასახადები. მაგ.:

„ისფენჯი 26 კაცი 650

<sup>64</sup> 1574 წლის გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი. ოსმალური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, შენიშვნებითა და ფაქსიმილებით გამოსაცემად მოამზადა ნოდარ შენგელიამ. თბ. 2016.

<sup>65</sup> გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი. თურქული ტექსტი გამოსცა, თარგმანი, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო სერგი ჯიქიამ. წიგნი II. თბ. 1941.

<sup>66</sup> 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი. წიგნი I. ოსმალური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავალით, გამოკვლევითა და ფაქსიმილებით გამოსაცემად მოამზადეს აკად. სერგი ჯიქიამ და პროფ. ნოდარ შენგელიამ. თბ. 2009; 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი. წიგნი II. ოსმალური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავალით და ფაქსიმილებით გამოსაცემად მოამზადეს აკად. სერგი ჯიქიამ და პროფ. ნოდარ შენგელიამ. თბ. 2010.

<sup>67</sup> ოსმალური დოკუმენტური წყაროები ანაკლიისა და რუხის ციხეების შესახებ (XVII-XVIII სს.). თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავალით, ტერმინოლოგიური ლექსიკონით, ფაქსიმილებითა და საძიებლებით გამოსაცემად მოამზადა ნოდარ შენგელიამ. თბ. 1982; XVI-XVIII საუკუნეების ოსმალური დოკუმენტური წყაროები. თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, ტერმინოლოგიური ლექსიკონით, ფაქსიმილებითა და საძიებლებით გამოსაცემად მოამზადა ნოდარ შენგელიამ. წიგნი I. თბ. 1987.

<sup>68</sup> 1574 წლის გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, გვ. 12.



ხორბალი ქილა 100, ახნა 800

ქერი 80 ქილა, ახნა 480...“.<sup>69</sup>

როგორც ვხედავთ, ერთი ქილა ხორბლის ფასია 8 ახნა (800 ახნა/100 ქილა=8 ახნა), ქერის – 6. თუმცა დავთრის საწყის ნაწილში 1 ქილა ხორბლის ფასი 7 ახნით განისაზღვრება, ქერის კი – 5 ახნით. დავთარში შესულია სულ ოთხი ლივა: თორთუმის, ოლთისის, დიდი არტაანის და არტანუჯის. შესაბამისად, თორთუმის ლივაში ქილა ხორბლის ფასია 7 ახნა, ხოლო დანარჩენ ლივებში – 8 ახნა. სხვაობა, ჩვენი აზრით, განაპირობა ახნის წონის შემცირებამ – სავარაუდოდ, აღწერის დაწყებისას ახნას სხვა წონა ჰქონდა, ხოლო მოგვიანებით – მცირედით შემცირდა. მართლაც, სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ ახნის წონა ეტაპობრივად მცირდებოდა XVI საუკუნის მეორე ნახევარში, რაც მოგვიანებითაც გაგრძელდა.<sup>70</sup>

მცირე სხვაობის მიუხედავად, 1 ქილა ხორბლის ფასად 1574 წლისათვის უნდა ჩავთვალოთ 8 ახნა, ხოლო ქერის – 6 ახნა. სტამბოლის ქილა იწონიდა 18-20 ოყას.<sup>71</sup> ოყა კი – 1,28 კგ.-ს.<sup>72</sup> ნ. შენგელია 1 ქილის საშუალო წონად 25 კგ.-ს მიიჩნევს.<sup>73</sup> თუმცა თუ დეტალურად დავიანგარიშებთ, ქილის წონა მცირე დამრგვალებით გამოდის 24 კგ. სელიმ II-ის მოჭრილი ახნას წონითი მაჩვენებლები მერყეობს 0,61-0,80 გრამებს შორის, ანუ საშუალოდ 0,70 გრამი იყო.<sup>74</sup> აქედან გამომდინარე 8 ახნა იწონიდა დაახლ. 5,6 გრამ ვერცხლს ( $8 \times 0,70 = 5,6$ ), ხოლო 1 კილოგრამი ხორბლის ფასი ყოფილა დაახლ. 0,23 გრამი ვერცხლი ( $5,6/24 = 0,233$ ). 1 კგ. ქერის ფასი კი – 0,175 გრ. ვერცხლი.

1595 წლის გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში 1 ქილა ხორბლის ფასად ზოგ შემთხვევაში მითითებულია 12 ახნა, სხვაგან კი – 10 ახნა.<sup>75</sup> მ. სვანიძის დაკვირვებით, რომელმაც აღნიშნული დავთრის მიხედვით

<sup>69</sup> 1574 წლის გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, გვ. 145-146.

<sup>70</sup> იხ.: მ. ანთაძე. საქართველოსა და თურქეთის ურთიერთობა XV-XVIII საუკუნეებში ნუმიზმატიკური მასალის მიხედვით. თბ. 1982.

<sup>71</sup> 1574 წლის გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, გვ. 66; XVI-XVIII საუკუნეების ოსმალური დოკუმენტური წყაროები, გვ. 285.

<sup>72</sup> გ. ჯაფარიძე. ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან (IX-XIX სს.), გვ. 73.

<sup>73</sup> 1574 წლის გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, გვ. 66; XVI-XVIII საუკუნეების ოსმალური დოკუმენტური წყაროები, გვ. 285.

<sup>74</sup> მ. ანთაძე. საქართველოსა და თურქეთის ურთიერთობა XV-XVIII საუკუნეებში ნუმიზმატიკური მასალის მიხედვით, გვ. 39.

<sup>75</sup> იხ.: გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი. თურქული ტექსტი გამოსცა, თარგმანი, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო სერგი ჯიქიაშვილმა. წიგნი II.

შეისწავლა XVI საუკუნეში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სოფლის მეურნეობა და სხვა საკითხებთან ერთად შეეხო ხორბლის ფასსაც, ქილა ხორბალი ახალციხესა და პეტრეს ლივაში 12, ხოლო სხვაგან 10 ახჩა ღირდა.<sup>76</sup> რეგიონში ქილა ხორბლის ფასად 11 ახჩა უნდა მივიჩნიოთ. ახჩის წონა სელიმ II-ის შემდგომ მკვეთრად ეცემა. მურად III-ის (1574-1595 წწ.) მოჭრილი ახჩა საშუალოდ 0,38 გრამს იწონიდა. შესაბამისად, ამ დავთარში 1 ქილა ხორბლის ახჩაში გამოხატული ფასის ზრდა გამოწვეული უნდა იყოს მისი წონის შემცირებით და არა პროდუქტის გაძვირებით. თუ ზუსტად დავიანგარიშებთ, ვნახავთ, რომ ხორბლის ფასი შემცირებულიც კი არის. 11 ახჩა 1595 წლისათვის იწონიდა დაახლ. 4,2 გრამს, რის მიხედვითაც, 1 კვ. ხორბლის ფასი გამოდის 0,17 გრამი ვერცხლი ( $11 \times 0,38 = 4,18$ ;  $4,18 / 24 = 0,174$ ). ჩვენი აზრით, იმ რთულ ეპოქაში, რომლის თანმდევი პროცესია სამცხე-საათაბაგოს მოსახლეობის წარმოებული ბრძოლები ოსმალეთის ოკუპაციის წინააღმდეგ, ხორბალი ასე მკვეთრად ვერ გაიაფდებოდა და მიზეზი უფრო ახჩის ცვალებად კურსში უნდა ვეძებოთ. სავარაუდოდ, ხორბლის რეალური ფასი კვლავ, 1574 წლის მსგავსად, 20 წლის შემდეგაც 0,20-0,23 გრამის არეალში იქნებოდა. დიდი ალბათობით, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში არსებული ფასის იდენტური იქნებოდა იმავე ეპოქის აღმოსავლეთ საქართველოში არსებული ფასიც, რადგან ორივე რეგიონში პურეული კულტურა წამყვანი იყო. რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს, ფასი, სავარაუდოდ, მაღალი იქნებოდა, რასაც, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ადასტურებს გვიანდელი, XVII-XVIII საუკუნეების, მონაცემები.

შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ოსმალურ დავთრებში მოცემული ფასები არ შეესაბამებოდა რეალურ ღირებულებას და დაწესებული იყო ზოგადად ქვეყნის მასშტაბით დადგენილი ფასები. თუმცა, ეს ასე არ არის – 1595 წლის ახლო ხანებში საკუთრივ ოსმალეთში ქილა ხორბალი 20-30 ახჩა ღირდა, მანამდე 80-იან წლებში – 10-12 ახჩა; სტამბულში 1586 წელს ღირდა 23-24 ახჩა, ხოლო 1585-1588 წლებში უზგრეთში (სცეგლედის ოლქში) – 50 პენზე, ანუ 25 ახჩა.<sup>77</sup> როგორც ჩანს, XVI საუკუნეში, ისევე როგორც XI საუკუნეში, საქართველოში მეზობელ რეგიონებთან შედარებით

<sup>76</sup> მ. სვანიძე. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სოფლის მეურნეობა XVI საუკუნეში. თბ. 1984, გვ. 18.

<sup>77</sup> მ. სვანიძე. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სოფლის მეურნეობა XVI საუკუნეში. თბ. 1984, გვ. 18.

ხორბალი იაფი ყოფილა.

აღსანიამნავია, რომ XVI საუკუნიდან ევროპაში სახეზეა „ფასების რეკოლუცია“, ფულის გაუფასურების პროცესი, რასაც პროდუქციაზე ფასების მატება მოჰყვა. ამ პროცესს ბიძგი მისცა ამერიკული კოლონიებიდან დიდი რაოდენობით ოქროსა და ვერცხლის ევროპაში შეტანამ.<sup>78</sup> როგორც ვნახეთ, საქართველოში XVI საუკუნეში ფასების მატება არ ფიქსირდება. სამეფოსამთავროებად დაშლილ საქართველოში, სადაც ეკონომიკური დაღმასვლა სახეზეა, ევროპაში მიმდინარე მოვლენებს არანაირი გავლენა არ მოუხდენია.

XVII საუკუნეში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ხორბლის ფასი ცვილილებას განიცდის ზრდის თვალსაზრისით. 1677 წელს ახალციხის ციხეში მდგომი ჯარისკაცებისათვის კუთვნილი ხორბლის შესასყიდად ქილის ფასად მითითებულია 40 ახჩა.<sup>79</sup> ქილის ფასი, ასევე, 40 ახჩაა ახალციხეში და არტაანში 1685/1686 წელს.<sup>80</sup> XVII საუკუნის 70-80-იან წლებში ახჩა იწონიდა 0,23 გრამს.<sup>81</sup> 40 ახჩა – 9,2 გრამს. შესაბამისად, 1 კგ. ხორბლის ფასი გამოდის 0,38 გრამი ვერცხლი. საქმე ის არის, რომ XVII საუკუნის განმავლობაში ახჩის წონა შეუქცევადად მცირდებოდა. ამ პროცესმა, სხვა ფაქტორებთან ერთად გამოიწვია პროდუქციაზე ფასების მკვეთრი ზრდა. მათ შორის, ხორბალი გაძვირდა 10-ჯერ. დასავლეთ ანატოლიაში 1603 წელს თუ ქილა ხორბალი ღირდა 50 ახჩა, 1604 წელს – 120 ახჩა. 1608 წელს კაისერში ქილა ხორბალი იყიდებოდა 320 ახჩად. 1641 წელს ქილა ფქვილის საბაზრო ფასი იყო 100 ახჩა, სახელმწიფო კი 50-60 ახჩად ყიდულობდა.<sup>82</sup> როგორც ვხედავთ, XVII საუკუნის ოსმალეთში ხორბლის ფასი მკვეთრად გაიზარდა. როგორც ჩანს, ამ ფაქტორმა იმოქმედა ოსმალეთის მიერ ოკუპირებულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, რის შედეგადაც სახეზე გვაქვს რეგიონში ფასების ზრდა. მართალია, ხორბლის ფასი ისე არ გაზრდილა ახალციხე-არტაანის მიმდებარე რაიონებში, როგორც დასავლეთ ანატოლიაში და, ზოგადად, ოსმალეთის უმეტეს ტერიტორიაზე, თუმცა, როგორც ვნახეთ, კილოგრამი ხორბლის ფასი 0,20-0,23 გრამი ვერცხლიდან 0,38 გრამ ვერ-

<sup>78</sup> გ. კუტალია, ე. მამისთვალიშვილი, ნ. კალანდია. დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების ისტორია. თბ. 2015, გვ. 34.

<sup>79</sup> XVI-XVIII საუკუნეების ოსმალური დოკუმენტური წყაროები. წიგნი I, გვ. 43.

<sup>80</sup> XVI-XVIII საუკუნეების ოსმალური დოკუმენტური წყაროები. წიგნი I, გვ. 46, 195.

<sup>81</sup> An Economic and Social History of the Ottoman Empire. Edited by Halil Inalcik with Donald Quataert. Volume 2: 1600-1914. Cambridge 1994, გვ. 963.

<sup>82</sup> А.Д. Новичев. История Турции. Том 1. Эпоха феодализма (XI-XVIII вв.). Ленинград 1963, гв. 121-122.

ცხლამდე ავიდა.

რადგან ახალციხის საფაშოში არსებულ ფასებს ვიხილავთ, აქვე მოკლედ შევეხებით XVIII საუკუნის ვითარებასაც. 1716/1717 წელს ქილა ხორბალი 40 ახჩა ღირდა, ხოლო 1718 წელს – 48 ახჩა, 1719 წლიდან კი ისევე, – 40 ახჩა. ქილა ხორბალი 40 ახჩა ღირს 1725, 1730, 1731, 1733 წლებშიც.<sup>83</sup> ამ პერიოდში სულთან აჰმედ III-ის (1703-1730 წწ.) მოჭრილი ახჩების წონითი სტანდარტი 0,19-0,32 გრამზე მოდის, სინჯი – 68-70%.<sup>84</sup> მონეტების საშუალო წონა არის 0,25-0,26 გრამი. 1 კგ. ხორბლის ფასი XVIII საუკუნის I მესამედში 0,42 გრამი ვერცხლი ყოფილა, ხოლო 1718 წელს დროებით 0,51 გრამამდე გაძვირებულა. 1750/1751 წელს ახალციხეში ჯარისკაცების საკვების შესაძენად 1 ქილა ხორბალში კვლავ 40 ახჩა იყო გათვალისწინებული.<sup>85</sup> აქ აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 1750-1760-იან წლებში ახჩის წონა აჰმედ III-ის მოჭრილ მონეტებთან შედარებით კლებას განიცდის, რაც ახალციხეში ხორბლის გაიაფებაზე მიუთითებს. 1768-1770 წლებში ქილა ხორბლის ფასად მითითებულია, ასევე, 40 ახჩა.<sup>86</sup> სულთან მუსტაფა III-ის (1757-1774 წწ.) მოჭრილი ახჩების წონა მკვეთრად შემცირებულია და 1 ყურუში თუ XVIII საუკუნის 30-იანი წლებისათვის 120 ახჩას შეადგენდა,<sup>87</sup> იმავე დოკუმენტში, სადაც 1768-1770 წლებში ხორბლის ფასია მოცემული, აღნიშნულია, რომ „თითოეული ყურუში 160 ახჩაა“. ახჩის წონა 0,12 გრამამდე ჩამოდის.<sup>88</sup> ამ მონაცემის მიხედვით, საუკუნის პირველ მესამედთან შედარებით 1770 წლის ახლო ხანებისათვის ხორბალი 2-ჯერ გაიაფებულა. თუმცა აქ შესაძლებელია საქმე გვექონდეს არა ხორბლის საბაზრო ფასთან, არამედ სახელმწიფოს მიერ დაწესებულ შესასყიდ ფასთან. მიუხედავად ამისა, ახალციხის საფაშოში XVIII საუკუნის 50-იანი წლებიდან ხორბლის გაიაფების ტენდენცია სახეზეა.

დავუბრუნდეთ XVII საუკუნის ფასებს. ახალციხის საფაშოში ხორბლის გაძვირების მიუხედავად, ქართლში განსხვავებული მდგომარეობა იკვე-

<sup>83</sup> XVI-XVIII საუკუნეების ოსმალური დოკუმენტური წყაროები. წიგნი I, გვ. 195, 196, 207, 215, 230, 232.

<sup>84</sup> იხ.: მ. ანთაძე. საქართველოსა და თურქეთის ურთიერთობა XV-XVIII საუკუნეებში ნუმიზმატიკური მასალის მიხედვით, გვ. 75.

<sup>85</sup> XVI-XVIII საუკუნეების ოსმალური დოკუმენტური წყაროები. წიგნი I, გვ. 242-243.

<sup>86</sup> XVI-XVIII საუკუნეების ოსმალური დოკუმენტური წყაროები. წიგნი I, გვ. 252.

<sup>87</sup> მ. ანთაძე. საქართველოსა და თურქეთის ურთიერთობა XV-XVIII საუკუნეებში ნუმიზმატიკური მასალის მიხედვით, გვ. 75.

<sup>88</sup> მ. ანთაძე. საქართველოსა და თურქეთის ურთიერთობა XV-XVIII საუკუნეებში ნუმიზმატიკური მასალის მიხედვით, გვ. 75.

თება. მართალია, პირდაპირი ცნობა ფასთან დაკავშირებით არ მოგვეპოვება, მაგრამ გარკვეული წარმოდგენის შექმნა შესაძლებელია. ჟან შარდენი, რომელიც საქართველოში იმყოფებოდა 1670-იან წლებში, აღმოსავლეთ საქართველოს ნაყოფიერ ქვეყანას უწოდებს. მისი შეფასებით, „ცხოვრება აქ კარგად და იაფად შეიძლება. მსოფლიოს არც ერთ კუთხეში არ არის ისეთი გემრიელი პური, როგორც აქ“.<sup>89</sup> შარდენი ქართლში პროდუქციის სიახვის საჩვენებლად ღვინის ფასს ასახელებს: „ერთი ცხენის საპალნე, რომელიც წონით სამას ფუნტს უდრის, მხოლოდ და მხოლოდ რვა ფრანკი ღირს... ყველა დანარჩენი სურსათი ამის შესაბამისი“.<sup>90</sup> როგორც ჩანს, XVII საუკუნის აღმოსავლეთ საქართველოში ხორბალი საკმაოდ იაფი ღირდა და, სავარაუდოდ, XVI საუკუნის ნიშნულზე იყო – კილოგრამი 0,20-0,23 გრამის არეალში.

XVIII საუკუნის I მესამედის აღმოსავლეთ საქართველოში ხორბლის ფასის შესახებ უხვად მოიპოვება ცნობები 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარში. აქ 1 ქილა ხორბლის ფასი შეადგენს 20 ახჩას.<sup>91</sup> როგორც აღინიშნა, ამ დროს ახჩის საშუალო წონაა 0,25-0,26 გრამი. 20 ახჩა იწონიდა 5,1 გრამს, ხოლო, 1 კგ. ხორბლის ფასი იყო 0,21 გრამი ვერცხლი ( $5,1/24=0,212$ ). როგორც ვხედავთ, ოსმალეთში მიმდინარე ფასების ზრდის პროცესს არანაირი გავლენა არ მოუხდენია აღმოსავლეთ საქართველოზე და ხორბლის ფასი საკმაოდ დაბალია.

ს. კაკაბაძემ თავის ნაშრომში – „ფულის გაძვირების და გაიაფების საკითხისთვის საქართველოში მე-13 - 17 საუკუნეში“, ყურადღება მიაქცია ვახტანგ VI-ის სამათლის წიგნში არსებულ ცნობას ხორბლის ფასთან დაკავშირებით, რის საფუძველზეც მან 1 კოდი ხორბლის საშუალო ფასად მიიჩნია 1,5 შაური.<sup>92</sup> თუ ამ გაანგარიშებას ვენდობით, XVIII საუკუნის დასაწყისში 1 კოდის, ანუ 30 კგ. ხორბლის<sup>93</sup> ფასი ყოფილა 2,55/2,7 გრამი ვერცხლი

<sup>89</sup> ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ). ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა. თბ. 1975, გვ. 296.

<sup>90</sup> ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ), გვ. 297.

<sup>91</sup> იხ.: 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი. წიგნი I; 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი. წიგნი II.

<sup>92</sup> ს. კაკაბაძე. ფულის გაძვირების და გაიაფების საკითხისთვის საქართველოში მე-13 - 17 საუკ. საისტორიო მოამბე. წიგნი I. ტფ. 1925, გვ. 49.

<sup>93</sup> 10 ლიტრიანი კოდი იმ პერიოდში 30 კგ.-ს უდრიდა, რადგან ლიტრის წონა იყო 3 კგ. იხ.: გ. ჯაფარიძე. ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან (IX-XIX სს.), გვ. 58-60, 96-100.

(შაურის წონა 1604/1605-1717 წლებისათვის უდრიდა დაახლ. 1,7-1,8 გრამს),<sup>94</sup> რის მიხედვითაც 1 კგ. ხორბლის ფასი გამოდის 0,085/0,09 გრამი ვერცხლი. აქვე აღვნიშნავთ, რომ ასეთი დაბალი ფასი არარეალურად გვეჩვენება. მართლაც, ვახტანგის სამართლის წიგნის ამ ნაწილის დეტალური განხილვა კაკაბაძისეულ ხორბლის ფასის განსაზღვრაში გარკვეულ ეჭვს აჩენს. ჩვენთვის საინტერესო ინფორმაცია 129-ე მუხლშია მოცემული. თუმცა მანამდე 126-ე მუხლი ეხება პურის, ანუ ხორბლის ვალად მიცემის შემთხვევაში სარგებლის ოდენობას: „პური სამართლიანად ათი თორმეტად, მაგრამე, თუ უღმ[რ]თობა ქნას კაცმან, ათი თხუთმეტად კარგია. ამის ზეით არ უნდა მიაცემინონ.

თუ პურის ძვირობა იყოს, რომ კოდი ან ათშაურად, ან ორ აბაზათ, ან სამ აბაზათ იყოს, მაშინ ერთიორათაც მიეცემის. ქერისა და ფეტვისა – ასრე და მგზავსად ამისა“.<sup>95</sup>

როგორც ვხედავთ, სიძვირის პირობებში 1 კოდი ხორბლის ფასი შეიძლება ყოფილიყო 10 შაური (2,5 აბაზი, დაახლ. 18 გრ. ვერცხლი), 2 ან 3 აბაზი. აბაზის წონა იმ დროს შეადგენდა 7,5 გრ. ვერცხლს.<sup>96</sup> ანუ სიძვირის პირობებში 1 კგ. ხორბლის ფასი, ვახტანგის სამართლის მიხედვით, მერყეობდა 0,5-0,75 გრ. ვერცხლის არეალში.

რაც შეეხება 129-ე მუხლს, რომელიც სათაურდება, როგორც „პურზე თეთრის გაცემა“, აღნიშნულია: „თეთრად მარჩილი რომ მისცეს პურზედა, იმისი სარგებელი წელიწადში ერთი კოდი და ნახევარი კმარა; და თუ გამცემმა სულს პური არჩიოს, ორი კოდი კმარა; თუ არა ქნას და კიდევ უფრო სული გმოს, სამი კოდი გამოართვას. ეს ამიტომ რომ, იქნების, პური კოდი შაურნეხევრად იყოს, და, იქნების, უფრო ძვირად და გინა იაფად, – იმავე ათი თორმეტსა, გინა მცირედ, უფროსზე წავა“.<sup>97</sup>

119-ე და 128-ე მუხლებში კანონმდებელი საგანგებოდ აღნიშნავს:

<sup>94</sup> ქართული ნუმიზმატიკის კატალოგი. IV ნაწილი. ოსმალები, ირანელები და რუსები. სამონეტო საქმე და სამონეტო მიმოქცევა XVII საუკუნის-XVIII საუკუნის 30-იანი წლების საქართველოში. ავტორები: თ. დუნდუა, გ. დუნდუა. შემდგენლები: ა. ბოშიშვილი, ა. თაბუაშვილი, ლ. თავაძე, ნ. ფიფია, ა. ჩიქობავა, ე. ავდალიანი. თბ. 2015, გვ. 8-22; 78-90.

<sup>95</sup> ქართული სამართლის ძეგლები. ტ. I. ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული. ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. თბ. 1965, გვ. 514.

<sup>96</sup> ქართული ნუმიზმატიკის კატალოგი. IV ნაწილი. ოსმალები, ირანელები და რუსები, გვ. 8-22; 78-90.

<sup>97</sup> ქართული სამართლის ძეგლები. ტ. I. ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, გვ. 514.

„მარჩილის თავს წელიწადში ერთი აბაზი სარგებელი მოსცენ“, „მარჩილი წლამდინ აბაზს მოიგებს“.<sup>98</sup> 129-ე მუხლში კი სწორედ მარჩილის (3 აბაზის) სესხების პირობებში ხორბლით პროცენტის გასტუმრებაზეა საუბარი, სადაც კანონმდებელს მიღებულ ნორმად 1,5 კოდი ხორბლის გადახდა დაუდგენია. ამ მოცემულობით 1,5 კოდი, ანუ 45 კგ. ხორბალი მინიმუმ 1 აბაზი ღირდა. ამ მონაცემით 1 კგ. ხორბლის ფასი ყოფილა დაახლ. 0,17 გრამი ვერცხლი. რაც შეეხება განმარტებას: „იქნების, პური კოდი შაურნახევრად იყოს, და, იქნების, უფრო ძვირად გინა იაფად“, აქ კანონმდებელი, როგორც ჩანს, გამონაკლის შემთხვევაზე საუბრობს და იმ ვითარებაზე მიუთითებს, როდესაც ხორბალი ასეთი იაფი ეღირება, შესაძლებელია, თუ „გამცემმა სულს პური არჩიოს“ და „კიდევ უფრო სული გმოს“, მარჩილზე 2 ან 3 კოდი გამოართვას სარგებელში.<sup>99</sup> კონტექსტიდან ჩანს, რომ ასეთი გამონაკლისი ძალზედ იშვიათად იყო. შესაბამისად, 1,5 შაური უნდა ჩაითვალოს არა ხორბლის საშუალო ფასად, არამედ გამონაკლისად.

ვახტანგის სამართლის წიგნის მიხედვით, შესაძლებელია შემდეგი დასკვნა გამოვიტანოთ: XVIII საუკუნის დასაწყისში (სამართლის წიგნთა კრებული შედგენილია 1705-1708 წწ.) 1,5 კოდის საშუალო ფასი ყოფილა 1 აბაზი (1 კილოგრამი – 0,17 გრამი ვერცხლი), სიძვირის პირობებში მაქსიმუმ – 1 კოდი 3 აბაზი (1 კგ. კილოგრამი – 0,75 გრამი ვერცხლი), ხოლო იშვიათ შემთხვევაში ხორბლის განსაკუთრებული სიუხვის პირობებში – 1 კოდი 1,5 შაური (1 კგ. კილოგრამი – 0,09 გრამი ვერცხლი).

აქვე მოვიტანოთ XVIII საუკუნის I მეოთხედის კიდევ ერთ მონაცემს მარცვლეულის ფასთან დაკავშირებით. 1724 წლის 6 მარტს შედგენილ ერთ-ერთ წერილში ვინმე შერმაზანა აღნიშნავს: „...რაც ქერი უნდა წავიღო, კოდი ხუთ შაურათ უნდა ჩავაგლო...“.<sup>100</sup> როგორც ვხედავთ, 1724 წელს 1 კოდი ქერის ფასი იყო 5 შაური. ქერისა და ხორბლის ფასის შეფარდებიდან გამომდინარე, ხორბლის ფასი იქნებოდა 6-7 შაური. აბაზის წონა 1724 წლისთვის იყო დაახლ. 4,6 გრამი, შაურის – 1,15 გრამი.<sup>101</sup> ამ დაანგარიშებით

<sup>98</sup> ქართული სამართლის ძეგლები. ტ. I. ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული. ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, გვ. 513-514.

<sup>99</sup> არც ის არის გამორიცხული, რომ ამ კონტექსტში იკითხებოდეს არა ხორბლის ფასი, არამედ, 1 კოდის გასესხების შემთხვევაში პროცენტის ფულადი სახით მიღების ფაქტი. ანუ, შესაძლებელია, დასახელებული „შაურნახევარი“ იყოს არა კოდი ხორბლის ფასი, არამედ, სარგებელი, რომელიც გამსესხებელმა უნდა მიიღოს პროცენტის სახით.

<sup>100</sup> საქართველოს სიძველენი. ტ. II. ე. თაყაიშვილის რედაქტორებით. ტფ. 1909, გვ. 321.

<sup>101</sup> გ. ლუნდუა, თ. ლუნდუა. ქართული ნუმიზმატიკა. II ნაწილი. თბ. 2011, გვ. 106.

1724 წელისათვის ხორბლის ფასი გაზრდილა და 1 კგ. ღირდა დაახლ. 0,25 გრამი ვერცხლი. ხოლო 1728 წლისათვის როგორც ვნახეთ, კვლავ გაიზარდა და კილოგრამის ფასი 0,21 გრამი ვერცხლი ყოფილა. უნდა ითქვას ისიც, რომ იმ პერიოდში მოჭრილი ახნა შედარებით დაბალსინჯიანი იყო და, შესაძლებელია, აბაზებით ყიდვისას 1 კგ. ხორბლის ფასი 1728 წლისთვის 0,21 გრამზე ნაკლებიც ყოფილიყო.

XVIII საუკუნის 40-იან წლების აღმოსავლეთ საქართველოში ხორბლის ფასის მკვეთრ გაძვირებას ვხედავთ. პაპუნა ორბელიანის ცნობით, 1740 წლის ახლო ხანებში ნადირ-შაჰს (1736-1747 წწ.) ქართლის ყველა გადასახადის სანაცვლოდ ხორბალი მოუთხოვია და ფასიც თავად დაუწესებია: „...რაც ქართლის ქვეყანას ჩემი ხარჯი აძევსო, იმისი სულ ლიტრა ერთ ბისტათ პური მამცითო...“.<sup>102</sup> ნადირ-შაჰის დადგენილი ფასის მიხედვით, 1 კოდი ხორბლის ღირებულება გამოდის ერთი აბაზი. აბაზის წონა კი ამ დროს დაახლ. 5 გრამია. წყარობიდან ირკვევა, რომ ირანის შაჰმა საბაზრო ფასზე ნაკლებად შეაფასა ხორბალი, რათა გაზრდილი შემოსავალი მიეღო. ამავე დროს, ყველა სახის, მათ შორის ფულადი, გადასახადის სანაცვლოდ ის ხორბლის მარაგს ითხოვდა. იგივე ავტორი გადასახადის ამგვარი სახით დაწესების შედეგებს ასე გადმოგვცემს: „ქართლში პური ასე ძვირად იყო, რომ, თქვენმა მზემა, ბევრჯელ ვნახეთ ბალახის კურკას გაახმობდიან, დაფქვიდენ და იმას სჭამდენ... თუ პურს სადმე გასასყიდს იშოვიდენ, თავისის ჳელით შვილებს აძლევდენ...“.<sup>103</sup> ამ ფაქტს თავის თავგადასავალში იასე ოსეს ძეც ეხება – „...აბაზად კოდი პური ითხოეს და ორ მინალთუნად (1 მინალთუნი შეიცავდა 5 აბაზს) გვასყიდინეს და ისე წაგვართვეს...“.<sup>104</sup> როგორც ვხედავთ, ერთი მხრივ, დიდი რაოდენობით ხორბლის გადასახადის და, მეორე მხრივ, დაწესებული დაბალი ფასის გამო 1740-იანი წლების დასაწყისში ქვეყანაში ხორბლის დეფიციტი შექმნილა. ყიველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩანს, რომ ნადირ-შაჰის დაწესებული ფასი (კოდი ხორბალი – 1 აბაზი) ხელოვნური იყო და არ შეესაბამებოდა რეალობას. ამ მოვლენას ხორბალზე ფასების მატება გამოუწვევია. 1741 წელს გორჯასპი თუმანიშვილის „ხარჯის ნუსხაში“ აღნიშნულია: „ჩვენ, თუმანიშვილებს, სურსათი გვთხოვეს და სულ ქართლს რამდონიც თუმანი მალუჯათი გვეწერა, თუმანზე ხუთი

<sup>102</sup> პაპუნა ორბელიანი. ამბავნი ქართლისანი. ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა. თბ. 1981, გვ. 48. 101.

<sup>103</sup> პაპუნა ორბელიანი. ამბავნი ქართლისანი, გვ. 48-49. 102.

<sup>104</sup> ს. კაკაბაძე. თავგადასავალი იესე ოსეს შვილისა. ტფ. 1913, გვ. 8.



ხარვარი ქერი და პური გამოგვართვეს... ხარვარი ორ მინალთუნათ რომ პური და ქერი გამოგვართვეს... ერთი ხარვარი ას ლიტრას ჰქვიან. რაც ვიშოვეთ პური და ქერი მივეცით და რაც პური და ქერი ვერ ვიშოვეთ, ხარვარზე შვიდი მინალთუნი თეთრი გამოგვართვეს“.<sup>105</sup> თუმანიშვილის განცხადებით, 1 ხარვალი, ანუ 10 კოდი ხორბალი, იანგარიშებოდა 7 მინალთუნად (35 აბაზად). 1 კოდის ფასი კი, ამ შემთხვევაში გამოდის 3,5 აბაზი. იმავე ხანებში 15 კოდი ხორბალი 9 მინალთუნად იყიდებოდა,<sup>106</sup> ანუ 1 კოდი – 3 აბაზად.

ერთი სიტყვით, 5 გრამიანი აბაზის პირობებში, 33 კილოგრამი ხორბალი (კოდი დაახლოებით ამდენს იწონიდა XVIII საუკუნის 40-იან წლებში) ქართლში ღირდა 15-17,5 გრამი ვერცხლი. გამოდის, რომ 1740-იან წლებში 1 კგ. ხორბლის ფასი გამხდარა 0,45-0,53 გრამი ვერცხლი. რიგ შემთხვევაში კი, როგორც იესე ოსეს ძე გადმოგვცემს, კოდი ხორბლის ფასი 2 მინალთუნამდე, ანუ 10 აბაზამდე გაზრდილა. ეს კი თანამედროვე მეტრული მონაცემებით ნიშნავს, რომ 1 კგ. ხორბლი 1,5 გრამი ვერცხლი ღირდა. შესაძლებელია, იესე ოსეს ძე გადაჭარბებულ მონაცემს გვისახელებს, თუმცა ფაქტია, რომ ამ პერიოდში ხორბალი განსაკუთრებულად გაძვირებულა.

იმავე ეპოქის საბუთში, რომელსაც კონკრეტული თარიღი არ გააჩნია და, ჩვენი ვარაუდით, ნადირ-შაჰის მძიმე გადასახადების დაწესებამდე უნდა იყოს შედგენილი, აღნიშნულია, რომ ერთი კოდი ხორბალი 5 შაური ღირდა.<sup>107</sup> ერთი სიტყვით, დამპყრობლის ფისკალური პოლიტიკის წყალობით კონკრეტულ ეპოქაში ხორბლის ფასი ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა. სხვადასხვა მონაცემზე დაყრდნობით, 1 კოდი ხორბლის საბაზრო ფასი 1730-იან წლებში 1740-იანი წლების მოვლენებამდე დაახლ. 5-6 შაური იყო (1 კგ. ხორბალი – 0,20-0,25 გრამი ვერცხლი). ხოლო 40-იან წლებში მინიმუმ 2-ჯერ, რიგ შემთხვევებში კი 5-ჯერ და მეტჯერაც გაძვირებულა.

აქვე აღსანიშნავია, რომ ჩვენ მიერ დაანგარიშებული ფასები ეხება აღმოსავლეთ საქართველოს (სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს შესახებ ცალკე გვქონდა მსჯელობა). რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს, აქ განსხვავებულ სურათს ვხვდებით. XV-XVIII საუკუნეებში დასავლეთ საქართველოს უმეტეს რეგიონებში ხორბალის გადასახადის ნაცვლად ჩვენ ვხვდებით ღომის

<sup>105</sup> მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის. გვიანფეოდალური ხანა. წ. III. (აღმშენებლობა, სახელმწიფო ეკონომიკა, ქონება). მასალები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა ნ. ბერძენიშვილმა. თბ. 1955, გვ. 51.

<sup>106</sup> მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის. წ. III, გვ. 53.

<sup>107</sup> მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის. გვიანფეოდალური ხანა. წ. I (ხელფასი, ქირა, ფასები). მასალები შეარჩია და გამოსცა ნ. ბერძენიშვილმა. თბ. 1938, გვ. 5.

გადასახადს. მაგალითად, „საცაიშლოს გამოსავლის დავთარში“, რომელიც შედგენილია XVII საუკუნის I ნახევარში, ძირითადი მარცვლეული გადასახადია ღომი, ხოლო პურის გადასახადი ყველა ოჯახს არ ეკისრებოდა. ვისაც ევალებოდა პურის გამოღება, მხოლოდ მინიმალური ოდენობით – „მართებს ხუხუბიას შანიგიას 1 საკლავი, 1 ქათამი, მისი მარილი, 1 პური, 3 ლიჯი ღომი, 3 ფონალი ღვინო და გოჭკუშური მისის ღომითა, ღვინითა, ხორცითა, თევზითა, ყველითა, კვერცხითა, სამრხოთა, რაიცა იმ დღეს მოუნდებოდეს... მართებს მათეს წარბიას 1 საკლავი, 1 ქათამი, მისი მარილი, 1 პური, 5 ფონალი ღვინო, 6 ლიჯი ღომი და გოჭკუშური კარგი საჭმელი მისის ღომითა, ღვინითა, ხორცითა, თევზითა, ყველითა, კვერცხითა, სამრხოთა, რაიცა იმ დღეს მოუნდებოდეს“.<sup>108</sup> „აფხაზეთის საკათალიკოსო გლეხების დიდი დავთარის“ მიხედვით, რომელსაც გამომცემელი XVI-XVII საუკუნეებით ათარიღებს,<sup>109</sup> ბარის რაჭაში ძირითადი მარცვლეული გადასახადია ხორბალი (პური) და ქერი, ხოლო სხვა რეგიონებში უმეტესად – ღომი. იმერეთში პურის გადასახადსაც ვხვდებით, მაგრამ წამყვანი ადგილი ღომს უკავია. მაგალითად, „ჯგალის ციხის გამოსავალში“ მოსახლეობას ეკისრება 11 ჯამი ღომის და 1 ჯამი პურის გადახდა.<sup>110</sup> თუმცა აქვე მითითებულია ზოგიერთი სოფელი, სადაც მხოლოდ პურის გადასახადია დაწესებული.<sup>111</sup> როგორც ვხედავთ, დასავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით ზღვისპირა რაიონებში, ღომის კულტურას ეკავა წამყვანი ადგილი. ანალოგიური დასკვნის საფუძველს იძლევა სხვა საეკლესიო გლეხთა საგადასახადო დავთრებიც.<sup>112</sup> ღომი რომ მოსახლეობის ქვედა ფენების უმთავრესი საკვები იყო დასავლეთ საქართველოს უმეტეს რეგიონებში, განსაკუთრებით სამეგრელოში, და ხორბალი ნაკლებად მოჰყავდათ, ამას ადასტურებენ XVII-XVIII საუკუნეებში საქართველოში მყოფი უცხოელი მოგზაურებიც – არქანჯელო ლამბერტი, ჟან შარდენი, გიულდენშტედტი.<sup>113</sup> ვახუშტის სიტყვებით, დასავლეთ საქართველოში თესვენ

<sup>108</sup> ს. კაკაბაძე. საცაიშლოს გამოსავლის დავთარი. ტფ. 1913, გვ. 22, 27.

<sup>109</sup> დავთარს ი. დოლიძე 1621 წლით ათარიღებს. იხ.: ქართული სამართლის ძეგლები. ტომი III. საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.), გვ. 397-437.

<sup>110</sup> იხ.: ს. კაკაბაძე. აფხაზეთის საკათალიკოსო გლეხების დიდი დავთარი. ტფ. 1914, გვ. 43.

<sup>111</sup> ს. კაკაბაძე. აფხაზეთის საკათალიკოსო გლეხების დიდი დავთარი. ტფ. 1914, გვ. 51-53.

<sup>112</sup> იხ.: ქართული სამართლის ძეგლები. ტომი III. საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.), გვ. 279-342, 358-373, 380-381.

<sup>113</sup> არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა. იტალიურით ნათარგმნი ალექსანდრე ჭყონიასი. ტფ. 1901, გვ. 55-59; ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ), გვ. 111-112, 120-122; გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტ. I. გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და

„...ლომსა ფრიად მრავლად და გამოიზრდებიანცა მით“.<sup>114</sup> ყოველივე ზემოთ თქმული იმას არ ნიშნავს, რომ დასავლეთ საქართველოში ხორბალი საერთოდ არ მოჰყავდათ. ვახუშტისავე ცნობით, ხორბალი და ქრთილი, ღომთან შედარებით ნაკლებად, მაგრამ მოჰყავდათ.<sup>115</sup> არქანჯელო ლამბერტის ადასტურებს, რომ სამეგრელოშიც მცირე მასშტაბებით, მაგრამ მისდევდნენ მეხორბლეობასაც: „პური ნაკლებად მოდის და ის ცოტაც, რაც მოჰყავთ, მეტად წვრილ მარცვლოვანი არის... კარგი მიწა სადაც არის... პირველ წელიწადს თესენ ღომს, მეორეს – სიმინდსა და მესამეს – პურსა“.<sup>116</sup> მაქსიმე აბამიძის 1769 წლის მოხსენებაში რუსეთის მთავრობისადმი ხაზგასმულია, რომ „იმერეთში მოდის თეთრი პური, შავი პური...“<sup>117</sup> ერთი სიტყვით, დასავლეთ საქართველოში ხორბალი მოჰყავდათ, თუმცა ღომის კულტურა იყო წამყვანი, რასაც განაპირობებდა ადგილობრივი კლიმატი. ამ საკითხზე სიტყვას აღარ გაავარძელებთ, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ დასავლეთ საქართველოში ხორბალი შედარებით ძვირად ფასობდა. 1707-1708 წლების ოსმალური დოკუმენტის მიხედვით, რომელიც წარმოადგენს ქუთაისის ციხეში მყოფი სამხედრო პირების პროლუქტებისათვის თანხის გაცემის ანგარიშს, 1 ქილა ხორბლის ფასად მითითებულია 40 ახჩა. ანალოგიური ფასია მითითებული 1722-1723 და 1730-1731 წლების იდენტურ საბუთებში. თუკი 1728 წლის ოსმალური დავთარის მიხედვით, აღმოსავლეთ საქართველოში ხორბლის ფასად ნაჩვენებია 20 ახჩა, ქუთაისში ხორბალი ორჯერ ძვირი ყოფილა.<sup>118</sup> ქილა ხორბლის ფასად 40 ახჩაა მითითებული, ასევე, იმავე პერიოდში რუხისა და ანაკლიის ციხეებში მყოფი იანიჩართა კვებისათვის განკუთვნილ ანგარიშებში.<sup>119</sup> ამ მონაცემების მიხედვით, XVIII საუკუნის I მესამედში დასავლეთ

გამოკვეთვა დაურთო გ. გელაშვილმა. თბ. 1962, გვ. 157, 297.

<sup>114</sup> ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ტექსტები დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ქართლის ცხოვრება. ტ. IV. თბ. 1973, გვ. 743-744.

<sup>115</sup> ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 744.

<sup>116</sup> არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა. იტალიურით ნათარგმნი ალექსანდრე ჭყონიასი, გვ. 58-59.

<sup>117</sup> ვ. მაჭარაძე. მასალები XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის. ნაწ. III, ნაკვ. I. რუსეთ-თურქეთის ომი 1768-1774 წლებში და საქართველო. თბ. 1988, გვ. 300.

<sup>118</sup> ნ. შენგელია. ოსმალური არხები ქუთაისის ციხის შესახებ. ქართული წყაროთმცოდნეობა. VI. თბ. 1985, გვ. 148-158.

<sup>119</sup> იხ.: ოსმალური დოკუმენტური წყაროები ანაკლიისა და რუხის ციხეების შესახებ (XVII-XVIII სს.).

საქართველოში 1 კგ. ხორბლის ფასი ყოფილა დაახლ. 0,42 გრამი ვერცხლი.

საინტერესო სურათს ვხვდებით სოხუმის ციხესთან მიმართებით. 1727 წლის დოკუმენტში დაფიქსირებულია სოხუმის ციხეში ხორბლის ოსმალეთიდან გემით შეტანის ფაქტი.<sup>120</sup> როგორც ჩანს, ციხეებში მდგარი ოსმალო ჯარისკაცების გამოსაკვებად დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ ნაწილში არ იყო საკმარისი ხორბალი.

რაც შეეხება XVIII საუკუნის II ნახევარს, ამ პერიოდის წყაროებში ბევრი ინფორმაციაა თავმოყრილი სხვადასხვა სასაქონლო პროდუქციისა და, მათ შორის, ხორბლის ფასის შესახებ.

გიულდენშტელტის ცნობით, 1772 წელს თბილისში ერთი ბათმანი, ანუ ერთი ლიტრა (გიულდენშტელტის მიხედვით, ბათმანის და ლიტრის წონა იდენტურია<sup>121</sup>) ხორბალი რუსულ ფულზე ღირდა 8 კაპიკი.<sup>122</sup> შესაბამისად, 10 ლიტრა, ანუ ერთი კოდი ხორბალი თბილისში 80 კაპიკი ღირდა, რაც 4 აბაზის ეკვივალენტური იყო. ერთი ლიტრა, გიულდენშტელტისავე ცნობით, 8 3/4 რუსულ ფუნტს, ანუ 3,6 კილოგრამს, შეადგენდა. ამდენად, ამ პერიოდში კოდი იტევდა 36 კგ.-ს.<sup>123</sup> თბილისისგან განსხვავებით რეგიონებში ხორბალი შედარებით იაფი ყოფილა. გიულდენშტელტი კახეთში ერთი ბათმანის (ლიტრის) ფასს 6 კაპიკს ასახელებს,<sup>124</sup> რის მიხედვითაც, ერთი კოდის ფასი კახეთში 60 კაპიკი, ანუ 3 აბაზი გამოდის. ხორბლის ანალოგიური ფასია დასახელებული XVIII საუკუნის მიწურულს: „პურისა... გაყიდვა გებრძანებინა, სამ აბაზ იქით არავინ მაძლია“, ატყობინებდა თავად მანუჩარ თუმანიშვილს მისი მოხელე შიდა ქართლიდან.<sup>125</sup> ამ შემთხვევაშიც ქართლში ერთი კოდი ხორბლის ფასი 3 აბაზით განისაზღვრებოდა. თუმცა, გვაქვს სხვა მონაცემე-

<sup>120</sup> ოსმალური დოკუმენტური წყაროები აფხაზეთისა და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის შესახებ (XVII-XVIII სს.). ოსმალური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, გამოკვლევით, ტერმინოლოგიური ლექსიკონითა და ფაქსიმილეებით გამოსაცემად მოამზადეს პროფ. გიორგი ანჩაბაძემ და პროფ. ნოდარ შენგელიამ. თბ. 2012, გვ. 273-274.

<sup>121</sup> იხ.: გიულდენშტელტის მოგზაურობა საქართველოში. ტ. I, გვ. 237.

<sup>122</sup> გიულდენშტელტის მოგზაურობა საქართველოში. ტ. I, გვ. 93.

<sup>123</sup> XIX საუკუნის 10-იან წლებში კოდის წონას 9 ფუნტით, ანუ დაახლ. 37 კილოგრამით განსაზღვრავდა თბილისის პოლიცემისტერი იოსებ შაგუბატოვი. იხ.: მასალები XIX საუკუნის 10-იანი წლების საქართველოს ისტორიისათვის: იოსებ შაგუბატოვი – აღმოსავლეთ საქართველო და იმერეთის სამინაო მდგომარეობის აღწერა. რუსული ტექსტის ქართული თარგმანი, გამოკვლევით, კომენტარებით, საძიებლებითა და ფაქსიმილეებით გამოსაცემად მოამზადეს ა. თაბუაშვილმა და გ. ჟუჟუნაშვილმა. თბ. 2015, გვ. 53.

<sup>124</sup> გიულდენშტელტის მოგზაურობა საქართველოში. ტ. I, გვ. 255.

<sup>125</sup> გ. აკოფაშვილი. მანუჩარ თუმანიშვილის მეურნეობა (XVIII ს. მეორე ნახევარი – XIX ს. დამდეგი). კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები. თბ. 1966, გვ. 410; ხეც. Hd-14394.

ბიც. ბეჟან ამილახვრის შვილი თავის დანახარჯების ნუსხაში აღნიშნავდა: „...პური, რომ არ დამხვდა, რაც იმ წელიწადს პური მოუნდებოდა, მე მიყიდნია კოდი ოთხ აბაზათ...“. სხვა ადგილას კი 250 კოდი ხორბალი 175 მინალთუნად არის შეფასებული,<sup>126</sup> ანუ ერთი კოდი ხორბალი – 3 აბაზად და 2 შაურად. 1783-1784 წლებში სახელმწიფო გადასახადის შეკრებისას (კომლზე სამი კოდი ფქვილი, რომელიც გროვდებოდა ნახევარი ფულადი გადასახადით, ნახევარი ნატურით) 1 კოდი ფქვილის ფასად მითითებულია ერთი მინალთუნი (5 აბაზი).<sup>127</sup> ფქვილი, ბუნებრივია, ხორბალთან შედარებით ძვირი ღირდა.

როგორც ვხედავთ, XVIII საუკუნის II ნახევარში ქართლ-კახეთში ხორბლის ფასი ცვალებადი იყო და 1 კოდი (36 კილოგრამი) დაახლ. 3-4 აბაზი ღირდა. საშუალოდ კი – 3 აბაზი და 2 შაური. ერეკლე II-ის მოჭრილი „სირმა-აბაზი“ იწონიდა 2,9 გრამს,<sup>128</sup> ხოლო კოდი ამ პერიოდში, როგორც აღინიშნა, იტევდა 36 კილოგრამს, შესაბამისად, 1 კგ. ხორბლის საშუალო ფასი ყოფილა 0,28 გრამი ვერცხლი. თუმცა გამონაკლის შემთხვევებში უფრო ძვირიც ღირდა. იესე ოსეს ძის გადმოცემით, 1780 წლის ზამთარში მოუსავლიანობის გამო ხორბალი გაძვირებულია და ლიტრაში აბაზს იხდიდა.<sup>129</sup> აღნიშნული ცნობის გათვალისწინებით 1780 წლის ზამთარში კილოგრამი ხორბალი 0,80 გრამ ვერცხლამდე გაძვირებულია. ხორბლის გაძვირების ფაქტები სხვა წლებშიც ფიქსირდება. 1750-იან წლებში პაპუნა ორბელიანის გადმოცემით: „შეიკრა გზები მტრისაგან, რომ მეზავრი აღარ გაატარეს, აღარც ზემო ქართლიდამ ჩამოუშვეს და აღარც ახალციხისა ქვეყნიდამ ქარაგანი, ამით ქალაქს თბილისს ძვირობა შეიქმნა და ხალხი, დიახ, შეწუხდენ, გაბრძანდა ბატონი საქართველოს ჯარით, რომელი ქალაქში ახლდენ, მიბძანდა, დადგა მცხეთას, შემოიყარა საერისთოების ჯარი, დააყენა გზებზე, გაიხსნა გზები და უკუდგა მტერი, ჩამოვიდა ურიცხვი პური, ღვინო, თუ რაც რაფერი საზღო, აივსო ქალაქი ყოველთა სანოვაგითა“.<sup>130</sup> თუმცა გვაქვს გაიფების ფაქტებიც: თავის ანდერძში იესე ოსეს ძე სხვა ადგილას ლიტრა

<sup>126</sup> მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის. წ. I, გვ. 79-81.

<sup>127</sup> მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის. წ. III, გვ. 70-80.

<sup>128</sup> ქართული ნუმიზმატიკის კატალოგი. IV ნაწილი. ოსმალები, ირანელები და რუსები, გვ. 39-54.

<sup>129</sup> ს. კაკაბაძე. თავგადასავალი იესე ოსეს შვილისა, გვ. 121.

<sup>130</sup> პაპუნა ორბელიანი. ამბავნი ქართლისანი, გვ. 235.

ხორბლის ფასად 1 შაურს ასახელებს.<sup>131</sup> ამ შემთხვევაში კილოგრამი ხორბალი გაიფებულა 0,20 გრამ ვერცხლამდე.

საინტერესოა ქართლ-კახეთში არსებული ხორბლის ფასის შედარება რუსეთის იმპერიაში არსებულ ფასებთან. XVIII საუკუნის განმავლობაში რუსეთში ხორბლის ფასი ზრდის ტენდენციით ხასიათდება. 1760-1770-იან წლებში იმპერიის სხვადასხვა ქალაქში 1 ჩეტვერტი ხორბლის საშუალო ფასია 300 კაპიკი (ანუ 3 რუბლი). 1790-იანი წლების ბოლოს კი ფასი მკვეთრად გაზრდილა.<sup>132</sup> ჩეტვერტი უდრიდა 9 ფუთს,<sup>133</sup> ანუ დაახლოებით 147 კილოგრამს. კილოგრამის ფასი კი გამოდის 2 კაპიკზე ოდნავ მეტი. როგორც აღინიშნა, გიულდენშტედტის მონაცემებით, 1770-იანი წლების თბილისშიც ხორბლის ფასი დაახლოებით ანალოგიური იყო.

დასავლეთ საქართველოში ხორბლის ფასთან დაკავშირებით საინტერესოა 1808 წლის სოლომონ II-ის (1789-1810 წწ.) დაწესებული სავაჭრო ნიხრები, სადაც სხვადასხვა პროდუქციის ზღვრული ფასებია მოცემული. აქ აღნიშნულია: „პური ორი ბათმანი – ერთი ქილა ორ რუბათ“.<sup>134</sup> დასავლეთ საქართველოში ბათმანი იწონიდა 7,3 კილოგრამს.<sup>135</sup> ორი ბათმანის წონა გამოდის 14,6 კგ. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენთვის ცნობილია სტამბოლის ქილის ოდენობა (24 კგ.), არსებობდა განსხვავებული მოცულობის ქილაც. ამ შემთხვევაში, სწორედ განსხვავებული ზომის, 14,6 კილოგრამიან, ქილასთან გვაქვს საქმე. მის ფასი ყოფილა 2 რუბი. მ. ანთაძის აზრით, რუბი 10 ფარიანი ფულის შესატყვისია.<sup>136</sup> გიულდენშტედტის ცნობით, ფარა 8 გრანს, ანუ 0,49 გრამ ვერცხლს იწონიდა,<sup>137</sup> 2 რუბი, ანუ 20 ფარა კი – 9,8 გრამს. აღნიშნული მონაცემის მიხედვით, 1808 წელს და, სავარაუდოთ, XVIII საუკუნის ბოლოსაც, იმერეთში 1 კგ. ხორბლის ფასი ყოფილა 0,67 გრამი ვერცხლი. იმავე საბუთში, ასევე, აღნიშნულია: „ქალაქის გამოძცხვარი პური ოყა

<sup>131</sup> ს. კაკაბაძე. თავგადასავალი იესე ოსეს შვილისა, გვ. 127.

<sup>132</sup> Б. Н. Миронов. Хлебные цены в России за два столетия (XVIII-XIX вв.). Ленинград 1985, გვ. 214.

<sup>133</sup> Б. Н. Миронов. Хлебные цены в России за два столетия (XVIII-XIX вв.), გვ. 41; ჩეტვერტი 7 ფუთით არის განსაზღვრული საქართველოს ისტორიის ნარკვევებში. იხ.: მ. ღუმბაძე. ცვლილებები ეკონომიკურ ცხოვრებაში. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. IV. თბ. 1973, გვ. 906.

<sup>134</sup> მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის. წ. I, გვ. 261.

<sup>135</sup> გ. ჯაფარიძე. ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, გვ. 69.

<sup>136</sup> მ. ანთაძე. საქართველოსა და თურქეთის ურთიერთობა XV-XVIII საუკუნეებში ნუმიზმატიკური მასალის მიხედვით, გვ. 136.

<sup>137</sup> გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტ. I, გვ. 283.

სამ ფარათ<sup>138</sup> იყა, როგორც აღნიშნული იყო, იწონიდა 1,28 კგ.-ს, სამი ფარა კი – 1,47 გრამს. თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში ოსმალური ვერცხლის მონეტები დაბალსინჯიანი იყო, რის გამოც შაურზე და აბაზზე ნაკლები კურსით იცვლებოდა. გიულდენშტედტის ცნობით, ერთი თბილისური აბაზი 16 ფარათ, ხოლო შაური 4 ფარად ხურდავდებოდა.<sup>139</sup> შესაბამისად, ხორბლის ფასს მაღალსინჯიანი „სირმა-აბაზის“ კურსით თუ დავიანგარიშებთ, მისი რეალური ღირებულება დაახლოებით 2-ჯერ ნაკლები იქნება: 1 კგ. ხორბალი – 0,33 გრამი ვერცხლი, 1,28 კგ. გამომცხვარი პური – 0,7 გრამი ვერცხლი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იმავე საბუთის მიხედვით, იმერეთში ზოგადად მოცემულზე გაცილებით მაღალი ფასები ყოფილა და, „უკანონო ვაჭრობისა მოაზრეთაგან“ მოსახლეობის დაცვის მიზნით, მეფემ ზღვრული ფასები დაადგინა.

ორიოდე სიტყვით შევეხებით აღმოსავლეთ საქართველოში XIX საუკუნის დასაწყისში არსებულ ფასსაც. საუკუნის დასაწყისიდან საქართველოში განუზომლად იზრდებოდა რუსეთის ჯარის რიცხვი. მათ გამოსაკვებად კი ქვეყანაში საკმარისი ხორბალი არ იყო. მართალია, მოგვიანებით დანაკლისის შესავსებად რუსეთიდან დაიწვეს ხორბლის შემოზიდვა, თუმცა ფასები მაინც გაიზარდა. 1803 წლისათვის კოდის ფასი 1 მინალთუნი (5 აბაზი; 1 კილოგრამი=დაახლ. 0,40 გრ. ვერცხლი) იყო.<sup>140</sup> XIX საუკუნის 10-იანი წლების დასაწყისში სახელმწიფოს მიერ დადგენილი იყო კოდის ფასად 6 აბაზი (1 კილოგრამი=დაახლ. 0,48 გრ. ვერცხლი), თუმცა მოუსავლიან წლებში საბაზრო ფასები მნიშვნელოვნად იზრდებოდა. ასეთ გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს 1812 წელი, როდესაც ხორბლის საბაზრო ფასი 4-5 მანეთი (20-25 აბაზი) გამხდარა (1 კილოგრამი=დაახლ. 1,8 გრ. ვერცხლი).<sup>141</sup> 1822 წლს თბილისში 1 კოდი ფქვილი 8 აბაზად იყიდებოდა.<sup>142</sup>

როგორც ვხედავთ, XVIII საუკუნის განმავლობაში ქართლ-კახეთში კილოგრამი ხორბლის ფასი დაახლოებით 0,17-0,21 გრამიდან 0,28 გრამ ვერცხლამდე მერყეობდა, ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევებში 2-ჯერ და მეტ-

<sup>138</sup> მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის. წ. I, გვ. 263.

<sup>139</sup> გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტ. I, გვ. 287.

<sup>140</sup> მასალები ქართლ-კახეთის სამეფოს სამოხელეო წყობის ისტორიისათვის. შესავალი წერილი, შენიშვნები და საძიებელი დაურთო შოთა მესხიამ. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის. თბ. 1948. ნაკვეთი I (26), გვ. 16, 17, 26, 27.

<sup>141</sup> Акты, собранные Кавказской Археографической комиссией. Под ред. А. Д. Берже. Тифлис. 1873, გვ. 65.

<sup>142</sup> მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის. წ. III, გვ. 561.

ჯერაც ძვირდებოდა. XVIII საუკუნის II ნახევარში საუკუნის დასაწყისთან შედარებით ვხვდებით ხორბლის ფასის დაახლოებით 30-40%-ით გაძვირებას. XVIII საუკუნეში ხორბლის ფასის ზრდაზე ყურადღება გაამახვილა ს. კაკაბაძემ. მისი აზრით, 1700-იან წლებთან შედარებით, საუკუნის II ნახევარში ხორბლის ფასი 2,5-ჯერ გაიზარდა. აქვე ავტორს მოტანილი აქვს სხვადასხვა მონაცემი XVIII საუკუნის II ნახევარში ხორბლის ფასების შესახებ.<sup>143</sup> როგორც ზემოთ აღინიშნა, ს. კაკაბაძის აზრით, XVIII საუკუნის დასაწყისში კოდი ხორბლის ფასი იყო 1,5 შაური. სწორედ ამ პირობაზე დამყარებით მიიღო ავტორმა ფასებს შორის მაღალი განსხვავება. ს. კაკაბაძე, ზოგადად, ფასის მატებას ფულის გაიაფებას უწოდებს და აღნიშნავს, რომ XVIII საუკუნეში ფასების მერყეობა დეტალურ გამოკვლევას საჭიროებს.<sup>144</sup>

აღმოსავლეთ საქართველოში XVIII საუკუნის 40-იან წლებში, როგორც აღინიშნა, ხორბლის გაძვირება ნადირ-შაჰის მძიმე საგადასახადო პოლიტიკით იყო განპირობებული. იმავე საუკუნის II ნახევარში კი ხორბლის შედარებით მაღალი ფასი გარკვეულ კითხვებს აჩენს. წინა საუკუნის მსგავსად უცხოელი მოგზაურები ქართლ-კახეთში ხორბლის უხვ მოსავლიანობაზე მიანიშნებენ. 1770-იან წლებში გიულდენშტედტი ხაზს უსვამს ქვეყანაში ხორბლის ინტენსიურ მოყვანას და აღნიშნავს, რომ „მთელს კახეთსა და ქართლში ჭამენ გაღვივებულ ხორბლის პურს“.<sup>145</sup> 1770-1780-იან წლებში რუსეთის იმპერიის სამხედრო მოხელეები, იაზიკოვი და ბურნაშოვი, რომელთა განსაკუთრებული ინტერესის სფერო იყო ამ მხრივ ქვეყნის პოტენციალის შესწავლა და საკუთარი მთავრობისათვის სწორი ინფორმაციის მიწოდება, ასევე, მიუთითებენ, რომ ქართლ-კახეთის სამეფოში ხორბალი უხვად მოდიოდა, იყო საკმარისი რაოდენობის და კარგი ყუათიანობითა და თვისებებით გამოირჩეოდა.<sup>146</sup>

XVIII საუკუნის II ნახევარში ხორბლის ფასის ზრდის პროცესი, ჩვენი აზრით, გამოიწვია რამდენიმე მიზეზის ერთობლიობამ. უპირველესად აღ-

<sup>143</sup> ს. კაკაბაძე. საქართველოს ეკონომიკური განვითარების შესახებ მე-18 საუკუნეში. მნათობი. № 3. ტფ. 1924, გვ. 274-282.

<sup>144</sup> ს. კაკაბაძე. ფულის გაძვირების და გაიაფების საკითხისთვის საქართველოში მე-13 - 17 საუკ. საისტორიო მოამბე. წ. I, გვ. 49-50.

<sup>145</sup> გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტ. I, გვ. 253.

<sup>146</sup> Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся к Грузии. Подъ редакцией А. А. Цагарели. Т. I. СПб. 1891, გვ. 185; С. Н. Бурнашев. Картина Грузии или описание политического состояния царств Карталинского и Кахетинского. Тф. 1896, გვ. 4.



სანიშნავია ის ფაქტი, რომ 1760-იანი წლებიდან თბილისის ზარაფხანში იჭრებოდა დიდი რაოდენობით ვერცხლისა და სპილენძის მონეტები. ახტალისა და ალავერდის ვერცხლისა და სპილენძის გამოსადნობი საწარმოების ამოქმედების შემდეგ ყოველწლიურად თბილისის ზარაფხანში იჭრებოდა დამატებით რამდენიმე ასეული ათასი აბაზი (ნომინალი – 1,5 „სირმა-აბაზი“, „სირმა-აბაზი“, 0,5 „სირმა აბაზი“, „სირმა-შაური“) და სპილენძის მონეტა (ნომინალი – შაური, ბისტი, ნახევარი ბისტი, ფული). 1763 წლიდან მხოლოდ ახტალის ვერცხლის გამოსადნობი საწარმოდან წელიწადში იღებდნენ 150, 200, 300 და ზოგჯერ მეტ ლიტრა (საშუალოდ 700 კგ.-ზე მეტ) ვერცხლს.<sup>147</sup> აღნიშნული მარაგი მთლიანად თბილისის ზარაფხანაში ხვდებოდა, ისევე, როგორც მოპოვებული სპილენძის სოლიდური ნაწილი. XVIII საუკუნის 70-იან წლებში თბილისის ზარაფხანის მაღალი ინტენსივობით მუშაობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ, იაზიკოვის ცნობით, ზარაფხანიდან სახელმწიფო შემოსავალი წელიწადში ყოფილა 30000 მანეთი<sup>148</sup> (აღვილობრივი ფულით 30000 მინალთუნს). XVIII საუკუნის დასაწყისში, დასტურლამაღლის მიხედვით, ზარაფხანიდან სახლოუხუცესსა და მდივნებს ერგებოდათ „გარდაკვეთით“ „რუსუმი“, ანუ სარგო, რაც 37 თუმანს და 5 მინალთუნს (სულ 375 მინალთუნს) შეადგენდა.<sup>149</sup> დასტურლამაღლიდან ჩანს, რომ სხვა შემთხვევებში „რუსუმის“ სახით მოხელეების სასარგებლოდ მთლიანი იჯარის მეთაფი აიღებოდა. აქედან გამომდინარე, XVIII საუკუნის I მეოთხედში ზარაფხანის სრული წლიური შემოსავალი 3750 მინალთუნის ფარგლებში მოიაზრება (ზარაფხანა იჯარით გაიცემოდა და დასახელებული თანხები წარმოადგენს საიჯარო ფასს). აღნიშნული თანხის XVIII საუკუნის 70-იან წლების ზარაფხანის შემოსავალთან შედარებისას, გასათვალისწინებელია აბაზის წონის ცვალებადობა. აბაზის წონა 70-იან წლებში საუკუნის დასაწყისთან შედარებით 2,5-ჯერ შემცირდა. შესაბამისად, XVIII საუკუნის II ნახევარის კურსით დასახელებული თანხა უდრიდა 9375 მინალთუნს ( $3750 \times 2,5 = 9375$ ). როგორც ვხედავთ, საუკუნის დასაწყისთან შედარებით XVIII საუკუნის 70-იან წლებში თბილისის ზარაფხანა 3-ჯერ და მეტად ყო-

<sup>147</sup> ა. თაბუაშვილი. ერეკლე მეორის ეკონომიკური კონცეფციები და რეფორმები ქვეყნის მმართველობის მოდერნიზაციისათვის. თბ. 2010, გვ. 72-77.

<sup>148</sup> Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся к Грузии. Подъ редакцией А. А. Цагарели. Т. I, გვ. 187.

<sup>149</sup> ქართული სამართლის ძეგლები. ტომი II. საერო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს.). ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, გვ. 281.

ფილა დატვირთული. ამ ვითარებამ პატარა ქვეყნის კვალობაზე, სავარაუდოდ, გამოიწვია ფულის მასის გარკვეული ზრდა. ფულის მასის ზრდაზე უნდა მეტყველებდეს ის ფაქტიც, რომ საქართველოში „სირმა-ვერცხლი“ ხმარებაში იყო XIX საუკუნის 50-იან წლებშიც კი.<sup>150</sup> ჩვენი აზრით, ამ ფაქტს თავისი წვლილი უნდა შეეტანა პროლუქციის გაძვირებაში.

ფასის ზრდის ტენდენციას, ასევე, ხელს შეუწყობდა სხვადასხვა დროს რუსეთის ჯარის ნაწილების საქართველოში შემოსვლა და ქალაქების მოსახლეობის შედარებითი ზრდა. აქვე ყურადღება უნდა მიექცეს ერეკლე II-ის მიერ განხორციელებულ რეფორმებს – რეგულარული ჯარის სახეობების ჩამოყალიბებასა და სამოხელეო აპარატის გაფართოებას,<sup>151</sup> რამაც სურსათზე მოთხოვნები გაზარდა. შესაბამისად, თუ საუკუნის დასაწყისში, დასტურლამალის მიხედვით, დიდი სათავადოები სარგებლობდნენ საგადასახადო შეღავათებით (მაგ., ქსნის საერისთავოდან მხოლოდ 94 კომლს ეკისრებოდა „კოდის პურის“ გადახდა<sup>152</sup>), საუკუნის II ნახევრიდან სათავადოებმა დაკარგეს აღნიშნული შეღავათები და გადასახადის გადამხდელი გახდა ქართლ-კახეთის მთელი მოსახლეობა.<sup>153</sup>

ჩვენი აზრით, სწორედ ზემოთ მოტანილი ფაქტორების ერთობლიობამ განაპირობა XVIII საუკუნის II ნახევარში ზორბლის ფასის ზრდა.

სხვადასხვა დროს ზორბლის ფასის ცვალებადობის მიუხედავად, თუ შევაჯერებთ XI-XVIII საუკუნეების მონაცემებს, გარკვეული გამონაკლისების გარდა, აღმოსავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ზორბლის ფასი დაახლოებით თანაბარი იყო. დასავლეთ საქართველოში კი – შედარებით მაღალი. ეს პროცესი, ერთი მხრივ, ლოგიკურია, რადგან აღნიშნული საუკუნეების მანძილზე, ფეოდალური მეურნეობის პირობებში, საწარმოო და ტექნოლოგიური საშუალებები, ასევე, მწარმოებელი ძალა ცვლილებას ნაკლებად განიცდიდა. ამ ვითარებაში კი ინფლაციის მაჩვენებელი მაღალი არ უნდა იყოს. თუმცა, მეორე მხრივ, საგარეო მტრის ინტენსიური შემოსევების და

<sup>150</sup> რ. ქებულაძე. სირმა-ვერცხლის მიმოქცევის ხანგრძლივობა საქართველოში. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. ტ. 53. თბ. 1969, გვ. 759; გ. ლუნდუა, თ. ლუნდუა. ქართული ნუმიზმატიკა. II ნაწილი, გვ. 141-142.

<sup>151</sup> დაწვრილებით იხ.: ა. თაბუაშვილი. ერეკლე მეორის ეკონომიკური კონცეფციები და რეფორმები ქვეყნის მმართველობის მოდერნიზაციისათვის, გვ. 118-180.

<sup>152</sup> ქართული სამართლის ძეგლები. ტომი II. საერო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს.). ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, გვ. 275.

<sup>153</sup> ა. თაბუაშვილი. ერეკლე მეორის ეკონომიკური კონცეფციები და რეფორმები ქვეყნის მმართველობის მოდერნიზაციისათვის, გვ. 125-134.

ქვეყნის ხშირი დახარკვის პირობებში მსგავსი მდგრადობის შენარჩუნება სხვაგვარი დასკვნის საშუალებასაც გვაძლევს – ამ მონაცემებით კიდევ ერთხელ მტკიცდება, რომ ფეოდალურ ეპოქაში, საქართველოს მოსახლეობის მუდმივი თავდაცვითი ბრძოლების მიუხედავად, ინტენსიური მეურნეობის ხარისხი უწყვეტად მოწოდების სიმაღლეზე იდგა, რაც განაპირობებდა კიდევ ძირითად საარსებო წყაროს, ხორბლის, საჭირო მოსავლიანობას. ჩვენ მიერ მოძიებული მასალების მიხედვით, ნაჩვენები სურათი სრულ თანხმობაში მოდის ნ. ბერძენიშვილის გამოთქმულ მოსაზრებასთან: „მიფიქრნია, გონების ძალით მიკვლევია, თუ რაში იყო ის ძალა, რომლის წყალობითაც საქართველო, განსაკუთრებით მისი აღმოსავლეთ-სამხრეთი ასეთი სიმეღვრით უძლებდა ველის ხალხთა გამანადგურებელ შემოტევებს და აღდგომა-განახლების დაუშრეტელ უნარს იჩენდა. სხვა პირობათა შორის ასეთი უნარიცა და თვით სპეციფიკაც ქართული ფეოდალური ურთიერთობისა მე ქვეყნის მეურნეობის ხასიათში... მორწყვაზე აგებულ სასოფლო-სამეურნეო კულტურაში მეხატებოდა. ...ადვილი ასახსნელია საქართველოს გაუტეხელობა. ეს გაუტეხელობა ქართული მეურნეობის მოუშლელელობაშია, მის ადვილად აღსადგენლობაშია“.<sup>154</sup>

საუკუნეების განმავლობაში ქართული მეურნეობა იმდენად მდგრადი აღმოჩნდა, რომ დამპყრობლებთან მუდმივი ბრძოლისა და დროდადრო დიდი ხარკის გადახდის მიუხედავად, ხორბლის ფასი არა თუ სტაბილურობას ინარჩუნებდა არამედ, ხშირ შემთხვევაში მეზობელ ქვეყნებთან შედარებით დაბალიც კი იყო.

---

<sup>154</sup> ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. წიგნი I. თბ. 1965, გვ. 394-395.

*Apolon Tabuashvili*

Associate Professor,  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

## **PRICES OF WHEAT IN FEUDAL GEORGIA (11<sup>TH</sup>-18<sup>TH</sup> CENTURIES)**

### Summary

The harvest of wheat and its price was very important during the Feudal Age. “Kartlis Tskhovreba” (Life of Kartli/History of Georgia) while mentioning the prosperity of state narrates: “and there was plenty of bread and wine in Kartli”. According to the same text “shortage of bread” was considered as punishment of God.

Accounts are not informative for the prices on commodity in feudal Georgia. The price of the wheat is not an exception. But from the historical sources that we possess some conclusion could be drawn. The oldest indirect account about the price of wheat is preserved in “Nikortsmindeli’s Charter” which is dated by the 2<sup>nd</sup> half of the 11<sup>th</sup> century. Based on the information of this document it is possible approximately to calculate the price of wheat.

Ivane Javakhishvili was the first who paid attention to the prices on commodity based on “Nikortsmindeli’s Charter” and his one of the earliest works – “Economic History of Georgia” (Tbilisi, 1907) – contains the accounts concerning prices. The whole information is arranged by clauses. Prices of arable land and plough are calculated in equivalent to money of his period. But the author does not mention the price of wheat.

Ivane Javakhishvili again started collection of information concerning the prices in Medieval Georgia but this material is not published yet. The handwritten is preserved in his personal archive and is kept in Korneli Kekelidze National Center of Manuscripts.

Mamuka Tsurtsunia recently has paid attention to the prices that “Nikortsmindeli’s Charter” contains.

According to our calculation in the 11<sup>th</sup> century Racha the price for 1 kg wheat was approx. 0,27-0,28 gr. silver.

It is disappointing that during the following four centuries since “Nikortsmindeli’s Charter” there is no direct or indirect accounts about wheat prices.

Ottoman Census Books (defters) provide important information about wheat prices from the 16<sup>th</sup> century onwards. In this case we pay attention to three of them, those are: 1. The Great Defter of Gurcistan Vilayet of 1574; 2. The Great Defter of Gurcistan Vilayet of 1595; 3. The Great Defter of Tbilisi Vilayet of 1728. Accounts preserved in those three Ottoman Census Books could shed some light on the wheat prices in Georgia from the 16<sup>th</sup> to the first third of the 18<sup>th</sup> century.

Our observation on Ottoman Census Books shows that the price of one kg wheat in the 16<sup>th</sup> century South-East Georgia was approx. 0,20-0,23 gr. silver.

The same price was in Kartli in the first half of the 18<sup>th</sup> century. Wheat was approx. twice more expensive in West Georgia than in the other parts of Georgia.

The rich information is accumulated about prices on commodity in the historical sources of the midst and second half of the 18<sup>th</sup> century (stories by foreign travelers in Georgia, historical documents and historical texts). The price on wheat is a little more increased in the second half of the 18<sup>th</sup> century and the average price for one kg wheat was 0,28 gr. silver.

In addition I should emphasize that assessment of the price of wheat throughout the centuries is still quite nominal and does not include all exceptions. The prices on wheat and other commodity in certain situations were changeable. The powerful natural disasters, warfare, heavy tributes imposed by the conquerors and other factors had impact not only on the prices but, generally, over stability of country’s economy. All these are indicated in the historical sources and in certain cases we see increase of price double or threefold, or even more.

## *ალექსანდრე ბოშიშვილი*

ასისტენტ-პროფესორი, თსუ

### ნიხანის ციხე\*

#### **ძეგლის მდებარეობა, ტოპონიმები**

ნიხანის ციხე მდებარეობს თურქეთის რესპუბლიკაში, ართვინის ილის (პროვინცია), იუსუფელის ილჩეში (რაიონი). ქალაქ იუსუფელიდან 40 კმ. დაშორებით, თანამედროვე ქალაქ ისპირის მიმართულებით. სოფლის თანამედროვე თურქული სახელწოდებაა – იოკუშლუ (თურქ. Yokuşlu).<sup>1</sup> ადგილის ძველი სახელწოდება ნიჰანის (თურქ. Nihah) ფორმით ადგილობრივ მოსახლეობის მეხსიერებაში დღემდეა შემორჩენილი.

ნიხანის ციხე გზასთან ახლოს მდებარეობს, მდინარე ჭოროხის მარჯვენა ნაპირზე, იგი მაღალ ბორცვზე, ზღვის დონიდან დაახლ. 900 მ. სიმაღლეზეა აგებული.

საინტერესოა, რომ ციხე თავდაცვის სისტემის სხვა სიმაგრეების მსგავსად, განსაკუთრებულად მიუღლომელ ადგილზე არ არის აგებული, იგი მთისწინა ზონაშია და მის ირგვლევე ვრცელი სასოფლო სამეურნეო სავარგულებია განლაგებული. ამიტომ ციხის მფლობელის ვალდებულება გზის კონტროლთან ერთად ხეობაში არსებული მეურნეობის დაცვა და მოვლაც უნდა ყოფილიყო.

---

\* მასალა მოპოვებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის („ტაო-კლარჯეთის ქართული ციხესიმაგრეები“, №57/03, ხელმძღვანელი: პროფ. ჯაბა სამუშია) ფარგლებში განხორციელებული მეოთხე სამეცნიერო ექსპედიციის დროს. ექსპედიცია მიზნად ისახავდა ისტორიული ტაოსა და კლარჯეთის (ართვინის ილის შავშათის, ბორჩხას, მურღულის, ართვინის და იუსუფელის ილჩეები; არზრუმის ილის უზუნდერეს და თორთუმის ილჩეები) სიმაგრეების შესწავლას (4-12 ნოემბერი, 2015 წელი).

<sup>1</sup> სოფელ ნიხანს სახელწოდება 1928 წელს შეუცვალეს. იხ. S. Nişanyan. Yokuşlu köy – Yusufeli (Kılıçkaya bucağı) – Artvin (იხ. <http://nisanyanmap.com/?lv=2&y=Nixax&t=&srt=x&u=1&u=a=0> ნახვის დრო: 21.VIII.2017).

საქართველოს თავდაცვის სისტემაში ტაოში შემომავალი გზები და მათი დაცვის მიზნით აგებული ციხეები მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. ტაოსკენ მომავალ გზებს, ბუნებრივია, სათანადო დაცვა და გამაგრება სჭირდებოდა, ასევე, ხეობების სასოფლო-სამეურნეო სავარგულებსაც.

ქვეყანაში გარედან მომავალი გზების გარდა, ცხადია, არსებობდა ქართულ პროვინციებს შორის დამაკავშირებელი გზები და იქ აგებული სიმაგრეები. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა, ნიხახის ციხე, რომელიც ისტორიული სპერის მხრიდან მომავალ გზაზე მდებარეობს. სპერის მხარე, სპერის მთა და მისკენ მიმავალი გზა საქართველოს სასაზღვრო მხარეს წარმოადგენდა. ჯუანშერი პირდაპირ წერს, „...საზღვარი ქართლისაი – სპერი“;<sup>2</sup> შესაბამისად, ქართველი მეფეები სპერისა და მისკენ მიმავალი გზის სათანადოდ გამაგრებასა და დაცვას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ.<sup>3</sup>

\* \* \*

ციხის მიდამოებში და ოდნავ მოშორებით მრავლად გვხვდება ხილის ბაღები და ბოსტნეული კულტურები. ბევრია ვენახიც. ნიხახის გვერდით არსებულ სოფელს უზუმბალი (თურქ. Üzümbağ) ჰქვია, რაც ქართულად ყურძნის ბაღს ნიშნავს. ჩნდება მოსაზრება, რომ სიტყვა „ვენახის“ შემცველი სახელი (ვენახი, ვენახები, ვაზიანი ან სხვ.) ხომ არ არის ქართულიდან თურქულად თარგმნილი,<sup>4</sup> მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, სოფლის ძველი სახელი

<sup>2</sup> ჯუანშერი. ცხორებაი ვახტანგ გორგასლისა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს ზურაბ სარჯველაძემ და სოფიო სარჯველაძემ. ქართლის ცხოვრება. მთ. რედ. როინ მეტრეველი. თბ. 2008, გვ. 231.

<sup>3</sup> ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს სამზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული. ქართველი ერის ისტორია. ტ. V. თბ. 2012, გვ. 277; იხ. ასევე, ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. ტ. II. თხზულებანი. ტ. II. თბ. 1983, გვ. 67-68; „საქართველო ძვ. წ. VI-III საუკუნეებში“, „საქართველო I-II საუკუნეებში“, „საქართველო IX საუკუნეში“, „საქართველო X საუკუნეში“, „საქართველო X საუკუნის II ნახევარში“. საქართველოს ისტორიის ატლასი. მეორე, შევსებული და გადაამუშავებული გამოცემა. მთ. რედ. დ. მუსხელიშვილი. თბ. 2016, გვ. 4, 5, 11-13; იხ. აგრეთვე, ზ. აბაშიძე, ვ. ვაშაკიძე, ნ. მირიანაშვილი, გ. ჭეიშვილი. ყოველი საქართველო (ქართული სახელმწიფოს საზღვრები უძველესი დროიდან დღემდე). თბ. 2014, გვ. 43, 73 და სხვ.

<sup>4</sup> ადრე გამოთქმული მოსაზრება ტოპონიმის ქართულიდან თარგმნასთან დაკავშირებით არ დადასტურდა (იხ. ა. ბოშიშვილი. ნიხახის ციხე – სპერიდან ტაოსკენ მომავალი გზის მცველი. მეშვიდე საერთაშორისო ქართველოლოგიური სიმპოზიუმის მასალები. საქართველო ევროპული ცივილიზაციის კონტექსტში. თბ. 2016, გვ. 156-157; ასევე, ა. ბოშიშვილი. ნიხახის ციხე – სპერიდან ტაოსკენ მომავალი გზისა და ხეობის მცველი. ისტორიულ-შემეცნებითი ჟურნალი „ისტორიანი“. №7(67). 2016, გვ. 54-56).

იყო ისასორი. ყოველ შემთხვევაში XX საუკუნეში მას ასე ერქვა.<sup>5</sup> სევან ნიშანიანის მიხედვით, სოფლის ძველი სახელი არა ისასორი, არამედ ილისასორი იყო (თურქ. İlisasor). ძველი სახელი დღევანდელ სოფ. უზუმბალს 1928 წლამდე რქმევია.<sup>6</sup> ეს სოფელი ანსასურის სახელწოდებით არის მოხსენიებული 1574 წლის აღწერის დავთარში.<sup>7</sup>

### ციხის აღწერა

ნიხახის ციხე, როგორც აღინიშნა, გზასთან ახლოს, შემაღლებულ პატარა ბორცვზე მდებარეობს. მიუხედავად იმისა, რომ ციხე გზიდან ადვილი მისადგომია, ის კედლებით კარგად იყო გამაგრებული.

ნიხახის ციხიდან ჭოროხის ხეობა და იქ არსებული ვრცელი სასოფლო-სამეურნეო სავარგულები ჩანს. როგორც აღინიშნა, ციხე აგებულია კლდოვან ბორცვზე, მის გვემას კლდის რელიეფიც განსაზღვრავს.<sup>8</sup> ციხის საერთო ფართობი დაახლოებით 860 კვ.მ-ია.<sup>9</sup>

ნიხახის ციხემ ჩვენამდე საკმაოდ დაზიანებული სახით მოაღწია. ციხის ტერიტორიაზე, ყველაზე უკეთ მის აღმოსავლეთ ნაწილში, შემორჩენილია, გოლოლი. გალანის კედელი ზოგიერთ მონაკვეთში, მაგ., დასავლეთით, მთლიანად განადგურებულია, აღმოსავლეთით კი მთლიანი სიმაღლეც არის შემორჩენილი, ქონგურებიც ჩანს. ბევრ მონაკვეთში მხოლოდ ნაშთებია და გვემა იკითხება. ციხე ნაგებია ფლეთილი ქვითა და კირით. განირჩევა მშენებლობის რამდენიმე ფენა.

<sup>5</sup> იხ. Erzurum ispir düzköy yardımlaşma ve dayanışma derneği. erzrumi, ისპირის სოფ. ღუზქოის სოლიდარობის ასოციაციის ვებ-გვერდი (<http://www.cenkerli.org/ispir-koyleri>, ნახვის დრო: 21.VIII.2017); Erzurum İspir Petekli Köyü Kültür Ve Yardımlaşma Derneği. ერზრუმში, ისპირი სოფ. ფეთექლის კულტურისა და სოლიდარობის ასოციაციის ვებ-გვერდი (<http://www.peteklikeyu.org.tr/Page6-6.aspx?ID=141>, ნახვის დრო: 21.VIII.2017)

<sup>6</sup> იხ. S. Nişanyan. İlisasor (<http://nisanyanmap.com/?lv=2&y=%C4%B0lisasor&t=&srt=x&u=1&ua=0>, ნახვის დრო: 21.VIII.2017).

<sup>7</sup> 1574 წლის გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი. ოსმალური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, შენიშვნებითა და ფაქსიმილებით გამოსაცემად მოაწზადა ნოდარ შენგელიამ. თბ. 2016, გვ. 119.

<sup>8</sup> იხ. ა. ბოშიშვილი, ნიხახის ციხე – სპერიდან ტაოსკენ მომავალი გზის მცველი, მეშვიდე საერთაშორისო ქართველოლოგიური სიმპოზიუმის მასალები, გვ. 156-157; ასევე, ა. ბოშიშვილი, ნიხახის ციხე – სპერიდან ტაოსკენ მომავალი გზისა და ხეობის მცველი. ისტორიულ-მეცნიერებითი ჟურნალი „ისტორიანი“, გვ. 54-56.

<sup>9</sup> ციხის ზომები და სხვა პარამეტრები მოცემულია გიორგი ბაგრატიონის მიერ ადგილზე გაკეთებული ანაზომების მიხედვით.



ნიხახის ციხესაც, ისევე როგორც ციხესიმაგრეების უმრავლესობას, კლდის რელიეფი განსაზღვრავს. ის აგებულია პატარა კლდოვან მთაზე, შესაბამისად, კლდიანი ბაქანის გათვალისწინებით ციხე ორ სხვადასხვა დონეზე იყო განლაგებული, ერთი, დაბალი, რომელიდანაც შესასვლელია და მეორე, მაღალი, რომელიც ციტადელს წარმოადგენდა და მთავარი გოდოლიც აქ არის აშენებული. ალბათ, ამის გამოა, რომ ნიხახის ციხის ზედა მონაკვეთი უკეთ არის შენარჩუნებული.

ციხის აღწერას ვიწყებთ პირველი კარიბჭიდან, რომელიც ნიხახის ციხის სამხრეთით არის განლაგებული, კარიბჭის ზომებია: სიგანე – 1.5 მ. სიმაღლე – 2 მ. კარიბჭეს ორივე მხარეს კოშკები (უფრო კონტრაფორსი) აქვს მიშენებული. როგორც ჩანს, მშენებლებს კარის უკეთ დაცულობის მიზნით კედლები გაუსქელებიათ და გოდოლის ფორმა მიუციათ, რომელიც მთლიანად ქვით არის ამოვსებული (სურ. 3, 8). ერთ-ერთი მათგანის გარშემოწერილობა 6 მ-ს აღწევს. ეს ყველაფერი კარიბჭეს დამატებით სიმტკიცეს სძენდა. კარიბჭის ორივე მხარეს გალავანია, ერთი სამხრეთისკენ ეშვება და ფერდობით თითქმის ბოლომდე მიუყვება კლდის დაბოლოებას. აქედან შენარჩუნებულია 3 მ., ხოლო 2 მ-ზე მხოლოდ კედლის გეგმა იკითხება, დანარჩენი დანგრეული და დაკარგულია. გალავნის კედელი (დაახლ. 9 მ.) კარიბჭის ჩრდილო-აღმოსავლეთითაც ვრცელდება, რომელიც უკეთ არის შენარჩუნებული. პირველი კარიბჭის გვერდითი გალავნის კედლის სისქე დაახლ. 0.8-0.9 მ-ია.

პირველი კარიბჭის გავლის შემდეგ ციხის დასავლეთ, ანუ ქვედა ციხის ტერიტორიაზე აღმოჩნდებით. ციხის ამ ნაწილის აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთის კედლები განადგურებულია. ქვედა და ზედა ციხეები ერთმანეთისგან გალავნით და კარიბჭით იყო გამოყოფილი. დღეს ციხის ქვედა და ზედა დონეების გამოყოფი კედლის დიდი ნაწილი დანგრეულია და ზოგან მხოლოდ გეგმა იკითხება (სურ. 5). შემორჩენილი ნაწილის ზომებია: სიგრძე – დაახლ. 11.5 მ., სიგანე – 1 მ., შემორჩენილი მაქსიმალური სიმაღლე – დაახლ. 4 მ. აღნიშნული კედლის უკიდურეს ჩრდილო კუთხეში უნდა ყოფილიყო მეორე კარი (სიგანე – 1.7 მ), რომელიც, ასევე, ორი მომრგვალებული კოშკით (თუ კონტრაფორსი?) იყო გამაგრებული.

მეორე კარიბჭის ჩრდილოეთის კოშკის გაგრძელებაა ნიხახის ციხის ჩრდილო-დასავლეთის გალავნის კედელი (23 მ.), რომელიც, ასევე, ძალიან დაზიანებულია. მაგალითად, მის ცენტრალურ ნაწილში 9 მ. კედელი მთლი-

ანად განადგურებულია. კედლის სისქე ამ მონაკვეთშიც 1 მეტრს აღწევს. ჩრდილო-დასავლეთის კედელი 45 გრადუსიანი კუთხით აღმოსავლეთისკენ უხვევდა და კედლის თხემის მიხედვით 5 მეტრის შემდეგ ნიხანის ციხის მთავარ სიმაგრეს, ოთხკუთხა გოლოლს, ჩრდილო-დასავლეთიდან უერთდებოდა (სურ. 5, 10). გოლოლთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული მის ჩრდილოეთით არსებული 1.5 მ. სიგრძის კედლის ნაშთებიც, რომელიც გვეგმის დონეზე იკითხება.

ნიხანის ციხის გოლოლს სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში აქვს გალაენის სხვა კედელი, რომელიც პირველი კარიბჭის კედელთან ერთად ნიხანის ციხის სამხრეთის გალავანს წარმოადგენს. ციხის ეს მონაკვეთი კარგად არის შენარჩუნებული. კედლის მთლიანი სიგრძე 23 მ-ს აღწევს (8 მ-ის შემდეგ 45 გრადუსიანი კუთხით აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ მკვეთრად უხვევს), კედლის სიმაღლე – 5 მ-მდეა. სამხრეთის გალავნის კედელზე, ზედა სართულების დონეზე, სათოფურები და სამზირალებია მოწყობილი, სავარაუდოდ, კედელზე, შიგნიდან, საცხოვრებელი და სამეურნეო დანიშნულების ნაგებობები იყო მიშენებული (სურ. 10).

ნიხანის ციხის მთავარი სიმაგრეა ოთხკუთხედი ფორმის რამდენიმე-სართულიანი კოშკი, რომელიც ციხის აღმოსავლეთ ნაწილშია აგებული, მისი სიმაღლე დაახლოებით 10 მ-ია. კოშკს შესასვლელი დასავლეთ ნაწილში, მეორე სართულის დონეზე აქვს (სურ. 10, 12). კარის სიმაღლეა დაახლ. 2 მ., სიგანე – 0.8-1 მ-ია. კარში, შიდა ნაწილში, ქვის ჩარჩოში იკითხება ურდულის ჩასაკეტი ღიობი (0.2X0.5 მ.) (სურ. 13). კედლის სისქე – 1.6 მ-ია. კოშკში ასასვლელი თავის დროზე ხის კონსტრუქციებით უნდა ყოფილიყო მოწყობილი დღეს გარემოს ნანგრევებით დაფარვისა და კარის ზღურბლის გამონგრევის გამო, მიწის დონე თითქმის კოშკში შესასვლელის დონემდეა აწეული. კარის თავზე, მეოთხე სართულის დონეზე, კუპრის ჩამოსასხმელია, რომელიც საჭიროების შემთხვევაში საისრედ ან სალოდედაც შეიძლებოდა გამოეყენებინათ.

ბოლო სართულის დონეზე, ინტერიერში, მოწყობილია სამძხრივი (ჩრდილოეთით, აღმოსავლეთით და დასავლეთით) ბაქანი, რომელიც თავის დროზე საგუმავოდ გამოიყენებოდა. კოშკის ბოლო სართულს გვიანდელი განახლების კვალი ეტყობა. კოშკის ჩრდილოეთ კედელზე, მესამე და მეოთხე სართულის დონეზე, მოწყობილია თითო სამზირალი. ნიხანის ციხის კოშკის ინტერიერი ნანგრევებით არის დაფარული, სართულების გამყოფი კონსტრუქ-

ციხების ნაშთები მოშლილია.

ნიხახის ციხის მთელი შიდა ტერიტორია ოქროს მადიებლების მიერ არის გადათხრილი, ციხის მთელი ეზო კირიანი ნანგრევებისა და კერამიკის ნიმუშებით არის მოფენილი. მათ შორის იყო თიხის ფიალის ქვედა ნაწილი, რომლის შიდა მხარე მოჭიქულია და ორნამენტებით (ორმაგ წრეში ჩახაზული ნახევარმთვარეები) იყო შემკული (სურ. 14).

### ისტორიული გეოგრაფია და ისტორია

ნიხახის ციხე თავიდანვე მნიშვნელოვანი ფუნქციებით უნდა ყოფილიყო დატვირთული. ის სპერიდან ტაოსკენ მომავალი გზის დაცვას უზრუნველყოფდა. ჭოროხის ხეობისა და მისი შენაკადი მდინარეების, პატარა ხეობების სიმაგრეებთან ერთად, ჭოროხის დაცვის ერთიან სისტემას ქმნიდა. ნიხახის ირგვლივ ჭოროხის ხეობის ორივე მხარეს – მუხურგურის, ოშნაგის, პეტერეკის, კისკიმისა და სხვა ციხეები იყო განლაგებული (სურ. 1, 2). უშუალოდ ნიხახის თავზე, მაღალი მთის თხემზე, იყო მუხურგურის, იგივე მუხურგუთის ციხე,<sup>10</sup> ხოლო მის გვერდით ოშნაგია. პეტერეკისა და კისკიმის ციხეები კი ნიხახის პირდაპირ იდგა.

სამხედროს გარდა, ნიხახის მმართველისა და მფლობელის ფუნქციებში ციხის ირგვლივ არსებული ვრცელი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მოვლა-პატრონობაც უნდა ყოფილიყო. შესაბამისად, მდებარეობიდან გამომდინარე, სავარაუდოდ, ნიხახში ციხის აშენება ფეოდალიზაციის პროცესთანაც უნდა იყოს დაკავშირებული.

ნიხახის ციხე, როგორც ზემოთაც აღინიშნა, პარხლის ხეობიდან სპერისკენ მიმავალ გზაზეა, ის უკანასკნელ სიმაგრეს წარმოადგენდა და სპერსა და ტაოს შორის საზღვარი სწორედ ნიხახის მიდამოებში გადიოდა.<sup>11</sup>

<sup>10</sup> იხ. საქართველოს ისტორიული რუკა. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის გამოცემა, შედგენილი შისკ ტოპოგრაფ ევ. ბარამიდის მიერ პროფ. ივ. ჯავახიშვილის რედაქტორობით. თბ. 1923; ტაო-კლარჯეთი. ისტორიისა და კულტურის ძეგლები. კატალოგი. ისტორიისა და კულტურის ძეგლები, ხელნაწერები და ისტორიული დოკუმენტები, პერსონალია, პუნქტები, ბიბლიოგრაფია. თბ. 2017, გვ. 237 და სხვ.

<sup>11</sup> პავლე ინგოროყვა მიიჩნევდა, რომ ტაოს ერთ-ერთი საზღვარი არა ნიხახის ციხე, არამედ მის მახლობლად მდებარე ოშნაგთან იყო. მეცნიერის აზრით, ტაო (ამიერი და იმიერი, ანუ ქვემო და ზემო) მოიცავდა, „ჭოროხის შუამდინარე ოლთისის წყალის ხეობას მთლიანად, აგრეთვე მისი მიმდგომ ქართლის ყელის (გურჯი ბოღაზის) სექტორს და მდინარე ჭოროხის მარჯვენა სანაპიროს, დაწყებული ორჯნალიდან (ეხლანდელი ოშნაღი) ვიდრე თუხარისამდე (ხერსის წყლის ხეობამდე)“ (იხ. პ. ინგოროყვა, ვიორგი მერჩულე, ქართველი მწერალი მეთე საუკუნისა, ნარკვევი ძველი საქართველოს ლიტერატურის და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ისტორიიდან, თბ., 1954, გვ. 302).

მდინარე ჭოროხის ხეობა, მთლიანად ტაო, პარხლით, თავიდანვე ქართული ტომებით იყო დასახლებული, ჯერ დიაოხის სამეფოს (ძვ.წ. XII-VIII სს.) შემადგენლობაში შედიოდა, შემდეგ ეს ტერიტორია ძვ.წ. IV-III საუკუნეებიდან, ძვ.წ. II საუკუნის დასაწყისამდე, ქართლის, ანუ იბერიის სამეფოს ნაწილი იყო. მოგვიანებით კი, როგორც ცნობილია, ტაო სომხებმა მიიტაცეს (Strabo. XI. 14,5).<sup>12</sup> იგი სხვა ქართულ პროვინციებთან ერთად დიდ არმენიას შეუერთდა.<sup>13</sup> როგორც ბერძენი ისტორიკოსი და გეოგრაფი სტრაბონი (ძვ.წ. 64/63-ახ.წ. 23/24 წწ.) წერს, არმენებმა თავისი ქვეყანა იმის ხარჯზე გაზარდეს, რომ მეზობელ ხალხებს ჩამოაჭრეს ნაწილები. „...იბერებს – პარიადრეს კალთები, ხორზენე და გოგარენე, რომელიც მტკვრის გადაღმა არის...“ (Strabo. XI. 14,5).<sup>14</sup> ქართველებისთვის წართმეულ ტერიტორიებს უმეტესად მამიკონიანები განაგებდნენ. დიდ არმენიაში გაერთიანებამ ტაოს მხარეში სომხური კულტურის გავრცელება და გაძლიერება გამოიწვია. პარხლის მხარე ხან ბიზანტიის, ხან ქართველების ხელშიც გადადიოდა. საბოლოოდ, მხოლოდ VIII საუკუნის მეორე ნახევარში მოახერხეს ბაგრატიონებმა ტაოს უკან დაბრუნება.

ბიზანტიის საიმპერატორო ტახტზე VII საუკუნეში აფრიკის ყოფილი მმართველი ჰერაკლე (610-641 წწ.) ავიდა. ჰერაკლეს მმართველობაში ბიზანტიის სამხედრო მდგომარეობა ერთხანს კვლავ მძიმე იყო. ამასობაში აღმ. საქართველოზე გავლენა ირანმა გაავრცელა. ჰერაკლე კეისარი ენერგიული

<sup>12</sup> თ. ყაუხჩიშვილი. სტრაბონის გეოგრაფია. ცნობები საქართველოს შესახებ. თბ. 1957.

<sup>13</sup> პარიადრისა და პარხლის იდენტურობის შესახებ ჰ. კიპერტის, ჰ. იუბშმანის, ი. მარკვარტის და სხვათა მიერ გამოთქმულ მოსაზრებას პავლე ინგოროყვა არ იზიარებს, მისი აზრით, სტრაბონთან დასახელებული „პარიადრის (მთიანეთის) კალთები“, საზღვარია სომხეთსა და იბერიას შორის, ეს არის სამხრეთით მდებარე კუთხე, მდინარე არაქსის სათავეების ზონა“ (იხ. პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, ქართველი მწერალი მეთაე საუკუნისა, გვ. 462-465, 486-487, იქვე შესაბამისი ლიტერატურა), მეცნიერებაში პავლე ინგოროყვას აღნიშნული მოსაზრება გაზიარებული არ არის (იხ. ს. ჯანაშია. ისტორიული საქართველოს პოლიტიკური გეოგრაფიიდან. შრომები. ტ. II. თბ. 1952, გვ. 260; ს. ჯანაშია. პარიადრი, სკიდიისი, მოსხური მთები. შრომები. ტ. II, გვ. 266-267; გ. მელიქიშვილი, ქართული პოლიტიკური და ეთნიკური წარმონაქმნები ელნისისტურ ხანაში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბ., 1970, გვ. 456-457; დ. მუსხელიშვილი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები. [ტ.] I. თბ. 1977, გვ. 55-60; ზ. აბაშიძე, ვ. ვაშაკიძე, ნ. მირიანაშვილი, გ. ჭვიშვილი. ყოველი საქართველო, გვ. 47 და სხვ. პროფ. ვალერი სილოგავას პარიადრი ისპირის ნაწილად მიაჩნია (იხ. В. И. Силогава. Ишханская епархия. Православная Энциклопедия. Т. 28, гв. 666-676), როგორც ჩანს, ნიკოლაი აღონცის გავლენით რომლის მიხედვით, პარიადრი ტაოსა და სპერს მოიცავდა (იხ. Н. Адонц. Армения в эпоху Юстиниана. Политическое состояние на основе нахарарского строя. СПб. 1908, гв. 62).

<sup>14</sup> თ. ყაუხჩიშვილი. სტრაბონის გეოგრაფია. ცნობები საქართველოს შესახებ. თბ. 1957.

მმართველი და ნიჭიერი მხედართმთავარი აღმოჩნდა. მან 622 წელს დედაქალაქი ლატოვა და ჯარით კაპადოკიისაკენ გაემართა, სადაც ირანელები დაამარცხა, შემდეგ ილაშქრა სომხეთსა და ადარბადაგანშიც. როგორც ცნობილია, 627 წელს ჰერაკლემ თბილისის აღება ვერ მოახერხა. მაშინ თბილისის ქართლის ერისმთავარი და ირანელი სარდალი იცავდნენ. ჰერაკლემ ქალაქი მომდევნო წელს აიღო და მოწინააღმდეგეებს სასტიკად გაუსწორდა, უამრავი ადამიანი სიკვდილით დასაჯა. ჰერაკლე კეისარმა ერისმთავრად ბიზანტიური ორიენტაციის დამცველი ადარნასე დაადგინა.<sup>15</sup>

სწორედ ჰერაკლე კეისრის ლაშქრობების დროს VII ს-ის დასაწყისში დაიკავეს ბიზანტიელებმა სპერი და კლარჯეთის ნაწილი ზღვისპირით. „კუალად წარიღეს ბერძენთა საზღვარი ქართლისა: სპერი და ბოლო კლარჯეთისა, ზღვსპირი“. როგორც ვახტანგ გორგასლის ისტორიკოსი ჯუანშერი წერს, „...მაშინ კუალად წარიღეს ბერძენთა საზღვარი ქართლისა: სპერი და ბოლო კლარჯეთისა, ზღვს პირი. და შვილნი სტეფანოზისნი დარჩეს კლდეთა შინა კლარჯეთისათა...“.<sup>16</sup> საინტერესოა, რომ ჯუანშერი საუბრობს იმ ტერიტორიაზე, „სპერი და ბოლო კლარჯეთისა“, სადაც მთელი პარხლის ხეობა და ნიხახის ციხეც შედიოდა.

მალე, VII საუკუნის შუა წლებიდან, ახალი დამპყრობლები, არაბები, გამოჩნდნენ. როგორც ცნობილია, მათ სწრაფად მოახერხეს მთელი არაბეთის ნახევარკუნძულის გაერთიანება და მეზობელ სახელმწიფოებსაც შეუტიეს. ბიზანტიელებთან მოპოვებული წარმატებების შემდეგ არაბებმა საქართველომდეც მოაღწიეს. ქართულ ისტორიოგრაფიაში გაზიარებულია მოსაზრება, რომ განსაკუთრებული ზიანი საქართველოს 735-737 წლებში მურვან ყრუს ლაშქრობებმა მიაყენა.

სუმბატ დავითის ძისა და გიორგი მერჩულეს ცნობებზე დაყრდნობით პავლე ინგოროყვა წერს, რომ არაბთა შემოსევების გამო ჭოროხის ხეობა იმდენად იყო გავერანებული, რომ მისი დიდი ნაწილი თითქმის დაცლილი ყოფილა მოსახლეობისგანაც. განსაკუთრებით კი მურვან ყრუს ლაშქრობების შემდეგ.<sup>17</sup> გიორგი მერჩულე წერს, „კლარჯეთს, და ტაოთა, და შავშეთს, და ყოველთა მათ მახლობელთა ქუეყანათა მცირედნი იპოვებოდეს დაშენებულ

<sup>15</sup> ა. ბოგვერაძე. ადრეფეოდალური ქართული სახელმწიფოები VI-VIII საუკუნეებში. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. II, თბ. 1973, გვ. 279-281.

<sup>16</sup> ჯუანშერი, ცხორებად ვახტანგ გორგასლისა, გვ. 231.

<sup>17</sup> იხ. პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა, გვ. 382-383.

ტყეთა შინა ადვილ“.<sup>18</sup> „მახლობელ ქუეყანათაში“, პავლე ინგოროყვას აზრით, სპერი და ნიგალი უნდა იგულისხმებოდეს, რომლებიც, ასევე, ჭოროხის ხეობაში მდებარეობს.<sup>19</sup> სპერი ისტორიულად სამ ნაწილად იყოფოდა (ქვემო, შუა და ზემო).<sup>20</sup>

„მატიანე ქართლისაჲ“ VIII საუკუნის მეორე ნახევარში ბაგრატიონების ტაო-კლარჯეთში დამკვიდრების ისტორიის შესახებ ტაოს მხარესაც ასახელებს. მატიანეში კარგად ჩანს, რომ ადარნასე ბაგრატიონმა სხვა მხარეებთან ერთად ასისფორის მხარეც დაიმკვიდრა.

მატიანეს მიხედვით, „სიცოცხლესავე ჯუანშერისსა იცვალა ადარნასე ბაგრატიონიანმან ნასამალი“<sup>21</sup> კლარჯეთისა, შავშეთისა, აჭარისა, ნიგალისა, ასისფორისა, არტანისა და ქუემოსა ტაოსაჲ, და ციხეთაგანცა რომელნი ჰქონდეს შვილისშვილთა ვახტანგ მეფისათა, და წარვიდა ადარნასე კლარჯეთად და მუნ მოკუდა“.<sup>22</sup>

წყაროში დასახელებული ასისფორი რომ პარხალსაც შეესაბამება, ქართული და სომხური წყაროების შეჯერების შედეგად აკად. დავით მუსხელიშვილმა გამოარკვია. მეცნიერმა დაასკვნა, რომ VII საუკუნის სომხურ გეოგრაფიაში მოხსენიებული არსიაცფორი და ქართული წყაროების ასისფორი, ყოველთვის საკმაოდ დიდი „ქვეყნების“ გვერდით (კლარჯეთი, შავშეთი, აჭარა, არტანი, სამცხე, ქართლი და სხვ.) არის მოხსენიებული, ასეთი კონტექსტი კი მას აფიქრებინებს, რომ ქართული წყაროების „ასისფორი“ დიდ

<sup>18</sup> გიორგი მერჩულე, გრიგოლ ხანცთელიის ცხოვრება,

<sup>19</sup> იხ. პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, ქართველი მწერალი მათე საუკუნისა, გვ. 383.

<sup>20</sup> იხ. პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, ქართველი მწერალი მათე საუკუნისა, გვ. 302.

<sup>21</sup> „ნასამალი“ სულხან საბას განმარტებით, მესამედია (იხ. სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. ტ. I. ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკონის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ. თბ. 1991, გვ. 587); ქართლის ცხოვრების ამ მონაკვეთზე საუბრისას, ასევე, დანაწილებაზე მოუთითებს აკად. ნიკო ბერძენიშვილი (იხ. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები. ტ. VIII. მასალები ავტორის არქივიდან. თბ. 1975, გვ. 171; ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. თბ. 1990, გვ. 171).

<sup>22</sup> მატიანე ქართლისაჲ. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა მარიამ ლორთქიფანიძემ. ქართლის ცხოვრება. მთ. რედ. როინ მეტრეველი. თბ. 2008, გვ. 255; მატიანე ქართლისაჲს ცნობებს ზუსტად იმეორებენ ვახუშტი ბატონიშვილი და ახალი ქართლის ცხოვრება (იხ. ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. IV. თბ. 1973, გვ. 696; ახალი „ქართლის ცხოვრება“. ვახტანგისეული რედაქცია. ტ. I. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გონელი არაჩაბიაძე. თბ. 2017, გვ. 192).

ტერიტორიას მოიცავდა და, ალბათ, (ისევე, როგორც სომხური წყაროების „არსიაცვორი“) ეს ტერიტორია ლეონტი მროველთან მოხსენიებულ პარხალს უნდა შეესაბამებოდეს.<sup>23</sup>

„მატიანე ქართლისაჲში“, ასევე, აღნიშნულია, რომ ადარნასეს მიერ დამკვიდრებული ციხეების ნაწილს მანამდე ვახტანგ გორგასლის შვილიშვილები ფლობდნენ თუმცა მატიანეს ავტორი არ ამბობს, ზუსტად რომელ ციხეებზეა საუბარი. სავარაუდოდ, ეს „ციხეთაგანი რომელნი ჰქონდეს შვილის-შვილთა ვახტანგ მეფისათა“, სწორედ ტაოს ციხეები უნდა ყოფილიყო.<sup>24</sup>

ადარნასე ბაგრატიონის გარდაცვალების შემდეგ აღნიშნული მხარეები მისმა ძემ აშოტ I-მა დაიპყვია. „შემდგომად სიკუდილისა ადარნასესისა განადიდა უფალმან მეფობა აშოტ კურაპალატისა: ხოლო ეუფლა ქართლს და საზღვართა მისთა...“.<sup>25</sup>

VIII საუკუნის ბოლოდან ტაოში ბაგრატიონები მკვიდრდებიან. აკად. დავით მუსხელიშვილს გამორკვეული აქვს, რომ უკვე X ს-ის II ნახევარში დავით III კურაპალატის სამფლობელო იყო პარხალი, ასისფორი, თორთომი, ოლთისის ხეობა მამროვანით და სხვ.<sup>26</sup> ნიხახის ციხე IX-X საუკუნეებში ქართველებს ეკუთვნოდა და მას სათანადო ყურადღება უნდა ჰქონოდა დათმობილი, როგორც ტაოს მოსაზღვრე ციხეს.<sup>27</sup> დავით III-ის გარდაცვალების შემდეგ (1001 წ.) ტაოს ეს ნაწილი ბიზანტიელების ხელში გადავიდა და გაერთიანებული საქართველოს პირობებშიც ვერ ხერხდებოდა მისი დაბრუნება.

XI საუკუნის 60-იანი წლებიდან თურქ სელჩუკების შემოსევები ინტენსიური გახდა. როგორც ცნობილია, 1071 წლის მანასკერტის ბრძოლაში დამარცხების შემდეგ ბიზანტიაში იმპერატორის ხელისუფლებაც შეიცვალა.

<sup>23</sup> დ. მუსხელიშვილი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები. ტ. II. თბ. 1980, გვ. 168.

<sup>24</sup> მატიანე ქართლისაჲს ამ ცნობასაც ზუსტად იმეორებენ ვახუშტი ბატონიშვილი და ახალი ქართლის ცხოვრება (იხ. ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 696; ახალი „ქართლის ცხოვრება“. ვახტანგისეული რედაქცია, გვ. 193).

<sup>25</sup> მატიანე ქართლისაჲ, გვ. 255; ვახუშტი ბატონიშვილი და ახალი ქართლის ცხოვრება ამ ცნობასაც უცვლელად გვთავაზობენ (იხ. ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 696; ახალი „ქართლის ცხოვრება“. ვახტანგისეული რედაქცია, გვ. 193).

<sup>26</sup> დ. მუსხელიშვილი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები. ტ. II, გვ. 173.

<sup>27</sup> ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს სამზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული, გვ. 277; საქართველოს ისტორიის ატლასი. მეორე, შევსებული და გადაშუშავებული გამოცემა, გვ. 4, 5, 11-13; იხ. აგრეთვე, ზ. აბაშიძე, ვ. ვაშაყიძე, ნ. მირიანაშვილი, გ. ჭიეშვილი. ყოველი საქართველო, გვ. 43, 73 და სხვ.

რომანოზ IV დიოგენეს (1068-1071 წწ.) ნაცვლად საიმპერატორო ტახტი მიხეილ VII დუკამ (1071-1078 წწ.) დაიკავა. ბიზანტიის საიმპერატორო კარს სურდა, საქართველოს მეტი აქტიურობა გამოეჩინა სელჩუკების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ბიზანტიის მიერ საქართველოსთვის ადრე წართმეული ტერიტორიები, მათ შორის ტაო და პარხალი, სადაც ნიხანის ციხეც მდებარეობდა, იმ დროს ბიზანტიურ ადმინისტრაციულ ერთეულში – იბერიის თემში – იყო გაერთიანებული საიმპერატორო კარის თანხმობით ბიზანტიაში დაწინაურებულმა ქართველმა დიდებულმა, იბერიის თემის მმართველმა და აღმოსავლეთის დიდმა დომესტიკოსმა, გრიგოლ ბაკურიანისძემ, იგი საქართველოს მეფე გიორგი II-ს (1072-1089 წწ.) გადასცა.<sup>28</sup>

მოგვიანებით, XI საუკუნის 80-იან წლებში, „დიდი თურქობის“ დროს, ტაო თურქ სელჩუკებს აუღიარებიათ. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი წერს, „ხოლო მათ მყის მოაქცივნეს გზანი მათნი და მოეფინნეს პირსა ყოვლისა ქუეყნისასა, ვითარცა მკალნი. და დღესა ივანობისასა“<sup>29</sup> ასისფორი და კლარჯეთი ზღუეს პირამდის, შავშეთი, აჭარაი, სამცხე, ქართლი, არგუეთი, სამოქალაქო და ჭყონდიდი აღივსო თურქითა მოისრა და ტყუე იქმნა ამათ ქუეყანათა მკვლრი ყოველი...“.<sup>30</sup>

რადგანაც ნიხანის ციხე საქართველოს საზღვრისპირა რეგიონში მდებარეობდა, მასზე მცირე ხნით ხან ბიზანტიელები და ხანაც თურქ-სელჩუკებიც გაბატონდებოდნენ ხოლმე. ერთიანი საქართველოს შემადგენლობაში ციხეს ცენტრალური ხელისუფლება ქართველი დიდებულების ხელით აკონტროლებდა. თანდათან ასისფორის მხარე, ისევე როგორც ძველი ტაოს დიდი ნაწილი, ჯაყელებმა დაიმკვიდრეს.

<sup>28</sup> იხ. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი. ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა მზექალა შანიძემ. ქართლის ცხოვრება. მთ. რედ. როინ მეტრეველი. თბ. 2008, გვ. 301; ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია. წ. II. თხზულებანი. ტ. II. თბ. 1983, გვ. 160; „საქართველო XI საუკუნის II ნახევარში“. საქართველოს ისტორიის ატლასი, მეორე, შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, გვ. 16-17, IX; გ. გოზალიშვილი. გრიგოლ ბაკურიანის ძე. შურნი: „მნათობი“. თბ. 1970. №2, გვ.167-192; ა. შანიძე. პეტრიწონის მონასტრის მამულები გრიგოლი ბაკურიანის-ძე. შურნი: „მნათობი“. 1979. №1, გვ. 173-180; ჯ. სამუშია, გრიგოლ ბაკურიანის ძე. კრებ.: „დიდნი საქმენი“. თბ. 2011, გვ. 140-141; ჯ. სამუშია. გრიგოლ ბაკურიანის ძე – ბიზანტიის დიდი დომესტიკოსი. „ისტორიანი“ – ისტორიულ-შემეცნებითი შურნალი. თბ. 2012, სექტემბერი. №9(21), გვ. 29-34 და სხვ.

<sup>29</sup> იენისი.

<sup>30</sup> დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, გვ. 302.



\* \* \*

1231-1232 წლებში, სელჩუკების ისტორიკოსის იბნ ბიბის მიხედვით, მონღოლები ჩორმადან ნოინის<sup>31</sup> მეთურობით რუმის სასულტნოში შეჭრილან და სივასის მიდამოებში ფუსერის მოსახლეობა დაურბევიათ, იმავე ავტორის ცნობით, მონღოლები სელჩუკების წინააღმდეგ სალაშქროდ საქართველოს დედოფალ რუსუდანს (1223-1245 წწ.) წაუქეზებია. საპასუხოდ კი სელჩუკებს საქართველოს ციხეები, მათ შორის ნიხახი, აუღიათ.<sup>32</sup>

როდესაც რუმის სელჩუკთა სულტანმა ქეი ყუბად I-მა (1220-1237 წწ.) მონღოლების მიერ მისი საზღვრების დარღვევის შესახებ შეიტყო, მაშინვე საპასუხო ზომების მიღებისთვის მზადებას შეუდგა. შეკრიბა ჯარი, რომელსაც ამირა ქამალ ად-დინ ქამიარი ჩაუყენა და მონღოლებთან საბრძოლველად გააგზავნა.<sup>33</sup> სივასთან მიახლოებისას ქამალ ად-დინმა შეიტყო, რომ მონღოლები უკან გაბრუნდნენ, მაგრამ ქამალმა გზა მაინც გააგრძელა და არზრუმში ჩავიდა, სადაც იქაურობის მმართველის მუბარიზ ად-დინ ჩამნიგირის რჩევით გაჩერდა. სელჩუკების სარდალმა არზრუმში შეიტყო, რომ მონღოლები მულანში წასულიყვნენ და იქ დაბანაკებულყვნენ.<sup>34</sup>

იბნ ბიბი არ განმარტავს, კონკრეტულად რაში გამოიხატებოდა საქართველოს მეფის, რუსუდანის, მიერ მონღოლების წაქეზება. პროფ. გონა ჯაფარიძეს თავის ნაშრომში ამ საკითხთან დაკავშირებით მოხმობილი აქვს სხვადასხვა ავტორის ვერსიები. მაგ. კლოდ კაენი მიიჩნევდა, რომ „ქართვე-

<sup>31</sup> ჩორმადანი ირანის დასაპყრობად და ხორეზმის შაჰის ჯალალ ად-დინის შესაპყრობად უგედეი ყანმა (1229-1241 წწ.) 30-40 ათასი მეომრით გააგზავნა (გ. ჯაფარიძე. ერთი ეპიზოდი მეფე რუსუდანისა და მონღოლების დიპლომატიური კონტაქტების ისტორიიდან. ძიებანი საქართველოსა და ახლო აღმოსავლეთის ისტორიაში. ტ. I. თბ. 2012, გვ. 253. იქვე იხ. შენიშვნა №3, იქვე იხ. საკითხის შესახებ ლიტერატურა).

<sup>32</sup> ნ. შენგელია. იბნ ბიბი ალა ად-დინ ქეიყობადის საქართველოში ლაშქრობის შესახებ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. თბ. 1975, №1, გვ. 97; გ. ჯაფარიძე. საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარი XII-XIII ს-ის პირველ მესამედში. თბ. 1995, გვ. 196; A. Toksoy. Türk Hâkimiyetinde Yusufeli, Geçmişten Geleceğe. Yusufeli Sempozyumu Bildirileri. Istanbul. 2010, გვ. 23.

<sup>33</sup> ნ. შენგელია. იბნ ბიბი ალა ად-დინ ქეიყობადის საქართველოში ლაშქრობის შესახებ, გვ. 96; გ. ჯაფარიძე. საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარი XII-XIII ს-ის პირველ მესამედში, გვ. 196.

<sup>34</sup> ნ. შენგელია. იბნ ბიბი ალა ად-დინ ქეიყობადის საქართველოში ლაშქრობის შესახებ, გვ. 96; გ. ჯაფარიძე. საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარი XII-XIII ს-ის პირველ მესამედში, გვ. 196.

ლებმა დახმარება აღმოუჩინეს დამპყრობლებს, შესაძლოა, იძულებით, მაგრამ ეს შეესაბამებოდა მათ ტრადიციულ მტრობას თურქებთან. ამიტომ გადაწყდა, რომ მოოხრებული პროვინციების ზარალის ასანაზღაურებლად სელჩუკებს შური ეძიათ მათზე“. სხვაგან იგივე ავტორი წერს, რომ ქეიყუბადმა ქართველებს იმის გამო წაართვა ციხეები, რომ მონღოლების რეიდი რუმის ტერიტორიაზე საქართველოს გავლით განხორციელდა.<sup>35</sup> ხ. მუსაევის თანახმად, რუსუდანი მონღოლთა მოკავშირე და წამქეხებელი ყოფილა.<sup>36</sup> პროფ. ნოდარ შენგელია აღნიშნავს, რომ რუსუდანი „მოახერხა საქართველოს ორი მოსიხლე მტრის დაპირისპირება და ერთმანეთზე წასისინება“.<sup>37</sup> დასახელებული ვერსიები იბნ ბიბის ზემოთ ნახსენები ერთი ცნობის ოდნავ განსხვავებულ ინტერპრეტაციებს წარმოადგენს.

პროფ. გონა ჯაფარიძე აღნიშნავს, რომ „ერთი მხრივ, როცა მონღოლები კარს იყვინენ მომდგარნი, მათთან მორიგება და რუმის სასულტნოსკენ მათი წარმართვა გამართლებული იყო. მეორე მხრივ, ფაქტია, რომ, როცა მონღოლებმა თავიანთი მსვლელობა აღარ გააგრძელეს და უკან დაბრუნდნენ, მცირე აზიის სელჩუკებმა დალაშქრეს საქართველო“.<sup>38</sup>

აქ, ალბათ, გასათვალისწინებელია ის მომენტიც, რომ აღნიშნული ცნობა მხოლოდ იბნ ბიბისთან არის დაცული. არ არის გამორიცხული, და დიდი ალბათობითაც, სელჩუკების საქართველოს წინააღმდეგ ლაშქრობა მხოლოდ ზარალის ანაზღაურების მიზნით<sup>39</sup> ყოფილიყო გამოწვეული და რუსუდანის მიერ მონღოლების წაქეზება, როგორც ზემოთაც ითქვა, მხოლოდ საბაბია. ნაკლებად მოსალოდნელია, რომ რუსუდანი ამდენი მოეხერხებინა. ისიც აშკარაა, რომ მონღოლებს სელჩუკების წინააღმდეგ გასალაშქრებლად არავის შეგულიანება აღარ სჭირდებოდათ.

<sup>35</sup> იხ. გ. ჯაფარიძე. საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო XII-XIII ს-ის პირველ მესამედში, გვ. 196. იქვე ლიტერატურა.

<sup>36</sup> იხ. გ. ჯაფარიძე. საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო XII-XIII ს-ის პირველ მესამედში, გვ. 196. იქვე ლიტერატურა.

<sup>37</sup> ნ. შენგელია. იბნ ბიბი ალა აღ-დინ ქეიყობადის საქართველოში ლაშქრობის შესახებ, გვ. 99; გ. ჯაფარიძე. საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო XII-XIII ს-ის პირველ მესამედში, გვ. 196.

<sup>38</sup> გ. ჯაფარიძე. საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო XII-XIII ს-ის პირველ მესამედში, გვ. 196.

<sup>39</sup> აქვე გასათვალისწინებელია დაზავატიც. დაზავატი არამუსლიმთა წინააღმდეგ ისლამის გავრცელების მიზნით წარმოებულ „საღვთო ომს“ ნიშნავს. საქართველოს წინააღმდეგ ლაშქრობების დროს, მეზობელი მუსლიმური ქვეყნიებიდან დაზავათის არაერთი ფაქტია ცნობილი (იხ. ლ. თავაძე. სამკარის ციხე. საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. ტ. XII. თბ. 2017, გვ. 188-190, იქვე, შესაბამისი ლიტერატურა).

ქართული წყაროები რუმის სულტნის საქართველოს ტერიტორიაზე ლაშქრობის შესახებ თითქოს ღუპან. თუმცა, ჟამთააღმწერლის ერთი ცნობის მიხედვით, შესაძლებელია სელჩუკების მიერ საქართველოზე ლაშქრობის ზუსტი მიზეზის გარკვევა კი.

ჟამთააღმწერლის ცნობის მიხედვით, „წარმოვიდნენ ოთხნი ნოინნი, ჩორმადანი, ჩაღატა, იოსური და ბიჩო, გამოვლეს ჯეონი, ზუარასანი ვითარ ორმოცი ათასითა კაცითა და დედაწულითა. მივიდეს ქვეყანასა ალამუთისასა... და დიდად ავნეს,“ შემდეგ ერაცი დაარბიეს, მერე ადარბადაგანში თავრიზი, არდაველელებმა ძღვენით მოახერხეს თავის გადარჩენა, ბოლოს განმაც აიღეს და დაარბიეს.<sup>40</sup> მონღოლი ნოინები ხორეზმის შაჰს ჯალალ ად დინს (1220-1231 წწ.) მისდევდნენ, რომელიც რამდენიმე წლით ადრე საქართველოს დაესხა და დიდი ზიანიც მიაყენა. „ამისი მცნობელი სულტანი (ჯალალ ად დინი – ა.ბ.) მსწრაფლ აიყარა დედაწულითა და ივლტოდა საბერძნეთად. ხოლო თათართა (მონღოლებმა – ა.ბ.) დევნა უყვეს და მიეწივნეს ბასიანს. იხილეს რა (მისმა მხლებლებმა მონღოლები – ა.ბ.) განიბნივეს ესოდენ“.<sup>41</sup>

ჟამთააღმწერლის აღნიშნული ცნობა,<sup>42</sup> ვფიქრობთ, პირდაპირ კავშირშია იბნ ბიბისტან დაცულ ცნობასთან და იმავე ამბებს უნდა გადმოსცემდეს. იბნ ბიბისტან დაცული ცნობა ჩორმადან ნოინის სივასამდე ლაშქრობის შესახებ რამდენად რეალურია, უცნობია, მაგრამ ჟამთააღმწერლის მიხედვით, მონღოლებს ჯალალ ად-დინის დევნაში ბასიანამდე ნამდვილად ულაშქრიათ.<sup>43</sup> მონღოლების ლაშქრობასთან ქართველების არანაირ კავშირზე არ საუბრობს ქართველი ისტორიკოსი, მით უმეტეს, მეფე რუსუდანის ჩართულობაზე ამ საქმეში.

ხორეზმშაჰი ჯალალ ად დინი 1231 წელს მოკლეს. ამიტომ, ბუნებრივია, მონღოლებმა მისი დევნა შეწყვიტეს<sup>44</sup> და უკან დაბრუნება დაიწყეს. „მო-რა-იქცეს თათარნი ზუარაზმელთა დევნისაგან, მიერ წარვიდეს და მო-

<sup>40</sup> ჟამთააღმწერელი. ასწლოვანი მატიანე. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა გიული ალასანიამ. ქართლის ცხოვრება. მთ. რედ. როინ მეტრეველი. თბ. 2008, გვ. 545.

<sup>41</sup> ჟამთააღმწერელი. ასწლოვანი მატიანე, გვ. 545; იხ. ასევე, რ. კიკნაძე, ხორეზმელები საქართველოში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III. თბ. 1979, გვ. 545.

<sup>42</sup> იგივე ცნობა დაცულია ვახუშტი ბატონიშვილთან. მონღოლი ნოინების სახელებია მცირედ განსხვავებულად გადმოცემული: „ჭარმადან“, „ჭაღატარ“, „იოსერ“ და „ბიჩვის“ (იხ. ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 204).

<sup>43</sup> ჟამთააღმწერელი. ასწლოვანი მატიანე, გვ. 68-69.

<sup>44</sup> რ. კიკნაძე, ხორეზმელები საქართველოში. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, გვ. 545.

აოკრეს ქვეყანა ხლათისა და ვალაშკერტისა. და ვერ წინა-აღუდგა სულტანი ხლათისა, არამედ გამაგრდა ქალაქსა შინა. ხოლო თათარნი წარვიდეს ადარბადაგანს... აღიღეს თავრეჟი<sup>45</sup> და მიმდგომი მისი ქვეყანანი და მეორესა წელსა წარვიდეს ბარდავს, განძას და მულანს და იწყეს რბევად და ოკრებად საქართველოსა“.<sup>46</sup> როგორც ვხედავთ, იბნ ბიბის ცნობა მონღოლთა უკან დახვევისა და მულანის ველზე დაბანაკების შესახებ<sup>47</sup> ქართველი ავტორის, ჟამთაღმწერლის, მიხედვითაც დასტურდება.

მონღოლების უკან დახვევის მიუხედავად, რუმელებმა საქართველოზე შეტევა მაინც დაიწყეს და საბაბად რუსუდანის მიერ მათ წინააღმდეგ მონღოლების წაქეზება გამოიყენეს. რაც, როგორც გამოჩნდა, არ იყო რეალობა. რუმის სულტან ქეი ყუბად I-ის სარდალ ქამალ ად-დინ ქამიარისა და ერზრუმის გამგებლის მუბარიზ ად-დინ ჩაშნაგირის, დიდი ლაშქარი, რუმის სასულტნოს ყველა მხრიდან იყო შეკრებილი. ამას დამატებული 5 ათასი დაქირავებული მეომრით და სააღყო მანქანებით ისინი საქართველოს მოადგნენ და 30 ცნობილი ციხე აიღეს.<sup>48</sup>

პროფ. ნოდარ შენგელია აღნიშნავს, რომ სელჩუკები სამხრეთ საქართველოში შეიჭრნენ.<sup>49</sup> პროფ. გოჩა ჯაფარიძე უფრო აზუსტებს და წერს, რომ ეს ლაშქრობა უნდა განხორციელებულიყო არზრუმის დაბლობიდან საქართველოს ყელის („გურჯი ბოლაზის“<sup>50</sup>) გავლით და სპერის მხრიდან და

<sup>45</sup> თავრიზი.

<sup>46</sup> ჟამთაღმწერელი. ასწლოვანი მატიაზე, გვ. 546.

<sup>47</sup> ნ. შენგელია. იბნ ბიბი ალა ად-დინ ქეიყობადის საქართველოში ლაშქრობის შესახებ, გვ. 96; გ. ჯაფარიძე. საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარი XII-XIII ს-ის პირველ მესამედში, გვ. 196.

<sup>48</sup> გ. ჯაფარიძე. საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარი XII-XIII ს-ის პირველ მესამედში, 196-197.

<sup>49</sup> ნ. შენგელია. იბნ ბიბი ალა ად-დინ ქეიყობადის საქართველოში ლაშქრობის შესახებ, გვ. 100.

<sup>50</sup> აკად. ივანე ჯავახიშვილის მიხედვით, თორთომის სამხრეთ-დასავლეთის საზღვარი იყო ჯუანშერთან მოხსენიებული „გზა ქართლისა“, ანუ ვახუშტის „საქართველოს ყელი“, რომელიც თურქებმა თარგმნეს და „გურჯი ბოლაზი“ უწოდეს. ასევე, „გურჯიბოლაზს აქეთი...“ დასახელებულია XVI საუკუნის „სამცხე-საათაბაგოს მღვდელთმთავართა“ ნუსხაშიც (იხ. ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. ტ. II, გვ. 67); „გურჯის კარს“ ასახელებს XVII საუკუნის ოსმალე ავტორი მუსტაფა ნაიმა (იხ. მუსტაფა, ნაიმა. ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევიტა და შენშენებით გამოსაცემად მოამზადა ნოდარ შენგელიამ. თბ. 1979, გვ. 166); ასევე, XVII საუკუნის ავტორი, ევლია ჩელებიც, წერს გურჯი ბოლაზის შესახებ (იხ. ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“. თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გიორგი ფუთურძემ. ნაკვ. I. ქართული თარგმანი. თბ. 1971, გვ. 304); იხ. ასევე, პავლე ინგოროყვა (პ. ინგოროყვა. გიორგი

სელჩუკებს იმიერ-ტაოს ნაწილი დაუპყრიათ.<sup>51</sup> არზრუმიდან გურჯი ბოლახის გავლით ისინი სწორედ თორთომში მოხვდებოდნენ. იბნ ბიბისტან ნახსენები სელჩუკების მიერ აღებული ხახოს ციხე, სწორედ თორთომის მხარეში უნდა ყოფილიყო. „ქვის სატყორცნი იარაღებითა და ხმლით იქაურობა ხელთ იგდეს“.<sup>52</sup> პროფ. გოჩა ჯაფარიძე ტოპონიმ ხახოს ხახულთან აიგივებს, რომელიც სომხურ და თურქულ წყაროებში, მოიხსენიება როგორც ხახუ.<sup>53</sup> სელჩუკთა ლაშქრის მეორე ნაწილი კი ჭოროხის ხეობაში შემოსულა და სხვა ციხეებთან ერთად, რომელთაც იბნ ბიბი არ ასახელებს, მათ ნიხახი აუღიათ.<sup>54</sup>

როგორც ჩანს, არზრუმის მმართველ მუბარინ ად-დინ ჩაშნიგირის ლაშქარი არზრუმის მოსაზღვრე თორთომის მხარეზე წამოვიდა სალაშქროდ და მდ. თორთომის ხეობის ციხეები აიღო. სავარაუდოდ, უკიდურესი ციხე, რომელსაც მიაღწია და აიღო, სწორედ ხახული იყო. ხოლო ჭოროხის ხეობიდან შემოსულმა ქამალ ად-დინ ქამიარმა სპერის მხარისა და ჭოროხის ხეობის ციხეები აიღო და უკიდურესი ციხე, რომელიც დაიკავა, ნიხახი იყო. ნიხახის მოსახლეობა თურქებმა ხახის „ანალოგიურ მდგომარეობაში ჩააგდეს და დაპყრობილი ადგილები ერთიანად გაანადგურეს“.<sup>55</sup> სელჩუკები სწორედ ნიხახისა და ხახის ციხეებთან შეჩერდნენ და ამით უნდა იყოს გამოწვეული ის ფაქტი, რომ იბნ ბიბი მხოლოდ ამ ორს ასახელებს. ხოლო სხვა ციხეებს, რომელთა შორის ზოგიერთი, ვიცით, რომ ასეთივე ან უფრო მეტად მასშტაბურიც არის (აზორდი, თორთომი და სხვ.), აღარ ახსენებს. სხვა ციხეებს იბნ ბიბი „საქართველოს 30 ცნობილ ციხესიმაგრეს“ ეძახის.<sup>56</sup>

მერჩულე, ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა, გვ. 297, 384, 493), პავლე ინგოროვსას იმოწმებენ თურქი მეცნიერები, მაგ. ფაჰრიე ბაირამი (F. Bayram. Gürcistan'ın Sinası: Tao Klarıctı. Uluslararası Doğu Anadolu-Güney Kafkasya Kültürleri Sempozyumu (2012). Bildiriler II. Erzurum. 2015, გვ. 482). ტოპონიმში „გურჯი ბოლახი“ (თურქ. Gürcü Boğazı), ანუ „საქართველოს ყელი“ თორთომთან, არზრუმის გზაზე, ადგილობრივებში დღემდე შემორჩენილია და ჩვენი ექსპედიციის მსვლელობისას (2015 წ. 8 ნოემბერს) კიდევ ერთხელ დაფიქსირდა.

<sup>51</sup> გ. ჯაფარიძე. საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარი XII-XIII ს-ის პირველ მესამედში, გვ. 197.

<sup>52</sup> ნ. შენგელია. იბნ ბიბი ალა ად-დინ ქეიყობადის საქართველოში ლაშქრობის შესახებ, გვ. 100.

<sup>53</sup> იბ. გ. ჯაფარიძე. საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარი XII-XIII ს-ის პირველ მესამედში, გვ. 197.

<sup>54</sup> ნ. შენგელია. იბნ ბიბი ალა ად-დინ ქეიყობადის საქართველოში ლაშქრობის შესახებ, გვ. 100.

<sup>55</sup> შდრ. ნ. შენგელია. იბნ ბიბი ალა ად-დინ ქეიყობადის საქართველოში ლაშქრობის შესახებ, გვ. 100-101.

<sup>56</sup> იბ. ნ. შენგელია. იბნ ბიბი ალა ად-დინ ქეიყობადის საქართველოში ლაშქრობის შესახებ, გვ. 101.

როგორც ჩანს, ქართველები სრულიად მოუმზადებლები დახვედრიან რუმის თავდასხმას.<sup>57</sup> ამის შემდეგ რუსუდანი იძულებული გამხდარა ზავი ეთხოვა, სულთანი ქეი ყუბადი ზავზე დასთანხმდა, თუმცა, უცნობია დაუბრუნა თუ არა დაპყრობილი ციხეები ქართველებს. ზავის პირობები, რა თქმა უნდა, ქართველთა საზიანო იყო.

რუმთან გაფორმებული ზავის მიხედვით, რუსუდანის ასული თამარი სულთან ქეი ყუბადის ვაჟზე, ქეიხუსრევზე, უნდა დაქორწინებულიყო. ეს ქორწინება, როდესაც ქეიხუსრევი სულთანი გახდა, 1237 წელს, შედგა.<sup>58</sup> როგორც ვარაუდობენ, საქართველოსა და რუმს შორის დადებული ამ ზავის მიხედვით, ქართველებს სელჩუკთა მხარეზე სამხედრო ძალების გამოყვანაც დაევადათ.<sup>59</sup> მართლაც, როგორც პროფ. გონა ჯაფარიძე წერს, 1234 წელს ქეი ყუბადს ქართველები აიუბიანთა დინასტიის წინააღმდეგ მესოპოტამიაში ეხმარებოდნენ. ქეიყუბადი, 1237 წელს, გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე, კვლავ აპირებდა აიუბიანთა წინააღმდეგ ლაშქრობას და ქართველები კვლავ მის ლაშქარში იყვნენ.<sup>60</sup>

როგორც ისტორიოგრაფიაშია გაზიარებული, იმ პერიოდში რუმის სასულთნომ განსაკუთრებულ წარმატებებს მიაღწია. შესაბამისად, ის საქართველოსთვის რეალურ საფრთხეს წარმოადგენდა. რუმის საზღვრები უკვე აზერბაიჯანამდე აღწევდა და ერზრუმი, ერზინჯანი, ხლათი და სურმარი, რომლებიც მანამდე, ცოტა ხნით ადრე, საქართველოს საგარეო-პოლიტიკური ინტერესების სფეროს წარმოადგენდა, ამ დროს უკვე სულთანმა ქეი ყუბადმა დაიპყრო. ამასთან, რუმი უკვე საქართველოს საზღვრებშიც იჭრებოდა და ციხეებს იკავებდა.<sup>61</sup> როგორც პროფ. გონა ჯაფარიძე აღნიშნავს, „ძნელი სათქმელია, თუ როგორ წარიმართებოდა საქართველოს ურთიერთობები ამ ძლიერ მეზობელთან, რომ არა მონღოლთა შემოსევები. მონღოლთა ქარიშხლის წინა-

<sup>57</sup> იხ. ნ. შენგელია. იბნ ბიბი ალა აღ-დინ ქეიყუბადის საქართველოში ლაშქრობის შესახებ, გვ. 101.

<sup>58</sup> იხ. გ. ჯაფარიძე. საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო XII-XIII ს-ის პირველ მესამედში, გვ. 197, და სხვ.

<sup>59</sup> იხ. გ. ჯაფარიძე, საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო XII-XIII ს-ის პირველ მესამედში, გვ. 197.

<sup>60</sup> გ. ჯაფარიძე. საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო XII-XIII ს-ის პირველ მესამედში, გვ. 197.

<sup>61</sup> გ. ჯაფარიძე. საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო XII-XIII ს-ის პირველ მესამედში, გვ. 198.

შე კი ორივე უძლური აღმოჩნდა“.62 წყაროებში არ ჩანს, ნიხახის ციხე როდის დაიბრუნეს ქართველებმა.

\* \* \*

სამხრეთ საქართველო და მათ შორის ტაოს დიდი ნაწილი, როგორც ზემოთაც აღინიშნა, თანდათან ჯაყელების სამფლობელო გახდა. მონღოლების ბატონობის დროს, როგორც ცნობილია, სარგის I-მა მოახერხა და თავისი სამართავი ტერიტორია 1266 წელს დანარჩენი საქართველოსგან გამოყო და „ხასინჯუს“ სტატუსით უშუალოდ ილხანთა ყაენს დაექვემდებარა.63 როგორც აკად. ივანე ჯავახიშვილი წერს, „ამას მონღოლურ-სპარსულად ხასინჯუ ეწოდებოდა, ქართველები კი ულოსის-ას ეძახდინენ, რადგან ისინი ყაენის ულუსის კუთვნილებად ითვლებოდნენ“.64

სარგისის შემდგომ სამცხის მთავარი ბექა ჯაყელი გახდა, რომელსაც სამეფო კარზე მანდატურთუხუცესის თანამდებობა ეკავა. მისი საგამგეო XIV ს. დასაწყისისათვის ტაშისკარიდან სპერამდე და ბასიანამდე ვრცელდებოდა. ჟამთააღმწერლის მიხედვით, ბექა ჯაყელის საგამგეო შემდეგ ტერიტორიებს მოიცავდა: „ესე ბექა განდილებულ იყო და აქუნდა ტაშისკარიდან ვიდრე სპერამდე და ვიდრე ზღუამდე: სამცხე, აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი, ნიგალისკევი და ჭანეთი სრულიად მოსცა ბერძენთა მეფემან.., ამასვე აქუნდა უმრავლესი ტაო, არტანი, კოლა, კარნიფორა, და კარი“.65 XIII ს. დასაწყისთან შედარებით აქ შემატებული აქვს ჭანეთი, რომელიც ბექას მომდევნო ხანებში ისევ თურქებმა დაიკავეს. სხვა მხრივ კი მთელი XIV საუკუნე საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი საზღვრები არ შეცვლილა.66 აკად. ივანე ჯავახიშვილის შეფასებით, ბექა ჯაყელი „მესხეთის მხნე და მარჯვე მმართველი იყო. ის თავის სამფლობელოს ფხიზლად სდარაჯობდა და მტრის შემოსევის ყოვლისავე ცდას უმაღლ მედგარ წინააღმდეგობას უწევდა“.67 როგორც ჩანს, მონღო-

62 გ. ჯაფარიძე. საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო XII-XIII ს. ის პირველ მესამედში, გვ. 198,

63 ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. ტ. III. თხზულებანი. ტ. III. თბ. 1982, გვ. 83-85.

64 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. III, თხზულებანი, ტ. III, თბ., 1982, გვ. 84-85.

65 ჟამთააღმწერელი. ასწლოვანი მატიანი, გვ. 637.

66 ბ. ლომინაძე. სამცხის სამთავრო XIII ს. მეორე ნახევარში. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. III, გვ. 599-600.

67 ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. ტ. III, გვ. 142.

ლების ბატონობის დროს ქართველების მფლობელობაში იყო ტაოს ის ნაწილი, სადაც ნიხახის ციხე მდებარეობდა. თუმცა საზღვართან სიახლოვის გამო ხშირად ამ ტერიტორიებზე თურქები აწყობდნენ თავდასხმებს, რომელნიც დიდ ზიანს აყენებდნენ აქაურობას, თუმცა გადამწყვეტი ბრძოლები ქართველების გამარჯვებით სრულდებოდა.

მესხეთში ბექა ჯაყელის მმართველობის დროს თურქებმა ილაშქრეს საქართველოში. XIII ს. II ნახევარში.<sup>68</sup> აზატ მოსეს მეთაურობით მომთაბარეებმა საქართველოს სამხრეთს შემოუტიეს.<sup>69</sup> ამ მოულოდნელი თავდასხმის შესახებ („არა ჰკონებდეს თურქთა გამოჩენასა“) ჟამთააღმწერლის თხზულებაშია მოთხრობილი.<sup>70</sup>

მომთაბარე თურქთა 60 ათასიანმა ლაშქარმა<sup>71</sup> დაარბია ბასიანი და ტაო. „იწყო მძვინვარედ ოკრება, ჳოცა და კლვა“. ქართველებმა პარტიზანული ომი დაიწყეს. მტერს ვიწროებში იმწყვდევენ და ანადგურებდნენ. ბრძოლებში თავი განსაკუთრებით გამოიჩინეს აზნაურებმა: ხერხემლისძებებმა და ტაოს ერისთავმა თაყა ფანასკერტელმა, თორთომთან ბრძოლაში დიდი ზარალი მიუყენებია თაყას მოწინააღმდეგისთვის.<sup>72</sup> სანამ სამცხის მთავარი ბექა I ჯაყელი ჯარს შეკრებდა, თურქებმა დიდი ტერიტორია მოაოხრეს და გამოსაზამთრებლად უკან გაბრუნდნენ.<sup>73</sup>

აზატ მოსე მომდევნო წელსაც შემოესია სამცხე-საათაბაგოს, როგორც ჟამთააღმწერელი წერს, „ადრე გაზაფხულისა, იწყეს თურქთა აღმო-

<sup>68</sup> აკად. ნიკო ბერძენიშვილის ვარაუდით, აზატ-მოსე საქართველოს „1300 წლის ახლოს“ შემოესია (იხ. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები. წ. III. თბ. 1966, გვ. 70); პროფ. გიორგი ანჩაბაძე მიიჩნევს, რომ ეს მოვლენები 1302 წელს უნდა მომხდარიყო (იხ. გ. ანჩაბაძე, სამხრეთ საქართველოს მოსახლეობის ბრძოლა მცირეაზიელი მომთაბარე ტომების წინააღმდეგ. საქართველოს სამხედრო ისტორიის საკითხები (1921 წლამდე). თბ. 2010, გვ. 109).

<sup>69</sup> იხ. გ. ანჩაბაძე, სამხრეთ საქართველოს მოსახლეობის ბრძოლა მცირეაზიელი მომთაბარე ტომების წინააღმდეგ, გვ. 107.

<sup>70</sup> ჟამთააღმწერელი. ასწლოვანი მატიანე, გვ. 642.

<sup>71</sup> „...და შეკრბა სამოცი ათასი, რომლისა თავად იყო აზატ მოსე“ (იხ. ჟამთააღმწერელი. ასწლოვანი მატიანე, გვ. 642).

<sup>72</sup> ჟამთააღმწერელი. ასწლოვანი მატიანე, გვ. 642; ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. ტ. III, გვ. 142; ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. წ. III, გვ. 70.

<sup>73</sup> ჟამთააღმწერელი. ასწლოვანი მატიანე, გვ. 642; ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. ტ. III, გვ. 142-148; ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. წ. III, გვ. 70; ბ. ლომინაძე. სამცხის სამთავრო XIII ს. მეორე ნახევარში. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. III, გვ. 600; დ. მუსხელიშვილი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები. ტ. II. თბ. 1980, გვ. 163.



მართ-სვლა“ და დიდ ლაშქარს მოუყარეს თავი. თუმცა მტერი ამჯერად უფრო ორგანიზებულ წინააღმდეგობას წააწყდა ქართველების მხრიდან. ბექა ჯაყელისა და მისი შვილის, სარგისის, მეთაურობით ქართულმა ჯარმა აზატ-მოსე მესხეთის შიდა რეგიონებში აღარ შემოუშვეს და სპერთან და ვაშლოვანთან<sup>74</sup> ბრძოლებში თურქები დაამარცხეს და უკუაქციეს.<sup>75</sup> ბექა ჯაყელმა უკანდახეული აზატ მოსეს დევნა გააგრძელა. აზატ მოსე სწორედ პარხლისა და ნიხახის გავლით ქალაქ სპერისკენ მიდიოდა, სადაც დაეწივნენ კიდევ ქართველები. ამიტომ თურქები „შეივლტოდეს ქალაქსა და ციხესა სპერისასა“. ქართველებმა „პირველსავე ომსა აღიღეს ქალაქი, თვინიერ ციხისა“.<sup>76</sup> როგორც აკად. ივანე ჯავახიშვილი წერს, „ამით დამთავრდა ბექა მანდატურ-თუხუცესის ბრძოლა შემოსეული მტრის წინააღმდეგ, რომელიც დამარცხებულ იქნა“.<sup>77</sup>

მოგვიანებით, ერთიანი საქართველოს დაშლის შემდგომ, ასისფორის მხარე, ისევე როგორც მთელი სამხრეთ საქართველო, მესხეთის სამთავროში, ანუ სამცხე-საათაბაგოში შედიოდა.

\* \* \*

XVI საუკუნის დასაწყისიდან ოსმალებმა საქართველოს ტერიტორიების დაპყრობა დაიწყეს. პირველ ეტაპზე ოსმალეთი მხოლოდ ხარკსა და ნადავლს სჯერდებოდა. სამცხის მთავრები, ჯაყელები, იძულებული გახდნენ, მათთვის მორჩილება გამოეცხადებინათ.<sup>78</sup> სამცხე-საათაბაგოს ვალდებულება იყო, რომ ოსმალეთის სასარგებლოდ ხარკი გადაეხადა, ჯარი გამოეყვანა და საჭიროების შემთხვევაში ოსმალური ჯარი სურსათით მოემარაგებინა. სანაც-

<sup>74</sup> პ. ინგოროყვა ვაშლოვანს სპერთან აიგივებს, კონკრეტულად რომელ მონაკვეთზეა საუბარი, არ არის აღნიშნული. „...ჟამთააღმწერელი, აგვიწერს რა სამცხე-საათაბაგოს (მესხეთის) ტერიტორიის მოცულობას მე-13 საუკუნის მეორე ნახევარში, წერს, რომ სამცხე-საათაბაგო ამ დროს მოიცავდა ქვეყნების „ტაშის-კარიოთან ვიდრე კარნუ-ქალაქამდის“, სახელდობრ, შეიცავდა შემდეგ მხარეებსა და პუნქტებს. „1. სამცხე; 2. აჭარა; 3. შავშეთი; 4. კლარჯეთი; 5. უმრავლესი ტაო; 6. ვაშლოვანი (=სპერის მხარე); 7. ნიგალის-ხევი; 8. კოლა, 9. კარნიფორი, 10. ორნივე არტაანნი და 11. მრავალნი სოფელნი ჯავახეთს“. (იხ. პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე, ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა, გვ. 366). პროფ. გიორგი ანნაბადის აზრით ვაშლოვანი თორთომისა და ოლთისის ჩრდილოეთით უნდა ყოფილიყო (იხ. გ. ანნაბაძე. სამხრეთ საქართველოს მოსახლეობის ბრძოლა მცირეაზიელი მომთაბარე ტომების წინააღმდეგ, გვ. 104).

<sup>75</sup> ჟამთააღმწერელი. ასწლოვანი მატიანე, გვ. 643.

<sup>76</sup> ჟამთააღმწერელი. ასწლოვანი მატიანე, გვ. 644-645.

<sup>77</sup> ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. ტ. III, გვ. 142-148.

<sup>78</sup> ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 714.

ვლოდ სულთნის ხელისუფლება მესხეთის შიდა საქმეებსა და სოციალურ წყობაში არ ჩაეროდა.<sup>79</sup>

1535 წელს მესხეთის მთავარი ყვარყვარე III (1516-1535 წწ.) იმერთა მეფე ბაგრატ III-მ (1510-1565 წწ.) დაამარცხა და შეიპყრო. ამის შემდეგ, სამცხე-საათაბაგო და იმერეთი გაერთიანდა. მალე ბაგრატმა ოსმალებიც დაამარცხა და 1535-1545 წლებში იმერეთისა და სამცხე-საათაბაგოს ერთად მართავდა. აღსანიშნავია, რომ ბაგრატმა ეს მოახერხა იმ პერიოდში, როდესაც ოსმალეთის იმპერია მეზობლებთან, როგორც აზიაში, ისე ევროპაში, დიდ სამხედრო წარმატებებს აღწევდა. თუმცა, სულ მალე, 1545 წელს, სოხოსტასთან სულთან სულეიმან I-ის (1520-1566 წწ.) მიერ გამოგზავნილმა ჯარმა ქართველები დაამარცხა. ამის შემდეგ ოსმალებმა სამცხე-საათაბაგოს დასავლეთ ნაწილში დაიწყეს ფეხის მოკიდება.

1545 წლიდან, სოხოსტას ბრძოლაში გამარჯვების შემდეგ, როგორც ვახუშტი ბატონიშვილი აღწერს, „ოსმალინი შემოვიდნენ და დაიპყრეს ციხენი საათაბაგოსანი...“.<sup>80</sup> მართალია, ოსმალებმა ათაბაგად ყვარყვარე III-ის შვილი ქაიხოსრო II (1545-1573 წწ.) დასვეს, თუმცა უკვე ოსმალური წესების შემოღებას ცდილობდნენ.<sup>81</sup> ვახუშტის მიხედვით, „ოსმალითა წესისა მათისაებრ იწყეს მძღავრებად ქუეყანათა“.<sup>82</sup> წყაროებიდან როგორც ჩანს, ოსმალური წესების შემოღების მცდელობით შეწუხებული ქართველები მალევე, 1549 წელს, აჯანყებულან. სწორედ ამის შესახებ წერს ოსმალთა ისტორიკოსი იბრაჰიმ ფენევი, როდესაც აღნიშნავს, რომ „საქართველოს ურჯულოები აჯანყებასა და არეულობას აწყობდნენ“.<sup>83</sup> როგორც ირკვევა, ოსმალებით უკმაყოფილო ქართველები ჰიჯრის 955 წელს (ანუ 1548/1549 წ.) მოულოდნელად არზრუმის ბეგლარბეგს დაესხნენ თავს, მოკლეს ის და მისი მრავალრიცხო-

<sup>79</sup> 1574 წლის გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი. ოსმალური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, შენიშვნებითა და ფაქსიმილეებით გამოსაცემად მოამზადა ნოდარ შენგელიამ. თბ. 2016, გვ. 47.

<sup>80</sup> ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 713.

<sup>81</sup> ოსმალების მიერ ტაოს დაპყრობაზე საუბარი პარიზის ქრონიკაშიც არის. „ქრონიკონსა სლე (235+1312=1547 წელს) „ტაოს ქუეყანა დაიჭირეს თათართა, ურუმთა“ (იხ. Парижская хроника. Перевод, исследование, примечания и указатели Г. Г. Аласания. Тб. 1991, გვ. 29; ასევე, პარიზის ქრონიკა ანუ ცხორება საქართველოსა და დიდი მოურავის ამბები. ზ. ჭიჭინაძის გამოც. თბ. 1903, გვ. 9).

<sup>82</sup> ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 714.

<sup>83</sup> იბრაჰიმ ფენევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ (უცხოური წყაროები საქართველოს შესახებ). ტექსტის ქართული თარგმანი გამოსცა, შესავალი წერილი და შენიშვნები დაურთო ს. ჯიქიაძე. თბ. 1964, გვ. 27.

ვანი გარემოცვაც ამოხოცეს.<sup>84</sup>

„აჯანყებისა და არეულობების“ საპასუხოდ, იბრაჰიმ ფეჩევის მიხედვით, სულთანმა სულეიმან I-მა (1520-1566 წწ.) საქართველოს წინააღმდეგ გალაშქრება განიზრახა და საქმე მეორე ვეზირს, აჰმედ ფაშას,<sup>85</sup> მიანდო. აჰმედ ფაშა არზრუმის, ყარაბაღის, ზულყადირლისა და სივასის ბეგლარბეგებთან და მათი სანჯაყების ბეგებთან და ქეთხუდებთან ერთად 1549 წლის 25 აგვისტოს საქართველოს დასაპყრობად გზას გაუღა.<sup>86</sup> იმავე პერიოდის ირანელი ავტორის, ჰასან რუმელუს, მიხედვით, ოსმალების ლაშქარი 40 ათასი ცხენოსნია და ქვეითისგან შედგებოდა.<sup>87</sup>

როგორც იბრაჰიმ ფეჩევი წერს, ჯერ დიდი ბრძოლით ალებულ იქნა თორთუმის ციხე, ნიხახისა<sup>88</sup> და ამირახორის ციხეები დაგვებდნენ. ახწყალა ბრძოლით იქნა ალებული, შემდეგ ჩამოთვლის სხვა ციხეებსაც. ოსმალებს 20-ზე მეტი ქართული ციხე აუღიათ.“<sup>89</sup> ფეჩევის თქმით, ოსმალებმა მხოლოდ 15 ციხე დატოვეს და „დანარჩენები მიწასთან იქნა გასწორებული“. მთელ ამ ღონისძიებებს ოსმალებმა ორი თვე მოანდომეს. ამის შემდეგ თორთუმი, თალხისი, ახწყალა და დივანის ხევი ერთ სანჯაყად გამოაცხადეს, სავარაუდოდ,

<sup>84</sup> იხ. ზ. შაშიკაძე. ქართულ-ოსმალური ურთიერთობებიდან XVI საუკუნის 30-60-იან წლებში. კრებ.: „ნოდარ შენგელია – 75“ (ისტორიის მეცნიერებათა დოქტორ, პროფესორ ნოდარ შენგელიას დაბადების 75 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული). თბ. 2008, გვ. 260.

<sup>85</sup> აჰმედ ფაშა, მეტსახელად ყარა, ოსმალეთის მეორე ვეზირი, ეროვნებით არანუდი (ე.ი. ბალკანეთის ალბანელი) იყო. აღიზარდა სულთნის კარზე, სადაც კაფუჯი ფაშას თანამდებობაც მიუღია. შემდეგ იანიჩარების ალა გახდა, 1529-1530 წლებში სამსახურიდან გათავისუფლდა, შემდეგ რუმელიის ბეგლარბეგი იყო, სულთნის ასულის შერთვის შემდეგ მეორე ვეზირის პატივში იქნა აყვანილი, სწორედ ამ დროს ილაშქრა საქართველოს სამხრეთ დასავლეთ მხარეებში. 1552-1553 წლებში აჰმედ ფაშა დიდ ვეზირადაც დანიშნეს, თუმცა რამდენიმე წელიწადში მოკლეს (იხ. იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 102).

<sup>86</sup> იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 27; იხ. ზ. შაშიკაძე. ქართულ-ოსმალური ურთიერთობებიდან XVI საუკუნის 30-60-იან წლებში, გვ. 260.

<sup>87</sup> ჰასან რუმელუს ცნობები საქართველოს შესახებ. სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლით გამოსცა ვლადიმერ ფუთურიძემ. შენიშვნები დაურთო რევაზ კიკნაძემ. თბ. 1966, გვ. 26.

<sup>88</sup> იბრაჰიმ ფეჩევის „ისტორიის“ დაბეჭდილ ტექსტში ამ ადგილას წერია ნიჯაჰ. ტექსტის მთარგმნელი პროფ. სერგი ჯიქია აღნიშნავს, რომ „ნიჯაჰ და ნაჯაჰ და მისთანათა სახელით სამხრეთ საქართველოში შესაბამის ტერიტორიაზე გეოგრაფიული პუნქტი არ არის... სამაგიეროდ თორთუმის აღმოსავლეთით... სპეციალურ რუკებზე აღნიშნულია ნიხახი. ამდენად, პროფ. სერგი ჯიქიას აზრით, იბრაჰიმ ფეჩევის მიერ ნახსენები „ნიჯაჰი კორექტურული შეცდომაა, ან ტექსტის გადამწერის უყურადღებობით აღრევაა დიაკრიტიკული წერტილებისა“ (იხ. იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 103). სერგი ჯიქია რუსულ რუკებზე დაყრდნობით, ნიხახის ციხის ლოკალიზებას შეცდომით, მდინარე თორთუმისწყალზე, „თორთომსა და ოლთისს შუა“ ახდენს (იხ. იქვე).

<sup>89</sup> იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 27-28.

მასში იყო გაერთიანებული ნიხაზიც. ახალი სანჯაყი ერთ-ერთ ბეგისთვის უბოძებიათ და იმავე წლის 24 ოქტომბერს გამარჯვებული ოსმალო ჯარი უკან დაბრუნებულა.<sup>90</sup> ტაოს ციხეების დაპყრობის შესახებ იმავე ცნობებს იმეორებს XVII საუკუნის ავტორი, ევლია ჩელები, ის წერს: აჰმედ ფაშამ შვიდი დღისა და შვიდი საათის ბრძოლის შემდეგ თორთომის ციხე აიღო, სადაც „სურსათი და მარაგი დატოვა. თავისი ჯარით ნიეჯახის ციხისაკენ წავიდა და იქედან – ამირახორის ციხისკენ. როგორც ევლია ჩელები წერს, ციხეები დანებდნენ; აჰმედ ფაშამ შიგ საკმარისი რაოდენობის ჯარები ჩააყენა. აქედან ახნაყალეს მივიდა...“.<sup>91</sup> წყაროში ნიხაზი შეცდომით ნიეჯახის ფორმით არის მოხსენიებული.

აღნიშნული ფაქტის შესახებ, ასევე, ცნობებს გვაწვდის ირანელი ავტორი ჰასან რუმლუ.<sup>92</sup> 1549 წელს „ოსმალეთის ხელმწიფემ სულთან სულეიმანმა აჰმედ ფაშამ, რომელიც მეორე ვეზირი იყო, ორმოცი ათასი ცხენოსანი და ქვეითი ჯარით საქართველოში გაგზავნა. მათ აიღეს დად ელი,<sup>93</sup> რომელიც ყვარყვარეს ეკუთვნოდა და თავის ქვეყანაში წავიდნენ“.<sup>94</sup> დად ელის ზუსტი ლოკალიზება თითქოს გაუგებარი იყო და მეცნიერთა შორისაც აზრთა სხვადასხვაობა არსებობდა (სერგი ჯიქია, ვიტალი ჩოჩივი, კარლო ტაბატაძე, რევაზ კიკნაძე და სხვ.), მაგრამ პროფ. ცისანა აბულაძემ, ერთმანეთს შეუჯერა ყველა აღმოსავლური, როგორც ოსმალური, ისე სპარსული საისტორიო წყაროები და დაასკვნა, რომ წყაროებში (ჰასან რუმლუ, იბრაჰიმ ფეჩევი, ისქანდერ მუნში და სხვ.) ხშირად მოხსენიებული დად-ელი ტაოს შეესაბამება, როგორც ტოპონიმის მდებარეობის, ისე მასთან დაკავშირებული ისტორიული რეალიების გათვალისწინებით.<sup>95</sup> ზემოთ აღწერილი ბრძოლის

<sup>90</sup> იხ. იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 28; იხ. აგრეთვე, A. Akgunduz, S. Ozturk. Ottoman History: Misperceptions and Truths. Rotterdam. 2011, გვ. 185.

<sup>91</sup> იხ. ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“. თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გიორგი ფუთურიძემ. ნაკვ. I. ქართული თარგმანი. თბ. 1971, გვ. 322.

<sup>92</sup> ჰასან რუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ, 1966.

<sup>93</sup> ჰასან რუმლუს ცნობების გამოცემაზე დართული შენიშვნების ავტორმა, პროფ. რევაზ კიკნაძემ, ვარაუდი გამოთქვა, რომ „დად ელი“, შესაძლოა, „დადიანის ქვეყანას“ აღნიშნავდეს („დად ელი – დადიანის ქვეყანა?“), თუმცა იქვე აღნიშნავს, რომ ტოპონიმში იგულისხმება დასავლეთ და სამხრეთ-საქართველო (იხ. ჰასან რუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 53. შენ. 39).

<sup>94</sup> ჰასან რუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 26.

<sup>95</sup> თურქული წყაროები XVI საუკუნის I მეოთხედის სამცხე-საათაბაგოს ისტორიისათვის. თურქული ლოკუმენტები ქართული თარგმანით, გამოკვლევიითა და შენიშვნებით გამოსცა ცისანა აბულაძემ. თბ. 1983, გვ. 34-40 (იქვე იხ. ლიტერატურა მანამდე გამოთქმული განსხვავებუ-

შესახებ ორ ცნობაში მოხსენიებული ადგილები (იბრაჰიმ ფეჩევის მიერ ჩამოთვლილი ციხეები და ჰასან რუმლუს „დად ელი“) ერთი და იმავე ტერიტორიას აღნიშნავს.

როგორც ჩანს, ამ გამარჯვებას სულთანმა იმხელა მნიშვნელობა მიანიჭა, რომ ევროპაში საფრანგეთის მეფესთან წერილი გააგზავნა. წერილში სულეიმანი თორთომის, ნიხახისა და აღჯაყალას<sup>96</sup> ციხეების აღების გამო თავს იწონებდა.

სულთან სულეიმანი I-ის წერილი გაგზავნილია საფრანგეთის მეფე ანრი II ვალუასადმი (1547-1559 წწ.). მისი ტექსტი თითქმის იბრაჰიმ ფეჩევის ცნობას მიჰყვება. წერილი ოსმალეთის აგრესიული პოლიტიკის დასტურია. მასში კარგად ჩანს, რომ ოსმალებს, გარდა ფიზიკური წინააღმდეგობისა, საქართველოს ტერიტორიაზე ციხესიმაგრეების მძლავრ სისტემასთანაც უწევდათ ბრძოლა. წერილში საუბარია, რომ ქართველების ციხეების ასაღებად ოსმალებმა „არზრუმის ციხის კედლებზე დადგმული სააღყო ზარბაზნები მოხსნეს... ზარბაზნები დღე და ღამე ციხის საფუძვლებს უშენდნენ, ვიდრე მისი დამსკდარ-დაფანტული კედლები მიწასთან არ გაასწორეს“. ციხეების აღების შემდეგ სულეიმანმა ციხეების ერთი ნაწილი დაანგრია, რათა მასში მომავალში კვლავ არ გამაგრებულიყვნენ ქართველები. მეორე ნაწილში კი ჯარი ჩააყენა და სათანადო ჯამაგირი დაუნიშნა.<sup>97</sup>

სულთანის სულეიმანი წერილში წერს, „საქართველოს მხარეში ურჯულოების მიერ მოყენებული ზარალისა და უბედურების გამო მათზე შურისსაძიებლად და ამ მხარეების სავსებით ისლამის ქვეყნებთან შეერთებისა და სუნიტების ფადიშაჰისადმი დამორჩილების მიზნით... აჰმედ ფაშა, მასთან ერთად ყარამანის, ზულყადარის და არზრუმის ბეგლარბეგები მთელი ძლევა-მოსული ლაშქრით საქართველოში შევიდნენ. ვინაიდან დიდმნიშვნელოვან ციხეებს შორის სახელგანთქმული, ცადაზიდული, თორთუმის ციხე აღებულ იქნა და მის კოშკებზე გამარჯვებული დროშები აღიმართა. ამ მხარეში სანჯაყბეგი, ციხისთავები და მცველები დაინიშნენ. თორთუმის დაპყრობის შემდეგ

ლი მოსაზრებების შესახებ); ასევე, ც. აბულაძე. ტოპონიმი ტაო სპარსულ და ოსმალურ წყაროებში. ახლოაღმოსავლური კრებული. თბ. 1983. გვ. 124-125; ც. აბულაძე. ტაო ოსმალურ წერილობით წყაროებში. II საერთაშორისო კონფერენცია ტაო-კლარჯეთი. მოხსენებათა თეზისები. ბათუმი. 2012, გვ. 25.

<sup>96</sup> აზორდის ციხე.

<sup>97</sup> იხ. ვ. ჩოჩიევი. ოსმალეთის 1548-1549 წლების ლაშქრობა სამცხე-საათაბაგოსა და ირანის წინააღმდეგ საერთაშორისო ურთიერთობათა შუქზე. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. ტ. 180. აღმოსავლეთმცოდნეობა. თბ. 1976, გვ. 152.

აღებულ იქნა მის მახლობლად მდებარე ნიხახის ციხე და დაიქვემდებარა... აღებულ იქნა წყელ დაზარალებულების ხელში მყოფი ახნაყალას განთქმული ციხეც... დამარცხებულ მტრებს სულ ოცდათხუთმეტი ციხე წავართვი, მათგან თოთხმეტი მიწასთან იქნა გასწორებული, დანარჩენ ოცდაერთ ციხეში გამარჯვებული ლაშქრის მეთაურები ჩააყენეს. ოთხი სანჯაყი ერთ საბეგლარბეგოდ აქციეს და ჩემი უდიდებულესობისთვის დაიპყრეს“.<sup>98</sup>

ქართული წყაროები ამ მოვლენების შესახებ მხოლოდ ცნობას გვაწვდიან. ტაოს, მათ შორის, რა თქმა უნდა, ნიხახის ციხის დაპყრობას ყველა მათგანი, ქორონიკონით სლვ (258), ანუ 1550 წლით<sup>99</sup> ათარიღებს. ქართული ქრონიკების მიხედვით, რომლებიც შედარებით მოგვიანებით, XVI-XVII საუკუნეებშია შესრულებული, ვკითხულობთ, რომ 1550 წელს „ტაოს ქვეყანა დაიჭირეს ურუმთა“.<sup>100</sup>

რთული გასარკვევია, ქართული წყაროები 1549 წლის ცნობილი ლაშქრობის შესახებ წერენ თუ ოსმალო ფაშების ლაშქრობებზეა საუბარი, რომელიც, მართლაც, 1550 წელს განხორციელდა. 1550 წელს, ერთი მხრივ, არზრუმის ბეგლარბეგმა მუსტაფა ფაშამ (1549-1550 წწ.) მაძირვანის მხარე და ტაოსკარი, ოთხი ციხით, დაიპყრო, ხოლო, მეორე მხრივ, ტრაპიზონის სანჯაყბეგმა გაილაშქრა გონიოსა და მაჭახელზე.<sup>101</sup> სავარაუდოდ, თუნდაც დანაკარგის მნიშვნელობის და მოცულობის გამო ქართულ ქრონიკებში დასახელებული ფაქტი სწორედ 1549 წელს ოსმალების მიერ განხორციელებულ ლაშქრობებს უნდა გულისხმობდეს.

ოსმალური წყაროებსა და ლიტერატურაზე დაყრდნობით ლერი თავაძე აღნიშნავს, რომ მას შემდეგ, რაც 1549 წლის 7 ოქტომბერს ოსმალებმა ნიხახი აიღეს, მასთან ერთად დაპყრობილ პეტერეკის, კისკიმისა და სხვა ციხეების ტერიტორიებზე ოსმალური ადმინისტრაცია შეიქმნა და პეტერეკის სანჯაყში გაერ-

<sup>98</sup> ვ. ჩოჩიევი. ოსმალების 1548-1549 წლების ლაშქრობა სამცხე-საათაბაგოსა და ირანის წინააღმდეგ საერთაშორისო ურთიერთობათა შუქზე, გვ. 152.

<sup>99</sup> 238+1312=1550.

<sup>100</sup> H-342 ჟამგულანის (1661 წ.) მინაწერებში, „ტაოს ქვეყანა დაიჭირეს ურუმთა“; S-4615, ჟამნი (XVII ს.) „[ტაოს ქვეყანა დაიჭირეს [ურუმთა]; H-3004, კინკლოსები (XVI-XVII სს.) „აქა ტაოს ქვეყანა დაიჭირეს ურუმთა“; H-1432, ყანაეთის ჟამგულანი (1674 წ.) „აქა ტაოს ქვეყანა დაიჭირეს ურუმთა“ (მცირე ქრონიკები (კინკლოსების ისტორიული მინაწერები). ტექსტები გამოსცა, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთო ჯუმბერ ოდიშელმა. თბ. 1968, გვ. 30, 33, 38, 39) შდრ. „ტაოს ქვეყანა დაიჭირეს ურუმთა“ (სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVI). ტექსტების პუბლიკაცია, გამოკვლევები და საძიებლები ქრ. შარაშიძისა. თბ. 1961, გვ. 150).

<sup>101</sup> არზრუმის ფაშასა და ტრაპიზონის სანჯაყბეგის ლაშქრობების შესახებ იხ. ზ. შაშიკაძე. ქართულ-ოსმალური ურთიერთობებიდან XVI საუკუნის 30-60-იან წლებში, გვ. 260.

თიანდა.<sup>102</sup> რაზეც საუბრობს კიდევ იბრაჰიმ ფეჩევი.<sup>103</sup> პეტერევი ოსმალურ წყაროებში მოიხსენიება როგორც ფერთეგრევი. მას აღვილობრივი, ოსმალეთის სამსახურში ჩამდგარი გამუსლიმებული ქართველები მართავდნენ.<sup>104</sup> 1549-1550 წლების ბრძოლების შედეგად ოსმალებმა სამცხეში ოთხი სასანჯაყო ტერიტორია დაიპყრეს. აიღეს ბევრი ციხესიმაგრე და უამრავი ტყვე და ნადავლი იგდეს ხელთ. პროფ. ფაჭრეთინ ქირზიოლლუ ოსმალების მიერ დაპყრობილ 39 ციხესიმაგრეს ჩამოთვლის.<sup>105</sup>

სულეიმან I-ის შემდეგ ოსმალეთის სულთანი მისი ძე სელიმ II (1566-1574 წწ.) გახდა. სელიმის დროს ოსმალების მიერ დაკავებული ტერიტორიები გურჯისტანის ვილაიეთში გაერთიანდა, დაწესდა ოსმალური გადასახადები. ნიხაჩის შესახებ ცნობები სულთან სელიმის ხელმოწერილ 1574 წელს აღწერაშია მოცემული, რომელიც იმ დროისთვის უკვე გურჯისტანის ვილაიეთის პეტერევის (ფერთეგრევის) ნაპიეში (რაიონი) იყო გაერთიანებული. 1574 წლის დავთრის ნოდარ შენგელიას თარგმანში ვკითხულობთ:

*„სოფელი ნიხაჩი<sup>106</sup> ექვემდებარება ფერთეგრეკს<sup>107</sup>“*

*ბაჰანურ ძე გიორგისა*

*ზულფიკარ ძმა მისი*

*გრიგოლ ძე ზულფიკარისა*

*არნო ძე სანუდისა*

*სიმონ ძე გიორგისა*

*ოქროპირ ძმა მისი*

*ბუბანი ძმა მისი, მუსლიმია*

*სარქის ძე ბუდაკისა*

*ბავნით ძმა მისი, მუსლიმია*

*ჯარუბ ძე მამირგელისა*

*თეოდორ ძე გირქორისა*

*ნიკოლოზ ძმა მისი*

*სიმონ ძმა მისი, მუსლიმია*

*ბასილ ძე ბილათისა*

<sup>102</sup> იხ. ლ. თავაძე. პეტერევის ციხე. საისტორიო კრებული. VI, გვ. 60-61.

<sup>103</sup> იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 28.

<sup>104</sup> იხ. ლ. თავაძე. პეტერევის ციხე, გვ. 60-61.

<sup>105</sup> იხ. ზ. შაშიკაძე. ქართულ-ოსმალური ურთიერთობებიდან XVI საუკუნის 30-60-იან წლებში, გვ. 260.

<sup>106</sup> ტექსტში წერია როგორც „ნიხაკა“ (გვ. 111) და „ნიჰაკა“ (გვ. 14), ან ხელნაწერში შეცდომა, ან ამოკითხვისას, რადგან ნიხაჩის მსგავსი სახელის ტოპონიმი სხვაგან არ ჩანს. ამასთან, წყაროებით არც ნიხაკა//ნიჰაკა დასტურდება სხვაგან. უნდა ითქვას, რომ ნიხაჩი გურჯისტანის ვილაიეთის ფერთეგრევის, იგივე პეტერევის, ნაპიეს შემადგენლობაში იყო. ტექსტის მთარგმნელი პროფ. ნოდარ შენგელია აღნიშნავს, რომ „ძნელია ამოკითხვა იმ სოფლების სახელებისა, რომლებიც აქაა მოცემული, ასევე ძნელია ამოკითხვა იმ პირთა საკუთარი სახელებისა, რომლებიც ჩამოთვლილია ამა თუ იმ სოფლის კომლთა დასახელებაში (იხ. 1574 წლის გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, გვ. 13).

<sup>107</sup> პეტერევი.

მახარობელ ძე სიმონისა  
 მიქელ ძე გურგენისა  
 ავლეთ ძე მისი  
 ოსიპ ძმა მისი  
 ჯარიზ ძმა მისი  
 თავნილ ძმა მისი, მუსლიმია  
 გურგენ ძმა მისი, მუსლიმია  
 ქეშიშ ძე მისრისა  
 ავლაღეთ ძე მისი  
 სიმონ ფირული  
 ოსიპ ფირული, მუსლიმია  
 გუსაკ ძე მამისასი  
 ანუქ ძე მისი, მუსლიმია  
 ზაქარა ძე გუსაკისა  
 ოსიპ ძე სარქისისა  
 იასონ ძმა მისი  
 თეოდორ ძე ურბიანისა  
 არნო ძმა მისი, მუსლიმია  
 სიმონ ძე ბუჯანისა  
 ბასილ ძმა მისი, მუსლიმია  
 გიუნ ძე სიმონისა  
 გუსულ ძე გრიგოლისა  
 თეოდორ ძმა მისი, მუსლიმია  
 კარაპეტ ძე მირზანისა  
 გელაზიზ ძე ავრანუხისა  
 ვარაზის ძმა კარაპეტისა

ჯებისა ძმა მისი  
 სულთან ძე ბასილისა  
 ბასან ძე ვახთანისა, მუსლიმია  
 ალია ძე ავგარასი  
 სიმონ ძმა მისი  
 ნუსრულეთ ძე ავგარისა  
 ავან ძმა მისი  
 გრიგოლ ძმა მისი, მუსლიმია  
 გაბრიელ ძე ჯაბასი  
 ფირანდ ძმა ჯაბასი  
 ოსბარზ ძე მამირგელისა  
 მაქსიმე ძმა მისი  
 ოსიპ ძე მორგულისა  
 ბალიძ ძმა მისი  
 ავან ძე სალჰათისა  
 ამირ ხან ძმა მისი  
 სადბარლეთ ძე ჩომანისა  
 ალი ალმაზ ძე მისი  
 ანბასურ ძე მისი  
 აზიზ ძე ქარქასუსი  
 ოსიპ ძმა მისი  
 არბელ ძე მისი  
 დიმიტრი ძე მისი  
 აზიზ ძე მანველისა  
 ოსიპ ძე მისი, მუსლიმია

სახლი 50

მუჯერედი<sup>108</sup> 15

ჯამი 15600<sup>109</sup>

<sup>108</sup> დასაქორწინებელი სრულწლოვანი მამაკაცი.

<sup>109</sup> 1574 წლის გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, გვ. 111.



ნიხანში 1574 წლის აღწერისთვის 50 სახლი, ანუ ოჯახი და 15 დასაქორწინებელი სრულწლოვანი მამაკაცი ცხოვრობდა. იმ დროისთვის 13 მათგანი (65-დან) უკვე მუსლიმი იყო. რაც შეეხება გადასახადებს, ნიხახის მოსახლეობა, ძირითადად იმავე გადასახადებს იხდიდა, რასაც ფერთეგრეჩის ნაპიეს სხვა სოფლები. იქვე მოცემულია გადასახადების ზუსტი დასახელება და რაოდენობაც:

*ისფენჯი*<sup>110</sup> 65 კაცი, 1325 ახჩა

*ხორბალი* 400 ქილა, 2800 ახჩა

*ქერი* 400 ქილა, 2000 ახჩა

*ჭვავი* 40 ქილა. 200 ახჩა

*შირა* 1600 მუღი,<sup>111</sup> 6400 ახჩა

*ზეთი* 10 მუღი, 400 ახჩა

*გადასახადი ბოსტანსა და ხილზე*, 250 ახჩა<sup>112</sup>

*გადასახადი იონჯასა და თივაზე*, 150 ახჩა

*გადასახადი თაფუსა*<sup>113</sup> და *ღემთიბანზე*,<sup>114</sup> 350 ახჩა

<sup>110</sup> ისფენჯი ქრისტიანობის გადასახადს წარმოადგენდა, რომელიც თითოეულ სრულწლოვან მამაკაცზე 25 ახჩა იყო. მისი აკრეფა მარტში ხდებოდა. „ვინაიდან გურჯისტანის ვილაიეთი ქვიანი ადგილია და მიწა (აქ) მცირეა... ამიტომ თითოეულ კაცზე... დაწესებულ იქნა გამოსაღები ისფენჯი ოცდახუთ-ოცდახუთი ახჩა“ (იხ. 1574 წლის გურჯისტანის კანუნ-ნამე. 1574 წლის გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, გვ. 62); ისფენჯის ჯამი 1325 ახჩა, 53 ქრისტიანისგან უნდა შეგროვებულიყო, დავთარში ჩამოთვლილთაგან ქრისტიანი 52 გამოდის (13 მუსლიმი), შესაძლოა, რომელიმე მათგანს „მუსლიმი“ შეცდომით აქვს მიწერილი (იხ. 1574 წლის გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, გვ. 111). იხ., ასევე, ნ. შენგელია. ოსმალური გადასახადები და ვალდებულებები „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვით. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. ტ. 91. აღმოსავლეთმცოდნეობის სერია. თბ. 1960, გვ. 277-281.

<sup>111</sup> მუღის ზომა 20 სტამბოლური ქილაა (იხ. 1574 წლის გურჯისტანის კანუნ-ნამე, 1574 წლის გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, გვ. 67), რომელიც მარცვლეულის მიხედვით იცვლებოდა და 18-20 ოფას უდრიდა, რაც საშუალოდ 25 კგ-ს შეესაბამება (იხ. 1574 წლის გურჯისტანის კანუნ-ნამე, 1574 წლის გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, გვ. 66, შენიშვნა №66).

<sup>112</sup> 1574 წლის გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, გვ. 111.

<sup>113</sup> თაფუ, ოსმალეთში მიწათსარგებლობისა და მიწათმფლობელობის ერთ-ერთი პირობათაგანი იყო. თაფუ გაიღებოდა მაშინ, როცა მიწის ნაკვეთი ერთი მფლობელიდან სხვადასხვა მიზეზის გამო მეორის ხელში გადადიოდა (იხ. 1574 წლის გურჯისტანის კანუნ-ნამე, 1574 წლის გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, გვ. 62). იხ. ნ. შენგელია. ოსმალური გადასახადები და ვალდებულებები „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვით, გვ. 285-286.

<sup>114</sup> ღემთიბანის გადასახადი იშვიათად არის მოხსენიებული ოსმალურ კანუნ-ნამეებში. მისი შინაარსი ბოლომდე გარკვეული არ არის. ნოდარ შენგელიას აზრით, ღემთიბანი „ველზე დაწესებული გადასახადი უნდა იყოს“. იხ. ნ. შენგელია. ოსმალური გადასახადები და ვალდებულებები „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვით, გვ. 287.

გადასახადი სკაზე,<sup>115</sup> 150 ახნა

გადასახადი ღორზე,<sup>116</sup> 100 ახნა

წისქვილი 14 თვალი ნახევარი წლით, 420 ახნა

ბადიჰავა<sup>117</sup> და არუსანე,<sup>118</sup> 115 ახნა<sup>119</sup>

ამის გარდა, გადასახადები იყო შეწერილი ვენახებზე, რომლებიც სხვადასხვა პირთა მფლობელობაში იყო. ვენახების ნაწილი კისკიმისა და ისპირის ციხის მფლობელთა გამგებლობაშიც ყოფილა.<sup>120</sup>

ნიხაზი XVI საუკუნიდან ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში იყო მოქცეული. ციხე და მისი დასახლება ფერთეგრექის, იმავე პეტერეკის ნაპიეში შედიოდა. ოსმალეთის შემადგენლობაში ნიხაზმა მალე დაკარგა ადრინდელი სამხედრო ფუნქცია და მნიშვნელობა. ამის შემდეგ იქ დაბალი რანგის მოხელეები და მცირე გარნიზონი იდგა.

<sup>115</sup> „ითო სკის თაფლზე, უშურის ნაცვლად აიღება ორ-ორი ახნა“, 1574 წლის აღწერის დროისთვის ნიხაზში 75 სკა ყოფილა. აღწერის შემდგომ გამრავლებულ ფუტკარზე, ცხვრებზე, ვენახსა და ბაღზე გადასახადი, იმავე ოდენობით, როგორც განსაზღვრული იყო ერთეულის ფასი, მთლიანად თიმარის მფლობელს ეკუთვნოდა (იხ. 1574 წლის გურჯისტანის კანუნ-ნამე, 1574 წლის გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, გვ. 65).

<sup>116</sup> ოსმალეთის მიერ დაპყრობილი ზოგიერთ პროვინციებში ღორზე გადასახადი კანონით რეგულირდებოდა. თუმცა სხვადასხვა იყო რაოდენობა. ზოგან, ორ ცხვარზე და ორ ღორზე, თითო ახნა იყო დეწესებული, ზოგან მეტი (იხ. ნ. შენგელია. ოსმალური გადასახადები და ვალდებულებები „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვით, გვ. 297).


<sup>117</sup> ბადიჰავა იყო ჰაერზე დაწესებული გადასახადი. მასში მრავალი სახის გადასახადი იყო გაერთიანებული (იხ. ჩილდირის ვილაიეთის მოკლე /იჯმალ/ დავთარი. თურქული ტექსტი, ქართული თარგმანით, შესავლით, შენიშვნებითა და ფაქსიმილეებით გამოსაცემად მოამზადეს მირიან მახარაძემ და ნოდარ შენგელიამ. თბ. 2008, გვ. 149. ავტორები ტერმინის განმარტებისას თურქ ავტორს აჰმედ აქგუნდუზს უთითებენ. იხ. A. Akgündüz. Osmanlı Kanunnâmeleri ve Hukukî Tahlilleri. Osmanlı Hukukuna Giriş ve Fatih Devri. Kitap. I. İstanbul. 1990, გვ. 181-183).

<sup>118</sup> არუსანე, ანუ რესმი არუსინე – საქორწინო გადასახადს წარმოადგენდა. გადასახადს პირველი ღამის უფლების გამოსყიდვის სახით ის პირი იხდიდა, ვინც ქორწინდებოდა. ოსმალური კანონმდებლობით, საქორწინო გამოსაღებს სხვადასხვა ოდენობით იხდიდა ქრისტიანი და მუსლიმი, ქვრივი და ქალწული (იხ. ჩილდირის ვილაიეთის მოკლე /იჯმალ/ დავთარი, გვ. 145; ასევე, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი. თურქული ტექსტი გამოსცა, თარგმანი, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო სერგი ჯიქიაშ. წ. II. თარგმანი. თბ., 1941, გვ. 3; იხ. ნ. შენგელია. ოსმალური გადასახადები და ვალდებულებები „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვით, გვ. 291-293).

<sup>119</sup> 1574 წლის გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, გვ. 111-112.

<sup>120</sup> 1574 წლის გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, გვ. 112.

სურათები:



სურ. 1. რუკა. საქართველოს ისტორიული რუკა. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის გამოცემა, შედგენილი შსსკ ტოპოგრაფ ევ. ბარამიდის მიერ პროფ. ივ. ჯავახიშვილის რელაქტორობით. თბ. 1923



სურ. 2. რუკა. Google Earth




სურ. 3. ნიხაზი. საერთო ხედი. სამხრეთის გალავანი, კარიბჭე და კოშკი




სურ. 4. ხედი ნიხაზის ციხიდან ჭოროხის ხეობაზე, ისპირისკენ



სურ. 5. ნიხაზი. საერთო ხედი. ჩრდილოეთის მხარე



სურ. 6. ნისახის ციხის გეგმა. ავტორი გიორგი ბაგრატიონი



სურ. 7. ნისახის ციხის ჭრილი. ავტორი გიორგი ბაგრატიონი



სურ. 8. ნიხაზის ციხე. კარბიჭე



სურ. 9. ციხის ქვედა ნაწილი



სურ. 10. გოდოლი. ხელი ჩრდილო აღმოსავლეთიდან





სურ. 11. გოღოლი. აღმოსავლეთიდან



სურ. 12. გოღოლი. ჩრდილოეთიდან



სურ. 13. გოღოლი. შიგნიდან,  
კარის ღიობი



სურ. 14. კერამიკის ნიმუში

*Alexander Boshishvili*

Assistant Professor,  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

## **NIKHAKHI FORTRESS**

### Summary

Nikhakhi fortress is situated in Yusufel district of Artvin province (the Republic of Turkey) in 40 km from town Yusufeli, on the road that goes in direction of Speri. The contemporary Turkish name of the village is Yokuşlu while the old name is Nikhakh (Nihah). The old name of the village is still preserved in minds of local population.

The fortress is erected near the road on the banks of the Çoruh river. Nikhakhi fortress is constructed on the high hill which is 900 m above the sea level.

It is interesting that Nikhakhi fortress similar to other fortresses is constructed on very unassailable place. It is situated on a hill in mountainous area and in front of this fortress a lots of large estates are placed. Among the other obligations of the owner of the fortress was the protection of roads and estates which are in that gorge.

In the Georgian defense system fortresses erected for the defense of the roads leading to Tao (south-western province of historical Georgia, now part of the Republic of Turkey) are very important. Those roads needed special defense and care as the roads and the households that were situated in this vicinity must have been protected.

Except for the roads coming from outside the Georgian borders there were fortresses built for the protection of the roads connecting the different Georgian provinces with each other. Nikhakhi fortress is especially interesting as it lies on the road that comes from Speri (historical province in the south of Tao, now Ispir in the Republic of Turkey). Speri province, mount of Speri and the road that comes from this region was the border of historical Georgia. Hence, the Georgian kings were very concerned for the protection and strengthening of those roads.

The Çoruh River valley as well as the whole Tao was inhabited by the Georgian tribes at the beginning. From 12<sup>th</sup> to 8<sup>th</sup> centuries BC it was part of Diaokhi. Later, from 4<sup>th</sup>-3<sup>rd</sup> centuries BC this land was the part of Kingdom of Iberia and was annexed by the Armenians in the beginning of 2<sup>nd</sup> century BC. Since that period the part of Tao where Nihahi is located was under the Georgian or the Byzantine control as well. At last, in the second half of the 8<sup>th</sup> century the Georgian Bagrationi managed the recapture those lands. Later, during existence of the United Georgian Kingdom this land was properly defended. In 1231-1232 sultan of Rum Kayqubad I (1220-1237) campaigned against Nihakhi fortress. Seljuks managed to capture the fortress, but the Georgian regained it soon.

After the division of the United Georgian Kingdom Tao became a part of Samtskhe-Saatabago. The independence of this principality was soon challenged by the Ottomans. According to the Turkish sources this process was opposed by the local feudal lords.

According to the historical sources (İbrahim Peçevi, Hasan Beg Rumlu etc.) Nihakhi fortress was conquered by sultan Suleiman I (1520-1566) in 1549. Sultan had valued this victory very much. He sent the letters in Europe for the commemoration of this victory which he won against the Georgians. In the letter that was sent to the French king Henry II Valois (1547-1559) sultan had praised himself for the capture of Tortom, Nihakh and Akçakale (Azordi) fortresses.

During the next sultan Selim II (1566-1574) the Ottomans made the first census in the newly conquered lands. Nihakhi was listed in “Gürcistan Vilâyeti Defteri of 1574”. According to the administrative division Nihakhi fortress and its settlement was assigned to Pertekrek nahie (district). According to that census 50 families lived in the village. Nihakhi population paid the same taxes as other villages of Gürcistan Vilâyet. Defteri (Census Book) includes taxes on ispençe (tax levied from non-Muslims), badihava (tax for Air), resm-i arusane (bride-tax), tapu resmi (was a feudal land-registration tax), taxes on fruits and vegetables Hay tax, Resm-i hınzır (pig tax), beehive tax etc.

Nihakhi fortress as we have already mentioned is situated near the road on the high hill. Despite this fact it should have been well fortified. At the west of the fortress there is tower about 10 meters height. It is a construction that has several floors which are later addition and the product of reconstruction of this building. The tower has embrasures as well. The tower is also constructed with

the use of fragmented stones and limestone. Entry gate was above the ground level, but now it lies on the ground.

The whole territory of Nikhaxhi fortress was dug up by the treasure seekers. The courtyard of the fortress is overclouded with remnants of limestone and ceramics.

*აკაკი ჩიქობავა*  
ლოქტორანტი, თსუ

### აზორდი/ალჯაყალა/უზუნდერე\*

#### ძეგლის მდებარეობა

ციხესიმაგრე მდინარე ოლთისის მარჯვენა ნაპირზე კლდეზეა აგებული. აზორდის ციხე მდებარეობს ერზერუმის პროვინციაში, უზუნდერეს რაიონში. ადგილობრივები ციხეს უნგუზექ ქალეს (თურქ. ÜNGÜZEK KALESİ) უწოდებენ. ციხესთან მისასვლელ გზაზე მდებარე ტრაფარეტზეც სწორედ ამდაგვარი წარწერაა გაკეთებული. ქართველი მეცნიერები, რომლებიც ბოლო პერიოდში იკვლევენ ტაო-კლარჯეთის კულტურულ მემკვიდრეობას, მას თორთუმის ქვედა ციხედ მოიხსენიებენ.

ციხე მდებარეობს ისტორიული ტაოს ტერიტორიაზე, ზღვის დონიდან 1180 მ-ზე, მისი კოორდინატებია: N – 40°30'37.68" E – 41°31'34.52".

#### ტოპომიმია

ალჯაყალა თუქიზებული ფორმაა და ქართულად თეთრციხეს ნიშნავს. 1929 წლის თურქეთის ადმინისტრაციული დაყოფის შემდეგ სოფელს, სადაც ციხე მდებარეობს, დიქიარ (თურქ. Dikyar) ეწოდა. გარემო მთლიანად კლდოვანია, ამიტომაც ხშირად მას გზამკვლევებზე და ტურისტულ რუკებზე მოიხსენიებენ როგორც დიქიარ ქაფი (თურქ. Dikyar Kapi), რაც ქართულად პირდაპირ ითარგმნება, როგორც – ბევრი სწორი კლდოვანი კარი. ციხის მეორე სახელწოდება უზუნდერე მომდინარეობს მისი მდებარეობიდან. ის განთავსებულია უზუნდერეს რაიონში, რაც ქართულად გრძელ ხეობას ნიშნავს.

---

\* მასალა მომზადებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის „ტაო-კლარჯეთის ქართული ციხესიმაგრეების“ ფარგლებში.

### ციხის გარემო

ციხე მდებარეობს გზის პირას შემალლებულ კლდოვან გორაკზე. ციხეს გარშემო საკმაოდ სქელი კედელი აქვს შემოვლებული. გზისპირიდან მას წვრილად ამაგალი გვირაბის მაგვარი კონსტრუქცია მიუყვება. ის, სავარაუდოდ, ციხის საუღუმლო შესასვლელი უნდა ყოფილიყო. შიდა პერიმეტრზე შეინიშნება მეციხოვნეებისთვის განკუთვნილი გალავნისპირა ე.წ. ბილიკი, რომელიც თითქმის მთელს ციხეს გასდევს.

ციხის სიგრძე – 84 მ. ციხის სიგანე – 51 მ. ფართობი – 3800 კვმ. შემორჩენილი კედლის სიმაღლე – 15 მ. შემორჩენილი კედლის სისქე – 0.9 მ. კარის ზომა – 1.2X2 მ.

### ციხის ეკლესია<sup>1</sup>

ციხის გალავნის ჩრდილოეთ მხარეს მცირე ეკლესიაა მიშენებული. ესაა მარტივი დარბაზული ნაგებობა, რომლის გეგმა კვადრატს უახლოვდება. განიერ დარბაზს, რომლის სიგანე სიგრძეს აღემატება, ებმის ღრმა, ოდნავ ნალისებრი მოყვანილობის აფსიდი. აფსიდის შვერილები მარტივი ფორმისაა, თუმცა საკმაოდ მასიური. ერთადერთი შესასვლელი სამხრეთიდან, სამხრეთ-დასავლეთის კუთხეშია გაჭრილი. საკურთხეველში და დასავლეთ კედელში თითო სარკმელია. აფსიდში ორივე მხარეს ოდნავ ასიმეტრიულად განლაგებულია ორი სწორკუთხა ნიში. ეკლესიის კედლები საკმაოდ სქელია და თითქმის მთელ სიმაღლეზეა შემორჩენილი, ჩამოქცეულია მარტო დარბაზის კამარა და არე სამხრეთის შესასვლელის თავზე. შემორჩენილია გრეთვე კონქის უმეტესი ნაწილი. კედლები უსწორო ქვების წყობითაა ნაგები. არაა დაცული არც კვადრების ზომა და ფორმა და არც მათი განლაგება ჰორიზონტალურ რიგებად. შედარებით უფრო მასიური ქვები გამოყენებულია ნაგებობის კუთხეების წყობაში. ფასადებიც და ინტერიერიც მოკლებულია რაიმე დეკორატიულ ელემენტს. სამწუხაროდ, ეკლესიის მარტივი, კოსერვატული ტიპის გეგმა, რომელიც შუა საუკუნეების ქართული არქიტექტურის არსებობის მანიფესტით თითქმის არ შეცვლილა, და უხეში სამშენებლო ტექნიკა არ გვაძლევს საშუალებას, მეტ-ნაკლები დამაჯერებლობით დავათარილოთ ნაგებობა. მაგრამ ზოგიერთი დეტალი – აფსიდის ღრმა ფორმა, ნალისებრი მოხაზულობა, ირეგულ-

<sup>1</sup> აღნიშნული ნაწილი მომზადებულია სამეცნიერო პროექტის წევრის, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხელოვნების ისტორიისა და თეორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორის, ნინო სილაგაძის მიერ.

არული წყობა ფასადებზე, მასიური ქვების გამოყენება კუთხეებში გარდამავალი ხანის არქიტექტურას აახლოებს უზუნდერეს ციხის ეკლესიას. თუმცა დაზუსტებით ამის მტკიცება, ბუნებრივია, შეუძლებელია.

### წყაროებში მოხსენიება

შესასწავლი ციხე თორთუმის ისტორიულ პროვინციაში მდებარეობს. ჯერ კიდევ სომხური გეოგრაფიიდანაა ცნობილი თორთუმის ადრეული სახელწოდება „აზორდაცფორი“. ის VII საუკუნის სომხურ გეოგრაფიაში მოიხსენიება ტაოში ჩამოთვლილ პუნქტებს შორის: „ტაიქი მდებარეობს გუგარქის მახლობლად, მდიდარია ციხეებით, ციხესიმაგრეებით. ის იყოფა 9 ნაწილად: 1. კოგი, 2. ბერდაც-ფორი, 3. პარტიზაც-ფორი, 4 ჩაკსი, 5. ბუხა, 6. ოკაგე, 7. აზორდი, 8. კაფორი, 9. ასიაც-ფორი“.<sup>2</sup> ჩვენი აზრით, აქ ჩამოთვლილი ისტორიულ-გეოგრაფიული „ქვეყნების“ სახელწოდება, ასევე, უნდა შეესაბამებოდეს ამ ქვეყნების ცენტრებს, რადგან რეგიონის პოლიტიკური ცენტრი უძრავლეს შემთხვევაში ავრცელებს საკუთარ სახელს მთელს „ქვეყანაზე“.

ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ აზორდი გარკვეულ ეტიმოლოგიურ ანალიზს დაუქვემდებარონ. მაგ. –Ita ინდოარიულია, აშა, – ეს სოციალური კონტრაქტია ხევში, რომელსაც კავი განაგებს. სახელი აზო იხსენიება დაბადებაში, უფრო ადრე კი – იარედი. გამოდის, რომ არიან-ქართლი კორექტირდება ბიბლიური იარედით, ირანული აზან კი – ბიბლიური აზოთი. Āza ამ შემთხვევაში „მოდრავს“ ნიშნავს.<sup>3</sup>

ურარტუს მეფის მენუას ერთ-ერთ წარწერაში იხსენიება ქალაქები: ზუა და უტუხაი. ნ. არუთინიანი უშვებს შემდეგს, რომ უტუხაის მხარის სახელწოდება დაკავშირებული იყოს თორთუმ-ჩაის მარჯვენა შენაკადთან მდებარე „უზტა“//„ოხდასთან“. აღსანიშნავია, რომ დ. ბაქრაძის 1873 წლის რუკაზე „ოხტას“ სამხრეთ-დასავლეთით აღნიშნულია „აზორდი“. ეს ყოველივე გ. ქავთარაძეს აძლევს საშუალებას, რომ აზორდი ურარტულ ქალაქ ზუა/ზუაინასთან გააიგივოს.<sup>4</sup>

<sup>2</sup> Армянская География VII века по Р. X. (Приписавшая Моисею Хоренскому). Издаль К. П. Патканов. СПб. 1877, გვ. 53.

<sup>3</sup> თ. ღუნდუა, ნ. სილაგაძე. МІФРАΣ. თბ. 2010, გვ. 13-14.

<sup>4</sup> გ. ქავთარაძე. ტაოს უძველესი ციხე-ქალაქების ადგილმდებარეობის გამო. კავკასიურ-აზლო-აღმოსავლური კრებული. XII. თბ. 2006.

აზორდის მოგვიანო სახელწოდება უნდა იყოს აღჯაყალა, რაც თურქულად თეთრციხეს ნიშნავს. ექვთიმე თაყაიშვილის 1917 წლის მოგზაურობის წიგნის დანართში ჩვენთვის საინტერესო ციხე 150-ე სურათზე სწორედ აღჯაყალას სახელწოდებითაა მოცემული.<sup>5</sup>

აღჯაყალას ციხე ძირითადად ოსმალურ წყაროებში მოიხსენიება სამხრეთ საქართველოს დაპყრობასთან მიმართებაში. XVI საუკუნის I მეოთხედის ოსმალურ წყაროში, კერძოდ, 1532 წლის დოკუმენტში ვკითხულობთ: „ამ ტერიტორიას ხახოს (ასე უწოდებენ თურქულ წერილობით ძეგლებში ხახულს) ხეობას უწოდებენ. ძალიან კარგი რაიონია. გარდა ამისა, რამდენიმე პატარა ციხეც არის, ერთს აღჯაყალას უწოდებენ. თორთუმის ციხე თავდაპირველად ყვარყვარესი იყო, მაგრამ დროებით ქურცინის ხელში გადავიდა. ქურცინის ძველი მთავარი ციხე კი აღჯაყალა იყო. ხსენებული ციხეები ამჯერად დროებით ხელთ აქვს ერთ უსჯულო აზნაურს, სახელად როსტომს.“<sup>6</sup>

იბრაჰიმ ფეჩევთან კი შემდეგს ვკითხულობთ: „956 წელი (1549) – ამ ხანებში საქართველოს ურჯულოები აჯანყებასა და არეულობას აწყობდნენ. როდესაც უზენაესმა ფადიშაჰმა შეიტყო ზოგი მათი დასაგმობი საქმიანობის შესახებ, [საქართველოში გალაშქრება] მიანდო მეორე ვეზირს, მის აღმატებულებას აჰმედ ფაშას ...ჯერ დიდი ბრძოლით ალებულ იქნა თორთუმის ციხე. ნიჯახისა და ამირახორის ციხეები დაგვნებდნენ. ახწყალა ბრძოლით იქნა ალებული.“<sup>7</sup> დამორჩილებული ციხეების უმრავლესობა დანგრეულ იქნა, რამდენიმე ციხეში კი გარნიზონი ჩააყენეს: „თორთუმი, თალხისი, ახწყალა და დივანის ხევი განსაზღვრულ იქნა როგორც ერთი სასანჯაყო ადგილი. იგი ებოძა ერთ-ერთ ბეგს.“<sup>8</sup>

იმავე პერიოდის (1549) ცნობაში, რომელიც ქათიბ ჩელეების ეკუთვნის, შემდეგს ვკითხულობთ: ბანასა და ფარნაკის ციხის ალების შემდეგ, დამორჩილებულ იქნა ახწყალა, „იმ მიდამოებში ამაღლებულ ადგილზე აშენებული მტკიცე ციხეა, საქართველოს შესასვლელთან“.<sup>9</sup> იმავე ავტორისგან ვიგებთ,

<sup>5</sup> ექვ. თაყაიშვილი. 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში. თბ. 1960. სურ. №150.

<sup>6</sup> თურქული წყაროები XVI ს. I მეოთხედის სამცხე-საათაბაგოს ისტორიისთვის. თურქული დოკუმენტები ქართული თარგმანით, გამოკვლევით და შენიშვნებით გამოსცა ცისანა აბულაძემ. თბ. 1983, გვ. 30.

<sup>7</sup> იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოს და კავკასიის შესახებ. ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა, შესავალი და შენიშვნები დაურთო სერგი ჯიქიაშვილმა. თბ. 1964, გვ. 27.

<sup>8</sup> იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოს და კავკასიის შესახებ, გვ. 28.

<sup>9</sup> ქათიბ ჩელეების ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. თურქულიდან თარგმნა,



რომ არსებობდა ახნა-ყალას ნაპიე „თორთუმის ნაპიეს ჩრდილოეთით. გორაკზე უმნიშვნელო ციხეა. დაცვა ჰყავს. მსხალი, ვაშლი, სხვა ხილი, ჰავა და მდინარეები კარგია.“<sup>10</sup>

ეგლია ჩელების ცნობა აღჯაყალას ალების შესახებ თითქმის იდენტურია ფენიევის ცნობისა, თუმცა, იგი გადმოგვცემს სხვა საინტერესო ინფორმაციასაც: თორთუმის, ნიჯახის და ამირახორის ციხეების დაკავების შემდეგ ოსმალთა ჯარი „ახნა-ყალას მივიდა. შეიდ დღეში დაიპყრო და ციხის ბურჯზე მაჰმადიანური ლოცვა აღავლინა“.<sup>11</sup> აღჯაყალას ციხის შესახებ კი შემდეგს გვიამბობს: „ახნაყალას აღწერა – თორთუმის სანჯაყში საქართველოს მიწაზე მდებარეობს და იგი ულამა-ფაშას აუშენებია საქართველოს დასაპყრობად და ხელში ჩასაგდებად. მაგრამ დროთა მსვლელობით ციხე დანგრევის პირასაა. ციხისთავი და მეციხოვნენი არა ჰყავს. თორთუმის ჩრდილოეთით მდებარეობს. ექვსასი სახლი, ჯამე, ფუნდული, აბანო, მცირე ბაზარი და სასულთნო ბაზარი აქვს. ბაიაზეთ-ველი უფლისწულობის დროს ტრაპიზონში ვალის თანამდებობაზე რომ იყო, ამ ციხეს ალყა შემოარტყა და რადგანაც მისი დაპყრობა ძალიან გაუჭირდა, დაპყრობის შემდეგ ზოგი მისი ადგილი დაანგრევინა.“<sup>12</sup>

როგორც ვხედავთ, დაპყრობის შემდეგ რაღაც ეტაპზე აღჯაყალას ციხე დანგრეული და მიტოვებულია. ამავე სახის ცნობა მოგვეპოვება გურჯისტანის ვილაიეთის დავთარში, დავთრის შედგენის დროისთვის აღჯაყალას სოფლები გაუკაცრიელებული და გავერანებულია:<sup>13</sup> „სოფელი აღჯაყალა, ცარიელი. რეიაიასგან (ექვემდებარება ტყიან [რ-ნს]). ჟამი მარცვლეულისგან და სხვათაგან 8499.“ თუმცა აქ, ჩვენი აზრით, ციხის დანგრევა უნდა გავიგოთ, როგორც მისი ფუნქციის მოშლა, რადგან ციხე დღემდე კარგადაა შემონახული და მისი საფუძვლიანად დანგრევის ვარაუდი ძალზედ საეჭვოა.

### თორთუმის ხევი

ისტორიული დოკუმენტებიდან ნათლად ჩანს, რომ აზორდი/აღჯაყალა/უზუნდერე თორთუმის ხეობის ერთ-ერთ მძლავრ ციხეს წარმოადგენდა

შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გიული ალასანიამ. თბ. 1978, გვ. 136-137.

<sup>10</sup> ქათიბ ჩელების ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 165.

<sup>11</sup> ეგლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“. თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გიორგი ფუთურიძემ. ნაკვ. I. თბ. 1971, გვ. 321-322.

<sup>12</sup> ეგლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“, გვ. 318.

<sup>13</sup> გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი. წ. II. თურქული ტექსტი გამოსცა, თარგმანი, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო სერგი ჯიქიაშ. თბ. 1942, გვ. 396, 490.

და თორთუმის ხევში არსებულ სხვა ციხესიმაგრეებთან ერთად მნიშვნელოვან როლს თამაშობდა მის თავდაცვით სისტემაში, ამიტომ უპრიანია მოკლედ შევხებით თორთუმის ხეობის ისტორიულ გეოგრაფიას.

საკუთრივ თორთუმზე ვახუშტისთან შედევს ვკითხულობთ: „ზოლო თორთუმის მდინარე გამოსდის ღვეჯონის მთასა და მოდის სამხრილად ჩრდილოდ, გაჭრის სპერის მთას და მიერთვის ისპირის მდინარეს, ამ ისპირის მთას ზეით არს თორთომის კეობა ... ამ კეევს ზეით, თორთომის მდინარეზედ არს ციხე თორთომისა, მაგარი, კლდესა ზედა დიდშენებული. მის მიერ იწოდა კეობა ესე თორთომის კეობად. ამ ციხის ზეით არს ხენძორეთი, დაბა დიდი და გზა არზრუმისა. არამედ ამ თორთომის ხეობას მოერთვიან კეევი თორთომისა და შიფაქლუს მთილამ, და არიან დაბნები მათ ზედა შენნი დიდ-მცირენი“.<sup>14</sup>

როგორც დავინახეთ, თორთომი ვახუშტის ისტორიულ გეოგრაფიულ „ქვეყანად“ წარმოუდგენია. მართალია, ის ხმარობს ტერმინ ხევს თორთუმის აღმნიშვნელად, მაგრამ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ის აღწერილია ტაოს, ბასიანისა და ისპირის პარალელურად.

სულხან-საბას განმარტებით, ხევი – ეს არის მდინარის ნაპირზე ჩამოწკრივებული სოფლები, რომლებიც ამ მდინარით ირწყვება.

ნ. ბერძენიშვილის თქმით, „ხევი“ იგივე „ქვეყანაა“. თუმცა ქვეყანა ყოველთვის ხევი არაა,<sup>15</sup> ყოველი ხევი ქვეყანაა, მაგრამ ყოველი ქვეყანა არაა ხევი. „ხევი ტოპოგრაფიული ნიშნიდან ამოდის, ქვეყანა კი ასეთ ნიშანს მოკლებულია“. მართლაც და ვახუშტი ხომ ახსენებს, რომ: „არამედ ამ თორთომის ხეობას მოერთვიან კეევი თორთომისა და შიფაქლუს მთილამ, და არიან დაბნები მათ ზედა შენნი დიდ-მცირენი“.<sup>16</sup> გამოდის, რომ ხევი თორთომი საკუთრივ რამდენიმე ხევისგან შედგება.

ციხესიმაგრეს ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაც გააჩნდა, ის გზების მაკონტროლებელიც იყო. ციხე სწორედ მაგისტრალზე შენდებოდა და სატრანზიტო ფუნქციასაც ასრულებდა, რაც, როგორც თავდაცვითი, ასევე, ეკონომიკური ფაქტორებითაც იყო ნაკარნახევი. ვახუშტი სწორედ ამგვარ მაგისტრალზე საუბრობს თორთუმის ციხესთან დაკავშირებით: „მის მიერ იწოდა

<sup>14</sup> ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება. ტ. IV. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ. 1973, გვ. 686-687.


<sup>15</sup> ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. თბ. 1990, გვ. 69.

<sup>16</sup> ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 686-687.

კეობა ესე თორთომის კეობად. ამ ციხის ზეით არს ხენძორეთი, დაბა დიდი და გზა არზრუმისა“. აღჯაყალას ციხის ნანგრევების სწორედ ამ გზის ერთ-ერთი მაკონტროლებელი უნდა ყოფილიყო, საკუთრივ კი იმიერ ტაოზე გადასასვლელი გზაც უზუნდერეზე გადიოდა, რაც, ჩვენი აზრით, კიდევ უფრო მნიშვნელოვანს ხდიდა როგორც ციხეს, ასევე, მის პატრონს. ქათიბ ჩელების ერთი ცნობაც სწორედ რომ ამ ტიპის მაგისტრალზე უნდა მიგვეითებდეს: „თორთომი – პატარა ქალაქი არზრუმის ჩრდილოეთით, ორი დღის სავალზეა, ხევში. მის მახლობლად გვარჯილის საბაღია. თორთუმში ჩამავალი ხევის მდინარე ახნა-ყალას ნაპირში შედის, შემდეგ საქართველოში და შავ ზღვას ერთვის.“<sup>17</sup> თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ გზა ხშირ შემთხვევაში ხეობებს მიუყვებოდა და მდინარის პირას გადიოდა, შეიძლება ფრთხილი ვარაუდის გამოთქმა, რომ აღჯაყალა თორთუმის ხეობაზე გამავალ მაგისტრალს აკონტროლებდა. დღევანდელი მონაცემებითაც აზორდი/აღჯაყალა/უზუნდერეს ციხის სიახლოვეს გადის არზრუმი-ართვინის ცენტრალური საავტომობილო მაგისტრალი.

---

<sup>17</sup> ქათიბ ჩელების ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 165.



უზუნდერეს ციხის გეგმა. ავტორი გიორგი ბაგრატიონი



*Akaki Chikobava*  
PhD Student,  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

## **AZORDI/AGHJAKALA/UZUNDERE**

### Summary

The subject of research is a fortification, which is located in the historical province of Georgia, Tao (nowadays in the Republic of Turkey). The fortress used to have various names in the different periods. Some researchers are trying to link it with the Urartian city of Zua/Zuayna. One of the names that it has is Azordi, which is attested as a part of Tao in the 7<sup>th</sup> century “Armenian Geography”. The later name – Aghjakala is contemporary to the Ottoman period, which is Turkish form of the Georgian toponym “Tetrtsikhe”. The name Uzundere is derived from location of the fortification, as we know fortress is situated in Uzundere İlçe of Erzurum province. In official stencil, which is raised near the fortification, it is named as ÜNGÜZEK KALESİ. In touristic maps and guides the fortress is frequently mentioned as Dikyar Kapi that means rocky entrance in Turkish.

Article contains brief history of the fortress from ancient times to the present. Historical-geographic aspects as well as different historical sources that mention it are analyzed and discussed. The fortress is located in historical Tortomi Gorge, thereby attention is paid to the importance of this geographic region and to those roads, which might had been controlled by above-mentioned fortress. TSU Associated Professor Nino Silagadze prepared data and observation concerning construction and development of the church, which is located inside the fortress.

The fortress is located in the Republic of Turkey, in historical region of Tao, 1180 meters high above sea level. N – 40°30’37.68”; E – 41°31’34.52” are its geographic coordinates. The height of preserved wall is 15 meters; the thickness of preserved wall is 0.9 meter; size of the entrance is 1.2X2 meters; the length of the fortress is 84 meters; and width of the fortress is 51 meters.

*მიხეილ ბახტაძე*

ასოცირებული პროფესორი, თსუ

**1121 წელს საქართველოში შემოჭრილი მუსლიმთა  
კოალიციური ლაშქრის მიზანი და მარშრუტი**

1121 წლის 12 აგვისტოს საქართველოს მხედრობამ დავით აღმაშენებლის მეთაურობით სასტიკად დაამარცხა მუსლიმთა კოალიციური ლაშქარი რომელსაც ნეჯმ ად-დინ ილ-ლაზი მეთაურობდა. ამ ბრძოლასთან დაკავშირებით მრავალი საკითხი იწვევს ინტერესს და ღღემღე წარმოადგენს მეცნიერთა კვლევის საგანს. ამჯერად ჩვენ გვინდა ყურადღება შევაჩეროთ ორ კონკრეტულ საკითხზე: რა იყო კოალიციური ლაშქრის მიზანი და რა მარშრუტით მოძრაობდა ის? კითხვის პირველ ნაწილზე პასუხის გაცემა ერთი შეხედვით მარტივია, მიზანი ქართველთა დამარცხება იყო. აი თუ რა მარშრუტით მოძრაობდა კოალიცია, ამის გარკვევა რთულია, რადგან წყაროები მეტად მწირია და მათში დაცული ინფორმაციაც გარკვეულწილად წინააღმდეგობრივია.

ს.კაკაბაძე თვლიდა, რომ „თვითონ ილლაზი მთავარი ძალებით სირიიდან გაემართა არზრუმის მიმართულებით და იქიდან საქართველოსკენ. დაახლოებით 8 აგვისტოსთვის ეს ჯარი უკვე იმყოფებოდა თრიალეთ-მანგლის-კოჯრის გზაზე და თავს იყრიდა დიდგორების ძირობისკენ. მსვლელობისას ჯარს ეკავა გზა დაახლოებით 60-65 კილომეტრის სიგრძეზე. ვერეს წყლის ხეობაზე გადასვლისას 30 ათასი ცხენოსნისგან შემდგარი ჯარი გაემართა დიღმის წყლის ხეობისკენ და გადავიდა დიღმის წყლის სათავიდან დიდგორზე, სადაც იყო გადასასვლელი ხეკორძის და ძეგვის მიმართულებით. სულთან მელიქ-თოღრულიც, ათაბაგ ქენ-თოღდისთან ერთად, ლაშქრით გაემართა (განძაზე გავლით) თბილისისკენ. მაგრამ მან, როგორც ამირა არსლანმა, დვინიდან მიაღწია თბილისის ნახევარი დღის სავალის მანძილზე (მაშასადამე, დაახლოებით 15 კილომეტრზე). როგორც ეტყობა, ამ ჯარმა აქ დაიცადა, სანამ არაბ-თურქთა მთავარი ძალები დიდგორის მიმართულებით გადმოვიდოდნენ.

როდესაც ეს მოხდა, მაშინ ხსენებული ამირებიც დაიძრნენ, თბილისზე გავლით, დიდგორის ველისკენ“.<sup>1</sup> ამრიგად, მეცნიერის აზრით, მუსლიმთა ერთი ნაწილი არზრუმიდან შემოვიდა საქართველოში, მერე ნაწილი განძიდან მოდიოდა და თბილისზე გაიარა, ხოლო მესამე ნაწილი ღვინიდან გამოემართა.

შ.მესხია, მიმოიხილავს რა სხვადასხვა წყაროებში დაცულ ინფორმაციას და აანალიზებს სხვა მეცნიერთა მოსაზრებებს, ასკვნის „ივ.ჯავახიშვილის მიხედვით, ეს ლაშქარი ქართლში მანგლის თრიალეთის გზით არის შესული. ამ მხრივ სავსებით სწორია დავითის ისტორიკოსი. უძველესი დროიდან შიდა ქართლში შესვლა სწორედ ამ გზით შეძლებოდა. ამ გზას არა მარტო იმ დოისათვის, არამედ შემდეგაც - XIX საუკუნეშიც დიდ სტრატეგიულ მნიშვნელობას ანიჭებენ. ნ.ბერძენიშვილი მიუთითებს, „მანგლისს ფრიად ხელსაყრელი ადგილი უჭირავს, მანგლისის მხარე ეკვრის შიდა ქართლს, თბილისს, სომხით-საბარათიანოს და წალკა-ჯავახეთს. იმყოფება რა ალგეთის, თეძმის, კავთურას და ვერეს გამოსავლებში, მანგლისის ხეობა სტრატეგიულად ბატონობს აღნიშნულ მხარეზე ...სომხითიდან შიდა ქართლში, ჯავახეთიდან კახეთში უმოკლესი გზები სწორედ მანგლისზე გადიოდა.“ ამიტომ იყო, რომ ვინც კი ამ გზით ფიქრობდა საქართველოს დამორჩილებას, მანგლისზე გადმოვლით მოდიოდა. სწორედ აქედან უნდა იყოს შემოსული, ნ. ბერძენიშვილის ვარაუდით, „თურქ-სელჩუკთა კოალიცია დავით აღმაშენებლის წინააღმდეგ“. ლაშქრის თავმოყრა მანგლის-დიდგორში 1121 წლის აგვისტოს ათ რიცხვამდე უნდა მომხდარიყო“.<sup>2</sup> როგორც ვხედავთ შ.მესხია ფაქტობრივად ეთანხმება ნ.ბერძენიშვილის თვალსაზრისს.

რ.მეტრეველი წერს, „არაბი ისტორიკოსი ალ-ფარიკი დაწვრილებით გადმოგვცემს იმ გზას, რომელიც გაიარეს მუსლიმანთა კოალიციის ჯარებმა. ისინი შემოსულან მანგლისის მიდამოებში და თრიალეთის გზას დასდგომიან. დათქმული იყო, რომ მთელი ლაშქარი თბილისის შემოსასვლელთან შეყრილიყო. თრიალეთისა და დიდგორის შერჩევა შეკრების ადგილად არ იყო შემთხვევითი. აქედან მტერი ადვილად წამოვიდოდა თბილისისკენ, დიდგორი თბილისის ერთ-ერთი კარი იყო, საიდანაც შეიძლებოდა მცხეთის შემოვლით შიდა ქართლში შესვლა ... თრიალეთი მრავალრიცხოვანი ლაშქრის განსაღვებლად სრულიად ხელსაყრელი ადგილი იყო“.<sup>3</sup> მეცნიერის მოსაზრება, ჩვენ

<sup>1</sup> ს. კაკაბაძე. დიდგორის ომი. თბ. 1982, გვ. 100.

<sup>2</sup> შ. მესხია. ძლევა საკვირველი. თბ. 1972, გვ. 104.

<sup>3</sup> რ. მეტრეველი. დავით აღმაშენებელი, მეფე თამარი. თბ. 2002, გვ. 223.



ისე გვესმის, რომ კოალიციის წევრებმა შეკრება თბილისი შესასვლელთან ანუ მანგლის-დიდგორში დაიწყეს. აქამდე კი სხვადასხვა გზით მოვიდნენ.

გ.ჯაფარიძე წერდა, „დიარ-ბაქრიდან წამოსულმა ილ-ლაზმა არზრუმი და ყარსი გაიარა და თრიალეთ-მანგლისის გზით გაემართა თბილისისკენ“.<sup>4</sup>

ს.მარგიშვილმა დაწვრილებით განიხილა ყველა შესაძლო მარშრუტი და დაასკვნა, „1121 წლის ივნისის დასაწყისში, მარანდიდან საქართველოსკენ საკმაოდ დიდი არმიით დაიძრნენ ილ-ლაზი და ღუბაისი. ისინი მივიდნენ ჯერ ერზრუშში, შემდეგ კი ყარსში, სადაც მათ შეუერთდა თუღან არსლანი (და შესაძლოა განძის არმიის გადარჩენილი ნაწილი). აქედან, კოალიციური არმია, ჯავახეთის გავლით შემოვიდა თრიალეთში და მიაღწა მანგლის-დიდგორს, საიდანაც ის თბილისის მიდამოებში აპირებდა გასვლას, რაშიც მას ხელი ღავით აღმაშენებელმა შეუშალა“.<sup>5</sup>

მუსლიმთა კოალიციური ლაშქრის მოძრაობის მარშრუტთან დაკავშირებით ჩვენ ცოტა განსხვავებული მოსაზრება გვაქვს. ალ-ფარიკის ცნობას თუ გავითვალისწინებთ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კოალიციის მონაწილეები გაერთიანდნენ და ისე შემოვიდნენ საქართველოს საზღვრებში. ამ მხრივ ს.მარგიშვილის მოსაზრება მართებულია. ჩვენ არ ვეთანხმებით, რომ განძის ამირა არ მონაწილეობდა ამ ლაშქრობაში. ჩვენი აზრით, მუსლიმთა კოალიციური ლაშქრის შემადგენლობა შემდეგი იყო: ილ-ლაზი დაახლოებით 15-20 ათას კაცს სარდლობს, ღუბაისი - 10 ათასს, განძის ამირა ქენ-თოლდი ასევე 10 ათასს, თუღან არსლან კუზიანი - 10 ათასს, თოღრული ასევე - 10 ათასს, სომხეთის ამირები - 5 ათასს. ამას ემატება 5-10 ათასი „ბედის მადიებელი მოხალისე“. სულ გამოდის 65-75 ათასი კაცი.<sup>6</sup> მთელი ეს კოალიცია საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ საზღვრებთან გაერთიანდა და იქიდან შემოვიდა. მაგრამ საკითხავია სად გაერთიანდა მუსლიმთა კოალიცია? არ გვეგონი რომ ეს იყო ყარსი, როგორც ამას ს.მარგიშვილი ვარაუდობს.

მუსლიმთა კოალიციის მოძრაობის მარშრუტის დასადგენად და იმის გასაგებად, თუ რატომ აღმოჩნდა ილ-ლაზის მთელი ლაშქარი მანგლის-დიდგორში უნდა ვუპასუხოთ კიდევ ერთ კითხვას - რა იყო მუსლიმთა მიზანი?

---

<sup>4</sup> გ. ჯაფარიძე. საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო XII-XIII ს. ის პირველ მესამედში. თბ. 1995, გვ. 49.

<sup>5</sup> ს. მარგიშვილი. მითები და რეალობა ღავით აღმაშენებლის მეფობის შესახებ (ომი სელჯუკთა სამყაროს წინააღმდეგ). თბ. 2006, გვ. 150.

<sup>6</sup> მ. ბახტაძე. მოწინააღმდეგეთა ჯარების რაოდენობა დიდგორის ბრძოლაში. „საისტორიო კრებული“. ტ. 4. თბ. 2014, გვ. 107.

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა შესაძლოა დაგვეხმაროს ილ-ლაზის ლაშქრის მოძრაობის მარშრუტის დადგენაში. ცხადია მიზანი გარკვეულად განსაზღვრავდა კოალიციის მოძრაობის მარშრუტს. ვთქვათ, თუ მიზანი იქნებოდა ქუთაისის აღება მარშრუტი იქნებოდა სხვა და თუ მიზანი იქნებოდა კახეთ-ჰერეთის მორბევა - მაშინ სხვა.

შ.მესხია ეხება რა მუსლიმთა საქართველოში ლაშქრობის მიზანს წერს, „დიდგორის ბრძოლის ძირითადი და საერთო მიზეზი საქართველოს სამეფოს გაძლიერება იყო. თურქ-დამპყროლებმა კარგად დაინახეს, რომ საქართველოს სახით ძლიერდებოდა ახალი და არანაკლებ საშიში ძალა, ვიდრე ჯვაროსნები და ბიზანტიელები იყვნენ. ეს ახალი ძალა წარმატებით ერეკებოდა თურქ-დამპყრობლებს არა მარტო საკუთარი, არამედ მეზობელი ქვეყნებიდანაც. ასე რომ თურქები კარგავდნენ საქართველოსთან ერთად, სხვა მათ მიერ ამიერ-კავკასიაში დაპყრობილ, ქვეყნებსაც და საერთოდ პირველობასაც მახლობელ აღმოსავლეთში. ამის გარდა, სელჩუკების ბრძოლა ჯვაროსნების წინააღმდეგ, მომავალი იერიშები ანტიოქიასა და იერუსალიმზე პირველ რიგში საქართველოს დამარცხებასა და ამ გზით ზურგის უშიშროების უზრუნველყოფის გარეშე ვერ იქნებოდა გარანტირებული“.<sup>7</sup>

ქ. ჩხატარაიშვილის აზრით, „დიდგორის ომი შედეგი იყო არა თბილისისა და სხვა ქალაქების ელჩობისა, არამედ იმ საგარეო ვითარებისა, რაც სელჯუკთა სახელმწიფოებს დავით აღმაშენებლის მიერ ამიერკავკასიაში ძლიერი, ცენტრალიზებული და შესანიშნავად მოწყობილი სახელმწიფოს ჩამოყალიბებით შეექმნა და რაც, ჯვაროსანთა საქმიანობასთან ერთად, სელჯუკთა ძლიერებას სასიკვდილო საფრთხეს უქმნიდა. თურქ-სელჯუკებს სხვა არაფერი რჩებოდათ გარდა იმისა, რომ ამიერკავკასიაში უძლიერეს ძალად ქცეულ საქართველოზე ელაშქრათ, რათა მისი მოსპობით საკუთარი ზურგი მეორე, სხვაზე არანაკლებ საშიში ფრონტიდან დაცული ჰქონოდათ და სირია პალესტინიდან ჯვაროსანთა გარეკვაში ხელი არ შემოლოდათ“.<sup>8</sup>

რ.მეტრეველის თვალსაზრისით, „დიდგორის ბრძოლის განმაპირობებელი ძირითადი მიზეზი იყო დავით აღმაშენებლის მიერ საქართველოდან თურქ-სელჩუკების განდევნა, დამოუკიდებელი ქალაქების დამორჩილებისთვის წარმატებული ბრძოლა და შექმნილი საგარეო ვითარება, რომელიც აიძულებდა მუსლიმანური სამყაროს მესვეურთ, ძლიერი საქართველოს სახელმწიფოს სა-

<sup>7</sup> შ. მესხია. ძლევა I საკვირველი, გვ. 91.

<sup>8</sup> ქ. ჩხატარაიშვილი, ივ. შაიშველაშვილი. დიდგორის ბრძოლა. თბ. 1973, გვ. 10.

ნით თავიანთი დიდი მტერი დაენახათ და ერთად შეკავშირებულთ სამკვდრო-სასიცოცხლო ომი გამოეცხადებინათ მისთვის“.<sup>9</sup>

ცხადია, მუსლიმთა მიზანი საქართველოს დამარცხება იყო, მაგრამ ჩვენ გავინტერესებს თავად ეს „დამარცხება“ კონკრეტულად რაში უნდა გამოხატულიყო? მართო ერთ ბრძოლაში ქართველთა დამარცხებაში, მეფის მოკვლასა ან დატყვევებაში, საქართველოს ტერიტორიის რომელიმე ნაწილის დაპყრობაში თუ სხვა რამეში.

ნ.ბერძენიშვილის, ივ.ჯავახიშვილისა და ს.ჯანაშიას ავტორობით გამო-სულ საქართველოს ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოს მიხედვით, „მტრის ჯარმა სწრაფად იარა. მოულოდნელად შემოიჭრა საქართველოში, მხარმარჯვენ დატოვა თბილისი და 1121 წლის 12 აგვისტოს მიაღწა ქალაქ მანგლისს. თურქებს განზრახული ჰქონდათ ამ რაიონში გადაელახათ თრიალეთის ქედი და მოეწყვიტათ დავით მეფე დასავლეთ საქართველოში მდებარე მისი ძირითადი ბაზებისგან. შემოსევის მოულოდნელობამ ხელი შეუშალა დავითს სრულიად გამოეყენებინა თავის ძალები. მაგრამ დაყოვნება აღარ შეიძლებოდა და მეფემაც გადასწყვიტა დაესწრო მტრისთვის, შეეგტა მისთვის მთიან-ტყიან ადგილებში, სადაც მისი ანგარიშით თურქ-არაბთა ცხენოსანი ლაშქრის სიმრავლეს უნდა დაებრკოლებინა მისი მოძრაობა და შეემცილებინა ბრძოლისუნარიანობა. დავითმა დიდი სისწრაფით ატარა თავისი სამოცათასიანი ლაშქარი და მანგლისის ჩრდილოეთით, დიდგორის მთაზე შეაკვება იგი თურქებს“.<sup>10</sup> აქ მხოლოდ ერთ რამეს აღვნიშნავთ, არ გვგონია, რომ მტრის შემოსევა დავით მეფისთვის მოულოდნელი იყო. ეს 1121 წელია, მეფეს ყველა რეფორმა გატარებული აქვს. სახელმწიფო აპარატი უკვე ჩამოყალიბებულია და მოქმედებს, მათ შორის მსტოვართა ინსტიტუტიც. შეუძლებელია დავითს არ ქონოდა ინფორმაცია მოწინააღმდეგის მოძრაობის შესახებ. ჩვენი აზრით, დავით აღმაშენებელს მუსლიმთა ლაშქრის საქართველოსთან მოახლოებისთანავე (თუ მანამდე არა) ჰქონდა ინფორმაცია მოწინააღმდეგის ჯარის მოძრაობის შესახებ.

თავის დროზე ნ.ბერძენიშვილი წერდა, „1121 წლის 12 აგვისტოს თურქთა დიდი კოალიციური ლაშქარი „მოვიდეს თრიალეთს, მანგლის(ს) და დიდგორთა“. მეფე დავითი 61 ათასი მეომრით შეება მომხდურთ 15 აგვის-

---

<sup>9</sup> რ. მეტრეველი. დავით აღმაშენებელი, მეფე თამარი, გვ. 217.

<sup>10</sup> ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია. საქართველოს ისტორია. ნაწ. I. თბ. 1950, გვ. 184.

ტოს და სასტიკად დაამარცხა ისინი. ამ ომში ორთავე მხრით, სულ მცირე, ასი ათასი მეომარი იღებდა მონაწილეობას. ომი დიდგორთა მოხდა. ამკარაა: მომხდურთა წინააღმდეგ დავით მეფეს ნიჩბისისა და თვალადის გზებით უნდა მიეყვანა თავისი ლაშქარი. თურქთა კოალიციას დიდგორთან მოსვლა, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ ყოფილა. მტკვრისა, ძამისა, ტანის თუ თემის ხეობები გაცილებით შორი, ღრმა, ვიწრო, ტყიანი და ამდენადვე „საჭირონი“ და სახიფათონი ჩანდნენ. ამიტომაც კოალიციურმა ლაშქარმა თავი მოარიდა მათ და უმოკლესი (და უკეთესი?) გზებით სცადა შიდა ქართლში შემოჭრა და მისი დაპყრობა“. <sup>11</sup> ამ სიტყვებიდან ისე ჩანს, რომ მეცნიერი ილ-ლაზის მიზნად შიდა ქართლის დაკავებას მიიჩნევდა.

ს.კაკაბაძე აღნიშნავდა, „თურქების სარდლობას მიზნად ჰქონდა დასახული თრიალეთ-მანგლისის მხარედან შეჭრილიყო შიდა ქართლში და ამით სასიკვდილო ლახვარი ჩაეცა აღმოსავლეთ საქართველოსთვის. მაგრამ რადგანაც არ იყო ცნობილი, თუ სად დაარტყამდნენ თურქები, ამიტომ ქართველების სამართებოს (შტაბს, როგორც ახლა ვიტყვით) თავისი ჯარის მეტი ნაწილი გაშლილი ჰყავდა დიდგორის ქედზე“. <sup>12</sup>

ს.მარგიშვილი თვლიდა, „ელემენტარული ლოგიკით სტრატეგიული ამოცანა შეიძლებოდა ყოფილიყო სამი სხვადასხვა სახის: საქართველოს სამეფოს ოკუპაცია და მისი მიერთება სელჯუკთა სამფლობელოსადმი; დავით აღმაშენებლის მიერ დაკავებული ტერიტორიების (სამშვილდე და ა.შ.) უკან დაბრუნება და თბილისისა და სხვა მუსლიმური რეგიონების გათავისუფლება საქართველოს ზეწოლისგან (ანუ მალიქ-შაჰის დროინდელი სტატუს-ქვოს აღდგენა ხარკის გადახდით ან მის გარეშე); დავით აღმაშენებლის გაძლიერებისა და შემდგომი წინსვლის შეჩერება“. <sup>13</sup>

ჩვენ ვეთანხმებით ს.მარგიშვილის მიერ გამოთქმულ თვალსაზრისს, რომ კოალიციის მიზანი სამშვილდე-ლორეს ტერიტორიების დაბრუნება და თბილისისა და განძის საამიროების საქართველოს სამეფოს ზეწოლისგან გათავისუფლება იყო. <sup>14</sup> არ ვეთანხმებით მეცნიერის მოსაზრებას, რომ კოალიციური ლაშქარი საქართველოში ორი მხრიდან აპირებდა შემოჭრას. თუმცა სრულიად ვიზიარებთ მის დასკვნას, რომ „საქართველოს სამეფოს საზღვარ-

<sup>11</sup> ნ. ბერძენიშვილი. გზები რუსთაველი ეპოქის საქართველოში. თბ. 1966, გვ. 50-51.

<sup>12</sup> ს. კაკაბაძე. დიდგორის ომი, გვ. 106.

<sup>13</sup> ს. მარგიშვილი. მითები და რეალობა დავით აღმაშენებლის მეფობის შესახებ (ომი სელჯუკთა სამყაროს წინააღმდეგ), გვ. 151.

<sup>14</sup> ს. მარგიშვილი. მითები და რეალობა დავით აღმაშენებლის მეფობის შესახებ, გვ. 152.

თან კონცენტრირებული არმია სტრატეგიულ საფრთხეს შეუქმნიდა სხვადასხვა რეგიონებს. მუსლიმები თბილისის მიდამოებიდან ერთდროულად დაემუქრებოდნენ როგორც კახეთსა და შიდა ქართლს, ასევე სამშვილდესა და სომხეთს. ასეთი დისპოზიციიდან მათ შეეძლოთ ერთდროული მარბიელი ლაშქრობების ორგანიზება სხვადასხვა მიმართულებით“. ანუ ილ-ლაზისთვის სტრატეგიულად ყველაზე მომგებიანი იქნებოდა, პირველ ეტაპზე, თბილისში და მის სანახებში დაბანაკება. რაც შეეხება ს.მარგიშვილის შემდგომ მსჯელობას, „სამხედრო თვალსაზრისით ასეთი სტრატეგიული ამოცანა პირველ ეტაპზე არა ტერიტორიების დაკავებასა და და ციხე-სიმაგრეთა აღებას გულისხმობდა, არამედ მოწინააღმდეგის იძულებას, მისთვის არახელსაყრელ პირობებში ბრძოლის მიღებასა მისი ცოცხალი ძალის განადგურების მიზნით, რაც როგორც ერთბაშად (ე.ი. გენერალური ბრძოლით), ასევე თანმიმდევრულად (ე.ი. მარბიელი ლაშქრობებით) შეიძლება განხორციელებულიყო“,<sup>15</sup> ცოტა განსხვავებული მოსაზრება გვაქვს.

თბილისის, დმანისისა და განძის დაცვას მუსლიმები მხოლოდ ერთ შემთხვევაში შეძლებდნენ, თუ დავით მეფის სამხედრო პოტენციალს სერიოზულ დარტყმას მიაყენებდნენ. მარბიელი ლაშქრობებით ამის გაკეთება რთული იქნებოდა. უცნობ ქვეყანაში, პარტიზანული ბრძოლის ტაქტიკით (და ქართველებს შეეძლოთ ბრძოლის ასეთი ხერხი აერჩიათ) მოქმედი მოწინააღმდეგის განადგურება ძნელი ამოცანაა. ილ-ლაზს სამშვილდე, რუსთავი და თბილისი მახლობლად არსებული სხვა ციხეები რომც აეღო ეს საბოლოო ჯამში რეალურად ბევრს არაფერს ნიშნავდა, თუ ქართველთა სამხედრო ძალის თუნდაც ერთი დიდი ნაწილი არ განადგურდებოდა. ყოველთვის იქნებოდა საფრთხე, რომ კოალიციის წასვლის შედეგ (და ადრე თუ გვიან მას წასვლა მოუწევდა) დავით მეფე კვლავ დაიბრუნებდა ამ ციხეებს და ისევ შეუქმნიდა საფრთხეს მუსლიმთა მფლობელობას საქართველოს ამ ნაწილში. მართებულად წერდა ივ.შაიშვილაშვილი, „მათ ამჯამადაც შეეძლოთ ძველებურად აეღოთ თავი და პირდაპირ შედგომოდნენ ქართული პროვინციების რბევა-ოხრებას, რაც არც ისე დიდი ხნის წინათ მათი ველური ბრბოების აღფრთოვანების უმთავრეს წყაროსა და ერთგვარ გასართობსაც კი წარმოადგენდა ... ჯერ გზიდან უნდა ჩამოეშორებინათ ქართული სახელმწიფოს მკლავგაგარი გუშაგი - დავით აღმაშენებლის არმია, ე.ი. არმიას აუცილებლად უნდა შეებოდნენ და

---

<sup>15</sup> ს. მარგიშვილი. მითები და რეალობა დავით აღმაშენებლის მეფობის შესახებ, გვ. 153.

გაეტეხათ მისი ძლიერება. ამიტომ გარკვეული აზრით მომავალი ბრძოლის ასპარეზის არჩევანი ქართველთა ხელში იყო“.<sup>16</sup>

ილ-ლაზი გამოცდილი სარდალი იყო და ალბათ ერჩივნა ერთ გენერალურ ბრძოლაში დაემარცხებინა ქართველები, მათი სამხედრო ძლიერება გაეტეხა და შემდეგ შემოსდგომოდ ციხეებს. ამიტომ სავარაუდოდ ის უფრო იყო დაინტერესებული დიდი ბრძოლის გამართვაში, ვიდრე დავით აღმაშენებელი. რა თქმა უნდა თუ ქართველები ბრძოლას არ მიიღებდნენ, თბილისთან დაბანაკებულ ილ-ლაზს შეეძლო მაერბიელი რაზმები გაეშვა შიდა და ქვემო ქართლის, ასევე კახეთ-ჰერეთის მიმართულებით და ეს მხარეები აეოხრებინა. ისიც ცხადია, რომ ეს საქართველოს სამეფოს სერიოზულ ზიანს მიაყენებდა (მოსახლეობის განადგურება, სახნავ-სათესი სავარგულების აოხრება და სხვ.). თუმცა მთავარი ამოცანა მაინც გადაუჭრელი დარჩებოდა, ქართველთა სამხედრო ძალა არ განადგურდებოდა. შეიძლება პირიქითაც მომხდარიყო, მარბიელი რაზმები ქართველებს ცალ-ცალკე დაემარცხებინათ.

კიდევ ერთხელ გავიმეორებთ, ჩვენ ვეთანხმებით ს.მარგიშვილის თვალსაზრისს, რომ ილ-ლაზის მიზანი თბილისი, დმანისისა და განძის დაცვა იყო. ამისთვის კი ორი რამ უნდა გაკეთებულიყო: მუსლიმებს ქართველებისთვის ამ რეგიონში მდებარე ციხე-სიმაგრეები უნდა წაერთმიათ და საქართველოს სამხედრო პოტენციალი სერიოზულად დაესუსტებინათ. სხვა საკითხია როდის ერჩივნა ილ-ლაზს მთავარი ბრძოლის გამართვა, თბილისის სანახებში მოსვლის შემდეგ თუ მანამდე. აქ მხოლოდ ვარაუდის გამოთქმა შეიძლება და ორივე მოსაზრებას არსებობის თანაბარი უფლება აქვს. ძნელი სათქმელია რა ერჩივნათ მუსლიმებს, ჯერ ციხე-სიმაგრეები აეღოთ და მერე ბრძოლაში ქართველთა მხედრობა დაემარცხებინათ. თუ ჯერ ბრძოლა გაემართათ და შემდეგ შემოეწყობოდნენ ციხე-სიმაგრეებს. ალბათ მათთვის მეორე ვარიანტი უძჯობესი იყო, რადგან ციხე-სიმაგრეების ალყა იმ დროს როდესაც ქართველთა ძალა დაუმარცხებელი იყო და თავისუფალი მომქმედების საშუალება ქონდა სარისკო გადაწყვეტილება იქნებოდა.

გასათვალისწინებელია, რომ ილ-ლაზს მეგზურობას გაუწევდნენ თბილელ-დმანელი ვაჭრები, რომლებსაც კარგად ეცოდინებოდათ არა მარტო თბილისთან მისასვლელი გზები, არამედ ზოგადად არსებული ვითარებაც. რომელ გზას ურჩევდნენ მეგზურები მუსლიმთა სარდალს და თავად ის რა მი-

<sup>16</sup> ქ. ჩხატარაიშვილი, ივ. შაიშვილაშვილი. დიდგორის ბრძოლა, გვ. 80-81.

მართულებას აირჩევდა? ამ კითხვაზე პასუხი მხოლოდ ვარაუდის სფეროს განეკუთვნება.

სავსებით სწორად შენიშნავდა ნ.ბერძენიშვილი, „ქუეყანა თრიალეთისანი“ საქართველოს ისტორიულ წარსულში განსაკუთრებული მნიშვნელობის პროვინცია იყო. გეოგრაფიული ცენტრი, უმაღლესი ზეგანი, ოთხივე მხრით წყალგამყოფი ტერიტორია მის გარშემო მდებარე ქვეყნებს (ზემო, შიდა და ქვემო ქართლს) ბუნებრივად ჰყოფდა და აკავშირებდა. გასაგებია თუ „ქუეყანა თრიალეთისანი“ - ეს ბუნებრივი გზასაყარი - უძველეს დროიდანვე გზებით დაიქსელა ... თრიალეთზე მიდიოდნენ სავაჭრო ქარავნები, ქართველთა ლაშქარი და უცხო დამპყრობელნი ოთხივე მხრით ... თრიალეთს დგებიან ლაშქრით ქართველი თუ უცხო დამპყრობელნი, საიდანაც ოთხივე მხრით უმარჯვესი გზები მიდიან. თრიალეთს დადგა XI საუკუნის 60-იან წლებში ალფ-არსლანი. უმოკლეს ხანში აქედან მისმა მარბიელმა მთელი საქართველო მოიცო. აქ იდგა 1124 წელს დავით აღმაშენებელი, აღმოსავლეთით, სამხრეთით თუ დასავლეთით თურქთა წინააღმდეგ საბრძოლველად გამზადებული. აქედან ჩაატარა მან შესანიშნავი თავისი სისწრაფით საქართველოს ლაშქრის მობილიზაცია „წიგნები წუევისა მიმოდისროლა და მესამესა დღესა სამოცდა (ათი) ათასი მხედარი წინაშე უდგა“.<sup>17</sup> ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე თრიალეთს მოსვლა სავსებით შესაძლებელია თავად ილ-ლაზის თავდაპირველი გეგმაც ყოფილიყო.

დიდგორის ბრძოლასთან დაკავშირებულ კითხვებზე პასუხების გაცემა ძალიან ხშირად წყაროებში დაცული ინფორმაციის ინტერპრეტაციაზეა დამოკიდებული. ეს კი ცხადია სხვადასხვა მოსაზრებების არსებობას იწვევს. მწელია მტკიცება, რომ რომელიღაც ერთი თვალსაზრისია ჭეშმარიტი და სხვა ყველა კი მცდარი. ყველა მოსაზრებას თავისი არგუმენტაცია გააჩნია. ჩვენ საკუთარი შეხედულება გვაქვს დიდგორის ბრძოლასთან დაკავშირებით და აქედან გამომდინარე ვახდენთ იმდროინდელი ვითარების აღდგენას.

მუსლიმთა კოალიციის მოძრაობის მარშრუტის დასადგენად რამდენიმე საკითხია გასარკვევი.

პირველი - კოალიციის მონაწილეები ცალ-ცალკე შემოვიდნენ საქართველოში თუ უკვე აქ გაერთიანდნენ, ვთქვათ თრიალეთში? ალ-ფარიკი მართალია წარეს, რომ მუსლიმთა სარდლები სამი მიმართულებიდან იწყებენ საქართველოსკენ მოძრაობას (ილ-ლაზი ყარსიდან, თოღრული - განიდიდან, თუ-

---

<sup>17</sup> ნ. ბერძენიშვილი. გზები რუსთაველი ეპოქის საქართველოში, გვ. 66.

ღან არსლან კუზიანი - დვინიდან), მაგრამ მისი შემდგომი თხრობიდან თითქოს ისე ჩანს, რომ ყველანი საქართველოს საზღვრებში შემოსვლამდე თუ არა, შემოსვლიდან მალევე გაერთიანდნენ.<sup>18</sup> ჩვენი აზრით, მუსლიმთა კოალიცია თრიალეთში უკვე გაერთიანებული ძალებით მოვიდა.

მეორე - სად გაერთიანდა მუსლიმთა ლაშქარი? ალ-ფარიკის მიხედვით ილ-ლაზი მოვიდა ყარსში და იქიდან გამომართა საქართველოსკენ. ყარსში ალბათ მართლაც შეჩერდა ილ-ლაზი, მაგრამ აქედან პირდაპირ საქართველოსკენ გამემართა თუ არა ეს დანამდვილებით უცნობია. აქ უნდა ერთი საკითხი დავაზუსტოთ - რა ერჩივნა ილ-ლაზს, თავიდანვე შემოსულიყო საქართველოს საზღვრებში (ვთქვათ ყარსიდან ჯავახეთის მიმართულებით ემოდრავა, როგორც სმარგიშვილი ვარაუდობს) და ქართველთა მუდმივი თავდასხმის საფრთხის ქვეშ ყოფილიყო, თუ რაც შეიძლება გვიან გადმოელახა საქართველოს საზღვარი? ჩვენ მეორე მოსაზრება უფრო მისაღებად მიგვაჩნია. ილ-ლაზის მიზანია მიაღწიოს თბილისამდე და თუ გზაში საშუალება ექნება გამართოს გენერალური ბრძოლა. ჩვენი აზრით, ილ-ლაზი ყარსიდან ანისში მივიდოდა (გასათვალისწინებელია, რომ კოალიციაში სომხეთის ამირებიც იყვნენ) და მცირე ხანს იქ შეჩერდებოდა კიდევ. შესაძლოა ამას ისიც ადასტურებდეს, რომ მარცხის შემდეგ კოალიციის მონაწილეთა ერთმა ნაწილმა ანისის მიმართულებით გაქცევა არჩია, ანუ ისევ ნაცნობი გზით წავიდნენ.<sup>19</sup> სად იქნებოდა ყველაზე ოპტიმალური ანისიდან, დვინიდან და განძიდან მომავალი მუსლიმური ჯარების გაერთიანება? ალბათ სადღაც ქვემო ქართლში. ანისიდან და დვინიდან წამოსული ძალები სავარაუდოდ უფრო ადრე გაერთიანდნენ და შემდეგ შეუერთდა მათ განძიდან გამოსული ლაშქარი. ჩვენ ვფიქრობთ, რომ კოალიცია სადღაც დმანისთან უნდა გაერთიანებულიყო. ისიც გასათვალისწინებელია, რომ დმანისი მუსლიმთა ხელში იყო და დმანელი ვაჭრები, ტფილელ და განძელ ვაჭრებთან ერთად იყვნენ წასული დახმარების სათხოვნელად სულთანთან.

მესამე - ქვემო ქართლიდან, დმანისიდან რა მიმართულებით შეეძლო ემოდრავა ილ-ლაზს თბილისისკენ? „თბილისიდან ქვემო ქართლისკენ გზები კოჟრისა და კარის კარით გადიოდა. პირველი კოჟრის კარიდან ტაბახმელამ-

<sup>18</sup> Ибн ал-Азрака ал-Фарики. Истории Майяфарикина. Труды института истории АН Азербайджанской ССР. Т. XII. Баку. 1957 г. 222-223; ([http://www.vostlit.info/Texts/rus17/Аchmed\\_Dede/text2.phtml?id=12780](http://www.vostlit.info/Texts/rus17/Аchmed_Dede/text2.phtml?id=12780))

<sup>19</sup> ლ. დავლიანიძე. მათე ურპაეცის ცნობები დავით აღმაშენებლის შესახებ. კრებ.: საქართველო რუსთაველის ხანაში. თბ. 1966, გვ. 246-247.



დის თბილისი მანგლისის გზას მიყვებოდა ... მეორე გზა თბილისიდან სამხრეთისკენ მარნეულს განშტოვდებოდა ... ორივე ეს გზა ძველთაგანვე მჭიდროდ დასახლებულ კულტურულ რაიონებს აკავშირებდა. ისინი დიდი ეკონომიკური მნიშვნელობისანი იყვნენ. ამავე დროს საქართველო ამ გზებით თავის სამხრეთის მეზობლებს უკავშირდებოდა და ამდენადვე ხსენებულ მარშრუტებს სამინაოს გვერდით საგარეო მნიშვნელობაც ჰქონდათ“.<sup>20</sup> თუმცა ნბერძენიშვილი იქვე აღნიშნავდა, რომ „ორივე გზა ვიწრო და გრძელი ხეობებით მიდიოდა და მათი ჩაკეტვა საჭიროების დროს დიდ სიძნელეს შეამთხვევდა შემოსევის მსურველს. მოხერხებულ ადგილებზე მაგარი ციხეები უპირველესად ამ მიზნებს ემსახურებოდა“. მიუხედავად ნბერძენიშვილის შენიშვნისა ჩვენ ვფიქრობთ, რომ დმანისი-ნახიდური-მარნეული<sup>21</sup> და შემდეგ თბილისი, ის მიმართულება იყო რომლითაც წესით ილ-ლაზს უნდა ემოდრაგა, მაგრამ ის თრიალეთში „აღმოჩნდა“.

მეოთხე - თუ მუსლიმთა კოალიცია ქვემო ქართლში გაერთიანდა რატომ მივიდა კოალიციური ლაშქარი „თრიალეთს, მანგლისს და დიდგორთა“? შესაძლოა ორი მოსაზრების გამოთქმა: პირველი - ილ-ლაზს თავიდანვე ურჩიეს მანგლის-დიდგორის გზით წამოსვლა; მეორე - მუსლიმთა სარდალს სხვა გზა შესთავაზეს, მაგრამ ქართველებმა აიძულს თრიალეთის გზა აერჩია. ცხადია ზუსტი და ცალსახა პასუხის გაცემა შეუძლებელია. ვფიქრობთ, რომ ქართველებმა სხვა არჩევანი არ დაუტოვეს. ჩვენი აზრით, საქართველოში დმანისის მხრიდან შემოსული მუსლიმთა კოალიციური ლაშქარი დავით აღმაშენებელმა აიძულა სწორედ ისეთი მარშრუტი აერჩია, რომელიც ქართველთა მეფეს აწყობდა. დავითმა ილ-ლაზი აიძულა ბრძოლა იქ მიეღო სადაც ეს ქართველთათვის იყო სასურველი და არა მუსლიმთათვის. სწორედ ამაშია დავით აღმაშენებლის სამხედრო გენია. მეფის ისტორიკოსი საკმაოდ ზოგად ცნობებს იძლევა დიდგორის ბრძოლის შესახებ, თუმცა აღნიშნავს, „ვითარ წინა განაწყო სპა მისი, და თუ ვითარ ყოველი საქმე შეუნიერად და ღონიერად ყო, რაბამ რამე წყნარად, უშფოთველად და გამოცდილებით და ყოველად ბრძნად განაგო, და თუ ვითარ თვისნი სპანი დაიცვნა უვნებელად, ამათ ყოველთათვის არა ჩუენი, არამედ ვგონებ, რომელ ყოველთა ბრძენთა სოფლისათა ენა ვერ შემძლებელ არს მითხრობად ზედა-მიწევნით ყოველსავე“.<sup>22</sup>

---

<sup>20</sup> ნ. ბერძენიშვილი. გზები რუსთაველი ეპოქის საქართველოში, გვ. 73-74.

<sup>21</sup> ნ. ბერძენიშვილი. გზები რუსთაველი ეპოქის საქართველოში, გვ. 75-76.

<sup>22</sup> ცხოვრებაჲ. მეფეთ-მეფისა დავითისა. ტექსტი გამოსაცემად მომზადდა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო მ. შანიძემ. თბ. 1992, გვ. 190-191.

ვფიქრობთ, რომ ამ სიტყვებში არა მხოლოდ უშუალოდ 12 აგვისტოს მომხდარი ბრძოლა უნდა იგულისხმებოდეს, არამედ წინა პერიოდიც, როდესაც დავით მეფემ თავის გეგმის მიხედვით წარმართა ყოველივე და ილ-ლაზი ფაქტობრივად გამოუვალ მდგომარეობაში ჩააგდო.

დიდგორში ბრძოლის გამართვა ილ-ლაზისთვის იძულებითი ნაბიჯი იყო. ქჩხატარაიშვილი აღნიშნავს, „საომარი ადგილის შერჩევითა და ბრძოლის თავისი გეგმის მტრისთვის თავზე მოხვევით დავით აღმაშენებელმა თავისი ბრწყინვალე სამხედრო ნიჭი გამოავლინა ... დიდგორთან მოსულ თურქებს ისეთი გამოცდილი სარდალი ჰყავდათ, რომ მისი შეცდომის ახსნა მხოლოდ ორი რამით შეიძლება: 1) ილ-ლაზი იძულებული იყო ბრძოლაში ჩაბმა ეჩქარა, რათა შორიდან მოყვანილი, ერთმანეთთან ორგანულად დაუკავშირებელი სამხედრო რაზმების ერთიანობა შეენარჩუნებინა და მათი ბრძოლისუნარიანობა დროულად გამოეყენებია; 2) ილ-ლაზის სიფხიზლე მოადუნა თრიალეთში თავმოყრილი ჯარების სიმრავლემ, რასაც ერთხმად აღნიშნავენ იმდროინდელი უცხოელი და ქართველი მემატიანეები“.<sup>23</sup>

ივ. შაიშმელაშვილი თვლიდა, „თურქ-სელჩუკთა მიერ წამოწყებული ეს დიდი ლაშქრობა მათ სასარგებლოდ მხოლოდ მაშინ დასრულდებოდა, როცა ქართულ არმიას პირისპირ ბრძოლაში დაამარცხებდნენ ... მათ ამჯამადაც შეეძლოთ ძველებურად აეღოთ თავი და პირდაპირ შედგომოდნენ ქართული პროვინციების რბევა-ოხრებას, რაც არც ისე დიდი ხნის წინათ მათი ველური ბრბოების აღფრთოვანების უმთავრეს წყაროსა და ერთგვარ გასართობსაც კი წარმოადგენდა ... ჯერ გზიდან უნდა ჩამოეშორებინათ ქართული სახელმწიფოს მკლავმაგარი გუშაგი - დავით აღმაშენებლის არმია, ე.ი. არმიას აუცილებლად უნდა შეებოდნენ და გაეტეხათ მისი ძლიერება. ამიტომ გარკვეული აზრით მომავალი ბრძოლის ასპარეზის არჩევანი ქართველთა ხელში იყო. სადაც არ უნდა დაჯგუფებულიყო იგი, თურქები იქ უნდა შეებოდნენ მას ... დიდგორის ბრძოლა, რომ სახელდობრ დიდგორში მოხდა, ამის უპირველეს მიზეზად დავით მეფის გადაწყვეტილება უნდა ჩაითვალოს“.<sup>24</sup>

რა თქმა უნდა, დიდგორში ბრძოლის გამართვა დავით აღმაშენებლის გადაწყვეტილება იყო, მაგრამ ბოლომდე ვერ გავიზიარებთ მოსაზრებას, რომ სადაც არ უნდა დაჯგუფებულიყო ქართველთა ჯარი, თურქები იქ უნდა შეებოდნენ მას. ილ-ლაზი ცხადია ქართველებთან გენერალური ბრძოლის გამარ-

<sup>23</sup> ქ. ჩხატარაიშვილი, ივ. შაიშმელაშვილი. დიდგორის ბრძოლა, გვ. 18.

<sup>24</sup> ქ. ჩხატარაიშვილი, ივ. შაიშმელაშვილი. დიდგორის ბრძოლა, გვ. 80-81

თვას გეგმავდა, მაგრამ ნებისმიერ ადგილზე გამართავდა კი? ასეთი გამოცდილი სარდალი თავისი ნებით ისეთ ადგილს, რომელიც მას არ აწყობდა და დიდგორი სავარუდოდ არ აწყობდა, არ აირჩევდა. საჭირო იყო მისი იძულება, რათა ბრძოლა იქ მიეღო სადაც არ სურდა.

როგორ აიძულა ქართველთა უპირველესმა მეფემ გამოცდილი ილ-ლაზი დაეშვა შეცდომა (შეცდომებიც კი), ცხადია ზუსტად უცნობია. შეგვიძლია მხოლოდ ვარაუდი გამოვთქვათ. აქ აუცილებლად უნდა გავიხსენოთ რამდენიმე მუსლიმი ისტორიკოსის ცნობა, რომ თავდაპირველად ქართველები დაამარცხდნენ და გაიქცნენ. მუსლიმები მათ დაედევნენ, ხოლო შემდეგ მოულოდნელად მობრუნებულმა ქართველებმა გადამწყვეტი გამარჯვება მოიპოვეს.

ქემალ ად-დინის თანახმად, „სელჯუკთა მეფემ ტოლრულმა ქართველებისა და მათი მეფის დავითის წინააღმდეგ დახმარება სთხოვა ილ-ლაზი ორთოკის ძეს, რომელიც გაემართა მისკენ მრავალრიცხოვანი არმიით. მას თან ახლდა ღუბეის სადაკას ძე. მუსულმანებმა, რომლებმაც თავდაპირველად დაამარცხეს ისინი, მისდიეს მტერს ბილიკებით და მოქცნენ მათ ზურგში მთის გადასასვლელზე. შემდეგ ქართველები გზაზე შემოუბრუნდნენ მათ და დაამარცხეს მუსულმანები. მისდევდნენ რა, ქართველები ხოცავდნენ და ტყვედ იგებდნენ მათ. ღუბეისი, რომლისგანაც წართმეულის ღირებულება შეადგენდა 300 000 დინარს, ნაჯმ ად-დინ ილ-ლაზისთან ერთად გაემართა მარდინში უვნებლად“.<sup>25</sup> მართებულად შენიშნავს გურამ კუტალია, რომ ეს დავით მეფის სამხედრო ხრიკი იყო და მოწინააღმდეგის შეტყუებას ითვალისწინებდა.

ქართველთა თავდაპირველი მარცხისა და შემდგომ მათი გამარჯვების შესახებ მოგვითხრობს იბნ ალ-კალანისთანაც. ამ უკანასკნელის მიხედვით, ქართველები თავს დაესხნენ თოლრულს, რომელმაც დახმარება სთხოვა ილ-ლაზსა და ღუბაისს. ქართველთა ჯარი შეშინებული გაიქცა და მუსლიმები მათ დაედევნენ. მაგრამ მოულოდნელად ქართველები მობრუნდნენ, მუსლიმებს შეუტეს და დაამარცხეს. «В этом году также сообщалось о появлении грузин из Дурубы и их нападении на территории князя Тогрыла. Последний попросил помощи у эмира Наджм аль-Дина иль-Гази, сына Ортука, правителя Алеппо, а также у туркмен и эмира Дубайс бен Садак бен Мазияда. Они откликнулись на его просьбу и вышли к нему на помощь с большим войском. Армия грузин в панике бежала, а мусульмане

---

<sup>25</sup> გ. კუტალია. ქემალ ად-დინის ცნობები დიდგორის ბრძოლის შესახებ. მეცნიერებათა აკადემიის „მოამბე“. 1974 წ. ტ. 74. №2, გვ. 104.

преследовали их и осадили в Дурубе, но тут грузины атаковали мусульман, обратили их в бегство и убили многих. После этого они пошли на город Тифлис, с боем взяли его и казнили его жителей».<sup>26</sup>

პირველ შეტაკებაში ქართველთა მარცხსა და უკუქცევაზე საუბრობს იბნ ალ-ადიმც.<sup>27</sup>

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულებაზე დაყრდნობით, მუსლიმთა კოალიციასთან გამართულ ორ ბრძოლაზე საუბრობს ს.კაკაბაძე. თუმცა მეცნიერი თვლის, რომ პირველი ბრძოლა ქართველთა გამარჯვებით დასრულდა. „ყოფილა ორი ომი - პირველი ომი, სადაც აგრეთვე თურქებმა ვერ შეძლეს „წინადადგომა“ და დამარცხდნენ და მეორე კიდეც ის სადაც თვითონ დავითი ხელმძღვანელობდა „წინადადგომას“ მთელი სამი საათის მანძილზე, თურქების საბოლოო დამარცხებამდე. პირველი ომი იგულისხმება დიდგორის ქედზე დავითის ხელმძღვანელობით, ძეგვის ხევისა და დიდმის წყლის სათავეებს შუა (საწვეპელას ზეგანზე) და მეორე კიდეც - მთავარი ომი - მის აღმოსავლეთით ათიოდე კილომეტრზე დიდგორწინაზე, დავითისავე განკარგულებით“.<sup>28</sup>

ჩვენ ვფიქრობთ, რომ მოწინააღმდეგის უკვე საქართველოს სამხრეთ საზღვრებთან გამოჩენისთანავე აწვდიდნენ მსტოვრები დავით მეფეს საჭირო ცნობებს. მეფემ გამოიცნო ილ-ლაზის ჩანაფიქრი, თბილისის სანახებში მოსვლა და მას საკუთარი გეგმა დაუპირისპირა. მეფემ არაპირდაპირი მოქმედების სტრატეგია აირჩია, „არაპირდაპირი მოქმედების გზით მოწინააღმდეგის შეიარაღებული ძალების ბრძოლისუნარიანობის მოშლა, მისი მდგრადობის დარღვევა და ომის წარმოებისათვის მისი ნების პარალიზება“.<sup>29</sup> გეგმის მთავარი იდეა მტრის ისეთ ადგილზე შეტყუება იყო სადაც ის თავის რიცხობრივ უპირატესობას ვერ გამოიყენებდა. თვითანვე შეიძლება ითქვას, რომ მეფემ ეს ჩანაფიქრი ბრწყინვალედ შეასრულა. „დავითმა გააკეთა ის რასაც ლიდელ-ჰარტი ელასტიურ ქმედებას უწოდებს: აიძულა მოწინააღმდეგე გაეკეთებინა ისეთი მოძრაობა, რომელზეც დაიჭირა და მისი ძალისხმევა მის წინააღმდეგვე გამოიყენა“.<sup>30</sup>

<sup>26</sup> Гамильтон Гибб, Дамасские хроники крестоносцев. Москва. 2009 ст. 119 ([http://www.vostlit.info/Texts/rus3/Kalanisi\\_2/text13.phtml?id=12830](http://www.vostlit.info/Texts/rus3/Kalanisi_2/text13.phtml?id=12830))

<sup>27</sup> გ. ჯაფარიძე. ნუჯმ აღ-დინ ილლაზი, კრებულში დავით აღმაშენებელი თბ. 1990, გვ. 223.

<sup>28</sup> ს. კაკაბაძე. დიდგორის ბრძოლა, გვ. 105.

<sup>29</sup> კ. კაციტაძე. სტრატეგიის საფუძვლები. თბ. 2007, გვ. 340.

<sup>30</sup> კ. კაციტაძე. სტრატეგიის საფუძვლები, გვ. 352.

გ.ჯაფარიძე აღნიშნავს, რომ „ჩანს დავითმა გამოიყენა ის ტაქტიკური ხერხი, რომელიც საერთოდ უცხო არ იყო აღმოსავლეთის სამხედრო ხელოვნებაში, დამარცხების იმიტაციით გაათამაშა მტერი და შეიტყუა იქ, სადაც გენერალური ბრძოლის გამართვა მისთვის უფრო ხელსაყრელი იყო“.<sup>31</sup>

მოწინააღმდეგის შეტყუებაზე საუბრობს ს. მარგიშვილიც. მეცნიერის აზრით ეს „მარცხი“ და შემდეგ შეტყუება მიზნად ისახავდა მტრის დიდგორის ქედისკენ გატყუებას და ჩასაფრებაში შეყვანას.<sup>32</sup>

ჩვენ ვფიქრობთ, რომ დმანისის სანახებში მოხდა პირველი შეტაკება მუსლიმთა კოალიციურ ლაშქართან და „მარცხის“ გათამაშება. აქედან მოხდა მათი შეტყუება თრიალეთის მიმართულებით. ანუ სამხრეთიდან ჩრდილოეთის მიმართულებით. ჩვენი აზრით, გასათვალისწინებელია ერთი მომენტიც, ილ-ლაზი მხოლოდ იმ შემთხვევაში დაეღვენებოდა „დამარცხებულ და გაქცეულ“ ქართულ მხედრობას თუ დარწმუნდებოდა, რომ მის წინააღმდეგ იბრძოდა ქართველთა არა უმნიშვნელო ნაწილი, არამედ დავითის ჯარის უმეტესობა. დავით აღმაშენებელს ისე უნდა წარმოეჩინა ვითარება, თითქოს დმანისის სანახებში ბრძოლის გამართვა მისი უმთავრესი გადაწყვეტილება იყო და მისი მხედრობის ძირითადი ნაწილიც აქ იყო თავმოყრილი. ამიტომ ვფიქრობთ, შესაძლოა დმანისთან ბრძოლაში მონაწილეობა მიიღო საბრძოლველად შეკრებილი საქართველოს მხედრობის მნიშვნელოვანმა ნაწილმა. პირობითად 10-15 ათასმა კაცმა. ქართველები დმანისის სანახებში მყოფ მოწინააღმდეგეს დაესხნენ თავს. ბრძოლა ალბათ გაგრძელდა საათი, საათნახევარი და შემდეგ დათქმულ ნიშანზე ქართველებმა ბრძოლის ველი მიატოვეს და სწრაფად დაიხიეს უკან ჩრდილოეთით, თრიალეთის ქედის მიმართულებით. გარკვეული ხნის შემდეგ იმავე მიმართულებით დაიძრნენ მუსლიმებიც. უკანდახეულ ქართველთა ღვენისას მუსლიმთა კოალიციას შემოაღამდა და ბანაკი დასცა მანგლისსა და დიდგორს შორის. კოალიციური ლაშქრის მეწინავე ნაწილი, ილ-ლაზისა და ღუბეისის სარდლობით დიდგორის მიდამოებში დაბანაკდა. ჯარის დანარჩენი ნაწილი კი - მანგლისამდე არსებულ ტერიტორიაზე.

ნბერძენიშვილის, ივ.ჯავახიშვილისა და ს.ჯანაშიას ავტორობით დაწერილ საქართველოს ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოში ერთი საინტე-

---

<sup>31</sup> გ. ჯაფარიძე. საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო XII-XIII ს-ის პირველ მესამედში. თბ. 1995, გვ. 49.

<sup>32</sup> ს. მარგიშვილი. მითები და რეალობა დავით აღმაშენებლის მეფობის შესახებ (ომი სელჯუკთა სამყაროს წინააღმდეგ), გვ. 166.

რესო მოსაზრებაა - „მტრის ჯარმა სწრაფად იარა. მოულოდნელად შემოიჭრა საქართველოში, მხარმარჯვენე დატოვა თბილისი“.<sup>33</sup> დიდგორისკენ მოძრაობისას თბილისის მხარმარჯვენე დატოვება შეიძლება იმ შემთხვევებში თუ მიემართები სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ ან სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთისკენ. წარმოუდგენელია თბილისის მხარმარჯვენე დატოვება სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ მოძრაობისას (ასე იმოდრავება კოალიციური ლაშქარი თუ ის ჯავახეთიდან შემოვიდა თრიალეთში).

ილ-ლაზი გამოცდილი სარდალი იყო და მას ნებისმიერი მიმართულებით ვერ შეიტყუებდი (ვთქვათ დასავლეთ საქართველოს მიმართულებით). მუსლიმთა კოალიციის შესატყუებლად საჭირო იყო ისეთი ადგილის შერჩევა, რომელიც ილ-ლაზის თავდაპირველ ჩანაფიქრს ძალიან არ შეცვლიდა და ამავე დროს ეჭვიც არ გაუჩნდა ქართველთა სამხედრო ხრიკთან დაკავშირებით. თრიალეთი სწორედ ასეთი ადგილი იყო.<sup>34</sup> კიდევ ერთხელ მოვიტანო ნბერძენიშვილის მოსაზრებას, რომ „ქუეყანა თრიალეთისანი“ საქართველოს ისტორიულ წარსულში განსაკუთრებული მნიშვნელობის პროვინცია იყო. გეოგრაფიული ცენტრი, უმაღლესი ზეგანი, ოთხივე მხრით წყალგამყოფი ტერიტორია მის გარშემო მდებარე ქვეყნებს (ზემო, შიდა და ქვემო ქართლს) ბუნებრივად ჰყოფდა და აკავშირებდა“.<sup>35</sup> თრიალეთიდან შეიძლებოდა შეტევა თბილისი მიმართულებითაც და შიდა ქართლის მიმართულებითაც. ამას მეგზურები ალბათ ეტყოდნენ მუსლიმთა სარდალს. თუ ილ-ლაზი თრიალეთისკენ (მანგლის-დიდგორისკენ) უკანდახეულ ქართველთა მხედრობას დაეწყო და დაამარცხებდა მას გზა ხსნილი ექნებოდა ორივე მხარეს. მტრის შეტევა ფრიად მნიშვნელოვან სტრატეგიულ რეგიონში ძალიან თამამი, თუმცა ამავე დროს სახიფათო გადაწყვეტილება იყო და რაც მთავარია ალბათ სრულიად მოულოდნელი ილ-ლაზისთვის.

იყო სავარაუდოდ მეორე მომენტიც. დმანისიდან თბილისისკენ მიმავალი გზა გადაკეტილი ქონდა ქართულ მხედრობას. ისიც გავიხსენოთ, რომ სამშვილდე და რუსთავი ქართველებს ეპყრათ უკვე კარგა ხანია. ილ-ლაზს სურ-

<sup>33</sup> ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია. საქართველოს ისტორია. ნაწ. I. თბ. 1950, გვ. 184.

<sup>34</sup> ჩვენ არ ვეთანხმებით ს. მარგიშვილს, რომ გათამაშებული მარცხის შემდეგ შეტევა მოხდა კონკრეტულად დიდგორის ქედისკენ. ჩვენი აზრით ეს „მარცხი“ მოხდა უფრო ადრე და ითვალისწინებდა მოწინააღმდეგის თრიალეთში შეტყუებას.

<sup>35</sup> ნ. ბერძენიშვილი. გზები რუსთაველი ეპოქის საქართველოში, გვ. 66.

და საქართველოს ჯართან დიდი ბრძოლის გამართვა, მაგრამ ალბათ არა ქართველთა მიერ წინასწარ გამზადებულ და გამაგრებულ პოზიციებზე.

შესაძლოა გვეფიქრა, რომ თრიალეთისკენ დაძვრის შემდეგ ეგებ ილ-ლაზმა თავდაპირველ გეგმაში ცვლილება შეეტანა და შიდა ქართლის დაკავება სცადა, როგორც ამას ქართველ მეცნიერთა ნაწილი თვლის. მით უმეტეს თრიალეთიდან შიდა ქართლში რამდენიმე გზა გადადიოდა. „თრიალეთის მთებიდან გამოსული მდინარეები: ძამა, ტანა, თეძამი, კავთურა და ნიჩბისის წყალი მათი შენაკადებით ქმნიდნენ ხეობებს, რომლებიც შიდა ქართლს ბუნებრივად აკავშირებდნენ თორ-თრიალეთ-მანგლისთან. თორ-გუჯარეთი, თრიალეთი და მანგლისი კი გზასაყარი ქვეყნები იყვნენ, საიდანაც არაერთი მარშრუტი შიდა ქართლში შედიოდა სწორედ ამ ხეობებით ... თრიალეთ-მანგლისიდან შიდა ქართლში თეძამის ხეობით მომავალი გზები სამი სხვადასხვა პუნქტიდან გამოდიოდა: თეძამის სათავიდან, კლდეკარიდან და მანგლისიდან. პირველი მათგანი გამოივლიდა ჭვარებს, დედაციხეს, ხევლრძის მონასტერს, რკონის მონასტერს, რკონის ციხის რაიონში შემოდიოდა. მეორე მარშრუტი კლდეკარიდან სალომია-სამაჭალოზე ჩამოვლით რკონის ციხესვე ჩამოდიოდა. მანგლისიდან მესამე მიმართულება „გოსტბის თავს“ გამოივლიდა და იმავე რკონის ციხის რაიონში აღმოჩნდებოდა. ხეობიდან გასვალს ამ გზას „მაღალსა კლდესა ზედა, მაგარი, მდინარესა ზედა თეძამისასა“ ზენადრის ციხე უდარაჯებდა. აქედან გზა ხსნილი იყო დოესის მინდვრით გორისკენ (ქვახვრელი-უფლისციხისკენ) ან კიდევ ახალქალაქით თბილისისკენ. მეორე გზა რკონის რაიონიდან, ეს „ქვენადრის გზა“ იყო. ის მდინარე თეძამის მარჯვენა ნაპირზე იკვ-ჩაჩუბეთი-ქვენადრისზე გამოივლიდა და ერთაწმინდა-ახალქალაქში შემოდიოდა. თეძამის მარცხენა ნაპირით ფიცეს-საორბისზე მესამე გზა მიდიოდა ... შიდა ქართლიდან მანგლისისკენ გზები რამდენიმე მიმართულებით მიდიოდა. 1. ახალქალაქ-ცხირეთზე 2. მდინარე კავთურას ხეობით (თვალადი-წინარეხი-ბოტისიან, თვალადი-წინარეხი-ქვათახევი-ციხე კავთა). ნიჩბისის ხევით (ოხერა-ნიჩბისი-ციხე კავთა) და ძეგვის ხევით (ძეგვი-ხეკორძი-კოშკი). ციხე კავთა როგორც ჩანს კონტროლს უწევდა მანგლისიდან შიდა ქართლში მიმავალ მთავარ გზებს ნიჩბისზე და თვალადზე“.<sup>36</sup> ჩვენი აზრით, ილ-ლაზს საკუთარი თავდაპირველი განზრახვა არ შეუცვლია თრიალეთში შემოსვლის შემდეგ შიდა ქართლისკენ არ აუღია გზი. კოალიციური ლაშქრის მოძრაობის მარშრუტი მანგლისიდან დიდგორისკენ, სავარაუდოდ, იმაზე მი-

---

<sup>36</sup> ნ. ბერძენიშვილი. გზები რუსთაველი ეპოქის საქართველოში. გვ. 42; 48; 50.

უთითებს, რომ ილ-ლაზს ჯარი თბილისისკენ მოყავდა. მას თრიალეთიდან შიდა ქართლში გადასვლა რომ ნდომებოდა ეს მანგლისთან უნდა გაეკეთებინა და თეძმის თუ არა კავთურას ან ნიხბისისწყლის ხეობის მიმართულებით უნდა ემოძრავა, ანუ ჩრდილოეთისკენ წასულიყო და არა აშკარად აღმოსავლეთისკენ.

დავით აღმაშენებლის მემატანე წერს, „მოვიდეს თრიალეთს, მანგლისს და დიდგორთა.“ როგორ უნდა გავიგოთ მისი სიტყვები? ივ.შაიშველაშვილი თვლიდა რომ საუბარია სამ პუნქტზე: თრიალეთზე, მანგლისზე და დიდგორზე. „თურქების ლაშქარი ამ სამ რაიონში უნდა დაჯგუფებულიყო, სამივე ეს გეოგრაფიული მიკრორაიონი ძველთაგანვე ერთიანი დიდი სტრატეგიული მიმართულების ამოსავალ პოზიციას წარმოადგენდა“.<sup>37</sup> ჩვენ ვფიქრობთ, რომ მემატანეს სიტყვები შემდეგნაირად უნდა გავიგოთ: მტერი მოვიდა თრიალეთში, კუნკრეტულად კი მანგლისსა და დიდგორში. მანგლისი და დიდგორიც თრიალეთის „ქვეყანაში“ მდებარეობს.

ჩვენი აზრით, მუსლიმთა კოალიციის მოსვლა თრიალეთში მოხდა ილ-ლაზის თავდაპირველი გეგმის საწინააღმდეგოდ. ის დავითმა იძულებული გახდა თრიალეთში მისულიყო. აქედან ილ-ლაზს ნამდვილად შეეძლო შიდა ქართლში გადასვლა. რა მოხდებოდა თუ ის შიდა ქართლში გადავიდოდა? ააოხრებდა საქართველოს ერთ-ერთ ყველაზე ნაყოფიერ და ეკონომიკურად დაწინაურებულ მხარეს. დაიღუპებოდა მოსახლეობის ნაწილი და ზოგიც ტყვედ ჩავარდებოდა. თუმცა შეგვიძლია დავუშვათ, რომ მოსახლეობის უმთავრესი ნაწილი გახიზვნასა და დამალვას მოასწრებდა. გადაჭრიდა საკომუნიკაციო გზებს. ცხადია ეს სერიოზული ზარალი იქნებოდა საქართველოს სამეფოსთვის, მაგრამ მიუხედავად ყოველივე ამისა მაინც ვერ შეძლებდა თავისი მთავარი ამოცანის შესრულებას, თბილისისათვის საფრთხის მოხსნას. დავითს შეეძლო ბრძოლა არც მიეღო. რამდენი ხანი იქნებოდა ილ-ლაზი შიდა ქართლში? ადრე თუ გვიან მოუწევდა თბილისისკენ წამოსვლა. უბრალოდ დროს დაკარგავდა. ამიტომ ვფიქრობთ, რომ თრიალეთში მყოფმა ილ-ლაზმა უარი თქვა შიდა ქართლში გადასვლაზე და პირდაპირ თბილისისკენ დაიძრა. მუსლიმთა კოალიცია დასავლეთიდან უახლოვდებოდა თბილისს, ანუ მოძრაობდა მანგლისიდან თბილისისკენ, დიდგორის გავლით.

რა თქმა უნდა შესაძლებელია დავითის ისტორიკოსის სიტყვების - „მოვიდეს თრიალეთს, მანგლისს და დიდგორთა“- განსხვავებული ინტერპრე-

<sup>37</sup> ქ. ჩხატარაიშვილი, ივ. შაიშველაშვილი. დიდგორის ბრძოლა, გვ. 78.



ტაცია. შესაძლოა მტერი ერთდროულად მოვიდა მანგლისში და დიდგორში. თუმცა ჩვენ ვთვლით, რომ ამ შემთხვევაში მემატიანე გულისხმობს კოალიციური ლაშქარის ყოფნას მანგლისიდან დიდგორამდე არსებულ ტერიტორიაზე. ვფიქრობთ, რომ თბილისიკენ მოძრაობისას ილ-ლაზმა ბანაკი მანგლისა და დიდგორს შორის დასცა. ლაშქრის ავანგარდი კი, რომელსაც თავად ილ-ლაზი სარდლობდა დიდგორში იდგა.

რაც შეეხება ქართველთა ლაშქარს, ის მანგლის-დიდგორის სანახებში შიდა ქართლიდან უნდა ასულიყო მდინარეების: ნიჩბისიწყლის, კავთურასა და შესაძლოა თეძამის ხეობების გავლით. ნიჩბისიდან თითქმის პირდაპირ დიდგორზე გავიდოდნენ, ხოლო კავთურადან - მანგლისზე.

*Mikheil Bakhtadze*

Associate Professor,  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

## THE GOAL AND ROUTE OF THE MUSLIM COALITION ARMY DURING THE 1121 CAMPAIGN IN GEORGIA

### Summary

On 12 August, 1121, the coalition army headed by Najm ad-Din Ilghazi ibn Artuq suffered defeat from the Georgian troops under the command of King David IV Aghmashenebeli. Various questions arising in connection with the battle are still a subject of study. This time, I would like to focus on two issues: what was the goal of the coalition army and what was its route? The first question seems to be easy to answer: the goal was to defeat the Georgians. But we are interested what type of “defeat” was intended to be inflicted on the enemy? Was the objective of the invaders to defeat the king in a pitched-battle, to kill him or to occupy a certain part of Georgia? Could the enemy have some other intentions? I agree with S. Margishvili’s assumption that Ilghazi’s goal was the capture of Tbilisi, and he intended to secure Dmanisi and Ganja. To achieve the goal, the Muslims had to capture Georgian fortresses in the region, and they had to reduce Georgian military power.

Since very little information is available and the existing accounts are contradictory, it is difficult to define the route taken by the enemy. To solve the problem, several issues must be clarified. Did the regiments of the coalition army enter Georgia separately and unite later on, e.g. in Trialeti? I think that the Muslim coalition army entered Trialeti as one army. I can assume that Ilghazi moved from Kars in the direction of Ani. The most appropriate site for unification of the troops approaching from Ani and Ganja was Kvemo Kartli. The troops from Ani and Dvin probably united prior to entering to Georgia and were joined by military forces from Ganja. The coalition army had to be united somewhere near Dmanisi. If the Muslim coalition army united in Kvemo Kartli, why did it arrive in “Trialeti, Manglisi and Didgori”? One can assume that as soon as the enemy appeared at the south border of Georgia, spies provided King

David with information about the troop movement. David realized that Ilghazi's intentions were to approach the surroundings of Tbilisi. The Georgian king made changes to his initial plan and tried to lure the enemy into a battle site, which would be unfavourable for the invaders, giving them no way to use their numerical superiority over the Georgian army. In my opinion, the first battle with the coalition army took place in the environs of Dmanisi. The enemy was tricked into thinking that it defeated the Georgians and was then lured in the direction of Trialeti. As to the Georgian army, I assume that it arrived in the environs of Manglisi-Didgori via the Nichbistskali and Kavturi gorges, and probably Tedzami as well.

*გიორგი სოსიაშვილი*

პროფესორი,  
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

**ფავლენიშვილთა ურთიერთობა  
იერუსალიმის ჯვრის მონასტერთან**

შუა საუკუნეების განმავლობაში წმინდა მიწაზე არსებულ ეკლესია-მონასტრებთან ძალზე მჭიდრო კავშირი ჰქონდათ ქართველ დიდგვაროვნებს. იერუსალიმის საკანეთავან საქართველოში მცხოვრები წარჩინებული საგვარეულოები განსაკუთრებით ჯვრის მონასტერთან ურთიერთობდნენ, რასაც ქართული სულიერებისა და მწიგნობრობის ამ მძლავრ ცენტრში დაცული აღაპებიც მოწმობს. როგორც სულთა მოსახსენიებლების, ასევე, სხვა სახის დოკუმენტური, თუ ნარატიული წყაროებიდან ჩანს, რომ იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტერთან ძალზე ახლო ურთიერთობა ჰქონდათ ფავლენილთა ფეოდალური საგვარეულოს წარმომადგენლებს. XVI საუკუნის ბოლოს იერუსალიმში მოღვაწეობდა ქართველი ეპისკოპოსი (სავარაუდოდ, ნიქოზელი, თუ რატომ ამაზე ქვემოთ შევჩერდებით) ეპიფანე ფავლენიშვილი. პოლონელი ნ. ქრ. რადივილი და რუსი ვაჭარი ტრიფონ კორობეიკოვი აღნიშნავენ, რომ ქართველებს XVI საუკუნის ბოლოს წმინდა მიწაზე ორი ეპისკოპოსი ჰყავდათ. ერთი ჯვრის მონასტერში, ხოლო მეორე – გოლგოთაზე. კორობეიკოვის ინფორმაციით, 1584 წელს გოლგოთის ქართველი ეპისკოპოსი იყო ეპიფანე.<sup>1</sup> როგორც ე. მამისთვალიშვილი აღნიშნავს: „დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ორივე მოგზაური (იგულისხმებიან ზემოთ ნახსენები პოლონელი რადივილი და რუსი კორობეიკოვი – გ.ს.) ერთ ეპისკოპოსზე – ეპიფანეზე (ფავლენიშვილი) საუბრობენ. მას პირადად იცნობდა თბილელი ბარნაბა, რო-

---

<sup>1</sup> ე. მამისთვალიშვილი. საქართველო-იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან (XVI-XVII სს.). თბ. 2008, გვ. 27.

მელმაც იერუსალიმი მოილოცა 1570 წელს ურბნელ ვლასისთან ერთად<sup>2</sup>. ეპიფანეს იცნობდა და მასთან ერთად მოღვაწეობდა გოლგოთაზე შემდგომში გოლგოთას ეპისკოპოსი თეოდოსე მანგლელი (რევიშვილი). ისინი ერთად ყოფილან დიპლომატიური მისიით მოსკოვში, თუმცა სხვადასხვა მიზნებით. თეოდოსე კახთა მეფის ალექსანდრე II დავალებით ჩავიდა მოსკოვში იერუსალიმიდან, ხოლო ეპიფანე იერუსალიმის პატრიარქის თხოვნით გაემგზავრა სოფრონიუსის არქიმანდრიტთან, იერუსალიმის წმ. საბას მონასტრის მონაზვნებთან და ბერებთან ერთად ბორის გოდუნოვთან შესახვედრად. მათ რუს ხელმწიფეს მოწყალეობა სთხოვეს. ბორის გოდუნოვმა ისინი მიიღო. ქართველი ეპისკოპოსი 1598 წელს ბორის გოდუნოვის გარდაცვალების მომსწრეც გახდა.<sup>3</sup> როგორც აღინიშნა, იერუსალიმში მოღვაწე ქართველ ეპისკოპოსს ახლოს იცნობდა თბილელი მთავარეპისკოპოსი ბარნაბა. ბარნაბა ეპიფანე ეპისკოპოსს მის მიერ ნაჩუქარი წიგნის 211-212 გვერდებზე იხსენიებს. აღნიშნული წიგნის მინაწერში ვკითხულობთ: „სახელითა ღვთისათა... მე ცოდვილმან ტფილელ მთავარეპისკოპოსმან ბარნაბა (შევიწიე?) ნიქოზს საყდარსა ხატისა ღვთაებისასა სამკვიდრებელსა და სამარხოსა მამათა ჩვენთასა, რომელი ესე მიბოძა უფალმან ეპიფანე (sic – ეპიფანე?) ეპისკოპოსმან პატიოსნისა და ცხოველსმყოფელისა ჯუარისამან იერუსალიმელისამან. ხოლო შევიწიე მცირე ესე მსახურება...“<sup>4</sup> თ. ჟორდანიას თბილელი ბარნაბას მინაწერზე ასეთ კომენტარს აკეთებს: „ბარნაბა თფილელი, ფავლენოვი გვარად, იერუსალიმს იყო 1570 წელს, როგორც გვაუწყებს წარწერა ორს წიგნზე (იხ. ეს თხზულება 1570, 1038 და 1583 წ. ქვეშე) ერთად ურბნელ ვლასესთან და როგორც ეს წარწერა გვაუწყებს, ეს ხელნაწერი იერუსალიმიდან წამოუღიათ საქართველოში“<sup>5</sup>. როგორც ამ კომენტარიდან ჩანს, თ. ჟორდანიას თბილელ ბარნაბას გვარსაც (ფავლენოვი-ფავლენიშვილი) ასახელებს. ბარნაბა, რომ მართლაც ფავლენიშვილი იყო, ამას ადასტურებს წიგნზე მის მიერ გაკეთებული მინაწერი, სადაც ის ნიქოზის ღვთაების ტაძარს თავისი მამა-პაპის სამკვიდრებელს და სამარხს უწოდებს. ნიქოზი რომ ფავლენიშვილების სამკვიდრო იყო, ეს სხვა დოკუმენტებითაც დასტურდება. 1569 წლის დოკუმენ-

---

<sup>2</sup> ე. მაძისთვალიშვილი. საქართველო-იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 27.

<sup>3</sup> ე. მაძისთვალიშვილი. საქართველო-იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 27-28.

<sup>4</sup> ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული თედო ჟორდანიას მიერ. ტ. I. ტფ. 1892, გვ. 123-124.

<sup>5</sup> ქრონიკები. ტ. I, გვ. 124.

ტის მიხედვით, ფავლენიშვილებმა ნიქოზის ხატს სოფელი ნიქოზი შეწირეს. დოკუმენტში ფავლენიშვილები ნიქოზს თავიანთ სამკვიდრებელსა და სამარხს უწოდებენ: „წიგნი და სიგელი გავატარეთ და მოგართუით და ვუგულეთ ჩუენ თმოგველ-უჯარმელ-ფავლენისშვილთა, რობიამ, გარასპი, იოთამ და კ-დ იოთამ თქუენ და შესადრწუნებელსა და ცხოვრებისა ჩუენისა მცველსა და ზედა მდგომელსა... ხატსა ამალღებულსასა, ნიქოზოს: სამკვიდრებელსა და სამარხსა ჩუენთასა, მოგახსენეთ და შემოგწირეთ სოფელი, ზემო ნიქოზი, პირველადცა ღვთივ გკრგწნოსანსა მეფეთ მეფესა და მოწმესა ვახტანგ გურგასლანსა, სანატრელსა, აღმაშენებელსა წ-სა საყდრისა თქუენისასა შეეწირა სოფელი, ზემო ნიქოზი და სხუანიცა მრავალნი სამწყსონი და ადგილნი ყმათა სიგრძეთა და ვითარებისაგან მოშლოდეს ზოგი რომელიმე ჰქონდეს, კუ-ალად წ-სა ტაძარსა თქუენსა და რომელიმე ჩუენთა ნათესავთა გაეყო და თუის თუინად, დაეჭირა, ხოლო ჩუენ ახლად მოგუხედნა, მოწყალემან თქუენმან და აღგუხილნა თუალნი... მოგახსენეთ და შემოგწირეთ სოფელი ზემო ნიქოზი, ყოვლითა, მისითა სამართლიანითა და რაცა ჩუენ ზემო ნიქოზს სახასოდ გუქონდა“.<sup>6</sup> როგორც ჩანს, ფავლენიშვილები ამ დროისათვის კარგა ხნის დამკვიდრებულნი იყვნენ ნიქოზში (ორი საუკუნის წინ მაინც), რადგან ისინი, როგორც ითქვა, ნიქოზს სამკვიდროს და სამარხს უწოდებდნენ.<sup>7</sup>

დავუბრუნდეთ თბილელი მთავარეპისკოპოსის ბარნაბას მიერ საქართველოში ჩამოტანილი წიგნის მინაწერს. მინაწერში ბარნაბა ფავლენიშვილი საუბრობს მისი საგვარეულოს სამკვიდროსა და სამგალის ნიქოზის ღვთაების

<sup>6</sup> ს. კაკაბაძე. თმოგველთა გვარის ისტორიისათვის. ტფ. 1913, გვ. 6. აღნიშნული დოკუმენტი 1565 წლით აქვს დათარიღებული მ. სურგულაძეს (იხ. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. ტომი შეადგინა და ქართული ტექსტები გამოსაცემად მოამზადა მზია სურგულაძემ, სპარსული ტექსტები მოამზადა თამაზ აბაშიძემ. ტ. IV. თბ. 2016, გვ. 260.

<sup>7</sup> აღსანიშნავია, რომ 1532-1534 წ.წ. „მცხეთის დაკარგული მამულის“ ნუსხის მიხედვით, ფავლენიშვილები მამულს ფლობდნენ: ერედვში, ზაკვში (წყაროში მოხსენიებულია „ზაკვის“ ფორმით), ასევე, ტირინისში (იხ. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. ტ. IV, გვ. 136). „ანტონ I კათალიკოსის 1783 წლით დათარიღებულ სიგელში აღნიშნულია, რომ ფავლენიშვილთა გვარი მხარგრძელთა საგვარეულოდან მომდინარეობდა. გვარის ეს განშტოება, დასახელებული დოკუმენტის თანახმად, საიანიდან ფავნისში დამკვიდრებულა, შემდეგ კი სოფელ ერედვში (იხ. ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III. საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.). საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.). ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. თბ. 1970, გვ. 944). ფავლენიშვილთა საგვარეულო სამარხს წარმოადგენდა ზემო ნიქოზში არსებული ღვთაების ტაძარი. „მას ადასტურებს ტაძარში შემორჩენილი ეპიტაფიები (იხ. ი. მეგრელიძე. სიძველეები ლიახვის ხეობაში. ტ. I. თბ. 1986, გვ. 151). ფავლენიშვილთა გვარის ისტორიის შესახებ, ვრცლად იხ. გ. სოსიაშვილი, საქართველოს წარჩინებულ გვართა ისტორიიდან. თბ. 2008, გვ. 27-44.

ტაძრისადმი შეწირულობაზე. აქ ყურადღებას იქცევს ჩანაწერი: „მე ცოდვილ-  
მან ტფილელ მთავარეპისკოპოსმან ბარნაბა (შევეწირე?) ნიქოზს საყდარსა ხა-  
ტისა ღვთაებისასა სამკვიდრებელსა და სამარხოსა მამათა ჩვენთასა, რომელი  
ესე მიბოძად უფალმან ეპივან (sic – ეპიფანე?) ეპისკოპოსმან პატიოსნისა და  
ცხოველსმყოფელისა ჯუარისამან იერუსალიმელისამან. ხოლო შეიწირე მცი-  
რე ესე მსახურება“ ბარნაბას გარკვეული შესაწირი გაუღია ნიქოზის ტაძრი-  
სადმი. როგორ უნდა გავიგოთ სიტყვები? „ესე მიბოძადი უფალმან ეპივან?“  
სავარაუდოდ, ეპიფანემ იერუსალიმში მოღვაწე სასულიერო პირმა ჯვარის  
მონასტრის ეპისკოპოსმა (ე.ი. ჯვარის მამამ) მისცა კურთხევა და უფლება  
ბარნაბას, რომ ნიქოზის ტაძრისადმი მოწყალება გაეღო და „მცირე ესე მსა-  
ხურება“ ჩაეტარებინა. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეპიფანე (როგორც ე. მა-  
მისთვალიშვილი აღნიშნავს, ფავლენიშვილი) იერუსალიმში მოღვაწე ჯვრის  
მონასტრის ეპისკოპოსი, იგივე ჯვარის მამა, ნიქოზელი ეპისკოპოსიც იყო  
(XV საუკუნის II ნახევარში მოღვაწე დანიელ ნიქოზელის მსგავსად), სწო-  
რედ ამიტომ აიღო ბარნაბამ მისგან ნიქოზის ტაძარში წირვის ჩატარების ნე-  
ბართვა. ეპიფანე მოხსნიებულია ჯვრის მონასტრის სვინაქსარის ალაპში. თა-  
მაზ-ყოფილი თადეოზის სულის მოსახსენიებლად მისთვის ფულადი თანხა  
გადაუცია თამაზის ძმის, ვარაზ სურხანის შვილის, მიერ გაგზავნილ ფილიპე  
შაქარაშვილს. გაგზავნილი ფული გაუნაწილდა ჯვრის მონასტრის კრებულს,  
მათ შორის, თანხის ნაწილი, ორი ფლური, გადაეცა ეპიფანეს. „[თუესა დე-  
კენბერსა იგ] შეწვევითად ღ(მრთისა)თაი მოვიდა ფილიპე მ(ო)ნ(ა)ზონი  
იწ(რუსა)ლიმს მ(ო)ნ(ა)სტ(ე)რსა ჯ(უარის)ი პ(ა)ტიოს(ა)ნის(ა)სა. მოიტანად  
სურხანის შვილის ვარაზ(ი)ს გამოგზავნილი საერუსალიმო თეთრი თ(ა)ვის  
ძმის თამაზ-ყ(ო)ფ(ი)ლის თადეოზის ს(ა)ს(უ)ლიეროდ და მოგუაბარაი  
ჩ(უ)ენ, ჯ(უარ)ის მ(ა)მ(ა)სა და ერთობილთა ძმ(ა)თა და დათად, ასი ნაღდი  
ფლური, და გოლგოთას კანდელი დაუკიდეთ. ასრე, რომე უკუნისამდე დაუკ-  
სებ(ე)ლ(ა)დ ენთებოდეს და არავინ მოუშალოს; ოცდათურამეტ ფლურად  
წინდი დაიკსნა: სამი ბარძიმი, ერთი ფეშხუმი და ერთი თასი. ეს დაიხსნა  
თ(ა)მ(ა)ზის ს(უ)ლისათ(ვ)ს. ამ(ა)ს გარეთ სამი ფლური მ(ა)ტიანეშე ჩასაწე-  
რელ(ა)დ მოგუცა. ორი ფლ(უ)რი კ(ა)ტამონს მოაკმარად. ორი ფლ(უ)რი  
ჯ(უა)რის მ(ა)მ(ა)ს ს(ა)წირავად. ოთხთ მწირველთ-თითო ფლური. სხ(უა)დ  
ყ(ოვ)ლათ სამლოცველო დათა და ძმ(ა)თ(ა) ქ(ა)რთველთ(ა)თ(ჯ)ს თ(ჯ)ს(ა)დ

სამლოცველო თეთრი მოგუცა, სამი ალაპი ქნაი, ს(ა)მი ფლ(უ)რი შილას სა-  
ორმ(ო)ცოდ, ორი ფლ(უ)რი-ეპიფანეს საწირავად“.<sup>8</sup>

ე. მეტრეველის დაკვირვებით: „ფილიპეს იერუსალიმში დაუყვია წელი-  
წადნახევარი. ამგვარად „გოლგოთის სვინაქსარის“ 1567 წელი შაქარაშვილის  
იერუსალიმში ჩასვლისა და იქ ყოფნის პერიოდია. ჯვარის მონასტრის განსა-  
ხილველ ალაპში მოხსენიებულია აგრეთვე ეპიფანე, რომელიც ამ დროს ჯვა-  
რის მამა ყოფილა. ეს ჩანს შემდეგიდან: ალაპის დასაწყისში ზოგადად წერია,  
რომ ფილიპემ ორი ფლური მისცა ჯვარის მამას საწირავად. ჯვარის მამის  
სახელი აქ მოტანილი არ არის. ხოლო უფრო ქვემოთ, როდესაც დაწვრილე-  
ბითაა გადმოცემული ფილიპეს საქმიანობა, როგორც ალაპში ვნახეთ, ფილი-  
პემ ორი ფლური მისცა ეპიფანეს საწირავად. აშკარაა, რომ ზემოთ მოხსენი-  
ებული ჯვარის მამა, რომელმაც ორი ფლური მიიღო და ეპიფანე ერთი და  
იგივე პირია. მისი ჯვარის მამობა დადასტურებულია 1593 წელსაც (იხ.  
ჯვარის მამის ქრონოლოგია, გვ. 38).“<sup>9</sup> ეპიფანე, როგორც ჯვარის მამა,  
სხვა დოკუმენტებითაც არის ცნობილი. ჯვარის მონასტრის ხელნაწერთა ან-  
დერძში კითხულობთ: „ამა წიგნისა შემოსავსა პაპა იაკობს შეუნდოს ღმერ-  
თმან და შეძკაზმავსა ჯუარის მამა ეპიფანეს“. ე. მეტრეველის განმარტებით,  
ანდერძი დაწერილია 1584 წელს.<sup>10</sup> ეპიფანე სხვა დოკუმენტშიც იხსენიება.  
ეს არის იერუსალიმის №51 ხელნაწერზე არსებული ანდერძი: „მე...  
მღვდელ-მთავარმან და წმიდა ქალაქსა ივრუსალემსა კეთილად-მსახურთა და  
ღვთივ-დაცულთა მეფეთაგან წარმოგზავნილმან აქა წმიდასა და საუფლოთა  
სისხლითა მორწყულისა წმიდისა გოლგოთისა და... ჯუარის მამად და წინამ-  
ძღვრად ჩინებულმან უღირსმან ეპიფანე შევკაზმე წმიდა ესე... წიგნი ცხორე-  
ბად წმიდათა მამათა ჩუენთა“.<sup>11</sup> რუსი მოგზაურის, ტრიფონ კორობეინიკოვის,  
იერუსალიმში მეორე მოგზაურობის დროს, 1593 წელს, ე. მეტრეველის ვა-  
რაუდით, ეპიფანე ან გარდაცვლილია, ან გადამდგარია საეკლესიო თანამდე-  
ბობიდან.<sup>12</sup> ე. მეტრეველი ჯვარის მამების ქრონოლოგიური რიგის დადგენის  
დროს აღნიშნავს: „1570 წელს ჯვარის მამად ჩანს ბარნაბა. იერუსალიმის  
ერთ ხელნაწერს, რომელიც გ. ავალიშვილმა ჩამოიტანა იერუსალიმიდან,

<sup>8</sup> ე. მეტრეველი. მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI-XVII).  
თბ. 1962, გვ. 89.

<sup>9</sup> ე. მეტრეველი. მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, გვ. 147.

<sup>10</sup> ე. მეტრეველი. მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, გვ. 38.

<sup>11</sup> ე. მეტრეველი. მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, გვ. 37.

<sup>12</sup> ე. მეტრეველი. მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, გვ. 38.



აქვს 1570 წლით დათარიღებული ანდერძი, დაწერილი ხელნაწერის შემკაზმველის ვლასი ურბნელი მთავარეპისკოპოსისა და ბარნაბა თბილელი მთავარეპისკოპოსის მიერ (ჰ – 2336), ხოლო იერუსალიმის მეორე ხელნაწერის ანდერძში (№125 ცაგარლის კატალოგის მიხედვით, №38, ნ. მარის კატალოგით) თბილელი მთავარეპისკოპოსი ბარნაბა ამავე დროს ჯვარის მამად არის წოდებული. გ. ავალიშვილისეული ხელნაწერის მიხედვით, ბარნაბას ჯვარის მამობა XVI საუკუნის 70-იან წლებში უნდა ვივარაუდოთ<sup>13</sup>. ე. მეტრეველის ვარაუდს ეყრდნობა ე. მამისთვალისეულიც. როგორც მკვლევარი აღნიშნავს, XVI საუკუნის 70-იან წლებში ბარნაბა ერთსა და იმავე დროს იყო ჯვარის მამა და თბილისის მთავარეპისკოპოსი.<sup>14</sup> ჯვარის მამების ქრონოლოგიურ რიგში ე. მეტრეველსაც და ე. მამისთვალისეულსაც ეპიფანემდე ჯვარის მამად დასახებული ჰყავთ ბარნაბა. როგორც აღვნიშნეთ, თამაზ ყოფილი თადეოზის სახელზე დაწესებულ ალაპში მოხსენიებულ ეპიფანეს ე. მეტრეველი ჯვარის მამად მიიჩნევს. ეს ალაპი ფილიპე შაქარაშვილის იერუსალიმში ჩასვლის დროს ასახავს და როგორც „გოლგოთის სვინაქსარის“ ცნობიდან ირკვევა, ეს თარიღი 1567 წელია. ეპიფანე კიდევ ერთ ალაპშია მოხსენიებული. ეს არის ალაბეგის შვილის ისკანდერის სახელზე დაწესებული ალაპი: „ამასვე დღესა წირვა და (ა)ლაპი საუკუნო ძმისა ჩ(უე)ნისა ისკანდარისი, ალაბეგას შვილისა. რარიგადცა მონასტერსა ძალ-უღვას, ძმათათ(უ)ს კარგი ტრაპეზე შეიმზადებ(ო)დეს ყ(ო)ვლითა წარსაგებ(ე)ლითა, თუთ მ(ა)მა ჯ(უა)რისა, და რ(ა)მდონიც მდღელნი იყუნენ, ჟამსა უწირევედენ. ამისა დაკლებ(ა)დ ნუ ვინ იკადრებთ, რ(ა)თა არა ბრალეულ იქმნეთ. ვიდ(რემდ)ის ესე მონასტერ ეგოს, თუ ორნიცა ქართველნი იყვნ(ე)ნ, ნუ დააკლებენ, რამეთუ დიდსა შეჭირვებში ვიყვნით, ვენაჭი და რაც საყდრის იარაღი არის, ყვალა ამანათად იყო. ამან [და]იკისნა, რვაასი დუკატი დახარჯა. და გაუჩინეთ ალაპი დაუკლებელი და [ო]რი კანდელი დაუვსებ(ე)ლი დაუკიდეთ. ერთი გ(ო)ლგ(ო)თას კლდის გ(ა)ნხეთაზედა და [ე]რთი ჯ(უარ)ის თვალზე(ე)და. ესე გაუჩინეთ მე, ჯ(უარ)ის მ(ა)მამ(ა)ნ ეპიფანე, და ძმათა ყ(ოველ)თა ჩ(უე)ნისა [მ]ონასტრის(ა)თა. გ(ა)მთავებ(ე)ლნი ამისნი აკურთხნეს ღმერთმან კურთხევით მით აბრამიანითა და... იგი ჩ(უე)ნ ყ(ოველ)ნი, ა-ნ“<sup>15</sup>.

ე. მეტრეველის დასკვნით, ეპიფანეს ჯვარის მამობის წლებია 1567-

---

<sup>13</sup> ე. მეტრეველი. მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, გვ. 37.

<sup>14</sup> ე. მამისთვალისეული. საქართველო-იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 174.

<sup>15</sup> ე. მეტრეველი. მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, გვ. 103.

1593. აქ ერთგვარ წინააღმდეგობას ვაწყდებით. თუ თბილელი ბარნაბა XVI საუკუნის 70-იან წლებში ჯვარის მამა იყო, მაშინ ეპიფანე 1567-1593 წლებში ბარნაბას ჯვარის მამობის დროს იერუსალიმის ქართველთა მონასტრის წინამძღოლი ვერ იქნებოდა. ჩვენი აზრით, არ არის გამორიცხული, რომ ბარნაბამ მცირე ხნით ეპიფანე, თავისი სახლისკაცი, შეცვალა. როგორც ზემოთ ითქვა, ეპიფანე დიპლომატიურ მოღვაწეობასაც ეწეოდა. ის ბერძენი პატრიარქის დავალებით რუსეთის მეფეს – ბორის გოდუნოვსაც ეწვია. ე. მამისთვალიშვილის დაკვირვებით, 1598 წელს ეპიფანე და მისი მხლებლები ბორის გოდუნოვის გარდაცვალებასაც შეესწრნენ.<sup>16</sup> რუსმა მოგზაურმა ტრიფონ კორობეინიკოვმა აღდგომის ეკლესიაში ჯვარცმის ეკვდერს შესაწირი გადასცა. მოგზაურს, როგორც ე. მეტრეველი განმარტავს, ფული მიუცია ქართველთა სამლოცველოს წინამძღვრისათვის, რომელიც მოგზაურის ინფორმაციით ეპიფანეს მაგივრობას წევდა. ეს ფაქტი 1593 წელს მოხდა. ე. მეტრეველი, როგორც ზემოთაც მივუთითებდით, თვლიდა, რომ 1593 წელს ეპიფანე გადამდგარი, გარდაცვლილი, ან დროებით წასული იყო იერუსალიმიდან.<sup>17</sup> თუ ეპიფანე 1598 წელს რუსეთში იყო, მაშინ ის 1593 წელს ჯერ კიდევ ცოცხალია და დიპლომატიური საქმიანობიდან გამომდინარე დროებით დატოვილი აქვს ჯვრის მონასტრის წინამძღოლობა. შესაძლოა, სწორედ ასეთ ფაქტს ჰქონდა ადგილი XVI საუკუნის 70-იან წლებში. იგი დროებით ბარნაბა ფავლენიშვილმა შეცვალა. ხოლო მცირე ხნის შემდეგ, როგორც კი ეპიფანე იერუსალიმს დაუბრუნდა, ბარნაბამ წმინდა მიწა დატოვა და საქართველოს დაუბრუნდა. ბარნაბა ფავლენიშვილი XVI საუკუნის II ნახევრის არაერთ დოკუმენტში იხსენიება, როგორც სამეფო კარის წინამძღვარი და საბუთების დამწერი.<sup>18</sup> 1566 წლით დათარიღებული დოკუმენტი: „შეწირულობის წიგნი სვიმონ მეფისა სვეტიცხოვლისადმი“, თბილელი მთავარეპისკოპოსის – ბარნაბა ფავლენიშვილის – ხელით არის დაწერილი.<sup>19</sup> თბილელი მიტროპოლიტი, მთავარეპისკოპოსი ბარნაბა გვხვდება 1580 წლით დათარიღებულ რამდენიმე დოკუმენტშიც. ბატონიშვილის რამაზ ყოფილის რომანოზის მიერ ქვათახევის მონასტრისათვის ბოძებულ სიგელში ბარნაბა იხსენიება, როგორც ტფილელი მთავარეპისკოპოსი. რამაზ ყოფილის სიგელი სწო-

<sup>16</sup> ე. მამისთვალიშვილი. საქართველო-იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 28.

<sup>17</sup> ე. მამისთვალიშვილი. საქართველო-იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 38.

<sup>18</sup> ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. ტ. IV, გვ. 276.

<sup>19</sup> ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. ტ. IV, გვ. 263.

რედ მას დაუწერია.<sup>20</sup> ბარნაბა გვხვდება, ასევე, ტფილისის სიონისადმი 1580 წელს იოთამ ჯავახიშვილის მიერ ბოძებულ სიგელშიც.<sup>21</sup> ჩვენი აზრით, საქართველოში დაბრუნებულმა ბარნაბამ ეპიფანე ჯვარის მამის ლოცვა-კურთხევით ნიქოზის ტაძარს (მისი და ეპიფანეს საგვარეულო სამკვიდრებელს და საძვალეს) ეპიფანეს მიერ ბოძებული წიგნი გადასცა და მცირე მსახურებაც ჩაატარა.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ XVI საუკუნის II ნახევარში ფავლენიშვილთა საგვარეულოს ორი მნიშვნელოვანი საეკლესიო მოღვაწე ჰყავდა. ეპიფანე და ბარნაბა, რომელთაც აქტიური ურთიერთობა ჰქონდათ წმინდა მიწაზე არსებულ ქართველთა ჯვრის მონასტერთან. ბარნაბა ფავლენიშვილი თბილელი მთავარეპისკოპოსი და მცირე ხნით ჯვარის მამა იყო. იერუსალიმის ამ დიდ სავანეს წინამძღვრობდა ასევე მისი სახლისკაცი ეპიფანე, რომელიც, სავარაუდოდ, ჯერ ნიქოზის ეპარქიას უდგა სათავეში, შემდეგ კი წმინდა მიწაზე გააგრძელა საქმიანობა და ჯვარის მამა გახდა. ის სასულიერო მოღვაწეობასთან ერთად დიპლომატიურ საქმიანობასაც ეწეოდა.

---

<sup>20</sup> ისტორიული საბუთები ს. კაკაბაძის გამოც. წ. IV, ტფ. 1913, გვ. 77.

<sup>21</sup> ისტორიული საბუთები ს. კაკაბაძის გამოც. წ. IV, გვ. 77-78.

*Giorgi Sosiashvili*

Professor,

Gori State Teaching University, Georgia

**RELATIONS OF PAVLENISHVILIS WITH THE MONASTERY OF  
THE CROSS OF JERUSALEM**

Summary

In medieval period many Georgian noble houses had close ties with the churches and monasteries in the Holy Land. Most notably, the noble houses were linked with the Monastery of the Cross in Jerusalem, which is attested in the funeral repast documents kept in this powerful centre of spirituality and knowledge. Apart from the information in the funeral repast documents, we encounter other documented and narrative sources which prove the relations of the Pavlenishvili noble house with the Monastery of the Cross. During the second half of the 16<sup>th</sup> century the Pavlenishvili noble house had two important ecclesiastical figures: Epiphane and Barnaba. Both who had close relations with the Monastery of the Cross. Barnaba Pavlenishvili was the archbishop of Tbili and he had also served as the “Father of the Cross” (i.e. bishop of the Monastery of the Cross) for some time. Epiphane, a relative of his, also headed the monastery, but first supposedly had served as a head of Nikozi Eparchy. Later on he became a bishop and then the “Father of the Cross” in Jerusalem. On top of his ecclesiastical duties, Epiphane also conducted diplomatic work.

*ემილ ავდალიანი*  
ისტორიის დოქტორი, თსუ

### პირველი ქართული რეკლამა

თანამედროვე პერიოდში წარმატებული ბიზნესის წარმოების ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი კარგი რეკლამის გაკეთებაა. დღევანდელ საქართველოში რეკლამის გამოყენების იდეა ფართოდ არის გავრცელებული, თუმცა, როგორც იქნება ნაჩვენები, ეს არ არის მხოლოდ საქართველოს პოსტ-საბჭოთა პერიოდისთვის დამახასიათებელი. XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე საქართველოში ფართოდ ვითარდებოდა სარეკლამო ბიზნესი და ყოველი მეწარმე ცდილობდა ყურადღება მიექცია საკუთარი პროდუქციისა თუ მომსახურებისთვის გაზეთებში საინტერესო რეკლამების განთავსებით.

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე საქართველოში სარეკლამო ბიზნესისა და განსაკუთრებით საგაზეთო რეკლამების განცხადებების განვითარების შესახებ საკმაოდ ცოტა რამ არის ცნობილი. მკვლევარებმა აღნიშნული საკითხით ეხლაზნანს დაიწყეს დაინტერესება. ხშირია ცალკეული ინტერვიუები, ვიდრე ბლოგები ან ინტერნეტში დაუძომებელი ინფორმაციის განთავსება. ეს კარგად ასახავს იმ მდგომარეობას, რომ რამოდენიმე მცირე გამონაკლისის გარდა,<sup>1</sup> პირველ ქართულ რეკლამაზე საკმაოდ ცოტა რამ არის შექმნილი აკადემიური კუთხით. შესაბამისად, დღეს არსებობს იმის საჭიროება, რომ აღნიშნულ საკითხს მეტი ყურადღება მიექციოს და შეისწავლოს ის ძირითადი მახასიათებლები, რომელიც თან სდევდა ქართულ საგაზეთო რეკლამას XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან.

---

<sup>1</sup> თ. მღებრიშვილი. ქართული საგაზეთო რეკლამის ისტორიიდან. კავკასიოლოგიური ძიებანი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, კავკასიოლოგიის ინსტიტუტი. ტ. XI. თბ. 2011, გვ. 373-380; კ. ბარამია. ქართული რეკლამის ისტორიიდან.. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტისა და მსოფლიო ისტორიის ინსტიტუტის ახალგაზრდა ისტორიკოსთა შრომები. №3. თბ. 2016, გვ. 68-76.



პირველი ქართული სასოფლო-სამეურნეო ორკვირეული ჟურნალი „გუთნის დედა“ (1861 წ.)

ამ სტატიაში რამოდენიმე ქართული გაზეთის მაგალითზე განხილული იქნება პირველი ქართული ბეჭდური რეკლამის მახასიათებლები. რამდენ ძირითად ნაწილად შეიძლება რეკლამების სახეობების დაყოფა, რა იყო რეკლამების განთავსების ფასები და, რაც მთავარია, რამდენად შეიძლება იმდროინდელი რეკლამების რაოდენობისა და ხარისხის გამოყენება საქართველოს მოსახლეობის ეკონომიკური კეთილდღეობის საზომად.

XIX საუკუნის საქართველოში, ისევე როგორც რამოდენიმე საუკუნის წინ ევროპაში, რეკლამის განვითარებას ხელი შეუწყო ბეჭდურმა მედიამ. თავდაპირველად გაზეთები გამოიყენებოდა რიგითი პოლიტიკური, სოციალური თუ კულტურული მოვლენების აღსაბეჭდათ. თუმცა XIX საუკუნის მეორე ნახევარში მკაფიოდ იკვეთება გაზეთებში რეკლამების განთავსების ტენდენცია.

პირველი ქართული ბეჭდური რეკლამა 1861 წელს გამოჩნდა პირველ ქართულ სასოფლო-სამეურნეო ორკვირეულ ჟურნალ „გუთნის დედაში“, სადაც აღწერილი იყო გუთნის დედა, რომელსაც თან ახლდა ანოტაცია მოხმარების შესახებ. ასევე, იმპორტული საქონელის ფოტოებიც იყო მოყვანილი: დღეში ცხრა თუნგის მომწველი ფლამანდრული ძროხა.<sup>2</sup>

მოგვიანო პერიოდში, მაგალითად გაზეთ „ივერიის“ (1877-1906 წწ.) გვერდებზე, უამრავ მასალას ვაწყდებით იმდროინდელი საქართველოს ყოველდღიურ ცხოვრებაზე გამოქვეყნებული განცხადებებისა და რეკლამების მეშვეობით. რეკლამების უმრავლესობა შეეხებოდა მომსახურების სფეროს, სხვადასხვა პროდუქციის იმპორტსა და ადგილობრივ წარმოებას.

დავიწყოთ მომსახურების სფეროთი სადაც იმდროინდელი ტფილისის სასტუმროების რეკლამები ჭარბობდა. მათგან ერთ-ერთი პირველი იყო თანამედროვე რუსთაველის გამზირის №19-ში მდებარე „საბაღური“.

სასტუმროს აღწერა არ გამოირჩეოდა განსაკუთრებული დეტალების გადმოცემით, თუმცა, ამისგან განსხვავებით, სასტუმრო „პურ-ღვინოს“ აღწერილობა ბევრად მეტ დეტალს იძლევა: „ორი თავი საჭმელი (ორჯერადი კვება – ე. ა.) ჰლირს თვეში 12 მან. სამი თავი - 18 მან. ღვინითა, არყითა და ყავით მსურველებთან განსაკუთრებული და მეტად სახიერო პირობებით შეიძლება მორიგება“.<sup>3</sup>

<sup>2</sup> ჟურნ. „გუთნის დედა“. №1. 1861, გვ. 1.

<sup>3</sup> გაზ. „ივერია“. №179. 1894, გვ. 1.

№ 29  
20 ივლისი

# იმერია

1909 წ.



---

**სალიტერატურო და საკომიტეტო გაზეთი გამომდის ორგვანოში**

რედაქციის ადრესი: Тифлис, Гановская ул. № 6. И. И. Туманов.

**ცხელი - იმერია** - გვთავსობით, ცალკე წიგნებს და წიგნებს, რომელთა შორის: მთელი იმერია და მთელი საქართველო. მთელი იმერია და მთელი საქართველო. მთელი იმერია და მთელი საქართველო.

რუს. 1000 კ. მ. რუს. 1000 კ. მ. რუს. 1000 კ. მ.

**ბუხგალტერია**

მთელი საქართველო, მთელი საქართველო, მთელი საქართველო.

№ 29 ივლისი 1909 წ.

მთელი საქართველო, მთელი საქართველო, მთელი საქართველო.

№ 29 ივლისი 1909 წ.

**ბალირისტორანი**

ИОРАНЕИ (საბრძანებელი)

ბალირისტორანი, ბალირისტორანი, ბალირისტორანი.

**ბაილო**

**კაფოლოლონი**

ბაილო, კაფოლოლონი, ბაილო, კაფოლოლონი.

**ბაილო**

**კაფოლოლონი**

ბაილო, კაფოლოლონი, ბაილო, კაფოლოლონი.

**ბაილო**

**კაფოლოლონი**

ბაილო, კაფოლოლონი, ბაილო, კაფოლოლონი.

**სანათორიუმი**

სანათორიუმი, სანათორიუმი, სანათორიუმი.

**გაზეთი „იმერია“**

გაზეთი „იმერია“, გაზეთი „იმერია“, გაზეთი „იმერია“.

**გაზეთი „იმერია“**

გაზეთი „იმერია“, გაზეთი „იმერია“, გაზეთი „იმერია“.

### გაზეთ „იმერია“ ერთ-ერთი ნომრის პირველი გვერდი

საინტერესოა 1890-იან წლებში ტფილისში, თანამედროვე რკინიგზის სადგურის მახლობლად მდებარე სასტუმრო „ბაზა“-<sup>4</sup> რეკლამა გვამცნობს, რომ ოთახების ფასი მერყეობდა დღეში 60 კაპიკიდან 1,5 მანეთამდე.<sup>5</sup>

<sup>4</sup> გაზ. „იმერია“. №145. 1899, გვ. 1.  
<sup>5</sup> გაზ. „იმერია“. №145. 1899, გვ. 1.



პირველი ქართული რეკლამები მაქსიმალურად პოზიტიური და იუმორისტული იყო. ერთერთი რესტორნის მეპატრონემ თავის რესტორანს „ინტელიგენტური“ დაარქვა. „ლალიდის წყლების“ რეკლამა შემდეგნაირად ჟღერდა: „თუ გინდა იყო ლამაზი ქალი, უნდა დალიო ლალიდის წყალი“. მოგვიანო პერიოდში „ლალიდის წყლებმა“ კიდევ ერთი სარეკლამო ფრაზა შეიმუშავეს: „მოითხოვე ყველგან, ერიდე სიყალბეს“. ერთ-ერთი ბრილიანტების მაღაზიის რეკლამა განსაკუთრებით საინტერესოდ ჟღერდა: „მალე ვიკეტებით, ამიტომ გვაქვს ფასდაკლება“.

რეკლამა უკეთდებოდა ასევე უცხოურ ნაწარმსაც: ფეხსაცმელებს, ე. წ. საკერავ და სათიბ მანქანებს, თერძებს და ა. შ. სარეკლამო ტექსტები კი დაახლოებით ასეთი შინაარსის იყო: „ფასები შეუვაჭრებლად“, „სლავიანსკი ნომრები როგორც ოჯახისთვის, ისე უცოლშვილოებისთვის“.

უცხოური პროდუქციის რეკლამებში ისევ გაზეთი „ივერია“ გამოირჩეოდა. მაგალითად, ცნობილი „ესტლე“-ს რეკლამა მყიდველს რძის ფხვნილს სთავაზობდა.<sup>6</sup> იმპორტულ პროდუქციაზე საუბარს დავასრულებთ ერთი საინტერესო რეკლამით, რომელიც ჰიგიენას ეხებოდა და მკითხველს სთავაზობდა სადეპილაციო საშუალებას 2,5 მანეთად. ხელსაწყო დამზადებული იყო გერმანიაში, ქალაქ ფრანკფურტში.<sup>7</sup> ასევე გვხვდებოდა პროვიზორ იურგენსის ჰიგიენური ბორნო-ტიმოლის საპონი, რომელიც აქრობდა ჭორფლს, ნასიცხს, სხვადასხვა ლაქებსა და ოფლს.<sup>8</sup>

როგორც იმდროინდელი ტფილისური გაზეთებიდან ჩანს, მომსახურების სფერო საკმაოდ დიდ ადგილს იკავებდა ქალაქში. 1890-იანი წლების ტფილისში ასევე იყო სადაზღვევო მომსახურებაც. მაგალითად, იყო ერთი ფრანგული სადაზღვევო კომპანია „ურბენი“, რომელიც 1889 წლიდან შევიდა რუსეთის იმპერიის ბაზარზე. ამ კონკრეტულ შემთხვევაში „ურბენი“ მომხმარებელს სთავაზობდა სიცოცხლის დაზღვევას.<sup>9</sup>

იმავე წელს ისევ გაზეთ „ივერიაში“ იყო გამოქვეყნებული კიდევ ერთი სადაზღვევო კომპანია „იაკორის“ რეკლამა. მას „ურბენისგან“ განსხვავებით მოქმედების უფრო ფართო არეალი გააჩნდა. კომპანია ასევე აზღვევდა ხანძრისგან მიღებულ ზარალს.<sup>10</sup>

<sup>6</sup> გაზ. „ივერია“. №262. 1888, გვ. 4.


<sup>7</sup> გაზ. „ივერია“. №15. 1891, გვ. 4.

<sup>8</sup> გაზ. „ივერია“. №83. 1900, გვ. 4.

<sup>9</sup> გაზ. „ივერია“. №142. 1894, გვ. 4.

<sup>10</sup> გაზ. „ივერია“. №151. 1894, გვ. 4.

თუმცა, სავარაუდოდ, ყველაზე ფართო დაზღვევა „როსიას“ გააჩნდა, რომლის „ივერიის“ ფურცლებზე შემოთავაზებულ მრავალპუნქტიან პაკეტში სიცოცხლის და ხანძრისგან დაზღვევა ერთ-ერთ მთავარ უპირატესობას წარმოადგენდა.<sup>11</sup> ასევე აღსანიშნავია სანქტ-პეტერბურგის სადაზღვევო კომპანია „ნადეჟდას“ შემოთავაზებები ქართული მოსახლეობისათვის. კომპანია სხვადასხვა სახის ტვირთის დიდ მანძილზე გაგზავნისას ხელსაყრელ დაზღვევას უზრუნველყოფდა.<sup>12</sup>



### ერთ-ერთი სადაზღვევო საზოგადოების რეკლამა

საინტერესოა როგორ გამოიყენებოდა რეკლამა ქალაქში გავრცელებული არასწორი ინფორმაციის აღმოსაფხვრელად. მაგალითად, როდესაც კინემატოგრაფია იქმნებოდა, რასაც საზოგადოება შიშით შეხვდა თავიდან, გავრცელდა ჭორი, რომ ფილმის ყურება თვალებს ატკიებდა. ერთ-ერთი რეკლამა კი ამტკიცებდა, რომ სცენები „თვალებს არ ატკიებს“.

სარეკლამო განცხადებების მნიშვნელოვანი ნაწილი საქართველოში დამზადებულ თუ იმპორტირებულ როგორც საკონდიტრო და სამეურნეო სა-

<sup>11</sup> გაზ. „ივერია“. №137. 1895, გვ. 4.  
<sup>12</sup> გაზ. „ივერია“. №13. 1903, გვ. 1.

ქონელს, ასევე მუსიკალურ ინსტრუმენტებს შეეხებოდა. რეკლამა დაინტერესებულ პირებს სხვადასხვა სასწავლო კურსზე იწვევდა. მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქართული წარმოების სხვადასხვა სასმელის რეკლამებს და ინფორმაციებს სხვადასხვა ჰიგიენური საშუალებების შესახებ.

განსაკუთრებით საინტერესოა ის ცნობები, რომლებიც გვაძლევს ინფორმაციას იმ წიგნებსა თუ ჟურნალ-გაზეთებზე, რომლებიც ამ პერიოდში იბეჭდებოდა და იყიდებოდა საქართველოსა და მთელი რუსეთის იმპერიის ფარგლებში. ხშირი იყო სომხური ჟურნალ-გაზეთების განცხადებები.<sup>13</sup> უბრალო განცხადებებით ვგებულობდით, თუ საქართველოს რომელი კუთხის რომელ წიგნების მაღაზიაში იყიდებოდა ახლად გამოსული ნაშრომები. ეს ელემენტარული განცხადებები იმითაც გამოირჩევა, რომ ერთ-ერთი პირველი არიან, რომლებიც იბეჭდებოდა 1877 წელს ჯერ კიდევ ყოველკვირეულ გაზეთ „ივერიაში“.<sup>14</sup> გაზეთები გამოიყენებოდა ასევე თეატრალური აფიშების გავრცელებისთვის.

საინტერესოა სხვადასხვა სასწავლებლების – პანსეონებისა და პროგიმნაზიების – რეკლამები. გაზეთ „ივერიაში“ ვხდებით განცხადებას „სასწავლებელი და პანსეონი ჯორჯიკაისი“. რეკლამიდან ირკვევა, რომ ეს სასწავლებელი ერთგვარ მოსამზადებელ დაწესებულებას წარმოადგენდა მათთვის ვისაც სურდა სხვა სასწავლებლებში გაეგრძელებინათ სწავლა.<sup>15</sup> მრავალი იყო კერძო მასწავლებლების და სხვადასხვა ცენტრების არსებობა, რომლებიც რამოდენიმე საგანში მოამზადებდნენ ბავშვებს.<sup>16</sup>

მრავალფეროვანი იყო „ივერიის“ ფურცლებზე ტფილისში კერძო ექიმებზე გამოქვეყნებული რეკლამები. მაგალითად, მრავალი თვის განმავლობაში გვხვდებოდა შემდეგი რეკლამა: „პირველი კერძო სამკურნალო ექიმი ნავასარდიანისა“.<sup>17</sup> ასევე რეკლამირებული იყო „თფილისის კერძო სამკურნალო მკურნალის მიხეილ გელევანიშვილისა“. ირივეგან შეიძლება ვენერული, ყელ-ყურ-ცხვირის და სხვადასხვა დაავადებების მკურნალობა. მომსახურების ფასი ერთ შემთხვევაში 10 შაური იყო, ხოლო, რაც ყველაზე საინტერესოა, ღარიბებისთვის კი უფასო.<sup>18</sup> კიდევ ერთი ექიმი გრძელიშვილი ასევე იღებდა

<sup>13</sup> გაზ. „ივერია“. №259. 1886, გვ. 4.

<sup>14</sup> გაზ. „ივერია“. №3. 1877, გვ. 16; გაზ. „ივერია“. №6. 1877, გვ. 16.

<sup>15</sup> გაზ. „ივერია“. №162. 1893, გვ. 1.

<sup>16</sup> გაზ. „ივერია“. №30. 1903, გვ. 4; გაზ. „ივერია“. №42. 1903, გვ. 4.

<sup>17</sup> გაზ. „ივერია“. №212. 1894, გვ. 4.

<sup>18</sup> გაზ. „ივერია“. №212. 1894, გვ. 4.

„ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფებს“.<sup>19</sup>

ქართული ნაწარმი არც თუ ისე ხშირად გვხვდებოდა „ივერიის“ ფურცლებზე და თუ ეს ხდებოდა, პროლექცია, ძირითადად, ღვინის, კონიაკის<sup>20</sup> ან სიგარეტის წარმოებას ეხებოდა. მაგალითისთვის აღსანიშნავია „კახური ღვინის საწყობი ზაქარ იოსების ძის სიმონოვისა“. განცხადებიდან ვგებულობთ, რომ მომმარაგებლები სოფელ ზემო ზოდაშნიდან იყვნენ და ერთი ბოთლის ფასი 30 კაპიკიდან 1 მანეთამდე მერყეობდა.<sup>21</sup> „პატარა კახის“ სახელით იყიდებოდა კახური ღვინოები და ფასი 15 კაპიკიდან იწყებოდა.<sup>22</sup> მრავლად გვხვდება თამბაქოსა და სხვადასხვა ზეთიანი საღებავების რეკლამები. მაგალითად, ცნობილი თამბაქოს მწარმოებელი, ტფილისელი ნიკოლაი ბოზარჯიანცი გაზეთებს იყენებდა არა მარტო საკუთარი ნაწარმის პოპულარიზებისთვის, არამედ ცრუ ინფორმაციასთან და არალეგალურ თამბაქოსთან საბრძოლველად. მაგალითად, 1883 წლის 24 სექტემბერს გამოქვეყნდა ბოზარჯიანცის განცხადება, სადაც მწარმოებელი აღნიშნავდა, რომ ბევრი თამბაქოს ფაბრიკანტი ყალბ სახვევებს ამზადებდა და რომ ამიერიდან „ყველანაირი თამბაქო და პაპიროსები ჩემის ფაბრიკისა გამოვლენ ამავე ნიშნით (ნიშანი 10-შტუკიანი პაპიროსის გასახვევად – ე. ა.)“.

რეკლამების განხილვის შემდეგ ნათელია, რომ მათი უმრავლესობა გაზეთის ბოლოს, ძირითადად, მე-4 გვერდზე იყო განთავსებული, რადგან მანდ გამოქვეყნების ფასი ერთი სტრიქონი 8 კაპიკი ღირდა.<sup>23</sup> პირველ გვერდზე რეკლამის განთავსება ერთი სტრიქონი 16 კაპიკს უდრიდა. სრული მეოთხე გვერდის დაკავების შემთხვევაში ფასი მთელ 16 მანეთს აღწევდა. თუმცა ესეც არ იყო რეკლამების განთავსების ფასის ლიმიტი. ასე, მაგალითად, „ივერიის“ სრული პირველი გვერდის დაკავების შემთხვევაში, კლიენტს უნდა გადაეხადა მთელი 60 მანეთი!<sup>24</sup>

გაზეთ „ივერიაში“ განთავსებული რეკლამების ანალიზი კიდევ ერთი საინტერესო დასკვნის გამოტანის საშუალებას გვაძლევს. ისევე როგორც თა-

<sup>19</sup> გაზ. „ივერია“. №5. 1900, გვ. 1.

<sup>20</sup> გაზ. „ივერია“. №37. 1903, გვ. 1.

<sup>21</sup> გაზ. „ივერია“. №257. 1886, გვ. 4.

<sup>22</sup> გაზ. „ივერია“. №73. 1900, გვ. 4.

<sup>23</sup> შედარებისთვის 1880-იან წლებში მოსკოვში გამოცემული «Русский Курьер»-ი თავის მეოთხე გვერდზე რეკლამის გასანთავსებლად ერთ სტრიქონს აფასებდა 10 კაპიკათ, ხოლო პირველზე ფასი 20 კაპიკს აღწევდა. 10%-იანი დანამატი იყო იმ შემთხვევაში თუ კლიენტს სურდა განცხადების შელამაზება (გაზ. „ივერია“. №61. 1886, გვ. 4.).

<sup>24</sup> გაზ. „ივერია“. №257. 1886, გვ. 4; გაზ. „ივერია“. №151. 1894, გვ. 4.

ნამედროვე პერიოდში, XIX-XX საუკუნეების მიჯნის ქართულ გაზეთებში განთავსებული რეკლამის რაოდენობა და ხარისხი მეტყველებდა არა მარტო საკუთრივ გაზეთ-ჟურნალების პოპულარობაზე, არამედ იმაზეც, რომ ქვეყანაში ფართო მასშტაბებით ვითარდებოდა მცირე ბიზნესი. ეს არ იყო მხოლოდ ტფილისისთვის დამახასიათებელი. ხშირად გვხვდება ბათუმსა და სხვა ქართულ ქალაქებში ახლად შექმნილი საწარმოებისა თუ პატარა მაღაზიების განცხადებები. რეკლამების რაოდენობა და გაფორმების ხარისხი უდავოდ უნდა მეტყველებდეს იმდროინდელ საქართველოში კაპიტალის ბრუნვის საგრძნობ ზრდაზე. მაგალითისთვის 1880-იანი წლების „ივერიის“ ნომრების უმეტეს ნაწილში იშვიათია ზოგადად რეკლამების განთავსება არა მარტო გაზეთის პირველ, ყველაზე ძვირადღირებულ, არამედ ბოლო მეოთხე გვერდზეც კი.

თუმცა თუ შევადარებთ ამ ნომრებს ამავე „ივერიის“ 1900-იანი წლები-სა და მომდევნო პერიოდის ნომრებთან, ნათელია მკვეთრი სხვაობა რეკლამების რაოდენობასა და ხარისხში. დაახლოებით 1900 წლიდან „ივერიის“ თითქმის ყოველი ნომრის პირველი გვერდის ნახევარი ძვირადღირებული რეკლამებით იყო სავსე. იგივეს თქმა შეიძლება ბოლო, მეოთხე გვერდზეც, სადაც ასევე მრავლად იყო განთავსებული სხვადასხვა განცხადებები/რეკლამები. აღნიშნული პერიოდის ნომრებისთვის აგრეთვე დამახასიათებელია რეკლამების საკმაოდ მდიდრული გაფორმება,<sup>25</sup> რაც მეტ ხარჯებთან იყო დაკავშირებული.

უფრო მეტიც, „ივერიის“ მოგვიანო ნომრებში რეკლამების რაოდენობა პირველსა და ბოლო გვერდებზე უფრო მატულობს, რაც მეტყველებს ბიზნესის დონეზე იმდროინდელ საქართველოში და გარკვეულწილად შეიძლება აღებულ იქნას მცირე ქართული ბიზნესის კეთილდღეობის ერთგვარ ინდიკატორად.<sup>26</sup>

XX საუკუნის დასაწყისში რეკლამები თავსდებოდა უკვე რეგიონულ პრესაშიც. ამით გამოირჩეოდა გაზეთი „იმერეთი“,<sup>27</sup> რომლის ერთ-ერთ ნომერში აბანოში განსაბანად გვეპატიჟებიან.<sup>28</sup> ასევე მრავლად იყო სხვადასხვა

<sup>25</sup> გაზ. „ივერია“. №67. 1900, გვ. 4.


<sup>26</sup> გაზ. „ივერია“. №18. 1903, გვ. 1-4.

<sup>27</sup> ყოველდღიური გაზეთი „იმერეთი“ გამოდიოდა ქუთაისში, 1912-1915 წლებში. გაზეთის პირველი ოფიციალური რედაქტორები გ. ჭელიძე (1912-1914 წწ.) და ბ. ჯაიანი (1914 წ. №87-დან) იყვნენ.

<sup>28</sup> გაზ. „იმერეთი“. №161. 1913, გვ. 4.

სახის „მაშინები“ (საკერავი და საწერი).<sup>29</sup>

ხშირად გვხვდება ფეხსაცმლის თუ აბრეშუმეობის რეკლამა, მინაწერებით – „ფასები სხვებთან შედარებით დაკლებულია“ ან „ფასები შეუვაჯრებლად“ („განსაკუთრებით ქალების კასტიუმებისთვის“). გვხვდება ესეთებიც: „პირდაპირ ნახევარ ფასად იყიდება“.<sup>30</sup> ერთი რეკლამის განცხადება განსაკუთრებით საინტერესოდ ჟღერს, როდესაც ავტორი გოგირდის წყლის შესაძენად კლიენტებს პროდუქტს „ძლიერ ზომიერ ფასად“ სთავაზობს.<sup>31</sup>



საკერავი მანქანა „ზინგერის“ რეკლამა

<sup>29</sup> გაზ. „იმერეთი“. №85. 1914, გვ. 4.

<sup>30</sup> გაზ. „იმერეთი“. №169. 1913, გვ. 1.

<sup>31</sup> გაზ. „იმერეთი“. №85. 1914, გვ. 4.

1912 წლის „იმერეთის“ ერთ-ერთ ნომერში ჩნდება განცხადება: „იყიდება შანტეკლერის კაბა, კაბის ქსოვილი“. „იმერეთის“ ნომრები გამოირჩეოდა ვიზუალური გაფორმებით და აღსანიშნავია ის, რომ მაშინ საერთოდ არ არსებობდა ანტირეკლამა. აქაც, ისევე როგორც „ივერიის“ და სხვა გაზეთების ფურცლებზე რეკლამების უმეტესობა ბოლო გვერდზე იყო განთავსებული. თუმცა პირველი გვერდიც გამოირჩოდა რეკლამების რაოდენობითა და ხარისხით. „იმერეთის“ გვერდებიდან ჩვენ ნათლად ვხედავთ, რომ მცირე ბიზნესი, ტფილისის გარდა, ფართოდ ვითარდებოდა იმდროინდელ ქართულ რეგიონებში: იხსნებოდა მაღაზიები და ღიდი იყო უცხოურ ნაწარმზე მოთხოვნა.



გაზეთ „იმერეთის“ ერთ-ერთი ნომრის პირველი გვერდი

„იმერეთში“ გამოქვეყნებული რეკლამების რაოდენობა ხშირად აღემატებოდა „ივერიისას“, ხოლო განცხადებების სტილი საკმაოდ მრავალფეროვანი იყო.<sup>32</sup> რეკლამების მოხატულობა სულ უფრო ვითარდებოდა. ხშირი იყო შამპანურის ბოთლის რეკლამირებისას საკუთრივ შამპანურის ბოთლის დახატვა. უფრო მეტიც, „იმერეთის“ ზოგ ნომერში რთული ნავთის ლამპების მოხატულობაც კი იყო დატანილი.<sup>33</sup>

ასე, პირველი ქართული რეკლამები გამოირჩეოდა განსაკუთრებული კრეატივით. ვიზუალური მხარე ბევრ რეკლამას საკმაოდ მდიდარი ჰქონდა, ხოლო ზოგი მხოლოდ ერთი წინადადებით შემოიფარგლებოდა. თუმცა „ივერიისა“ და „იმერეთის“ განხილვა ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ რეკლამის განმთავსებლები გაზეთების რედაქტორებთან ერთად საკმაოდ საინტერესო ფრაზებს ირჩევდნენ მკითხველის მოსაზიდათ. გაზეთები ასევე მეტყველებს იმაზე, რომ ქართული რეკლამა საკმაოდ ფართოდ გამოყენებადი გახდა XIX საუკუნის ბოლო მეოთხედში. ეს გარკვეულწილად მეტყველებს ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებაზე იმდროინდელ საქართველოში. რეკლამების განხილვა ასევე მეტყველებს იმაზე, რომ საქართველო, თავისი ადგილმდებარეობის მიუხედავად, საკმაოდ მჭიდროდ იყო დაკავშირებული იმდროინდელ ევროპულ და რუსულ ქალაქებთან.

უფრო მეტიც, განხილულ გაზეთებში გამოქვეყნებული რეკლამების რაოდენობისა და ხარისხის ამ მოკლე ანალიზით ნათელია, რომ XIX-XX საუკუნეების მიჯნის საქართველოში მცირე ბიზნესი საკმაოდ სწრაფად ვითარდებოდა.

<sup>32</sup> გაზ. „იმერეთი“. №140. 1913, გვ. 1-4.

<sup>33</sup> გაზ. „იმერეთი“. №26. 1913, გვ. 4.



*Emil Avdaliani*

PhD,

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

## **FIRST GEORGIAN ADVERTISEMENT**

### Summary

Nowadays one of the major components of doing business is efficient advertisement campaign. In modern Georgia, as anywhere across the world, advertisement is indeed omnipresent. However, as is shown in the article, advertisement was quite actively used in late 19<sup>th</sup>-early 20<sup>th</sup> century Georgia too, when the country was part of the Russian Empire.

In late 19<sup>th</sup>-early 20<sup>th</sup> century Georgia entrepreneurs as well as merchants and others used Georgian newspapers to draw public attention to their products or services they were offering across the country.

In the academic sphere there is a very limited amount of reliable works dedicated to the issue of the first Georgian advertisement, its development and eventual death after 1921. It is only now that scholars have begun to express their interest in researching the question. There are plenty of video footages, interviews and occasional short articles with numerous mistakes available on the internet about rich advertising activity across Georgia during late 19<sup>th</sup>-early 20<sup>th</sup> century. Thus, as said above, a distinct lack of academic works on “advertisement” subject demands paying closer attention to this interesting question of capitalist development of Georgia.

Apart from giving a general history of how first advertisements were introduced in the Georgian newspapers such as “Iveria” and others, the article also aims at analyzing the structure, methodology as well as number of ads correlated to the well-being of small businesses across Georgia. The article will also serve as a good starting base for future studies in this uncharted subject.

*ანა ჭეიშვილი*

სოციალურ მეცნიერებათა უმაღლესი სკოლა, საფრანგეთი

*კარინ პელტიე-კაროფი*

კე ბრანლის – ჟაკ შირაკის მუზეუმი, საფრანგეთი

## **ბარონი დე ბაი და საქართველო, ფრანგი მოგზაურის ფოტოკოლექცია**

XIX საუკუნის იმ ფრანგ მკვლევართა შორის, რომლებიც კავკასიაში საფრანგეთის მთავრობის ეგიდით სამეცნიერო მივლინებებს ახორციელებდნენ, ყველაზე მეტად არქეოლოგ ბარონ დე ბაის სახელია ცნობილი. ბარონი ჟოზეფ ბერტელ დე ბაი (1853-1931 წწ.) რუსეთის იმპერიაში კვლევით 1890 წლიდან დაინტერესდა, როდესაც მონაწილეობა მიიღო მოსკოვში ჩატარებულ არქეოლოგიის VIII საერთაშორისო ყრილობაში.<sup>1</sup> 1897-1904 წლებში იგი ყოველწლიურად არქეოლოგიურ და ეთნოგრაფიულ ექსპედიციებს აწყოდა და ორი-სამი თვით ჩამოდიოდა კავკასიაში. ყოველი მივლინების შემდეგ საფრანგეთში დაბრუნებული დე ბაი კონფერენციებს ატარებდა, სადაც საზოგადოებას მოგზაურობის დროს, მის მიერ გადაღებულ ფოტოებს წარუდგენდა და მივლინების შედეგებს აცნობდა. ამასთანავე, იგი მივლინების დროს შეძენილი არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალის გამოფენებს აწყოდა. გამოფენის დასრულებისთანავე კოლექციებს უსასყიდლოდ გადასცემდა საფრანგეთის სახელმწიფო მუზეუმებს. დე ბაი ყოველ წელს გამოსცემდა წიგნებს, რომლებშიც დაწვრილებით აღწერდა თავის ყოველ სამეცნიერო მივლინებას; ეს წიგნები უხვად იყო ილუსტრირებული ფოტოებით. დღესდღეობით საფრანგეთის სხვადასხვა არქივებში, მუზეუმებსა და კერძო კოლექციებში ბარონ დე ბაის მიერ რუსეთის იმპერიაში 1895-1910 წლებში მოგზაურობისას გადაღებული 1700-ზე მეტი ფოტოა დაცული. სწორედ ეს ფოტოკოლექციები

---

<sup>1</sup> Энциклопедический словарь Брокгауза и Ефрона. Т. 2. СПб. 1890, с. 228.

გახდა ჩვენი შესწავლის საგანი. წინამდებარე სტატია დე ბაის მიერ საქართველოში გადაღებულ ფოტოებს ეძღვნება, რომელთა მხოლოდ მცირე ნაწილი გამოქვეყნდა მის მიერ.

2006 წელს პარიზის კე ბრანლის – ჟაკ შირაკის მუზეუმმა აუქციონზე<sup>2</sup> ბარონ დე ბაის ფოტოალბომები შეიძინა, რომლებიც ფრანგი მკვლევრის მიერ 1897-1910 წლებში რუსეთის იმპერიაში მოგზაურობისას გადაღებულ ფოტოებს მოიცავს. წითელ ყდაში ჩასმული „კოდაკის“ მარკის 14 ალბომში<sup>3</sup> სულ მოთავსებულია 1319 ფოტო; ამასთანავე, ზოგიერთ ალბომში ჩაკრულია საფოსტო ბარათები. ყველა ფოტო ბარონ დე ბაის მიერ არის გადაღებული, გარდა შუაზე გაჭრილი 5 სტერეოფოტოსი, რომლებიც ზედ დატანილი ნუმერაციითა და სათაურების მიხედვით ფოტოგრაფ დიმიტრი ერმაკოვს ეკუთვნის. ალბომის კიდეებზე და ზოგჯერ პირდაპირ ფოტოებზე ბარონ დე ბაის მიერ ძელნით გაკეთებული მინაწერები გვაფიქრებინებს, რომ ეს ალბომები განკუთვნილი იყო მისი პირადი კოლექციისთვის, ოჯახურ და სამეგობრო წრეში საჩვენებლად და არა იმ კონფერენციებისთვის, რომლებსაც იგი ასე ხშირად მართავდა საფრანგეთში.

კე ბრანლის – ჟაკ შირაკის მუზეუმში დაცული ალბომების შესწავლა 2008 წელს დაიწყო. ეს საკმაოდ შრომატევადი და ხანგრძლივი პროცესი აღმოჩნდა, ვინაიდან ალბომებში ფოტოები ყოველთვის არ იყო განაწილებული გადაღების წლებისა და გეოგრაფიული არეალის მიხედვით. განსაკუთრებით დიდი დრო დასჭირდა ფოტოებზე ალბეჭდილი ადგილებისა და პირების ვინაობის დადგენას. საქართველოში გადაღებული ფოტოების შესწავლისას აღმოჩნდა, რომ ეს ფოტოკოლექცია თითქმის სრულად წარმოაჩენს დე ბაის საქართველოში მოგზაურობის თარიღებსა და მარშრუტს: ფოტოები გადაღებულია 1897-1901 და 1903 წლებში. ალბომებში მოთავსებულ ფოტოებს შორის საქართველოში გადაღებულია 541 ფოტო, რომელთაგან 486 განსხვავებული კადრია, დანარჩენი კადრები კი მეორდება. კე ბრანლის – ჟაკ შირაკის მუზეუმის ალბომებზე მუშაობის პარალელურად მოვიხიეთ საფრანგეთის სხვადასხვა დაწესებულებაში დაცული დე ბაის ფოტოკოლექციები, რომლებიც საქართველოში გადაღებულ ფოტოებს მოიცავდა.

ასეთი სულ რამდენიმე კოლექცია აღმოჩნდა.

მარნის დეპარტამენტის არქივში, ბარონ დე ბაის ფონდში, დაცულია

---

<sup>2</sup> 22 მაისი 2006 წ., სააუქციონო სახლი Artcurial.

<sup>3</sup> საინვენტარო ნომერი: 70.2006.26.1 - 70.2006.26.14.

ლურჯყდიანი რუსული გამოცემის ალბომი,<sup>4</sup> რომელიც 64 ფოტოს შეიცავს; აქედან 60 ფოტო გადაღებულია საქართველოში 1897, 1903 და 1904 წლებში.

ბარონ დე ბაის მიერ საქართველოში გადაღებული ფოტოები ასევე აღმოჩნდა პარიზის სლავისტიკის ინსტიტუტში.<sup>5</sup> 1920-იანი წლების ბოლოს დე ბაიმ თავისი პირადი არქივი საჩუქრად გადასცა პარიზში მდებარე წმინდა სერგი რადონეველის რუსულ მართლმადიდებლურ ეკლესიასა და თეოლოგიის ინსტიტუტს, სადაც მუზეუმის განხსნა იგეგმებოდა. ვინაიდან მუზეუმი არ გაიხსნა დღეს ეს არქივი პარიზის სლავისტიკის ინსტიტუტშია დაცული. არქივი წარმოადგენს 17 საარქივო კოლოფში გადანაწილებულ რამდენიმე ასეულ საბუთს. აქ არის ბარონ დე ბაის მიმოწერა მეგობრებთან და კოლეგებთან, მისთვის ნაჩუქარი ფოტოაპორტრეტები მიძღვნილი წარწერებით, სხვადასხვა ფოტოგრაფების მიერ გადაღებული მდიდარი ფოტოკოლექცია და სხვ. აქ ასევე დაცულია დე ბაის მიერ საქართველოში 1897-1903 წლებში გადაღებული 164 ფოტო.

საფრანგეთში კერძო კოლექციონერებთან დაცული ფოტოებიდან საქართველოში გადაღებულია 28 ფოტო.<sup>6</sup> რაც შეეხება, სენ-ჟერმენის არქეოლოგიის ეროვნულ მუზეუმში დაცულ ბარონ დე ბაის საარქივო მასალებს,<sup>7</sup> მათ შორის საქართველოში მოგზაურობის ამსახველი ფოტოები არ არის. ხოლო საფრანგეთის ეროვნულ ბიბლიოთეკაში (გეოგრაფიის საზოგადოების არქივი) დაცული საქართველოში გადაღებული ფოტოები არ წარმოადგენს ორიგინალებს – ეს ფოტოები დაბეჭდილია ცარცის ქაღალდზე, რომლებიც იმავე ფორმატისაა, რაც დე ბაის წიგნები და სავარაუდოდ, წიგნის მაკეტში მათი ჩანართის სახით გამოყენება იგეგმებოდა.

საბოლოო ჯამში, დღეისათვის ცნობილი ყველა კოლექციის შეჯერების შედეგად დადგინდა, რომ საფრანგეთის სხვადასხვა დაწესებულებებსა და კერძო კოლექციონერებთან დაცულია ბარონ დე ბაის მიერ 1897-1901 და 1903-1904 წლებში საქართველოში გადაღებული 793 ფოტო, რაც რამდენ-

<sup>4</sup> მარნის დეპარტამენტის არქივი. საფრანგეთი. ფონდი 43 J 62.

<sup>5</sup> ინახება საინვენტარო ნომრის გარეშე.

<sup>6</sup> საფრანგეთში დაცული ერთ-ერთი კერძო კოლექციის შესახებ იხ. ა. ჭეიშვილი. ბარონ დე ბაის კვლადაკვალ, XIX საუკუნის საქართველო ფრანგულ კოლექციებში. კრებ. „ძველი ხელოვნება დღეს“. №5. თბილისი. 2014, გვ. 46-51.

<sup>7</sup> 2007, 2009 და 2014 წლებში მუზეუმმა შეიძინა ბარონ დე ბაის არქივები, რომელთა დამუშავება ჯერ არ არის დასრულებული და ამიტომ ინახება საინვენტარო ნომრის გარეშე.

ჯერმე დაბეჭდილი ერთი და იგივე კადრის გამოკლებით წარმოადგენს 609 განსხვავებულ ფოტოს. სავარაუდოდ, ეს რიცხვი მომავალში კიდევ გაიზრდება, ვინაიდან დე ბაის წიგნებში გამოქვეყნებული ზოგიერთი ფოტოს ორიგინალის შენახვის ადგილი ჯერ კიდევ უცნობია.

როგორც ბარონ დე ბაის მიერ გადაღებული ფოტოკოლექციების შესწავლისას გამოჩნდა, ის ექსპედიციებში ფოტოების გადაღებას 1897 წლიდან იწყებს. საარქივო დოკუმენტებით დასტურდება, რომ ბარონი „ისტმან კოდაკის“ ფირმის ფოტოაპარატს იყენებდა,<sup>8</sup> რომლის ფირიც 12 კადრს იტევდა.<sup>9</sup> თითოეული კადრის და, შესაბამისად, ფოტოს ზომა 9x9 სმ იყო.

თუ მანამდე ფოტოს გადასაღებად მინის ფირფიტებს იყენებდნენ, 1888 წელს ფოტოფირის გამოგონებამ ფოტოგრაფიაში რევოლუცია მოახდინა. ფოტოფირის კომერციალიზაცია „კოდაკის“ დამფუძნებელმა ჯორჯ ისტმანმა 1889 წლიდან დაიწყო და რამდენიმე წელიწადში ფირიან ფოტოაპარატებს ევროპის ბაზარი უკვე დაპყრობილი ჰქონდა. ასეთი ფოტოაპარატი გადასატანად მსუბუქი და მოსახერხებელი იყო, მოგზაურობისას აღარ არსებობდა მინის ნეგატივების დაზიანების საშიშროება. შესაძლებელია, სწორედ ამ მიზეზის გამო მიიქცია „ისტმან კოდაკის“ ფოტოაპარატმა ბარონ დე ბაის ყურადღება. ფოტოფირის გამოჩენასთან ერთად, გაყიდვაში გამოჩნდა ე.წ. არისტოტიპის ქაღალდი, რომელმაც ასევე დიდი პოპულარობა მოიპოვა 1890-იან წლებში. ეს იყო ინდუსტრიული წესით დამზადებული პირველი ფოტოქაღალდი, რომელიც ფოტოგრაფს ბევრად უადვილებდა სამუშაოს. ბარონ დე ბაის მიერ გადაღებული ფოტოები სწორედ ამ ტიპის ქაღალდზეა დაბეჭდილი. ფოტოები იბეჭდებოდა კონტაქტური მეთოდით: ნეგატივი – ფირიდან მოჭრილი კადრი, იდებოდა არისტოტიპის ქაღალდზე, მაგრდებოდა სპეციალურ ხის ჩარჩოში და განსაზღვრული დროით მზის სინათლეზე თავსდებოდა. სწორედ მზის სხივების მეშვეობით გადადიოდა ანაბეჭდი ფირიდან ქაღალდზე. პროცესის ბოლოს ფოტოს ზედაპირი „ირეცხებოდა“ მარილებისგან და

---

<sup>8</sup> 1901 წლის 31 ოქტომბერს პარიზიდან ტფილისში, ჟურნალ „ივერიის“ რედაქციაში ბარონ დე ბაის სახელზე გაგზავნილ ღია ბარათში თვით სახოკია ბარონს წერს: „ბატონი დოღობერიძე მიემგზავრება ტფილისში. ის თქვენ ჩამოგიტანთ თქვენს კოდაკს“. აქ უნდა იგულისხმებოდეს ქართველი პუბლიცისტი ნიკოლოზ დოღობერიძე. ღია ბარათი დაცულია კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში (ხეც). ილია ჭავჭავაძის არქივი. №1035.

<sup>9</sup> ფირის რამდენიმე კადრი დაცულია საფრანგეთში კერძო კოლექციაში, ხოლო ფირის მუყაოს კოლოფები კი – კერძო კოლექციაში და პარიზის სლავისტიკის ინსტიტუტის არქივში.

გამოსახულების უკეთ ფიქსაციისთვის სპეციალური ემულსიით იფარებოდა.<sup>10</sup>

ჩვენ ხელთ არსებული მონაცემებით, ბარონი დე ბაი პირველი ფოტოგრაფია, რომელიც კავკასიაში მოგზაურობისას ფოტოფირს იყენებდა.<sup>11</sup> იგი განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებოდა ფოტოგრაფიულ საქმიანობას, ფირების კოლოფებს ნომრავდა და ფოტოს გადაღებისას რვეულში იწერდა თუ სად იყო გადაღებული შესაბამისი ფირის ესა თუ ის კადრი. ამგვარად, დე ბაის ჩანაწერების<sup>12</sup> შესწავლამ საქართველოში გადაღებული ფოტოების თანმიმდევრობის, მათი გადაღების ადგილისა და თარიღის დაზუსტების საშუალება მოგვცა.

ბარონ დე ბაის პირველი მოგზაურობა საქართველოში 1897 წლით თარიღდება, როდესაც ციმბირის ორთვიანი მივლინებიდან მოსკოვში დაბრუნებული ფრანგი არქეოლოგი მეგობარმა გრაფმა სერგეი შერემეტიევმა<sup>13</sup> საქართველოში, კახეთში დაპატიჟა.<sup>14</sup> ბარონი დე ბაი, სერგეი შერემეტიევი მეუღლესთან და ქალიშვილთან ერთად და, ასევე, შერემეტიევიების მეგობარი და ოჯახის ექიმი სერგეი ჟემჩუჟნიკოვი მოსკოვიდან ვლადიკავკაზში მატარებით გაემგზავრნენ. დე ბაის დღიურის მიხედვით ვლადიკავკაზიდან 7 ოქტომბერს (ახ.სტ.) გამოსული მეგობრები, საქართველოს სამხედრო გზით, 9 ოქტომბერს დილის სამ საათზე ტფილისში ჩამოვიდნენ. ეს მოგზაურობა დეტალურად აისახა ბარონ დე ბაის ფოტოებში (ფოტო 1). ტფილისიდან დე ბაი სოფ. კარდანახში წავიდა, სადაც შერემეტიევის მამულში რთველს დაესწრო და საინტერესო ფოტოსერია მიუძღვნა კახეთში მოგზაურობას (ფოტო 2). ამის შემდეგ, ფრანგმა არქეოლოგმა დასავლეთ საქართველოში იმოგზაურა.<sup>15</sup> მან საქართველოში სულ ორი თვე დაჰყო და ამ მოგზაურობის დროს

<sup>10</sup> B. Lavédrine. (re)Connaître est conserver les photographies anciennes. Paris. 2007, გვ. 120-121, 136-140.

<sup>11</sup> 1890 წელს შუა აზიისკენ სამოგზაუროდ მიმავალმა ცნობილმა ფრანგმა ფოტოგრაფმა პოლ ნადარმა ფოტოები გადაიღო საქართველოში. ნადარს თან რამდენიმე სხვადასხვა ტიპის ფოტოაპარატი ჰქონდა და, როგორც ცნობილია, „კოდაკის“ მარკის ფირიან ფოტოაპარატს ის მხოლოდ შუა აზიაში იყენებდა. პოლ ნადარის მიერ საქართველოში გადაღებული მინის ნეგატივები დღეს საფრანგეთის არქიტექტურისა და კულტურული მემკვიდრეობის მელითეკაშია დაცული. იხ. A.-M. Bernard, C. Malécot. L'odyssée de Paul Nadar au Turkestan 1890. Paris. 2007.

<sup>12</sup> დაცულია საფრანგეთში კერძო კოლექციაში.

<sup>13</sup> სერგეი შერემეტიევი (1844-1918 წწ.) – რუსი ისტორიკოსი და კოლექციონერი.

<sup>14</sup> Le Baron de Baye. En Géorgie. Paris. 1898, გვ. 5.

<sup>15</sup> „ივერია“. 16 ოქტომბერი 1897, №215; „ივერია“. 24 ოქტომბერი 1897, №219; „ცნობის ფურცელი“. 22 ოქტომბერი 1897, №348.

გადაღებული ფოტოების დიდი ნაწილი საფრანგეთში დაბრუნების შემდეგ თავის წიგნში გამოაქვეყნა;<sup>16</sup> პუბლიკაციაში მას ყველა ფოტო არ შეუტანია – მათ შორის ჩაქვის ჩაის პლანტაციებში გადაღებული ფოტოები.

1898 წლის 8 იანვარს საფრანგეთის სახალხო განათლების მინისტრის სახელზე გაგზავნილ წერილში ბარონი დე ბაი კავკასიაში გასამგზავრებლად ოფიციალურ მივლინებას ითხოვდა.<sup>17</sup> სამინისტრომ დადებითად უპასუხა მის წერილს და იმავე წლის 6 აპრილის განკარგულებით დე ბაის ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიაში არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული კვლევების ჩასატარებლად პირველი ოფიციალური მივლინება მიეცა. ივლისში ფრანგი მკვლევარი უკვე ჩრდილოეთ კავკასიაში იყო,<sup>18</sup> სადაც აგვისტოს დასასრულამდე გაჩერდა. ამ პერიოდისთვის რუსეთის იმპერიაში უკვე არსებობდა კანონი, რომლის მიხედვით სახელმწიფო მიწებზე არქეოლოგიური გათხრების ჩასატარებლად სპეციალური ნებართვა – ღია ფურცელი იყო საჭირო.<sup>19</sup> ნებართვას რუსეთის საიმპერატორო არქეოლოგიური კომისია გასცემდა და მისი მიღება საკმაოდ რთულ პროცედურებთან იყო დაკავშირებული; ღია ფურცლის მოპოვება არა მხოლოდ უცხოელ, არამედ თვით რუსეთის იმპერიის არქეოლოგებსაც კი უჭირდათ. ცნობილი არ არის ეცადა თუ არა ბარონი დე ბაი საიმპერატორო არქეოლოგიური კომისიისგან კავკასიაში არქეოლოგიური გათხრების მოსაპოვებლად ნებართვის მიღებას, თუმცა ფაქტია, რომ საბოლოო ჯამში მას ღია ფურცელი არ ჰქონია; სახალხო განათლების მინისტრის სახელზე გაგზავნილი მივლინების ანგარიშში<sup>20</sup> დე ბაი აღნიშნავდა, რომ ვინაიდან ადგილობრივი კანონმდებლობის გამო მას არქეოლოგიური კვლევების ჩატარება ეკრძალებოდა, ის ყველას ეთნოგრაფად გაეცნო და ამგვარად ეთნოგრაფიული კვლევების პარალელურად არქეოლოგიური გათხრების ჩატარებას თუ არა, კოლექციების შექმნას მაინც ახერხებდა. ჩრდილოეთ კავკასიაში ეთნოგრაფიული მასალების შეგროვებისა და კერძო მფლობელობაში არსებულ მიწებზე ჩატარებული რამდენიმე არქეოლოგიური კვლევის შემდეგ, 1898 წლის სექტემბრის დასაწყისში, ბარონი დე ბაი საქართველოში

---

<sup>16</sup> Le baron de Baye. En Géorgie. Paris. 1898.

<sup>17</sup> საფრანგეთის ეროვნული არქივი. ფონდი. F/17/2936/B.

<sup>18</sup> „ივერია“. 4 აგვისტო 1898, №166.

<sup>19</sup> И. А. Сорокина. Регламентация полевых исследований в России и представления о ней государства, ученых и общественности во второй половине XIX и начале XX веков. Российский археологический ежегодник. №1. СПб. 2011, გვ. 452-471.

<sup>20</sup> 1899 წლის 2 ივნისით დათარიღებული წერილი. საფრანგეთის ეროვნული არქივი. ფონდი F/17/2936/B.

ჩამოვიდა. ტფილისში მას უკვე კარგად იცნობდნენ და ამიტომ ადგილობრივი პრესა მის ყოველ გადაადგილებას დიდი ინტერესით აღევენებდა თვალს: დე ბაი გაემგზავრა კახეთში,<sup>21</sup> დაესწრო ალავერდობის დღესასწაულს.<sup>22</sup> თავის მეგობარ ჰუგო კრაფტთან<sup>23</sup> ერთად გაემგზავრა და დაათვალიერა ეჩმიადინი,<sup>24</sup> საიდანაც დაბრუნებულები გაემგზავრნენ უფლისციხეში (ფოტო 3), ურბნისში, გორში<sup>25</sup> და სოფელ ქვემო ჭალაში გენერალ ივანე ამილახვრის ოჯახში.<sup>26</sup> საქართველოში ეს მოგზაურობა ბარონმა დე ბაიმ თავის ფოტოებში სრულად ასახა, საფრანგეთში დაბრუნებისას კი, როგორც ეს ყოველთვის ხდებოდა, ამ მივლინების შესახებ სხვადასხვა სამეცნიერო საზოგადოებაში მოხსენებები წაიკითხა და ორი წიგნიც გამოაქვეყნა.<sup>27</sup>

1899 წლის 22 ივლისის განკარგულებით საფრანგეთის სახალხო განათლების სამინისტრომ კავკასიის შესასწავლად დე ბაის კვლავ მისცა ოფიციალური მივლინება.<sup>28</sup> მან დაახლოებით ორი თვე გაატარა საქართველოში<sup>29</sup> და ფოტოების სამი სერია გადაიღო: ტფილისში, სამტრედიაში და სალხინოში – სალომე დადიანი-მიურატთან სტუმრობისას (ფოტო 4, 5, 6). ამ ფოტოების დიდი ნაწილი დღემდე გამოუქვეყნებელია და დე ბაიმ თავისი წიგნის ილუსტრირებისათვის მხოლოდ ტფილისში გადაღებული რამდენიმე ფოტო გამოიყენა.<sup>30</sup>

ასევე, გამოუქვეყნებელია 1900 წელს მცხეთაში სვეტიცხოვლობის დღესასწაულზე (ფოტო 7) და იმავე წელს ტფილისში (ფოტო 8) გადაღებული ფოტოების სერია. მცხეთაში გადაღებულ სერიაში ყურადღებას იქცევს ორი ფოტო, რომელზეც ბარონ დე ბაისთან ერთად ვხედავთ ექვთიმე თაყაიშვილს, მის მეუღლეს ნინო პოლტორაკაიას, ქართული საფორტეპიანო სკო-

<sup>21</sup> „ივერია“. 20 სექტემბერი 1898, №202.

<sup>22</sup> „ივერია“. 16 სექტემბერი 1898, №198.

<sup>23</sup> ჰუგო კრაფტი (1853-1935 წწ.) – ფრანგი მოგზაური და ფოტოგრაფი, რომელმაც საქართველოში სამჯერ, 1896, 1898 და 1899 წლებში, იმოგზაურა.

<sup>24</sup> «Кавказъ». 24-го сентября 1898г. №251; «Кавказъ». 6-го октября 1898 г. №262; «Тифлисскій Листокъ». 17 сентября 1898. „ივერია“. 18 სექტემბერი 1898. №200.

<sup>25</sup> „ივერია“. 23 ოქტომბერი 1898. №226.

<sup>26</sup> „ივერია“. 15 ოქტომბერი 1898. №221. ბარონ დე ბაის მიერ თავისი ქალიშვილისადმი ტფილისიდან გაგზავნილი, 1898 წლის 26 ოქტომბრით (ახ. სტ.) დათარიღებული წერილი. მარნის დეპარტამენტის არქივი. ფონდი J 6036.

<sup>27</sup> Le Baron de Baye. Au nord de la chaîne du Caucase du Nord, souvenirs d'une mission. Paris. 1899; Le Baron de Baye. Au sud de la chaîne du Caucase du Nord, souvenirs d'une mission. Paris. 1899

<sup>28</sup> საფრანგეთის ეროვნული არქივი. ფონდი F/17/2936/B.

<sup>29</sup> «Кавказъ». 24-го сентября 1899 г. №250; „ივერია“. 11 ნოემბერი 1899. №243; „ივერია“. 20 ნოემბერი 1899. №251.

<sup>30</sup> Le Baron de Baye. Tiflis, souvenirs d'une mission. Paris. 1900.



ლის ერთ-ერთ ფუძემდებელ ანა თულაშვილს, სამეგრელოს უკანასკნელ მთავარ ნიკო დადიანსა და უცნობ პირებს, რომლებიც დე ბაის მინაწერების მიხედვით თავადი გიორგაძე, ისპრავნიკი და ვინმე ინოკენტი პეტროვი [Prince Georgeadze, l'Ispravnik, Mr. Innokenti Petroff] უნდა იყვნენ. ეს ფოტოები (ფოტო 9), სავარაუდოდ, სამთავროს მონასტერში სტუმრობის დღეს უნდა იყოს გადაღებული; როგორც ექვთიმე თაყაიშვილი იხსენებს, ბარონ დე ბაის მისთვის უთხოვია სამთავროს დედათა მონასტერში გაყოლა იქ დაცული ოქონის ხატისა და ტბეთის სახარების სანახავად, რომლებსაც ილუმენია ნინო არავის უჩვენებდა: „მეც წავეყვი და თან ჩემი მეუღლე და მუსიკოსი ქალი, ანა თულაშვილიც წავეყვანე. ილუმენიას ვუთხარი, „აი, უცხოელი ბარონია ჩამოსული, აინტერესებს თქვენთან შენახული ნივთები და უნდა გვაჩვენოთ-მეთქი“. გაჭრა ასეთმა მიმართვამ და მართლაც გამოგვიტანა, მეც ვისარგებლე შემთხვევით, თანმხლებ ქალებს ვთხოვე, შეიქცეით საუბრით ილუმენია-მეთქი, და ამასობაში გადმოვწერე იმ ოქონის ხატის წარწერა და აღვწერე ორივე ნივთი“.<sup>31</sup> სამწუხაროდ, სხვა წლებისგან განსხვავებით, 1900 წელს საქართველოში მოგზაურობის ამსახველი დღიურები ბარონ დე ბაის არქივებში არ არის შემორჩენილი და ამ ფოტოებისა და მათი გადაღების გარემოების შესახებ დამატებითი ინფორმაციაც არ გვაქვს.

1901 წლის 18 ივლისის განკარგულებით დე ბაიმ კიდევ ერთხელ მიიღო ოფიციალურ მივლინება კავკასიის არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის შესასწავლად.<sup>32</sup> ის საქართველოში, ჩვეულებისამებრ, სექტემბერში ჩამოვიდა.<sup>33</sup> იმოგზაურა დასავლეთ საქართველოში (ფოტო 10), ტფილისში დაესწრო საქართველოს რუსეთთან შეერთების 100 წლის იუბილის აღნიშვნას. ამ ფოტოსერიიდან დე ბაიმ მხოლოდ დასავლეთ საქართველოში გადაღებული ფოტოების ნაწილი გამოაქვეყნა.<sup>34</sup>

ბარონ დე ბაის მომდევნო მოგზაურობა საქართველოში 1903 წლით თარიღდება;<sup>35</sup> სექტემბრის ბოლოს მოსკოვიდან ტფილისში ჩამოსული<sup>36</sup>

<sup>31</sup> ე. თაყაიშვილი. მოგონებები. ჟურნ. „მნათობი“. №7. ივლისი. თბილისი. 1958, გვ. 167.

<sup>32</sup> საფრანგეთის ეროვნული არქივი. ფონდი F/17/17266.

<sup>33</sup> „ივერია“. 5 აგვისტო 1901. №168; „ივერია“. 29 აგვისტო 1901. №186; «Кавказъ». 28-го августа 1901 г. №226.

<sup>34</sup> Le Baron de Baye. En Iméréthie, souvenirs d'une mission. Paris. 1902. Le Baron de Baye. Les Juifs des montagnes et les Juifs géorgiens, souvenirs d'une mission. Paris. 1902.

<sup>35</sup> 1903 წლის 29 ივნისის განკარგულება, საფრანგეთის ეროვნული არქივი. ფონდი F/17/17266; „ივერია“. 3 აგვისტო 1903. №165; „ივერია“. 9 ოქტომბერი 1903. №215; „ცნობის ფურცელი“. 19 ოქტომბერი 1903. №2297; „ცნობის ფურცელი“. 24 ოქტომბერი 1903. №2302.

<sup>36</sup> ბარონ დე ბაის 1903 წლის დღიური. დაცულია კერძო კოლექციაში.

მკვლევარი სოხუმში გაემგზავრა, სადაც მას თელი სახოკია ელოდებოდა.<sup>37</sup> ისინი სოხუმიდან გაგრისკენ წავიდნენ<sup>38</sup> და, ბუნებრივია, დე ბაი ამ მოგზაურობის დროსაც ბევრ ფოტოს იღებდა (ფოტო 11, 12, 13), რომელთა ერთ ნაწილი საფრანგეთში დაბრუნების შემდეგ გამოაქვეყნა.<sup>39</sup>

ბარონი დე ბაი საქართველოში უკანასკნელად 1904 წელს ჩამოვიდა.<sup>40</sup> ამ ჩამოსვლის შესახებ მხოლოდ ალექსანდრე სარაჯიშვილისადმი გაგზავნილი წერილებიდან<sup>41</sup> და დავით სარაჯიშვილის დიღმის ვენახებში გადაღებული ფოტოებიდან ვიცით (ფოტო 14).<sup>42</sup> 1905 წელს მას დავით სარაჯიშვილი ტფილისში ჩასვლას არ ურჩევდა,<sup>43</sup> სავარაუდოდ, კავკასიაში მიმდინარე არეულობების გამო. მომდევნო წლების მანძილზე ფრანგი არქეოლოგი მივლინებებს ძირითადად რუსეთში ატარებდა.

ბუნებრივია, ჩნდება კითხვა, თუ რით იყო გამოწვეული ბარონ დე ბაის ასეთი დაინტერესება საქართველოთი და რა ინტერესები ჰქონდა საფრანგეთის სახალხო განათლების სამინისტროს კავკასიაში, რომლის ეგიდითაც ჩამოდიოდა დე ბაი. ბარონი დე ბაი თვითნასწავლი არქეოლოგი იყო, რომელმაც 18-19 წლის ასაკში პირველი არქეოლოგიური გათხრები ჩაატარა და მე-19 საუკუნის არქეოლოგიისთვის სრულიად უცნობი ტიპის, ცარცის ქანებში გამოკვეთილი, ძვ.წ. 3500-2700 წლებით დათარიღებული სამარხები აღმოაჩინა.<sup>44</sup> ფრანგმა მეცნიერებმა თავდაპირველად დიდი ინტერესი გამოიჩინეს მისი აღმოჩენების მიმართ, თუმცა მოგვიანებით ეჭვქვეშ დააყენეს ამ აღმოჩენების ავთენტურობა.<sup>45</sup> შედეგად, ახალგაზრდა თვითნასწავლ არქეოლოგს საფრანგეთის სამეცნიერო სფეროში გაუჭირდა საკუთარი თავის დამკვიდრება, რადგან საფრანგეთის სამეცნიერო საზოგადოებაში აკადემიურ განათლებას

<sup>37</sup> 1903 წლის სექტემბერში თელი სახოკიას მიერ სოხუმიდან დე ბაისადმი, სავარაუდოდ, მოსკოვში გაგზავნილი წერილი დაცულია სენ-ჟერმენის არქეოლოგიის ეროვნულ მუზეუმში, ბარონ დე ბაის არქივში.

<sup>38</sup> თ. სახოკია. მოგზაურობანი. ბათუმი. 1985, გვ. 378.

<sup>39</sup> Le Baron de Baye. En Abkhasie, souvenirs d'une mission. Paris. 1904.

<sup>40</sup> 1904 წლის 13 ივნისის განკარგულება, საფრანგეთის ეროვნული არქივი. ფონდი F/17/17266.

<sup>41</sup> ზეც. ალექსანდრე სარაჯიშვილის არქივი. №105. №106. №107.

<sup>42</sup> დაცულია საფრანგეთში, კერძო კოლექციაში.

<sup>43</sup> ბარონ დე ბაის მიერ ექვთიმე თაყაიშვილისადმი 1905 წლის 10 ივნისს საფრანგეთიდან ტფილისში გაგზავნილი ღია ბარათი. ზეც. ექვთიმე თაყაიშვილის არქივი. №1262.

<sup>44</sup> J. de Baye. L'Archéologie préhistorique. Paris. 1880.

<sup>45</sup> Ph. Roux. Le baron Joseph de Baye gentleman-archéologue et préhistorien décrié. Bulletin de la Société Archéologique Champenoise. t. 104. N°1 et 3. Reims. 2011, გვ. 3-46.

უმთავრესი მნიშვნელობა ენიჭებოდა. სავარაუდოდ, სწორედ ეს გახდა მიზეზი, რომ 1890 წელს რუსეთის იმპერიაში პირველი მოგზაურობის შემდეგ, ბარონმა დე ბაიმ ახალი საკვლევე გეოგრაფიული არეალის ძიება გადაწყვიტა. ამ პერიოდიდან ის რუსეთის სამეცნიერო წრეებში ადგილის დამკვიდრებას ცდილობდა. საფრანგეთში მისი რეპუტაცია შერყეული იყო და რუსეთის იმპერიაში კვლევა მას თითქოს ერთგვარი პროფესიული რეაბილიტაციის შესაძლებლობას აძლევდა. დე ბაი ძალიან მალე დაუახლოვდა რუსეთის არისტოკრატიას, მას განსაკუთრებით ახლო მეგობრობა აკავშირებს გრაფ სერგეი შერემეტეივთან და 1896 წელს საფრანგეთის დელეგაციის ოფიციალური წარმომადგენლის ამპლუაში ნიკოლოზ მეორის იმპერატორად კურთხევის ცერემონიასაც დაესწრო.<sup>46</sup> 1895 წლიდან ბარონი დე ბაი უკვე საფრანგეთის სახალხო განათლების სამინისტროს მიერ მინიჭებული ოფიციალური სტატუსით რუსეთის იმპერიის სხვადასხვა რეგიონში ატარებდა ექსპედიციებს.

1842 წელს საფრანგეთის სახალხო განათლების სამინისტროში ექსპედიციების ბიურო შეიქმნა, რომლის მიზანიც მკვლევართა მხარდაჭერა, სამეცნიერო მივლინებების განაცხადების განხილვა და მათი დაფინანსება იყო. აღნიშნული ბიურო 1880-იან წლებში განსაკუთრებული აქტიურობით აფინანსებდა არქეოლოგიურ მივლინებებს კავკასიაში. ამის ნათელი მაგალითია ერნესტ შანტრის, ჟიულ მურიესა და ჟერმან ბაპსტის ექსპედიციები. ამასთანავე, სამინისტრო დაინტერესებული იყო 1878 წელს პარიზში, ტროკადეროს სასახლეში დაარსებული ეთნოგრაფიული მუზეუმის კოლექციების გამდიდრებით, სადაც სამეცნიერო მივლინებებიდან ჩამოტანილი მასალების დიდი ნაწილი იყრიდა თავს. თუმცა, ხშირ შემთხვევაში, სამინისტრო სათანადო ბიუჯეტის უქონლობის გამო მკვლევრებს მივლინების დაფინანსებაზე უარს ეუბნებოდა და ე.წ. უფასო მივლინებას სთავაზობდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ სამინისტრო მხოლოდ სარეკომენდაციო წერილებისა და პასპორტის მიღებაში ეხმარებოდა მოგზაურსა თუ მკვლევარს და, ასევე, დანიშნულების ადგილიდან საფრანგეთში მუზეუმებისათვის გასაგზავნი კოლექციების ტრანსპორტირების თანხას ანაზღაურებდა, რაც ხშირად მნიშვნელოვანი შედეგით იყო მოგზაურებისთვის. ამგვარად, ბევრი მკვლევრისათვის ოფიციალური მივლინების საბუთის მიღება (თუნდაც ეს ყოფილიყო მივლინება ანაზღაურების გარეშე) საუკეთესო საშუალება იყო, რომ შორეულ მხარეში მოგზაურობის ოცნება სამეცნიერო კონტექსტით აესრულებინა და საერთაშორისო მასშტაბითაც გაეფარ-

---

<sup>46</sup> Коронационный сборникъ. томъ второй. СПб. 1899, кз. 330.

თოებისა სანაცნობო წრე.<sup>47</sup>

როგორც ჩანს, კავკასიაში პირველი მოგზაურობის შემდეგ დე ბაი მიხვდა, რომ მანამდე განხორციელებული კვლევების მიუხედავად, საფრანგეთის სამეცნიერო წრეები არც თუ კარგად იცნობენ ამ მხარეს. სწორედ ამიტომ, მომდევნო წლების განმავლობაში ის რეგულარულად ითხოვდა ოფიციალურ მივლინებებს, რომლებსაც თავად აფინანსებდა. საქართველოში დე ბაის ყოველთვის კარგად ხვდებოდნენ. ის მეგობრობდა ილია ჭავჭავაძესთან, აკაკი წერეთელთან, დავით სარაჯიშვილთან, ალექსანდრე ცაგარელთან, ალექსანდრე სარაჯიშვილთან, აქტიურად თანამშრომლობს თეოდო სახოკიასა და ექვთიმე თაყაიშვილთან და თავისი წიგნებისთვის მათგან ღებულობდა ფრიად მნიშვნელოვან ინფორმაციებს. ქართველ საზოგადო მოღვაწეთა დიდი ნაწილისთვის დე ბაი ის პიროვნება იყო, ვისაც შეეძლო რუსეთის იმპერიის გვერდის ავლით საქართველოს ისტორია და კულტურა გაეცნო საფრანგეთისთვის. საფრანგეთში დე ბაის მიერ საქართველოს შესახებ გამართულ მოხსენებებს და გამოფენებს, გამოცემულ წიგნებს ქართული პრესა დიდი ინტერესით ადევნებდა თვალს, ხოლო პარიზში მყოფი ქართველები კი მის გამოფენებს რეგულარულად ესწრებოდნენ.<sup>48</sup> საქართველოს ეთნოგრაფიის კვლევა, საფრანგეთში დაბრუნების შემდეგ თავისი ფოტოებით უხვად ილუსტრირებული კონფერენციების მოწყობა, გამოფენების ორგანიზება ბარონ დე ბაის საშუალება მისცა, რომ ფრანგი კოლეგების წინაშე კავკასიის უზადო მცოდნედ წარმოეჩინა თავი. ამასთანავე, ის განუწყვეტლივ ამარაგებდა საფრანგეთის მუზეუმებს კავკასიიდან წაღებული არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული კოლექციებით.<sup>49</sup> სამწუხაროდ, ამ პერიოდში რუსეთის იმპერიაში ჯერ კიდევ არ არსებობდა კანონი ევროპელი მეცნიერების მიერ კოლექციების საზღვარგარეთ გატანის აკრძალვის შესახებ.

გასაკვირი არც არის, რომ დე ბაის მიერ საქართველოზე დაწერილ

<sup>47</sup> A. Le Goff. Erudits de terrains et chercheurs d'aventures : les dossiers individuels des voyages dans les archives du ministère de l'Instruction publique (XIXe siècle et début du XXe siècle). Voyages et voyageurs, Sources pour l'histoire de voyages. Paris. 2010, გვ. 51-68.

<sup>48</sup> შთაბეჭდილებათა წიგნში დატოვებული ხელმოწერებით თუ ვიმსჯელებთ, 1901 წლის მაისში პარიზის გიმეს მუზეუმში ჩატარებულ გამოფენას ესტუმრნენ მადამ და მადმუაზელ ნიკოლაძეები [Mme et Mlle Nicoladzé], ნ. დოღობერიძე [N. Gogoberidzé], თ. სახოკია [Th. Sakhokia] (ხელმოწერა ფრანგულ და ქართულ ენებზე) და დეკანოზოვი (გიორგი დეკანოზიშვილი) [Dekanozoff].

<sup>49</sup> საფრანგეთის ეროვნულ არქივში დაცულია ქვითრები, რომლებზეც მითითებულია ბარონ დე ბაის მიერ ტფილისიდან პარიზში გაგზავნილი არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული კოლექციებით საკვე ყუთების რაოდენობა და წონა.

წიგნებს სამეცნიერო სიღრმე აკლია – კავკასიის ისტორია და არქეოლოგია მნიშვნელოვნად სცილდებოდა მისი თავდაპირველი საკვლევი თემის არეალს.<sup>50</sup> აქ ვერ ვიპოვით განსაკუთრებით საინტერესო უცნობ ინფორმაციას, რომელიც ქართველ მკვლევრებს დღეს ახალი აღმოჩენების წინაშე დააყენებს, თუმცა დე ბაის როლი გაცილებით მნიშვნელოვანია როგორც იმ მეცნიერისა, რომელიც ფრანგ საზოგადოებას ათწლეულების განმავლობაში დაუღალავად აცნობდა საქართველოს კულტურასა და ისტორიას. საქართველოს შესახებ გამოცემული მისი წიგნები შინაარსით უფრო მოგზაურის ჩანაწერებს ჰგავს – ის იმ ინფორმაციას, ლეგენდებსა თუ ისტორიებს გადმოგვცემს, რასაც მოგზაურობის დროს თანმხლები პირები, ქართველი თუ რუსი მეგობრები უყვებოდნენ. დე ბაის თხრობის სტილი ხშირად ექსპრესიულია და ზოგიერთი პასაჟი ბავშვური ალტაცებით უფრო არის დაწერილი, ვიდრე დაკვირვებული არქეოლოგის თუ ეთნოგრაფის თვალთახედვით. თუმცა ცნობილია, რომ იგი დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა თავის ექსპედიციებს და ისე დეტალურად ინიშნავდა ხოლმე გაგონილს, რომ ხანდახან რუსი მეგობრების დაცინვის საგანიც კი ხდებოდა.<sup>51</sup> მისი პირადი არქივიდან კარგად ჩანს თუ რა დიდ დროს უთმობდა ყოველი საკითხის შესწავლას, რა დიდი გულისყურით ეკიდებოდა ყოველ დეტალს. არქივებში დაცულ ასეულობით საბუთს შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი მიმოწერა თედო სახოკიასთან. თედო სახოკია ფრანგულ ენას კარგად ფლობდა და დე ბაის კონფერენციებისა თუ პუბლიკაციებისთვის რეგულარულად უგზავნიდა ქართული ზღაპრების, ლეგენდებისა თუ საქართველოს ისტორიიდან სხვადასხვა მონაკვეთების თარგმანებს.

დე ბაის თხრობისათვის დამახასიათებელი ერთი შეხედვით ნაჩქარევი სტილი, როდესაც იგი ცდილობს მოცულობით მცირე პუბლიკაციაში ერ-

---

<sup>50</sup> ექვთიმე თაყაიშვილი საკმაოდ მკაცრად აფასებს დე ბაის საქმიანობას. „ბარონ დე-ბაი ერთი დილეტანტი, მოხალისე არქეოლოგი იყო, შეძლება ჰქონდა, მოგზაურობდა, რაღაც-რაღაცეებს წერდა, ნივთებს იძენდა და ა.შ.“ – იხსენებდა ექვთიმე ე.წ. წერეთლისეული „ვეფხისტყაოსნის“ ეპიზოდთან დაკავშირებით, როდესაც დავით სარაჯიშვილის სურვილის მიუხედავად ექვთიმემ არ მისცა უფლება „ვეფხისტყაოსანი“ დე ბაისთვის ეჩუქებინათ და ამ მნიშვნელოვან ხელნაწერს საქართველო დაეტოვებინა. გასაკვირი არ არის ქართველი მეცნიერის ასეთი გულისწყრომა იმ პიროვნების მიმართ, რომელსაც ყოველ წელს საქართველოდან საფრანგეთის მუზეუმებისათვის ათეულობით ნივთი გაჰქონდა. სხვა შემთხვევაში ექვთიმე თითქოს უფრო ლმობიერია ფრანგი არქეოლოგის მიმართ. იხ. ე. თაყაიშვილი. მოგონებები, გვ. 164, 167.

<sup>51</sup> О. Ешалова. Талашкинские дневники Ольги Базанкур: взгляд на предмет сквозь призму психологии. Край Смоленский. №6. июнь. Смоленск. 2013, гв. 50-84.

ოდროულად რამდენიმე ამბავი ჩაატოს და თხრობა გაამდიდროს ლეგენდებითა და გადმოცემებით, ასევე კლინდება მის ფოტოებშიც. თუმცა მის ფოტონამუშევრებში ეს სწრაფი ტემპი ნამდვილად არ გულისხმობს სიუჟეტისადმი ზედაპირულ მიდგომას – ყოველი კადრი წინასწარ კარგად არის გააზრებული.

დე ბაისთვის სტუდიური ფოტოები არ იყო საინტერესო, ის ყველა ფოტოს ღია ცის ქვეშ იღებდა. ყოველ ახალ ქალაქში თუ სოფელში ჩასვლისას, იგი პირველ რიგში ადგილობრივ ბაზარს სტუმრობდა, სადაც ყველას – მყიდველს, გამყიდველსა თუ უბრალო გამძლელებს უღებდა ფოტოებს. ის ასევე დაინტერესებულია რელიგიური და საერო დღესასწაულებით, ჩაცმულობით, არქიტექტურით და მევენახეობა-მეღვინეობით. ხშირად ერთი შეხედვით თითქოს ნაჩქარევად გადაღებულ კადრზე დაკვირვებისას აღმოჩნდება, რომ ფოტოს უკანა პლანი გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი ინფორმაციის შემცველია, ვიდრე ეს შეიძლება თავიდან ჩანდეს (ფოტო 2, 4, 8). დე ბაი ასევე დაინტერესებული იყო საქართველოში მცხოვრები ფოტოგრაფებით. ფოტოებს უღებდა არა მხოლოდ მათ სალონებს (ფოტო 8, 11), არამედ ფოტონამუშევრებსაც ყიდულობდა საფრანგეთში წასაღებად. XIX საუკუნის მეორე ნახევრის ზოგიერთი დასავლეთ ევროპელი ფოტოგრაფისთვის (როლან ბონაპარტი, ჰუგო კრაფტი) ფოტოზე საკუთარი ჩრდილის ჩვენებაა დამახასიათებელი. აქ საქმე არ გვაქვს კადრში შემთხვევით მოხვედრილ ფოტოგრაფის ჩრდილთან; ეს ერთგვარი ხელწერაა იმ ეპოქაში, როდესაც ფოტოაპარატებს დაყონების ფუნქცია ჯერ კიდევ არ ჰქონდა და ფოტოგრაფი მის მიერ გადაღებულ ფოტოზე საკუთარ თავს ასე აღბეჭდავდა. სწორედ ამ ხელწერას იყენებს ბარონი დე ბაიც, როდესაც ათეულობით ფოტოზე მის ჩრდილს ვხედავთ (ფოტო 1, 11).

მოგზაურობისას ყველაფრის ზედმიწევნით გადაღების სურვილი და თითოეული ექსპედიციიდან ჩამოტანილი ასეულობით ფოტო ალბათ ყველაზე უკეთ აიხსნება დე ბაის ჩანაწერით. სადაც იგი აღნიშნავს კავკასიის ხალხების უახლოეს დროში შესწავლის აუცილებლობას, ვინაიდან, მისი აზრით, რუსეთის იმპერიის პოლიტიკა ადგილობრივ თვითმყოფად კულტურას გაქრობით ემუქრება.<sup>52</sup> დე ბაიც თავისი ფოტოების საშუალებით თითქოს ცდილობს დეტალურად აღწესდოს ქართული კულტურული მემკვიდრეობა, ადგილობრივი ყოფა, ცდილობს გადაიღოს ყველაფერი, რაც მას გზად ხვდება და თავისი

<sup>52</sup> Le Baron de Baye. Au nord de la chaîne du Caucase, souvenirs d'une mission. Paris. 1899, გვ. 5.

მოგზაურობის ამსახველი ერთგვარი ფოტოდოკუმენტური მასალა შემოგვთავაზოს. იქნებ ამიტომაც არის მისი ფოტოები სხვა ფოტოგრაფების ნამუშევრებისგან განსხვავებით ასეთი ცოცხალი და მრავლისმომცველი. ის ერთადერთი ფრანგი და, სავარაუდოდ, ევროპელი მოგზაურია, რომელმაც XIX-XX საუკუნების მიჯნის საქართველოს ასეთი დიდი ფოტოკოლექცია შემოგვინახა.

1920-იანი წლების საფრანგეთში დე ბაის პუბლიკაციებმა და ფოტოებმა ხელახალი მნიშვნელობა შეიძინა. ამჯერად ამ მასალით ემიგრაციაში მყოფი საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა დაინტერესდა. არქივებიდან ჩანს, რომ საქართველოს მხარდასაჭერად მოწყობილ შეხვედრებსა და საღამოებზე დე ბაის მიერ საქართველოში გადაღებულ ფოტოებს იყენებდნენ.<sup>53</sup> როგორც ამას ფრანგი მკვლევრის დღიურები მოწმობს, საფრანგეთში მცხოვრებ ქართველებს მასთან მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ და მას ხშირად სტუმრობენ კიდევ. თხოვნის მიუხედავად, ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის გამო, დე ბაი პირადად ვერ იღებდა მონაწილეობას საქართველოსადმი მიძღვნილ ღონისძიებებში, მაგრამ ქართველებს შეძლებისდაგვარად ეხმარებოდა საქართველოს შესახებ დაწერილი წიგნებითა<sup>54</sup> თუ საფრანგეთის მთავრობისათვის გაგზავნილი სარეკომენდაციო წერილებით.<sup>55</sup>

საინტერესოა ბარონ დე ბაის მიერ საქართველოში გადაღებული ფოტოების ბედი – ის, რასაც ავტორი საკუთარი პუბლიკაციების დამხმარე მასალად თვლიდა საუკუნის შემდეგ საქართველოს შესწავლისათვის ერთ-ერთი ძირითადი წყარო ხდება და თავისი მნიშვნელობით წინ უსწრებს იმავე პუბლიკაციებს. ამ უნიკალურ ფოტოკოლექციას დღეს უდიდესი წვლილის შეტანა შეუძლია ქართული მატერიალური კულტურული მემკვიდრეობის შესწავლის საქმეში.

<sup>53</sup> 1930 წლის 15 თებერვლით დათარიღებულ წერილში ნინო ნიკოლაძე-კოკე (ნიკო ნიკოლაძის ქალიშვილი) მადლობას უხდის ბარონ დე ბაის იმ ფოტოებისთვის, რომლებიც საქართველოს შესახებ გამართული მოხსენების დროს გამოიყენეს. პარიზის სლავისტიკის ინსტიტუტი. ბარონ დე ბაის ფონდი.

<sup>54</sup> ჩანაწერი ბარონ დე ბაის დღიურში: „12 მაისი 1929, კვირა. ექვსის ნახევარზე მესტუმრა ბატონი თაყაიშვილი, წაიღო ბროშურები“. კერძო კოლექცია.

<sup>55</sup> 1921 წლის 11 აპრილით დათარიღებულ წერილში (დაცულია კერძო კოლექციაში) საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი დე ბაის აცნობებს, რომ თავადმა ალექსანდრე ერისთავმა, „ეროვნებით ქართველმა“ [de nationalité géorgienne], რომიდან საფრანგეთში ჩასასვლელად ვიზა ითხოვა და სარეკომენდაციო პირად ბარონი დე ბაი დაასახელა; მინისტრი დე ბაის სთხოვს დაუდასტუროს თავდებად დადგომა. როგორც ჩანაწერებიდან ჩანს, დე ბაი ერისთავის სარეკომენდაციო წერილს აგზავნის მინისტრთან.

ბარონ დე ბაის მიერ საქართველოში გადაღებული ფოტოების ნუსხა:

ფოტოს გადაღების ადგილი	ფოტოს გადაღების თარიღი	ფოტოების რაოდენობა	დე ბაის მიერ გამოქვეყნებული
საქართველოს სამხედრო გზა	1897, 1898	21	10
თბილისი	1897, 1899, 1900	107	12
კარდანახი	1897	27	13
სიღნაღი	1897	5	3
თელავი	1897	2	-
სამტრეღია	1897, 1899	42	1
ზესტაფონი	1897	1	-
ქუთაისი	1897, 1901	13	7
გელათის მონასტერი	1897, 1901	8	2
ჩაქვი	1897	4	-
ურბნისი	1898	14	1
უფლისციხე	1898	2	-
ატენის სიონი	1898	4	1
სამთავისი	1898	4	1
ქვემო ჭალა	1898	2	1
უჯარმა	1898	2	1
თელავი	1898	4	1
შუამთა	1898	1	1
ალავერდობის დღესასწაული	1898	27	8
გორი	1898, 1901	13	2
ხევსურები ვლადიკავკაზში	1898	4	-
სალხინო	1899	35	-
მცხეთა	1900	19	-
ოზურგეთი	1901	36	8
სენაკი	1901	24	7
საჩხერე	1901	9	4
სავანე	1901	6	2
მღვიმევი	1901	6	2
ნატანები	1901	4	1




ანა ჭეიშვილი, კარინ პელტიე-კაროფი. ბარონი დე ბაი და საქართველო,  
ფრანგი მოგზაურის ფოტოკოლექცია

ბათუმი	1901	25	1
ადგილის მითითების გარეშე	1901	19	-
აფხაზეთი	1903	114	26
დავით სარაჯიშვი- ლის კენახი დილომ- ში	1904	5	-
<b>სულ</b>		<b>609</b>	<b>116</b>


ფოტოები:



1. საქართველოს სამხედრო გზა, სოფელ სიონის მახლობლად. 1897 წელი. მარცხნიდან მარჯვნივ: სერგეი შერემეტიევი, მისი მეუღლე და ქალიშვილი, უცნობი პირი, სერგეი ჟემჩუჟნიკოვი ფოტოაპარატით. წინა პლანზე ჩანს ბარონ დე ბაის ჩრდილი. წარწერა ფრანგულ ენაზე შესრულებულია ბარონ დე ბაის მიერ: „საქართველოს სამხედრო გზა“. 70.2006.26.01 © musée du quai Branly – Jacques Chirac.




2. კარდანახელი მღვდელი. სოფელი კარდანახი, კახეთი. 1897 წელი. უკანა პლანზე, კარის ღიობში ჩანს ორი ქალბატონი. წარწერა ფრანგულ ენაზე შესრულებულია ბარონ დე ბაის მიერ. 70.2006.26.01 © musée du quai Branly – Jacques Chirac.



3. სასულიერო პირი უფლისციხის ეკლესიასთან. 1898 წელი. 70.2006.26.14  
© musée du quai Branly – Jacques Chirac.



4. სალომე დადიანი-მიურატი და უცნობი გოგონა. სოფელი სალხინო, სამეგრელო. 1899 წელი. 70.2006.26.9 © musée du quai Branly – Jacques Chirac.




5. სალომე დადიანი-მიურატის მცირე სალონის ინტერიერი. სოფელი სალხინო, სამეგრელო. 1899 წელი. 70.2006.26.9 © musée du quai Branly – Jacques Chirac.



6. ცეკვა. სოფელი სალხინო, სამეგრელო. 1899 წელი. 70.2006.26.9 © musée du quai Branly – Jacques Chirac.




7. სვეტიცხოვლობის დღესასწაული. მცხეთა. 1900 წელი. ბარონ დე ბაის მიერ ალბომის კადრზე გაკეთებული მინაწერის მიხედვით ცეკვავს ქალბატონი ანდრონიკაშვილი. 70.2006.26.6 © musée du quai Branly – Jacques Chirac.



8. უცნობი პირი გოლოვინის პროსპექტზე. ამჟამად რუსთაველის გამზირი. თბილისი. 1900 წელი. უკანა პლანზე ჩანს ფოტოგრაფ ე. კლარის ფოტოსალონის აბრა. 70.2006.26.6 © musée du quai Branly – Jacques Chirac.



9. მარცხნიდან მარჯვნივ, პირველ რიგში: ნიკო დადიანი, ნინო პოლტორაკაია, ბარონი დე ბაი, ეჭვითვე თაყაიშვილი, ანა თულაშვილი; მეორე რიგში: თავადი გიორგაძე და ინოკენტი პეტროვი. მცხეთა. 1900 წელი. 70.2006.26.6 © musée du quai Branly – Jacques Chirac.



10. ქართველი ებრაელები ქუთაისის ებრაულ უბანში. 1901 წელი. 70.2006.26.7 © musée du quai Branly – Jacques Chirac.



11. ფოტოგრაფ ლ. პიმენიდისის ფოტოსალონი. სოხუმი. 1903 წელი. წინა პლანზე ჩანს ბარონ დე ბაის ჩრდილი. 70.2006.26.12 © musée du quai Branly – Jacques Chirac.





12. აფხაზი გლეხები და თელი საზოკია. სოფელი ლიხნი, აფხაზეთი. 1903 წელი.  
70.2006.26.12 © musée du quai Branly – Jacques Chirac.



13. გიორგი ჯგირინაია [Georges Diguirinaïa], მეგრელი მეთუნე. სოფელი ბაგაუიაშთა [Bagabechta] სოხუმსა და ღრანდას შორის (ამჟამად სოფელი ფშაფი), აფხაზეთი.  
1903 წელი. 70.2006.26.12 © musée du quai Branly – Jacques Chirac.



14. დავით სარაჯიშვილი თავის ვენახში. სოფელი დიღომი. 1904 წელი.

© კერძო კოლექცია.

*Ana Cheishvili*

Ecole des hautes études en sciences sociales  
(CERCEC/CNRS), France

*Carine Peltier-Caroff*

Musée du quai Branly – Jacques Chirac, France

**BARON DE BAYE AND GEORGIA,  
PHOTOGRAPHIC COLLECTION OF A FRENCH TRAVELER**

Summary

Joseph Berthelot, Baron de Baye (1853-1931), is a French archaeologist and traveler who carried out several scientific missions in the Russian Empire in 1895-1910. During his missions he took more than 1700 photos, most of them are kept in Paris at the Musée du quai Branly – Jacques Chirac. After a study of this collection as well as the collections held in other French institutions, we found that 609 photos were taken in Georgia in 1897-1901 and 1903-1904. Although Baron de Baye was not specialized in the archaeology and ethnography of the Caucasus, today these images are an invaluable source in the study of Georgia's cultural heritage.

*დამიტრი შველიძე*

ასოციირებული პროფესორი, თსუ

### **პატრიოტ-კონსერვატორთა დასი XIX საუკუნის საქართველოში**

პოლიტიკური პარტიების წარმოქმნამდე საქართველოში, XIX საუკუნის 50-90-იან წლებში, რამდენიმე საზოგადოებრივი მიმდინარეობა მოღვაწეობდა. მათ წარმოშობას ჰქონდა მთელი რიგი წინაპირობები.

XIX ს-ის 30-50-იან წლებში საქართველოში მეტნაკლებად მშვიდობიანი განვითარების გარემო შეიქმნა. შესამჩნევი გახდა ქვეყნის ეკონომიკური აღმასვლა, გაიზარდა მოსახლეობის რაოდენობა, სამეურნეო სტაბილიზაციას თან ახლდა ქალაქების ზრდა, ვაჭრობა-მრეწველობის გაცხოველება. მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა მოსახლეობის სოციალურ სტრუქტურაში. რღვევა დაიწყო ტრადიციულად ჩამოყალიბებულმა ბატონყმობისათვის დამახასიათებელმა ურთიერთობებმა. ცხოვრებისა და ყოფის თითქმის ყველა სფეროში მომზადდა ნიადაგი ახალი ბურჟუაზიული ურთიერთობების დამყარებისათვის. თუმცა ბატონყმური წესრიგის კონსერვაცია ხელს უშლიდა როგორც პერიფერიული საქართველოს და სხვა დაპყრობილი ქვეყნების, ისე მეტროპოლიური რუსეთის სოციალურ-ეკონომიკურ წინსვლას. მონარქია სპობდა პოლიტიკური თავისუფლებისა და თვითმომქმედების, საზოგადოებრივი ჯგუფების, მიმდინარეობების, კავშირებისა თუ საზოგადოებების ფუნქციონირების ყოველგვარ შესაძლებლობას. მით უფრო წარმოუდგენელი იყო ისეთი პოლიტიკური ორგანიზაციის შექმნის შესაძლებლობა, როგორც პოლიტიკური პარტია გახლდათ. ამგვარი რეალობის კარგად ცნობილი დადასტურება იყო 1832 წლის შეთქმულებრივი მოძრაობისა და საიდუმლო ორგანიზაციის ხვედრი. ბევრი ნიშნის მიხედვით, 1832 წლის შეთქმულთა ორგანიზაცია ნამდვილი პოლიტიკური პარტიის სახეს ატარებდა.

ეს იყო თანამოაზრეთა მებრძოლი საიდუმლო ორგანიზაცია – მის რიგებში თანამოაზრეებს მხოლოდ მკაცრი შერჩევის გზით იღებდნენ. ისინი კონსპირაციული მოსაზრებით თავიანთ საპროგრამო დოკუმენტებში არსად ახსენებდნენ „ორგანიზაციას“, მაგრამ მიუთითებდნენ, რომ იყვნენ „აქტი გონიურის“, ე. ი. გარკვეული გაერთიანების წევრები; მათ ჰქონდათ პოლიტიკური ორგანიზაციისათვის დამახასიათებელი უმთავრესი კომპონენტი – პოლიტიკური მიზანი – ეროვნული სახელმწიფოს აღდგენა, საკუთარი მეფითა და ეროვნული მთავრობით ხელისუფლების სათავეში; შეთქმულებს ჰქონდა, პოლიტიკური ორგანიზაციის ერთ-ერთი მახასიათებელი – ჩამოყალიბებული პარტიული წესდება, რომელიც მკაცრად განსაზღვრავდა ორგანიზაციაში გაწევრიანების პირობებს, მოთხოვნებსა და ვალდებულებებს; ორგანიზაციას ჰყავდა ხელმძღვანელი უმცირესობა და თავმჯდომარე-ლიდერი, რომელიც ხანგრძლივი მსჯელობისა და დებატების შემდეგ აირჩიეს – ელიზბარ ერისთავი.

ორგანიზაციას არ ჰქონდა პოლიტიკური პროგრამა, მაგრამ გააჩნდა კარგად მოფიქრებულ-ჩამოყალიბებული მოქმედების, როგორც ორგანიზაციული, ისე სახელმწიფოებრივი და სისტემური ცვლილებების გეგმა, შედგენილი ჩრდილოვანი კაბინეტი, საარჩევნო პროექტის მონახაზი და ა. შ.

დაბოლოს, როგორც ირკვევა, შეთქმულები თავიანთ შეკრებულებას თუ ორგანიზაციას – „პარტიას“ უწოდებდნენ. ამ ყველაფრის შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა დასაბუთებული მსჯელობა და აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.<sup>1</sup>

ცხადია, მეტის შესაძლებლობას ნიკოლოზ პირველის დახუთული რეჟიმი არ იძლეოდა და რაც შეძლეს ოცდათორმეტიანელებმა, იმისთვისაც უმკაცრესი სასჯელი ელოდათ, მაგრამ მსუბუქად დაისაჯნენ, ზოგიერთი გამოინაკლისის გარდა. 1832 წლის შეთქმულებრივი მოძრაობის განადგურებამ ისეთი მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა ქართულ საზოგადოებაში, რომ მისი აქტივობა და თვითმოქმედება თითქმის ოცი-ოცდაათი წლით შეწყდა. უფრო დიდი ხნით, ნახევარ საუკუნეზე მეტი დროით შეფერხდა საქართველოში პოლიტიკური პარტიების ასპარეზზე გამოსვლაც. ასეთი სურათი იყო მთელს იმპერიაში. თვით რუსეთში მსგავსი შედეგი მოჰყვა დეკაბრისტების გამოსვლასაც.

მიუხედავად ამისა, რუსეთის იმპერიაში, XIX საუკუნის 40-50-იანი წლებიდან წარმოიქმნა პოლიტიკური პარტიის წინამორბედი – არაფორმალუ-

---

<sup>1</sup> დ. შველიძე. 1832 წლის შეთქმულებრივი მოძრაობის ისტორიიდან. თბ. 2014.

რი გაერთიანებები, რომლებიც საზოგადოებრივი მიმდინარეობების სახეს და ფორმას ატარებდნენ. ეს იყო საერთო მსოფლმხედველობის მოზიარე ადამიანთა დაჯგუფებები, რომლებიც თავს იყრიდნენ რომელიმე გაზეთის, ჟურნალის თუ გამოცემის გარშემო.

საქართველოშიც მსგავს პროცესებს ჰქონდა ადგილი. თანამოაზრეთა ჯგუფები იქმნებოდა ამა თუ იმ ჟურნალ-გაზეთის რედაქციაში და მასთან გარედან მოთანამშრომლე ავტორ-მხარდამჭერთა სახით. „საქართველოს მოამბე“, „დროება“, „ივერია“, „კრებული“, „შრომა“, „მოამბე“, „კვალი“ – ეს ის გამოცემებია, რომელთა გარშემო მოღვაწეობდნენ ჯერ საზოგადოებრივ-კულტურული, ბოლოს კი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმდინარეობები საქართველოში. პირველები იყვნენ: თერგდალეული პატრიოტ-დემოკრატები („საქართველოს მოამბე“, „ივერია“) და ბურჟუაზიულ-დემოკრატები („დროება“); მეორენი: ხალხოსნები („კრებული“, „შრომა“), მესამე დასელი სოციალ-დემოკრატები („კვალი“), ახალგაზრდა ივერიელები („ივერია“) და ბურჟუაზიულ-რადიკალები („მოამბე“).

XIX საუკუნის მეორე ნახევრის მიმდინარეობათა ერთ-ერთი პირველი და ვიტყვოდი – ყველაზე გახმაურებული კლასიფიკაცია გიორგი წერეთელმა მოახდინა. მან მიიჩნია, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოს საზოგადოებრივ ასპარეზზე სულ სამი „დასი“ ანუ მიმდინარეობა არსებობდა. პირველი იყო 1860-იანი წლებიდან სამოღვაწეოდ გამოსული „ლუმანიტარული დროშის ამფრიალებელი“ დასი, რომელიც ილია ჭავჭავაძის გარშემო იყრიდა თავს. „ამ ცოცხალმა მოძრაობამ“ ჯერ ჟურნალი „საქართველოს მოამბე“ გამოსცა, ხოლო შემდეგ გაზეთი „ივერია“. მეორე დასი 1866 წელს „გამონჩნდა“. „ეს დასი შეჯგუფდა და შეკავშირდა „დროება – კრებულის“ რედაქციაში, ამ დასის ნამდვილი წარმომადგენლები იყვნენ ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, ს. მესხი, კირილე ლორთქიფანიძე და პეტრე უმიკაშვილი“.<sup>2</sup> ამის შემდეგ, 1890-იან წლებში, ქართველი მარქსისტები გამოდიან ასპარეზზე, რომლებსაც გ. წერეთელი „მესამე დასელებს“ უწოდებს და ეს სახელი სამუდამოდ ხდება ქართული სოციალ-დემოკრატიის სინონიმი. თუმცა თვით გ. წერეთლის ეს ე. წ. „სამდასოვანი“ კლასიფიკაცია მაშინვე გახდა თანამედროვეთა მძაფრი კრიტიკის საგანი. არჩილ ჯორჯაძეს მოჰყავს პუბლიცისტ ალექსანდრე ნანეიშვილის სიტყვები: „მართალი გითხრათ, ახალ დასს, რომე-

<sup>2</sup> გ. წერეთელი. „კიტა აბაშიძე და ჩვენი ახალგაზრდობა“. გაზ. „კვალი“. 1897. №46.

ლიც „კვალში“ დაბუდებულა, მესამე რად ეწოდება, დღემდე ვერ გაგვივია“.<sup>3</sup>

არჩილ ჯორჯაძემ პირველმა ყველაზე საფუძვლიანად შეისწავლა გ. წერეთლის მიერ შერისხული საზოგადოებრივი მიმდინარეობები, რომლებიც ვერ მოხვდნენ მის „სამდასოვან“ კლასიფიკაციაში. მან თავის შესანიშნავ ნაშრომში: „მასალები ქართველი ინტელიგენციის ისტორიისათვის“, მონოგრაფიული წესით შეისწავლა პუბლიცისტური ნაწერები ჟურნალ-გაზეთებისა: „ცისკარი“, „საქართველოს მოამბე“. „ღრობა“, „მნათობი“, „კრებული“, „იმედო“, „მოამბე“, „კვალი“, და ბოლოს, 1895-1896 წლების „ივერია“.

ყველა ამ გამოცემის უკან ჯორჯაძემ სხვადასხვა იდეური მიმართულების ჯგუფი დაინახა და დაასაბუთა კიდევ. შემდგომში ჯორჯაძის კვლევის ობიექტურობა ქართულმა ისტორიოგრაფიამაც თანდათანობით აღიარა, მაგრამ წერეთლის „სამდასოვანი“ თეორია დღესაც იჩენს თავს ისტორიკოსთა შრომებში. ჩვენს 1993 წელს გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში პოლიტიკური პარტიების შესახებ, ცალკე თავი დავუთმეთ 1890-იან წლებში მოქმედ ორ საზოგადოებრივ მიმდინარეობას – გაზეთ „ივერიის“ გარშემო თავმოყრილ „ახალგაზრდა ივერიელებს“ და ჟურნალ „მოამბის“ ბურჟაზიულ-ეროვნულ ჯგუფს, რომლებსაც გ. წერეთლისეულ კლასიფიკაციაში ადგილი არ ერგოთ.<sup>4</sup>

ამჯერად, ჩვენი ყურადღება გვინდა მივაქციოთ კიდევ ერთ საზოგადოებრივ მიმდინარეობას, რომელსაც, ასევე, პირველად შეეხო და განიხილა არჩილ ჯორჯაძემ – ესაა ჟურნალ „ცისკრის“ ჯგუფი. ამ ჯგუფს ჯორჯაძემ სავსებით სამართლიანად – კონსერვატორები უწოდა და დაასაბუთა კიდევ. ეს ჯგუფი XIX საუკუნის მეორე ნახევრის პერიოდში შექმნილი პირველი საზოგადოებრივი მიმდინარეობა იყო და მას თავისი ადგილი უნდა ჰკუთვნებოდა ქართული აზროვნებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმდინარეობების ისტორიაში. მაგრამ პირიქით მოხდა. ეს ჯგუფი როგორღაც სრულიად ამოვარდნილი აღმოჩნდა XIX საუკუნის საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმდინარეობების ისტორიიდან. მის შესახებ არაა საუბარი „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ მეხუთე ტომში. „ცისკრის“ ჯგუფი, როგორც საზოგადოებრივი მიმართულება არაა განხილული არც ერთ სასკოლო თუ მით უფრო სტუდენტებისათვის განკუთვნილ საქართველოს ისტორი-

<sup>3</sup> ა. ჯორჯაძე. წერილები. შემდგენელი აკაკი ბაქრაძე. თბ. 1989, გვ. 370.

<sup>4</sup> დ. შველიძე. პოლიტიკური პარტიების წარმოშობა საქართველოში. ნაკვ. I. ფედერალისტები. თბ. 1993. გვ. 15-53.

ის სახელმძღვანელოებში. „ცისკრელები“ – ანუ როგორც ერთ ღროს უწოდებდნენ – „მტკვარდალეულები“, ვერ მოხვდნენ „საქართველოს ისტორიის“ 2012 წელს გამოცემულ ოთხტომეულის მეოთხე ტომშიც. დასანანია, რომ „ცისკრელებს“ კუთვნილი ადგილი არ ერგოთ ჩვენი მონაწილეობით მომზადებულ XIX საუკუნის „საქართველოს ისტორიის“ სახელმძღვანელოში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის, რომელიც 2004 წელს გამოიცა.

თუმცა დღემდეც შეისწავლებოდა და ახლაც გრძელდება მეცნიერული შესწავლა ჟურნალ „ცისკრისა“, ქართული ჟურნალისტიკის ისტორიის საერთო კონტექსტში. გარდა მ. გოცაძის, ალ. კალანდაძის და სხვათა ადრინდელი ნაშრომებისა, უკანასკნელ ხანს გამოქვეყნდა თამაზ ჯოლოგუას საყურადღებო ნაშრომი, რომელშიც შესაბამისი ადგილი ეთმობა ჟურნალ „ცისკარსაც“.<sup>5</sup>

კიდევ ერთხელ გადავავლოთ თვალი: როგორი იყო 1857-1862 წლების ჟურნალ „ცისკრის“ საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროფილი, მსოფლმხედველობა, იდეოლოგია და საერთოდ – მიმართულება. ჩვენ, ძირითადად, ვიზიარებთ არჩილ ჯორჯაძის მიერ დასაბუთებულ კონცეფციას „ცისკრის“ კონსერვატიულობის შესახებ და, შესაძლოა, დამატებითი ასპექტებით შევავსოთ გამოჩენილი ქართველი მოაზროვნის ადრინდელი მონაცემები.

1832 წლის შეთქმულების დამარცხების შემდეგ ქართული საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრება მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. სახალხო-ეროვნული მოძრაობა დამარცხდა. ქართული საზოგადოების წამყვანმა და მოწინავე კლასმა – თავადაზნაურობამ – XIX საუკუნის 40-50-იან წლებში საბოლოოდ გადაწყვიტა, რომ რუსეთის იმპერიასთან ბრძოლა უაზროა და, პირიქით, საკუთარი ერის სამსახური შესაძლებელია მხოლოდ რუსეთის იმპერატორის ერთგული მსახურების გზით. ამგვარ ფსიქოლოგიას ქართველ თავადაზნაურობაში ენერგიულად ნერგავდა კავკასიის ადმინისტრაცია და მისი იმჟამინდელი მეთაური მიხეილ ვორონცოვი. როგორც იმპერიის ერთგული მოხელე, ვორონცოვი ცდილობდა, მხარეში საფუძვლიანად დაემკვიდრებინა რუსული მმართველობა, მაგრამ სხვებისაგან განსხვავებით, იგი ამ საქმეს შიშველი ადმინისტრაციული მეთოდებით არ ახორციელებდა. იგი ცდილობდა, ხელი შეეწყო საქართველოში ჩამკვდარი კულტურული ცხოვრების აღორძინებისათვის.

<sup>5</sup> თ. ჯოლოგუა. ქართული ჟურნალისტიკის ისტორია (XIX საუკუნე). ნაკვ. I. თბ. 2011. გვ. 145-194.



მისი ხელშეწყობით აღდგა ქართული თეატრი; გაიხსნა საჯარო ბიბლიოთეკა; გამოვიდა პირველი ქართული დამოუკიდებელი ყოველთვიური სალიტერატურო ჟურნალი „ცისკარი“, რომელიც სამწლიანი პაუზის შემდეგ 1857 წელს, ხელახლა გამოვიდა ივანე კერესელიძის რედაქტორობით. „მიძინებული ერთი თითქოს გამოფხიზლდა და დეზორგანიზაციაში მოყვანილი საზოგადოებრივი სხეული გამრთელების და განკურნების იმედმა შეიპყრო“.<sup>6</sup>

განახლებული „ცისკარის“ გარშემო თავი მოიყარეს თავადაზნაურული ინტელიგენციის წარმომადგენლებმა: ალექსანდრე ორბელიანმა, ბარბარე ჯორჯაძემ, სარდიონ მესხიშვილმა, გრიგოლ ბარათაშვილმა, რევაზ ერისთავმა, ალექსანდრე სავანელმა, მიხეილ თუმანიშვილმა, სხვებმა. რა თქმა უნდა, ვგულისხმობთ ჩამოთვლილ ავტორთა მსოფლმხედველობრივ-იდეოლოგიურ პოზიციებს და არა მათს გვაროვნულ-სოციალურ წარმომავლობას. „ცისკრელთა“ დასს გამორჩეული იდეური პუბლიცისტი ლიდერები არ ჰყავდა, მაგრამ მათი უთვალსაზიროესი ფიგურები იყვნენ დიმიტრი ყიფიანი და გრიგოლ ორბელიანი.

„ცისკრელების“ პუბლიცისტურ თუ ნაბეჭდ პროდუქციას სამი ძირითადი იდეურ-მსოფლმხედველობრივი პოზიცია ახასიათებდა. პირველი იყო „ეროვნულ-ქართული“ პატრიოტიზმი. კონსერვატორული მიმდინარეობის წარმომადგენლები სამშობლოს გულმხურვალე პატრიოტები იყვნენ. „ცისკარი“ ძველი საქართველოს მოტრფიალე იყო, მისი კულტურის, ისტორიის, ტრადიციების პროპაგანდისტი. ხშირად ეძღვნებოდა წერილები ქეთევან დედოფალს, ერეკლე მეორეს და სხვა ისტორიულ მოღვაწეებს. სხვათა შორის, სანამ ილია ჭავჭავაძის საშინელი კრიტიკა დაატყდებოდა თავს, რევაზ შალვას ძე ერისთავმა რუსულიდან თარგმნა ცნობილი რუსი ისტორიკოსის ტიმოფეი გრანოვსკის საჯაროდ წაკითხული ლექცია: „ლანგ-თემურ“, რომელშიც საქართველოზეც იყო საუბარი.

ჟურნალი „ცისკარი“ თავს იწონებდა საქართველოს ისტორიისა და ქართველი ხალხის უძველესი წარმომავლობით. „სიძველე ქართველთ ჩამომავლობისა“ – ასე ეწოდებოდა ერთ-ერთ ნარკვევს, რომელშიც კკითხულობთ: „არა მგონია მოხდეს შეცთომილება, თუ ვიტყვით, რომ პირველნი მცხოვრებნი ივერიისა, იყვნენ ეხლანდელნი ქართველნი, და ნუ ჰგონიათ გამოძიებელთ, რომ ძველნი მეთისტორიკენი, რომელნიცა არ უწოდებენ აქაურს მცხოვრებს უთუოდ სახელათ: ქართველნი, ჰცოდამდნენ ისინი ამათ წინაშე...“.<sup>7</sup>

---

<sup>6</sup> ა. ჯორჯაძე. წერილები. შემდგენელი აკაკი ბაქრაძე, გვ. 103.

<sup>7</sup> „ცისკარი“. ქართული სალიტერატურო ჟურნალი. 1857 წლისა. წიგნი მეექვსე. „სიძველე ქართველთ ჩამომავლობისა“.

ქართული ენის სიწმინდის დაცვა „ცისკრის“ ავტორების ერთ-ერთი საზრუნავი იყო. „ცისკრელები“ ძველი ქართული სამწერლო ენის ნებისმიერი შეცვლის წინააღმდეგ ილაშქრებდნენ. ალექსანდრე ორბელიანი მომხრე იყო იმ ენის უცვლელად შენარჩუნებისა, რომლითაც ერთ დროს წერდნენ „რუსულანიანს“, „ვისრამიანს“ თუ „ყარამიანს“. თერგდალეულებთან კამათის დროს ისინი ხშირად იშველიებდნენ ღვთისმეტყველურ ლიტერატურას, ანტონ კათალიკოსს, როგორც წერის ნიმუშებს. ექვთიმე წერეთელი აღშფოთებული იყო ახალი თაობის წარმომადგენელთა გემოვნების დაცემით, რომელნიც ანტონ კათალიკოსის „მაღალს ნიჭიერს სიტყვაობას“, მის „წყობილ სიტყვაობას, მის აკრისტიხულებას და იამბიკობას“ იწუნებდნენ.

„ცისკარი“, როგორც შეეძლო, ისე ირჯებოდა ქართული ლიტერატურისა თუ ენის სამსახურისათვის. 1857 წლის აპრილის ნომერი სიხარულით აუწყებდა საკუთარ მკითხველს, რომ რედაქციამ დასაბუჭდად მიიღო შექსპირის „ჰამლეტის“ ქართული პროზაული თარგმანი. იგი უთარგმნია კეთილშობილთა გიმნაზიის მეხუთე კლასის მოწაფეს მ. ფავლენიშვილს „მდაბიურს ენაზედ... ყოველთათვის გასაგონათ“. რედაქციას ის გარემოება ახარებდა, რომ „ყრმანიც კი ცდილობენ დაცემულის ქართულის ლიტერატურის აღდგინებას“.<sup>8</sup> რამდენად შესძლებდნენ ქართული ლიტერატურის „აღდგინებას“ მეხუთე კლასელი გიმნაზიელები, თანაც შექსპირის პროზაული თარგმნით, „ცისკარი“ ამაზე დუმდა, თუმცა „ჰამლეტის“ გულსაკლავი თარგმანი ჟურნალის რამდენიმე ნომერში იბეჭდებოდა.

„ცისკარში“ მეორე-მესამეხარისხოვანი პოეტებისა თუ პროზაიკოსების გვერდით პირველად იხილა ქართველმა მკითხველმა ალექსანდრე ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, რაფიელ ერისთავისა და ვახტანგ ორბელიანის ბეჭდური პოეტური ქმნილებები; დიმიტრი ბაქრაძის საისტორიო ნარკვევები; რაც მთავარია, აქ თავიანთი პირველი ნაწარმოებები გამოაქვეყნეს აკაკი წერეთელმა და ილია ჭავჭავაძემ. ასე რომ, „ცისკარმა“ დასაწუნთან ერთად ბევრი კარგი საქმეც გააკეთა.

არჩილ ჯორჯაძემ, ქართველ მოაზროვნეთაგან პირველმა, ჩამოაყალიბა და დაასაბუთა აზრი, რომ „ცისკრის“ გარშემო შემოკრებილი ჯგუფის მთავარი დამახასიათებელი ნიშან-თვისება – „რუსულ-სახელმწიფოებრივი“ ლოიალიზმი გახლდათ. ქართული პატრიოტიზმი მჭიდროდ ერწყმოდა რუსეთის ხელმწიფის ერთგულებას. ჯორჯაძის სიტყვებით, „ცისკრის იდეალი იყო

<sup>8</sup> „ცისკარი“. 1857 წლისა. წიგნი მეოთხე. აპრილი. „რედაქციისაგან“.

„რუსეთის მმართველობის წრეში ქართველთა პოლიტიკური აზროვნება, ერთგულება და მჭიდრო კავშირი რუსეთთან, ხოლო ნაცვლად ამისა, ქართველების ეროვნულ-კულტურული აღორძინების უზრუნველყოფა რუსეთის მფარველობის ქვეშ“.<sup>9</sup> ახლა ვნახოთ, თვით „ცისკრელები“ როგორ და რა არგუმენტებით ასაბუთებდნენ საკუთარ საზოგადოებრივ პოზიციას. ამ მხრივ გამოირჩეოდა ქართული რეალობის ერთ-ერთი პირველი პუბლიცისტი, მიხეილ თუმანიშვილი, რომელიც „მოლაყბის“ ფსევდონიმით წერდა და მიჰყავდა იუმორისტული რუბრიკა – „სალაყბო ფურცელი“. (არსებობს მოსაზრებები, რომ ზოგიერთი სტატიის ავტორი ამ რუბრიკისა, იყო თვით „ცისკრის“ რედაქტორი – ივანე კერესელიძე და ზოგი სხვა ავტორიც).<sup>10</sup>

„მოლაყბე“ რუსეთის მმართველობის დიდად მადლიერია. სად იყო საქართველოსა თუ თბილისში ადრე ასეთი მშვენიერი სახლები, ასეთი ჩინებული ხიდები, როდის იყო საქართველოში ასეთი ვაჭრობა გაჩაღებული, სად იყო უწინ „ტეატრი“ ან „სადა გვქონდა ჟურნალი და რომელი „ცისკარი“ გამოდიოდა თამარ მეფის დროს, რომელსა საუკუნესა ეძახიან ოქროს საუკუნედ!...“ მოვიხმარეთ ეს ყველაფერი, მთავრობამ რომ მოგვცა?<sup>11</sup>

სხვა სტატიებში უფრო მკვეთრად გამოთქვამს „მოლაყბე“ თავის მონარქისტულ უქვეშევრდომილეს გრძნობებს: საქართველო ცხოვრობს ამისთანა მშვიდობიანობის დროში, რომელიც მოგვცემია წყალობად, ჩვენის დიდის რუსეთის იმპერატორისაგან; მტერი ვერა ბედავს ჩვენს შევიწროვებას, ვინაიდან გვიცავს უძლიერესი ორთავიანი არწივი ჩრდილოეთისა და ა. შ.

ჟურნალის შემდეგ ნომერში „მოლაყბე“ კვლავ აგრძელებდა დაწყებულ მონოლოგს და დაასკვნია, რომ „უბედურება კი არა და ამისთანას ბედნიერს მდგომარეობაში, თავის დღეშიც არა ვყოფილვართ ჩვენის დიდის ხელმწიფის და საზოგადო მაძის წყალობით“.<sup>12</sup>

რუს ხელმწიფის ერთგულების გზით სამშობლოს სამსახურის თვალნათლივი მაგალითი იყო დიმიტრი ყიფიანის ცხოვრება-მოღვაწეობა. 1832 წლის შეთქმულებრივ მოძრაობაში მონაწილეობის გამო ვოლოგდაში გადასახლებული დ. ყიფიანი 1837 წელს დაბრუნდა სამშობლოში და სახელმწიფო სამსახურში შევიდა. ის სხვადასხვა დროს იყო თბილისისა და ქუთაისის

<sup>9</sup> ა. ჯორჯაძე. წერილები. შემდგენელი აკაკი ბაქრაძე, გვ. 115.

<sup>10</sup> თ. ჯოლოგუა. ქართული ჟურნალისტიკის ისტორია. XIX საუკუნე. ნაკვ. I. თბ. 2011, გვ. 166.

<sup>11</sup> „ცისკარი“. 1857 წლისა. წიგნი მეცხრე. სექტემბერი. „სალაყბო ფურცელი“.

<sup>12</sup> „ცისკარი“. 1857 წლისა. წიგნი მეთორმეტე. დეკემბერი. „სალაყბო ფურცელი“.

გუბერნიების თავადაზნაურთა წინამძღოლი, თბილისის ქალაქისთავი, კავკასიის მეფისნაცვლის საბჭოს წევრი და სხვ. კავკასიის ადმინისტრაციის მაღალ სამოხელეო ელიტაში ყოფნასთან ერთად დიმიტრი ყიფიანი სათავეში ედგა მრავალ მამულიშვილურ წამოწყებას: იყო საჯარო ბიბლიოთეკის დამაარსებელთაგანი; სათავადაზნაურო ბანკის დაფუძნების ინიციატორი; წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების პირველი თავმჯდომარე და ა. შ. არჩილ ჯორჯაძის შეფასებით, დიმიტრი ყიფიანის პიროვნებაში ერთმანეთს შეერწყათითქოს „რუსულ-სახელმწიფოებრივი“ ერთგულება და „ეროვნულ-ქართულის“ მსახურება.

იგივე და მეტიც ითქმის გრიგოლ ორბელიანის შესახებ, რომლის ცხოვრება-მოღვაწეობა, როგორც მეფის გენერლისა, როგორც პოეტისა და პატრიოტისა, „ცისკრელთა“ მსოფლმხედველობის ცოცხალ განსახიერებად აღიქმებოდა. გრიგოლ ორბელიანი სიყრმის ასაკიდან შევიდა სამხედრო სამსახურში. 1816 წლიდან იყო 21-ე საარტილერიო ბრიგადის იუნკერი; 1817 წელს გადაიყვანეს ქართველ გრენადერთა პოლკში პროპორშიკად. 1822 წელს მონაწილეობდა ჭარ-ბელაქანში მიმდინარე აჯანყების ჩაქრობაში. 1825 წლიდან პოდპორუჩიკია და მონაწილეობს რუსეთ-სპარსეთის ომში. თავი გამოიჩინა ერევნის აღების დროს, დააჯილდოვეს წმინდა ანნას მეოთხე ხარისხის ორდენით და გახდა პორუჩიკი. 1828-1829 წლებში რუსეთ-ოსმალეთის ომში იბრძოდა, მონაწილეობდა ყარსისა, ახალციხისა და ხერთვისის იერიშით აღების ოპერაციებში. 1829 წელს დაჯილდოვდა წმინდა ვლადიმირის მეოთხე ხარისხის ორდენით.

1832 წლის შეთქმულებრივ მოძრაობაში მონაწილეობამ და გადასახლება მცირე ხნით შეწყვიტა მისი კარიერული წინსვლა, მაგრამ ვერ შეაჩერა. 1836 წელს გრ. ორბელიანი შტაბსკაპიტნის რანგში აგრძელებს სამხედრო სამსახურს. 1840 წლიდან მას კაპიტნობა მისცეს, ხოლო 1840 წელს მთიელებთან ომში გამოჩენილი მამაცობისათვის მაიორის ჩინი დაიმსახურა, 1844 წელს – პოდპოლკოვნიკის, ხოლო 1846 წელს – პოლკოვნიკისა. ამ პერიოდის განუწყვეტლივ და მრავალი წლის განმავლობაში იბრძოდა კავკასიის მთიელთა წინააღმდეგ რუსეთის მიერ წარმოებულ ბრძოლებში. 1848 წელს მისი მეთაურობით აფშერონის პოლკმა გადაწყვეტი როლი შეასრულა სოფ. გერგებელის აღებაში, რის გამოც მას გენერალ-მაიორობა მიენიჭა. 1851 წლიდან ორბელიანი ჭარ-ბელაქანის ოლქის მმართველია და დაღესტნის ხაზის უფროსი.

1853 წელს მცირე ძალებით გრიგოლ ორბელიანმა შეძლო მოეგერიებინა შამილის თავდასხმა ჭარ-ბელაქანში, ხოლო შემდეგ რამდენიმე შეტაკებაში დაამარცხა მთიელები და გაანთავისუფლა მთიელების მიერ ალყაშემორტყმული ზაქათალის სიმაგრე. 1855 წელს ის გენერალ-ლეიტენანტია და კასპიისპირეთის მხარის ჯარების სარდალი. 1857 წლიდან გრ. ორბელიანი მისი იმპერატორობითი უმაღლესობის გენერალ-ადიუტანტია და ინიშნება კავკასიის მეფისნაცვლის საბჭოს თავმჯდომარედ. 1860 წელს ორბელიანი თბილისის გენერალ-გუბერნატორის პოსტს იკავებს. 1862 წელს ორბელიანი ინფანტერიის გენერალია, იმავე წელს იმპერიის სახელმწიფო საბჭოს წევრი ხდება და ანდრია პირველწოდებულის ორდენით ჯილდოვდება.

ბუნებრივია, ამგვარ კარიერას, გზას იუნკრობიდან გენერლობამდე და იმპერიის სახელმწიფო საბჭოს წევრობამდე, გრიგოლ ორბელიანი საკუთარი მეომრული სიმამაცითა და იმპერატორის ერთგული სამსახურით თუ შეძლებდა. გრიგოლ ორბელიანის მსოფლგაგება და პრაქტიკული ცხოვრება მთლიანად თავსდება პატრიოტ-კონსერვატორთა მთავარ იდეოლოგიურ პოსტულატში – საკუთარი სამშობლოს მსახურება რუს ხელმწიფის ერთგულების გზით. 1851 წლის 3 აგვისტოს გახარებული გრ. ორბელიანი, რომელმაც მორიგი ორდენი მიიღო, წერილს უგზავნის კავკასიის მეფისნაცვალს მიხეილ ვორონცოვს: „მე, კორდონის ხაზზედ მოგზაურობიდან ზაქათალას დაბრუნებული, მოულოდნელად ვიქენ ბედნიერქმნილი წმიდა ანას პირველი ხარისხის ბოძებისა გამო მონარქის მოწყალებითა. ჩემდამი თქვენის კეთილგანწყობის ეს ახალი ნიშანი წმიდა ვალდებულებას მმატებს, სიცოცხლე ჩემი მიუძღვნა დიდის ხელმწიფის სამსახურსა. არ ვიცი, იმსახურებს თუ არა ჩემი ღუაწლი მონარქის ამ მოწყალებასა, მაგრამ ვუწყვი, რომ თავი ჩემი, სიცოცხლე ჩემი ეკუთვნის ხელმწიფისადმი სამსახურსა“.<sup>13</sup>

თვითონ ხომ სწამს, რომ რუსეთის ხელმწიფის და საკუთარი მამულის მსახურება ერთსა და იმავეს ნიშნავს და მომავალ თაობასაც, კერძოდ კი, საკუთარ ძმიშვილსაც, რომელიც პაჟთა კორპუსში ჩაურციხავთ, სწორედ ამ გზით ცხოვრების აუცილებლობაში არწმუნებს: „ჩემი საყვარელო სანდრო!... შენ ბავშვი აღარა ხარ. იმედი მაქვს, სრულადა სწავდები მთელს მნიშვნელობას მიზნისას, რისთვისაც ხარ წარგზავნილი პაჟთა კორპუსში, რომელიც ყველასათვის როდია ხელმისაწვდომი. ისწავლე და ისწავლე, ჩემო სანდრო,

---

<sup>13</sup> XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. ტ. IV. გრიგოლ ორბელიანი. ნაწ. III. ტომის რედაქტორები ქ. გიგაშვილი და მ. ნინიძე. თბ. 2013. გვ. 34.

რათა შემდგომად მაღლობა გადაუხადო დიდს ხელმწიფეს, ჭეშმარიტად სასარგებლო მსახურებითა და მისთვის მთელის სიცოცხლის მიძღვნითა მამობრივი ზრუნვისათვის, მთელი მისი ყურადღებისათვის, რომელიც მუდმივად ეთმობა ჩვენს მხარესა და განსაკუთრებულად ჩვენსა გვარსა!... გჯეროდეს, რომ უფალი და ხელმწიფე არ მიგატოვებენ მფარველობის გარეშე!<sup>14</sup> პატრიოტ-კონსერვატორთა დასის სხვა წარმომადგენლებსაც საქართველოს ხსნა და დიდება რუს ხელმწიფის მფარველობა-ერთგულებაში ესახებოდათ. ერთერთი „ცისკრელი“ – თავადი დ. მაჩაბელი კმაყოფილებით მოიხსენიებდა ლექსში „რუსთა მფარველობის ქვეშ, ძლევიტ ამაღლებულ“ საქართველოს.

„ცისკრელ“ პატრიოტ-კონსერვატორთა იდეოლოგიის მესამე პოზიცია – არსებული საუკუნეობრივი ბატონყმური წესრიგის ხელუხლებლობა გახლდათ. ლიტერატურაში ხშირად და ტრადიციულად იმოწმებენ ხოლმე ალექსანდრე ორბელიანის ცნობილ წერილს: „უწინდელს დროს ბატონყმობა საქართველოში“ და ჩვენ ადარ მოვახდენთ მის ციტირებას. ავტორი ძველ საქართველოში არსებულ ბატონყმობას ლამის იდეალურ ფერებში ხატავდა, ბატონსა და ყმას შორის ურთიერთობას მამისა და შვილის დამოკიდებულებას აღარებდა.

ალექსანდრე ორბელიანის წარმოდგენით, ძველად, ყმა რომ ავად გახდებოდა, მებატონე უთუოდ მივიდოდა ავადმყოფთან, სამკურნალოს მისცემდა და უკლიდა. „რაც სადიღვანხმამად ბატონებს ჰქონდათ, უთუოდ კერძობასაც (ე. ი. ყმებსაც – დ. შ) ის უნდა ჰქონოდა“. ბოლოს დაასკენიდა ბატონყმური იდეალიზმის მეხოტბე-ავტორი: „დიდთა და მცირეთა შორის იყო საერთო, ამგვარი სიყვარული საქართველოში: ერთობა, სიწრფელე, ერთგულება, სიმდაბლე, დაწმენდილი ზნეობა და სრული კეთილი!“<sup>15</sup> მის პოზიციას იზიარებდა ქართველ თავადზნაურთა დიდი ნაწილი, რაც კარგად გამოჩნდა ბატონყმობის გაუქმების პროექტის მომზადების პერიოდში მიმდინარე პროცესში.

მაგრამ ამჯერად ჩვენთვის ისაა მნიშვნელოვანი, რომ პატრიოტ-კონსერვატორული დასის დამოკიდებულებაში ბატონყმობის მიმართ კარგად გამოვლინდა მათთვის დამახასიათებელი – სოციალური კონსერვატიზმი. მაშ, დასკენის სახით რომ შევაჯამოთ, „ცისკრელ“ პატრიოტ-კონსერვატორთა მსოფლმხედველობაში იდეოლოგიური ტრიადა გამოიკვეთა: პატრიოტიზმი –

<sup>14</sup> XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. ტ. V. გრიგოლ ორბელიანი. ნაწ. IV. რედაქტორები: ქ. გიგაშვილი და მ. ნინიძე. თბ. 2014. გვ. 11.

<sup>15</sup> „ცისკარი“. 1859. წიგნი მეთერთმეტე. ნოემბერი. თ. ალექსანდრე ვახტანგის ძე ჯამბაკურ-ორბელიანი. „უწინდელს დროს ბატონყმობა საქართველოში“.

რუსეთის იმპერატორის ერთგულება – ძველი სისტემის შენარჩუნება.

როგორც ცნობილია, პატრიოტ-კონსერვატორთა დასის ერთ-ერთი იდეოლოგი ალექსანდრე ორბელიანი გახლდათ. „ცისკარში“ გამოქვეყნდა მისი სხვა საყურადღებო წერილიც: „ჩვენი საქართველოს საზოგადოება“. წერილის ავტორი ქვეყნის არასახარბიელო მდგომარეობითაა შეწუხებული და ქართველი საზოგადოების ხსნის გზებს ეძიებს. ვნახოთ – რა გზას მიაგნო მან.

ძველ დროში ქართველების საზრუნავი ის იყო, რომ მაჰმადიანურ სახელმწიფოებს ჩვენი ქვეყანა არ დაეპყროთ, მასზე არ ებატონათ და ა. შ. „სხვა კეთილმდგომარეობისათვის“ ძველ ქართველებს „ვითარ სცალოდათ“. ახლანდელ დროში რა საზოგადოებაა არსებობს. კეთილი საქმის საკეთებლად არ გვცალაია, „უმიზეზოდ ვღვენით ერთმანეთსა მტრად, ვართ მოშურნენი ერთმანეთსა და სასიამოვნოთაც გვაქვს ეს ამგვარი ჩუენი ქცევა“. ცუდად რომ ვიქცევით, ვგრძნობთ, მაგრამ ჩვენი სისუსტე ვერ მოგვიშლია.

ჩვენ უძლიერესს რუსეთს უპყრივართ სამოცი წელია და ბევრი კარგი რამ მოხდა ამ დროის მანძილზე. მაგალითად, ვაჭრობა განვითარდა, მაგრამ ჩვენ ვერა ვსწავლობთ მას. ამგვარი „უწესო ცხოვრება“ გაღარიბებამდე მიგვიყვანს. თუ რაიმე საშვილიშვილო საქმეს არ მოვიფიქრებთ „უღუკმო დავრჩებით“, მით უფრო „ამისთანა განათლებულ სახელმწიფოს ხელქვეშ, რომელიცა ჩვენთვის ზრუნავს დიდად“.

„სომხებივით უნდა მოვიქცეთ“, – წერს ჯამბაკურ-ორბელიანი და ქართველი საზოგადოების, უფრო სწორად – თავადაზნაურობის – სანიმუშოდ მიაჩნია ივანე მუხრანბატონის საქციელი და გარჯა. ვინაა ეს კაცი? ვისი მაგალითით უნდა ემოქმედა ჩვენებურ არისტოკრატიას? ივანე კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-მუხრანსკი (მუხრანელი), მეფე ერეკლეს შვილთაშვილი, რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტი გახლდათ. მონაწილეობდა შამილის წინააღმდეგ ომებში; ყირიმის ომის დროს სარდლობდა სამეგრელოს ტერიტორიაზე მდგარ რუსეთის ჯარს და ომერ-ფაშას ებრძოდა. თადარიგში გასვლის შემდეგ მუხრან-ბატონმა სოფლის მეურნეობას და ბიზნესს მოჰკიდა ხელი.

ალექსანდრე ორბელიანის ცნობით, ივანე ბაგრატიონი, თავისი საქმიანობის დასაწყისში მხოლოდ 40 თუმანს ფლობდა და, როგორც მისი ბევრი თანამედროვე ქართველი თავადი-მემამულე, გაღარიბების გზაზე იდგა. მან ვაჭრობა და საკუთარი მამულის მეურნეობის გაუმჯობესება გადაწყვიტა. მუხრანსკიმ თბილისის გარეუბანში იყიდა მამული, ააშენა და გახსნა შემოსავლიანი ღუქნები, რითაც „ყმა-მამული“ გაიმრავლა. ავტორის აზრით, მუხრანსკიმ დაქორწინებითაც გაიზარდა შემოსავალი, რადგან მეუღლედ შეირთო

„დიდი კაცის“ ქალიშვილი, რომელსაც მოჰყვა სოლიდური მზითვეი, დილომში ყმა-მამულის სახით. ერთი სიტყვით, იმჟამად, როცა ჯამბაკურ-ორბელიანი თავის სტატიას წერდა, ივანე კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-მუხრანსკის შემოსავალი 3 000 თუმანზე მეტი იყო.

ორბელიანის დასკვნა ასეთია: ჩვენს ქვეყანაში მშვიდობის მეტი აღარ არის-რა. აღარც თოფია საჭირო და აღარც ხმალი. ვმადლობ ღმერთსა. სადაც მშვიდობაა, რა არის საჭირო? – სწავლა-განათლება, მიწის ნაყოფის გაზრდა და ვაჭრობა.

ამავდროულად, საზოგადოებისათვის საჭირო იყო სანიმუშო კაცი, ვისთვისაც ქართველ თავადაზნაურობას უნდა მიეხატა. ასეთი კაცი იყო – ენერგიული მემამულე და წარმატებული ბიზნესმენი – თავადი ივანე ბაგრატიონ-მუხრანსკი: „მაშ, გვიპოვია კაცი და მივმართოთ მას“,<sup>16</sup> – დაასკვნინდა ალექსანდრე ორბელიანი.

ამგვარი იყო გზა ხსნისა, რომელიც ჯამბაკურ-ორბელიანმა უფრო ქართველი თავადაზნაურობისათვის მოიძია, ვიდრე საქართველოსათვის და ქართველი ხალხისათვის. ასეთივე იყო პატრიოტ-კონსერვატორთა დასის სამპუნქტიანი იდეოლოგია, რომელიც, ასევე, საქართველოს მოსახლეობის ერთი სოციალური ფენის ინტერესს ემსახურებოდა, ვიდრე ქვეყანას და ხალხს.

1859 წლის საქართველო რომ წარმოვიდგინოთ, რეალურად ის დამარცხებულ ქვეყანას წარმოადგენდა: XIX საუკუნის პირველი ნახევრის ეროვნული ბრძოლები და მოძრაობა დამოუკიდებლობისათვის მარცხით დასრულდა; ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების სათავეში იდგნენ პატრიოტულ-კონსერვატორული მიმართულების წარმომადგენლები – ისინი ხელმძღვანელობდნენ სამეურნეო, საზოგადოებრივ თუ კულტურულ დაწესებულებებს და, რაც მთავარია, წარმართავდნენ მოსახლეობის ინტელექტუალურ ორიენტაციასაც, რომელიც მიმართული იყო უცხო, დამპყრობელი ძალისადმი ლოიალიზმისაკენ.

საჭირო იყო ხსნა-განვითარების ახალი გზა და პერსპექტივა, რომელიც ქართველ საზოგადოებას ილია ჭავჭავაძემ და მისმა ახალგაზრდა თანამოაზრეებმა შესთავაზეს. პირველი ბარიერი, რომელსაც მათ შეუტიეს და გააძევეს კიდევ ქართული საზოგადოებრივ-კულტურული ასპარეზიდან – პატრიოტ-კონსერვატორთა დასი იყო.

<sup>16</sup> „ცისკარი“. 1859. წიგნი მეთუ. ოქტომბერი. ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანი. „ჩვენი საქართველოს საზოგადოება“.



*Dimitri Shvelidze*

Associate Professor,  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

## **PATRIOT-CONSERVATIVE POLITICAL GROUP IN GEORGIA (50s OF THE 19<sup>TH</sup> CENTURY)**

### Summary

In Georgia of the second half of the 19<sup>th</sup> century, prior to the establishment of political parties, there existed numerous public and political movements. Their representatives were grouped around journals and newspapers of the time: Patriot-Democrats (“Sakartvelos Moambe”, “Iveria”); Bourgeois-Democrats (“Droeba”, “Krebuli”); Narodniks (“Imedi”, “Shroma”); Social-Democrats of the “Mesame dasi” (“Kvali”); Young Iverians (“Iveria”) and Bourgeois-National group of the "Moambe" journal.

One of the first public movements in Georgia was a political group of Patriot-Conservatives. Its representatives worked in the journal "Tsiskari". Political vision of the Patriot-Conservatives was based on three main postulates. The first was patriotism, love and service to homeland. The Patriot-Conservatives were focused on preserving old Georgian cultural and historical values (historical past, old Georgian writings, language protection, etc.). The second ideological position was the loyalty to Russian monarchism, dedication and service to the Emperor (his government) and revival of one’s own homeland this way. The third – maintenance of the serfdom system in which their social conservatism was revealed. Political movement of the Patriot-Conservatives was shaped by representatives of Georgian aristocratic intelligentsia: Alexander Orbeliani, Sardion Meskhishvili, Grigol Baratashvili, Revaz Eristavi, Alexander Savaneli, Barbara Jorjadze, Mikheil Tumanishvili etc. The Patriot-Conservatives’ most outstanding authorities were Dmitry Kipiani and Grigol Orbeliani.

We should regard the Patriot-Conservative political group as a "tamed" Georgian aristocracy, who denied the possibility of national struggle and agreed

to the prospects of the homeland's cultural and economic construction in the framework of the Russian Empire.

“By the late 50s of the 19<sup>th</sup> century, the Patriot-Conservatives played a leading role in the life of the Georgian society. The era of “dictatorship” of the Patriot-Conservatives ended in the 1860s. Since then the Patriot-Democrats (Tergdaleulebi) took the leadership of Georgian society and national-cultural movement (Ilia Chavchavadze, Giorgi Tsereteli, Niko Nikoladze, Sergei Meskhi, Akaki Tsereteli, Iakob Gogebashvili and others).

*ქეთევან ნადირაძე*

ასოცირებული პროფესორი, თსუ

*ომარ გოგიაშვილი*

პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

## ილია ჭავჭავაძის კონსერვატიულ-ლიბერალური შეხედულებანი ეროვნული იდეოლოგიის კონტექსტში თანამედ- როვე პერსპექტივიდან

სახელმწიფოს მშენებლობისა და წარმატებით მართვის პროცესში, როგორც ისტორიულ, ასევე, თანამედროვე პოლიტიკურ სივრცეში, მნიშვნელოვან ფაქტორს გამართული პოლიტიკური თეორიის არსებობა წარმოადგენს, რომელიც ხელისუფლების იდეოლოგიას მყარ საფუძველს უქმნის. დღეს საქართველოს სახელმწიფოებრივ ყოფაში მწვავედ დგას ეროვნული იდეოლოგიის შემუშავების საკითხი. **სწორედ ამ კუთხით ილია ჭავჭავაძის ნააზრების წარმოჩენას ემსახურება ჩვენი არჩევანი.** ეს აუცილებელია, რადგან ქვეყნის შემდგომი განვითარებისათვის ზოგადსაკაცობრიო და ეროვნული პრიორიტეტების, ღირებულებებისა და პრინციპების შერჩევა-დამკვიდრების ხანგრძლივი პროცესი გაიარა ყველა უკვე შემდგარმა ქვეყანამ. თუმცა აღსანიშნავია ერთი გარემოება: ჩვენი ქვეყანა ტოტალიტარული სახელმწიფოს ნაწილი იყო, სადაც გაბატონებული მდგომარეობა მარქსისტულ-ლენინურ თეორიაზე დამყარებულ იდეოლოგიას ეკავა. კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა იდეოლოგიის კლასობრიობის წინააღმდეგ ბრძოლით საფუძველი ჩაუყარეს ახალ, ყველაზე რადიკალურ, კონფრონტაციულ, პროლეტარულ იდეოლოგიას. ხოლო მან ლენინური ინტერპრეტაციით კაცობრიობას სისხლიანი რევოლუციები, სამოქალაქო ომები, მასობრივი რეპრესიები, მცდარი ეკონომიკური და პოლიტიკური ექსპერიმენტები მოუტანა. აღნიშნულიდან გამომდინარე, გასაკვირი არ არის, რომ

ჩვენ ქვეყანაში არსებობს ანტიიდეოლოგიური ტენდენციები და ზოგჯერ ტერმინ „იდეოლოგიისაც“ კი ეჭვის თვალთ უყურებენ. მიუხედავად ამისა, ვფიქრობთ, სწორია შეხედულება იმის შესახებ, რომ კაცობრიობის მთელი ისტორია ადასტურებს დებულებას: იდეოლოგიის გარეშე არ არსებობს პოლიტიკა, იდეოლოგიისა და პოლიტიკის გარეშე კი – სახელმწიფო. მთავარი აქ სხვა საკითხის გარკვევაა. თვისობრივად როგორ სახელმწიფოს ვაშენებთ და, შესაბამისად, სახელმწიფო პოლიტიკას როგორ იდეოლოგიურ საფუძვლებს ვუძებნით.

ქართული სახელმწიფოს მესვეურებს აღნიშნული დებულება კარგად ჰქონდათ გააზრებული. ქართულ ისტორიულ სივრცეში, გახანგრძლივებული შუა საუკუნეების განმავლობაში, არსებობდა სამეფო საგვარეულოს იდეოლოგიაზე დაფუძნებული პოლიტიკური თეორია. მას საფუძვლად დაედო: ეთნიკურ-ეროვნული ერთობის თვითშეგნება, რომელიც შორეული წარსულიდან იღებს სათავეს. აგრეთვე, ქართული ქვეყნების ერთიანობისა და ამ ერთიანობაში ქართული ენის მნიშვნელობის კონცეფცია. თანდათანობით ჩამოყალიბდა პოლიტიკური თეორია საქართველოს ღვთისმშობლის წილხედომილობის, ბაგრატიონთა სამეფო სახლის ღვთიური წარმოშობის, ბაგრატიონთა სამეფო გვარის ხელისუფლების უფლის მიერ დადგინების შესახებ.<sup>1</sup> ქართულმა პოლიტიკურმა აზროვნებამ, როგორც ივ. ჯავახიშვილი თვლიდა, მეფის ხელისუფლებას ღვთაებრივი ძალის მფარველობა და ხელმძღვანელობა მოუპოვა,<sup>2</sup> რომლის საქართველოს ფარგლებს გარეთ გატანისათვის სათანადო დიპლომატიური სამსახურები ზრუნავდნენ. ქვეყნის შიგნით შექმნილ რეალურ ვითარებასთან ერთად ეს ყველაფერი საერთაშორისო ასპარეზზე სახელმწიფოს პოზიციების განმტკიცებას ემსახურებოდა.

1801 წელს რუსეთის იმპერიის მიერ ქართლ-კახეთის სამეფო გაუქმდა. აქედან დაიწყო საქართველოს სახელმწიფოებრიობის დასასრულის დასაწყისი. ქართველი ერის კუთვნილი „ჰაერი, წყალი და საზღვრები“ რუსეთის იმპერიის საკუთრებაში გადავიდა, ბაგრატიონთა სამეფო ტახტი გაუქმდა, ქართულმა ეკლესიამ დამოუკიდებლობა დაკარგა, წირვა-ლოცვა აღევლინებოდა და სწავლა-განათლება მიმდინარეობდა უცხო ენაზე. ე.ი. ქვეყანამ დაკარგა ყველა ის პოსტულატი, რაზეც აქამდე იდგა სახელმწიფოს პოლიტიკური იდეოლოგია.<sup>3</sup>

<sup>1</sup> მ. ლორთქიფანიძე. პოლიტიკური თეორია სამეფო ხელისუფლების იდეოლოგიის შესახებ. ქართული დიპლომატია. წელიწადი. მთ. რედ. რ. მეტრეველი. №6. თბ. 1999, გვ. 41-47.

<sup>2</sup> იხ. ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს მეფე და მისი უფლების ისტორია. ტფ. 1905.

<sup>3</sup> ქ. ნადირაძე. ქართული ისტორიოგრაფია. თბ. 2012, გვ. 102-103.

**ქეთევან ნადირაძე, ომარ გოგიაშვილი.**  
**ილია ჭავჭავაძის კონსერვატიულ-ლიბერალური შეხედულებანი ეროვნული**  
**იდეოლოგიის კონტექსტში თანამედროვე პერსპექტივიდან**

---

საქართველოში შექმნილ ვითარებას ქართველმა ხალხმა ხუთი ფართომასშტაბიანი აჯანყებით უპასუხა, რომელთა უპირველეს მიზანს წარმოადგენდა სახელმწიფოებრიობის აღდგენა. ვფიქრობთ, იმ მრავალ მიზეზთაგან, რომელთა გამოც აჯანყებები დამარცხებისთვის განწირული აღმოჩნდა, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, საფუძველგამოცლილი ეროვნული იდეის იმედად დარჩენილი ქვეყანა იყო.

XIX ს-ნის მეორე ნახევრიდან საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ისტორიაში დაიწყო ახალი ეტაპი. სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსულმა ქართულმა საზოგადოებამ მიზნის მისაღწევად ნათლად დაინახა იდეოლოგიური და ინტელექტუალური ბრძოლის აუცილებლობა.<sup>4</sup> ამისათვის საჭირო იყო ქართველი ერის იდეოლოგიური ჩამოყალიბება. ამ ტენდენციის გააქტიურებას ბიძგს აძლევდა იმდროინდელი პოლიტიკური ამინდი. რუსეთში საუკუნის მესამე მეოთხედში დაიწყო ე.წ. ლიბერალური რეფორმები<sup>5</sup> და სხვადასხვა მიმართულების საზოგადოებრივი მოძრაობა, რაც საქართველოს მომავლის რეალური ცვლილებების იმედს იძლეოდა. ხოლო ევროპაში 70-იანი წლებისათვის სრულდებოდა ბურჟუაზიული ნაციონალური სახელმწიფოების ჩამოყალიბება. შედეგად ევროპის ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური განვითარება ევოლუციური გზით მიდიოდა. ინდუსტრიალიზაციის პროცესის დაწყება უზრუნველყოფდა ევროპის ეკონომიკური კრიზისიდან გამოყვანას და დემოგრაფიულ ზრდას. სწორედ ამიტომ ქართულმა ინტელიგენციამ ეროვნული თვითგამორკვევის ფორმირების მიზნით აქცენტები ევროპაზე გააკეთა. ამ-

---

<sup>4</sup> ვფიქრობთ, საინტერესოა ისტორიკოს თედო ჟორდანიას (1853-1916) ხატოვანი შენიშვნა ამ საკითხზე. იგი წერს: „ჩვენ ქართველებს ორიათასი წლის ბრძოლა გაგვივლია... უწინ ხმლით ვიკერიებდით გაკანდიერებულ მოძალადეებს, დღეს სხვაგვარი ბრძოლა გვმართებს – ბრძოლა კულტურული. ჩვენთვის უჩვეულო, ძნელი, მაგრამ ჩვენი სიმართლე გვარგუნებს გამარჯვებას ამ უჩვეულო ბრძოლაში“ (იხ. ქ. ნადირაძე. თედო ჟორდანიას საქართველოს ისტორიის მკვლევარი. თბ. 2004, გვ. 27).

<sup>5</sup> ალექსანდრე II-ის (1855-1881 წწ.) დროს საფუძველი ჩაეყარა საგლეხო, საერებო-სამოქალაქო, სასამართლო, საფინანსო, ბეჭდვითი სიტყვისა და საგანმანათლებლო რეფორმებს, მაგრამ როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია მითითებული, იმის გამო, რომ რეფორმები რუსეთში უმაღლესი ხელისუფლებისა და ბიუროკრატიული აპარატის მიერ ხორციელდებოდა, იგი არ მისულა თავის ლოგიკურ დასასრულამდე – კონსტიტუციური მმართველობის შემოღებამდე (იხ. ლ. გოდერიძე. რუსეთი XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში. თბ. 1999, გვ. 5). ვფიქრობთ ამ თვალსაზრისით ყურადსაღებია ვ. კლუჩევსკის მოსაზრება. მისი შეხედულებით, ჩამორჩენილი ქვეყნების თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ იქ უფრო ადრე მწიფდება რეფორმების საჭიროება, ვიდრე ხალხი მწიფდება რეფორმებისთვის (იხ. В. О. Ключевский. Сочинения в девяти томах. под ред. В. Л. Янина. т. V. М. 1989, გვ. 263-280).

ის დამადასტურებელია იმდროინდელი ქართული პერიოდული გამოცემები, სადაც მრავალრიცხოვანი მასალაა დაბეჭდილი ევროპული პოლიტიკური სტრუქტურების, სოციალური ცხოვრების, ტექნიკური და სამეცნიერო პროგრესის, განათლების სიტემის, კულტურული ცხოვრებისა და სხვათა შესახებ, რის შედეგადაც შეიქმნა ძლიერი ევროპა. გაფართოვდა ევროპაში განსხვავებული საქმიანობის მიზნით სამოგზაუროდ წამსვლელთა წრე. ნ. ნიკოლაძე წერდა: „ბენდიერია ის ახალგაზრდა, რომელიც სამზღვარს გარეთ იმ მიზნით გადის, რომ იქაური ცხოვრების, მეცნიერების და გონების ნაყოფი გაიცნოს და იგრძნოს“.<sup>6</sup> ევროპაში მოგზაურობის მიზანი, ასევე, გულისხმობდა ავტორიტეტის, პრესტიჟის ამაღლებას. უფრო მეტიც, ევროპულ გამოცდილებაზე აპელირებით ზოგჯერ უაპელაციოდ ითხოვდნენ ამა თუ იმ სფეროში მოქმედ პერსონაჟთა კომპეტენციისა და ლეგიტიმაციის აღიარებას. ერთი სიტყვით, მთელი ქართული ინტელექტუალური ელიტა ჩართული იყო ქართული ეროვნული იდეის ჩამოყალიბებაში, მაგრამ გადამწყვეტი როლი ამ საქმეში ილია ჭავჭავაძეს ეკუთვნის.

სახელმწიფოებრიობადაკარგულ საქართველოში სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსულმა ილია ჭავჭავაძემ მძაფრად დაინახა ეროვნული იდეოლოგიის არსებობის აუცილებლობა და დაიწყო ფიქრი ახალი პოლიტიკური თეორიის ჩამოყალიბების შესახებ, რომელსაც იმდროინდელი მოწინავე ევროპული საზოგადოების მოთხოვნებისთვისაც უნდა ეპასუხა.

ილიამ მიზნად დაისახა რა თანამედროვეობას მორგებული და პერსპექტივაზე გათვლილი ეროვნული იდეოლოგიის ჩამოყალიბება, დასახული ამოცანიდან გამომდინარე მას უპირველესად აინტერესებდა, მისი თეორიის „საერთო ნიადაგის“ უმთავრეს პრინციპს „ყველა საზოგადოებრივ ძალთა ერთ კვალში ჩაყენებას“,<sup>7</sup> რომელი იდეოლოგია უფრო უზრუნველყოფდა. ამიტომ მან საფუძვლიანად გაანალიზა ევროპის წამყვან ქვეყნებში უკვე მოქმედი ლიბერალიზმი და კონსერვატიზმი. მივიდა დასკვნამდე: „ისტორიის ღირსი ყველა ერი“ თავის სახელმწიფოებრიობას აშენებს ამ ორი იდეოლოგიის პრინციპების გამოყენებით.<sup>8</sup> ილიას უამრავი ნაშრომიდან, რომლებშიც წლების

<sup>6</sup> თ. სვანიძე. სამოგზაურო ჟანრის ნარკვევები XIX ს. მე-2 ნახ. ქართულ პრესაში; ნ. ნიკოლაძე, ს. მესხი, ნ. ჟორდანიას. „ევროპული ღირებულებები და იდენტობა“. მოხსენებათა კრ. რედ. ნ. გუნცაძე. თბ. 2014, გვ. 235.

<sup>7</sup> ი. ჭავჭავაძე. ცხოვრება და კანონი. წერილი მეხუთე. თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად. რედ. პ. ინგოროყვა. ტ. VI. თბ. 1956, გვ. 57.

<sup>8</sup> ი. ჭავჭავაძე. შინაური მიმოხილვა (1881 წ. მაისი). თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად. რედ. პ. ინგოროყვა. ტ. V. თბ. 1955, გვ. 91.

**ქეთევან ნადირაძე, ომარ გოგიაშვილი.**  
**ილია ჭავჭავაძის კონსერვატიულ-ლიბერალური შეხედულებანი ეროვნული**  
**იდეოლოგიის კონტექსტში თანამედროვე პერსპექტივიდან**

---

განმავლობაში ყალიბდებოდა თვალსაზრისი საზოგადოებრივ ძალთა ერთიანობისა და მათი, როგორც არჩილ ჯორჯაძემ<sup>9</sup> უწოდა, „საერთო ნიადაგზე“ დგომის თეორია, ვფიქრობთ, აკუმულირება 1888 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში „წოდებათა თანასწორობა“ მოახდინა. ამ სტატიის პათოსმა საზოგადოებაში დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია.

ილიას „საერთო ნიადაგის“ არგუმენტაციის უმთავრესი დებულება იყო ის, რომ საქართველოს ისტორიულ მემკვიდრეობას სოციალურ ასპექტში რუსეთისა და დასავლეთ ევროპის ზოგიერთი ქვეყნისგან განსხვავებით გარკვეული თავისებურება ახასიათებს. იგი წერდა: „...იმ ბრძოლას და შეხეთქებას წოდებათა შორის უფლების დასაპყრობად, გასავრცობად, რომელიც ევროპაში იყო და ეხლაც არ გათავებულა, და რომელიც უპირველესი მიზეზი იყო ერის წყობა-წყობად დაყოფისა, ჩვენში ადგილი არ ჰქონია“.<sup>10</sup> იგი ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ ქართული ისტორიული მესხიერება და მისი თანადროული სინამდვილე ასეთ ანტაგონიზმამდე გამწვავებულ ურთიერთობებს არ იცნობს. სწორედ კლასთა ბრძოლის თეორიის მიუღებლობას ან როგორც ილიას ოპონენტები ამბობდნენ, „რეალობის მიფუნჩეებას“ ედავებოდნენ, როგორც მისი მოწინააღმდეგეები (ხუდადოვი, ჟორდანია, მახარაძე, წულუკიძე), ასევე, მომხრეები (ნ. ნიკოლაძე, არჩ. ჯორჯაძე). ვფიქრობთ, „კაკო ყაჩაღის“, „გლახის ნაამბობის“, „ოთარაანთ ქერივის“ ავტორის ასეთი შეფასება გადაჭარბებულია.<sup>11</sup> ილიას ეს პოსტულატიც მიმართულია ძალთა გაერთიანების ძალისხმევისკენ საერთო მტრის წინააღმდეგ და არა მხოლოდ საამისოდ. ილია კარგად ხედავდა იმასაც, რომ სამოქალაქო თანხმობის გარეშე ქვეყნის უკეთეს მომავალს პერსპექტივა არ ჰქონდა. მშობლიურ ფესვებთან სიახლოვის-

---

<sup>9</sup> იხ. ა. ჯორჯაძე. პუბლიცისტი – ილია ჭავჭავაძე. ჟურნ.: „მოამბე“. 1901 წ. №6-10.

<sup>10</sup> ი. ჭავჭავაძე. ცხოვრება და კანონი, წერილი მესამე. თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად. ტ. VI, გვ. 53.

<sup>11</sup> ილიას საერთო ნიადაგზე თანამშრომლობის შესაძლებლობა და ზემოთ მოყვანილი ნაზრები ხშირ შემთხვევაში პირდაპირი მნიშვნელობით იქნა გაგებული. შესაბამისად ზოგიერთმა მწერალმა, პუბლიცისტმა დაიწყო მტკიცება – საქართველოში წოდებათა ბრძოლა საერთოდ არ არსებობდა და მათ შორის მუდამ მამაშვილური დამოკიდებულება იყო, რის საპასუხოდაც ივ. ჯავახიშვილი წერდა: „ბევრს ჰგონია, რომ ეს ვითომც და ჩვენი ისტორიის თვისება ჩვენი განსაკუთრებული სათნოებისა და ნიჭის დამამტკიცებელი იყოს. ის კი არ იცანა, რომ ევროპელ მეცნიერებს სწორედ ამ წოდებათა შორის ბრძოლით მოაქვს თავი. ისინი ამტკიცებენ, რომ მხოლოდ ინდოევროპელთა ერებს შესწევთ იმდენი ნიჭი და საზოგადოებრივი ცხოვრების უნარი, რომ სოციალური თავისუფლების მოსაპოვებლად წოდებრივი ბრძოლით ესარგებლათ“, შემდეგ კი დასძენს: „როგორც ვხედავთ, დიდად საქებარი არ ყოფილა ეს ვითომდა ქართველების თვისება, მამაშვილური განწყობილება წოდებათა შორის“ (იხ. ივ. ჯავახიშვილი. მამულიშვილობა და მეცნიერება. თბ. 1904, გვ. 15-16).

თვის ილიას კონსერვატიზმი, ხოლო სამოქალაქო თანხმობის მისაღწევად ლიბერალიზმი იზიდავდა.

ბუნებრივია, ჩვენ ამ წერილის ფარგლებში არ შევუდგებით აღნიშნული იდეოლოგიების დაფუძნებისა და შემდგომ მათი არსებითი იდეური საკითხების პერმანენტული განვითარების შესახებ მსჯელობას, რადგან, ერთი მხრივ, ეს ვრცელი და საკამათო საკითხებია, ხოლო, მეორე მხრივ, ჩვენი თემის ინტერესის ფარგლებს შორდება. თუმცა, ვფიქრობთ, მათ ძირითად პრინციპებზე ორიოდე სიტყვა უნდა ითქვას, რათა უფრო ნათლად გამოვხატოთ ამ პრინციპების ილიასეული ხედვა.

კონსერვატიზმის იდეოლოგები თვლიან, რომ საზოგადოება უნდა გვესმოდეს როგორც სულიერი რეალობა. მისი ძირითადი კონცეპტუალური დებულებაა ის, რომ საზოგადოება და სახელმწიფო შეზღუდული შესაძლებლობებისაა. ამიტომ უპრატესობა ევოლუციას და არა რევოლუციას ენიჭება, მაგრამ არ უნდა დაირღვეს წარსულის, აწმყოსა და მომავლის ისტორიული ერთიანობა. კონსერვატიზმის ძირითადი კონსტრუქციული იდეაა ტრადიციის, ეროვნული ინსტიტუტების, ჩვეულებების, ოჯახის, რწმენისა და სხვა მემკვიდრეობითი ღირებულებების დაცვა, რომლებმაც დროს გაუძლეს და თაობებს გადაეცა. ისტორიის პროცესის ბუნებრივი მსვლელობა, მემკვიდრეობითობა და ახლის ძველის საფუძველზე აშენება საზოგადოების განვითარების ძირითად ხაზად მიიჩნევა. ჩვევებს, ტრადიციებს, ეროვნულ მენტალიტეტს უნდა ეფუძნებოდეს ნებისმიერი იდეოლოგიური პრინციპები და დოქტრინები. მათთვის ჭეშმარიტი თანასწორობა მხოლოდ ღმერთის წინაშეა.<sup>12</sup>

ილიას „საერთო ნიადაგის“ ფუნდამენტს ერის ისტორიული წარსულის, ეროვნული მემკვიდრეობის გამოძეურება, მისი გაცნობიერება, აწმყოსა და მომავლის „მაგარ ქვებზე“ აშენება წარმოადგენდა. ნებისმიერ პრობლემას, პოლიტიკურ პროცესს ილია მისი ძირების, საწყისი საფუძვლის ანალიზით იწყებს. ამ მხრივ ილიას მიდგომა, მის საგანთა და პროცესთა კვლევის მეთოდი და, ზოგადად, მსოფლმხედველობა მთლიანად თავსთება კონსერვატიულ-ტრადიციონალისტური იდეოლოგიის სისტემაში.

ისტორიის, ეროვნული მემკვიდრეობის როლისა და მნიშვნელობის შესახებ ილიას თვალსაზრისი აშკარად კლასიკური კონსერვატულია. ის, ერთი მხრივ, გვასწავლის, რომ „...არც ერთი იოტი წარმატებისა, არც ერთი იოტი ცხოვრების კეთილდღეობისა ადამიანს უბრძოლველად და უტანჯველად არ

<sup>12</sup> ო. გოგიაშვილი. პოლიტიკური იდეოლოგიები. თბ. 2004, გვ. 54-77.



**ქეთევან ნადირაძე, ომარ გოგიაშვილი.**  
**ილია ჭავჭავაძის კონსერვატიულ-ლიბერალური შეხედულებანი ეროვნული**  
**იდეოლოგიის კონტექსტში თანამედროვე პერსპექტივიდან**

---

დაუპყრია“<sup>13</sup> და, მეორე მხრივ, გვაფრთხილებს: „თუ გინდა ქვეყანაში ყოფნა, სხვის კალთას ნუ ეჭიდები, შენ თვითონ იძოქმედე... შენ თვითონ უპატრონე და მოუარე შენს თავსა და შენს საქმესაო“,<sup>14</sup> მაგრამ იმისათვის, რომ ერს „ქვეყანაში ყოფნა“ გარანტირებული ჰქონდეს და მომავლისაც არ ეშინოდეს, მხოლოდ იმას შეუძლია, „ვინც იცის წარსული... მხოლოდ წარსულის ცოდნით დაუცავს ყოველს ერს თავისი ეროვნება, თავისი არსებობა, თავისი ვინაობა“.<sup>15</sup> ილიას მიაჩნდა, რომ ისტორია ერის ცნობიერი ცხოვრების განმსაზღვრელი ნიშანია, „რომელიც გამოსახავს ხოლმე სულიერს და ხორციელს ვინაობას ერთიანის კრებულისას, მის მიზიდულობას, მის აზრს და საგანს არსებობისას, მის წმიდათა-წმიდას, და რომელიცა მკის თავის დროებისათვის და ამასთანავე სთესს მერმისისათვის“.<sup>16</sup> ილია თვლიდა, რომ როცა ერი თავის წარსულს, მიმდინარე პროცესებსა და მოვლენებს „გონებით დააკვირდება“, ღირსახსლოვარს გულთან მიიტანს და ყოველივე ავსა თუ კარგს „სასწორზე სწონის ფასის დასადებად“, ასეთი ერი „გონებითაც ჰასაკში შესულა“ და ერის ეს ნიშანი მამინ არის „ნამეტნავად უტყუარი“, როცა პატივისცემა და სიყვარული მიმართულია ისეთ პიროვნებებზედ, რომლებსაც ღვაწლი მიუძღვის ერის წინაშე. ილიას თვალსაზრისით, ერი ეს არის „...ისტორიით შედუღებული ერთსულ და ერთხორც მკვიდრთა კრებული“.<sup>17</sup> შეიძლება თამამდ ითქვას, რომ განმარტების სიზუსტისა და კონკრეტულობის თვასაზრისით შეუდარებელი დეფინიციაა. ქვეყნის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის საკითხებშიც კი ილიასათვის უმთავრესს, ქართული სახელმწიფოებრიობის მემკვიდრეობა წარმოადგენს. მას ახალი ქართული სახელმწიფოს წარმატებული მშენებლობა ქართული სახელმწიფოებრივი გამოცდილების გარეშე წარმოუდგენლად მიაჩნია. ხოლო „ცხოვრების გზის გასაკვალად“ აუცილებელ პირობად საქართველოს ყველა რეგიონის, მათში მცხოვრებ ყველა ეროვნების ძალისხმევა ესახება. „საერთო ნიადაგის“ თეორია, გარდა სხვადასხვა სოციალური ჯგუფების ერთობისა, ამასაც გულისხმობდა.

---

<sup>13</sup> უცხოეთის ამბები. მოწინავე სლავიანების მოძრაობა. მისი დასაბამი და აწმყო სერბიის დამარცხებამდე. გაზ.: „ივერია“. თბ. 1877, №2. გვ. 6.

<sup>14</sup> მოწინავე სტატია. გაზ.: „ივერია“. თბ. 1892. №25, გვ. 2

<sup>15</sup> მოწინავე სტატია. გამოსაშვებობებელი დიმიტრი ბაქრაძისადმი. გაზ.: „ივერია“. თბ. 1890. №32, გვ. 1.

<sup>16</sup> ი. ჭავჭავაძე. ერი და ისტორია. თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად. რედ. პ. ინგოროყვა. ტ. IV. თბ. 1955, გვ. 200.

<sup>17</sup> ი. ჭავჭავაძე. ქვათა ღაღადი. თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად. რედ. პ. ინგოროყვა. ტ. VIII. თბ. 1957, გვ. 97.

ილია წერდა, რომ ძველის, უკვე დადგენილის დამცველებს ევროპაში კონსერვატორებს ეძახიან, ხოლო ახლის მესვეურებს და მდომელებს – ლიბერალებს. როცა ახალი აზრი, იდეა, ყველას თუ არა ბევრს მაინც „ძვალსა და რბილში დაუვლის, შესმენილი და გაგებული იქნება“ – იწყება ახლის გამარჯვების სტადია, ახალი ერა აზროვნების განვითარებაში, მაგრამ ახლის საჭიროება რომ გაჩნდეს, ამიტომ „ცხოვრება უნდა წინ მიდიოდეს“.<sup>18</sup>

ლიბერალიზმი უპირველესად ინდივიდუალიზმზე და პირად თავისუფლებასზე დამყარებული იდეოლოგიაა. მისი არსებითი ნიშანია ის, რომ მისთვის უცხოა რადიკალიზმი, კონფორტაცია, როგორც ერთი ქვეყნის შიგნით სოციალურ ჯგუფებს, ასევე, სახელმწიფოთა შორის ურთიერთობაში. აზროვნების თავისუფლების იდეა ლიბერალიზმმა კონკრეტული სფეროების უფლებებსა და თავისუფლებებს დაუკავშირა – კერძო საკუთრების ფლობის უფლებას, თავისუფალ ბაზარს, კონკურენციას და მეწარმეობას, მოქალაქეების სამართლებრივ თანასწორობას, სახელმწიფოს სახელმეკრულებო ბუნებას, სადაც პიროვნების მოქმედების არეალი მკაცრად იყო შემოსაზღვრული, რაშიც სახელმწიფოს არ ჰქონდა უფლება ჩარეულიყო. პოლიტიკურ პლურალიზმს, რომელიც მოიცავს პროფესიულ, ეკონომიკურ, რელიგიურ და სხვა ასპექტებს. ლიბერალური იდეოლოგიის ცენტრში ინდივიდია. ინდივიდის კეთილდღეობა ქმნის საზოგადოების კეთილდღეობას და არა პირიქით. თავისუფლების გარეშე არ არსებობს კერძო საკუთრება და კერძო საკუთრების გარეშე თავისუფლება ფიქციაა.<sup>19</sup>

ილიამ კარგად იცის, რომ ლიბერალიზმის იდეები და ღირებულებები იმდროინდელ საქართველოში განუხორციელებელია, თუნდაც იმიტომ, რომ პოლიტიკური თავისუფლება პირადი თავისუფლების გარანტია, მაგრამ საკუთრებაზე დამყარებული პირადი თავისუფლება შესაძლებელია, რადგან საკუთრებას რაც „ბღალავს და ჰხუთავს, ...რჯული ძნელად იშენევს, ძნელად იწყნარებს“.<sup>20</sup>

ილიას სტატიების ციკლში „ცხოვრება და კანონი“ ამ კუთხით ბევრი საინტერესო დებულებაა განხილული. მისი აზრით, ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრე ხალხის კეთილდღეობისათვის საკმარისი არ არის. გადამწყვეტი თვით

<sup>18</sup> ი. ჭავჭავაძე. შინაური მიმოხლივა (1881 წ. მაისი). თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად. რედ. პ. ინგოროყვა. ტ. V. თბ. 1955, გვ. 90.

<sup>19</sup> ო. გოგიაშვილი. პოლიტიკური იდეოლოგიები, გვ. 38-54.

<sup>20</sup> იხ. ი. ჭავჭავაძის თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად. ტ. VI. სადაც სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული წერილებია დაბეჭდილი საერთო სათაურით „ცხოვრება და კანონი“.

**ქეთევან ნადირაძე, ომარ გოგიაშვილი.**  
**ილია ჭავჭავაძის კონსერვატიულ-ლიბერალური შეხედულებანი ეროვნული**  
**იდეოლოგიის კონტექსტში თანამედროვე პერსპექტივიდან**

---

ადამიანების ურთიერთდამოკიდებულების ხასიათია ე.ი. საზოგადოებრივი წყობა, სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემით განსაზღვრული მათი უფლება-მოვალეობები: კაცს თურმე ვერ შეველის „ვერც სიკეთე ჰაერისა, ვერც სიმსუქნე მიწისა... თუკი კაცთა შორის კეთილად დადგენილი და ცხადად განსაზღვრული არ არის ურთიერთშორისი უფლება და მოვალეობა“.<sup>21</sup> მართლაც, ილიას დროსაც და დღესაც არის ბუნებრივი რესურსებით მდიდარი ქვეყნები მაგრამ პოლიტიკური რეჟიმი მას სიღარიბეში ამყოფებს, და პირიქით, არცთუ განსაკუთრებული სტრატეგიული ნედლეულით გამორჩეული ქვეყნები, მოსახლეობის მოთხოვნილებების დაკმაყოფილების უმაღლეს სტანდარტებს აღწევენ. ილია სვამს კითხვას, რა არის ამის მიზეზი და პასუხად პარალელს ავლებს შოტლანდიელი მთიელებისა და სპარსელების ცხოვრებას შორის და წერს: „ბედნიერმა შოტლანდიელმა იცის: „ჩემი აქ თავდებაო და სხვისა აქ იწყებაო“, უბედურ სპარსელს კი არც თავისი გაეგება და არც სხვისა“.<sup>22</sup>

ილიას მიაჩნია, რომ საკუთრების გამიჯვნა საზოგადოების სტაბილურობის აუცილებელი პირობაა. განსაკუთრებით დიდ ყურადღებას აქცევს ამ საკითხს ბატონყმობის გაუქმების შემდეგ, რადგან ამ რეფორმამ ბევრი გაუთვალისწინებელი პრობლემა შექმნა. სწორედ ამ პრობლემის განხილვის დროს ლიბერალიზმის ერთ მნიშვნელოვან დებულებას მისთვის დამახასიათებელი ლაკონურობით გადმოსცემს: „რაც სხვისია, ჩემი მოვალეობაა, რაც ჩემია – ეგ ჩემი უფლებაა“.<sup>23</sup> ვფიქრობთ, ეს სენტენცია არანაკლებ საინტერესოა, ვიდრე ცნობილი ფრაზა „ჩემი თავისუფლება მთავრდება იქ, სადაც იწყება სხვისი თავისუფლება.“

ილიასეული თავისუფლების კატეგორიის გაგება კარგად არის გადმოცემული მის მიერ მოყვანილ ერთ მაგალითში: პრუსიელმა ვაჭარმა პოლიციელს უკანონოდ დაჯარიმებისათვის სასამართლოში უჩივლა. მიუხედავად იმისა, რომ „ასჯერ მეტი“ ეხარჯებოდა, თავისი სიძარტლის დამტკიცებას დაჟინებით ითხოვდა. ამ ბანალური შემთხვევის ფონზე ილია აანალიზებს თავისუფლების კატეგორიას კანონმორჩილების ჩარჩოებში და საინტერესო მოსაზ-

---

<sup>21</sup> ი. ჭავჭავაძე, ცხოვრება და კანონი. წერილი პირველი (1877-1881). თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად. ტ. VI, გვ. 8.

<sup>22</sup> ი. ჭავჭავაძე, ცხოვრება და კანონი. წერილი პირველი (1877-1881). თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად. ტ. VI, გვ. 8.

<sup>23</sup> ი. ჭავჭავაძე, ცხოვრება და კანონი. წერილი პირველი (1877-1881). თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად. ტ. VI, გვ. 8.

რებებს გამოთქვამს.

ილიასათვის სამართლიანობისა და სტაბილურობის უმთავრესი პირობა კანონია, რადგან ის „რჯულია ცხოვრებისა“, მაგრამ საზოგადოებისგან მხარდაჭერა აუცილებელია: „მე ვინაგრები ამისაგან თუ სხვა, მაინც მოვალე ვარ, თავი გამოვიდო, კანონის სახელი ძირს არ დავცე და არ გავაქელინო, იმიტომ, რომ კანონი ყველასი ფარ-ხმალია და, მაშასადამე, ჩემიცა“.<sup>24</sup>

ილიასათვის ადამიანის მოთხოვნილებები პირადი და საზოგადოებრივი ინტერესის საფუძველია, რომლის შესახებაც მსჯელობით ცდილობს ქართველობას განუმარტოს: ინტერესის ნებისმიერი ფორმა, პირადიც და საზოგადოებრივიც, მატერიალურიც და სულიერიც, საქართველოს პირობებში ეროვნულობას უკავშირდება. მისთვის მნიშვნელოვანი საკითხია პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს ურთიერთმიმართების ხასიათი, რომელსაც ლიბერალური თვალთახედვით განსაზღვრავს. „ამ ქვეყანაზე“ სახელმწიფოს, საზოგადოებას და თითოეულ პიროვნებას საკუთარი ფუნქციური დანიშნულება, საკუთარი უფლებები და მოვალებები „მიწყული“ უნდა ჰქონდეს: „უკეთესი განწყობილება ის არის, საცა თითოეულს ამათგანს თავისი კუთვნილი ადგილი უჭირავს, საცა თვითოეული მათგანი ისეა მოთავსებული, რომ თავისი სრული უფლება მიწყული აქვს“ – წერს იგი.<sup>25</sup>

ილიას მიაჩნდა, რომ ეს ორი დიდი „მდინარება“ აზრისა, ლიბერალიზმი და კონსერვატიზმი ერთმანეთის ბრალმდებლად გამოდიან. თუმცა სადაც ბრალმდებელია, იქ დამცველიც უნდა იყოს, ხოლო მისი დაცვა ამ ორი იდეოლოგიისა გამოიხატა შემდეგ დებულებაში: „თუმცა ერთნი ძველის მცველები არიან და მეორენი ახლის მდომენნი, მაგრამ პირველებს ყველაფერი ძველი არ მოსწონთ და მეორეებს ყველა ახალი არ ენატრებათ. ბევრი იმისთანა ახალია, რომლის მოსაპოვებლად ჭეშმარიტი კონსერვატორი სიცოცხლესაც არ დაზოგავს, და ბევრი იმისთანა ძველია, რომლის დღეგრძელობისათვის ჭეშმარიტი ლიბერალი თავის საკუთარ დღეს შეიმოკლებს“.<sup>26</sup> ვფიქრობთ, ეს ამონარიდი საუკეთესოდ გამოხატავს ლიბერალიზმისა და კონსერვატიზმის ერთმანეთთან შეღწევისა და პოლიტიკური კონსენსუსის ტენდენციებს, რომელიც

<sup>24</sup> ი. ჭავჭავაძე. თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად. მო. რედ. გ. ციციშვილი. ტ. IX. თბ. 2006, გვ. 441-442.

<sup>25</sup> ი. ჭავჭავაძე. შინაური მიმოხილვა (1882 წ. ივნისი). თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად. ტ. V, გვ. 166.

<sup>26</sup> ი. ჭავჭავაძე. შინაური მიმოხილვა (1881 წ. მაისი). თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად. ტ. V, გვ. 90.

**ქეთევან ნადირაძე, ომარ გოგიაშვილი.**  
**ილია ჭავჭავაძის კონსერვატიულ-ლიბერალური შეხედულებანი ეროვნული**  
**იდეოლოგიის კონტექსტში თანამედროვე პერსპექტივიდან**

---

ილიამ მაშინ შენიშნა, წინ წამოწია და დააფასა, როდესაც ჯერ კიდევ არ იყო პოლიტიკურ მეცნიერებაში ჩამოყალიბებული ამგვარი მიმართულება.

XIX საუკუნის 80-იანი წლების ილიას მოსაზრება, ამერიკელი ნეოკონსერვატორებისათვის მხოლოდ XX საუკუნის შუა ხანებისათვის გახდა თვალსაჩინო და მისაღები. ლიბერალურ-კონსერვატიული კონსენსუსი, როგორც ჩამოყალიბებული ტენდენცია და უმთავრეს პრინციპებში კონვერგენციული პროცესი, დამუშავდა ამერიკელი მეცნიერებისა და პოლიტიკოსების დეიზენჰაუერის, ე. სტივენსონის და სხვათა შრომებში. ამერიკელი მეცნიერი რ. ჰოპსტედტერი 1960-იან წლებში წერდა: ამერიკის ისტორიის არსს შეადგენდა ბრძოლა კონსერვატიულ და ლიბერალურ ტრადიციებს შორის, მაგრამ ამის მიუხედავად, ლიბერალიზმი იყო „კონსერვატიული“, ხოლო კონსერვატიზმი – „ლიბერალური“.<sup>27</sup> ბუნებრივია, ამ ქვეყანაში ასეთ კონსენსუსს ყველაზე ნაკლები პრობლემები და წინააღმდეგობები დახვდებოდა.

თანამედროვე პერსპექტივიდან ილია ჭავჭავაძის კონსერვატიულ-ლიბერალურ შეხედულებათა გაანალიზებამ ეროვნული იდეოლოგიის კონტექსტში, კიდევ ერთხელ თვალსაჩინო გახადა მისი, როგორც მოაზროვნისა და მოღვაწის აქტუალობა.

---

<sup>27</sup> ო. გოგიაშვილი. პოლიტიკური იდეოლოგიები, გვ. 193-196.

***Ketevan Nadiradze***

Associate Professor,  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

***Omar Gogiashvili***

Professor,  
Georgian Technical University, Georgia

**ILIA CHAVCHAVADZE'S CONSERVATIVE-LIBERAL VIEWS  
WITHIN THE CONTEXT OF NATIONAL IDEOLOGY  
FROM A MODERN PERSPECTIVE**

Summary

1. In the process of a construction and successful management of the statehood in a historical and contemporary political space one of the most important factors is an existence of the well-developed political theory – a stable base for the ideology of the government.

2. A need for a national ideology has been well acknowledged at the medieval time by the ruling elite of the Georgian state. Their political theory and ideology of the King's genealogical line was carefully constructed as a unified concept based on the Christian worldview and the political, socioeconomic and cultural development of the country.

3. Ilia Chavchavadze, who spearheaded the revival of the Georgian national movement in the second half of the 19<sup>th</sup> century, during the Russian rule of Georgia, realized a need in a development of a new national ideology corresponding to the demands of modern European society. He directed much of his efforts toward the creation of a new political theory. In our opinion, this marks a new phase of the Georgian political ideology in Georgian historiography.

4. Ilia's main political goal was the creation of future and modernity oriented national ideology. To achieve this goal, he started to search for an appropriate ideology, which could unify all levels of the society in the service of the state. Observing in the European countries already well functioning Liberalism and Conservatism, he came to the conclusion that the

most successful examples show that the statehood was built by the use of the main principles of these two ideologies.

5. As our research showed Ilia offered a totally new approach to this question. In his opinion, these contradictory ideologies in reality well function together and enrich each other. It is remarkable that American conservators came to the same conclusion only in the mid of the 20th century.

6. An importance of Ilia's approach who observed and analyzed a less explicit picture of the coexistence of different political ideologies gains a special importance in the modern time, which is marked by a diffusion and enriching relationship of the political ideologies. This fact once again actualizes from the modern perspectives a value of Ilia Chavchavadze as a public figure.

*Фархад Джаббаров*

Национальный музей истории Азербайджана

## **К событиям армяно-азербайджанского конфликта 1905 г. в Тифлисской губернии**

რუსეთის იმპერიის ძალისმიერი სტრუქტურები საქართველოს ტერიტორიაზე, მათ შორის ქალაქ თელავსა და თელავის მაზრის ტერიტორიაზე განსახლებული მუსულმანების განწყობითაც იყვნენ დაინტერესებული. 1913 წლის თებერვალში თელავის, თიანეთის და სიდნაღის მაზრებში თბილისის ჟანდარმათა საგუბერნიო სამმართველოს უფროსის თანაშემწე თელავში მყოფ ჟანდარმერიის უნტერ-ოფიცერს წერდა: „ახლახანს მიღებული ცნობების თანახმად „ახალგაზრდა თურქებმა,, რადგან თურქეთს ქრისტიანების მხრიდან საფრთხე ებუქება – რუსეთში, მაროკოში, ბირმაში, ალჟირში, ინდოეთში და საერთოდ იმ ქვეყნებში, სადაც მუსულმანი მოსახლეობა რაოდენობრივად ბევრია, გადაწყვიტეს აგიტატორების გავზავნა, რომ მუსულმანებს მიუთითონ თუ რა საფრთხეც ებუქებათ“. იქიდან გამომდინარე, რომ რომ თელავის მაზრაში მუსულმანებიც ცხოვრობდნენ თელავში მყოფ უნტერ-ოფიცერს ავალეებდნენ, რომ მუსულმანი აგიტატორების შესაძლო გამოჩენაზე „ფხიზელი,, მეთვალყურეობა დაეწესებინა.<sup>24</sup>

<sup>23</sup> შ. ვადაჭკორია. სომხურ-ქართული ურთიერთობა და 1918-1919 წლების სამხედრო დაპირისპირების მიზეზები. თბ. 2008.

<sup>24</sup> სსცა. ფონ. 160. აღ. 2. საქ. 8, გვ. 18.

ამავე პერიოდში თელავში მყოფ უნტერ-ოფიცერს ატყობინებდნენ, რომ „თურქული პარტიის „ერთობა და პროგრესი,, ერზრუმში არსებული ფილიალის მიერ კავკასიაში პროპაგანდის გასაწევად ორი გავლენიანი წევრი გაიგზავნა“;<sup>25</sup> იმავე წლის სექტებერში თელავის, თიანეთის და სიღნაღის მაზრებში თბილისის ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოს უფროსის თანაშემწე, თელავში მყოფ ჟანდარმერიის უნტერ-ოფიცერს წერდა: „მიღებული ცნობებით თურქეთის სამხედრო მინისტრმა ნება დართო თურქეთის არმიის იმ ოფიცრებს, რომლებიც „ახალგაზრდა თურქებს“ ეკუთვნიან რუსეთის ტერიტორიაზე გაემგზავრნენ „პანისლამიზმის“ პროპაგანდისათვის“;<sup>26</sup> იმავე წლის ოქტომბრით დათარიღებულ დოკუმენტში კი აღნიშნულია: „ქალაქ მექაში 20 აგვისტოს მთავარი შეიხის მიერ დიდი მიზინვი ჩატარდა, სადაც სხვადასხვა ქვეყნიდან საბი ათასი მომლოცველი ესწრებოდა. შეიხებმა და მოლებმა დაამსწრეებს დარწმუნება დაუწყეს, რომ აუცილებელია მთელი საშუალებებით თურქეთისა და თვითონ სულთნის, როგორც ყველა მუსულმანის წმინდა ხალიფის მხარდაჭერა, რომ თურქეთის დაცემა გამოიწვევს მუსულმანური რელიგიის დამსხვრევას. ამის გამო ეს მოსაზრება გაავრცელეთ თქვენს ნათესავებში“;<sup>27</sup> გამოძინარე იქიდან, რომ მექის მომლოცველები შესაძლებელია საქართველოში მცხოვრები მუსულმანებიდან და მათ შორის ალბათ კახეთიდანაც ყოფილიყვნენ, უნტერ-ოფიცერს მექიდან დაბრუნებულ მომლოცველებზე მკაცრი მეთვალყურეობის დაწესებას სთხოვდნენ.

თელავში მყოფ უნტერ-ოფიცერს ასევე ეგზავნებოდა ინფორმაციები ირანელების (სპარსეთი) აქტიურობაზეც: „არსებული აგენტურული ცნობებით თებერვალში სპარსეთიდან კავკასიაში ჩამოვლენ ბეკ-ხანი (რაგიმ-ხანის შვილი) და მისი ფიდაი გუსი-ალი. ისინი მოდიან რომ დაარწმუნონ ჩვენი მუსულმანები სპარსელებს ფულით, იარაღით და ადამიანებით დაეხმარნენ“;<sup>28</sup>

„ჩვენს მუსულმანებში“, როგორც ჩანს, ძირითადად დაღესტნელი ლეკები იგულისხმებოდნენ. ქალაქ თელავში ამ დროს გარკვეული რაოდენობის ლეკები ცხოვრობდნენ, უფრო სწორედ წვრილმან ვაჭრობას ეწეოდნენ, დღიურ მუშებად მუშაობდნენ.

რაც შეეხება თელავის მაზრას, მასში დღევანდელი ყვარლის რაიონის ის ადგილებიც შედიოდა, სადაცშემდეგ ლეკებით დასახლებული სოფლები –

<sup>25</sup> სსცა. ფონ. 160. აღ. 2. საქ. 8, გვ. 32.

<sup>26</sup> სსცა. ფონ. 160. აღ. 2. საქ. 18, გვ. 96.

<sup>27</sup> სსცა. ფონ. 160. აღ. 2. საქ. 18, გვ. 97.

<sup>28</sup> სსცა. ფონ. 160. აღ. 2. საქ. 8, გვ. 89.

თივი, თებელჯოხი და არეში გაჩნდა. ამ სოფლების ადგილას, XIX საუკუნის ბოლოს ლეკებისათვის, ფაქტობრივად, მხოლოდ საქონლის დროებითი სადგომები მდებარეობდა. საქართველოს მეზობლად მცხოვრები ლეკების ნაწილი, მეფის ხელისუფლების ხელშეწყობით\* აქ საქონელს აზამთრებდნენ, ზაფხულობით კი დაღესტანში ბრუნდებოდნენ.

ხელისუფლებას კი ლეკების ამ ადგილებზე „დამაგრება“ სურდა, რადგან 1907 წლისთვის თითქმის დამთავრდა ავარო-კახეთის გზის გაყვანა,<sup>29</sup> რომლის ინფრასტრუქტურასაც, ცხადია, მიხედვა სჭირდებოდა და რომელიც საქართველოდან დაღესტანში მიმავალი ერთადერთი გზა იყო. მეფის რუსეთისთვის ავარო-კახეთის გზას სამხედრო-სტრატეგიული დანიშნულება ჰქონდა დაჩანს, რომ ადგილობრივ ქართველებს 1905-1907 წლების რევოლუციის პერიპეტებიდან გამომდინარე სანდოდ არ მიიჩნევდა.

როგორც თელავში მყოფი ჟანდარმერიის უნტერ-ოფიცერის მიმართ გაგზავნილი წერილებიდან თუ სხვა დოკუმენტებიდან ჩანს, 1900-იან წლების დასაწყისში რუსეთის ხელისუფლება ერთის მხრივ, ლეკებს საქართველოს ტერიტორიაზე დასახლებისათვის ყველანაირ პირობას უქმნიდა – მათ ამ პერიოდში ყვარლის რაიონში მდებარე ზემოდასახელებული საქონლის გამოსაზამთრებელი ბინები სოფლების სტატუსში აუყვანა და მეორე მხრივ კი, არ სურდა რა დაღესტნის თუ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ და მყოფ ლეკებში ირანის გავლენა გაზრდილიყო, მათში პროირანული გავლენის ზრდას ებრძოდა.<sup>30</sup>

ამრიგად, როგორც ზემო მოყვანილი მასალების მცირე ანალიზიდანაც ჩანს, ქალაქ თელავში რუსეთის იმპერიის საიდუმლო პოლიციის წარმომადგენელი ჟანდარმერიის უნტერ-ოფიცერების შესახებ ისტორიულ არქივში დაცული დოკუმენტები, XX საუკუნის დასაწყისის საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ისტორიის შესწავლისთვის საკმაოდ საინტერესო და მნიშვნელოვანია.

\* დოკუმენტების მიხედვით, ამ პერიოდში ჩამოსულ ლეკებს სისტემატური კონფლიქტი ჰქონდათ ამ ტერიტორიის მაცხოვრებელ ქართველებთან, რადგან მეფის ხელისუფლებამ, ფაქტობრივად, ადგილობრივ მოსახლე ქართველების ხარჯზე გადასცა მათ მიწები საქონლის გამოსაზამთრებლად.

<sup>29</sup> სსცა. ფონ. 17. აღ. 1. საქ. 6341, გვ. 28-31.

<sup>30</sup> სსცა. ფონ. 17. აღ. 1. საქ. 5869, გვ. 36, 37, 79.



1

УНТЕРЪ-ОФИЦЕРЪ.  
ДОПОЛНИТЕЛЬНОГО ШТАТА,  
ТИФЛИССКАГО  
ГУБЕРНСКАГО ЖАНДАРМСКАГО  
УПРАВЛЕНІЯ

„7“ „Май“ 1901 г.  
№ 58  
п. г. Телави

5.

რეგისტრაცია

023892/030

Домашу Ваималу Висоно-  
вагородино ино во селамы  
центрут г.г. Мелави нахо-  
дится при православных  
Черкви в ю. юго-восточной  
стороне на именован  
губернском уезде тамъ  
наимъ в Мелави при над-  
земномъ князю селеніи  
и г.г. работни и  
Сочесніе Православные

Машину Нарашити Мидришено  
губернском Ментаршено Губернском  
в Мидришено Мелави и Синодаль  
Уезде

2  
 сущащие более по управительству  
 нашей Императорской волею  
 который именован великим князем  
 в одной Церкви сущаи совершающ  
 на Русская азимъ такъ какъ въ  
 Русскихъ отъ родно то и сущаи  
 стеной Грузинскій азимъ не паче  
 какъ на роднаи азимъ различно  
 церковно сущаи отъ него не  
 рѣдно даваи сущаи то Русские  
 отнавднотъ правоавную реллию  
 и переладитъ въ сентарини м. е.  
 въ Библотеки на Именавни  
 Церкви 1<sup>я</sup> Генералій содръ въ  
 которыхъ до прощылъ добилъ  
 дезпортнаи сущаи совершающ на  
 Русская азимъ, 2 Вознесенскій и  
 3 Пондескнба приеврмои городск  
 Имперь Офицеръ Тондереѣ

**З ПОМОЩНИКЪ**  
**НАЧАЛЬНИКА ТИФЛИССКАГО**  
**ГУБЕРНСКАГО ЖАНДАРМСКАГО**  
**УПРАВЛЕНІЯ**  
**въ Тифлисскомъ, Телавскомъ**  
**и Сигнахскомъ Уѣздахъ.**

**21. Февраля 1915.**

*21.*  
К с п і я.

С е к р е т н о.

*431*

*49*  
*15*  
144

Унтеръ-офицеръ Степыкинъ, совершая  
Гор. Тифлиса последнее время очередные объѣз-  
ды Телавскаго уѣзда, со словъ жите-  
лей заключаетъ, что грузинское насе-  
леніе уѣзда враждебно настроено про-  
тивъ армянъ и ходятъ слухи, что со-  
временемъ между этими націями стно-  
шенія могутъ обостриться вплоть до  
возникновенія рѣзни подсобной армяно-  
татарской, бывшей на Кавказѣ въ 1905  
гсду.

Кромѣ того имъ замѣчено, что чины  
полиціи не обращаютъ вниманія на на-  
шеніе крестьянами форменныхъ сол-  
датскихъ шинелей съ погонями различ-  
ныхъ войскныхъ частей, что по зак-

НАЧАЛЬНИКУ УПРАВЛЕНІЯ.

4 НАЧАЛЬНИКЪ  
КУТАЙССКАГО  
ГУБЕРНСКАГО  
ЖАНДАРМСКАГО  
УПРАВЛЕНІЯ.

Совершенно-секретно.  
1490.

№ 34  
1917  
г. Кутаисъ

По полученным мною изъ 2-хъ совершенно различныхъ агентурныхъ источниковъ свѣдѣніямъ, ведшій среди плѣнныхъ грузинъ въ Германскихъ и Австрійскихъ концентраціонныхъ лагеряхъ преступную пропаганду и принявшій на себя обязательство предъ германскими властями поднять восстаніе въ Закавказь съ помощью германскихъ эмиссаровъ, доставленныхъ на Черноморское побережь неприяТЕЛЬскими подводными лодками, - князь Георгій МАЧАБЕЛИ въ настоящее время скрывается въ Тифлисской губерніи - въ гор. Тифлисъ у редактора газеты "Сахалхо-Пурцели" - ДЖОРДЖИДЗЕ и въ гор. Телавъ - у Илика МАЧАБЕЛИ. Бывая въ Тифлисъ посѣщаетъ редакцію газеты "Сакартвело". Въ Мартѣ мѣсяцѣ кн. Мачабели предполагаетъ обратиться

*Handwritten notes:*  
...  
...

Въ Особый Отдѣль Канцеляріи Намѣстника ЕГО ИМПЕРАТОРСКАГО ВЕЛИЧЕСТВА  
на Кавказѣ

5 19. *Получено 7го февраля 1913г. № 15*  
*Султанов*  
ПОМОЩНИКЪ  
НАЧАЛЬНИКА ТИФЛИССКАГО  
ГУБЕРНСКАГО ЖАНДАРМСКАГО  
УПРАВЛЕНІЯ  
въ Тифлисскомъ, Телавскомъ  
и Сигнахскомъ Уѣздахъ.

~~7~~ февраля 1913г. По свидѣніямъ изъ Кокоталтиско-  
го, мѣстными военными властями коман-  
дированы въ Россію два офицера для  
провѣрки слуховъ объ усвоенной закуп-  
кѣ армянами на Кавказѣ оружія и бое-  
выхъ припасовъ, особенно въ Карѣ, а  
также о вооруженіи ихъ русскими Пра-  
вительствомъ, о чемъ въ последнее  
время въ Эрзерумѣ стали получаться  
сенсационныя свидѣнія отъ турецкихъ  
агентовъ въ предѣлахъ Закавказья. Из-  
бранными для этой цѣли оказались:  
капитанъ [Исбаши] Генеральнаго Штаба  
Джемалъ ЭСЕНДИ и поручикъ [Мулизимъ]  
Мунтакъ ЭСЕНДИ, которые пойдутъ черезъ

1299  
Гор. Тифлиси

Удѣль офицеру пункта Гор. Телав

6

95.

გადასული 8<sup>თ</sup> სექტემბერი 1913. წ. № 79.

ცხრამთა.

ПОМОЩНИКЪ  
НАЧАЛЬНИКА ТИФЛИССКАГО  
ГУБЕРНСКАГО ЖАНДАРМСКАГО  
УПРАВЛЕНІЯ  
въ Тифлисскомъ, Телавскомъ  
и Сигнахскомъ Уѣздахъ.

5 Сентября 1913.

129/11

Гор. Тифлисъ.

Въ виду имѣющихся свѣдѣній о томъ,  
что армяне собираются отправлять въ Тур-  
цію оружіе для вооруженія армянъ на  
предметъ вооруженнаго возстанія, пред-  
писываю тебѣ принять мѣры къ задержа-  
нію этого оружія и недопущенію транспо-  
тировки таковаго изъ предѣловъ Кавказ-  
скаго края въ Турецкую Арменію.-

ПОДПОЛКОВНИКЪ

Унтеръ офицеру пункта гор. Т е л а в а

*Tengiz Simashvili*

Professor,  
Iakob Gogebashvili Telavi State University, Georgia

**THE SECRET POLICE OF THE RUSSIAN EMPIRE AND THE  
SOCIAL-POLITICAL SITUATION IN TELAVI IN EARLY 20<sup>TH</sup>  
CENTURY**

Summary

The Russian Imperial Secret (Political) Police units were spread all over Georgia in the beginning of the 20<sup>th</sup> century. Those were Tbilisi “Oxranka” and “Department of Gendarmerie of Tbilisi Governorate”. The Russian Imperial Secret Police had Unter-Officer in Telavi (City in East Georgia) who was subordinate to the deputy of the head of “Department of Gendarmerie of Tbilisi Governorate”.

The Russian Imperial Secret Police Unter-Officer in Telavi, along with collecting information on political condition, was interested in the crime situation. They also Investigated information about the rise of prices on bread or the other commodities, the attitude of population towards the government etc.

The reports are reflecting the interrelation between the Georgians and the other ethnic groups who lived in Telavi. After close analysis of these reports, it is clear that the Armenians, who were minority, are supported by the local administration of the Russian Empire. There are materials, which proves that the Secret Police of the Russian Empire in 1913 helped the Armenian political party “Dashnaktsutyun” to arm the Armenian rebels, who were active in the Ottoman Empire of that period.

Thus, the documents preserved in the historical archives of Georgia about Unter-Officers in Telavi are quite interesting and important for the study of the social-political situation of the beginning of the 20<sup>th</sup> century.

*ნიკო ჯავახიშვილი*

ასოცირებული პროფესორი, თსუ

## **ხელფასები და ფასები რუსეთის იმპერიაში (XIX საუკუნის მიწურულიდან 1914 წლამდე)**

წინამდებარე სტატიაში განხილულია საქართველოს და რუსეთის სახელმწიფო არქივებში, ასევე, ქართველ პოლიტიკურ, სახელმწიფო, საზოგადო მოღვაწეთა, მწერალთა, მეცნიერთა და ხელოვანთა თხზულებებში, მთარგმნებებსა და ეპისტოლურ მემკვიდრეობაში დაცული არაერთი საყურადღებო ცნობა საუკუნეზე ოდნავ მეტი ხნის წინათ, კერძოდ, XIX საუკუნის მიწურულიდან – I მსოფლიო ომამდე არსებული შრომის ანაზღაურებისა და ფასების შესახებ რუსეთის იმპერიაში, რომლის შემადგენლობაში საქართველოც შედიოდა. ამის პარალელურად, მიმოხილულია იმ პერიოდში არსებული რუსული ფულადი სისტემა.

ზემოხსენებული ინფორმაცია შემონახულია ჩანაწერებში, რომელთა ავტორებიც არიან ცნობილი ქართველი მოღვაწეები: ილია ჭავჭავაძე (1837-1907); ნიკო ავალიშვილი (1844-1929); იაკობ მანსვეტაშვილი (1855-1939); ისიდორე რამიშვილი (1859-1937); ვაჟა-ფშაველა (1861-1915); ექვთიმე თაყაიშვილი (1863-1953); გიორგი ლასხიშვილი (1866-1931); თეოდორე სახოკია (1868-1956); ვლადიმერ ნაცვლიშვილი, იგივე ლადო ბზვანელი (1871-1946); კონსტანტინე (კოტე) მარჯანიშვილი (1872-1933); კონსტანტინე (კოტე) მაყაშვილი (1876-1929); ვლადიმერ (ვალდია) გოგუაძე (1880-1954); დიმიტრი ჯავახიშვილი (1882-1971); კონსტანტინე კანდელაკი (1883-1959); შალვა ამირეჯიბი (1887-1943); ვლადიმერ (ლადო) ჯაფარიძე (1887-1981); ანდრია რაზმაძე (1889-1929); ეკატერინე (ცაცა) ამირეჯიბი (1889-1975); გიორგი ჩიტაია (1890-1986); მიხეილ ჭიაურელი (1894-1974); შალვა მაღლაკელიძე (1894-1976); გიორგი ლეონიძე (1897-1966); კანდიდ ჩარკვიანი (1906-1994); გიორგი ზარიძე (1908-1999); ვახტანგ პარკაძე (1912-1996) და სხვები.



\* \* \*

რუსეთის ფინანსთა მინისტრის, გრაფ სერგეი ვიტეს (1849-1915) ინ-იციატივითა და ხელმძღვანელობით, 1895-1897 წლებში იმპერიაში ფულის რეფორმა გატარდა. ვინაიდან ამ რეფორმის შედეგად მიმოქცევაში გამოშვებული რუსული ქალაქის ფული მთლიანად იქნა უზრუნველყოფილი ოქროთი, ის მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე სტაბილური კურსის მქონე ვალუტად იქცა.

აქვე დავსძენთ, რომ ეს პიროვნება, რომელიც თბილისში დაიბადა და 16 წლამდე აქ ცხოვრობდა, იყო ვაჟი ბალტიელი (კურლანდიელი) გერმანელისა ქრისტოფ-ჰენრიხ-გეორგ-იულიუს ვიტესი (გერმანულად – Witte). შემდგომში ს. ვიტე სათავეში ედგა რუსეთის საიმპერიო მთავრობას (1905-1906 წლებში).

აღნიშნული პერიოდიდან – I მსოფლიო ომის დაწყებამდე რუსეთის იმპერია წარმოადგენდა მსოფლიოს ერთ-ერთ, სწრაფად განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყანას. ინტენსიურად ვითარდებოდა ვაჭრობა-მრეწველობა და სოფლის მეურნეობა, ხოლო სახელმწიფო შემოსავალი გასავალს მნიშვნელოვნად აღემატებოდა.

რუსული ვალუტა – „რუბლი“ (რომლის ქართული შესატყვისი იყო „მანეთი“) – ასი კაპიკისაგან შედგებოდა. იმპერიაში მიმოქცეოდა როგორც ქალაქისაგან დამზადებული ფულის ნიშნები – „სახელმწიფო საკრედიტო ბილეთები“ ასევე, ლითონისაგან, კერძოდ, ოქროს, ვერცხლის და სპილენძისაგან მოჭრილი მონეტები.

სპილენძისაგან დამზადებული იყო მონეტები ნომინალური ღირებულებით (ჩამოთვლილია უმცირესი ერთეულიდან ზემოთ):  $\frac{1}{4}$ ;  $\frac{1}{2}$ ; 1; 3 და 5 კაპიკი, ვერცხლისაგან – ნომინალური ღირებულებით: 5; 10; 20; 25; 50 კაპიკი და 1 რუბლი, ხოლო ოქროსაგან – ნომინალური ღირებულებით: 5;  $7\frac{1}{2}$ ; 10 და 15 რუბლი. ამ უკანასკნელს – „იმპერიალი“ ეწოდებოდა.

ქალაქის ფულის ნიშნებს შორის იყო „სახელმწიფო საკრედიტო ბილეთები“ ნომინალური ღირებულებით: 1; 3; 5; 10; 25; 50; 100 და 500 რუბლი.

1 რუბლი ოფიციალურად შეესაბამებოდა 17, 424 წილ (ანუ 0, 7742 გრამ) სუფთა ოქროს. ამის გათვალისწინებით, სახელმწიფო საკრედიტო ბილეთების ავერსზე (წინა მხარეზე) დატანილი იყო შემდეგი წარწერა რუსულ ენაზე (თარგმანი ჩვენია): „სახელმწიფო ბანკი ახურდავებს საკრედიტო ბი-

ლეთებს ოქროს მონეტაზე თანხის შეუზღუდავად (1 რუბლი = 1/15 იმპერი-  
ალს, შეიცავს 17, 424 წილ სუფთა ოქროს)“, ხოლო რევერსზე (უკანა მხა-  
რეზე) ეწერა: „სახელმწიფო საკრედიტო ბილეთები მიმოიქცევა მთელს იმპე-  
რიაში ოქროს მონეტის თანაბრად“.

ოქროს მონეტების წონა შემდეგნაირი იყო: 5 რუბლი – 4, 3 გრამი; 7  
1/2 რუბლი – 6, 45 გრამი; 10 რუბლი – 8, 6 გრამი; 15 რუბლი – 12, 9  
გრამი. აქვე უნდა ითქვას, რომ ჩამოთვლილი მონეტები მოჭრილი იყო 900  
სინჯის მქონე ოქროსაგან, ანუ შეიცავდა სხვა ლითონის მცირეოდენ (დაახ-  
ლოებით 10 %-იან) მინარევს. შესაბამისად, ეს მონეტები შეიცავდა შემდეგი  
რაოდენობის სუფთა ოქროს: 5 რუბლი – 3, 871 გრამი; 7 1/2 რუბლი – 5,  
8065 გრამი; 10 რუბლი – 7, 742 გრამი; 15 რუბლი – 11, 613 გრამი.<sup>1</sup>

I მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ მიღებული კანონით, რუსეთში  
შეწყდა ქალაქის ფულის ნიშნების გადაცვლა ოქროს მონეტებზე. სახელმწი-  
ფოს ბიუჯეტში გაზრდილი საომარი ხარჯების შედეგად, რუბლი თანდათან  
უფასურდებოდა. თუ 1914 წლის 1 იანვარს მიმოქცევაში იყო 1 მილიარდ  
633 მილიონი რუბლის საერთო ღირებულების მქონე საკრედიტო ბილეთები,  
სამი წლის შემდეგ – 1917 წლის 1 იანვარს ამ მაჩვენებელმა 9 მილიარდ  
103 მილიონი რუბლი შეადგინა. ანალოგიურ პერიოდში ქალაქის 1 რუბ-  
ლის მყიდველუნარიანობა შემცირდა ომამდელ 26-27 კაპიკამდე, ანუ თითქმის  
4-ჯერ გაუფასურდა.<sup>2</sup>

ახლა, რაც შეეხება მსოფლიო ომამდელი რუსეთის იმპერიის ვალუტის  
ღირებულებას. იმდროინდელი ოქროს თუმნიანის დღევანდელი საბაზრო ღი-  
რებულება საშუალოდ შეადგენს ამერიკის შეერთებული შტატების 380 დო-  
ლარს, რაც ამჟამინდელ 1000 ლარს უდრის.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, რუსეთის იმპერიის 1-კაპიკიანის ღირე-  
ბულება 1914 წლამდე არსებული მდგომარეობითა და ოქროს მსყიდველობი-  
თი უნარით დაახლოებით შეადგენს თანამედროვე 38 აშშ ცენტს, რაც თავის  
მხრივ – 1 ლარს უტოლდება.

\* \* \*

1914 წლის თებერვალში თბილისში არსებული საშუალო დღიური  
ხელფასებისა და სასურსათო პროდუქტების ფასების შესახებ სტატისტიკური

<sup>1</sup> Русский рубль. Два века истории (XIX-XX вв.). Москва. 1994, გვ. 137; Деньги России, автор-составитель Б. Лившиц. Москва. 2000, გვ. 168-187.

<sup>2</sup> А. Малишев. В. Таранков. Н. Смиранный. Бумажные денежные знаки России и СССР. Москва, 1991, гв. 74-76.

მონაცემები დაცულია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის ყოფილი მინისტრის კონსტანტინე კანდელაკის (1883-1959) ნაშრომში „საქართველოს ეროვნული მეურნეობა“. ემიგრაციაში დაწერილი ეს გამოკვლევა პარიზში ორ ტომად გამოიცა (1935 და 1960 წლებში).

აღნიშნული ნაშრომის მეორე ტომში გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით, იმ პერიოდში, საშუალო დღიური ანაზღაურების სახით, მუშა იღებდა 2 რუბლსა და 39 კაპიკს. კონკრეტულად კი სხვადასხვა სპეციალობის მუშების დღიური ხელფასი იყო:

გამთბობი – 3 რუბლი და 50 კაპიკი;

ღურგალი – 3 რუბლი;

ხარატი – 3 რუბლი;

მლესავი – 3 რუბლი;

ქვის მთლელი – 2 რუბლი და 50 კაპიკი;

მხურავი – 2 რუბლი და 50 კაპიკი;

მღებავი – 2 რუბლი და 50 კაპიკი;

ხურო – 2 რუბლი და 50 კაპიკი;

მჭედელი – 2 რუბლი;

მხერხავი – 1 რუბლი;

დღიური მუშა – 80 კაპიკი.

იმავედროულად, პირველი მოთხოვნების საქონელზე თბილისში მოქმედებდა შემდეგი საშუალო ფასები გირვანქობით (შეადგენდა 409 გრამს):

ყველი – 20 კაპიკი;

ზეთი – 18 კაპიკი;

ხორცი – 14 კაპიკი;

ბრინჯი – 11 კაპიკი;

ლობიო – 8 კაპიკი;

ხახვი – 5 კაპიკი;

პური – 4 კაპიკი;

მარილი – 4 კაპიკი;

კომბოსტო – 3, 8 კაპიკი;

კარტოფილი – 1, 7 კაპიკი;

ნავთი – 4 კაპიკი;

ნახშირი – 60 კაპიკი.

ამ მონაცემების მიხედვით, 12-ვე ზემოთ ჩამოთვლილი პროდუქტის თითო გირვანქის შექმნა შეიძლებოდა საშუალოდ – 1 რუბლად და 53,5 კაპიკად.<sup>3</sup>

ამდენად, მითითებულ პერიოდში, საშუალო დღიური ანაზღაურებით – 2 რუბლითა და 39 კაპიკით მუშას შეეძლო შეეძინა ყველა აქ დასახელებული პირველი მოთხოვნილების საქონელი – თითო გირვანქის ოდენობით და თან დაუხარჯავი რჩებოდა საშუალოდ – 85,5 კაპიკი.

\* \* \*

ვინაიდან უკვე ვისაუბრეთ რუსეთის იმპერიაში არსებული მუშათა ხელფასების შესახებ, ბუნებრივია, ინტერესს იწვევს, თუ რამდენი იყო იმავე ქვეყნის უპირველეს უმაღლეს სასაწავლებელში – სანკტ-პეტერბურგის საიმპერატორო უნივერსიტეტში მოღვაწე მეცნიერთა და პედაგოგთა შრომის საშუალო ანაზღაურება.

აკადემიკოს ექვთიმე თაყაიშვილის (1863-1953) ცნობით, პეტერბურგის უნივერსიტეტში მოღვაწე გამოჩენილ მეცნიერს ნიკო მარს (1865-1934) თავდაპირველად საკმაოდ შეზღუდული შემოსავალი ჰქონდა. ე. თაყაიშვილი იგონებდა: „სტუდენტობაში მას მარტო სტიპენდია – 25 მანეთი ჰქონდა, სხვა არაფერი და ამით ცხოვრობდა, რასაკვირველია, ღარიბად. უნივერსიტეტში რომ დატოვეს, 50 მანეთი ჰქონდა და როცა პრივატ-დოცენტი გახდა – 100 მანეთი“.<sup>4</sup>

პეტერბურგის ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში დაცულია დიდი ქართველი მეცნიერის ივანე ჯავახიშვილის (1876-1940) საქმე, საიდანაც ნათელი ხდება, თუ რა თანხას შეადგენდა მისი შრომის ანაზღაურება ამ ქალაქში არსებულ საიმპერატორო უნივერსიტეტში სწავლისა და მოღვაწეობის პერიოდში.

1900 წლის 1 იანვრიდან ივ. ჯავახიშვილს დაენიშნა სამაგისტრო სტიპენდია, რომელიც თვეში 50 რუბლს შეადგენდა. ეს სტიპენდია მეცნიერს 1902 წლის 1 ივლისამდე, ანუ ორწელიწადნახევრის განმავლობაში ეძლეოდა.

1903 წლის 1 იანვარს მაგისტრი ივანე ჯავახიშვილი აირჩიეს უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტად და თვიურ ხელფასად 100 რუბლი დაუნიშნეს.

<sup>3</sup> კ. კანდელაკი. საქართველოს ეროვნული მეურნეობა. ტ. II. პარიზი, 1960, გვ. 139.

<sup>4</sup> ე. თაყაიშვილი. ემიგრანტული შრომები. ქართული ემიგრანტული ლიტერატურა „დაბრუნება“. მრავალტომეული. გ. შარადის რედაქციით. ტ. I. თბ. 1991, გვ. 110.

ამ თანამდებობაზე ის 14 წლის განმავლობაში, სამშობლოში დაბრუნებამდე მოღვაწეობდა.<sup>5</sup>

1908 წლის დასაწყისში, პრიატ-ლოცენტ ივანე ჯავახიშვილის ინიციატივით, პეტერბურგის უნივერსიტეტში დაფუძნდა ქართული სამეცნიერო წრე. ზემოხსენებულ არქივში დაცულ წესდებაში აღნიშნული იყო, რომ წრის მიზანს წარმოადგენდა XVIII-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურის შესწავლა.<sup>6</sup>

მართალია, წესდებაში ოფიციალურად ასე იყო გაცხადებული ამ წრის დანიშნულება, მაგრამ მის რეალურ მიზანს წარმოადგენდა მზადება ქართული უნივერსიტეტის დაარსებისათვის. წრის ხელმძღვანელი ივ. ჯავახიშვილი მზრუნველობას იჩენდა ამ გაერთიანების წევრებისადმი, რომელთაც მიუხედავად თავისი საკმაოდ შეზღუდული ფინანსური შესაძლებლობისა, ხშირად იწვევდა თავის ბინაში და უმასპინძლებოდა.

ამასთან დაკავშირებით საყურადღებო ცნობას გვაწვდის ამ წრის ერთ-ერთი წევრთაგანი, მომავალში გამოჩენილი მეცნიერი, ქართული ეთნოლოგიური სკოლის ფუძემდებელი, აკადემიკოსი გიორგი ჩიტაია (1890-1986), რომელიც იგონებდა: „ივანე ჯავახიშვილი ქართველ სტუდენტებს ყველაზე საპატიო ლექტორად, კერპად მიგვაჩნდა. მისი ლექციები და სემინარები ძალზედ დიდ აუდიტორიას იკრებდა. იგი გახლდათ ერთადერთი ლექტორი უნივერსიტეტის მთელ პროფესურაში, რომელიც უუფლებობის მიუხედავად, ლექციებს ეროვნულ ენაზე კითხულობდა. იგი დღენიადაგ იღვწოდა ქართული მეცნიერების ასაღორძინებლად და ამ მიზნის მისაღწევად მთელ თავის ძალღონეს და ნიჭს არ იშურებდა... ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრის წევრები მაშინ გამალებით ვმუშაობდით ქართული პერიოდული პრესის ბიბლიოგრაფიის შედგენაზე. წრის გამგეობა ყოველ ორ კვირაში ერთხელ იკრიბებოდა ივანე ჯავახიშვილის ბინაზე წრის სამუშაოების მოსაგვარებლად. ყოველთვის, სხდომის დამთავრებისას, სუფრა იშლებოდა ჩვენთვის. მართალია, სუფრა არ იყო მდიდრული, რადგან ბატონი ივანე თავისი ოჯახის წევრებით ხელმოკლედ ცხოვრობდა, მაგრამ ეს ჩვენთვის დიდი პატივი იყო. ივანე ჯავახიშვილის ხელმოკლეობა იქიდანაც ჩანდა, რომ იგი პეტერბურგის სუსხიან ზამ-

<sup>5</sup> Центральный государственный исторический архив Санкт-Петербурга. Фонд 14. Опись 2. Дело №1418.

<sup>6</sup> Центральный государственный исторический архив Санкт-Петербурга. Фонд 569. Опись 13. Дело №1182.

თარში საზაფხულო პალატოთი დადიოდა“.<sup>7</sup>

პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე შალვა ამირეჯიბი (1887-1943), რომელიც საქართველოს იძულებითი გასაბჭოების შემდეგ ემიგრაციაში წავიდა, შენიშნავდა, რომ ივანე ჯავახიშვილის „მოკრძალება, მოთმინება, მომჭირნეობა მიდიოდა იქამდის, რომ პეტერბურგში ცხოვრების დროს, როცა უკვე ცოლ-შვილი ჰყავდა, მამის დახმარებაზე უარი თქვა და მხოლოდ პრიატ-ლოცენტის არადიდი ჯამაგირით ცხოვრობდა. დილით ის გამოდიოდა კარში ორი შაურით ვიბეში. ეს იყო ტრამვაის ფული. მისი პირადი სიამოვნება მისმა სამეცნიერო ღვაწლმა შეიწირა“.<sup>8</sup>

ამდენად, თვითონ ხელფასი – 100 რუბლის ოდენობით, იმ დროისათვის – „არადიდ ჯამაგირად“ ითვლებოდა.

\* \* \*

ექვთიმე თაყაიშვილის ცნობით, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერს, დიდ ქართველ საზოგადო მოღვაწეს და მწერალს ილია ჭავჭავაძეს (1837-1907) „არა ჰყოფნიდა არც საგურამოს მამულის შემოსავალი, არც ბანკიდან აღებული ჯამაგირი და არც თავისი თავისი დის – ელისაბედისაგან მიღებული დახმარება. და იგი სულაც არ აზვიადებდა, როცა ამბობდა: „ვალები მაქვსო“...

ბანკში წინათ მაინცდამაინც დიდი ჯამაგირები არ ჰქონიათ მოსამსახურეებს, მაგრამ როცა „ბანკობიდა“ მოთავდა და აქციების კონვერსია მოახდინეს, ბანკის შემოსავალმა ერთობ მოიმატა, ისე, რომ ყველა ხარჯის გამოკლებით ნახევარი მილიონი მანეთი რჩებოდა საქველმოქმედო საქმეებისათვის და მოსამსახურეებსაც ჯამაგირი მოემატათ. მაგალითად, ილია, როგორც თავმჯდომარე, წელიწადში უკვე ხუთი ათასს იღებდა წინანდელი სამი ათასის მაგიერ. ამას გარდა, ბანკის მოგების გარკვეული პროცენტი მოსამსახურეებს ეძლეოდათ ზედმეტად და ეს პროცენტი მათ თვითონ ჯამაგირს აღემატებოდა“.<sup>9</sup>

ე. თაყაიშვილისავე ცნობით, იმ დროისათვის, თბილისის ვიცე-გუბერნატორის წლიური ხელფასი შეადგენდა 3.000 მანეთს.<sup>10</sup>

<sup>7</sup> გ. ჩიტაია. ჩემი ცხოვრების გზებსა და ბილიკებზე. თბ. 1991, გვ. 26-33.

<sup>8</sup> შ. ამირეჯიბი. თხზულებანი ორ ტომად. ტ. II. თბ. 1997, გვ. 67-80.

<sup>9</sup> ე. თაყაიშვილი. ემიგრანტული შრომები, გვ. 422-424.

<sup>10</sup> ე. თაყაიშვილი. ემიგრანტული შრომები, გვ. 434.

აღნიშნული ბანკის დაარსების ისტორიას ასე მოგვითხრობს საზოგადო მოღვაწე, მწერალი და ჟურნალისტი იაკობ მანსვეტაშვილი (1855-1939): „ბანკის დაარსება განიზრახა პატარა წრემ, რომლის მოთავე და სულისჩამდგმელი იყო ქართველების ცნობილი საზოგადო მოღვაწე და მოამაგე დიმიტრი ყიფიანი. ეს საქმე ასე დაიწყო. როდესაც ბატონყმობა მოისპო, მამულის პატრონებს მიეცათ ფული საფასურად იმ მიწებისა, რომელიც ამათ ჩამოერთვათ და გლეხებს მიეცათ. რადგან ყიფიანმა კარგად იცოდა, რომ ეს ხაზინიდან მიღებული ფული მალე გაიფლანგებოდა, განიზრახა, ცოტა რამ მაინც გადაერჩინა და ამით რაიმე საქვეყნო საქმე მოეწყო. იფიქრეს და გადასწყვიტეს ბანკის დაარსება... ხომ მოგეხსენებათ, ქართველი როგორი დარდიმანდი და ხელგაშლილია ფულის უაზროდ ფლანგვაში, ხოლო საქმისთვის კი ფულის გაღება ძლიერ ეძნელება. მხოლოდ დიმიტრის შეეძლო ამის დაძლევა... გროშობით შეაგროვა ოთხმოცი ათასი მანეთი. ამას ზედ დაემატა სახელმწიფოდან მოცემული კიდევ ამავე საქმისთვის ას სამოცი ათასი მანეთი და ამგვარად შესდგა 240 ათასი მანეთი. ეს თანხა საკმარისი იყო ბანკის საქმეების დასაწყებად...

ყიფიანი ჭკუიანი კაცი იყო, გამოცდილი, დინჯი, საქმის მცოდნე და მოყვარე და, ვგონებ, ჩვენი ბანკის საქმეს კარგადაც გაუძღვებოდა. ასეც იყო საქმე დაყენებული: ბანკის მოთავედ უნდა ყოფილიყო ყიფიანი. მაგრამ როდესაც საქმე საქმეზედ მიდგა, საარჩევნო კრებაზე გაჩნდა ილია, რომელიც ამ დრომდე დუშეთში იყო მომრიგებელ მოსამართლედ და ყიფიანის მეტოქედ გამოვიდა. მისმა ბრწყინვალე ჭკუამ, მისმა მჭექარე ორატორულმა ნიჭმა, ახალგაზრდულმა აღფრთოვანებამ და დიდად მოხვეჭილმა სახელმა მწერლობაში, რასაკვირველია დაჩრდილა უკვე ხანში შესული ყიფიანი და საქმის მოთავედ არჩეულ იქნა ილია... ილიას ბედი სწყალობდა... ბანკის საქმე კარგად წავიდა“.<sup>11</sup>

ზემოხსენებული ბანკის განსაკუთრებულობისა და მისი შემოსავლის ზრდის შესახებ ასე აღნიშნავდა თვით ილია ჭავჭავაძე 1903 წელს დაწერილ ავტობიოგრაფიაში: „თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობამ ნაწილი გლეხთა განთავისუფლებისთვის უმაღლესად ნაბობები ფულისა გადასდო ისეთი ბანკის დასაარსებლად, რომელიც უფრო შესაფერისი იქნებოდა ქვეყნის საჭიროებისათვის წესიერ კრედიტის დასამყარებლად, უფრო-კი ისეთის ბანკისა, რომლის

<sup>11</sup> ი. მანსვეტაშვილი. მოგონებები, ნახული და გაგონილი. ლ. ასათიანის წინასიტყვაობით და შენიშვნებით. თბ. 1985, გვ. 139-141.

მოგება მოჰხმარდებოდა განსაკუთრებით თბილისის გუბერნიის თავადაზნარობის შვილების აღზრდა-განათლებას...

თავადაზნაურობამ 1874 წელს გადასწყვიტა, ჩემი რჩევისამებრ, დაარსება საადგილმამულო ბანკისა და წესდების შესადგენად აირჩია კომისია, რომლის ერთ-ერთ წევრად მეც დამნიშნა... ბანკის მოგება, იმის გარდა, რაკ კი სხვადასხვა თანხას უნდა მიემატოს, ჰხმარდება თბილისის გუბერნიის არა მარტო მიწათმფლობელთა, ესე იგი თავადაზნაურთა, არამედ მიწათმოქმედთა საერთო საჭიროებას. ამ სახით, ტფილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკი თითქმის ერთადერთი დაწესებულებაა მთელს რუსეთში საადგილმამულო კრედიტისა, რომლის წესდებაც მაგალითად აყენებს უფრო საზოგადო სიკეთესა და სარგებლობას, ვიდრე გამდიდრების კერძო ინტერესს...

წესდება ზემოხსენებულის განსაკუთრებულის თვისებებით დაამტკიცა მთავრობამ 1875 წელს. ამ წლიდან დაიწყო ბანკმა მოქმედება და თუმცა ძირის თანხად ჰქონდა მხოლოდ 240,000 მანეთი, დღეს იმ მდგომარეობამდე მიაღწია, რომ ყოველწლივ 360,000 მანეთზედ მეტს მოგებას იძლევა. იმისდა მიუხედავად, რომ ძირის თანხა თავადაზნაურობისაგან შემოტანილი ბანკის დასაფუძნებლად უკვე უკან დაუბრუნდათ თითოეულს დამფუძნებელს წევრს (ამჟამად ბანკის მოგებით ინახება ერთი კერძო გიმნაზია და თუმცა გიმნაზიაში პანსიონიც არის უღარიბეს თავადაზნაურთა შვილებისათვის, მაინც ამ სკოლაში ყველა წოდების ბავშვებიცა სწავლობენ. ამას გარდა, ამ მოგებით ინახება ერთი სამეურნეო სკოლა, რომელშიაც იღებენ აგრეთვე ბავშვებს წოდების განურჩევლად), ბანკის დაარსებიდან დღემდე გამგეობის თავმჯდომარედ ვიმყოფები. ეს თანამდებობა არჩევნით არის და არჩევანი ყოველ სამს წელიწადში ერთხელ სწარმოებს“.<sup>12</sup>

მიუხედავად საბანკო საქმეში მიღწეული აღნიშნული წარმატებებისა, ი. მანსვეტაშვილი გულისტკივილით წერდა: „დიდად სამწუხაროდ უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ ილიას განსაკუთრებული ნიჭი და ჭკუა საქვეყნო საქმეს მოაშორეს და ბანკის წვრილმან, იწილო-ბიწილო საქმეებს ჩააკლეს. განა მიუტყვევებელ ცოდვად არ უნდა ჩაითვალოს ის ამბავი, რომ ილიას ბუნებით მომადლებული ნიჭი, მისი იშვიათი, არაჩვეულებრივი ჭკუა ილახებოდა და იხარჯებოდა ისეთ უმნიშვნელო, წვრილმან საქმეზე, როგორც მაგალითად, ის თუ, ვთქვათ — ქალაქ ლენქორანში, ამა და ამ ოჯახის ქონხმანებში მიეცეს

<sup>12</sup> მწერალთა ავტობიოგრაფიები. წ. I. გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის გამოცემა. თბ. 2013, გვ. 6-7.



სესხად ოცდაათი თუ ორმოცი თუმანი. და განა ეს კენტად იყო? ათასობით შემოდიოდა ასეთი საქმეები და ყველა ამაზე ილიას უნდა ტვინი ემუშავებინა, თავი ემტვრია, ის თავი, რომელიც მოწოდებული იყო დიდი საქმეების მოსარიგებლად“.<sup>13</sup>

\* \* \*

ცნობილია, რომ დიდ ქართველ საზოგადო მოღვაწეს და მწერალს აკაკი წერეთელს (1840-1915) უყვარდა ხელგამოწილი ცხოვრება და აზარტული თამაშები, რის გამოც მას ყოველთვის ვალები ჰქონდა.

ამასთან დაკავშირებით ექვთიმე თაყაიშვილი იგონებდა: „აკაკის ილიასავით უყვარდა კარტის თამაში. ხშირად ღამესაც ათენებდა. მანამ ჯიბეს არ ამოიცარიელებდა, თამაშობას არ მიატოვებდა. თუ ილია უმეტეს შემთხვევაში კარტში ფულს იგებდა, აკაკი თითქმის ყოველთვის აგებდა. მე ვეკითხებოდი კარტის მოთამაშებს: „რა მიზეზია, რომ ილია იგებს, აკაკი სულ აგებს?“ ისინი მეუბნებოდნენ: „შეუძლებელია აკაკიმ მოიგოს, რადგან მან „ფასი“ არ იცის. ქაღალდი მოუვა თუ არა, მისთვის სულერთია, მაინც თამაშობსო“...

ერთხელ, მას ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკმა პენსია დაუნიშნა და თანხა წერა-კითხვის საზოგადოებას გადასცა, რომ თვიურ-თვიურად ეძლიათ განსაზღვრული რაოდენობით. ამან უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა საზოგადოება და მისი ხაზინადარი. აკაკი თხოულობდა ბევრ ფულს, ისინი არ აღეგდნენ განსაზღვრული თანხის მეტს...

აკაკის ქართველი ხალხის პატივისცემა და სიყვარული არ დაკლებია... სასტუმროებისა და რესტორნების პატრონები მას სთავაზობდნენ კარგ ბინას, მოწყობილობას და საჭმელ-სასმელს, ხოლო ფულს არა სთხოვდნენ“.<sup>14</sup>

ასევე საყურადღებოა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის განათლების მინისტრის გიორგი ლასხიშვილის (1866-1931) მოგონება, რომელშიც ვკითხულობთ: „როცა „ივერიაში“ ვმუშაობდი, აკაკიმ რამდენჯერმე ლექსები მოგვითანა დასაბეჭდად. ჰონორარს კარგს ვაძლევდით... ჩვეულებრივზე ბევრად მეტს, მაგალითად 3-4-ჯერ მეტს, ვიდრე ვაჟა-ფშაველას. თურმე ამ ნიადაგზე უსიამოვნო ინციდენტს ჰქონდა ადგილი ილიასა და აკაკის შორის და ილიას განკარგულება მოეხდინა: „აკაკის მიეცით, რაც მოითხოვოს“. მიუხედავად ამისა, აკაკი მაინც უკმაყოფილო იყო. მე თვითონ გა-

---

<sup>13</sup> ი. მანვეტაშვილი. მოგონებები, ნახული და გაგონილი, გვ. 141.

<sup>14</sup> ე. თაყაიშვილი. ემიგრანტული შრომები, გვ. 457-459.

მიგონია მისგან: „ივერიაში“ არაფერს მაძლევენო. ეს ჩვეულებრივი სენი იყო ჩვენი დიდი მგოსნისა, მუდამ ჩიოდა – ნაკლებ ყურადღებას მაქცევდნო, თუმცა საქართველოში აკაკიზე მეტად არცერთი პოეტი არ უყვარდათ, არავის ისეთ პატივს არ სცემდნენ, როგორც მას...

აკაკი მუდამ ფულის ძებნაში იყო. მას ქუთაისის საადგილმამულო ბანკიდან პენსია ეძლეოდა თვეში 100 მანეთი, მაგრამ რასაკვირველია, ეს ფული არ ეყოფოდა. ბევრს ხარჯავდა, ცხოვრობდა ხან ქუთაისში, ხან საჩხერეში, ხან ტფილისში. მოგზაურობასა და ხშირად სასტუმროებში ცხოვრებას ბევრი ფული უნდოდა. კარტის თამაშიც უყვარდა. რუს პოეტ ნეკრასოვივით ისიც ხშირად ღამეებს ათენებდა კლუბებში. მაგრამ მეტად გულგებელი იყო: ფულს, თუ გაჭირვებულებისათვის იყო საჭირო, არ დაიშურებდა, უკანასკნელსაც მიაწოდებდა“.<sup>15</sup>

\* \* \*

გიორგი ლასხიშვილის მეშუარებიდან ირკვევა, რომ 1904 წელს, როდესაც იგი საფრანგეთის დელაქალაქში ჩავიდა და სენ-ჟაკის ქუჩაზე მდებარე სასტუმროში დაბინავდა, იქ დაახლოებით ისეთივე ფასები დახვდა, როგორც რუსეთის იმპერიაში.

მოგონებებში ვკითხულობთ: „ერთი პატარა ოთახი, პაწაწინა ღერეფნით თვეში 28 ფრანკად (მაშინდელი კურსით 10 მანეთად) ვიქირავე. ოთახში იდგა ვეებერთელა კრაოტი, პირსახანი, პატარა მაგიდა და ორი სკამი, მეტი არაფერი დაიდგმებოდა. ძნელი იყო ამისთანა ოთახში ცხოვრება, მაგრამ, რადგან აქ მხოლოდ დასაძინებლად მოვდიოდი, სიამოვნებით დავრჩი, ვინაიდან ბინა, დილას ყავა და მოსამსახურე – თვეში მხოლოდ 15 მანეთამდე მიღირდა“.<sup>16</sup>

\* \* \*

1886 წლის 24 მაისს, თბილისის სასულიერო სემინარიიდან გარიცხულმა ყოფილმა სემინარისტმა იოსებ ლალიაშვილმა მოკლა რეაქციონერი და ქართველების მოძულე რექტორი პავლე ჩუდევკი (1844-1886). მისი დაკრძალვისას, საქართველოს მაშინდელმა ეგზარქოსმა, მთავარეპისკოპოსმა პავლე ლებელევმა დასწყევლა ის ერი, რომელმაც წარმოშვა მკვლელი ლალიაშვილი.

<sup>15</sup> გ. ლასხიშვილი. მეშუარები. თბ. 1992, გვ. 224-225.

<sup>16</sup> გ. ლასხიშვილი. მეშუარები, გვ. 153.

მკვლევარ არკადი ხუნდაძის ცნობით, „მაშინ, როდესაც თბილისის სასულიერო სემინარიაში ზოგიერთი მასწავლებლის ჯამაგირი 40-50 მანეთს არ აღემატებოდა, სინოდმა რექტორ ჩუდეცკის ნაცოლევს და პავლე ეგზარქოსის საყვარელს – მარიამს, თვეში 100 მანეთი პენსია დაუნიშნა“.<sup>17</sup>

\* \* \*

დიდი საზოგადო მოღვაწის, პედაგოგის, მწერლისა და პუბლიცისტის იაკობ გოგებაშვილის (1840-1912) მიერ შედგენილმა სახელმძღვანელოებმა „დედაენამ“ და „ბუნების კარმა“ უდიდესი სამსახური გაუწიეს ქართველ ერს არაერთი თაობის აღზრდასა და ღირსეულ მამულიშვილებად ჩამოყალიბებაში.

იაკობ მანსვეტაშვილი იგონებდა: „წერა-კითხვის გამავრცელებელი წიგნის მაღაზია 1880-1890 წლებში ყოველწლივ ჰყიდდა ოც-ოცდახუთი ათას ცალ „დედაენას“ და ხუთ-ექვს ათას ცალ „ბუნების კარს“... გაძლიერდა გოგებაშვილი ქონებრივადაც: ყველა თავის წიგნებიდან წმინდა შემოსავალი ჰქონდა სამი-ოთხი ათას მანეთამდე. ეს ფული არამცთუ სავსებით ჰყოფნიდა მისი, როგორც მარტოხელის, უცოლშვილო კაცის არადიდ მოთხოვნილებას, არამედ სხვებსაც ბევრს შველოდა და კიდევ ანარჩუნებდა ცოტა რამეს შესანახად, სიბერისა თუ რაიმე ავადმყოფობის უზრუნველსაყოფად. ამ სახით შენახული აღმოჩნდა სიკვდილის ჟამს ათი ათას მანეთამდე. და ეს ცოტაოდენი წვლილი სიკვდილის წინ თვითონვე გაანაწილა სხვადასხვა დაწესებულებათა მისაცემად, განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა“.<sup>18</sup>

\* \* \*

მწერალი, მთარგმნელი, პუბლიცისტი, ჟურნალისტი, რეჟისორი და მსახიობი ნიკო ავალიშვილი (1844-1929) საზოგადო და თეატრალური მოღვაწეობის პარალელურად სამხედრო-საინტენდანტო სამსახურსაც ეწეოდა. იგი ოთხი ათეული წლის (1872-1912) განმავლობაში მსახურობდა კავკასიის საოლქო საინტენდანტო სამმართველოს ჩინოვნიკად რუსეთის იმპერიის ცალკეულ რეგიონსა და საზღვარგარეთის ქვეყნებში. დაჯილდოებული იყო წმ. ვლადიმირის IV, წმ. სტანისლავის II და III, წმ. ანას III (ხმლებითურთ) ორდენებითა და არაერთი მედლით.<sup>19</sup>

<sup>17</sup> ა. ხუნდაძე. ანტონ ჩეხოვის ცნობა იოსებ ლალიაშვილის შესახებ. გაზ.: „ლიტერატურა და ხელოვნება“. თბ. 1944, №24.

<sup>18</sup> ი. მანსვეტაშვილი. მოგონებები, ნახული და გაგონილი, გვ. 153.

<sup>19</sup> ნ. ჯავახიშვილი. ნიკო ავალიშვილი. ბიოგრაფიის ცნობილი და უცნობი ფურცლები. „ისტორიანი“. №17. თბ. 2012, გვ. 29.

გადამდგარი სახელმწიფო მრჩეველი ნ. ავალიშვილი ივონებდა: „სამსახურიდან გადადგომისა და ნამსახურობის სია მივიღე. ეს იყო 1912 წლის ბოლოს. პენსია დამენიშნა თვეში 8 მანეთი და კაპეიკები. ამაში იმერიტუსიდან, ესე იგი ჩემი სამსახურის განმავლობაში ჯამაგირიდან იმერიტუსის თანხაში გადარიცხული – 6 მან. კაპეიკებით, სახელმწიფო სალაროდან – 20 მან“.<sup>20</sup>

\* \* \*

რუსეთის იმპერიაში არსებული ფასებისა და შრომის ანაზღაურების შესახებ საყურადღებო ცნობებია შემონახული დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ვაჟა-ფშაველას (1861-1915) და მისი ძმების ეპისტოლურ მემკვიდრეობაში.

1894 წელს ვაჟა-ფშაველა ცნობილ საზოგადო მოღვაწეს, ფოლკლორისტს, ლიტერატორსა და პუბლიცისტს პეტრე უმიკაშვილს (1834-1904) წერდა: „ჯიბესთან მწყრალად გახლავარ. გზის ფული არა მაქვს. მიხდა ლიტერატურული ფონდიდან ვისესხო და თუ ხელი გამიმართეს, პირდაპირ ქალაქში ჩამოვალ ცხვედაძესთან. უფულოდ კი ფეხსაც ვერსად გადავსდგამ. თავართქილაძესთან ლაპარაკი გქონიათ ჩემი ნაწერების გამოცემაზე; მაგ პირობით არ შემიდლიან ნაწერების დათმობა. ჩემთვის ფულია დღეს საჭირო. ვაჟიც მომესწრო, ეხლა დრო აქვს იმასაც სწავლისა. თუ უნდა ნამდვილად, გულით, მე დავეთმობ ყველა ჩემს ნაწერებს ას თუმნად (1000 მ.). ჩემი ნაწერებისა ოთხი სრული ტომი შესდგება, ყველა ისინი შეკრებილი მაქვს, ბევრიც აღარ დამაკლდება. ნახევარი ამ თავით მომცეს და ნახევარიც ერთის წლის შემდეგ, როცა წიგნი დაიბეჭდება“.<sup>21</sup>

1892 წლის 31 მაისს თელავში მყოფი ალექსანდრე (სანდრო) რაზიკაშვილი თედო რაზიკაშვილს წერდა: „ლუკას მოცემული 7 მანეთი და შენი მოცემული 1 თუმანი სულ გამითავდა ძმაო, ისე რომ კაპიკი აღარ დამრჩა. იმიტომ რომ იმ ფულიდგან სახლის პატრონს მივეცი რვა მანეთი, ნისია მემართა საბნისპირის და ფეხის ჩითისა ორი მანეთი – ის მოვიშორე... პირის სახოცი ვიყიდე – ათი შაური, სარტყლის და ხანჯლის გაკეთებაში – თოთხმეტი შაური. რაც დამრჩა, ის კიდევ ძმაო აპრილის ცამეტიდან ამ მაისის

<sup>20</sup> ნ. ავალიშვილი. თავგადასავალი და განცდანი. თბ. 2014, გვ. 181-182.

<sup>21</sup> რაზიკაშვილების მიმოწერა. შეადგინა მ. ყიფიანმა. გიორგი ლუონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის გამოცემა. თბ. 2011, გვ. 19-20.

გასვლამდე მეყოფინა მძლივს. ეხლა კი კაპიკი აღარ მაქვს... ერთი-ორი მანეთი გამომიგზავნე“.<sup>22</sup>

1899 წლის 25 ნოემბერს ალექსანდრე (სანდრო) რაზიკაშვილი თედო რაზიკაშვილს წერდა: „ამ სამთვენახევარში 86 მანეთი ავიღე ჯამაგირი. აქელამ 20 მანეთი კასაში შევიტანე. ვიყიდე პოლსაპოშკები და კალოშები – 7 მ. 40 კ., შევაკერინე ზამთრის ქუდი – 3 მან, ზეწარი – 90 კაპ., მუთაქა არა მქონდა, ისიც ვიყიდე – 50 კაპ. და კიდევ წვრილმანი რაღაც-რაღაცეები“.<sup>23</sup>

1900 წლის 5 მაისს ელისავეტპოლში (განჯაში) მყოფი მიხეილ (მიხა) რაზიკაშვილი ალექსანდრე (სანდრო) რაზიკაშვილს წერდა: „აქ ამ ერთ კვირამდის იქნება ვაკანსია გაიხსნას მწერლისა «Государственное Управление»-ში, რომელიც ჩემთვის უნდათ ქართველებს აქ მოსამსახურეებს, რადგანაც მართო ორნი არიან ქართველები (Делопроизводитель Бакрадзе и помощ. Бакрадзе и помощ. делопроиз. Церетели). უკანასკნელი ნათესავია ვასოსი და ჩვენთანა ცხოვრობს. Получает 50 рублей в месяц. ეს ორი დღეა დავეყვარ უბრაველენიეში, მაწერინებს, რომ ხელი გაგემართოსო. და რაწამს ვაკანსია გაიხსნება, ვეცდებით, რომ მიგაღებინოთო. მაგრამ ბევრი-ბევრი დამინიშნონ თვეში 20 მან. ნამსახური მწერლები იღებენ 25 მან. ეგ არის, მაგაზე უნდა ჩამოჭლექდეს კაცი“.<sup>24</sup>

1906 წლის 8 აპრილს თედო რაზიკაშვილი ანასტასია თუმანიშვილ-წერეთლისას წერდა: „ჯეჯილის“ საქმე გამოაკეთეთ თუ ვერა? მეც მასალის გაგზავნას „ნაკადულში“ დავეხარბე, რადგან იმედი მქონდა თავის დროზედ მომაწოდებდა ჰონორარის რაღაც საცოდავ გროშებს, რადგან ეხლა ასე გვიჭირს და სხვა საღსარი არა გვაქვს-რა. მაგრამ პატივცემულმა მარიამმა „ბუს ფეხის“ კუთვნილი (შარშან ენკენისთვის ნომერში დაიბეჭდა) ფულიდან, სულ რაღაც 22 მან. (სტრიქონი პროზაში 5 კაპ. იძლევა ლექსში – 10 კ.) მხოლოდ ჯერჯერობით 10 მ. მომაწოდა. თქვენგანაც მივიღე 7 მან., რისთვისაც დიდ მადლობას გწირავთ“.<sup>25</sup>

\* \* \*

საზოგადო მოღვაწე, მწერალი, მთარგმნელი, ეთნოგრაფი და ლექსიკოგრაფი თედო სახოკია (1868-1956) შელიოდა 1892 წელს დაარსებულ

<sup>22</sup> რაზიკაშვილების მიმოწერა, გვ. 131.

<sup>23</sup> რაზიკაშვილების მიმოწერა, გვ. 134.

<sup>24</sup> რაზიკაშვილების მიმოწერა, გვ. 202.

<sup>25</sup> რაზიკაშვილების მიმოწერა, გვ. 104-105.

„საქართველოს თავისუფლების ლიგაში“, ხოლო შემდეგ სოციალ-ფედერალისტურ პარტიაში გაწევრიანდა. 1905-1907 წლების რევოლუციაში მონაწილეობისათვის ის დააპატიმრეს, გაასამართლეს და 1908 წელს ციხეში გადაასახლეს.

თ. სახოკიას მემუარულ ჩანაწერებში „ციხეში. მოგონებანი 1905 წლის რევოლუციის დროიდან“, სადაც მისი ავტორი აღწერს თავის მოგზაურობას მატარებლით ციხეშისაკენ (პატიმრის რანგში), ვკითხულობთ: „გავუარეთ ჩელიაბინსკს, ამ საზღვარს ევროპის რუსეთისა და აზიის რუსეთისას. აქედან იწყება უხვება და სავსება ყოველისავე. სადგურებზე გლეხებს გამოაქვთ: გოჭები, ინდურები, ბატები, ქათმები, კარაქი (ნამღვილი, ციხეშირისა!), მსუქანი რძე... შემწვარ გოჭს 8-10 გირვანქიანს (ანუ დაახლოებით 4-კილოიანს. ნ. ჯ.) – სამ აბაზად აფასებენ... არიან ისეთი მუშტრებიც, რომელთაც ეს ფასი ებეგრებათ და ეჩინებიათ, ორ აბაზად აძლევენ... ინდური 7-8 გირვანქიანი (ანუ დაახლოებით 3-კილოიანი. ნ. ჯ.) – ათ შაურად, ბატი – ორ აბაზად, მთელი ბოთლი საუკეთესო რძე, ნალებით სავსე – შაურად, საუცხოო კარაქი – ექვს შაურად გირვანქა, პური – კაპიკად გირვანქა. ჩვენმა კომუნამ, ათი კაცისაგან შემდგარმა, ერთი გოჭი იყიდა, ზედ მიაყოლა ინდური და ერთი აბაზის რძეც. ჩვენც გავძეხით, კონვოის სალდათებიც დავიწვიეთ და ისინიც მაღლიერები დაგვრჩნენ“.<sup>26</sup>

როგორც ამ მოგონებიდან ჩანს, 1908 წლის დასაწყისში, ციხეში, გადასახლების ადგილზე მიმავალ პოლიტიკურ ტუსაღებს იმის ფინანსური შესაძლებლობა ჰქონათ, რომ თვითონაც კარგად იკვებებოდნენ და თანაც მათთვის მიჩენილ დაცვის თანამშრომლებსაც ეპატიუებოდნენ...

\* \* \*

საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი, მწერალი ვლადიმერ ნაცვლიშვილი (1871-1946), რომელიც წერდა ფსევდონიმით – „ლადო ბზვანელი“, იგონებდა: „1897 წლის პირველ სექტემბრიდან დამნიშნეს ქუთაისის მაზრის სოფელ ტობანიერის ორკლასიანი სამინისტრო სასწავლებლის ზედამხედველად... ამ სასწავლებელში დავრჩი 10 წელიწადს – 1907 წლის სექტემბრამდე... ჯამაგირი მეძლეოდა ერთკლასიანებში წლიურად 240 მანეთი, ორკლასიანებში – 400 მანეთი, ბინითა და გათბობა-მსახურით. ცხოვრება იაფი იყო... სახალხო განათლების სამინისტროდან წარმატებისათვის ხშირად

<sup>26</sup> თ. სახოკია. ციხეში. თბ. 2012, გვ. 51.

მეგზავნებოდა დახმარების სახით ჯილდო – 125-150-200 მანეთი – ერთდროულად... 1907 წლის სექტემბრიდან იწყება ჩემი მუშაობა-მოღვაწეობის მეორე ხანა ქალაქის ფარგლებში... იმ დროს ქუთაისში არსებობდა 5-6 სკოლა. ერთ-ერთ სასწავლებელში გაიხსნა ორი ადგილი მასწავლებლის. მოხონელი იყო 38... შეფასების შემდეგ გავველით ორი – ერთი მე და მეორე – ანტონ ოდიშარია. ჯამაგირი იყო წლიურად 500 მანეთი და სამ-სამი წლის შემდეგ პერიოდული მომატებანი სულ სამჯერ წლიურად 100-100 მანეთი“.<sup>27</sup>

\* \* \*

მწერალი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს მწერალთა კავშირის პირველი თავმჯდომარე კონსტანტინე (კოტე) მაყაშვილი (1876-1929) იგონებდა: „1895 წელს დავამთავრე გიმნაზია და გავემართე პეტერბურგს. დიდის დავიდარაბის შემდეგ, დამინიშნეს სტიპენდია – 20 მანეთი თვეში“.<sup>28</sup>

\* \* \*

მოსკოვში სასწავლებლად ჩასულ ქართველ სტუდენტთა ყოფა-ცხოვრების შესახებ საყურადღებო ცნობებია დაცული საზოგადო მოღვაწის, მთარგმნელისა და მხატვრის ლადო (ვლადიმერ) ჯაფარიძის (1887-1981) მოგონებებში.

ქუთაისის რეალური სასწავლებლის დამთავრების (1906 წ.) შემდეგ, ტყუპმა ძმებმა – ლადო და გრიგოლ მალაქიას ძე ჯაფარიძეებმა უმაღლესი განათლების მისაღებად მიაშურეს მოსკოვს, სადაც სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩაირიცხნენ.

ლ. ჯაფარიძე იგონებდა: „მოსკოვი იმხანად უფრო პროვინციულ ქალაქს ჰგავდა, ვიდრე პირველ სატახტოს, როგორც მას უწოდებდნენ ოფიციალურად. ძალიან ჰგავდა რიაზანს, ნოვგოროდს, ყაზანსა და ტულას, მხოლოდ სიდიდითა და ეკლესიების სიმრავლით განირჩეოდა მათგან... მოსკოვს – „დიდ სოფელსაც“ უწოდებდნენ, განსაკუთრებით პეტერბურგელები. ჰგავდა კიდევ თავისი ვიწრო და მოუკირწყლავი ქუჩებით...“

ქართველი სტუდენტები მოსკოვში მაინცდამაინც გაჭირვებულნი არ იყვნენ. რაკი მაშინდელ მოსკოვს უფრო ძვირ ქალაქად იცნობდნენ, ამიტომ იქ მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფილი სტუდენტები ჩადიოდნენ. მათ შორის იყ-

<sup>27</sup> მწერალთა ავტობიოგრაფიები. წ. I, გვ. 205-206.

<sup>28</sup> მწერალთა ავტობიოგრაფიები. წ. I, გვ. 315.

ვნენ დავით სარაჯიშვილის, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, თავადაზნაურთა და სხვათა სახელობის სტიპენდიატებიც, რომელთაც თვეში 15 მანეთიდან – 50 მანეთამდე რაოდენობის თანხა ჰქონდათ. ეს იმის მიხედვით, თუ ვინ ან რა დაწესებულება აძლევდა მათ სტიპენდიას. სტიპენდიები კავკასიის სასწავლო ოლქსაც საკმარისად ჰქონდა, მაგრამ ეს თანხა განკუთვნილი იყო მხოლოდ ოდესასა თუ ხარკოვში მყოფი სტუდენტებისათვის. იყვნენ შეძლებული ოჯახის შვილებიც. მაგალითად, დავასახელებდი თბილისიდან ჩამოსულ ოთხ ძმა ფორაქიშვილს, რომელთაგან თითოეული ხუთ-ხუთ თუმანს იღებდა სახლიდან. ცნობილი ბაქოელი მრეწველის მანთაშევის შვილს თვეში 100 მანეთი ჰქონდა და ეს დიდი ფული იყო მაშინ...

ახლა, ორიოდე სიტყვით, თუ როგორ ცხოვრობდა საშუალო შეძლების სტუდენტი მოსკოვში... თუ რომელიმე მათგანი 20-25 მანეთზე ნაკლებს იღებდა, ის უფასოდ სადილობდა სტუდენტურ სასადილოში. საჭირო იყო მხოლოდ სათანადო განცხადების შეტანა კომიტეტში. თვეში სადილი 6 მანეთი ღირდა, ე. ი. თითო ულუფა – 20 კაპიკი. სადილი ჩინებული გახლდათ: პირველი უთუოდ ხორციით იყო დამზადებული, რომელიც შეიძლებოდა განმეორებითაც მოგეთხოვათ. მეორეც ასევე ხორციული იყო, თანაც იმდენი, რომ ზოგი ვერც ერეოდა... ამგვარად, სადილი სტუდენტს თვეში 6 მანეთი უჯდებოდა, ხოლო დაქირავებულ ოთახთან ერთად სულ 16-18 მანეთი. რა თქმა უნდა, გაჭირვებით, მაგრამ 25 მანეთი მაინც საკმარისი იყო. მე და ჩემი ძმა ერთდროულად 50 მანეთს ვიღებდით და სავსებით გვეყოფნიდა. ოთახში 20 მანეთზე მეტი არ იხარჯებოდა, ზოგჯერ ნაკლებიც კი – 17-18 მანეთი. ამიტომ, ზამთრის სუსხში სადილს ხშირად სახლშივე ვიღებდით, ან იქვე მის ახლოს; ამას შინაურ სადილს ეძახდნენ, სუფთა ერბოზე მზადდებოდა; სამაგიეროდ, თვეში 7 მანეთი ჯდებოდა.

დილის საუზმე ჩაით იწყებოდა. „სამოვარი“ დილა-სადამოს – ოთახის ქირაში შედიოდა, ოღონდ მოსამსახურისათვის „საჩუქრად“ 50 ან 75 კაპიკი უნდა მიგვეცა თვეში. კარაქი, პური, შაქარი და ზეთი ცალკე ხარჯი იყო, ისიც კაპიკები... გაზეთი იმ დროს 3 კაპიკი ღირდა და თუ ფულზე მწყრალოდ ვიყავით, ერთი მათგანი – „რუსსკოე სლოვო“ სრულიად საკმარისი იყო საქვეყნო ამბების გასაგებად... გვქონდა კიდევ ერთი პატარა ხარჯიც – შვეიცარს ყოველთვიურად ვაძლევდით 75 კაპიკს, რათა ტელეფონზე დავეძახეთ ხოლმე, როდესაც ამის საჭიროება მოითხოვდა... ასე, რომ 25 მანეთი ერთი სტუდენტისათვის ყველა ხარჯის დასაფარავად, სრულიად საკმარისი იყო.



ხოლო თუ ეს არ ჰყოფნიდა, შეეძლო რაიმე სამუშაოზე მოწყობილიყო... ყველაზე იოლი იყო რეპეტიტორობა და ამას სტუდენტობა ხშირად მიმართავდა ხოლმე. მეც არაერთხელ მქონია შემთხვევა მერეპეტიტორა...

მაღე მოსკოვში მე და გრიგოლს ორი უმცროსი ძმა – ვალერიანი და ალექსანდრეც შემოგვიერთდა. თუმცა არსებობა არ გვიჭირდა, მაინც ვმუშაობდით დიდ საოპერო თეატრში. ახალგაზრდებს უფრო შესახედაობის მიხედვით არჩევდნენ. ჩვენ ძირითადად მასიურ სცენებში ვიღებდით მონაწილეობას და თანაც ისეთ დიდ მომღერლებთან, როგორებიც იყვნენ შალიაპინი, სობინოვი, ნეჟდანოვა და სხვები... ჩვენ როლებშიც ვიყავით ხოლმე დაკავებულნი და ამიტომ რეპეტიციებზეც ხშირად გვეძახდნენ; ამისთვის ყოველ მისვლაზე 50 კაპიკი გვეძლეოდა, ხოლო სპექტაკლში მონაწილეობისათვის – თითო მანეთი. ამით თვის განმავლობაში კარგი ჰონორარი გროვდებოდა – 20 მანეთზე მეტი. ეს უკვე დიდი შეღავათი იყო ჩვენთვის. თანაც, როგორც მასწავლებლის შეილებს, სწავლის ფულის გადახდა არ გვევალებოდა“.<sup>29</sup>

\* \* \*

ქუთაისის რეალური სასწავლებლის დამთავრების (1906 წ.) შემდეგ, ასევე მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტს მიაშურა ანდრია რაზმაძემ (1889-1929) – მომავალში გამოჩენილმა მათემატიკოსმა.

მოსკოვში მყოფი ა. რაზმაძე 1906 წლის 18 ივლისს, დედისადმი გამოგზავნილ წერილში წერდა: „ძვირფასო დედაო! პირველათ მრავალს მოკითხვას მოგახსენებთ. გარდა ამისა, დედაო, მე დღეს დავდექი კარგ ოთახში. ჩემთან ცხოვრობს ჩემი ამხანაგი. ძალიან შევეწყვეთ. ასე რომ, თვეში 20 მანეთად გამოვალ. მოსკოვი მაინდამაინც არ მომეწონა... წიგნები ვიყიდე. ფული ძალიან შამომაკლდა. სულ დამირჩა 3 მ. 50 კ. გამომიგზავნე ტელეგრაფით 30 მ. უსათუოდ შენი ჭირიმე. ამას თვენახევარზე ვიმყოფინებ. იცოდე, მე ძალიან მევეწყვე აქ. სახლის ქირას ცალკე ვიხდი და საჭმელზე სხვასთან ვარ. ფული მინდა“.<sup>30</sup>

\* \* \*

ნოვოროსიის (ამჟამად – ოდესის) უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე სწავლობდა დიმიტრი ჯავახიშვილი (1882-1971), რომელიც მო-

<sup>29</sup> ლ. ჯაფარიძე. მოგონებები, ჩანაწერები. თბ. 2004, გვ. 27-29.

<sup>30</sup> საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი. ფონდი 768. აღწერა 1. საქმე 99.

მაგალში გახდა ცნობილი ექიმი, კურორტოლოგი და საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.

მის მოგონებებში ვკითხულობთ: „იმ დროს ქართველი ახალგაზრდობის უმეტესობა ნოვოროსიის უნივერსიტეტს ეტანებოდა... მე შევედი სამედიცინო ფაკულტეტზე, იროდიონ სონღულაშვილი – საბუნებისმეტყველოზე, ხოლო შალვა მესხიშვილი – იურიდიულზე. საცხოვრებლად ჩვენ ერთ სახლში დავბინავდით... ერთნაირ პირობებში ვიყავით, ერთნაირი სტიპენდია გვქონდა...“

ერთი ოთახის ქირად თუმანს გვახდევინებდნენ... სმა-ჭამა შედარებით იაფი იყო. ოდესას არც ხორცი აკლდა, არც სხვადასხვა ხარისხის თევზეული.

ვაჭრების ოჯახებისა და სხვა შეძლებული ინტელიგენციისაგან საქველმოქმედო ხასიათის ე. წ. სამზრუნველო კომიტეტი შედგა. ჩვენს სტუდენტურ სასადილოს სწორედ ეს კომიტეტი მზრუნველობდა. ეს სასადილო საკმარისად დიდ და კარგ დარბაზში იყო მოთავსებული. იქ გაშლილი იყო გრძელი სუფრა. სასადილოდ შევდიოდით ორიდან – ხუთ საათამდე. პური უფასოდ გვეძლეოდა. შაქრიანი ჩაი 2 კაპიკი ღირდა. წვინანში 5 კაპიკს ვიხდიდით, ერთ მათლაფა „გრეჩინაში“ 3 კაპიკს. ამდენივე ღირდა ჭიქა რძე. ასე რომ, სტუდენტს შეეძლო ორიოდე შაურით ესადილა. ვახშამს უკვე შინ შევექცეოდით გირვანქა შაქარი 15 კაპიკი ღირდა, თეთრი პური – 3 კაპიკი, ძეხვი – 20 კაპიკი. ამდენივე ღირდა გირვანქა ჰალვა... ყველაზე იაფი იყო ყველი „ბრინჯა“. ოთახის პატრონი ჩაისათვის წყალს გვიღულებდა, სხვა დამსახურსაც გვიწევდა, ოთახს გვითბობდა და გვინათებდა. სრულიად გაჭირვებული სტუდენტებისათვის საერთო საცხოვრებელი არსებობდა“.<sup>31</sup>

1906 წელს თბილისში მყოფი დ. ჯავახიშვილი რამდენჯერმე შეხვდა რევოლუციონერ იოსებ (სოსო) ჯულაშვილს, რომელიც ცნობილია როგორც სტალინი.

დ. ჯავახიშვილი იგონებდა: „შევივლიდი ხოლმე ოქრო ჯავახიშვილის სიძის – დიმიტრი გურგენიძის ოჯახში. ჩემი სტუდენტობის ხანაში დიმიტრი ობსერვატორიაში მუშაობდა დამკვირვებლად. იმ პერიოდში ობსერვატორიაში დამკვირვებლად მუშაობდა ი. ბ. სტალინი. იგი რამდენჯერმე შემხვედრია დიმიტრი გურგენიძის ოჯახში. ერთხელ, დიმიტრის ოჯახში რომ ვარ, მოვიდა სტალინი. მან მოიჭანა ერთი ბოთლი სამშაურიანი დაბეჭდილი კახური ღვინო, კიტრი, პომიდორი და პური. „აბა, მოდით და პური ვჭამოთ“. ეს – 1906 წლის აგვისტოში მოხდა. მასსოვს, ძალიან ცხელი დღე იყო. სტალინს

<sup>31</sup> დ. ჯავახიშვილი. მოგონებათა ფურცლები. თბ. 1971, გვ. 78-79.

იმ ოჯახში შემდეგაც ვხვდებით ხოლმე და ისიც ვიცოდი, რომ იგი დიმიტრი გურგენიძეს პარტიულ დავალებებს აძლევდა ხშირად“.<sup>32</sup>

1908 წელს, სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტი დ. ჯავახიშვილი ოდესიდან ბათუმში მიმავალ გემს ექიმად გააყოლეს, რათა ქოლერის ეპიდემიის პრევენცია მოეხდინათ. ის იგონებდა: „გემზე მუშაობა... საინტერესო იყო მატერიალურადაც. ხელფასი ასი მანეთი გვექონდა, ჭამა-სმა – უფასო. ფული მეზოგებოდა და ორიოდეჯერ ჩემს ღარიბ ოჯახსაც კი გაგუგზავნე“.<sup>33</sup>

1910-1912 წლებში დ. ჯავახიშვილი გურჯაანში ექიმად მსახურობდა. მის მოგონებებში ვკითხულობთ: „1910 წლიდან გურჯაანში ხელფასს ვლებულობდი ადგილობრივი ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებაში, რომლის გამგე – ნიკოლოზ იაშვილი – მეტად კარგი ადამიანი გახლდათ. ხელფასს იგი მეტწილად ოქროთი მძღვევდა, თუმც შეიძლებოდა ქალაქის ფულითაც მოეცა“.<sup>34</sup>

\* \* \*

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერის ილია ჭავჭავაძის მოკვლის (1907 წ.) შემდეგ, მისი ხსოვნის უკვდავსაყოფად, ქუთაისის საქალაქო თვითმმართველობამ დააწესა მისი სახელობის სტიპენდია – 300 მანეთის ოდენობით (წელიწადში). პირველი სტიპენდიატი იყო ვუკოლ ბერიძე, რომელსაც აღნიშნული თანხიდან თვიურად – 25 მანეთს უგზავნიდნენ. მან 1911 წელს თვითმმართველობას სთხოვა, რომ მისთვის გამოყოფილი წლიური თანხა გადაენაწილებინათ 9 თვეზე, ანუ თვიურად 35 მანეთი გადაეგზავნათ. ეს თხოვნა დააკმაყოფილეს.

1912 წელს ილია ჭავჭავაძის სახელობითი სტიპენდია დაენიშნა კონსტანტინე გამსახურდიას, რომელიც ამ თანხას 1913 წლის აგვისტომდე იღებდა.

უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლე ქართველ სტუდენტებს დიდ დახმარებას უწევდა ჭიათურის მარგანეცის მრეწველთა ყრილობის საბჭო, რომელსაც გიორგი ზდანოვიჩი თავმჯდომარეობდა. 1914 წელს ეს საბჭო სტიპენდიას აძლევდა 31 სტუდენტს. მათ შორის ყველაზე მეტი – 600 მანეთი წლიურად დანიშნული ჰქონდა დავით კაკაბაძეს, მომავალში გამოჩენილ

<sup>32</sup> დ. ჯავახიშვილი, მოგონებათა ფურცლები, გვ. 90-91.

<sup>33</sup> დ. ჯავახიშვილი, მოგონებათა ფურცლები, გვ. 110.

<sup>34</sup> დ. ჯავახიშვილი, მოგონებათა ფურცლები, გვ. 120.

მხატვარს. წლიურად 480 მანეთს იღებდა მომავალში ცნობილი კომპოზიტორი, ჰიმნ „დიდების“ ავტორი კონსტანტინე (კოტე) ფოცხვერაშვილი. 300 მანეთს იღებდნენ კ. გამსახურდია, თედო ღლონტი, სერგო კლდიაშვილი, სამსონ ჯაფარიძე, ჯაბა მეძმარიაშვილი და სხვები.<sup>35</sup>

\* \* \*

1909 წლის ივნისიდან, ასტრახანის გუბერნიის ქალაქ კრასნი იარში ცხოვრობდა რევოლუციური მოღვაწეობისათვის საქართველოდან გადასახლებული ისიდორე რამიშვილი (1859-1937), რომელიც ჩვენს ქვეყანაში სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის ერთ-ერთი ფუძემდებელი იყო. მან იქ შეერთო ცოლი და შვილებიც შეეძინა.

ი. რამიშვილი იგონებდა, რომ პოლიტიკურ ნიადაგზე გადასახლებულთა შორის დაპირისპირების საგანს წარმოადგენდა: „სახელმწიფოს სუფსიდია... ყველა, ვისაც საშუალო და მაღალი განათლება ჰქონდა ან სასულიერო და პრივილეგიებული წოდებისა იყო, თვითურად ეძლეოდა სუბსიდია – 13 მან. და 50 კაპ. ცოლიც გადმოსახლებულისა ღებულობდა ქმრის ოდენას და მცირეწლოვანი შვილები – ნახევარს. მე, მაგალითად, მეძლეოდა ჩემთვის, ცოლისა და ორი მცირეწლოვანი შვილისათვის – 40 მან. და 25 კაპ.“<sup>36</sup>

ამის პარალელურად, ი. რამიშვილი თავის მეუღლესთან ერთად ეწეოდა რეპეტიტორობას, საიდანაც ისინი დამატებით შემოსავალს იღებდნენ. ამაში მათ ეხმარებოდა რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს ყოფილი დეპუტატი, სოციალისტ-რევოლუციონერი, ექიმი ნიკიფორე დოლგოპილოვი.

ი. რამიშვილის მოგონებებში ვკითხულობთ: „ყოველთვის გადასახლებაში მე ჩემს სარჩოს ვმოულობდი კერძო გაკვეთილებით. კრასნი იარში ვასწავლიდი ყირგიზის ბავშვებს, რომელთაც ვამზადებდი ადგილობრივ სამოქალაქო სასწავლებლისათვის და შეძლებულების შვილებს ასტრახანის გიმნაზიისა და რეალურ სასწავლებლისათვისაც. ერთი ყირგიზი მოლად ემზადებოდა და მე მომებარა რუსული ენის და არითმეტიკის სწავლებისათვის... გასამრჯელოდ ყველა მოწაფე, დიდი და პატარა – თითო თუმანს მაძლევდა, რაც სახელმწიფო სუბსიდიასთან ერთად კარგად გვყოფნიდა სამ სულს, რად-

<sup>35</sup> გ. მჭედლიძე. ქუთაისის ახალი ისტორიის ნარკვევები (1892-1921 წწ.). ქუთაისი. 1993, გვ. 167-168.

<sup>36</sup> ი. რამიშვილი. მოგონებები. გამოსაცემად მოამზადეს გ. საითიძემ და ქ. რამიშვილმა. თბ. 2012, გვ. 486.

განაც სანოვაციის და ოთახის სიიაფე იყო დიდი. მთელი ბინა სამი ოთახით, სამზარეულოთი, საკუჭნაოთი, აივნით, საცვლებისა და ოთახების რეცხვით ღირდა თვეში 10 მანეთი. ასე იყო კრასნი იარში და ასტრახანშიც ბინა უფრო ძვირი არ ღირდა, იგივე სიიაფე იყო...

ასტრახანში ჩემი გადასვლისთანავე ექიმი დოლოგოპილოვი შეეცადა თავის მრავალრიცხოვან ნაცნობებში ჩემთვის და ჩემი ცოლისათვის გააკეთებინებინა ემოვნა და გვიმოვნა კიდეც ძლიერ მდიდარ ოჯახებში, რომლებიც შრომის ფასის მოცემას არ ძუნწობდნენ. მით უმეტეს, ამ მხრივ კარგად მიდიოდა საქმე, რომ მე ძლიერ მუყაითად ვეკიდებოდი ალებულ ვალდებულებებს და გამართლებდი ჩემი მოწაფეების იმედებს. კარგად ემზადებოდნენ და გაუჭირვებლად შედიოდნენ სასწავლებლებში. მქონდა გაკვეთილები თანამდებობის პირების ოჯახშიც, არ ერიდებოდნენ ჩემ პოლიტიკურ მდგომარეობას, არ ეშინოდათ და მართლაც, გუბერნატორი და ჟანდარმერია ამ მხრივ არ გვაკვიროვებდნენ პოლიტიკურ გადასახლებულებს და არც ბავშვების მშობლებს საყვედურს არ ეუბნებოდნენ. ვაძლევდი გაკვეთილს ოლქის სასამართლოს წევრის – ლოჟენკოს ოჯახშიაც კი, რომ არ ვახსენოთ ვეინერის ლუდხანის გამგის, ნემეცი ტრეპკეს ოჯახი, მილიონერი ბეზუზუბიკოვის და მაკაროვის სახლები. ვასწავლიდი ცნობილი ნაფიცი ვექილის ლიახოვის ქალ-ვაჟს. ეს ლიახოვი იურისკონსულტად ჰყავდა დაქირავებული მილიონერ ბეზუზუბიკოვს ას თუმნად თვეში. როდესაც მან გაკვეთილები მიმოვნა თავის პატრონთან, დამარიგა – „ფულზე არ დაზოგოთ, ბევრი მოითხოვეთო“, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. როცა თვე გათავდა და დადგა დღე, როცა მე გასამრჯელო უნდა მიმელო, შემოვიდა სამეცადინო ოთახში მილიონერი მამა ორი ჩემი მოწაფისა, რომელსაც ერთი ხელი სავსე ჰქონდა ქაღალდის ფულებით და მკითხა: „რამდენი უნდა მოგართვათ?“ – „ერთი თუმანი, ასე ვახდევინებ-მეთქი“. ბეზუზუბიკოვს, შევატყვე, ეწყინა, შეურაცხყოფილად იგრძნო თავი და მითხრა: „ნუ დაგავიწყდებათ, რომ ბეზუზუბიკოვი ვარ!“ – „ბეზუზუბიკოვი მოიქცევა ისე, როგორც მას შეჰფერის, ეს მისი საქმეა, მე კი როცა მეკითხებიან, ჩემი ფასი უნდა დავასახელო“. მიხვდა, რაშია იყო მისი შეცდომა, ამოიღო მარცხენა ხელიდან ხუთთუმნიანი ქაღალდი, დალო ჩემს წინ და გაბრუნდა. დანარჩენი ფულები ისევ უკან წაიღო ხელში ჩაჭმუჭნული. მერე ლიახოვმა მითხრა, რომ თხუთმეტი თუმანი ჰქონდა მომზადებული ჩემთვის, მაგრამ მომცა ხუთი თუმანი, რადგან ჩემი პასუხი არ მოსწონებოდა.

მეორე თვეში რას მომცემდა, არ ვიცი, რადგან არ დასცალდა, დამატუ-

საღეს და ციხეში ამომყოფინეს თავი. ამ ოჯახში მეცადინეობა ძლიერ მიჭირდა და ვფიქრობდი თვითონ დამენებებინა თავი. ჯერ მოწაფენი – ორი ძმა, ერთი უნიჭო, ზარმაცი და ყოველივე შრომის უნარს მოკლებულები. მერე მათი დედისგან არ მქონდა მოსვენება – დამიდგამდნენ ყოველდღე წინ იძლიებინა საუზმეს, რომ სამი კაცი ვერ მოერეოდა: ზუთხი სხვადასხვა და სხვანაირად გაკეთებული, ძეხვი, ყველი, ხორცი და სხვა. მეცადინეობაზე არ მიძლიებდა იმდენი დრო, რაც ამ ხორავის ჭამაში. ჩემი უარი მათ არ ესმოდათ, უბრალო ლაპარაკის მასალად ან ბოდიშად მიაჩნდათ. გამახსენდა ჩემს სოფელში გაგონილი ხუმრობა, მიმართული სტუმრებისაგან უხვი მასპინძლის მიმართ: „დავიხოცეთ, ბატონო, პატივისცემით“.<sup>37</sup>

იმავდროულად, აღნიშნულ რეგიონში, საკვები, განსაკუთრებით კი თევზი უხვად იყო და იაფიც ღირდა. როგორც ი. რამიშვილი შენიშნავს: „თევზი იქ მაშინ ყველას თავსაყრელად ჰქონდა, თუ უბრალო თევზის ჭამას ისურვებდა. უფრო ეტანებოდნენ ზუთხის ჯიშის თევზებს. საუკეთესო ჯიშის ზუთხის გირვანქა (400 გრამი) – 30 კაპეკად იყიდებოდა“.<sup>38</sup>

ი. რამიშვილის მოგონებებში გადმოცემულია მისი და ვლასა მგელაძის ერთობლივი მგზავრობა თბილისიდან ფინეთის გავლით სტოკჰოლმში, სადაც 1906 წლის აპრილ-მაისში რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის IV ყრილობა გაიმართა.

მოგონებებში ვკითხულობთ: „ფინლიანდიის სადგურებზე ასეთი წესი იყო შემოღებული – რამდენიც უნდა ეჭამა მგზავრს, ბევრი თუ ცოტა, ფასი ერთი იყო დადებული – ოთხი აბაზი. ვლასამ ეს წესი კარგად გამოიყენა. პირველ სადგურზე გაანადგურა ყველაფერი ბუფეტში. აქ გოჭის კანჭი იკრა პირში, იქ ცხვრის სათბილოს დასტაცა ხელი, იქ შემწვარ ქათამს ააცალა მხარ-კურტუმი, ყველი, თევზი, ერთი ჭიქა რძეც მიაყოლა და გამოვიდა გარეთ. გოცებულები უცქერდნენ სტუმრები, ხოლო ბუფეტის პატრონები ცხვირჩამოშვებულები უგემურად იღიმებოდნენ“.<sup>39</sup>

\* \* \*

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო მოღვაწე, სახალხო გვარდიის ჯავშნოსანი მატარებლების მეთაური, ხოლო შემდეგ ქარ-

<sup>37</sup> ი. რამიშვილი. მოგონებები. თბ. 2012, გვ. 492-493.

<sup>38</sup> ი. რამიშვილი, მოგონებები, გვ. 490.

<sup>39</sup> ი. რამიშვილი, მოგონებები, გვ. 436.

თული პოლიტიკური ემიგრაციის ცნობილი წარმომადგენელი ვლადიმერ (ვალდია) გოგუაძე (1880-1954) იგონებდა, რომ ფიზიკური მუშაობა ყმაწვილობიდან დაიწყო.

მის მოგონებებში ვკითხულობთ: „ბათუმს დავუბრუნდი და დავდექი მუშად რიხნელის ქარხანაში. ჩემს მოვალეობას შეადგენდა ნავთიან ყუთებზე მასობით „კისლატიან კაპსულების“ დაფარება. დღეში ვმუშაობდი თერთმეტ საათს და ხელფასად მეძლეოდა ორი აბაზი. ამ ქარხნის მუშების უმეტესობას შეადგენდა ქართველობა. ხელფასის მიღებისთანავე ისინი გარბოდნენ სამიკიტროში; მოითხოვდნენ აუარებელ ღვინოს, ზოგს დაღევდნენ, ზოგს კი დაღვრიდნენ იქვე. ფულს „თავმოძწონედ“ იხდიდნენ და შემდეგ სხვა სამიკიტროში გადადიოდნენ; არღნითა და ეტლით მთელ ქალაქს შემოივლიდნენ, სტეხდნენ აურზაურს, ჩხუბს; მიიწევდნენ ერთმანეთზე ხანჯლით და სხვ... განთქმული მოქეიფე ხანჯლოსნები ლომთათიძის და თავართქილაძის ჯგუფი იყო. ეს ყმაწვილები ამდენი უაზრო ქეიფის შემდეგ ქარხანას უკაპეიკოდ უბრუნდებოდნენ და მეორე დღეს პურის ფულს სესხულობდნენ...

ერთი წლის შემდეგ გადამიყვანეს გატეხილი ყუთების შესაკეთებლად. ჩემი უფროსი იყო სპარსელი ჰუსეინა, რომელიც ძალიან კარგი კაცი იყო. ჯამაგირს მაძლევდნენ დღეში ათ შაურს.

რიხნელის ქარხანაში მუშაობამ იკლო, რის გამოც გადავედი როტმილდის ხერხის ქარხანაში. ჩემს მოვალეობას შეადგენდა ყუთების ჭედვა. ჯამაგირი მეძლეოდა დღიურად თხუთმეტი შაური“.<sup>40</sup>

ამდენად, როტმილდის ქარხანაში მომუშავე 18 წლის მუშის – ვ. გოგუაძის დღიური ანაზღაურება 1898 წლისათვის – 75 კაპიკს შეადგენდა, რაც იმ დროისათვის არცთუ ცოტა იყო.

\* \* \*

სახელოვანი თეატრალური რეჟისორი კონსტანტინე (კოტე) მარჯანიშვილი (1872-1933) 1904-1906 წლებში მოღვაწეობდა რიგის რუსულ თეატრში, სადაც თავის დრამატულ ჯგუფში მიიწვია ანტრეპრენიორმა კონსტანტინე ნეზლობინმა (ალიაბიევმა).

აღნიშნულ ქალაქში მიწვევის ისტორიას კ. მარჯანიშვილი ასე იხსენებდა: „მოვეკლინე 1904 წელს მოსკოვის თეატრალურ ბაზარს... დღემდე არ

<sup>40</sup> ვ. გოგუაძე. მოგონებანი. ქართული ემიგრანტული ლიტერატურა „დაბრუნება“. მრავალტომეული. ვ. შარაძის რედაქციით. ტ. III. თბ. 1992, გვ. 364-365.

ვიცი, როგორ მიაღწია ნეზლობინამდე ხმამ ჩემზე, ენახა თუ არა მოსკოვში ჩემი დადგმები ზოლოლოგიურ ბაღში, თუ ნ. ი. ვოლსკისა და ირკუტსკის თეატრების მსახიობთა აზრმა მიიქცია მისი ყურადღება ჩემზე... დიდმარხვის ერთ მშვენიერ დღეს (ჩემთვის, ცოლისთვის და შვილისთვის დიდმარხვა უკვე კარგა ხნის დამდგარი იყო, ვინაიდან ფული გამითავდა, ანტრეპრენიორი კი არსად ჩანდა) გამოცხადდა ჩემთან ნეზლობინის მსახიობი გედიკე, ჩემი ნაცნობი, რომელმაც ნეზლობინის სახელით გადმოძცა – შევხვედროდი მას დილის 10 საათზე ფილიპოვის ყავახანაში ტვერსკაიაზე...

ამ დღეს საგსებით შევსანსლეთ ის უკანასკნელი ნამცეცები, რაც კი დანახოვიდან დაგვრჩენოდა, დავიტოვე მხოლოდ ორი უხალთუნი ყავახანის მეკარისათვის სახვალდილოდ.

10 საათზე ფილიპოვთან გავჩნდი. ნეზლობინი უკვე მაგიდასთან იჯდა და გემრიელად შეექცეოდა ყავას, ფუნთუშ-ნამცხვარს და ცხელ-ცხელ ღვეხელს... ყავა შემომთავაზა. თუმცა შიმშილისაგან თითქმის მუცელსა მგვრემავდა, უარი განვაცხადე, – ეს არის მაღიანად ვისაუზმე-მეთქი... მკითხა: „გინდათ ჩემთან სამსახური?“ ვუპასუხე – მინდა-მეთქი. ნეზლობინმა კმაყოფილებით გაიღიმა... მითხრა: „კარგი, თქვენ ჩემთან მსახურობთ. ჟამაგირი – 250 მანეთი თვიურად! წერილობით ხელშეკრულებას არა ვღებ. მშვიდობით!“ ხელი ჩამომართვა და დამტოვა...

მეორე დილას, თეატრალური საზოგადოების ბიუროში რომ მივედი... შემნიშნა ბიუროს მმართველმა პალმინმა... მომილოცა, გადმოძცა ნეზლობინის სახელით ავანსი 500 მანეთი და მითხრა: კონსტანტინე ნიკოლოზის ძემ გთხოვათ, არ ეძებოთ საზაფხულო საძუშაო და წახვიდეთ სტარაია რუსაში, რათა გაეცნოთ მის საქმეს, შეიმუშავოთ რეპერტუარი, მუშაობის პირობები და სხვანიო“.<sup>41</sup>

რიგის რუსულ თეატრში მუშაობის უკანასკნელ წელს, კოტე მარჯანიშვილს, როგორც წარმატებულ რეჟისორს, ხელფასი გაუორმაგეს, თუმცა მის პარალელურად, ნეზლობინმა მეორე რეჟისორიც მიიწვია.

კ. მარჯანიშვილის მოგონებებში ვკითხულობთ: „ნეზლობინს ცოტა არ იყოს, აჯავრებდა ჩემი წარმატება. ძალიან სწყინდა, რომ პრესაც და საზოგადოებაც ნეზლობინის თეატრზე კი არ ლაპარაკობდა, არამედ მარტო ჩემს მუშაობაზე... მართალია, თვით იგი ძალიან მაფასებდა, ჯამაგირი თვითონვე ერ-

<sup>41</sup> კ. მარჯანიშვილი. უნიკალური საარქივო მასალები. წიგნში გამოყენებულია საქართველოს ხელოვნების სასახლეში დაცული საარქივო მასალები. თბ. 2013, გვ. 32-36.



თბაშად ერთი-ორად გაძიდიდა – ახლა მე 500 მანეთს ვიღებდი, მაგრამ მაინც იმას ამჯობინებდა, რომ აღვირამოდებული ველოდი, ამიტომაც მოიწვია ტუნკოვი... ნეზლობინი საუკეთესო პიესებს დასადგმელად ტუნკოვს აძლევდა... ეს მე შეურაცხყოფად მივიღე...

ნეზლობინს ჩვეულებად ჰქონდა, სეზონის უკანასკნელ დღემდე არას გეტყოდა მომავალ სეზონში კვლავ მასთან სამსახურის თაობაზე. ვფიქრობდი, უარს უკანასკნელ წარმოდგენაზე მეტყოდა. დეკემბერში რამდენიმე წინადადება მივიღე. სხვათა შორის, ხარკოვში მიწვევდა ანტრეპრენიორი ლინტვარიოვი, თვიურად 800 მანეთს მაძლევდა... სეზონი დამთავრდა. საზოგადოება, როგორც ყოველთვის, უკანასკნელ წარმოდგენაზე გულითად ოვაციებს უმართავდა თავის საყვარელ არტისტებს. მეც ვიყავი მათ შორის. წარმოდგენის დასასრულს მომიახლოვდა ნეზლობინი ამ სიტყვებით: „შემდეგ სეზონში მე გაძლევთ თქვენ 800 მანეთს. დანარჩენზე შემდეგ მოვილაპარაკოთ“.

ბოლიში მოვიხადე მის წინაშე და ვუთხარი, თანხმობა მივეცი ხარკოვში, რადგანაც იმედი არა მქონდა, რომ კვლავ მოისურვებდით ჩემთან მუშაობას-მეთქი. „მაგას მნიშვნელობა არა აქვს – მიპასუხა მან – პირგასამტეხლო ჯარიმას მე ვიხდი“. მაგრამ გადაჭრით განვუცხადე, რომ ლინტვარიოვის მოტყუება არ შემიძლია და რომ ხარკოვში მივდივარ.

„ამიერიდან ჩვენ ერთმანეთს აღარ ვიცნობთ!“ – წაიბურტყუნა ნეზლობინმა და ისე გამშორდა იგი, რომ არ გამომემშვიდობა“.42

ხარკოვის საქალაქო თეატრში მუშაობიდან წელიწადის შემდეგ, კოტე მარჯანიშვილს, როგორც სახელგანთქმულ პროფესიონალს, კიევში გადასვლა შესთავაზეს.

დიდი ქართველი რეჟისორი იგონებდა: „იანვარში ჩემთან ჩამოვიდა ანტრეპრენიორი მ. ე. ლუვან-ტორცოვი, რომელმაც შემდეგი სეზონისათვის მიმიწვია კიევს თავის თეატრში, შემომადლია 1200 მანეთი თვიურად. დავეთანხმე, მაგრამ პირობა დავუდე: დასის ჩემთან ერთად შედგენა, რეპერტუარის დამოკიდებლად გაძლოდა და განსაზღვრული თანხა დადგმებისათვის. ლუვანმა მიიღო ჩემი პირობები“.43

1908 წლის იანვარში ოდესის ქალაქის საბჭომ კ. მარჯანიშვილს გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ მომავალი „სეზონისათვის შემოტანილია განცხადება თეატრის იჯარით აღების თაობაზე სამი ანტრეპ-“

42 კ. მარჯანიშვილი. უნიკალური საარქივო მასალები, გვ. 45-46.

43 კ. მარჯანიშვილი. უნიკალური საარქივო მასალები, გვ. 48-49.

რენიორის – მიკულინის, სიბირიაკოვისა და ბაგროვის მიერ. სამივენი თქვენ გასახელებენ, როგორც სამხატვრო ნაწილის ხელმძღვანელს. კეთილი ინებეთ გვიპასუხოთ, ამ სამში ვისთან აპირებთ სამსახურს“.<sup>44</sup>

კოტე მარჯანიშვილი იხსენებდა: „ასეთი დეპეშა გავგზავნე: „თუ ვიქნები, მხოლოდ ბაგროვთან“. ბაგროვმა თეატრი მიიღო. ღუვან-ტორცოვს ჩემი გაშვება არ უნდოდა. იმასთან მე 1200 მანეთს ვიღებდი თვითურად. დამპირდა მომატებას, შემომადგია 1500 მანეთი. ეს რომ გაიგო, ბაგროვმა 1800 მანეთი შემომადგია. დაიწყო ვაჭრობა. ასე რომ, თითქო აუქციონით ბაგროვს 2400 მანეთად ვერგე. ეს იყო დაუჯერებელი, სარეკორდო ციფრი, რაც როდესმე რუსეთში რეჟისორს მიეღო. შემედლო მეამაყა: ჯერ კიდევ 1905 წელს მე ვიღებდი რიგაში ნეზლობინისაგან 250 მანეთს თვითურად, ახლა კი ოთხი წლის შემდეგ, ჩემი განაკვეთი 2400 მანეთამდე გაიზარდა“.<sup>45</sup>

ასე რომ, იმ დროისათვის კ. მარჯანიშვილს ფრიად სოლიდური ოდენობის ხელფასი გააჩნდა. ეს არც იყო გასაკვირი, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ აღნიშნულ პერიოდში მოსახლეობა დიდ ინტერესს იჩენდა თეატრისადმი და აქტიურად ესწრებოდა სპექტაკლებს. სწორედ ამის წყალობით, მაგალითად, 1907 წლის ზაფხულის სეზონში ანტრეპრენიორ ღუვან-ტორცოვის შემოსავალმა 70 ათასი მანეთი შეადგინა.<sup>46</sup>

\* \* \*

საქართველოს სახალხო არტისტი ეკატერინე (ცაცა) ამირეჯიბი (1889-1975), რომელიც 1910-1911 წლებში სწავლობდა მოსკოვში, ს. ხალიუტინის თეატრალურ სტუდიაში, იგონებდა: „გადავწყვიტე მოსკოვში წავსულიყავი და სახელოვნო განათლება მიმეღო, მაგრამ ჩემს მშობლებს ოთხივე შვილის უმაღლეს სასწავლებელში გავზავნა არ შეეძლოთ. სამსახური დავიწყე რკინიგზის სამმართველოში... თვეში 30 მანეთი მქონდა. სასმელ-საჭმელით ოჯახში უზრუნველყოფილი ვიყავი. ეს ფული მთლიანად შემედლო გადამეღო და მოსკოვში წასასვლელად მეგროვებინა. სამსახური 6-საათიანი იყო, 9-დან – 3 საათამდე...“

ქართველებს, საზოგადოდ, ძალიან გულთბილად და სიყვარულით გვიღებდნენ მოსკოვში. იმ დროს ჩამოსულ ქართველ ახალგაზრდებს ისიც გვაპ-

<sup>44</sup> კ. მარჯანიშვილი. უნიკალური საარქივო მასალები, გვ. 65.

<sup>45</sup> კ. მარჯანიშვილი. უნიკალური საარქივო მასალები, გვ. 65.

<sup>46</sup> კ. მარჯანიშვილი. უნიკალური საარქივო მასალები, გვ. 59.

ხნევებდა და გვაამაყებდა, რომ ორი დიდი ხელოვანი, ორი ჩვენი თანამემამულე თავისი დიდი მხატვრული შემოქმედებით ამდიდრებდა მაშინდელ თეატრალურ მოსკოვს. ესენი იყვნენ კოტე მარჯანიშვილი და ალექსანდრე სუმბათაშვილ-იუჟინი...

სწავლის გადასახადი ძალიან მცირე იყო, ისე რომ შეეძელი ჩემი ორი წლის მოგროვილი ფულით გადამეხადა... ჩემთან ერთად ოთახში ცხოვრობდა თამარ ძნელაძე, რომელიც კონსერვატორიაში სწავლობდა... ის იყო დისშვილი ცნობილი ქართველი ხუროთმოძღვრის სიმონ კლდიაშვილისა, რომელმაც ააშენა ქართული სათავადაზნაურო გიმნაზია, შემდეგში – ქართული უნივერსიტეტი. ოთახის ქირას სანახევროდ ვიხდიდით, ძალიან კარგი დიასახლისი გვყავდა. ბინა და ჭამა-სმა თითოს 25 მანეთი გვიჯდებოდა“.<sup>47</sup>

ცაცა ამირეჯიბი საინტერესოდ აღგვიწერს იმდროინდელ მოსკოვში მყოფ ქართველ სტუდენტთა ცხოვრებას. მისი თქმით: „მოსკოვში ცხოვრებას ჩვენთვის თავისებური სიძნელებიც და შეღავათებიც ჰქონდა. სასადილოში იაფი სადილები იყო, მაგრამ ქართველი სტუდენტების უმეტესობას არც ამის საშუალება ჰქონდა...

მოსკოვში მყოფი ქართველი სტუდენტობა მუდამ ახლო იყო ხელოვნებასთან და საზოგადოებრივ ცხოვრებასთან. მას არ გამორჩებოდა არცერთი მოვლენა. არსებობდა ქართველთა სათვისტომო, რომელიც ეხმარებოდა ქართველ ღარიბ სტუდენტებს. ყოველ წელიწადს იმართებოდა ტრადიციული ქართული საღამოები, რომლებზეც დიდი თანხა გროვდებოდა ხოლმე და ამ თანხას ღარიბ სტუდენტობას ახმარდნენ. ნაწილს საქართველოშიც უგზავნიდნენ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“.<sup>48</sup>

\* \* \*

გამოჩენილი კინორეჟისორი, სახალხო არტისტი მიხეილ ჭიაურელი (1894-1974), რომელმაც დაამთავრა ჯერ თბილისის სახელოსნო სასწავლებელი (ორთქმავლის მემანქანის სპეციალობით), ხოლო შემდეგ ფერწერისა და ქანდაკების სკოლა (იაკობ ნიკოლაძის ხელმძღვანელობით), შედიოდა ქართულ სახალხო სახლთან არსებული წარმოდგენების მმართველ წრეში (1910-1914 წლებში) და სპექტაკლებშიც მონაწილეობდა. ამის პარალელურად, იგი იარაღოვის ქარხანაში ზეინკლად მუშაობდა და დღიურ ჯამაგირად 80 კაპიკს იღებდა.

<sup>47</sup> ც. ამირეჯიბი. მსახიობის მოგონება. თბ. 1975, გვ. 23-34.

<sup>48</sup> ც. ამირეჯიბი. მსახიობის მოგონება, გვ. 35-39.

1914 წელს მ. ჭიაურელმა შექმნა თავისი პირველი ქანდაკება – მსახიობ კოტე მესხის (1857-1914) ბიუსტი, რის გასამრჯელოდაც იმ დროისათვის საკმაოდ დიდი თანხა გადაუხადეს.

მ. ჭიაურელი იგონებდა: „შემკვეთი მოვიდა და თან კიდევ ჩემთვის უცნობი კაცი მოიყვანა... ბიუსტი ორივეს მოეწონა. შემკვეთმა კიდევ ერთხელ მკითხა შრომის საფასური, მაგრამ ვთხოვე, თავად გადაეწვიტათ. ამოიღო საფულე და ხუთი წითელი თუმიანი გადმოძცა, თან მაღლობა დააყოლა. დედაჩემი მთელ ამ სცენას გაკვირვებული უცქერდა. სტუმრების წასვლის შემდეგ ეს ჩემი პირველი პონორარი დედას გადავეცი ოჯახში მოსახმარად. არ იღებდა, ვერ წარმოედგინა, რომ ამდენი ფულის აღება შეიძლებოდა თაბაშირისაგან გაკეთებულ რაღაც საგანში“.<sup>49</sup>

\* \* \*

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო, პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე, ხოლო შემდგომში ქართული ემიგრაციის ცნობილი წარმომადგენელი, გენერალი შალვა მალლაკელიძე (1894-1976) იგონებდა, 1914 წლის ზაფხულში, როდესაც ქუთაისის ქართული გიმნაზიის დასრულების შემდეგ, უმაღლესი განათლების მისაღებად რუსეთში გაემგზავრა, მას მამამ ნიკოლოზ მალლაკელიძემ საკმაო ოდენობის თანხა გაატანა. მასთან ერთად რუსეთში გაემგზავრა პოეტი ტიციან ტაბიძეც (1895-1937), რომელიც იმხანად მოსკოვის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე სწავლობდა.

შ. მალლაკელიძის მოგონებაში ვკითხულობთ: „ჩავედით მოსკოვში და დავბინავდით. მამაჩემმა მე გამატანა 350 მანეთი – ერთი წლის ფული ერთბაშად. ტიციანს ვუთხარი – ამდენი ფული მაქვს-მეთქი. ტიციანს ჰქონდა 30 მანეთი, დიაკვანი იყო მამამისი და ერთი თვის ხელფასი მიუცია. პავლე აბულაძეს, ტიციანის მეგობარი იყო... 20 მანეთი აქვს. დავბინავდით ერთად, 20 მანეთად სამი კაცი. მეერავი ქალი იყო, უნივერსიტეტთან ახლოს აქირავებდა ბინას. ტელეფონიც გვაქვს“.<sup>50</sup>

აღსანიშნავია, რომ მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლის პერიოდში შ. მალლაკელიძე, სამშობლოში დაბრუნებამდე (1915 წ.) მსახურობდა ამ ქალაქის თავის მიხეილ ჩელნოკოვის (1863-1935) მდივნად და სტუდენტის კვალობაზე საკმაოდ კარგ ანაზღაურებასაც იღებდა.

<sup>49</sup> მ. ჭიაურელი, ცხოვრების ისტორიის დეტალები. წიგნში გამოყენებულია საქართველოს ხელოვნების სასახლეში დაცული საარქივო მასალები. თბ. 2013, გვ. 158.

<sup>50</sup> შ. მალლაკელიძე. მოგონებები. გამოსაცემად მოამზადა ვ. რეხილაძემ. თბ. 2012, გვ. 27.

შ. მალლაკელიძე იგონებდა: „მოსკოვის თავი იყო რუსეთის ყველა ქალაქების თავის „სოიუზ გოროდოვ“-ის თავმჯდომარე... მისცა გაზეთში განცხადება, რომ ქალაქის განყოფილების („პო პრიომუ ი ევაკუაციი რანენის“) მხრივ მას სჭირდება მდივანი, მაგრამ სასურველიაო მას ჰქონდეს 18 წლის მუშაობის სტაჟიო... ხუმრობით შევიარე ქალაქის თავთან, რომ ამ ადგილზე დაძინებო... მკითხა: „ვი გრუზინ?“ – „და!“ – „პო აკცენტუ ვიდნო“... მცირე გასაუბრების შემდეგ, ეტყობა მოვეწონე, მითხრა: „ნახანაჟ. შემდესიატ რუბლეი ზოლოტომ პოლუჩიტე ს ლოშადმი... დოკტორსკი ობედ ბუდეტე პოლუჩატ. ვ ვაშემ რასპორიაჟენი ბუღუტ ვრაჩი იმპერიი. მოი სეკრეტარ ობუჩიტ ვას, კაკ პრისტუპიტ კ დელუ. ვი მნე პონრავილის, ნე ნუჟნო ნიკაკოგო სტაჟა“.

გამოვედი გარეთ. ბიჭები მიცდიდნენ. მე ვუთხარი: „დაძინებეს!“ ახლა ამით ატეხეს აურზაური: „ჩვენც მოგვაწყო!“ მართლაც, გამოვიგონე თანამდებობა „ეტაჟნი სტუდენტ“, ე. ი. სახლებში, რომლებიც ლაზარეთებად იქცა, მორიგე რომ იყოს თითოეულ სართულზე. დაჭრილებს რომ მოიყვანენ, ამისთვის დაენიშნე ჩემო ბატონო, ვინც კი ქართველი სტუდენტი იყო... დაენიშნათ ხელფასი 50 მანეთის ოდენობით. ასე გავხდი უცებ დიდი თანამდებობის კაცი“.<sup>51</sup>

აღნიშნულ თანამდებობაზე მუშაობის პერიოდში შ. მალლაკელიძე ფინანსურად დაეხმარა მოსკოვში დაპატიმრებულ სოციალ-დემოკრატს (ბოლშევიკს) ალექსანდრე თეოფანეს ძე ნადირაძეს, რითაც ეს უკანასკნელი, როგორც ქართველი – ფაქტობრივად სიკვდილს გადაარჩინა.

შ. მალლაკელიძე იგონებდა: „თავის დროზე მოსკოვში ნადირაძე რომ დაიჭირეს, როგორც ბოლშევიკი, ვიდაცა ქალმა გასცა, მივედი მე. ერთი ოქროს თუმნიანი მქონდა და ერთი ვერცხლის ათშაურიანი. სხვა ფული არა მაქვს. ათშაურიანი რომ მივცე ცოტაა – ორ სადილს ჭამდა კაცი რესტორანში. ოქროს თუმნიანი კი უკვე პატარა მოხელის თვიური ჯამაგირი იყო. ავიღე და თუმნიანი მივეცი“.<sup>52</sup>

\* \* \*

გამოჩენილი მწერალი, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე გიორგი ლენინიძე (1897-1966), რომელმაც ლექსების წერა ყმაწვილობიდან დაიწყო, იგ-

<sup>51</sup> შ. მალლაკელიძე. მოგონებები, გვ. 32-33.

<sup>52</sup> შ. მალლაკელიძე. მოგონებები, გვ. 137.

ონებდა: „1913 წელს, ერთ მზიან დღიას, მე შევედი „ნაკადულის“ რედაქციაში მორიგი, ახალი ნომრის მისაღებად, რომელშიც ჩემი ლექსი „შემოდგომა“ იყო დაბეჭდილი. „ნაკადულის“ რედაქტორმა ნინო ნაკაშიძემ შემაჩერა – არ წახვიდეთ, ჰონორარი გაქვთ მისაღებიო და იქვე გადმოძითვალა ვერცხლის ფულად რვა მანეთი და ათი შაური. მე გავშირი ასეთი უჩვეულო ყურადღებით, მაგრამ ნინომ პირდაპირ ძალით მომაჩერა ხელში ხსენებული თანხა. გამოველ რედაქციიდან თუ არა, მე პირდაპირ წიგნის მალაზიებს ვეცი და ჩემი სასურველი წიგნები ვიყიდე, რომელთა შეძენასაც საკუთარი ფულით, წინააღმდეგ ვერც კი წარმოვიდგენდი. ასეთი იყო ჩემი პირველი ჰონორარი“.<sup>53</sup>

\* \* \*

საქართველოს სსრ-ის კომპარტიის ლიდერი 1938-1952 წლებში – კანდიდ ჩარკვიანი (1906-1994) იგონებდა: „დედაჩემის სოფელ ქორენიშში იქაურების მეცადინეობით სამრევლო სკოლა დაარსდა... 1913 წლის ნოემბერში გაიხსნა... სკოლის გამგეს და ერთადერთ მასწავლებელს ალფეზი ასათიანს სრული საშუალო განათლებაც არ მიეღო, მაგრამ ხანგრძლივი პრაქტიკით დაწყებით სკოლაში სწავლების ხერხები ასე თუ ისე აეთვისებინა. ყოველ შემთხვევაში ჩვენ, 6-7 წლის ბავშვები, მის მოუმზადებლობას ვერ ვგრძობდით... თუმცა სამრევლო სკოლის მასწავლებლის თვიური ხელფასი 25 მანეთზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო, მისთვის, სახსრების უქონლობის გამო, 15 მანეთი დაენიშნათ. და აი, მასწავლებელმა სკოლის მზრუნველებთან შეთანხმებით, მოსწავლეთა ოჯახებს ერთგვარი ხარკი დაადო: თვეში ერთხელ თითოეულ მათგანს მისთვის სადელი უნდა მოეტანა. მასწავლებლის ოთახში მაგიდაზე იდო რვეული, რომელშიც მოსწავლეების სია იყო შედგენილი. ვინც სადილს მოიტანდა, მისი სახელისა და გვარის ხაზზე ჯვარი დაისმებოდა... მრგვლად მოხარშული ქათამი, ხაჭაპური, ყველი – ასეთი იყო ჩვეულებრივად ამ სადილის მენიუ. მჭადის მოტანა სირცხვილად ითვლებოდა, მასწავლებლისათვის უთუოდ პური უნდა მიერთმიათ. ალფეზი მასწავლებელი კუჭს უჩიოდა, ამიტომ შაშხი და საერთოდ, ღორის ხორცის მოტანა სასტიკად იყო აკრძალული“.<sup>54</sup>

<sup>53</sup> მწერალთა ავტობიოგრაფიები. წიგნი II. გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის გამოცემა. თბ. 2013, გვ. 13.

<sup>54</sup> კ. ჩარკვიანი. განცდილი და ნააზრევი. თბ. 2004, გვ. 29-31.

\* \* \*

ცნობილი გეოლოგი გიორგი ზარიძე (1908-1999) იგონებდა: „დავიბადე თბილისში, რკინიგზის მემანქანის ოჯახში... ჩემს ბავშვობაში 9-10 წლის ასაკამდე ჩვენი ოჯახი ეკონომიკურად ნორმალურად უზრუნველყოფილი იყო. მამას ყოველთვიურად მოჰქონდა ხელფასის სახით ერთი მუჭა ოქროს ათმანეთიანები (თუმნიანები) და მაგიდაზე ჩხარა-ჩხურით დაყრიდა ხოლმე. შემდეგ ფულს დედა ეპატრონებოდა. მოგვიანებით, 1917 წლიდან დაწყებული... ცხოვრების პირობები მნიშვნელოვნად გაგვიუარესდა“.<sup>55</sup>

ამდენად, იმდროინდელ უბრალო მუშებს ხელფასი უპრობლემოდ ეძლეოდათ არა მხოლოდ ქალაქის ფულის ნიშნების, არამედ – ოქროს მონეტების სახითაც.

\* \* \*

გამოჩენილი მეცნიერი, ფიზიკოსი ვახტანგ პარკაძე (1912-1996) იგონებდა: „წითელი არმიის მიერ დამოუკიდებელი საქართველოს დაპყრობის შემდეგ გაუქმდა ქართული ფულიც და მის ნაცვლად ამერიკაკვასიის რესპუბლიკაში შემოიღეს ე. წ. „ბონები“... იმ პერიოდში ფულის კურსი ყოველდღე იცვლებოდა... ბოლოს, მილიარდებში გადავიდა. მახსოვს, ერთ დღეს, გირვანქა პური 75 მილიარდი მანეთი ღირდა. ხალხი დასცინოდა მთავრობას. ერთხელ დიდელაჩემმა დაიჩვილა: რევოლუციამდელ საქართველოში ფულის ერთი კუპიურით ქალის გათხოვება შეიძლებოდა. მეტადრე „პეტროვკით“ (500 მანეთი) აზნაური ქალის დიდი მზითვეი მომზადდებოდაო. ახლა ჩვეულებრივი სადილი რომ გააწყო, ერთი ხურჯინი ფული უნდა დაახარჯო“.<sup>56</sup>

ხსენებულ ბანკნოტს იმიტომ უწოდებდნენ „პეტროვკას“, რომ რუსეთის იმპერიის მიერ გამოშვებული 500-რუბლიანი „სახელმწიფო საკრედიტო ბილეთის“ ავერსზე გამოსახული იყო იმპერატორ პეტრე I-ის პორტრეტი.

რაც შეეხება ამ ბანკნოტის ღირებულებას, უნდა გავიხსენოთ, რომ იგი უდრიდა 50 ცალ ოქროს თუმნიანს, ხოლო ამ უკანასკნელის ერთი ეგზემპლარის დღევანდელი საბაზრო ღირებულება, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საშუალოდ უტოლდება ამერიკის შეერთებული შტატების 380 დოლარს. ამდენად, I მსოფლიო ომის დაწყებამდე მიმოქცევაში არსებული რუსეთის საიმ-

---

<sup>55</sup> გ. ზარიძე. მოგონებები. თბ. 1997, გვ. 5-6.

<sup>56</sup> ვ. პარკაძე. მოგონებები ქართველ მეცნიერებზე. თბ. 1993, გვ. 144-145.

პერიოდში 500-რუბლიანი კუპონის ღირებულება დაახლოებით შესაბამებოდა თანამედროვე 19. 000 ამერიკულ დოლარს.

\* \* \*

ამრიგად, XIX საუკუნის მიწურულიდან – 1914 წლამდე რუსეთის იმპერიაში არსებული ფასების და ხელფასების შესახებ საყურადღებო ინფორმაციაა დაცული როგორც საქართველოს და რუსეთის სახელმწიფო არქივებში, ასევე ცნობილ ქართველ პოლიტიკურ, სახელმწიფო, საზოგადო მოღვაწეთა, მეცნიერთა და ხელოვანთა თხზულებებში, მოგონებებსა და ეპისტოლურ მემკვიდრეობაში.



*Niko Javakhishvili*

Associate Professor,  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

## SALARIES AND PRICES IN THE RUSSIAN EMPIRE (LATE 19<sup>TH</sup>-EARLY 20<sup>TH</sup> CENTURY)

### Summary

The article discusses the salaries and prices which existed in late 19<sup>th</sup>-early 20<sup>th</sup> century (till the outbreak of the World War I) in the Russian Empire, the part of which was Georgia.

The information on prices and salaries is mainly based on material from the Georgian and Russian state archives, as well as on details from the novels, memoirs and epistolary inheritance of Georgian political, state and public figures such as writers, scholars and artists.

In parallel to this, the article reviews the money system which existed in the Russian Empire in late 19<sup>th</sup>-early 20<sup>th</sup> century.

The above information is preserved in the writings of the prominent Georgian figures: *Nikoloz (Niko) Avalishvili (1844-1929)*; *Jakob Mansvetashvili (1855-1939)*; *Isidore Ramishvili (1859-1937)*; *Vazha-Pshavela (1861-1915)*; *Eqvtime Takaishvili (1863-1953)*; *Giorgi Laskhishvili (1866-1931)*; *Tedo Sakhokia (1868-1956)*; *Lado Bzvaneli/ Vladimer Natsvlishvili (1871-1946)*; *Konstantine (Kote) Marjanishvili (1872-1933)*; *Konstantine (Kote) Makashvili (1876-1929)*; *Vladimer (Valodia) Gogvadze (1880-1954)*; *Dimitri Javakhishvili (1882-1971)*; *Konstantine Kandelaki (1883-1959)*; *Shalva Amirejibi (1887-1943)*; *Vladimer (Lado) Japaridze (1887-1981)*; *Andria Razmadze (1889-1929)*; *Ekaterine (Tsatsa) Amirejibi (1889-1975)*; *Vladimir (Lado) Japaridze (1889-1977)*; *Gorgi Chitaia (1890-1986)*; *Mikheil Chiaureli (1894-1974)*; *Shalva Maglakelidze (1894-1976)*; *Giorgi Leonidze (1897-1966)*; *Kandid Charkviani (1906-1994)*; *Giorgi Zaridze (1908-1999)*; *Vakhtang Parkadze (1912-1996)* and others.

One of the major conclusions of the present article is that in late 19<sup>th</sup>-early 20<sup>th</sup> century the existing salaries and prices across much of the Russian Empire were in conformity.

*ლაშა ჩანტლაძე*

თსუ

## ბოლშევიკური ამბოხი დუშეთის მაზრაში 1918 წელს

### შესავალი

1918 წლის 26 მაისს საქართველოს ეროვნულმა საბჭომ სახელმწიფო-ებრივი დამოუკიდებლობის აქტი მიიღო. ეს გახდა ახალი ეტაპის დასაწყისი საქართველოს ისტორიაში. საფუძველი ჩაეყარა ერთიან, სუვერენულ და ევროპული ტიპის სახელმწიფოს. საქართველოს მთავრობასა და ხალხს შესაძლებლობა მიეცა საკუთარი ერთუზიანში და ძალისხმევა ახლად შექმნილი დამოუკიდებელი სახელმწიფოს გაძლიერებისა და აღმშენებლობისკენ მიემართა.

ახლადშექმნილი რესპუბლიკა დიდი გამოწვევების წინაშე იდგა, რომელთაგან, ბუნებრივია, უმნიშვნელოვანესი ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის დაცვა იყო. საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ სამუშაოებს აწარმოებდა როგორც რუსეთის კომუნისტური პარტიის კავკასიის სამხარეო კომიტეტი, (აქტიურ დახმარებას უწევდა სერგო ორჯონიკიძე) ისე თბილისის კომიტეტის ბიურო (მ.ცხაკაიას თავჯდომარეობით). სწორედ ამ ძალებმა დაგეგმეს 1918 წლის ივნის-ივლისში ანტისახელმწიფოებრივი გამოსვლა დუშეთის მაზრაში. აჯანყების ერთ-ერთი აქტიური მონაწილე, კომუნისტური პარტიის დუშეთის სამაზრო კომიტეტის წევრი გიორგი ლაფანაშვილი მიიჩნევდა, რომ თუ აჯანყება შესაფერის დროს შესაბამის დახმარებას მიიღებდა ჩრდილო კავკასიაში არსებული საბჭოთა მთავრობისგან, მაშინ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა დაემხობოდა და შესაბამისად გასაბჭოებაც რამდენიმე წლით ადრე მოხდებოდა.<sup>1</sup> ფილიპე მახარაძე დუშეთის აჯანყებას უკავშირებს იმ სამთავრობო ცვლილებებს, რაც დემოკრატიულ რესპუბლიკაში განხორციელდა, კონკრეტულად მთავრობის თავჯდომარედ ნ.

---

<sup>1</sup> გ. ლაფანაშვილი. დუშეთის აჯანყება 1918 წ. ტფ. 1927, გვ. 37.

რამიშვილის მაგივრად ნ. ჟორდანიას დანიშნვა.<sup>2</sup> აჯანყების მონაწილეები თვლიდნენ, რომ დუშეთში განვითარებულმა პროცესებმა, ნიადაგი მოუძნადა შემდგომში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას. ამბოხებულები კონტროლს ახორციელებდნენ მთლიან მაზრაზე, საქართველოს სამხედრო გზიდან მცხეთამდე, რითაც კრიტიკულ სიტუაციაში აყენებდნენ როგორც თბილისს, ისე მთლიან დემოკრატიულ რესპუბლიკას. აჯანყების ერთ-ერთ ხელმძღვანელი ვიქტორი ცინცაძე იხსენებდა: „გლეხები მოითხოვდნენ საბჭოთა ხელისუფლების შენარჩუნებას მაზრაში და საბჭოთა მთავრობასთან მჭიდრო კავშირის დაჭერას დარიალის ხეობის გაღებით“.<sup>3</sup> ყოველივე ზემოთქმულის ფონზე ნათელია, თუ ვის მიერ იქნენ პროვოცირებულნი და რეალურად რა მიზნები ჰქონდათ აჯანყებულებს, მათი მოღვაწეობის საბოლოო მიზანს, დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დამხობა და 21 დღის წინ აღდგენილი დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად წარმოადგენდა. 1922 წლის 16 თებერვალს დუშეთში გამართული სამაზრო საბჭოს ყრილობაზე გამომსვლელმა დელეგატებმა დააფიქსირეს, რომ ჯერ კიდევ 1918 წლიდან გარკვევით ითხოვდნენ საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებას. აჯანყება ქვეყნისდა საბედნიეროდ წარმატებით ჩაახშეს. სამხედრო მოქმედებების წარმატებით დასრულებაში სახალხო გვარდიის ნაწილებს (მეთაურობდა ვალიკო ჯუღელი) დიდი დახმარება აღმოუჩინეს რიგითმა მოხვევებმა, რომლებიც საკუთარ მოქალაქეობრივ ვალად მიიჩნევდნენ, ქვეყნისთვის ამ კრიტიკულ მომენტში მის გვერდში დგომას. ნაშრომის ერთ-ერთი მიზანი ამ ფაქტის წარმოჩენაცაა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, აჯანყებულების მიზანს დარიალის ხეობის გაღებით საბჭოთა მთავრობასთან მჭიდრო კავშირის დამყარება წარმოადგენდა. სწორედ დარიალის დამცველებმა შეასრულეს მთელ ამ ამბავში მნიშვნელოვანი როლი, რამაც როგორც თავად ორგანიზატორები ამბობენ, დიდწილად შეუწყო ხელი მათი მოძრაობის წარმატებლობას. მაშინ, როდესაც ფოსტა და ტელეგრაფი აჯანყების დაწყების დღიდან ბოლშევიკების ხელში იყო და სტეფანწმინდის მამასახლისისა და მის მომხრეებს არ ჰქონდათ რეალური ცნობები აჯანყების მიმდინარეობის შესახებ, მათ მაინც არ შეუწყვტიათ წინააღმდეგობა, 25 ივნისს გამართულ შეხვედრაზე, სადაც ერთმანეთს შეხვდნენ დუშეთის მაზრისა და მთავრობის

<sup>2</sup> ფ. მაზრაძე. დუშეთის მაზრის აჯანყება 1918 წელს (რვა წლის შესრულების გამო). გაზ.: „კომუნისტი“. 1926 წ. 17 ივნისი. №137, გვ. 2.

<sup>3</sup> ვ. ცინცაძე. დუშეთის აჯანყების ხუთი წლის თავზე. გაზ.: „მუშა“. 1923 წ. 17 ივნისი. №173, გვ. 3.

ერთგული სოფლების<sup>4</sup> წარმომადგენლები, ამ უკანასკნელებმა გარკვევით დაფიქსირეს ურყევი ერთგულება საქართველოს მთავრობის მიმართ.

ბუნებრივია, ჩრდილო კავკასიიდან მიღებული დახმარება გააძლიერებდა აჯანყებას და სრულიად ახალ მიმართულებას შესძენდა მას. შესაბამისად ნათელი ხდება თუ რამხელა მნიშვნელობა ჰქონდა ღუშეთის სამაზრო კომიტეტისთვის დარიალის დროულად დაკავებას და მის გაკონტროლებას, ეს იყო ის, რაც ამ აჯანყებას გამოარჩევდა სხვა გამოსვლებისგან. აქ წარმატება თერგის რესპუბლიკასთან პირდაპირი კავშირის დამყარების და იქიდან დახმარების მიღების საშუალებას იძლეოდა.

ღუშეთში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების შემდეგ დაიწყო საორგანიზაციო სამუშაოები, გამოიცა ბრძანებულებები და პროკლამაციები, იზრდებოდა აჯანყებულთა რიცხვი, რაც კარგ პირობებს ქმნიდა ყაზბეგის ხელში ჩასაგდებად. აჯანყებულები ყველანაირი რესურსის გამოყენებას ცდილობდნენ ამ გზის გასაკონტროლებლად, შედეგად მთავრობის მომხრე სოფლების დიდ წინააღმდეგობას აწყდებოდნენ, რომლებიც უარს აცხადებდნენ ამოხებაში მონაწილეობაზე და უპირისპირდებოდნენ მათ. სახალხო გვარდიის სარდალი ვალიკო ჯუღელი, მაღალ შეფასებას აძლევს მოხვევების საბრძოლო თვისებებს, საკუთარ მოგონებებში კი აღნიშნავს ამ უკანასკნელთა დიდ წვლილს ბოლშევიკი სამხედრო მეთაურის, საშა გეგეჭკორის დამხმარე რაზმის განადგურებაში.

რისკი ნამდვილად დიდი იყო, სასწორზე იყო საქართველოს დამოუკიდებლობა. ამის ფონზე კი განსაკუთრებულად დასაფასებელი იყო იმ ადამიანების თავგანწირვა, რომლებიც დემოკრატიული რესპუბლიკის საჯარისო შენაერთებთან ერთად არ წყვეტდნენ წინააღმდეგობას და საკუთარი სიცოცხლის ფასად იცავდნენ დამოუკიდებლობას.

მოცემული ნარკვევის მიზანია, განვიხილოთ 1918 წლის ღუშეთის მაზრის აჯანყების მიზეზები და მიმდინარეობა. პროცესების განხილვის დროს ვისაუბრებთ ბოლშევიკების სამხედრო აგრესიაზე საქართველოს წინააღმდეგ, სახალხო გვარდიისა და მოხვევების თავდაუზოგავ ბრძოლაზე, დემოკრატიული რესპუბლიკის სუვერენიტეტის დასაცავად, ასევე შევხებით აჯანყების წინანდელ მოსამზადებელ პროცესს და ვეცდებით პასუხები გავცეთ შემდეგ შეკითხვებს: რა ხდებოდა ღუშეთის მაზრაში 1918 წლის 27 მაისიდან 15

<sup>4</sup> ჯუთა, ართხო, კარკუჩა, ახალციხე, გერგეტი, ცლო, ყაზბეგი (სოფლები, რომლებიც არ მიემხრნენ აჯანყებულებს და 1918 წლის 24 ივნისს შეებრძოდნენ მათ).

ივლისის ჩათვლით? რამ გამოიწვია მაზრის ამბოხი? რამდენად დიდი იყო ბოლშევიკთა გავლენა ამ ტერიტორიაზე? რა ზომები მიიღო საქართველოს მთავრობამ სიტუაციის გასანიჭრალეზად? რა გეგმები ჰქონდათ ბოლშევიკებს? რაში მდგომარეობს მოხევეების დამსახურება ქვეყნის წინაშე? რა შედეგი დადგებოდა აჯანყების წარმატებით დასრულების შემთხვევაში.

### ლიტერატურის მიმოხილვა

არსებული საკითხის ირგვლივ მეტად მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის დუშეთის მაზრის აჯანყების აქტიური მონაწილის, კომუნისტური პარტიის დუშეთის სამაზრო კომიტეტის წევრის, გიორგი ლაფანაშვილის 1927 წელს გამოცემული წიგნი „დუშეთის გლეხთა აჯანყება 1918 წელს“. მიუხედავად ავტორის აშკარა სუბიექტურობისა, წიგნში საინტერესო ცნობები მოიპოვება, როგორც უშუალოდ აჯანყების მიმდინარეობაზე, ისე ბოლშევიკების სააგიტაციო საქმიანობაზე, რომელსაც საკმაოდ აქტიური სახე ჰქონდა გამოსვლების დაწყებამდე. ნაშრომში ჩართულია მუამბოხე ბოლშევიკების მოგონებები, რომლებიც საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე განიხილავენ აჯანყების მიმდინარეობას, თავდაპირველ წარმატებებს და ცდილობენ პასუხი გასცენ იმ შეკითხვას, თუ რამ გამოიწვია ამბოხის საბოლოო მარცხი. სუბიექტური პოზიციით გამოირჩევა ალექსანდრა ართილაყვას ნაშრომი „დუშეთის გლეხთა აჯანყება 1918 წელს“. ავტორი დასაწყისში აქცენტს აკეთებს ზოგადად დუშეთის მაზრის რევოლუციურ წარსულზე, მაზრის მცხოვრებთა აქტიურ როლს ჯერ კიდევ 1905 წლის რევოლუციაში, ამბოხების ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზებს შორის, პირველ რიგში, გიორგი ლაფანაშვილის მსგავსად, გლეხთა გაუსაძლის ეკონომიკურ ყოფას მიიჩნევს. გლეხთა პრობლემების მოუგვარებლობაში ორივენი ბრალს სდებენ მენშევიკებს. აჯანყების კონკრეტულ ეპიზოდზე აქცენტს აკეთებს ჯიმშერ წიკლაური 2012 წელს გამოცემულ ნარკვევაში „დარიალის დამცველნი“. აქ ავტორი ყურადღებას ამახვილებს დარიალში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებზე, სადაც დემოკრატიული რესპუბლიკის ძალებს მოხევეები ეხმარებოდნენ. ავტორი მიიჩნევს, რომ დარიალში წარმოებულმა ბრძოლებმა დიდი ზეგავლენა იქონია აჯანყების ბედზე და რომ არა დარიალის დაცვაში მოხევეების მონაწილეობა ისტორია სრულ სხვაგვარად წარიმართებოდა, ბოლო მოეღებოდა დამოუკიდებელი საქართველოს არსებობას. აღსანიშნავია, რომ მოცემულ ნარკვევს დოკუმენტურ მასა-

ლასთან ერთად თან ახლავს ზეპირსიტყვიერი გადმოცემები, რომელიც დამატებით ინფორმაციას გვაწვდის უშუალოდ ხევეში წარმოებული ბრძოლების შესახებ. ავტორის ზოგიერთი პოზიცია საკამათოა. მაგალითად „*მაშინდელი პრესა ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, რომ ომში ჩაფლული ქვეყნის ხელისუფლება მარქსისტობით კეკლუცობს და მთავარ მტრად საზოგადოებრივ აზრს თვლის, ივლისის თვის გაზეთებში არის ორი-სამი სამხედრო განცხადება საქართველოს კათალიკოს პატრიარქის კირიონ მეორის გარდაცვალების გამო, ამავე დროს რუსი მარქსისტი გ. პლენხანოვის გარდაცვალება, ქართული გაზეთების ყურადღების ცენტრშია ძიელი თვის მანძილზე*“.<sup>5</sup> აქ საინტერესო შემდეგი რამაა, კონკრეტულად ზემოაღნიშნულმა გარემოებამ შეაფერხა თუ არა მთავრობის რეაგირება? ან რაიმე ზეგავლენა მოახდინა თუ არა აჯანყების მსვლელობაზე? მის მიერ მოყვანილ ფაქტებსა და აჯანყებას შორის კავშირის დადგენა ნაკლებად არის შესაძლებელი. მოგვეპოვება კი რაიმე საბუთი რითიც მტკიცდება, რომ პლენხანოვის სიყვარულმა და პატრიარქ კირიონისადმი ნაკლებმა სიყვარულმა აჯანყების ჩაშობას ავნო რამე? ნათელია, რომ ავტორის პოზიციაზე იგრძნობა გარკვეული მოსაზრებების გავლენა, რომელიც ამკარად სკეპტიკურად უყურებს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობის მოქმედებებს. მნიშვნელოვანი ინფორმაცია მოიპოვება იმდროინდელ პრესაშიც, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს გაზეთი „ერთობა“, სადაც თავსდება ცნობები აჯანყების დაწყებისა და მიმდინარეობის შესახებ. მნიშვნელოვანი ინფორმაციის შემცველია ხევის მამასახლისის, სიმონ შადურის მიერ გამოქვეყნებული სტატია, სადაც ავტორი დაწვრილებით მიმოიხილავს უშუალოდ ყაზბეგში არსებულ სიტუაციას დუშეთის მაზრის აჯანყების პერიოდში. ასევე საინტერესო ცნობები მოგვეპოვება საბჭოთა პრესაშიც, (გაზეთები : „კომუნისტი“, „მუშა“, „მიწის მუშა“) სადაც აჯანყების მონაწილეები აქვეყნებდნენ მოგონებებს დუშეთის მაზრის ამბოხის შესახებ. ბუნებრივია, ამ უკანასკნელში გამოქვეყნებული ცნობები ამკარად ცალმხრივია, პრობოლშევიკურია და მხოლოდ მათი გაცნობა ვერ მოგვცემს სრული სურათის აღდგენის შესაძლებლობას.

უშუალოდ ბრძოლების შესახებ ინფორმაციას გვაწვდის, როგორც ზემოაღნიშნული ლიტერატურა, ასევე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო გვარდიის მეთაურის ვალიკო ჯუღელის დღიური სახელწოდებით „მძიმე ჯვარი“. მოგონებებში ჯუღელი აქტიურად მიმოიხილავს რო-

<sup>5</sup> ჯ. წიკლაური. დარიალის დამცველნი. ყაზბეგი. 2012, გვ. 61.

გორც ზოგად სტრატეგიულ გეგმებსა და მანევრებს. ისე კონტრეტულ შეტაკებებს. დიდ ყურადღებას უთმობს ყაზბეგის ეპიზოდს და აფასებს ადგილობრივების მხარდაჭერას, სწორედ სახალხო გვარდიის და მოხვევების ერთობლივი ძალისხმევით იქნა განადგურებული სამა გეგეჭკორის ბოლშევიკური რაზმი.

### აჯანყების სამზადისი

1918 წლის 17 ივნისიდან ღუშეთის მთელ მაზრაში ამბოხებულები აქტიურ საბრძოლო მოქმედებებზე გადადიან. თავდაპირველ ეტაპზე ისინი ამარცხებენ მთავრობის სამხედრო შენაერთებს, რაც, ბუნებრივია, იწვევს აჯანყების გადასვლას უფრო სერიოზულ ფაზაში, რისი უშუალო გამოხატულებაც იქნება გლეხთა სამაზრო ყრილობის მოწვევა და საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადება. მიუხედავად ამ წარმატებებისა, აჯანყებაში ჩართულ ბოლშევიკ ხელმძღვანელებს არაერთხელ აღუნიშნავთ, რომ ამბოხი ნაადრევად დაიწყო, მიზეზად კი დემოკრატიული რესპუბლიკის გადაწყვეტილებას ასახელებენ, რაც გულისხმობდა მაზრაში განიარაღების დაწყებას. ამბოხის არამესაფერის დროზე მიუთითებდა ფ. მახარაძე : *„აჯანყებამ ივეთქა გლეხებისთვის უხერხულ დროს, იმ დროს, როცა მზადება ჯერ კიდევ დამთავრებული არ იყო, ბოლშევიკების საოლქო კომიტეტმა, რომელიც ღუშეთის მაზრის გლეხების მოძრაობას ხელმძღვანელობდა და რომელიც მაშინ კავკასიაში იმყოფებოდა აჯანყების ამბავი გაიგო იმ დროს როცა ეს აჯანყება უკვე ფაქტი იყო“*.<sup>6</sup>

მიუხედავად მარცხისა, ბოლშევიკურმა ამბოხმა დიდი პრობლემები შეუქმნა მთავრობას და საწყის ეტაპზე რამდენიმე ბრძოლაში დაამარცხა კიდევ ეს უკანასკნელი. უშუალოდ საბრძოლო მოქმედებებზე გადასვლა შეუძლებელი იქნებოდა მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარების გარეშე. 1917 წლის აპრილში ბოლშევიკებმა შექმნეს დამოუკიდებელი ორგანიზაციები კავკასიის მამულებით (მათ შორის თბილისშიც), ამან ხელი შეუწყო ფართო სააგიტაციო საქმიანობის გაჩაღებას მოსახლეობაში. 1917 წლის 2 ოქტომბერს გაიმართა კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციის პირველი ყრილობა, რომელმაც გარკვევით დააფიქსირა აშკარა ბრძოლის გზა ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად. ღუშეთის მაზრაში შეირაღებული გამოსვლისთვის კარგ ნიადაგს ქმნიდა ფრონტიდან დაბრუნებული ბოლშევიკი ჯარისკაცები. ამავდროულად

<sup>6</sup> ფ. მახარაძე. ღუშეთის მაზრის აჯანყება 1918 წელს, გვ. 2.

ხდებოდა გლეხთა სამხედრო რაზმების შედგენა. ანტისახელმწიფოებრივად განწყობილმა ჯარისკაცებმა, (ისეთებმა თუნდაც, როგორებიც იყვნენ ვ. მწითური, ვ. ვერძელი, ლ. ლალიაშვილი და სხვები.) დიდი სამუშაოები გასწიეს. გაბო მწითურის, ბაზალეთის თემის წითელი რაზმის მეთაურის ორგანიზებით, 1918 წლის 2 მარტს გაიმართა მიტინგი. შეკრებილნი იწონებდნენ ბოლშევიკების საქმიანობას და უარს აცხადებდნენ „მენშევიკური“ პოლიტიკური ძალის მორჩილებაზე. დამატებით ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა გამოჰყო პერსონალი, რომლებსაც აქტიური სააგიტაციო მუშაობა უნდა დაეწყოთ მაზრებში. დუშეთში მოსამზადებელ სამუშაოებს აწარმოებდნენ თედო შუშიაშვილი, თომა ჩუბინიძე, მიხა პაპუნაშვილი, გიორგი ლაფანაშვილი და ვიქტორ ცინცაძე. 1918 წლის აპრილის დასაწყისში ბაზალეთში გამართულ კრებაზე გაისმა მოწოდებები, სადაც იქ შეკრებილ გლეხობას მოუწოდებდნენ მენშევიკური მთავრობის დამხობას. მაისში უკვე გაიმართა თათბირი დუშეთში, რომელსაც, გარდა კონკრეტულად მაზრაში მომუშავე კომუნისტებისა, დაესწრნენ მიხა ცხაკაია და ფილიპე მახარაძე. მათ მიერ მიცემული ღირებულების მერე კიდევ უფრო დიდი ძალებით გაგრძელდა მუშაობა. კავკასიის სამხარეო კომიტეტის გეგმით, დუშეთის მაზრაში დაწყებული ამბოხი უნდა ყოფილიყო დაკავშირებული საქართველოში საყოველთაო აჯანყებასთან. გადაწყდა ინტენსიური სააგიტაციო მუშაობის დაწყება „*გლეხებისა და მუშების აღშფოთებისთვის*“; „*ჩვენ დავალებული გვქონდა მოგვეწყო დუშეთში კომპარტიის ჯგუფები (იარეიკები) დაგვეარსებია სამხედრო შტაბი და მოგვეშაადებია ნიადაგი შეიარაღებული ამბოხისთვის*“.<sup>7</sup>

შეირადებული გამოსვლის დასაწყებად, ბუნებრივია, გადამწყვეტი ფაქტორი ენიჭებოდა შეიარაღებას, აღნიშნული საკითხის მოგვარება ბოლშევიკების ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას წარმოადგენდა. ამ მიზნით თედო შუშიაშვილს თბილისში ხილის საწყობის ქვეშ მოუწყვია საიდუმლო საცავი. სამხედრო მასალის სოფლებში ჩასვლისთანავე ხდებოდა მისი გადანაწილება წილკანსა და მის ახლომდებარე სოფლებზე,<sup>8</sup> როგორც გიორგი ლაფანაშვილი აღნიშნავს, საბრძოლო მასალის შესაფერისი რაოდენობა მხოლოდ წილკანს ერგებოდა. ეს ალბათ შემთხვევითი არ უნდა იყოს, რადგან სწორად წილკანი გამოდგება ის სოფელი, რომელიც პირველი გაუწევს წინააღმდეგობას დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო რაზმს და გამარჯვებებსაც მო-

<sup>7</sup> ვ. ცინცაძე. დუშეთის აჯანყების ხუთი წლის თავზე, გვ. 2.

<sup>8</sup> მისაქციელი, ძალისი, მჭადიჯვარი, შუახევი, ბაზალეთი, ახალგორი და სხვები.



იპოვებს. სანამ ეს შეტაკება მოხდებოდა ლაფანაშვილი წილკანს მოიხსენიებს იმ ადგილად, სადაც ყველაზე დიდი გავლენა არსებობდა ბოლშევიკთა საავტორიტაციო მუშაობის დროს, ასევე ეს იყო აგიტატორთა შეკრების ადგილიც და მაზრაში მუშაობის ცენტრიც.

1918 წლის 6-7 ივნისს ჩატარდა საგანგებო თათბირი ღუშეთის მაზრაში, დღის წესრიგში მდგომ განსახილველ საკითხებს შორის უმნიშვნელოვანესი იყო გადაწყვეტათ თუ როგორი უნდა ყოფილიყო ბოლშევიკების რეაგირება სამთავრობო შენაერთების მიერ „საეტაპო ათასეულის“ განიარაღების დაწყებასთან დაკავშირებით. უნდა აღინიშნოს, რომ ხელისუფლებამ ეს ნაბიჯი მაზრაში არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით გადადგა, რაც საეტაპო ბატალიონის ჯარისკაცების მოქმედებამ განაპირობა, რომლებიც ამკარად მიემხრნენ ბოლშევიკებს. მაზრის პარტიულ ორგანიზაციას უნდა გადაეწყვიტა, როგორ იმოქმედებდნენ. გადაწყდა, რომ ჯერჯერობით თავი აერიდებინათ კონფრონტაციისთვის,<sup>9</sup> ასევე თათბირის გადაწყვეტილებით ბოლშევიკებს საქმიანობა ცენტრიდან განაპირა მხარეებში უნდა გადაეტანათ.

სიტუაციის დასარეგულირებლად და წესრიგის დასაცავად თბილისის გუბერნიის მაზრის კომისარმა ჯაფარიძემ ღუშეთის მაზრის ხელისუფლებას უბრძანა დაეწყოთ მაზრის მაცხოვრებლების განიარაღება.

### აჯანყების დასაწყისი

ბუნებრივია, მხოლოდ საეტაპო ათასეულის განიარაღება ვერ ხსნიდა იმ საფრთხეებს, რაც მაზრაში იყო, თან როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ათასეულიდან ბევრმა ჯარისკაცმა (ბოლშევიკების მონაცემებით 400 კაცმა) შეძლო გაქცევა, ამ ყველაფერს ემატებოდა რევოლუციური განწყობის მომძლავრება მაზრაში, რაც ბუნებრივია დღის წესრიგში აყენებდა საყოველთაო განიარაღების დაწყებას. ღუშეთის მაზრის მილიციის უფროსი გ. ჟორდანიას მფრინავ რაზმთან<sup>10</sup> ერთად აქტიურად შეუდგა დაკისრებული მოვალეობის შესრულებას. წარმატებით იქნა განიარაღებული შემდეგი სოფლები: ყვავილი, ბაზალეთი მლაშე, საკრამული, შამბურო, ნაოზი, მისაქციელი. მისაქციელის გა-

<sup>9</sup> აღსანიშნავია, რომ მიუხედავად თავშეკავებისა, მათ მიერ მიღებული დადგენილება თავისთავად ეწინააღმდეგებოდა კონფრონტაციაზე უარის თქმას. ბოლშევიკები ითხოვდნენ მოეწვიათ საბჭოები და ხალხის მიერ არჩეული მთავრობისთვის გადაეცათ იარაღი, გახსნილიყო კავკავის გზა და სხვ.

<sup>10</sup> შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული საპეციალური ქვედანაყოფი

ნიარალების შემდეგ, რაზმი წილკანს მიაღვა. ჟორდანია სამი კაცის თანხლებით სოფლისკენ გაემართა,<sup>11</sup> მაგრამ სანამ დანიშნულების ადგილზე მივიდოდა აჯანყებულები თავს დაესხნენ და დაატყვევეს. ამ დროს ძირითადად რაზმმა ცეცხლი გახსნა. ჟორდანიამ შეძლო გაქცევა და ძირითად რაზმს შეურთდა, თუმცა ვეღარ შეძლო ბრძოლის ბელზე ზეგავლენის მოხდენა. ვიქტორ ცინცაძის მონაცემებით „ჩვენ ხელში ჩაივადეთ 84 ტყვე, სამი ტყვიის მფრქვეველი და სოფლებისგან ჩამორთმეული იარაღი“.<sup>12</sup> ჟორდანიამ გადარჩენილებთან ერთად შეძლო თავის დაღწევა და კაპიტან ფალიანის რაზმს შეურთდა. 17 ივნისს მომხდარ ამ შეტაკებაში აჯანყებულთა წარმატებაში, ბუნებრივია, დიდი როლი ითამაშა რიცხობრივმა უპირატესობამ. ეს ფაქტორი დაეხმარა წილკნელებს, რომ ალყა შემოერტყათ მთავრობის რაზმისთვის და დაემარცხებინათ. ასევე ფსიქოლოგიურად დიდი დარტყმა გამოდგა მეთაურის ტყვედ ჩავარდნა. მართალია, ჟორდანიამ მოახერხა თავის დაღწევა, მაგრამ ის ამ დროს უკვე ორჯერ იყო დაჭრილი. ამ გამარჯვებამ აამაღლა აჯანყებულთა საომარი შემართება, რისი გამოხატულებაც სამხედრო გზაზე სადგურისა და სურსათის საწყობის დაკავება იყო. პროცესების მსგავსად განვითარება, კი იწვევდა ამბოხებულთა რიცხვის ზრდას.

დამატებითი ძალის სახით მთავრობამ ბრძოლაში ჩართო კაპიტან ფალიანის რაზმი, ეს უკანსკნელი 140 მეომარს ითვლიდა, გარდა ცოცხალი ძალისა მის განკარგულებაში იყო ორი ტყვიამფრქვევი და ერთი ზარბაზანი. ფალიანს თან ახლდა ჟორდანია, რომელსაც რაზმისთვის უნდა ეჩვენებინა გზა წილკანამდე. ამის მიუხედავად, კაპიტანმა, როგორც თავად ხსნის, ჟორდანიას არაზუსტი მონაცემების გამო, ალყა შემთხვევით შემოარტყა ტყის უბანს და არა წილკანს. რაზმის გადაჯგუფებამ მას მეტად მნიშვნელოვანი დრო დააკარგვინა.<sup>13</sup> ასევე წარუმატებლად დასრულდა კაპიტანის მოლაპარაკებები აჯანყებულ სოფლებთან. აღსანიშნავია, რომ მეამბოხეები ფალიანის რაზმთან გასწორებას დაახლოებით ისეთივე მეთოდით ცდილობდნენ, როგორც ეს გააკეთეს ჟორდანიასთან. აჯანყებულებს სურდათ იარაღის ჩაბარების ცრუ დაპი-

<sup>11</sup> ჟორდანიამ ეს გადაწყვეტილება წილკანის რამდენიმე მცხოვრებთან საუბრის შემდეგ მიიღო, ეს უკანასკნელნი სიტუაციის გართულების თავიდან აცილების მიზნით თხოვდნენ რაზმის უფროსს მთლიანი რაზმით არ შემოსულიყო სოფელში

<sup>12</sup> ვ. ცინცაძე. „დუშეთის აჯანყების ხუთი წლის თავზე“, გვ. 3.

<sup>13</sup> აჯანყების ჩაშლის შემდგომ ჩატარებულმა კვლევა-ძიებამ ბრალი დასდო და პასუხისმგებლობა მისცა კაპიტანი ფალიანი. უპირველეს ყოვლისა იმის გამო, რომ კაპიტანმა არ გამოიყენა ის საშუალებები, რაც შესაძლებლობას მისცემდა დანაკლისისგან ეხსნა მის დაქვემდებარებაში მყოფი სამედრო ნაწილები.

რების სანაცვლოდ დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო ნაწილები სოფელში შეეტყუებინათ, სადაც უფრო მარტივად დაამარცხებდნენ. ამ მიზნით 25 მაშხანა „მსხვერპლადაც გაიღეს“. ვითარება იცვლება 8 ივნისს დილის 8 საათზე, როცა გამოჩნდება პოლკოვნიკი ფურცელაძე და ხელმძღვანელობას საკუთარ თავზე გადაიბარებს.

ღროს არ კარგავდნენ ამბოხებულები, რომელთაც 19 ივნისს შექმნეს სამხედრო შტაბი და უარყვეს ფურცელაძის ულტიმატუმი, იარაღის ჩაბარებასა და ხელმძღვანელი პირების გადაცემის შესახებ და საომარ სამზადისს შეუდგნენ. საომარ მდგომარეობაზე ჯერ კიდევ კაპიტან ფალიანს შეატყობინა მტრის ბანაკიდან გამოქცეულმა ტყვემ. წილკნის, მისაქციელის, ნაოზის, ძაღლისის, წეროვნის მცხოვრებლებმა ქალები, ბავშვები და საქონელი სოფლებისგან მოშორებით გაიყვანეს და საბრძოლო პოზიციები დაიკავეს. აღსანიშნავია, რომ 19 ივნისს გამართულ ამ ბრძოლაში მთავრობის სასარგებლოდ მოქმედებდა სამხედრო ავიაცია, თუმცა ამ ფაქტორმა ვერ შეძლო ბრძოლაში გარდატეხის შეტანა ფურცელაძის სასარგებლოდ. 8 საათიანი ბრძოლის შემდგომ პოლკოვნიკის ქვედანაყოფები დამარცხდნენ. სანამ იმ დანაკარგების შესახებ ვისაუბრებთ, რაც ცოცხალ ძალასა და სამხედრო ტექნიკას შეეხო, აუცილებელია გავეცნოთ ბრძოლის მიმდინარეობას და ამ მარცხის მიზეზებს. ბრძოლის მონაწილე ბოლშევიკი ხელმძღვანელები აქტიურად მიუთითებენ მეთაურ ფურცელაძის გაუმაართლებელ სტრატეგიულ მანევრებზე, ფურცელაძემ არტილერია ხელსაყრელი პოზიციებიდან მოხსნა, ხოლო არმია ბრძოლის ველზე გამალა. რის შედეგადაც ამბოხებულებს სამთავრობო ჯარების ალყაში მოქცევა და დამარცხება გაუადვილდათ. ბრძოლის მონაწილე შტაბის კაპიტანი ალექსანდრე გორგაძე ასე აღწერს ბრძოლის მიმდინარეობას: *„მარჯვენა ფრთით ვიდექი ჩემი ასეულით გამლილი. ჩვენ უკან ბაღი იყო, სადაც მუშების სახით თურმე სოფლელები იყო ჩასაფრებული. 11 საათი რომ დაიწყო, ატყდა საშინელი სროლა, ჩვენც რასაკვირველია ვუპასუხეთ. სოფლელები გამლილი მოდიოდნენ ტყიდან ჩვენკენ, მაგრამ დახეთ უბედურებას, საშინელი სროლა აგვიტეხეს იმათ, ვინც ბაღში ვითომდა მუშაობდა. ყველა მხრით სოფლელებისგან გარს შემორტყმული ვიყავი ჩემი ასეულით.“*<sup>14</sup>

ყოველივე ზემოთ ნახსენების ფონზე, აშკარად შეგვიძლია, დავინახოთ ხელმძღვანელობის შეცდომები მოცემულ ბრძოლაში. პოლკოვნიკმა ფურცელა-

<sup>14</sup> ალ. გორგაძე. ბოლშევიკებთან ბრძოლა დუშეთის მაზრაში. გაზ.: „სახალხო საქმე“. 1918 წელი. 26 ივნისი. №265, გვ. 4.

ქემ შედარებით ხელსაყრელი პოზიციებიდან მოხსნა არტილერია და ცოცხალი ძალა, რამაც მოწინააღმდეგეს მისცა საშუალება სამი მხრიდან შეეტია მისთვის და ალყაში მოექცია პოლკოვნიკის რაზმები. ამავდროულად გაოცებას იწვევს შტაბის კაპიტან გორგაძის მონათხრობი, საიდანაც ცხადი ხდება, რომ მან მოცემულ გეოგრაფიულ არეალში ისე განალაგა სამხედრო ქვედანაყოფები, რომ სათანადოდ არ შეამოწმა ზურგში „ბაღში მომუშავე გლეხები“. თან ეს ხდება საომარ ზონაში, სადაც მცხოვრებთა უმრავლესობა შეირაღებული და შენ მიმართ დაპირისპირებულია. ზიანი დიდი იყო, ვიქტორ ცინცაძე ფურცელადის რაზმში 200 მებრძოლს ასახელებს (ამას დამატებული ფალიანის 140) ტყვიის-მფრქვევლებითა და ზარბაზნებით. რომელთაგან ტყვედ-ჩაგდებულითა რაოდენობა დაახლოებით 250 კაცს ითვლიდა.<sup>15</sup>

იმავე დღეს აჯანყებულთა რაზმმა დაიკავა ღუშეთი, საპყრობილეებიდან გაათავისუფლეს პატიმრები, ხელში ჩაიგდეს იარაღის საწყობები, დაიწვეს ბინების ძარცვა, გაანადგურეს მაზრის ოფიციალური დოკუმენტებიც. ძნელია ვირწმუნოთ ვიქტორ ცინცაძის მონათხრობი თითქოს, მაზრაში წესრიგი იყო და ადგილი არ ჰქონია არანაირ ბოროტმოქმედებასა და კანონდარღვევას. 21 ივნისს მეამბოხეებმა დაიკავეს მცხეთისა და ქსნის საღვურები. ამ ოპერაციების განხორციელების შემდეგ დღის წესრიგში დადგა დარიალის ხელში ჩაგდება, რაც ამბოხებულებს საშუალებას მისცემდა მჭიდრო კავშირი დაემყარებინათ ჩრდილოეთის საბჭოთა ხელისუფლებასთან, ამბოხების ლიდერებს ნათლად ჰქონდათ გაცნობიერებული, რომ აჯანყების გასაძლიერებლად და დიდი მასშტაბების მისაცემად აუცილებელი იყო საგარეო დახმარება, კონკრეტულად აქცენტი კეთდებოდა თერგის საბჭოთა რესპუბლიკაზე.<sup>16</sup>

### ღუშეთის მაზრაში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადება

თავდაპირველმა წარმატებებმა ამბოხების წინამძღოლებს საშუალება მისცა საორგანიზაციო სამუშაოებისთვის მეტი დრო დაეთმოთ. ამ ყველაფრის

<sup>15</sup> ა. ართილაყვა, ღუშეთის გლეხთა აჯანყება 1918 წელს. თბ. 1960, გვ. 78.

<sup>16</sup> „თერგის საბჭოთა რესპუბლიკის“ შექმნა გამოცხადდა 1918 წლის მარტში, პიატიგორსკში, თერგის ხალხთა მეორე ყრილობაზე. ყრილობას მხარი დაუჭირა ბოლშევიკურმა სახალხო საბჭომ, საბჭოში ხელმძღვანელობდნენ ეთნიკური პრინციპით. თერგის საბჭომ კაზაკობის საწინააღმდეგო (ანტიკაზაკური) კანონები მიიღო, რომლებიც ითვალისწინებდა კაზაკთა სამხედრო ფორმირებების დაშლას, ასევე კაზაკთა მიწების გასხვისებას. ბუნებრივია ამას მოჰყვა კაზაკთა საკმაოდ სერიოზული აჯანყება, რამაც დიდად დააზარალა „თერგის რესპუბლიკა“. საბოლოოდ ეს უკანასკნელი 1919 წლის თებერვალში განადგურდა დენიკინის ჯარების მიერ.

შედგე კი 1918 წლის 25 ივნისს დუშეთის გლეხთა დეპუტატების სამაზრო ყრილობის მოწვევა იყო. ყრილობის გადაწყვეტილებით, აღმასკომის თავჯდომარედ თედო შუშიაშვილი აირჩიეს. არსებობის მცირე დროის მიუხედავად, კომიტეტი აქტიურად შეუდგა მასზე დაკისრებული მოვალეობის შესრულებას, უმთავრესს ბუნებრივია სამხედრო საკითხების<sup>17</sup> მოგვარება წარმოადგენდა. ეს უკანასკნელი კი პირდაპირ იყო დაკავშირებული კავშირთან ჩრდილოეთ კავკასიის საბჭოთა ხელისუფლებასთან.

წესრიგის უზრუნველსაყოფად გამოიცა ორი ბრძანება, ხოლო აჯანყების მუხტის გასაძლიერებლად პროკლამაცია, რომელიც მუშებსა და გლეხებს აქტიური ბრძოლისაკენ მოუწოდებდა დემოკრატიული რესპუბლიკის ძალების წინააღმდეგ: „დუშეთის მაზრას დღეს შემოესია ჟორდანია-ჯუღელის ბრბო და ლაძობენ ჩვენ განადგურებას. ასეთი დღე არ დადგომია ჩვენს ქვეყანას, არც ძველ და არც ახალ დროში, არც შაჰბაზისა და აღა-შაჰბადის ურდოელების შემოსევის დროს და არც სისხლის მსმელ ნიკოლოზ რომანოვის შავბნელ რეაქციის დროს. საქართველოს ახალმა თვითმპყრობელმა-მენშევიკებმა ყველას გადააჭარბეს.“<sup>18</sup> რაც შეეხება ბრძანებებს, აქცენტი კეთდება მაზრაში წესრიგისა და დისციპლინის უზრუნველყოფაზე. მაგალითად, აღმასრულებელი კომიტეტი მოუწოდებს ამბოხებულებს რომ დააპატიმრონ ის პირები, რომლებიც გლეხებს შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწვევისგან თავის შეკავებას ურჩევენ და გადასცენ ისინი სამხედრო რევოლუციურ ტრიბუნალს.<sup>19</sup>

### ბრძოლა დარიალისთვის

დუშეთის მაზრაში ამბოხებული ბოლშევიკების ხელისუფლება დამყარდა, თუმცა ეს არ ნიშნავდა საბოლოო გამარჯვებას, ყაზბეგი არ ემორჩილებოდა აჯანყებულებს. 19 ივნისს სამთავრობო შენაერთებთან მიღწეული გამარჯვების შემდგომ, ბოლშევიკებმა ქვემო და ზემო მთიულეთის და კობის თემის გლეხობა, მიხა პაპუნაშვილისა და ვიქტორ ცინცაძის თაოსნობით სტეფანწმინდის წინააღმდეგ გაგზავნეს. როგორც რიცხობრივ, ისე სამხედრო

<sup>17</sup> თითქმის ყველა სამხედრო საკითხის მოგვარებას ხელმძღვანელობდა, რევოლუციური სამხედრო შტაბი, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ: თომა ჩუბინიძე, მიხა პაპუნაშვილი, თედო შუშიაშვილი, ვიქტორ ცინცაძე, გიორგი ლაფანაშვილი.

<sup>18</sup> გ. ლაფანაშვილი. დუშეთის აჯანყება 1918 წ., გვ. 60.

<sup>19</sup> გ. ლაფანაშვილი. დუშეთის აჯანყება 1918 წ., გვ. 58.

შეიარაღების მხრივ უპირატესობაში მყოფმა ყაზბეგის წინააღმდეგ მებრძოლმა ბოლშევიკურმა ძალამ, დარიალის დამცველებს ულტიმატუმი იარაღის ჩაბარების შესახებ 23 ივნისს წარუდგინა. პასუხად კი საომარი სამზადისი მიიღო სტეფანწმინდელების მხრიდან. საომარი სამზადისისა და ბრძოლების შესახებ საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის სტეფანწმინდის მამასახლისი სიმონ შადური. ამ უკანასკნელის ცნობით, ამბოხებულებთან კავშირზე თავიდანვე უარი ითქვა. სტეფანწმინდელებმა ცოცხალი ძალის სახით დამატებითი შევსება მიიღეს შემდეგი სოფლებიდან: ჯუთადან, ართხმოდან, კარკუჩიდან, ახალციხიდან, გერგეტიდან და ცდოდან. ძალთა ბალანსი ამკარად არასახარბიელო იყო დამოუკიდებლობის დამცველებისთვის, სტეფანწმინდის მამასახლისის ცნობებით დაახლოებით 400 კაცი უნდა დაპირისპირებოდა 3000 ამბოხებულს.<sup>20</sup>

გარდა რიცხობრივი უპირატესობისა, სიტუაციას შემდეგი ორი რამ ართულებდა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აჯანყებულებმა შეძლეს დუშეთის მაზრაში ფოსტისა და ტელეგრაფის გაკონტროლება, რაც კარგად გამოიყენეს ამბოხებულთა რაოდენობის შესახებ ყალბი ცნობების გასავრცელებლად. გარდა ამისა მდგომარეობა დაძაბული იყო მეორე ფრონტზეც: *„ჩვენი ვარაუდით 9000 კაცთან უნდა მოგვხდომოდა საქმე, კარგად შეიარაღებულბთან. სამხრეთით ეს მტერი უნდა მოგვწოლოდა, ჩრდილოეთით-დარიალში რუსი ბოლშევიკები გვაწვებან, იქაც ბრძოლები გრძელდება. მთავრობისა არაფერი ვიცით არსებობს თუ არა, 18 ივნისიდან ფოსტა და ტელეგრაფი ბოლშევიკების ხელშია“.*<sup>21</sup>

მიუხედავად არსებული კონფრონტაციისა, 1918 წლის 25 ივნისს მოხერხდა ერთობლივი შეხვედრის გამართვა (ერთი მხრივ დუშეთის მაზრის გლეხთა ორგანიზაციის მხრიდან, ხოლო მეორე მხრივ ყაზბეგ-სნოელების წარმომადგენლებს შორის) რომელსაც არსებული დაპირისპირების მიზეზები უნდა გამოეერკვია და მის გადაჭრაზე ეზრუნა. დუშეთის მაზრის ორგანიზაციის წარმომადგენლები ბრძოლის მიზეზად ასახელებენ პურის უქონლობას: *„ჩვენ გვითხრეს, რომ ყაზბეგლები და მისი მომხრე სოფლები შეუერთდა წითელ გვარდიას და გზა შეჰკრეს, რაც არის მიზეზი უპურობისა. პური არ მოდის, ჩვენ შიმშილი გვაწუხებს და ავსდექით“*<sup>22</sup> – (შაქრო მანგიაშვილი,

<sup>20</sup> ს. შადური. დუშეთის მაზრის ამბოხი და სტეფანწმინდაზე გალაშქრება. გაზ.: „ერთობა“. 1918 წ. 2 აგვისტო. №162, გვ. 2.

<sup>21</sup> ს. შადური. დუშეთის მაზრის ამბოხი და სტეფანწმინდაზე გალაშქრება, გვ. 2.

<sup>22</sup> გ. ლაფანაშვილი. დუშეთის აჯანყება 1918 წ., გვ. 31.

დუშეთის გლეხთა ორგანიზაციის წარმომადგენელი). ამავდროულად მანგაიშვილი უარს აცხადებს საქართველოს მთავრობის მორჩილებაზე. ამ მოსაზრებებს არგუმენტირებულად პასუხობენ ყაზბეგ-სნოს დელეგაციის წარმომადგენლები, „თუ პურის უქონლობა არის მიზეზი ამბოხებისა, ჩვენ ერთად უნდა ვიყოთ. ჩვენ დუშეთის მაზრას დამოუკიდებლად უნდა იმოქმედოს, ეგ შეუძლებელია იმიტომ, რომ თქვენ საქართველოს მთავრობის სახელით მუშაობა არ შეგიძლიათ, რადგანაც ნლობას არ უცხადებთ. ჩვენ მთავრობა არ გვყავს დუშეთის მაზრის. ბოლშევიკური მთავრობა ჩვენ ანგარიშს არ გავვიწყვს. ჩვენ უნდა დავემორჩილოთ საქართველოს მთავრობას და ისე უნდა ვიმოქმედოთ.“<sup>23</sup> მღვდელი ღულუშაური. საინტერესო მოხსენებას აკეთებს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების წარმომადგენელი, არტილერისტი პ.ჩხიკვაძე, რომლის აზრითაც შესაძლებელია ურთიერთობის მოგვარება, ისე, რომ არც დაპირისპირება მოხდეს და „უპურობის“ მიზეზებიც აღმოიფხვრას. მისი აზრით, უნდა შედგეს ხელსაყრელი შეთანხმება დემოკრატიულ რესპუბლიკასა და ჩრდილო კავკასიაში არსებულ ხელისუფლებას შორის ორივე მხარისთვის მისაღები პროლუქტის გაცვლის შესახებ.

როგორც ვხედავთ ყველაზე კრიტიკულ მომენტშიც კი რესპუბლიკის ერთგული დამცველები არ ცვლიდნენ პოზიციას, სიტუაციის გამოსწორების მთავარ გზად მოლაპარაკებასა და მთავრობისთვის ნლობის გამოცხადებას მიიჩნევდნენ. მიღებული რეზოლუციაც თითქოს ამას ეხმიანებოდა, მაგრამ როგორც თავად ს. შადური გადმოგვცემს შეთანხმების პირობიდან, ამბოხებულებმა არცერთი არ შეასრულეს. რეზოლუციის მიხედვით დაპირისპირებულ მხარეებს საბრძოლო მოქმედებები უნდა შეეწყვიტათ, პურის საკითხის მოსაწესრიგებლად ვლადიკავკაზში უნდა გაგზავნილიყო დელეგაცია, დარიალის დასაცავად უნდა დამდგარიყვნენ დუშეთის მაზრის ნლობით აღჭურვილი პირები, საქართველოს საჯარისო შენაერთის ნაწილებს თავდებად სტეფანწმინდელები უდგებოდნენ და არ ერთმეოდათ იარაღი.<sup>24</sup>

შეთანხმებისამებრ, 26 ივნისს (რეზოლუციის მიღებიდან მეორე დღეს) ს. შადური თანმხლებ პირებთან ერთად რეზოლუციის პირობების გასაცნობად სიონში წავიდა, სადაც აჯანყებულნი იყვნენ დისლოცირებულნი. როგორც მოსალოდნელი იყო პირობებმა უკმაყოფილება გამოიწვია ბრბოში, სიტუაცია მეტიანძველად დაიძაბა, თუმცა შადურის სიტყვით გამოსვლა გარდამტეხი გამოდ-

<sup>23</sup> გ. ლაფანაშვილი. „დუშეთის აჯანყება 1918 წ., გვ. 32-33.

<sup>24</sup> გ. ლაფანაშვილი. „დუშეთის აჯანყება 1918 წ., გვ. 35-36.

გა. მან არგუმენტირებულად უარყო ყველა ბრალდება და სიტუაციის გამოსწორების ერთადერთ გზად მოლაპარაკება დაასახელა.

როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, ამბოხებულებმა შეთანხმების არც ერთი მუხლი არ შეასრულეს, სიტუაცია არც შადურის შთამბეჭდავმა გამოსვლამ შეცვალა და 27 ივნისს სიონში მყოფი აჯანყებულები სტეფანწმინდისკენ გაეშურნენ. რიცხობრივი უპირატესობის გარდა, ბოლშევიკებს სტრატეგიული უპირატესობაც უწყობდათ ხელს, (საქმე იმაში გახლდათ, რომ სტეფანწმინდელებმა ზარბაზნები და ტყვიამფრქვევები პოზიციებიდან მოხსნეს, მთლიანი ყურადღება დარიალის მხრიდან საზღვრის გამაგრებაზე გადაიტანეს). მოკავშირე სოფლების წარმომადგენლებს ბრძოლა უხდებოდათ, როგორც ამბოხებულების წინააღმდეგ ღუშეთის მაზრიდან, ისე ბოლშევიკების მხრიდან დარიალში. ტელეგრაფსა და ტელეფონს მცხეთიდან ყაზბეგამდე მთლიანად ამბოხებულები აკონტროლებდნენ.

#### *ამბოხის დასასრულის დასაწყისი,*

#### *ბრძოლაში ეროვნული გვარდიის ჩაბმა*

ამბოხის დასაწყისი მართლაც, რომ შთამბეჭდავი გამოდგა. აჯანყებულებმა 17 ივნისიდან მოყოლებული 21 ივნისის ჩათვლით რამდენიმე ბრძოლაში ბრწყინვალე გამარჯვებები მოიპოვეს მთავრობის საჯარისო შენაერთებზე, კონტროლქვეშ მოაქციეს ღუშეთის მაზრის ტერიტორიის უდიდესი ნაწილი. 29 ივნისისთვის უკვე ხელში ჩაიგდეს დარიალიც. ამის შემდეგ, ბუნებრივია, დღის წესრიგში დადგა აჯანყების მამულებების გაზრდა. ამბოხებულებმა მცხეთის რაიონში ხელში ჩაიგდეს იარაღის საწყობები, მოსამზადებელი საშუალების შემდგომ კი აპირებდნენ თბილისზე შეტევას.<sup>25</sup> სიტუაციას ამძიმებდა ის ფაქტიც, რომ მდგომარეობა დაძაბული იყო თიანეთის მაზრაში: თიანეთელებმა მხარი დაუჭირეს ღუშეთის მაზრის მოძრაობას და შეიარაღებული რაზმიც კი გაუგზავნეს დასახმარებლად.

მაზრაში შექმნილი მდგომარეობა კრიტიკული და საგანგაშო იყო. სიტუაციის განსამუტავად დემოკრატიულ რესპუბლიკას დიდი რესურსის მობილიზება და გამოცდილი სამხედრო კადრები სჭირდებოდა, რათა აღარ განმეორებულიყო ის ფატალური შეცდომები, რაც აჯანყების დასაწყისში მოხდა. გაზეთ ერთობის 1918 წლის 27 ივნისისა და 30 ივნისის ნომრებში აქტიურ-

<sup>25</sup> ა. ართილაყვა, ღუშეთის გლეხთა აჯანყება 1918 წელს, გვ. 83.



ად ქვეყნდებოდა დემოკრატიული რესპუბლიკის მოწოდებები, რომლებიც აჯანყებულთა წინააღმდეგ იყო მიმართული და საქართველოს გვერდში დგომისკენ მოუწოდებდა მოქალაქეებს.

გარდა ამაღელვებელი მოწოდებებისა, მთავრობამ ქმედითი ნაბიჯების გადადგმა დაიწყო. სახალხო გვარდიის ნაწილების დუშეთის მაზრაში გაგზავნის გარდა, აუცილებელი იყო ზურგის გამაგრებაც, რაც ფრონტზე არსებულ შენაერთებს საშუალებას მისცემდა, დაკისრებული მიზნები უფრო მარტივად შეესრულებინათ. 28 ივნისიდან საქმეში უკვე სახალხო გვარდია ერთვება (ვალიკო ჯუღელის მეთაურობით) და აქტიური სამხედრო ოპერაციების წარმოებას იწყებს. აღსანიშნავია, რომ სახალხო გვარდიის მეთაური ლაშქრობის დასაწყისში იმედს გამოთქვამდა, რომ შეძლებდა აჯანყებულებისგან „ჯანსაღი ელემენტების“ ჩამოცილებას, ასევე ხაზს უსვამდა შექმნილ მძიმე მდგომარეობას, რომელიც გულისხმობდა როგორც მაზრაში არსებულ მწვავე სიტუაციას, ისე ახალგაზრდა რესპუბლიკის წინაშე მდგარ საგარეო გამოწვევებს. საკუთარი მოსაზრებების გამოთქმის შემდეგ 28 ივნისს დათარიღებულ ჩანაწერში ვალიკო ჯუღელი უკვე უშუალოდ აღწერს საომარ მოქმედებებს: *„ეხლახან დავიკავეთ ბებრის-ციხე და ამ ციხე-სიმაგრის მთელი რაიონი... 5 საათზე ჩვენ 14 ზარბაზნიდან გაეხსენით ცეცხლის ქარიშხალი ბებრის ციხეზე, რომელშიაც ჩასხდნენ მუამბოხნი. საუცხოვო იყო შთაბეჭდილება... ბანდები გაიქცნენ, გაიქცნენ ისე, რომ არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწევიათ უკან არც კი მოუხედაით და „ბრძოლის ველზე“ მიატოვეს ტყვეის-ფერქვეველები და ყოველი სურსათი. კარგი დასაწყისია“.*<sup>26</sup> აღნიშნულ დამარცხებას ბოლშევიკი ლიდერები ამბოხებულთა შეიარაღებაში არსებულ დეფიციტს მიაწერენ, ასევე ყურადღებას ამახვილებენ პროფესიონალი სამხედროების მცირე რაოდენობაზე.<sup>27</sup> ამ მხრივ საქართველოს საჯარისო შენაერთები ნამდვილად ჭარბოდნენ აჯანყებულებს, სახალხო გვარდიას ხელმძღვანელობდა მამაცი და კარგი სტრატეგი ვალიკო ჯუღელი, რომლის განკარგულებაშიც იყო როგორც სათანადო ცოდნითა და უნარებით გამორჩეული ოფიცრები ისე, სამ-

<sup>26</sup> В. Джугели. Тяжёлый крестъ. Тифлисъ. 1920, გვ. 26.

<sup>27</sup> ამ მხრივ საინტერესოა გ. ლაფანაშვილის ცნობა, რომელიც აჯანყების დასაწყისშივე, როცა ამბოხებულებმა გამარჯვება მოიპოვეს მთავრობის ჯარებზე, ბოლშევიკ სამხედროებთან დაკავშირებას ცდილობდა, *„ამაში ჩვენ ბევრი ვეძებთ ქართველი ბოლშევიკები, რომლებსაც სათანადო სამხედრო გამოცდილება ექნებოდათ და შესძლებდნენ აჯანყებული გლეხობის სათანადო ხელმძღვანელობას, მაგრამ ჩვენდა სვაღალად ასეთები თბილისში ვერ ვნახეთ“* (იხ. გ. ლაფანაშვილი. დუშეთის აჯანყება 1918 წ., გვ. 26).

ხედრო ტექნიკა (ეს უკანასკნელი მოიცავდა 14 ზარბაზანსა და 2 ჯავშნოსან მატარებელს აღსანიშნავია, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში ჯავშანმატარებლებით მხოლოდ ბებრის ციხეს თუ გაუხსნიდნენ ცეცხლს, რადგან შემდეგ იქით სარკინიგზო ხაზი აღარ გადიოდა). ბებრის-ციხის დაკავება არ ამსუბუქებდა მდგომარეობას, საჭირო იყო ბრძოლის გაგრძელება და პირველ რიგში კი აჯანყების ცენტრის, ღუშეთის დაკავება. 29 ივნისი დაეთმო სამოქმედო გეგმის შედგენას. *„ჩვენ დავეყავით სამ რაზმად: არაგვის მარცხენა ნაპირის მიმართულებით შეტევაზე გადადის არჩილ ფურცელაძის კოლონა, ცენტრში მდის ა.გ. კონიევი, მე და ალექსანდრე მივდივართ ქსანზე“.*<sup>28</sup> 2 ივლისის ჩანაწერებით ჯუღელი კმაყოფილია მიმდინარე სამხედრო კამპანიით : *„ჩვენ ექსპედიცია კარგად მიმდინარეობს. მოსახლეობა უკვე გვეცნობა ჩვენ და საკმარისად კარგად გვპაარებს იარაღს. ჯერჯერობით ცოტაა სისხლი დაღვრილი, რაც მახარებს მე. აქნობამდე ჩაბარებულია 500 შაშხანამდე. პროვოკაცია თანდათან ჰკარგავს ნიადაგს. ჩვენ ვსცდილობთ ყველგან მიტინგების მოწყობას და ჩვენი მოწინავე მუშა გვარდიელები აქტიურად ეწევიან ავითაციას. იარაღის ძალას ჩვენ ვაძლიერებთ ზნეობრივი ძალით“.*<sup>29</sup> ამბოხებულებმა ვერ შეძლეს პოზიციების შენარჩუნება და უკან დაიხიეს. მდინარე არაგვის ადიდების გამო დემოკრატიული რესპუბლიკის ჯარისკაცები ორ ნაწილად გაიყვნენ. არტილერიის სრული დატვირთვით გამოყენება ვერ ხერხდებოდა, რისი მიზეზიც კი იყო ის გარემოება, რომ აჯანყებული გლეხობა ტყიან მთებში იყო გამაგრებული. ამბოხებულების მიზანს სამთავრობო ძალების ვიწროებში შეტყუება და მათი ცალ-ცალკე განადგურება წარმოადგენდა. აჯანყებულების საბრძოლო შემართებაზე დადებითად იმოქმედა დამატებითი ძალების მხარდაჭერადამ თიანეთის მახრიდან. ვერც კონიევის<sup>30</sup> და ვერც ფურცელაძე-გედევანიშვილის შენაერთები ვერ ახერხებდნენ წინ წაწევას. სიტუაცია ჯუღელის მანევრმა გამოასწორა, ამ უკანასკნელმა *„ბაზალეთის თემის სამხრეთ ნაწილი ჩაივლო ხელში და ბაგის-ჭალის ვიწროებში გამაგრებულ გლეხობას ზურგში მოექცა, რის შედეგადაც აჯანყებული გლეხობა იძულებული გახდა მტერს რომ ტყვედ არ ჩავარდნოდა, თავიანთი პოზიციები მიეტოვებიათ და ტყეებში*

<sup>28</sup> В. Джугели. Тяжёлый крестъ, გვ. 26-27.

<sup>29</sup> В. Джугели. Тяжёлый крестъ, გვ. 27-28.

<sup>30</sup> გენერალი ალექსანდრე კონიაშვილი (1873-1951 წწ.) საგანგებო რაზმისა და სახალხო გვარდიის უფროსი სამეგრელოში, იბრძოდა სოჭის ფრონტზე, წმინდა გიორგის ჯვრის კავალერი.

გაფანტულიყვნენ“.<sup>31</sup> ვ. ჯუღელის საჯარისო შენაერთების მოქმედებები ნამდვილად შეგვიძლია შევაფასოთ გარდამტეხად, როგორც ქ. დუშეთის დაკავებაზე, ისე მთლიანი აჯანყების ლიკვიდაციაზე. ერთადერთი რამ, რასაც ამბოხის ხსნა შეეძლო თერგის საბჭოთა რესპუბლიკა იყო. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აჯანყების დასაწყისშივე, დუშეთის მაზრის ბოლშევიკები მთავარ იმედებს საგარეო დახმარებაზე ამყარებდნენ და სწორედ ამ გარემოებით უნდა აიხსნას ის თავგადაკლული ბრძოლა, რასაც დარიალის გამო აწარმოებდნენ. ამბოხებულები შესაძლო დამხმარე ძალების მოსვლამდე, ყველანაირად ცდილობდნენ სახალხო გვარდიის შეკავებას. დემოკრატიული რესპუბლიკის ძალებს თავდაპირველმა წარმატებებმა მისცა იმის საშუალება რომ იერიში უშუალოდ ქ. დუშეთის წინააღმდეგ მიეტანა. დაიწყო მძლავრი საარტილერიო იერიში, რასაც ამბოხებულებმა საკმაოდ საინტერესო სტრატეგია დაუპირისპირეს. „დაიწყო არტილერიის სროლა, მტერი ისვრის ორი ზარბაზნიდან, მაგრამ ჩვენ ვერ ვხედავთ მას. ჩვენს ბატარეას იგი კარგად ხედავს, რომელსაც უშენს მას. ჩვენი არტილერისტები ყოჩაღად იჭერენ თავს. მტრის არტილერია ისვრის სამის გამოკლებით. ყუმბარები სცვივა ბატარეის ირგვლივ და მახლობლად. საჭიროა მტერს მოუჯაროთ ზურგიდან და ამით დავაზიანოთ იგი“<sup>32</sup> წერს ვ.ჯუღელი 4 ივლისით დათარიღებულ თავის მოგონებაში. ამ ცნობას ეხმიანება აჯანყების ერთ-ერთი აქტიური ლიდერის ვ. ცინცაძის მონათხრობიც, რომლის მიხედვითაც ქერანას მთაზე (დუშეთის მახლობლად) არსებულმა ზარბაზნმა დიდი არეულობა შეიტანა მტრის ბანაკში. ამ წინააღმდეგობის დაძლევის საშუალება ვალიკო ჯუღელს, ქსნის ხეობიდან ბაზალეთზე განხორციელებულმა შემოვლამ მისცა. გ.ლაფანაშვილის ცნობით, ამავე დღეს ჯუღელისა და კონიაშვილის შენაერთებმა დუშეთის წინააღმდეგ შეტევა დაიწყეს და შემდგომ დაიკავეს იგი. ამბოხებულები იძულებულნი გახდნენ დაეტოვებინათ, როგორც დუშეთი, ისე ქერანას მთა.

დუშეთის დაკავებამ, ბუნებრივია, დიდი სტრატეგიული და ფსიქოლოგიური უპირატესობა მოუპოვა დემოკრატიული რესპუბლიკის ჯარისკაცებს, მაგრამ როგორც სახალხო გვარდიელებს, ისე მათ ხელმძღვანელობას კარგად ესმოდათ, რომ ამბოხის სრული ლიკვიდაციისთვის არ იყო საკმარისი მხოლოდ მაზრის ცენტრის დაკავება. საჭირო იყო მთლიან მაზრაზე ქართული ხელისუფლების აღდგენა, შეტევის წარმოება ანანურზე, ფასანაურზე, გუდა-

<sup>31</sup> გ. ლაფანაშვილი. დუშეთის აჯანყება 1918 წ., გვ. 65-66.

<sup>32</sup> В. Джугели. Тяжёлый крестъ, გვ. 28.

ურზე და ყველა იმ ადგილზე სადაც აჯანყებულები იყვნენ გამაგრებულნი. მდგომარეობას ართულებდა ისიც, რომ ჯერ კიდევ იყო შესაძლებელი აჯანყებულებს სერიოზული სამხედრო დახმარება მიეღოთ თერგის ბოლშევიკებისაგან. საბრძოლო მოქმედებები გრძელდებოდა, ფურცელაძისა და გედევანიშვილის რაზმები ანანურსიკენ გაემართნენ, რათა მტრის ძალებისთვის ალყა შემოერტყათ, ხოლო კონიაშვილისა და ჯუღელის შენაერთები კი სამხედრო გზით ღუშეთზე და იქიდან ანანურსიკენ. დემოკრატიული რესპუბლიკის საჯარისო შენაერთებმა მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს და ანანური დაიკავეს. ეს ყოველივე კი მინიმალური დანაკრგებით შეძლეს, რასაც ვერ ვიტყვით ამბოხებულებზე, რომლებმაც დაკარგეს 4 ტყვიამფრქვევი და 2 ზარბაზანი, რაც შეეხება ცოცხალ ძალას- 100 მებრძოლი ტყვედ ჩავარდა. გარდა სამხედრო წარმატებისა, სახალხო გვარდიას ხელში ჩაუვარდა მიმოწერა, აჯანყებულებსა და ბოლშევიკებს შორის, რითაც აშკარავდებოდა აჯანყების რეალური ხელმძღვანელები და მათი საბოლოო მიზნები.

8 ივლისს დემოკრატიული რესპუბლიკის ჯარისკაცები ფასანაურსიკენ დაიდრნენ, სადაც ვიწრო ხეობაში აჯანყებულები იყვნენ გამაგრებულნი. ამბოხებულების საბრძოლო შემართება ერთიათად აამაღლა ჩრდილო კავკასიიდან ჩამოსულმა ბოლშევიკურმა რაზმმა, რომლის მეთაური იყო ს. ქავთარაძე, უშუალოდ სამხედრო მოქმედებებს კი ს. გაგლოვი ხელმძღვანელობდა. რაზმში შედიოდა 60 კაცი, ქავთარაძის განცხადებით შენაერთი გამოგზავნილი იყო რკპ (ბ) სამხარეო კომიტეტის მიერ, აღსანიშნავია რომ ამ რაზმთან ერთად იყვნენ რუსი არტილერისტებიც, ორი ზარბაზნით.<sup>33</sup> დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად. ჯუღელის შენაერთებმა შეძლეს მოწინააღმდეგის დამარცხება, ამბოხებულებმა მლეთისკენ დაიხიეს.

გლაფანაშვილის ცნობებით, ფასანაურში მოპოვებული გამარჯვების მერე დემოკრატიული რესპუბლიკის საჯარისო ნაწილები ორად გაიყვნენ, პირველი ნაწილი კონიაშვილ-გედევანიშვილის ხელმძღვანელობით საქართველოს სამხედრო გზის მიმართულებით დაიძრა, ხოლო მეორე ნაწილი ჯუღელ-ფურცელაძის ხელმძღვანელობით გეზი აიღო გუდამაყრის ხეობისკენ. ამ მანევრით ჯუღელს სურდა გზა გადაეჭრა უკანდახეული ამბოხებულებისთვის. 12 ივლისს გამართული შეტაკების შემდეგ აჯანყებულებმა გუდაურის სიმაღლეებიც დატოვეს და ყაზბეგამდე დაიხიეს. გამარჯვებების პარალელურად ვ. ჯუღელი აქტიურად ცდილობდა კონტაქტის დამყარებას სტეფანწმინდაში

<sup>33</sup> ა. ართილაყვა, ღუშეთის გლეხთა აჯანყება 1918 წელს, გვ. 89.

მყოფ იმ პირებთან, რომლებიც მზად იყვნენ სახალხო გვარდიასთან ერთად ებრძოლათ ბოლშევიკი ამბოხებულების წინააღმდეგ, ამას ადასტურებს ს. შადურის ცნობებიც, რომლის მიხედვითაც 10 ივლისს მოხვევ ჯარისკაცის გრიგოლ ავსაჯანიშვილის მეშვეობით ვ. ჯუღელი ატყობინებდა როგორმე მთავრობის ერთგული სოფლების წარმომადგენლებს დარიალი გაემარებინათ. სამწუხაროდ დარიალის დასაცავად სოფლებიდან სამხედრო რაზმების ორგანიზება ვერ მოხერხდა, თუმცა 30-მდე ახალგაზრდა გულამაყრისკენ გაემურა ვ. ჯუღელის სამხედრო რაზმებთან შესაერთებლად. სამხედრო წარმატებები დემოკრატიული რესპუბლიკის მესვეურებს კონტროლქვეშ უბრუნებდა ამბოხებული მაზრის ტერიტორიებს და შემდგომი წინსვლის წინაპირობებს ქმნიდა. გულაურთან მოპოვებული გამარჯვების შემდგომ გელევანიშვილის საბრძოლო შენაერთმა კობი დაიკავა. აჯანყებულებმა სამშვიდობო დელეგაცია გამოაგზავნეს, მაგრამ სიტუაცია მაინც დაძაბული რჩებოდა. ამ ყოველივეს მიზეზი კი ჩრდილოეთ კავკასიიდან საშა გეგეჭკორის რაზმის შემოსვლა გახლდათ. უშუალოდ საბრძოლო მოქმედებებში ჩართვამდე, ვლადიკავკაზში გეგეჭკორის რაზმს შეხვდნენ სამხარეო კომიტეტის წარმომადგენლები ფ. მახარაძის ხელმძღვანელობით. ს. შადურის ცნობებით, საშა გეგეჭკორის ბოლშევიკურმა ნაწილმა გამოჩენისთანავე (11 ივლისი) აგრესიული პოზიცია გამოამჟღავნა და შესაძლო წინააღმდეგობის გაწვევისთვისაც ყაზბეგელებს აოხრებით დაემუქრა. 12 ივლისს უკვე ადგილი აქვს კონფრონტაციას (ბოლშევიკები სტეფანწმინდლებისგან იარაღის ჩაბარებას ითხოვენ), დემოკრატიული რესპუბლიკის ჯარების დაგვიანებასთან ერთად ზიანი ადგებოდა ბევრი ადგილობრივის თვითრწმენას. მიუხედავად მსგავსი განწყობისა, რამდენიმე ათეულმა სტეფანწმინდელმა უარი განაცხადა იარაღის ჩაბარებაზე (სიმონს შადურის მეთაურობით) და თავი ირგვლივ მდებარე მთებს შეაფარეს. სამწუხაროდ თავი გარიდება ვერ მოასწრო საქართველოს ბევრმა პატრიოტმა, ერთ-ერთი ასეთთაგანი იყო მღვდელი ბართლომე ლუღუშაური, „*უმთავრესი მიზეზი ყაზბეგის ურჩობისა იყო ყაზბეგის მღვდელი ლუღუშაური, რომელიც მოუწოდებდა ხალხს წინააღმდეგობისკენ, მასვე აღმოაჩნდა ტყვეისმფრქვეველი ეკლესიაში დამკლული*“;<sup>34</sup> ასკვნიდა აჯანყების ერთ-ერთი აქტიური მონაწილე ვიქტორ ცინცაძე. სიმონ შადური სინანულს ვერ მალავდა მღვდლის ტყვედ ჩაგდების გამო და შემდეგნაირად ახასიათებდა მას: „*ეს ის მღვდელია, რომელსაც ერთ ხელში ჯვარი უჭირავს, მეორეში ხმალი და ამ ხმალს მამინ ხმარობს, თუ*

<sup>34</sup> ვ. ცინცაძე. დუშეთის აჯანყების ხუთი წლის თავზე, გვ. 4.

ვინმე წმინდა ჯვრის შებღალვას მოისურვებს.<sup>35</sup> მიუხედავად უკანდახევისა, შადური და მისი რაზმი არ აპირებდა პოზიციების დათმობას, რაზმის გეგმაში შედიოდა იერიშის მიტანა, დარიალის ციხის „კრეპოსტის“ მიმართულებით და სახალხო გვარდიისადმი მხარდაჭერის აღმოჩენა. ბუნებრივია, ამ პერიოდში ვ. ჯუღელსა და სახალხო გვარდიას, სამხედრო კამპანიის წარმოება არ შეუწყვეტია, შემდგომ განვითარებული პროცესების აღსაქმელად აუცილებელია გავეცნოთ სახალხო გვარდიის მეთაურის მოგონებებს :

12 ივლისი 1918 წ. კარკუჩა- ..... ყაზბეგში კავკაიდან ამოვიდა საშა გვეგეჭკორის რაზმი. ეს ჩვენთვის ხელსაყრელი. დაილუპება ეს რაზმი... ყაზბეგის მთა მიიმაღლა ღრუბლებში... ამაყი ძლიერი და მკაცრი ყაზბეგი...

13 ივლისი 1918 წ. სნო- გუშინ ღამით ჩვენთან ჩამოვიდა ლომთათიდის გუნდი. მან ერთ ღღის განვმალობაში გააკეთა გადასვლა ფასანაურთან! ეხლა ჩვენ საკმარისი ძალები გვყავს-250 ხიშტი 8 ტყვიისმფრქვევლით. ჩვენ უკვე შეგვიძლია ვიმოქმედოთ ყოჩაღად და გადამწყვეტით.....

13 ივლისი 1918 წ. აჩხოტი- 11 ს. ჩვენ უკვე დავიკავეთ აჩხოტის ციხე-სიმაგრე, რომელიც მდებარეობს სამხედრო ვზაზე. ამხარად მტერს გადავუჭერთ ვზა! ზოგიერთებმა, ალბად, ღამით მოასწრეს ყაზბეგში გავარდნა და ეხლა ისინი ზარბაზნებს უშენენ იმ მთების სიმაღლეებს და მწყევრვლებს, რომლებიდანაც ჩამოდიოდა ლომთათიდის გუნდი. მაგრამ მე ძვერა, რომ მოხვევები მათაც გადაუჭრიან ვზას, და მთელი სოციალისტური რაზმი გვეგეჭკორის ჩაგვივარდება ხელში! მთავარი სიმაღლენი უკვე ჩვენს ხელშია!....

14 ივლისი 1918 წ. ყაზბეგი- გუშინ საღამოთი დავამწყვდიეთ ბოლშევიკები. მთლად განადგურდნენ ისინი. წავართვით მათ ორი ზარბაზანი, ოთხი ბომბის-მფრქვეველი, ტყვიისმფრქვევლები, მთელი ბარგი-ბარხანა და ორასი ტყვე. საშა გვეგეჭკორის ბოლშევიკური რაზმიდან აღარაფერი დარჩა. დატყვევებულთა შორის არის დაჭრილი თომა ჩუბინიძე და სოხუმელი შანტაჟისტი მიშა გვეგეჭკორი.... განადგურებელი მტერი წარმოადგენდა საცოდავ, უბედურ სანახაობას. ჩვენ იგი მოვიმწყვდიეთ დარიალის ვიწრო ხეობაში, პრონესი გოსპოდის და გველეთის ხიდს შორის. ამ ადგილას მდებარეობს პატარა სოფელი ცლო, რომელმაც ითამაშა ბოლშევიკებისთვის საბედისწერო როლი.. მტერს არავითარი საშველი აღარ გააჩნდა. წინ ჩაუსაფრდნენ მოხვევები და ჩვენი ტყვიის-მფრქვევლები, მარჯვნივ გაცოფებული თურგი მოავორებდა თავის მღვრიე ტალღებს. მარცხნით მიდიოდა ზევით, ციცაბო მაღალი კლდეები,

<sup>35</sup> ს. შადური. ღუშეთის მაზრის ამბოხი და სტეფანწმინდაზე გალაშქრება, გვ. 3.

უკანდან აწვებოდნენ ჩვენები... ამნაირად გაკეთდა საბედისწერო, სასიკვდილო რკალი! მაგრამ საშა გეგეჭკორმა მოასწრო ამ რკალიდან გასხლტომა. მან თავს უშველა პირველ რიგში. ასეთია მისი ტაქტიკა...<sup>36</sup>

როგორც ვ. ჯუღელი ისე ბოლშევიკი ამბოხებულები მიუთითებდნენ, რომ გეგეჭკორის რაზმის დამარცხებასთან ერთად აჯანყებულთა საბრძოლო შემართებაზე განსაკუთრებული ზიანის მომტანი გამოდგა ბოლშევიკური რაზმების მეთაურის კ. ჭიჭინაძის დაღუპვა. საბოლოოდ 15 ივლისს დარიალის ციხე-სიმაგრის დაკავებით, დასრულდა დუშეთის მაზრის გათავისუფლების პროცესი ამბოხებულებისგან.

### დასკვნა

1918 წლის დუშეთის მაზრის ბოლშევიკური ამბოხი სრული მარცხით დამთავრდა, მთავრობის საჯარისო შენაერთებმა სრულად შეძლეს დუშეთის მაზრის ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის აღდგენა, დაიცვეს ქვეყნის სუვერენიტეტი და ერთიანობა. დემოკრატიული მთავრობის საჯარისო შენაერთებმა არ მისცეს ამბოხებულებს იმ გეგმის განხორციელების უფლება, რაც მათ 3 წლის შემდგომ განახორციელებს. „*ლენინის მთავრობა ჩქარობდა დარიალის ხელში ჩაგდებას და საქართველოს დამოუკიდებლობის განადგურებას, რათა ღენიკინთან ბრძოლაში ზურგი ჰქონდა გამაგრებული*“.<sup>37</sup> ამის გათვალისწინებით ცხადია თუ რა დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა სამოქალაქო ომში ჩაფლული ბოლშევიკებისთვის დარიალისა და საქართველოს დაკავებას. აჯანყების წარმატებით დაგვირგვინებება, შემდგომი წინსვლის წინაპირობებს ქმნიდა. ახალგაზრდა რესპუბლიკა დიდი გამოწვევის წინაშე იდგა. აჯანყების ორგანიზატორების გეგმები არ შეძლივარგლებოდა კონკრეტული მაზრის ამბოხით და იქ საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებით, ის უფრო შორსმომავალი და საშიში იყო საქართველოსთვის. ბუნებრივია, ისმის შეკითხვა, 1918 წლებში მომხდარ გამოსვლებს შორის, თუ რატომ ანიჭებდნენ ბოლშევიკები დუშეთის მაზრის აჯანყებას დიდ პოლიტიკურ-სტრატეგიულ მნიშვნელობას? პირველი მიზეზი ის გახლდათ, რომ მაზრა ტერიტორიულად საკმაოდ ახლოს იყო ტფილისთან, მეორე მიზეზიც ტერიტორიული სიახლოვით საბუთდებოდა, ოღონდ არა ტფილისთან არამედ

<sup>36</sup> В. Джугели. Тяжёлый крестъ, გვ. 32-35.

<sup>37</sup> ჯ. წიკლაური. დარიალის დამცველნი, გვ. 8.

ჩრდილოეთ კავკასიასთან. ამ უკანასკნელიდან ცდილობდნენ ამბოხებულები გადამწყვეტი დახმარების მიღებას და აჯანყებაში გარდატეხის შეტანას. ხოლო მესამე მიზეზი პირდაპირ იყო დაკავშირებული ბოლშევიკების სააგიტაციო საქმიანობის ხელშეწყობასთან. საქმე ეხებოდა იმ მიწებს, რომელსაც ჯერ კიდევ ფლობდა თავად-აზნაურობა და რომელთა ხელში ჩაგდებასაც პირდებოდნენ მაზრის მოსახლეებს აჯანყების წარმატებით დამთავრების შემთხვევაში.<sup>38</sup>

ამბოხის წარმატებით დასრულება ზიანს არ აყენებდა რომელიმე მიწის მესაკუთრეს ან მთავრობის წარმომადგენელს, ის ანადგურებდა ეროვნული და დამოუკიდებელი სახელმწიფოს იდეას და ყველა მის ერთგულ მხარდამჭერს. დემოკრატიული რესპუბლიკის დამხობა მთლიანად ცვლიდა საქართველოს ისტორიას. არსებული ამბოხის დროს, მიუხედავად დამოუკიდებლად ყოფნის მცირე დროისა, სუვერენიტეტისა და დემოკრატიული ღირებულებების დაცვა, როგორც რევულარული არმიის ჯარისკაცის, ისე რიგითი მოქალაქის მთავარი საზრუნავი გახდა. განსაკუთრებით ალტაცებას იწვევს სიმონ შადურის მეთაურობით სტეფანწმინდელთა ბრძოლა მტრის წინააღმდეგ, რომლებიც ყველაზე კრიტიკულ მომენტშიც კი რესპუბლიკის გვერდში დადგნენ და დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს ბოლშევიკთა რაზმებს. ბრძოლის გარდა, ეს უკანასკნელნი არგუმენტირებულად ცდილობდნენ აეხსნათ ამბოხებულებისთვის, რომ მთავრობის წინააღმდეგ წასვლა უკანანო და საფრთხის შემცველი გახლდათ. აღსანიშნავია რომ სტეფანწმინდელთა მებრძოლი შენაერთები, რომლებიც ვალიკო ჯუღელთან იბრძოდნენ 1918 წელს ღუშეთის მაზრაში, შემდგომში აქტიური მონაწილეობა მიიღეს 1920 წელს ცხინვალში მომხდარი ბოლშევიკური გამოსვლის ჩახშობაში.<sup>39</sup>

შადურის, ჯუღელის და სხვ. მსგავსი ღირსეული ადამიანების წყალობით საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად წარმოებული ბრძოლა მარცხით დამთავრდა. ამბოხის მარცხს ჰქონდა თავისი ობიექტური მიზეზები. უპირველეს ყოვლისა კი მათ შორის იყო, როგორც ბოლშევიკური ხელისუფლების სისუსტე ჩრდილოეთ კავკასიაში, ისე მუდმივი კავშირის არქონა ამბოხებულებსა და კავკასიის საოლქო კომიტეტს შორის.

ნარკვევის შექმნის მიზანი იყო წარმოდგენა შეგვექმნოდა 1918 წლის ივნის-ივლისში ღუშეთის მაზრაში მიმდინარე პროცესებზე, გაგვეაზრებინა თუ

<sup>38</sup> გ. ლაფანაშვილი. ღუშეთის მაზრის აჯანყება 1918 წელს., გვ. 3.

<sup>39</sup> ჯ. წიკლაური. დარიალის დამცველნი, გვ. 58-59.



რა საშიშროებას წარმოადგენდა ბოლშევიკური ამბოხი და რა შედეგები მოჰყვებოდა აჯანყების წარმატებით დამთავრებას. ამავედროულად აგვესახა ის უდიდესი ღვაწლი, რაც გაწიეს, როგორც დემოკრატიული რესპუბლიკის საჯარისო შენაერთებმა (ვალიკო ჯუღელი მეთაურობით), ისე დამოუკიდებლობისთვის მებრძოლმა სტეფანწმინდელთა რაზმებმა. მათი ერთობლივი მოქმედება საქართველოს სუვერენიტეტისა და ერთიანობის დაცვისთვის ბრძოლის ბრწყინვალე მაგალითია.

*Lasha Chantladze*

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

## **THE BOLSHEVIK REVOLT IN DUSHETI REGION IN 1918**

### Summary

The following work focuses on the events taking place in the Dusheti region (mazra) in June-July 1918. The paper also touches upon the contribution of the armed forces of the Democratic Republic (under Valiko Jugheli's leadership) and the Stepantsminda soldiers. Their joint battles were a good example of the struggle for sovereignty and territorial integrity of Georgia.

The declaration of independence by the National Council on May 26, 1918 was followed by anti-government demonstrations. Among them the revolt in Dusheti region (mazra) was caused by several circumstances. The foremost reason was the territorial proximity of the region to Tbilisi and the North Caucasus from where the rebels sought assistance. Moreover, the part of landowners stated on the spot and that made a good ground for Bolshevik agitation. The peasant units were established and supplied. Active coordination work was carried out by the Bolshevik party and the soldiers which returned from the front. Successful completion of the uprising did neither damage any landowner nor government officials, though it was destroying the idea of national and independent state.

The overthrow of the democratic republic changed entire history of Georgia. During the rebellion, despite the short period of independence, sovereignty and democratic values became the main concern of regular soldiers and ordinary citizens. The battle of Stepantsminda led by Simon Shaduri, who at the most critical moment stood by the Republic and resisted Bolshevik squads, is fascinating. Apart from combating, he tried to explain to the rebels that going against the government was illegal. It is noteworthy that the combatants who fought with Valiko Jugheli in Dusheti region (mazra) in 1918, subsequently took an active part in the crackdown of Bolshevik demonstrations in Tskhinvali in 1920.

The Bolshevik revolt of 1918 in Dusheti region ended with a complete defeat and the government forces managed to fully restore the jurisdiction of Georgia in the territory of Dusheti and protected sovereignty and unity.

*კახაბერ ყალიჩავა*  
დოქტორანტი, თსუ

**კოსოვო, აფხაზეთი, ცხინვალის რეგიონი – თანამედროვე  
კონფლიქტური რეგიონების ისტორიული განვითარების  
საერთო და განმასხვავებელი ტენდენციები:  
XIX საუკუნის დასაწყისიდან XX საუკუნის 20-იან წლებამდე**

2008 წლის 17 თებერვალს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ, უშიშროების საბჭოს დასტურის გარეშე, გამოცხადდა კოსოვოს დამოუკიდებლობა. აღნიშნული ფაქტი მორიგ „განხეთქილების ვაშლად“ იქცა რუსეთსა და დასავლეთს შორის.

**„ბალკანური ქრისტიანობის ისტორიული მფარველის“** (ავტორის ხაზგასმა კ.ყ) – კრემლისთვის კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარება პირდაპირ უკავშირდებოდა საკუთარი გავლენის შესუსტებას და შესაბამისად, დასავლური პოლიტიკური გავლენის ზრდას ბალკანეთის რეგიონში. მოსკოვში დაიწყო დასავლეთისთვის კოსოვოს დამოუკიდებლობის გამოცხადების საპასუხო გეგმების შექმნა, რაშიც კრემლმა, კიდევ ერთხელ, წარმატებით გამოიყენა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში შექმნილი ვითარება.

ამერიკელი დიპლომატისა და პოლიტიკური ანალიტიკოსის რონალდ დიტრიხ ასმუსის მიხედვით, კოსოვოს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან მხოლოდ ოთხი დღის შემდეგ ვლადიმირ პუტინისა და მიხეილ სააკაშვილის შეხვედრისას მოსკოვში, პუტინმა ფაქტობრივად პირდაპირ განაცხადა რუსული გეგმების შესახებ საქართველოში, იგი საქართველოს პრეზიდენტს შემდეგნაირად დაემუქრა: „*აუცილებელია რეაგირება იმაზე, რაც ევროპამ კოსოვოში მოიმოქმედა; მართალია, ვწუხვარ, მაგრამ თქვენც ამ პასუხის ნაწილად*

მოიაზრებით...“<sup>1</sup> ამ სიტყვებიდან ექვსი თვის შემდეგ, 2008 წლის აგვისტოში საქართველოში ომი დაიწყო.

პუტინის თქმით, კოსოვოს დამოუკიდებლობის გამოცხადებით დასავლეთმა „პანდორას ყუთი“ გახსნა: „რა უნდა ვუპასუხოთ კავკასიის ხალხებს? რატომ არის შესაძლებელი კოსოვოს დამოუკიდებლობის მოპოვება და რატომ არ არის შესაძლებელი ეს აქ?“<sup>2</sup> ამგვარად, დასავლეთისთვის პასუხის გაცემის მიზნით, რუსეთმა სერბეთის ტერიტორიული მთლიანობის და სუვერენიტეტის „დაცვა“ ქართული სახელმწიფოს იმავე პრინციპების შელახვის ხარჯზე სცადა.<sup>3</sup>

აღნიშნული ფაქტებისა და იმის გათვალისწინებით, რომ „მუდამ არსებობს რუსული შეხედულება მოცემულ ვითარებაზე“,<sup>4</sup> ცხადი ხდება თუ რამდენად მოხერხებულად გამოიყენა რუსეთმა კოსოვოს დამოუკიდებლობის გამოცხადების ფაქტი პოსტ-საბჭოთა სივრცეში საკუთარი გავლენის გასაფართოებლად.

ნაშრომის მიზანია კოსოვოსა და საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ კონფლიქტებს შორის არსებითი განსხვავებების გამოკვეთა, ხაზგასმა იმისა, რომ მიუხედავად გარკვეული საერთო შტრიხებისა, აღნიშნული კონფლიქტები არსითა და ბუნებით ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავდება.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად, ნაშრომი ითვალისწინებს კოსოვოს,

<sup>1</sup> რ. დ. ასმუსი. მცირე ომი, რომელმაც მსოფლიო შეძრა. საქართველო, რუსეთი და დასავლური სამყაროს მომავალი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბ. 2010, გვ. 115. სამწუხაროდ, აღნიშნული ფრაზის რუსული ორიგინალის მოძიება შეუძლებელი აღმოჩნდა. თავად რ. ასმუსს ეს ფრაზა მოტანილი ჰყავს ქართული წყაროდან: «*Необходимо срочно отреагировать на то, что случилось в Европе с Косово. Мы сейчас продумываем, как отнестись к этой проблеме. Вы должны помнить, что мы находимся под огромным давлением со стороны республик Северного Кавказа и должны ответить на их солидарность с Абхазией и Южной Осетией. Непонятно, зачем американцам кампания исламизации Европы. После того как албанцы проглотили Косово, они будут пытаться расширяться за счет Македонии. Вы знаете, что придется дать ответ Западу на Косово. И, как мы ни сожалеем, но, видимо, Вы станете частью этого ответа.*» – Рональд Д. Асмус. Маленькая война, которая потрясла мир. Грузия, Россия и будущее запада. Изд. Парнас. Тб. 2010, გვ. 125.

<sup>2</sup> В. Путин: Почему Косово можно получить независимость, а Абхазии и Осетии нельзя? იხ.: <http://www.nedelia.lt/world/4996-v.putin-pochemu-kosovo-mozhno-poluchit.html>

<sup>3</sup> აღსანიშნავია, რომ რუსეთი იმავე რიტორიკას მიმართავდა უკრაინის კრიზისის დროსაც. იხ.: Если можно Косово, почему нельзя Донбассу? <http://www.politnavigator.net/esli-mozhno-kosovo-pochemu-nelzya-donbassu.html>

<sup>4</sup> “There’s always a Russian way to look at a situation”. იხ.: P. Pomerantsev. Yes, Russia Matters: Putin’s Guerilla Strategy. World Affairs. Vol. 177. Issue 3. September-October 2014, გვ. 16.

აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების კონფლიქტების გენეზისის კვლევას XIX საუკუნის დასაწყისიდან XX საუკუნის 20-იან წლებამდე პერიოდის ისტორიული ანალიზისა და განვითარების თავისებურებების კვლევის საფუძველზე. ეს თავის მხრივ, საშუალებას მოგვცემს ღრმა სამეცნიერო-ისტორიული ანალიზზე დაყრდნობით, მოვახდინოთ იმ მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენა, რამაც ეს კონფლიქტები შემდგომში გამოიწვია და თავის მხრივ, ამ კავშირების ურთიერთშედარებით, გამოვკვეთოთ ამ კონფლიქტური რეგიონების ისტორიული ცხოვრების მახასიათებელი საერთო და განმასხვავებელი ასპექტები.

### კოსოვო

XIX საუკუნის დასაწყისში ბალკანეთის ნახევარკუნძული ოსმალეთის იმპერიის გავლენის ქვეშ იყო მოქცეული. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა, რომელსაც აღნიშნულ ტერიტორიაზე ამ პერიოდში ჰქონდა ადგილი, იყო ორი სერბული რევოლუცია – 1804-1813 და 1814-1815 წლებში,<sup>5</sup> რომელთა შედეგად სერბებმა ოსმალეთის იმპერიაში საკუთარი წარმომადგენლობითი ორგანოს შექმნის უფლება მოიპოვეს. ამიერიდან სერბები თავად განკარგავდნენ საგადასახადო და სხვა შიდაპოლიტიკურ საკითხებს. ამ მოვლენებმა საფუძველი ჩაუყარა სერბეთის ავტონომიური სამთავროს შექმნას 1833 წელს ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში.<sup>6</sup>

აღსანიშნავია, რომ კოსოვოს რეგიონი ამ პერიოდში არ შედიოდა სერბეთის ავტონომიური სამთავროს შემადგენლობაში, იგი კოსოვოს ვილაიეთის სახელით იმართებოდა ოსმალურ ადმინისტრაციიდან ალბანელი ბეგების მიერ.<sup>7</sup>

ოსმალთა მმართველობის წინააღმდეგ იბრძოდა ამ პერიოდში ასევე ალბანელი ხალხი. 1836 წლიდან მოყოლებული, მიუხედავად მასობრივი წინააღმდეგობისა, ოსმალეთის იმპერიის მმართველობა მაინც ცდილობდა ფართომასშტაბიანი ადმინისტრაციული რეფორმების გატარებას ალბანელებით დასახლებულ რეგიონებში. ამ პერიოდში ოსმალეთის იმპერიაში შედიოდა

---

<sup>5</sup> B. Jelavich. History of the Balkans. Eighteenth and Nineteenth centuries. Vol. I. Cambridge University press. New York. 1995, გვ. 193-204.

<sup>6</sup> M. Vickers. Between Serb and Albanian. A History of Kosovo. Columbia University Press. New York. 1998, გვ. 30.

<sup>7</sup> T. Judah. Kosovo. What everyone needs to know. Oxford University Press. New York. 2008, გვ. 35. / А. Я. Маначинский, Д. О. Денисов Косово и Метохия: Между автономией и сепаратизмом. История и современность. Москва. 2014, гв. 25.

იანინის, ბიტოლას და რუმელიის ალბანური ვილაიეთები. 1865 წელს შეიქმნა შკოდერის ვილაიეთი.<sup>8</sup>

რაც შეეხება მოსახლეობას, აღსანიშნავია, რომ კოსოვოს რეგიონში მოსახლეობის უმეტესობას სერბები შეადგენდნენ, როგორც საუკუნის დასაწყისში, ასევე 60-70 იან წლებში, როდესაც უკვე ალბანური ეროვნული მოძრაობა იკრებს ძალას ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში. XIX საუკუნის სერბი გეოგრაფის მილოშ მილოვეჩის მიერ შედგენილი რუკების მიხედვით ვადგენთ, რომ 60-70 იან წლებში კოსოვოს რეგიონში 483 სერბული და მხოლოდ 92 ალბანური დასახლება ყოფილა.<sup>9</sup> სერბი მეცნიერის მირჩეტა ვემიჩის მიხედვით, ამ პერიოდში ადგილობრივ ფაშებს, სერბეთის სამთავროს გავლენისგან თავის დასაღწევად დაუწყიათ კოსოვოს რეგიონის ხელოვნური კოლონიზაცია ეთნიკურად ალბანელი მოსახლეობის ჩამოსახლებისა და სერბთა საკუთარი სახლებიდან განდევნის ხარჯზე.<sup>10</sup>

უფრო ზუსტი ციფრები კოსოვოს ვილაიეთის მოსახლეობის შესახებ მოცემულია ავსტრიელი პოლკოვნიკის პიტერ კუკულის ნაშრომში, რომელიც მან 1871 წელს ავსტრია-უნგრეთის არმიისთვის მოამზადა. პოლკოვნიკ კუკულის კვლევა მოიცავს პრიზრენის რაიონს, სადაც ამ დროისთვის 500 000 ადამიანი ცხოვრობდა. მათგან სერბები წარმოადგენდნენ მოსახლეობის 64% (318 000 ადამიანს), ალბანელები 32 % (161 000), რუმინელი ბოშები და ჩერქეზები 10 000 ადამიანს, ხოლო თურქები კი 2000 ადამიანს.<sup>11</sup>

1876-1878 წლების სერბეთ-ოსმალეთის ომის პერიოდში 30 000 – 70 000 ალბანური წარმოშობის მუსლიმი იქნა გადასახლებული ნიშის სანჯაყიდან კოსოვოს ვილაიეთში სერბული არმიის შეტევის შემდგომ.<sup>12</sup> ამას მოჰყვა 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომი, რომელშიც ჩაერთვნენ სერბეთისა და მონტენეგროს სამთავროებიც. ისინი ომის დასრულების შემდგომ – სანსტეფანოს ზავის პირობების მიხედვით დამოუკიდებელ სახელმწიფოებად გა-

<sup>8</sup> B. Jelavich. History of the Balkans. Eighteenth and Nineteenth centuries. Vol. I, გვ. 363.

<sup>9</sup> M. Vemic. Serbs in Kosovo and Metohija in the Second Half of the 19<sup>th</sup> Century According to an Ethnic Map of a part of Old Serbia. "Forum geographic". Volume 10. Issue 2. The Geographical Institute of the Serbian Academy of Sciences and Arts. December 2011, გვ. 257.

<sup>10</sup> M. Vemic. Serbs in Kosovo and Metohija in the Second Half of the 19<sup>th</sup> Century According to an Ethnic Map of a part of Old Serbia, გვ. 256.

<sup>11</sup> Kosovo population data-points. იხ.: [http://www.fact-index.com/k/ko/kosovo\\_population\\_data\\_points.html](http://www.fact-index.com/k/ko/kosovo_population_data_points.html)

<sup>12</sup> D. Stefanović. Seeing the Albanians through Serbian eyes: The Inventors of the Tradition of Intolerance and their Critics, 1804–1939. European History Quarterly. № 35. (3). 2005, გვ. 470.

მოცხადდნენ, თუმცა უშუალოდ კოსოვოს ვილაიეთის ტერიტორიის დაკავება ვერ მოახერხეს. სან-სტეფანოს ზავის მესამე მუხლის მიხედვით, სერბეთის სამთავრო იკავებდა ქალაქებს ნიშა და ლესკოვანს.<sup>13</sup> ქალაქი ლესკოვანი, თავის მხრივ შედიოდა მორავული სერბეთის სამთავროს შემადგენლობაში. აღნიშნული სამთავრო კი სამხრეთ-დასავლეთით ესაზღვრებოდა კოსოვოს ვილაიეთს, რომელიც, სან-სტეფანოს ზავის პირობების მიხედვით, სერბეთის ახლად ჩამოყალიბებული, დამოუკიდებელი სახელმწიფოს შემადგენლობაში არ შედიოდა.

ალბანელები, თავის მხრივ, აცხადებდნენ, რომ ომის შემდგომმა დიპლომატიამ ალბანური მიწები სერბეთისა და მონტენეგროს შემადგენლობაში მოაქცია. მონტენეგროს ტერიტორია სან-სტეფანოს ზავის მიხედვით თითქმის გაორმაგდა ქალაქების ნიკშინის, პოდგორიცას და ბარის შეერთებით.<sup>14</sup> გარდა ლოკალური (ბალკანური) მისმტაბებისა, სან-სტეფანოს ზავს ასევე საერთაშორისო მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთისა და ოსმალეთის იმპერიებს შორის დაპირისპირებაში. აღნიშნული ზავის შედეგები კი, ამკარად სერბეთისა და ზოგადად ბალკანეთის ქრიტიანული ქვეყნების მფარველისა და მოკავშირის რუსეთის იმპერიის წისქვილზე ასხამდა წყალს. შექმნილ ვითარებაში, გადაწყდა სან-სტეფანოს ზავის გადაწყვეტილებების გადახედვა, რისთვისაც მოგვიანებით მოწვეულ იქნა ბერლინის კონგრესი.

ამ პერიოდში, კოსოვოს ვილაიეთი ალბანური ეროვნული მოძრაობის კერად გვევლინება. ბერლინის კონგრესის მოწვევამდე სამი დღით ადრე, 1878 წლის 10 ივნისს კოსოვოს ქალაქ პრიზრენში შეიქმნა ალბანური ეროვნულ-პოლიტიკური ორგანიზაცია „პრიზრენის ლიგა“,<sup>15</sup> რომელიც თავიდან, თავად პორტას მხარდაჭერით სარგებლობდა და მიზნად ისახავდა სან-სტეფანოს ზავის მიხედვით ოსმალთა იმპერიისათვის ჩამოშორებული ტერიტორიების დაბრუნების მცდელობას. თუმცა მოგვიანებით, ალბანელებმა აღნიშნული ლიგა საკუთარი ეროვნული ინტერესების დასაცავ ორგანიზაციად აქციეს, რომლის მთავარი იდეაც ალბანური მიწების გაერთიანებასა და ალბანური სახელმწიფოს შექმნაში მდგომარეობდა. ამ მიზნით, ლიგა ითხოვდა ზემოაღნიშნული – იანინას, ბიტოლას, შკოდერისა და კოსოვოს ტერიტორიის გაერთი-

---

<sup>13</sup> Сан-Стефанский прелиминарный мирный договор. <http://www.hist.msu.ru/ER/Etext/FOREIGN/stefano.htm>

<sup>14</sup> Сан-Стефанский прелиминарный мирный договор.

<sup>15</sup> Г. Л. Арш, И. Г. Сенкевич, Н. Д. Смирнова. Кратая история Албании. Рилиндя. Приштина. 1967, გვ. 104-116.

ანებას.<sup>16</sup>

თავისი არსებობის სამი წლის მანძილზე, „პრიზრენის ლიგამ“ მოახერხა – ალბანური ვილაეთის ტერიტორიული ერთეულისა და ჯარის შექმნა. ალბანელები აქტიურად იბრძოდნენ ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ. 1881 წელს შეიქმნა ალბანელთა ღროებითი მთავრობა „პრიზრენის ლიგის“ მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის – იმერ პრიზრენის (1826-1887) მეთაურობით. მიუხედავად ამისა, ოსმალეთის იმპერიის ძალისხმევით, 1881 წელი, ალბანური სახელმწიფოებრიობრივი მისწრაფებებისა და თავად „პრიზრენის ლიგის“ დამარცხების თარიღი აღმოჩნდა.<sup>17</sup>

„პრიზრენის ლიგის“ გარდა, კოსოვოს რეგიონი XIX საუკუნეში სხვა ალბანური ეროვნული ორგანიზაციების კერადაც გვევლინება. მათგან აღნიშვნის ღირსია 1899 წელს კოსოვოს ქალაქ პეიაში დაარსებული – „პეიას ლიგა“ – რომელსაც მეთაურობდა „პრიზრენის ლიგის“ ერთ-ერთი აქტივისტი ჰაჯი ზეკა.

ალბანელი ავტორის, ჰუსნი მუზურის მიხედვით, „პეიას ლიგის“ მთავარი მიზანი, ისევე როგორც, მისი წინამორბედი „პრიზრენის ლიგისა“, იყო ავტონომიური ალბანური ვილაეთის შექმნა ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში. როგორც ცნობილია, აღნიშნული მიზნის მისაღწევად ალბანელები არ ერიდებოდნენ ძალის გამოყენებას კოსოვოს რეგიონის სერბი მოსახლეობის წინააღმდეგ. ზოგიერთი მონაცემით 1876-1912 წლებში კოსოვოს ვილაეთიდან 400 000 მღე სერბის გადასახლება მოხდა ალბანელი ნაციონალისტების მიერ.<sup>18</sup> საბოლოოდ საკუთარ მიზანს ვერც „პეიას ლიგამ“ მიაღწია. ოსმალეთის არმიამ 1900 წელს დაამარცხა ლიგის ჯარები, ხოლო მოგვიანებით 1902 წელს, ოსმალეთის იმპერიის დაკვეთით, სერბი აგენტის მიერ მოკლულ იქნა თავად ჰაჯი ზეკა.<sup>19</sup>

ალბანური ნაციონალიზმის მომძლავრებასთან ერთად, XIX საუკუნის დასასრული და XX საუკუნის დასაწყისი სერბული ნაციონალისტური პროპაგანდის გააქტიურების პერიოლია. 1903 წელს სერბეთის მეფის ალექსანდრ

<sup>16</sup> B. Jelavich. History of the Balkans. Twentieth Century. Vol. II. Cambridge University press. NewYork. 2006, გვ. 84.

<sup>17</sup> Г. Л. Арш, И. Г. Сенкевич, Н. Д. Смирнова. Кратая история Албании, გვ. 110.

<sup>18</sup> П. Искендеров. История Косово: правда и вымысел. об.: [http://www.perspektivy.info/osobaya\\_tema/kosovo/istorija\\_kosovopravda\\_i\\_vymysel\\_2008-02-19.htm](http://www.perspektivy.info/osobaya_tema/kosovo/istorija_kosovopravda_i_vymysel_2008-02-19.htm)

<sup>19</sup> H. Myzyri. Kreu VIII: Lidhja Shqiptare e Prizrenit (1878-1881). Historia e popullit shqiptar: për shkollat e mesme. Libri Shkollor. Prishtinë. 2002, გვ. 182-185.



ობრენოვიჩის მკვლევლობის შემდეგ, სერბეთის სამეფო ტახტს პეტრე კარაგე-ორგევიჩი იკავებს.<sup>20</sup> პეტრეს საგარეო პოლიტიკა სერბეთის სამეფოს საზღვრების გაფართოებაზე იყო ორიენტირებული, რაშიც მეფე მთავარ მფარველად და მოკავშირედ რუსეთის იმპერიას მოიაზრებდა.

ამ პერიოდში ალბანელები მოითხოვდნენ ალბანური ენისათვის ოფიციალური სტატუსის მინიჭებას ალბანური ვილაიეთების ტერიტორიაზე.<sup>21</sup> 1908 წელს კოსოვოს ქალაქ უროშევანში 20 000 შეიარაღებული ალბანელი გლეხი გამოვიდა პროტესტით ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ. აღნიშნული მოძრაობის მეთაურებმა ბაჰრამ გურიმ და ისა ბოლუტინმა სულთანს დეპეშა გაუგზავნეს ალბანური პარლამენტისა და კონსტიტუციის დამტკიცების თხოვნით, თუმცა უშედეგოდ. 1909 წელს კოსოვოს ტერიტორიაზე ალბანელთა მასობრივ ანტი-ოსმალურ საპროტესტო გამოსვლებს ჰქონდა ადგილი.<sup>22</sup>

ალბანელთა და სერბთა დაპირისპირების შემდგომი ეტაპი დაკავშირებულია ბალკანური ომების პერიოდთან – 1912-1913 წწ.,<sup>23</sup> რომელმაც მეტად შეავიწროვა ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში შემავალი ბალკანური ტერიტორიები. ამ ომების შედეგად, კოსოვოს ვილაიეთი სერბებისა და მონტენეგროელების მიერ იქნა დაკავებული. მთლიანად ვილაიეთი გაიყო ოთხ ტერიტორიულ ერთეულად: ზვეჩანის, კოსოვოსა და სამხრეთ მეტოქის რეგიონები სერბეთის სამეფოს შემადგენლობაში შევიდა, ხოლო ჩრდილოეთ მეტოქია კი მონტენეგროს სამეფოს ნაწილი გახდა.<sup>24</sup>

სერბი ისტორიკოსის, ლუშან ბატაკოვიჩის მიხედვით, ბალკანეთის პირველი ომის დაწყებამდე სერბეთის პრემიერ მინისტრმა ნიკოლა პაშიჩმა ალბანელთა ლიდერებს შესთავაზა კოსოვოს ვილაიეთში სერბებისა და ალბანელების თანაცხოვრების პოლიტიკური გეგმა. ამ გეგმის მიხედვით, ალბანელებს სერბეთის სამეფოს შემადგენლობაში ეძლეოდათ რელიგიის, ენისა და კანონმდებლობის თავისუფლება. ამასთან ერთად, პაშიჩის გეგმის მიხედვით უნდა

---

<sup>20</sup> M. Vickers. *Between Serb and Albanian. A History of Kosovo*, გვ. 60.

<sup>21</sup> Г. Л. Арш. И. Г. Сенкевич. Н. Д. Смирнова. *Кратая история Албании*, გვ. 140-160.

<sup>22</sup> H. Myzyri. *Kreu VIII: Lidhja Shqiptare e Prizrenit (1878-1881). Historia e popullit shqiptar: për shkollat e mesme. Libri Shkollor*, გვ. 195-198.

<sup>23</sup> აღნიშნულ ომში ოსმალთა იმპერიის წინააღმდეგ იბრძოდა სერბების, მონტენეგროელების, ბულგარელებისა და ბერძნების კოალიცია, რომელმაც 1912 წელს პორტას დამარცხება შეძლო. 1913 წელს მეორე ბალკანური ომი წამოიწყო პირველი ომის შემდგომი ტერიტორიული მოწყობით უკმაყოფილო ბულგარეთმა ყოფილი მოკავშირეების წინააღმდეგ. შედეგად, ეს ომი ბულგარეთის დამარცხებით დასრულდა.

<sup>24</sup> T. Judah. *Kosovo. What everyone needs to know*, გვ. 38.

შექმნილიყო ალბანელთა საკანონმდებლო ორგანო, რომელიც განაგებდა ალბანელთა რელიგიურ, სამართლებრივ და საგანმანათლებლო საკითხებს.<sup>25</sup>

გარდა ამისა, სერბი მკვლევრის დორდე მიკინის თქმით, სერბები ალბანელებს იარაღითაც ამარაგებდნენ ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ ბრძოლაში. მიუხედავად ამისა, ალბანელებმა სერბების იარაღი თავად სერბების წინააღმდეგ გამოიყენეს ბალკანურ ომებში დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის სახით.<sup>26</sup> ამგვარად, ალბანელები არ აპირებდნენ კოსოვოს ტერიტორიის ადმინისტრაციულ-პოლიტიკური მმართველობის გაზიარებას სერბეთის სამეფოსთან.

საბოლოოდ, ალბანელებმა მიაღწიეს საკუთარ მიზანს როდესაც ბალკანური ომების დასრულების შემდგომ – 1912 წლის 28 ნოემბერს შეიქმნა დამოუკიდებელი ალბანური სახელმწიფო. ამ პროცესს, თავის მხრივ ხელს უწყობდა ავსტრია-უნგრეთის იმპერია, რომელიც ამ დროისათვის უკვე „სამთა კავშირის“ (გერმანია, ავსტრია-უნგრეთი, იტალია შეიქმნა 1879-1882 წლებში) წევრი იყო და ალიანსის ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებდა იმდროინდელი მსოფლიოს მეორე დიდი ბანაკის – ანტანტის (დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, რუსეთი. შეიქმნა 1894-1907 წლებში) წინააღმდეგ. ალბანეთის სახელმწიფოს შექმნით, ავსტრია-უნგრეთი წარმატებით ახერხებდა რუსეთის მოკავშირე სერბებისათვის ადრიატიკის ზღვაზე გასასვლელის ჩაკეტვას და ამით, ბუნებრივია ზღუდავდა რუსეთის გავლენას ადრიატიკის რეგიონში.<sup>27</sup> ამგვარად, ალბანელთა ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის წარმატებით იქნა გამოყენებული იმდროინდელი მსოფლიოს დიდი სახელმწიფოების მიერ, რომელნიც, თავის მხრივ, საკუთარი გლობალური პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებდნენ.

1912 წელს გამოცხადებული პირველი ალბანური სახელმწიფოს ტერიტორია მოიცავდა კოსოვოს ნაწილს, მონასტირის, შკოდერისა და იანინას ვილაიეთებს.<sup>28</sup> ვითარება შეიცვალა 1913 წლის მაისის ლონდონის კონფერენ-

<sup>25</sup> D. Batakovic. Serbia's Kosovo Drama. A Historical perspective. Belgrade. 2012, გვ. 76.

<sup>26</sup> D. Mikić. The Albanians and Serbia during the Balkan Wars. Bela Kiraly & D. Djordjevic, eds., “East Central European Society and the Balkan Wars, War and Society in East Central Europe”. vol. XVIII. Social Science Monographs. Boulder: Columbia University Press New York. 1987, გვ. 165–196.

<sup>27</sup> T. Judah. Kosovo. What everyone needs to know, გვ. 39. / B. Jelavich. History of the Balkans. Twentieth Century. Vol. II, გვ. 99.

<sup>28</sup> P. Eberhardt. Ethnic groups and population changes in twentieth-century Central-Eastern Europe: history, data and analysis. Armonk. New York. 2003, გვ. 356.

ციის შემდეგ, რომელიც პირველი ბალკანური ომის ერთგვარ, დასკვნით დიპლომატიურ აკორდად გვევლინება. აღნიშნულ კონფერენციაზე, რუსეთის იმპერიის ინიციატივით, კოსოვო მთლიანად სერბეთის შემადგენლობაში იქნა მოქცეული.<sup>29</sup> ამგვარად, ბალკანურ ომებს კოსოვოს რეგიონისა და ასევე სერბი და ალბანელი ხალხის ისტორიაში ორი მნიშვნელოვანი მოვლენა მოჰყვა: 1. პირველი ალბანური სახელმწიფოს შექმნა, რომელიც, როგორც ვნახეთ დიდ სახელმწიფოთა პოლიტიკის გაგრძელებას წარმოადგენდა ბალკანეთზე; 2. კოსოვოს რეგიონის ჩართვა თავიდან ახლადშექმნილი ალბანური სახელმწიფოს, ხოლო მოგვიანებით კი სერბეთის სამეფოს შემადგენლობაში.

როგორც ვხედავთ, პირველი მსოფლიო ომის დასაწყისისთვის ყოფილი კოსოვოს ვილაიეთის ტერიტორია უკვე სერბეთის სამეფოს ნაწილს წარმოადგენდა. თავად პირველი მსოფლიო ომი და კონკრეტულად 1915 წელი კოსოვოელი სერბებისთვის, ისევე როგორც თავად სერბული არმიისთვის, მეტად ტრაგიკულ მოვლენებთან არის დაკავშირებული. ამ დროს სერბული არმია ავსტრიული და ბულგარული შეტევების ქვეშ მოექცა ორი ფრონტიდან, სერბებისთვის გადარჩენის ერთადერთ შანსს წარმოადგენდა უკანდახევა კოსოვოსა და ალბანეთის მთიანი მასივების გავლით. სერბულ არმიას თავად სერბული მოსახლეობაც მიჰყვებოდა სხვადასხვა რეგიონებიდან, მათ შორის კოსოვოდანაც. აღნიშნული სერბული ტრაგედიის დეტალები აღწერილი აქვს ფორტიერ ჯონსს – ამერიკელი დამხმარე ორგანიზაციის წევრს, რომელიც მთელი ამ მოქმედების მანძილზე თან ახლდა სერბულ არმიას. მისი ცნობით, 100 000 მდე სერბი დაიღუპა კოსოვოსა და ალბანეთის ველებზე.<sup>30</sup>

ამ მოვლენების შემდგომ, კოსოვოს რეგიონზე კონტროლი დაამყარა ჰაბსბურგთა იმპერიამ. კიდევ ერთხელ მოხდა რეგიონის დაყოფა გავლენის ზონებად: მეტოქია შევიდა მონტენეგროს სახელმწიფოს შემადგენლობაში, ხოლო პრიშტინის, პრიზრენის, გნილანეს, უროშევანის და ორაჰოვანის ტერიტორიები შევიდა მაკედონიის სახელმწიფოს ბულგარულ სამხედრო რეგიონში. 1916-1918 წლებში ავსტრია-უნგრეთის იმპერიის ადმინისტრაციის ხელშეწყობით, კოსოვოს რეგიონში გაიხსნა 300 ზე მეტი ალბანურენოვანი

---

<sup>29</sup> T. Rakowska-Harmstone, P. Dutkiewicz, A. Orzelska. New Europe: the impact of the first decade. Institute of Political Studies. Polish Academy of Sciences. Warsaw. 2006, გვ. 37.

<sup>30</sup> F. Jones. With Serbia into Exile. An American's Adventures with the Army that cannot die. The Century CO. New York. 1916.

სკოლა.<sup>31</sup> ბუნებრივია, ამ ღონისძიებების მიზანს წარმოადგენდა რეგიონში ალბანური გავლენის მომძლავრება და შესაბამისად სერბული ეთნიკური ელემენტის შესუსტება.

პირველ მსოფლიო ომში გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის იმპერიების დამარცხების შემდეგ, კოსოვოს რეგიონი კვლავ სერბული არმიის მიერ იქნა დაკავებული. 1918 წლის 1 დეკემბერს შეიქმნა სერბთა, ხორვატთა და სლოვენთა სამეფო, რომლის მოსახლეობაც მთლიანად შეადგენდა 12 017 323 ადამიანს. ახალ სამეფოში 441 740 ალბანელი (3.68%) და 4 665 851 (38.83 %) სერბი ცხოვრობდა.<sup>32</sup>

### აფხაზეთი

XIX საუკუნის დასაწყისი საქართველოს ისტორიაში დაკავშირებულია ისეთ ტრაგიკულ მოვლენასთან, როგორც არის რუსეთის იმპერიის მიერ ქართული სამეფო-სამთავროების გაუქმება და მათი ინტეგრირება ცარისტული იმპერიის ადმინისტრაციულ აპარატში. ეს პროცესი დაიწყო 1801 წელს, როდესაც ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ, რუსეთის იმპერია შეუდგა საქართველოს ტერიტორიის ოკუპაციას, რასაც დღემდე წარმატებით ახორციელებს.

როგორც მკვლევარი ზურაბ პაპასქირი აღნიშნავს, XIX საუკუნის დასაწყისში აფხაზეთის სამთავრო ქართული სოციალურ-პოლიტიკური სისტემის ნაწილს წარმოადგენდა.<sup>33</sup> მთელი XIX საუკუნის მანძილზე აფხაზი მთავრები სხვა ქართველ მთავართა მსგავსად, ერთის მხრივ, რუსული ადმინისტრაციის წინააღმდეგ ბრძოლასა და მეორეს მხრივ, ოსმალეთის იმპერიის გავლენის შესუსტებისათვის ბრძოლაში იყვნენ ჩაბმულები.

1813 წელს ოსმალური არმია შეიჭრა აფხაზეთის ტერიტორიაზე. აფხაზეთის მთავარმა გიორგი შარვაშიძემ, გურიისა და სამეგრელოს მთავრებთან ერთად, წინააღმდეგობა გაუწია ოსმალებს. გარდა ამისა, დასავლეთ-საქართველოში 1819-1820 წლების ანტირუსული გამოსვლებისას, 1832 წლის შეთქმულებისას და ასევე 1840-იანი წლების გურიის ანტირუსული გამოსვლებისას, აფხაზთა მთავრები და აფხაზი ხალხი მხოლოდ და მხოლოდ სა-

<sup>31</sup> M. Vickers. Between Serb and Albanian. A History of Kosovo, გვ. 92

<sup>32</sup> I. Banac. The National Question in Yugoslavia: Origins, History, Politics. Cornell University Press. New York. 1988, გვ. 49-53.

<sup>33</sup> ზ. პაპასქირი. ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან. უძველესი დროიდან 1917 წლამდე. ტ. I. თბ. 2003, გვ. 131.

ერთო-ქართული ინტერესების დასაცავად მოქმედებდნენ.<sup>34</sup>

ზემოაღნიშნული ანტირუსული გამოსვლების მიუხედავად, რუსეთის იმპერიამ აფხაზთა სამთავრო გააუქმა 1864 წელს. სამთავროს ჯერ სოხუმის სამხედრო დეპარტამენტი, ხოლო 1883 წლიდან სოხუმის ოკრუგი ეწოდა. ვითარების მთელი ტრაგიკულობის გააზრების შემდეგ, აფხაზეთის ბოლო მთავარმა მიხეილ შარვაშიძემ თხოვნით მიმართა რუსულ ადმინისტრაციას, მისთვის აფხაზეთში ცხოვრების ნება დაერთოთ, ხოლო თუ ეს „შეუძლებელი“ იქნებოდა, მიხეილ შარვაშიძე ითხოვდა ზამთრობით ქუთაისში, ხოლო ზაფხულობით რაჭაში ცხოვრების ნებართვას.<sup>35</sup> ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ამტკიცებს აფხაზ მთავართა მხოლოდ და მხოლოდ საერთო-ქართული სოციალურ-პოლიტიკური სამყაროსადმი კუთვნილებას.

მეტად საინტერესოა რუსეთის იმპერიის მიერ აფხაზეთში გატარებული სამიწათმოქმედო რეფორმა, რომელიც 1871 წელს დაიწყო. ერთი წლით ადრე, 1870 წელს სამეგრელოსა და აფხაზეთის მთავრებმა წერილობითი თხოვნით მიმართეს მეფის რუსეთის კავკასიის არმიის გენერალ სვიატოპოლკ მირსკის, რომელშიც მთავრები ცარისტული ადმინისტრაციისგან ითხოვდნენ მიწის რეფორმის იმავე წესითა და თანმიმდევრობით გატარებას, როგორც ამას ადგილი ჰქონდა სხვა ქართულ სამეფო-სამთავროებში, რადგან, როგორც წერილი აღნიშნავდა, აფხაზეთის სამთავრო მუდამ ქართული ფეოდალური სისტემის განუყოფელ ნაწილს შეადგენდა.<sup>36</sup>

აღნიშნული თხოვნის უგულებელყოფა და რუსიფიკატორული პოლიტიკის გამკაცრება განხდა ორი ანტირუსული აჯანყების მიზეზი აფხაზეთის ტერიტორიაზე 1866 და 1877 წლებში, რომელიც ცარისტულმა რეჟიმმა სისხლში ჩაახშო. სწორედ აღნიშნული გამოსვლების შემდეგ მოხდა აფხაზი ხალხის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული მოვლენა, აფხაზთა გადასახლება ოსმალეთის იმპერიის მიწებზე, რომელიც ისტორიაში „მუჰაჯირობის“ სახელითაა ცნობილი. ზოგიერთი მონაცემების მიხედვით, გადასახლებული აფხაზების რაოდენობა 30 000 აღწევდა.<sup>37</sup>

ამგვარ მძიმე ვითარებაში, აფხაზმა ხალხმა 1877-1878 წლის რუსეთ-

---

<sup>34</sup> ზ. პაპასქირი. ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან. ტ. I, გვ. 131-154.

<sup>35</sup> Г. А. Дзидзария. Абхазия в годы Крымской войны, Упразднение владетельного княжества. «Очерки истории Абхазской АССР». т. I. Сухуми. 1960, გვ. 200.

<sup>36</sup> А. Ментешавили. Исторические предпосылки современного сепаратизма в Грузии. Тб. 1998, გვ. 28-30.

<sup>37</sup> ზ. პაპასქირი. ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან. ტ. I, გვ. 209.

ოსმალეთის ომში აშკარა პრო-ოსმალური მხარე დაიჭირა, რის გამოც ცარისტულმა იმპერიამ მათ „დამნაშავე ხალხის“ სტატუსი მიანიჭა. აღნიშნული სტატუსი მხოლოდ და მხოლოდ 1907 წელს, პეტრე სტოლიპინის ინიციატივითა და ნიკოლოზ II-ს ბრძანებით იქნა გაუქმებული.

აღნიშნული სასტიკი ზომების გარდა, ცარისტული იმპერიის რუსიფიკატორული პოლიტიკა გამოვლინებას ჰპოვებდა კულტურულ და საგანმანათლებლო ასპარეზზე. როგორც ცნობილია, აფხაზური დამწერლობა შეიქმნა რუსი მეცნიერის პეტრე უსლარის მიერ 1862 წელს, რუსული კირილიცის გრაფიკის საფუძველზე. პირველი აფხაზური ანბანი გამოქვეყნდა 1865 წელს,<sup>38</sup> ხოლო პირველი აფხაზურენოვანი წიგნი – დიმიტრი გულიას ლექსების კრებული – დაიბეჭდა 1912 წელს, თბილისში.<sup>39</sup>

მიუხედავად ამისა, რიგი სეპარატისტი და მათი მხარდამჭერი, რუსი მეცნიერები მიიჩნევენ, რომ აფხაზ ხალხს დამწერლობა უძველესი დროიდან ჰქონდა. რუსი მკვლევარი გ. ტურჩანინოვი, არქეოლოგიური მასალის „შესწავლის“ შედეგად მიიჩვედა, რომ აფხაზს ხალხს დამწერლობა ძვ.წ. XIII-XII საუკუნეებშიც კი უნდა ჰქონოდა.<sup>40</sup> მსგავს თეორიას ავითარებს აფხაზი ავტორი იგორ მარიხუბა, აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებულ ასომთავრულ წარწერებს „ძველაბაზური“ დამწერლობის ძეგლებად აცხადებს და ამით „ადასტურებს“ ე.წ. აფხაზური დამწერლობის არსებობას შუა საუკუნეების აფხაზთა სამეფოს ტერიტორიაზე.<sup>41</sup>

მეტად საინტერესოა ქართული ინტელიგენციის დამოკიდებულება პეტრე უსლარის მიერ აფხაზთათვის დამწერლობის შექმნის მოვლენასთან დაკავშირებით. იაკობ გოგებაშვილი თავის წერილში აღნიშნავდა, რომ აფხაზური დამწერლობა ენის შექმნას დიდი სიხარულით შეხვდა ქართული საზოგადოება, რადგან სალიტერატურო ენის შექმნა და გამდიდრება მეტად მნიშვნელოვანი მოვლენაა ნებისმიერი ხალხისთვის.<sup>42</sup> იაკობ გოგებაშვილის წერილი მკაფიოდ ასახავს მაშინდელი ინტელიგენციის პოზიციას აფხაზური დამწერლობის შექმნასთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ აფხაზური ანბანი რუსული კირილიცის საფუძველზე შეიქმნა.

<sup>38</sup> ზ. პაპასქირი. ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან. ტ. I, გვ. 225.

<sup>39</sup> Д. Гулия. Стихотворения и частушки. Тифлис. 1912.

<sup>40</sup> Г. Ф. Турчанинов. Открытие и дешифровка древнейшей письменности кавказа (Середина III тыс. до н.э. - IV-V вв. н. э.). Москва. 1999, გვ. 56.

<sup>41</sup> И. Марыхуба. Об Абазгской (Абхазской) письменности. Сухум. 2016.

<sup>42</sup> ი. გოგებაშვილი. რჩეული თხზულებები. ტ. III. თბ. 1990, გვ. 134.

რუსი გეოგრაფისა და ისტორიკოსის ევგენი ვეიდენბაუმის (1845-1918) მიხედვით, აფხაზეთი დამწერლობის რუსული გრაფიკის საფუძველზე შექმნა, პირველ რიგში, აფხაზეთში ქართული ენის შემასუსტებელ ბერკეტს წარმოადგენდა. სხვაგვარად, ვეიდენბაუმის თქმით, ქართულ და სხვა ავტონომიებთან ერთად, მოხდებოდა აფხაზეთი ავტონომიის ხელშეწყობაც, რაც ცარისტული იმპერიის პოლიტიკურ მიზნებში არ შედიოდა.<sup>43</sup>

მიუხედავად ვეიდენბაუმის ამგვარი, „გულწრფელი“ ცნობისა ცარისტული ადმინისტრაციის მიერ აფხაზეთი დამწერლობის შექმნის მიზნის შესახებ, ლონდონის უნივერსიტეტის პროფესორი, ჯორჯ ჰიუიტი აფხაზეთი ენის შევიწროებაში გულმოდგინედ სდებს ბრალს ქართულ მხარეს<sup>44</sup> და საკუთარ მოხსენებაში ერთი სიტყვიტაც არსად ახსენებს აფხაზეთი დამწერლობის რუსული გრაფიკის საფუძველზე შექმნის პარადოქსულ ფაქტს. ავტორი იმავე წარმატებით უკლის გვერდს მაშინდელი ქართული ინტელიგენციის დამოკიდებულებას აფხაზეთი დამწერლობის შექმნასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, ჰიუიტი არც პეტრე უსლარის ცნობას ეხება, სადაც თავად აფხაზეთი დამწერლობის შექმნელი ამბობდა, რომ აფხაზეთი დამწერლობის ქართული გრაფიკის საფუძველზე შექმნის შემთხვევაში, რუსული ადმინისტრაცია მხოლოდ და მხოლოდ გაართულებდა მთელს კავკასიაში რუსული დამწერლობის გავრცელების პროცესს.<sup>45</sup> ბუნებრივია, ჯორჯ ჰიუიტის შეხედულებები მკვეთრად სუბიექტურ ხასიათს ატარებს და მეტად შორს დგას მეცნიერულად არგუმენტირებული მსჯელობისგან.

1890 იანი წლების ბოლოდან მეფის რუსეთის კოლონიური პოლიტიკა გამკაცრდა. ამ პერიოდში, აფხაზეთის მიწაზე რუსული ადმინისტრაციის მიერ ხდებოდა გერმანელების, ესტონელების, რუსებისა თუ ბერძნების დასახლება და ამ გზით ადგილობრივი ქართული და აფხაზეთი ეთნიკური ელემენტის შევიწროება. ქართული ენა იღვენებოდა ეკლესიებიდან და სკოლებიდან. საქართველოს ცენტრალურმა არქივმა შემოინახა დოკუმენტი, რომელშიც მთავარმართებელი გოლიცინი და ევზარქოსი ალექსი სწერდნენ სინოდის ობერ-

---

<sup>43</sup> ზ. პაპასქირი. აფხაზეთი საქართველოა. თბ. 1998, გვ. 53; ამ მხრივ საინტერესოა ვეიდენბაუმის ნაშრომები: E. Вейденбаум. Путеводитель по Кавказу. По поручению генерал-адъютанта Дондуков-Корсакова, главноначальствующего гражданскою частью на Кавказе. Тифлис. 1888 / E. Вейденбаум. Кавказские этюды. Исследования и заметки. Тифлис. 1901.

<sup>44</sup> G. Hewitt. The role of scholars in the Abkhazians' loss of trust in the Georgians and how to remedy the situation. HarlemConference-talk. 1<sup>st</sup> June 1997.

<sup>45</sup> Г. Жоржوليани. Истрические и политические корни конфликта в Абхазии. Тб. 2000, გვ. 36.

პროკურორს, რომ „სოხუმის ეპარქია მისი ჭარბი აბხაზ და რუს მოსახლეობით სასურველი იქნება გავაცალკეოთ უკიდურესად არა სასურველ ქართულ გავლენისაგან და ამ მიზნისთვის, წერდნენ ისინი, პატარა და მრავალენიან სოხუმის ეპარქიისთვის მისი ყუბანის მხარისათვის შეერთება მეტად სასარგებლო იქნებაო. ყუბანის მხარე ითვლის 1.716.245 სულს წმინდა რუსულ მართლმადიდებლურ მოსახლეობას. ამ მასაში ადვილად გაითქვიფება შავი ზღვის სანაპიროს 100. 000 მრავალენიანი მოსახლეობაო.“<sup>46</sup>

აღნიშნული წერილი ნათელს ჰფენს მეფის რუსეთის ადმინისტრაციის პოლიტიკურ გეგმებს აფხაზეთის ტერიტორიაზე. სწორედ ამ გეგმის მიხედვით, როგორც ცნობილია, 1904 წელს გაგრის ზონა სოხუმის ოლქს ჩამოაჭრეს და შავი ზღვის გუბერნიას მიაკუთვნეს. თუმცა 1905 წლის რევოლუციის მოახლოებასთან ერთად, მეფის რუსეთის მოხელეები ერიდებოდნენ ამგვარი, რადიკალური ექსპანსიონისტური პოლიტიკის გაგრძელებას ცარისტული ადმინისტრაციის მმართველობით ისედაც უკმაყოფილო მოსახლეობაში.

პირველი რევოლუციის შემდგომ, გარკვეული პოლიტიკურ – იდეოლოგიური ცვლილებები იკვეთება მეფის რუსეთის პოლიტიკაში აფხაზეთის მიმართ. 1907 წელს, მოსკოვში, რუსულ ენაზე გამოიცა ლ. ვორონოვის ბროშურა: „აფხაზეთი საქართველო არ არის“,<sup>47</sup> რომელიც აფხაზეთში სეპარატისტული განწყობების გაღვივების ერთ-ერთ მთავარ იდეოლოგიურ საყრდენად იქცა. ვორონოვის მიხედვით, შუა საუკუნეებიდან მოყოლებული აფხაზეთის სამთავრო ქართული სახელმწიფოს ნაწილი არასოდეს ყოფილა არც პოლიტიკურად და არც ეკლესიურად. ამგვარად, თუკი XIX საუკუნის 60-70 იწლებში რუსეთის ადმინისტრაციის ღინისძიებები აფხაზი ხალხის განადგურებაზე იყო მიმართული, რისი ნათელი მაგალითიც ზემოაღნიშნული „მუჰაჯირობა“ და აფხაზეთის ტერიტორიაზე განხორციელებული შემდგომი ადმინისტრაციული ღონისძიებები იყო, ამჯერად რუსული ადმინისტრაცია კარდინალურად ცვლის პოლიტიკას აფხაზეთში სეპარატისტული „იდეოლოგიურ-მეცნიერული“ საფუძვლების შემზადებით და ამ გზით აფხაზებსა და ქართველებს შორის მტრული დამოკიდებულების გაღვივების მცდელობით.

<sup>46</sup> საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა). ფონდი №37. საქმე №2707. ფურც. 1-18. დოკუმენტი გამოქვეყნებულია კრებულში: თედო სახოკია. კრებული. რედ. ა. ავაქიძე, შ. მესხია, გ. ჩიტაია, მ. ჩიქოვანი, ლ. ჯანაშია. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. საქართველოს ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის სამეცნიერო საზოგადოება. თბ. 1969, გვ. 65.

<sup>47</sup> Л. Воронов. Абхазия не Грузия. Книгоиздательство «Верность» № 89. Москва. 1907.



აფხაზეთში მეფის რუსეთის პოლიტიკის ლოგიკურ გაგრძელებად გვევლინება 1917-1918 წლების რევოლუციის შემდგომი საბჭოთა რუსეთის პოლიტიკა, რომელიც უფრო მეტად აღრმავებდა ცარისტული რუსეთის მიერ „კულტურულ-საგანმანათლებლო“ ასპარეზზე მიღწეულ შედეგებს.

1917 წლის 10 მარტს შეიქმნა „აფხაზეთის ეროვნული უსაფრთხოების კომიტეტი“ სეპარატისტი ლიდერის ალექსანდრე შარვაშიძის მეთაურობით. იმავე წლის 8 ნოემბერს სეპარატისტთა იმავე ჯგუფმა შექმნა „აფხაზეთა სახალხო საბჭო“. ორივე ორგანიზაცია, პროფ. ზურაბ პაპასქირის მართებული შენიშვნით, წარმოადგენდა აფხაზეთის მოსახლეობის მხოლოდ და მხოლოდ სეპარატისტულად განწყობილი ნაწილის მიერ შექმნილ ერთეულს. აფხაზეთის ტერიტორიაზე მოსახლე სხვა ეთნიკური ჯგუფებისა და სხვა შეხედულებების მქონე ხალხის ნება-სურვილი აბსოლუტურად უგულებელყოფილი იყო ამ ორგანიზაციების მიერ.<sup>48</sup> აფხაზეთა სახალხო საბჭოს მთავარი მიზანი, სეპარატისტი მეცნიერის სტანისლავ ლაკობას მიხედვით, იმ დროისთვის იყო აფხაზეთის ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა რესპუბლიკასთან შეერთება.<sup>49</sup>

ამგვარი ვითარების მიუხედავად, ქართულსა და აფხაზეთურ მხარეებს შორის შეთანხმების მიღწევა მაინც მოხერხდა 1918 წლის 9 თებერვალს. შეთანხმების მიხედვით, აფხაზეთის მომავალი პოლიტიკური მოწყობის საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო აფხაზეთის დამფუძნებელი კრების მიერ დემოკრატიულ პრინციპებზე დაყრდნობით. ამასთან ერთად, შეთანხმების მიხედვით, ნებისმიერ ქვეყანასთან ურთიერთობების დამყარებისას ქართულ თუ აფხაზეთურ მხარეს ეს ნაბიჯი ჯერ ერთმანეთთან უნდა შეეთანხმებინა. მკვლევრების, ავთანდილ მენტეშაშვილისა და ზურაბ პაპასქირის მართებული შეკითხვით, თუკი აფხაზეთი, როგორც სეპარატისტი ავტორი სტანისლავ ლაკობა ამტკიცებს, აღნიშნული შეთანხმებით „დამოუკიდებელი“ სახელმწიფო ხდებოდა,<sup>50</sup> მაშინ რა პოლიტიკური პრინციპის საფუძველზე უნდა მოეხდინა მას საკუთარი საგარეო-პოლიტიკური კურსის შეთანხმება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან?<sup>51</sup>

---

<sup>48</sup> ზ. პაპასქირი. ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან. ნაკვეთი II 1917-1993. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ სოხუმის ფილიალის გამომცემლობა. თბ. 2007, გვ. 6.

<sup>49</sup> S. Lakoba. History: 1917-1989. The Abkhazians. A Handbook. Edited by G. Hewitt. Curzon. Caucasus World. 1999, გვ. 90.

<sup>50</sup> S. Lakoba. History: 1917-1989. The Abkhazians. A Handbook, გვ. 90.

<sup>51</sup> ზ. პაპასქირი. ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან. ტ. I, გვ.

საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, (1918 წლის 26 მაისი) აფხაზი სეპარატისტების მტკიცებით, აფხაზეთი საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობიდან გამოვიდა, რათა კავკასიის მთიელთა რესპუბლიკის წევრი გამხდარიყო.<sup>52</sup> ამ შემთხვევაში სეპარატისტ მკვლევრებს მხედველობის მიღმა რჩებათ კიდევ ერთი ქართულ-აფხაზური ხელშეკრულება, რომელიც 1918 წლის 11 ივნისს გაფორმდა და რომლის მიხედვითაც, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფარგლებში არსებობდა აფხაზეთის საქმეთა მინისტრი. აფხაზეთის შიდა საქმეებს უნდა გასძღოლოდა აფხაზთა სახალხო კრება, რომელიც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკიდან ფინანსდებოდა. გარდა ამისა, საჭიროების შემთხვევაში, საქართველოს ეროვნულ გვარდიას უნდა ეზრუნა აფხაზეთის უსაფრთხოებაზე.<sup>53</sup>

ზემოაღნიშნული შეთანხმება რა თქმა უნდა ბოლშევიკების ინტერესებში არ შედიოდა. ამიტომაც, მათი წაქეზებით, 1918 წლის ივნისში აფხაზეთის ტერიტორიაზე ეწყობოდა სხვადასხვა სამხედრო პროვოკაციები. შექმნილ ვითარებაში, 11 ივნისის ქართულ-აფხაზური შეთანხმების საფუძველზე, აფხაზთა სახალხო საბჭომ სამხედრო დახმარება სთხოვა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას. პასუხად, 19 ივნისს ქართველი გენერალი გიორგი მაზნიაშვილი დაინიშნა აფხაზეთის გენერალ გუბერნატორად. ქართველი გენერალი 300 კაციან აფხაზურ ქვედანაყოფთან ერთად იბრძოდა ბოლშევიკების წინააღმდეგ აფხაზეთში. 28 ივნისისთვის მათ ერთობლივად გაათავისუფლეს აფხაზეთის ჩრდილოეთით ქალაქი გაგრა ბოლშევიკებისგან.<sup>54</sup>

როგორც სეპარატისტი ავტორი სტანისლავ ლაკობა აღნიშნავს, 1918 წლის ივნისის მოვლენები წარმოადგენდა სხვას არაფერს თუ არა აფხაზეთის ტერიტორიის პირდაპირ და ღია ოკუპაციას ქართული ეროვნული გვარდიის მიერ. ავტორი არცერთი სიტყვით არ ახსენებს ზემოაღნიშნულ 11 ივნისის შეთანხმებას, ბოლშევიკურ საფრთხეს აფხაზეთში და ასევე აფხაზთა სახალ-

11; А. Ментешавили. Исторические предпосылки современного сепаратизма в Грузии, გვ. 75

<sup>52</sup> S.Lakoba. History: 1917-1989, გვ. 90.

<sup>53</sup> ზ. პაპასქირი. ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან. ტ. I, გვ. 16; А. Ментешавили. Исторические предпосылки современного сепаратизма в Грузии, გვ. 22.

<sup>54</sup> Д. Гамахария, Б. Гогия. Абхазия – Историческая область Грузии. (Историография, документы и материалы, комментарии) С древнейших времён до 30-х годов XX века. Тбилиси. 1997, გვ. 753-766; ზ. პაპასქირი. ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან, გვ. 18.

ხო საბჭოს თანხმობასა და თხოვნას ქართული ეროვნული გვარდიის მიერ აფხაზეთის ტერიტორიიდან ბოლშევიკების განდევნის შესახებ. მთელი ამ პერიოდის მოვლენები ლაკობას ნაშრომში წარმოჩენილია, როგორც „ქართული იმპერიალიზმის“ გამოვლინება აფხაზი ხალხის მიმართ.<sup>55</sup>

იმავე კონტექსტს იყენებს ლაკობა აფხაზთა სახალხო საბჭოს რეორგანიზებაზე საუბრისას, რომელიც 1918 წლის აგვისტოში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ განხორციელდა.<sup>56</sup> როგორც დღეისათვის ქართულ ისტორიოგრაფიაშია ცნობილი, იმ დროისთვის, თავად აფხაზთა სახალხო საბჭო იყო ორად გაყოფილი – აფხაზეთის ტერიტორიაზე თურქული სამხედრო კონტიგენტის ყოფნის მომხრეებსა<sup>57</sup> და საქართველოსთან ალიანსის მომხრე ჯგუფებს შორის. ამ პერიოდში, თავად აფხაზთა სახალხო საბჭოს მოთხოვნით მოხდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ საბჭოს დათხოვნა და პრო-თურქულად განწყობილ დეპუტატთა გაძევება აფხაზეთის ტერიტორიიდან.<sup>58</sup> საბჭოს უმეტესობამ მხარი დაუჭირა აღნიშნული ორგანოს რეორგანიზებას და როგორც ცნობილია, სახალხო საბჭოს წინააღმდეგ არანაირ ძალისმიერ მოქმედებას არ ჰქონია ადგილი საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მხრიდან.

მეორე შემთხვევა, აფხაზთა სახალხო საბჭოს დათხოვნისა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ, დაკავშირებულია 1918 წლის ოქტომბერში ალექსანდრე შარვაშიძისა და მისი მომხრეების მიერ, აფხაზეთის ტერიტორიიდან საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული გვარდიის გაძევების მიზნით, ალექსეევისა და დენიკინის, ანტი-ბოლშევიკური, მოხალისე არმიისათვის დახმარების თხოვნასთან. მოხალისეთა არმიამ თანხმობა განაცხადა აფხაზთა დახმარებაზე.<sup>59</sup> აღნიშნულ ვითარებაში, 10 ოქ-

---

<sup>55</sup> S.Lakoba. History: 1917-1989.

<sup>56</sup> S.Lakoba. History: 1917-1989.

<sup>57</sup> დღეისათვის აზრთა სხვადასხვაობაა იმ დროისათვის თურქული ნაწილების აფხაზეთის ტერიტორიაზე ყოფნის შესახებ. ქართული ისტორიოგრაფიის მიხედვით, თურქული სამხედრო ნაწილები აფხაზეთის ტერიტორიაზე თავად აფხაზთა სახალხო საბჭოს ზოგიერთი წევრის თანხმობით იქნა განლაგებული. შწორედ აღნიშნულ წევრთა წინააღმდეგ აიძალდეს ხმა სახალხო საბჭოს სხვა წევრებმა და შემდგომ საქართველოს მთავრობამ, რომელმაც თავის მხრივ, მკაცრი ზომები გაატარა აფხაზთა სახალხო საბჭოს პრო-თურქული ფრთის მიმართ, მათი დაკავებით. ლაკობა არც კი ახსენებს აღნიშნულ ფაქტს.

<sup>58</sup> დ. ჩიტაია. აფხაზეთის საკითხი საქართველოს პირველ რესპუბლიკაში. აფხაზეთის სახალხო საბჭო 1917-1921 წლებში. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბ. 2006, გვ. 221.

<sup>59</sup> А. Ментешашвили. Исторические предпосылки современного сепаратизма в Грузии, გვ. 27.

ტომბერს აფხაზთა სახალხო საბჭოს რამდენიმე წევრის ხელმოწერით, თბილისში გამოიგზავნა დეკრეტი, რომელიც საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას აფრთხილებდა მოახლოებული საფრთხის შესახებ და სთხოვდა აფხაზთა სახალხო საბჭოს დროებით დაშლას და ამასთან ერთად, საბჭოს არჩევნებამდე საქართველოს მთავრობის მიერ აფხაზეთის ტერიტორიის ეფექტური კონტროლის განხორციელებას.<sup>60</sup>

სახალხო საბჭოს არჩევნები დაგეგმილი იყო 1919 წლის 13 თებერვლისთვის. მანამდე აფხაზეთი იმართებოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სპეციალური კომისრის ბენიამინ ჩხიკვიშვილის მიერ.<sup>61</sup> აღნიშნული პერიოდი – 1918 წლის ოქტომბრიდან 1919 წლის თებერვლამდე, სტანისლავ ლაკობას თქმით, წარმოადგენდა საქართველოს მიერ აფხაზეთის დაუფარავი ოკუპაციის პერიოდს.<sup>62</sup> აღსანიშნავია ასევე, რომ აღნიშნული არჩევნები ფინანსდებოდა საქართველოს რესპუბლიკის ბიუჯეტიდან, რისთვისაც 10 მლნ-ზე მეტი რუბლი იყო გამოყოფილი.<sup>63</sup>

13 თებერვლის არჩევნების შედეგების მიხედვით, აფხაზთა სახალხო საბჭო შედგებოდა 12 ეთნიკურად აფხაზი, 10 ქართველი და 5 სხვა ეროვნების წარმომადგენლისგან.<sup>64</sup> აღნიშნული არჩევნების პარალელურად ტარდებოდა ასევე საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნები, რომლის შედეგადაც საქართველოს პარლამენტში 5 დეპუტატი იკავებდა ადგილს აფხაზეთიდან, მათგან 3 აფხაზი, ერთი რუსი და ერთი ბერძენი, რაც შოთა მალაშვიას მართებული შენიშვნით: „ერთმნიშვნელოვნად ამხელს „კრემლის ისტორიკოსების“ მიერ გავრცელებულ სიყალბეს დამოუკიდებელი საქართველოს მაშინდელი მთავრობის „მოვინისტურ-ნაციონალისტური“ პოლიტიკის შესახებ“.<sup>65</sup>

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის მიღებამდე, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომელშიც აფხაზეთი საქართველოს ნაწილად მოიხსენიება არის რუსეთის სოციალისტურ ფედერაციულ საბჭოთა რესპუბლიკასა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის 1920 წლის 7 მაისს გაფორმებული მოსკოვის სამშვიდობო ხელ-

<sup>60</sup> Д. Гамахария, Б. Гогия. Абхазия – Историческая область Грузии, გვ. 85-86.

<sup>61</sup> Д. Гамахария, Б. Гогия. Абхазия – Историческая область Грузии, გვ. 424-425.

<sup>62</sup> შ.Lakoba. History: 1917-1989.

<sup>63</sup> А. Ментешавили. Исторические предпосылки современного сепаратизма в Грузии, გვ. 33.

<sup>64</sup> დ. ჩიჭაია. აფხაზეთის საკითხი საქართველოს პირველ რესპუბლიკაში, გვ. 470-471.

<sup>65</sup> შ. მალაშვია. კონფლიქტების ანატომია. გამომცემლობა „ფორმა“. თბ. 2011, გვ. 79-80.

შეკრულება, რომლის მესამე მუხლშიც პირდაპირ იყო ნათქვამი, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის საზღვარი გადიოდა მდინარე ფსოლზე,<sup>66</sup> შესაბამისად, ამ ხელშეკრულების მიხედვით, საბჭოთა რუსეთი ოფიციალურად ადასტურებდა აფხაზეთის არსებობას საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში.

აღნიშნული დოკუმენტი ვერ იქცა დაბრკოლებად საბჭოთა რუსეთის იმპერიისთვის 1921 წლის 25 თებერვალს, როდესაც მე-11 წითელი არმიის დახმარებით მოხდა საქართველოს ძალით გასაბჭოება. ამ მოვლენამდე მხოლოდ 4 დღით ადრე იქნა მიღებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია, რომლის 107-ე მუხლის მიხედვით, აფხაზეთს ენიჭებოდა ავტონომიური მმართველობის უფლება საქართველოს შემადგენლობაში.<sup>67</sup> მოგვიანებით, მარტის დასაწყისში მე-9 წითელი არმია უკვე აფხაზეთის მიმართულებიდან შემოიჭრა საქართველოში და 4 მარტს დაიკავა სოხუმი. მარტის დასასრულს საბჭოთა წითელი არმია უკვე ფაქტობრივად მთელს საქართველოს ტერიტორიას აკონტროლებდა.

### შიდა ქართლი – ცხინვალის რეგიონი

ცარისტული იმპერიის მიერ 1801 წელს ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ, საქართველოს ტერიტორია რუსეთის იმპერიის ადმინისტრაციულ სისტემაში ორ ნაწილად – თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებად გაიყო. ცხინვალის რეგიონი, რომელიც ამ დროისთვის შიდა ქართლის შემადგენლობაში შედიოდა, თბილისის გუბერნიის შემადგენლობაში მოექცა.

კავკასიის რუსული არქეოგრაფიული კომისიის ცნობების თანახმად, 1802 წელს ცხინვალის რეგიონში ცხოვრობდა მხოლოდ და მხოლოდ ეთნიკურად ქართველი, ებრაელი და სომეხი მოსახლეობა.<sup>68</sup> ებრაელებისა და სომეხების დიდი რაოდენობით ცხოვრებას ცხინვალში, მკვლევარ ანზორ თოთაძის მართებული შენიშვნით, განაპირობებდა ამ ქალაქის მდებარეობა ჩრდილოეთ კავკასიის, ქართლისა და ზემო რაჭის სავაჭრო გზებზე.<sup>69</sup> ოსური და-

---

<sup>66</sup> Государственный Архив Грузинской Демократической Республики. Мирный договор между Россией и Грузией. М. 1920.

<sup>67</sup> საქართველოს კონსტიტუცია. იხ.: <http://constitution.parliament.ge/uploads/masalebi/1921-konstitucia.pdf>

<sup>68</sup> Акты собранные кавказской археографической комиссией. Т. I. Тиф. 1866.

<sup>69</sup> ა. თოთაძე. ოსები საქართველოში. მითი და რეალობა. თბ. 2006, გვ. 30.

სახლებები, როგორც აღვნიშნეთ, ამ პერიოდში არსებობდა ცხინვალის ჩრდილოეთით კავკასიონის მთისწინეთში.

XIX საუკუნეში, საქართველოს ტერიტორიაზე ოსებსა და ქართველებს შორის ურთიერთობა ხასიათდება მათი ერთად ბრძოლით ცარისტული ადმინისტრაციის წინააღმდეგ. ამ მხრივ საგულისხმოა მკვლევარ ალექსანდრე მღებრიშვილის ნაშრომი: „რუსულ-ქართული ურთიერთობები და ქართველთა და ოსთა ერთობლივი ბრძოლა რუსული კოლონიალისტური პოლიტიკის წინააღმდეგ კავკასიაში.“<sup>70</sup> – რომელშიც ავტორი მეტად საინტერესოდ მიმოიხილავს ოსთა და ქართველთა ანტირუსულ გამოსვლებს XIX საუკუნეში და იმ გამოხმაურებებს, რომელთაც ეს გამოსვლები ჰპოვებდა თანადროულ რუსულ წყაროებში.

მღებრიშვილის ნაშრომიდან ვიგებთ, რომ ოსები მტკიცე მხარდაჭერას გამოხატავდნენ ქართველი ბატონიშვილების მიერ 1801 წელს ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ ქვეყანაში გაშლილ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისადმი. ოსთა რაზმები თავს ესხმოდნენ რუსულ სამხედრო შენაერთებს, საგუშაგოებს და მნიშვნელოვან ზიანს აყენებდნენ მათ.<sup>71</sup> ამ კუთხით, მკვლევარს მეტად საინტერესო წყარო მოჰყავს რუსი ავტორის ა. სოკოლოვის სახით, რომლის მიხედვითაც ბაგრატიონებს მოუსყიდავთ ოსები მეფის რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად: «Осетинцы, в горах живущие, по дороге из России в Грузию, были подкуплены Багратионами, с тем, чтобы они препятствовали проходу войск из России в Грузию».<sup>72</sup>

ქართული სახელმწიფოებრიობისა და ბაგრატიონთა დინასტიის აღდგენისაკენ იყო მიმართული ოსთა 1810-1811 წლის აჯანყებები, რომელიც დაიწყო ცხინვალის ჩრდილოეთიდან და რომელსაც ხელმძღვანელობდა სოლომონ II -ის მიერ ახალციხის საათაბაგოდან ჩამოყვანილი ლეონ (ლევან) იულონის ძე ბაგრატიონი. აღნიშნული აჯანყება საბოლოოდ მარცხით დას-

<sup>70</sup> ა. მღებრიშვილი. რუსულ-ქართული ურთიერთობები და ქართველთა და ოსთა ერთობლივი ბრძოლა რუსული კოლონიალისტური პოლიტიკის წინააღმდეგ კავკასიაში. II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. ქართულ-ოსურ ურთიერთობათა განვითარების პერსპექტივები: „ნართების ეპოსის კვლევის თანამედროვე პრინციპები და მეთოდოლოგია.“ 13-15 ოქტომბერი. შრომების კრებული. თბ. 2016, გვ. 155-165.

<sup>71</sup> ა. მღებრიშვილი. რუსულ-ქართული ურთიერთობები და ქართველთა და ოსთა ერთობლივი ბრძოლა რუსული კოლონიალისტური პოლიტიკის წინააღმდეგ კავკასიაში, გვ. 158.

<sup>72</sup> ა. მღებრიშვილი. რუსულ-ქართული ურთიერთობები და ქართველთა და ოსთა ერთობლივი ბრძოლა რუსული კოლონიალისტური პოლიტიკის წინააღმდეგ კავკასიაში; А. Соколов. Путешествие моё в имеретию с линии кавказской. Москва. 1874, гв. 123.

რულდა. მეფის რუსეთის რეგულარული სამხედრო არმიის მიერ ჩატარებული ოპერაციის შედეგად, ჯერ დააკავეს, ხოლო შემდეგ უკვე ლიკვიდირება მოახდინეს 80 მდე აჯანყებულისა ოსთა რაზმიდან.<sup>73</sup>

ამგვარად, როგორც ვხედავთ, მეფის ადმინისტრაცია, აფხაზების მსგავსად, არც ოსების მიმართ იშურებდა სადამსჯელო სამხედრო-პოლიტიკურ ზომებს. XIX საუკუნის დასაწყისიდან მოყოლებული ოსები ქართველებთან ერთად, მეფის რუსეთის ადმინისტრაციისთვის „დამნაშავე“ (ხაზგასმა ჩვენია კ.ე) ხალხია. ამ მხრივ საინტერესოა რუსი მეცნიერის დ. ლავროვის ნაშრომი: «Заметки об Осетии и осетинах». – რომელიც ზემოაღნიშნული მკვლევრის, ალექსანდრე მღებრიშვილის ნაშრომშია მოცემული. აღწერს რა, ოსი ხალხის წეს-ჩვეულებებს და ყოფას, ლავროვი საუბრობს ქართველ ბატონიშვილთა მიმართ მათ ერთგულებაზე და ოსთა მიერ რუსეთის სამხედრო ნაწილებზე განხორციელებულ თავდასხმებზე, ამ ხალხს „მტაცებლებად“ (Хищники – სტილი დაცულია კ.ე) მოიხსენიებს.<sup>74</sup>

აღნიშნულ მოვლენებზე საუბრობს სეპარატისტი მეცნიერი მარკ ბლიევი თავის ნაშრომში: «Осетия в первой трети XIX века» – და აღნიშნავს, რომ ქართველი ბატონიშვილები ამ პერიოდში ცდილობდნენ ოსთა მაღალი სოციალური წრეების მიმხრობას მეფის რუსეთის ადმინისტრაციის წინააღმდეგ.<sup>75</sup> იმავე კონტექსტში საუბრობს ბლიევი 1810 წლის აჯანყებაზეც ლევან ბატონიშვილის მეთაურობით. ავტორის მიხედვით ლევანის ამოცანას წარმოადგენდა (стояла задача – სტილი დაცულია კ.ე) ოსი ხალხის აჯანყება რუსული ადმინისტრაციის წინააღმდეგ.<sup>76</sup> ამგვარად, სეპარატისტი ავტორი ვერ უარჰყოფს მეფის რუსეთის წინააღმდეგ ქართველთა და ოსთა ერთობლივი ბრძოლის ფაქტს XIX საუკუნის დასაწყისში, თუმცა განსხვავებულ კონტექსტში წარმოგვიდგენს აღნიშნულ მოვლენებს, რადგან ცხადია, რომ ბატონიშვილის მიზანი გაცილებით უფრო ფართო, საერთო-ქართულ სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას ატარებდა, ვიდრე კოკნრეტულად ოსი ხალხის რუსეთის წინააღმდეგ გამოსვლის მობილიზება იყო. ეს უკანასკნელი ფაქტი ბატონ-

---

<sup>73</sup> მ. ტავაშვილი. ოსების ბრძოლა ქართული სახელმწიფოებრიობის აღსადგენად 1810-1811 წლებში. იხ.: [http://expertclub.ge/portal/cnid\\_9067/alias\\_Expertclub/lang\\_ka-GE/tabid\\_2546/default.aspx](http://expertclub.ge/portal/cnid_9067/alias_Expertclub/lang_ka-GE/tabid_2546/default.aspx)

<sup>74</sup> ა. მღებრიშვილი. რუსულ-ქართული ურთიერთობები და ქართველთა და ოსთა ერთობლივი ბრძოლა რუსული კოლონიალისტური პოლიტიკის წინააღმდეგ კავკასიაში, გვ. 161; Д. Лавров. Заметки об Осетии и осетин. Тиф. 1883.

<sup>75</sup> М. Блиев. Осетия в первой трети XIX века. Орджоникидзе. 1964, გვ. 60.

<sup>76</sup> М. Блиев. Осетия в первой трети XIX века, გვ. 113.

ნიშვილის საერთო-სახელმწიფოებრივი გეგმის მხოლოდ ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი შეიძლება ყოფილიყო.

ამასთან ერთად, უთუოდ აღნიშვნის ღირსია ასევე ოსთა თარეშები საქართველოს ტერიტორიაზე, რომელიც, ბუნებრივია ზოგად-ქართულ სახელმწიფოებრივ ინტერესებს ძლიერ აზიანებდა. ამის შესახებ საუბრობს XIX საუკუნის ქართველი საზოგადო მოღვაწე სოფრომ მგალობლიშვილი: „ლეკთა თარეში რა მოსატანია, ან რა შესადარებელია ოსთა თარეშობასთან. ოსები ყველა თავად მაჩაბლებისა და ერისთავების ყმები იყვნენ, შემდეგ და შემდეგ, როცა გამრავლდნენ, სხვადასხვა თავადთა და აზნაურთა მამულებში გაიხიზნენ და მოედვნენ თითქმის მთელს ქართლის მთა-ტყეებსა.“<sup>77</sup> ამ მხრივ საინტერესოა 1824 წლის, გენერალ ხონევის პატაკი გენერალ ერმოლოვის მიმართ, რომელიც მკვლევარ ანზორ თოთაძეს აქვს მოყვანილი საკუთარ ნაშრომში. აღნიშნულ პატაკში ხონევი აღნიშნავდა: „იმისათვის, რომ შეწყდეს ქართველებზე თავდასხმები და მათი ძარცვა-გლეჯა ოსების მხრიდან, ქართლის მცხოვრებთ უნდა მივცეთ საშუალება დაიცვან თავი მძარცველთაგან იარაღით ისე, როგორც კახეთის მცხოვრებნი იცავენ თავს ლეკებისაგან.“<sup>78</sup>

საფიქრებელია, რომ სწორედ ქართლის მაშინდელ მცხოვრებთა პასუხს ოსთა თარეშებზე, სეპარატისტული ლიტერატურის ზემოაღნიშნული წარმომადგენელი ბლიევი უწოდებს ქართველ თავადთა მიერ ოსების მიმართ განხორციელებულ „გენოციდს“ XIX საუკუნის 30-50 იან წლებში.<sup>79</sup>

ამგვარად, XIX საუკუნის მანძილზე ქართულ-ოსურ ურთიერთობაში ორი მთავარი და თვისობრივად ურთიერთსაწინააღმდეგო ტენდენცია იკვეთება: 1. საუკუნის დასაწყისში ოსებისა და ქართველების ერთბლივი ბრძოლა მეფის რუსეთის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ და 2. ოსთა გაუთავებელი თარეშები ყოფილი ქართლის სამეფოს ტერიტორიაზე, რის გამოც XIX საუკუნის შუა ხანებში თავად რუსული ადმინისტრაციის წარმომადგენლებიც კი საუბრობენ აღნიშნულ პრობლემაზე.

რაც შეეხება თავად ტერმინს „სამხრეთ ოსეთი“ – მკვლევარ სოლომონ ლეკიშვილის მიხედვით, პირველად ეს ტერმინი გამოყენებულ იქნა 1830 წელს წერილების სერიაში, რომელიც დაიბეჭდა გაზეთ „ტიფლისკი ველო-

<sup>77</sup> ს. მგალობლიშვილი. მოგონებანი. ტფილისი. 1938, გვ. 22-23.

<sup>78</sup> ა. თოთაძე. ოსები საქართველოში, გვ. 31; Акты кавказской археографической комиссии. Т. VI. Тиф. 1874, გვ. 690.

<sup>79</sup> М. Блиев. Южная Осетия в коллизиях Российско-Грузинских отношений. Москва. 2006, გვ. 171.



მოსტში“ (№72-86), თუმცა ლეკიშვილის ლოგიკური შენიშვნით, როგორც ჩანს, კორესპონდენტმა ეს ტერმინი საკუთარი ინიციატივით გამოიყენა, რადგან 1830 წელს გრაფ პასკევიჩის სამხედრო მინისტრ – ჩერნიშევისადმი წარდგენილ ანგარიშში მოხსენიებულნი არიან: „კავკასიის მთიანეთის სამხრეთით მდებარე ჩრდილოეთ ქართლის ოსები.“<sup>80</sup> პასკევიჩი ერთი სიტყვითაც კი არ ახსენებს „სამხრეთ ოსეთს“.

1828-1915 წლებში რუსულ პერიოდულ გამოცემებში „სამხრეთ ოსეთი“ მხოლოდ 13 ჯერ იქნა გამოყენებული. 1825-1912 წლების ქართულ პერიოდულ გამოცემებში კი, ავტორის მიხედვით, ეს ტერმინი საერთოდ არ გამოიყენებოდა. ამ ტერმინს არ იყენებენ ასევე კავკასიის თემატიკაზე მომუშავე ცნობილი რუსი მეცნიერები – ლუბროვინი, კოვალევსკი, მილერი, უვაროვა, ზაგურსკი და ა.შ.<sup>81</sup>

რაც შეეხება ოსურ დამწერლობას, საინტერესოა, რომ აფხაზური დამწერლობისგან განსხვავებით, ოსური ანბანი 1802 წელს ქართული გრაფიკის საფუძველზე შექმნა იოანე იალღუზიძემ (1770-1830), რომელიც 1821 წელს დაიბეჭდა თბილისის სტამბაში. მოგვიანებით ის შეცვალა რუსი მეცნიერის ანდრეი შეგრენის მიერ 1844 წელს შექმნილმა სლაგურმა ანბანმა.<sup>82</sup>

ქართული სამეცნიერო-კულტურული წრეების დამოკიდებულება ოსთა ენისა და კულტურისადმი მეტად პოზიტიური იყო XIX-XX საუკუნეებში. დიდი ღვაწლი მიუძღვის ოსური ხალხური ზეპირსიტყვიერების შეკრებაში ქართველ საზოგადო მოღვაწეს დანიელ ჭონქაძეს, რომელიც 1855 წლიდან თბილისის სასულიერო სემინარიაში ოსურ ენას ასწავლიდა. მის მიერ ჩაწერილი ოსური ხალხური შემოქმედების ნიმუშების ნაწილი გამოიცა 1868 წელს პეტერბურგში.<sup>83</sup> გარდა ამისა, დიდი წვლილი აქვს შეტანილი ოსური ენის შესწავლასა და განვითარებაში აკადემიკოს გიორგი ახვლედიანს. 1906 წელს თბილისში დაარსდა „ოსური გამომცემლობის საზოგადოება“, რომელმაც თბილისში მცხოვრები ოსი ახალგაზრდებისთვის გახსნა სკოლა, სადაც სწავლა ოსურ ენაზე მიმდინარეობდა. პირველი ოსური დრამატული თეატრი

---

<sup>80</sup> ს. ლეკიშვილი. როდის გაჩნდა ტერმინი „სამხრეთ ოსეთი“?. იხ.: „ოსთა საკითხი.“ კრებული. რედ. ა. ბაქრაძე და ო. ჩუბინიძე. გორი. 1996, გვ. 261.

<sup>81</sup> С. Лекишвили. Когда возник термин «Южная Осетия». «Осетины в Грузии». Сборник. Универсал. Тб. 2015, гв. 222-223.

<sup>82</sup> ვ. ითონიშვილი. კავკასია და კავკასიელები. თბ. 2007, გვ. 79-80.

<sup>83</sup> Осетинские тексты собранные Д. Чонкадзе и В. Цороевым. Записки академии наук. Том XIV. СПб. 1868.

საქართველოში დაარსდა 1931 წელს, ხოლო 1932 წელს ცხინვალში გაიხსნა პედაგოგიური ინსტიტუტი.<sup>84</sup>

1843 წელს ზემოაღნიშნული თბილისის გუბერნიის ტერიტორიაზე, ცარიტული ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით შეიქმნა ოსეთის სამხედრო ოლქი (ოსეთის სამხედრო ოკრუგი). აღნიშნული ტერიტორია მომავალი „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის“ მხოლოდ მესამედს იკავებდა.

ამგვარმა ტერიტორიულ-ადმინისტრაციულმა მოწყობამ გასტანა 1922 წლამდე, როდესაც უკვე ბოლშევიკური მთავრობის მიერ ხელოვნურად შეიქმნა „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი“. ბოლშევიკური მთავრობის ამ ნაბიჯმა, შეცვალა და სრულიად ახალ საფეხურზე გადაიყვანა მეფის რუსეთის პოლიტიკა საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ოსი ხალხის მიმართ.

ზოგადად კავკასიაში საბჭოთა ოკუპაციის ისტორიიდან ცნობილია, რომ საკუთარი გავლენის დასამყარებლად ამა თუ იმ ტერიტორიაზე, საბჭოთა ადმინისტრაცია იყენებდა ე.წ. „რევოლუციურ კომიტეტებს“, რომელთაც, თავის მხრივ, ევალეობდათ „ხალხთა აჯანყებების“ ინსცენირება მომავალი იმპერიის სხვადასხვა კუთხეში. საბოლოოდ წითელი არმია სწორედ ამგვარი ხალხთა აჯანყებების „ქომაგად“ ევლინებოდა „ჩაგრულ“ (ხაზგასმა ჩვენია კე) ხალხებს. იმავე სცენარით მოხდა 1921 წლის თებერვალში თბილისისა და შემდგომ უკვე მთელი საქართველოს გასაბჭოება.

ერთ-ერთი პირველი ანტიქართული აჯანყება ცხინვალისა და ჯავის რეგიონებში მცხოვრები ოსების მიერ მოხდა 1918 წლის 14 მარტს სოფელ ერედვში. 18 მარტს აჯანყებულებმა ცხინვალი აიღეს და აქ საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადეს. აჯანყებულთა მთავარ მიზანს წარმოადგენდა არარსებული „სამხრეთ ოსეთის“ საქართველოსგან გამოყოფა და საბჭოთა რუსეთთან შეერთება.<sup>85</sup> 1919 წლის 12 ივნისს ქალაქ ჯავაში სეპარატისტულად განწყობილი, საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკური ოსების მიერ შეიქმნა „სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტი“.

1920 წლის 28 მარტს სეპარატისტულმა ძალებმა ჩამოაყალიბეს „სამხრეთ ოსეთის რევოლუციური კომიტეტი“. იმავე წლის მაისში, იმავე სამხედრო ჯგუფებმა დაიკავეს ქ. ჯავას მიმდებარე ტერიტორიები და გამოაცხა-

<sup>84</sup> ა. თოთაძე. ოსები საქართველოში, გვ. 101.

<sup>85</sup> ა. მღებრიშვილი. რუსულ-ქართული ურთიერთობები და ქართველთა და ოსთა ერთობლივი ბრძოლა რუსული კოლონიალისტური პოლიტიკის წინააღმდეგ კავკასიაში, გვ. 162.

დეს საბჭოთა მმართველობის შექმნის შესახებ ამ ტერიტორიაზე. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებულმა ძალებმა, ვალიეო ჯუღელის მეთაურობით, აღვეთეს ოსთა გამოსვლები.<sup>86</sup> სწორედ აღნიშნული მომენტი მოიხსენიება ოსი სეპარატისტი ავტორების მიერ, როგორც „პირველი ომი საქართველოსა და ოსეთს შორის“.<sup>87</sup>

იმავე წლის 8 ივნისს რევოლუციური კომიტეტის მიერ გამოცემული დეკრეტის მიხედვით, „სამხრეთ ოსეთის რევოლუციური კომიტეტის“ იურისდიქცია ვრცელდებოდა ქ. ონიდან დუშეთამდე. ამ შემთხვევაში რევკომის მუშების მთავარი მოთხოვნას აღნიშნული ტერიტორიის რუსეთის შემადგენლობაში შესვლა წარმოადგენდა.<sup>88</sup> ამგვარად, როგორც ვხედავთ, ბოლშევიკების მთავარ მიზანს წარმოადგენდა საქართველოს ტერიტორიაზე დესტაბილიზაციის მოწყობა, რაც საქართველოს ტერიტორიის უფრო ეფექტურად კონტროლის საშუალებას მისცემდა.

1921 წლის 31 ოქტომბერს, საქართველოს ოკუპაციიდან თითქმის ნახევარი წლის შემდეგ, კავკასიის საბჭოთა ბიურომ დაამტკიცა შიდა ქართლის ტერიტორიაზე მოსახლე ოსებისთვის ავტონომიის მინიჭების საკითხი, რომელსაც მოგვიანებით, 1922 წლის 20 აპრილს ეწოდა „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი“.<sup>89</sup> ამგვარად, საბჭოთა კავშირის იმპერიალისტური პოლიტიკის გამოისობით, ავტონომიური სტატუსი მიენიჭა ისეთ ტერიტორიულ ერთეულს, რომელსაც მანამდე არასოდეს უარსებია საქართველოს ტერიტორიაზე.

აღნიშნული მოვლენის ტრაგიკულობა კიდევ უფრო ცხადი გახდება თუკი გადავხედავთ შიდა ქართლში მოსახლე ეთნიკურად ოსი მოსახლეობის დინამიკას XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისისთვის. 1886 წლის საოჯახო სიების მიხედვით, ცხინვალში ცოვრობდა 3832 კაცი, აქედან: 1135-ქართველი, 1953 – ებრაელი და 744-სომეხი. ამ პერიოდში ცხინვალში, როგორც ვხედავთ, არცერთი ოსი არ ცხოვრობს.<sup>90</sup> 1922 წელს შექმნილ „სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში“ კი მხოლოდ და მხოლოდ 613 ეთ-

---

<sup>86</sup> ა. მღებრიშვილი. რუსულ-ქართული ურთიერთობები და ქართველთა და ოსთა ერთობლივი ბრძოლა რუსული კოლონიალისტური პოლიტიკის წინააღმდეგ კავკასიაში.

<sup>87</sup> Из истории Южной Осетии. об.: [http://osetins.com/books\\_ist\\_osetia](http://osetins.com/books_ist_osetia)

<sup>88</sup> შ. მალაშხია. კონფლიქტების ანატომია, გვ. 138.

<sup>89</sup> შ. მალაშხია. კონფლიქტების ანატომია.

<sup>90</sup> Свод статистических данных о населении Закавказского края, излечённых из посемейных списков 1886 года. Тиф. 1893.

ნიკურად ოსი ცხოვრობდა 1 436 ქართველთან, 1 651 ებრაელთან და 765 სომეხთან ერთად.<sup>91</sup>

ამგვარად, როგორც ვნახეთ, ქართველ და აფხაზ, ისევე როგორც ქართველ და ოს ხალხებს შორის ურთიერთობის გამწვავებაზე აქტიურად „ზრუნავდა“ ჯერ მეფის რუსეთის, ხოლო მოგვიანებით საბჭოთა რუსეთის ადმინისტრაცია. მიუხედავად სხვადასხვაგვარი ისტორიული წინაპირობებისა, რომელნიც აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში ისტორიულად ჩამოყალიბდა, რუსული იმპერია მაინც „წარმატებით“ ახორციელებდა საკუთარ პოლიტიკას ორივე რეგიონში.

მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა რუსეთის მიერ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში განხორციელებული ვერცერთი ნაბიჯი ვერ ჯდება ვერანაირ ლეგიტიმურ საკანონმდებლო ჩარჩოში, მათ მაინც შეძლეს მიედწიათ ორი მთავარი მიზნისთვის ამ რეგიონებში: 1. მათ განახორციელეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიის ოკუპაცია; 2. აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში სეპარატისტული განწყობების კულტივირებითა და მათთვის პოლიტიკური სტატუსის მინიჭებით, საბჭოთა ადმინისტრაციამ ხელსაყრელი ბერკეტი შეიქმნა საქართველოს კონტროლისთვის მომავალში. *divide et impera*-ს პრინციპის გამოყენებით საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველოს მიერ მომავალში დამოუკიდებლობის სურვილისა და მისწრაფებების აღსაკვეთი მექანიზმი შეიმუშავა, რომლითაც დღემდე წარმატებით ახერხებს საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტის შელახვას.

## დასკვნა

XIX საუკუნის მანძილზე კოსოვოსა და საქართველოს კონფლიქტური რეგიონების ისტორიული განვითარება კარდინალურად განსხვავებულ სურათს გვაჩვენებს.

საუკუნის დასაწყისიდან მოყოლებული, კოსოვოს ვილაიეთი პორტას დაქვემდებარებული ალბანელი ბეგების მიერ იმართებოდა. ამასთან ერთად, როგორც ვნახეთ, კოსოვოს ტერიტორიაზე მოსახლეობის უმეტესობას ეთნიკური სერბები წარმოადგენდნენ. ამის გათვალისწინებით, ოსმალეთის იმპერიის პოლიტიკა კოსოვოს რეგიონის მიმართ წარმოადგენს *divide et impera*-ს იმპერიული პრინციპის მკვეთრ გამოხატულებას.

<sup>91</sup> სრულიად საქართველოს ქალაქთა მოსახლეობის 1922 წლის 30 ნოემბრის აღწერის ჯამები. ნაწ. 1. ნაკვ. 2. ტფ. 1923, გვ. 36.

გარდა ამისა, სერბული მოსახლეობის სიჭარბის მიუხედავად, კოსოვოს რეგიონის ქალაქები პრიზრენი და პეია, 1870-იანი წლების ბოლოს ალბანური ეროვნული მოძრაობის კერებად გვევლინება. სწორედ ამ ქალაქებიდან დაიწყო ალბანელთა ბრძოლა სახელმწიფოებრიობისთვის, რასაც მათ საბოლოოდ 1912 წელს მიაღწიეს. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ კოსოვოს ვილაიეთი ნაწილობრივ ექცეოდა ახლადშექმნილი ალბანური სახელმწიფოს შემადგენლობაში. მხოლოდ და მხოლოდ 1913 წლის ლონდონის კონფერენციის შემდეგ, რუსეთის იმპერიის დახმარებით მოხდა კოსოვოს სერბეთის სამეფოს შემადგენლობაში შეყვანა, მანამდე კი მთელი XIX საუკუნის მანძილზე და XX საუკუნის დასაწყისში, კოსოვოს რეგიონი მუდმივად ალბანელთა პოლიტიკურ-იდეოლოგიური პლატფორმის საყრდენად გამოიყენებოდა.

განსხვავებით კოსოვოსგან, არც აფხაზეთი და მითუმეტეს არც ცხინვალის რეგიონი, XIX საუკუნის დასაწყისიდან მოყოლებული არანაირი სხვა სახელმწიფოებრივ-ადმინისტრაციული ერთეულის შემადგენელ ნაწილს არ წარმოადგენდა გარდა ქართული სამეფო-სამთავროებისა, რომლებიც ერთმანეთის მიყოლებით იქნა გაუქმებული 1801 წლის შემდგომ. ამ მოვლენის მთავარი მიზეზი აფხაზთა და ოსთა ცალკე სახელმწიფოებრივი წარმონაქმნების არარსებობაა. სწორედ ეს მომენტი გვევლინება ერთ-ერთ მთავარ განმასხვავებელ ასპექტად კოსოვოსა და ქართული კონფლიქტური რეგიონების ისტორიულ განვითარებას შორის XIX საუკუნის დასაწყისში.

თუკი XIX საუკუნის დასაწყისში, ბალკანეთზე საქმე გვაქვს სერბი ხალხის ბრძოლასთან საუკუნოვანი დამპყრობლის წინააღმდეგ, ხოლო საუკუნის მიწურულს კი უკვე ალბანელი ხალხის ეროვნულ მოძრაობასთან იმავე დამპყრობლისაგან თავის დასაღწევად, აფხაზეთის შემთხვევაში ჩვენ ვხვდებით ყოფილი ერთიანი ქართული სამეფოს ერთ-ერთ სულისჩამდგმელ სამეფო-სამთავროს, რომელიც ამ პერიოდისთვის მთლიანად ქართული სახელმწიფოებრივი სამყაროს განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა. სერბთა და ალბანელთაგან განსხვავებით, აფხაზი და ქართველი ხალხი დამპყრობლის – მეფის რუსეთის – წინააღმდეგ თანადროულად, მხარდამხარ იბრძოდა. აფხაზეთი, როგორც განსახლების არეალი, ამ პერიოდში ქართველთა და აფხაზთა შორის უთანხმოების საკითხს არ წარმოადგენდა, ეს ორი ხალხი რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ მხოლოდ და მხოლოდ ზოგად-ქართული სახელმწიფოებრივი ინტერესების სასიკეთოდ იბრძოდა.

მსგავსი ვითარება გვაქვს ამ დროს შიდა ქართლშიც. რეგიონის მთიან-

ეთში მოსახლე ოსები ქართველთა მხარდამხარ გამოდიან მეფის რუსეთის კოლონიალური პოლიტიკის წინააღმდეგ. თუმცა პარალელურად, როგორც ვნახეთ, ამ პერიოდში ადგილი ჰქონდა ოსთა მარბიელი რაზმების თარეშებს ყოფილი ქართლის სამეფოს ტერიტორიაზე, რაც ქართველთა და ოსთა შორის, ამ რეგიონში შექმნილ ვითარებას განასხვავებდა ქართულ-აფხაზური ურთიერთობებისგან.

განსხვავებით კოსოვოს ვილაიეთის ტერიტორიისგან, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ტერიტორიას, XIX საუკუნის მანძილზე არც აფხაზთა და არც ოსთათვის ეროვნული მოძრაობის კერის ფუნქცია არ ჰქონია. რაც შეეხება ქართულ ეროვნულ მოძრაობას, უნდა ითქვას, რომ ამ შემთხვევაში საქმე ზოგად-ქართულ მოვლენასთან გვექნა, რომელიც საკუთარი იდეების განხორციელების ასპარეზად საქართველოს მთელს ტერიტორიას მოიაზრებდა და არა რომელიმე კონკრეტულ რეგიონსა თუ მხარეს.

XX საუკუნის დასაწყისში, ბალკანეთზე მიმდინარე მოვლენების გამო, კოსოვოს რეგიონის ნაწილი და ზოგადად სერბი და ალბანელი ხალხის დაპირისპირება სრულიად ახალ ისტორიულ ეტაპზე გადავიდა. 1908 წელს სულთნის ხელისუფლების დამხობისა და ოსმალეთის იმპერიის სათავეში „ახალგაზრდა თურქთა“ მოსვლის შემდგომ, გააქტიურდა ალბანელთა ეროვნული მოძრაობა, რომელიც 1912 წელს ალბანელთა პირველი სახელმწიფოს შექმნით დასრულდა.

ახლადშექმნილი ალბანეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში შეყვანილ იქნა კოსოვოს რეგიონის ნაწილი, რომელიც, როგორც უკვე არაერთგზის აღინიშნა, უმეტესწილად სერბებით იყო დასახლებული. ამასთან ერთად, თავად ალბანეთის სახელმწიფოს შექმნის ფაქტი დაკავშირებულია იმ დროინდელი გლობალური, მსოფლიო პოლიტიკის ორი დიდი ბანაკის – სამთა კავშირისა და ანტანტის – დაპირისპირებასთან. ამგვარად, უნდა ითქვას, რომ ამ პერიოდში ყოფილი კოსოვოს ვილაიეთის ნაწილს ალბანეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში ჩართვა იმ დიდი პოლიტიკური გეგმის ნაწილი იყო, რითაც სამთა კავშირის ბლოკის ქვეყნები – გერმანია, ავსტრია-უნგრეთი და იტალია – მოქმედებდნენ ანტანტის ბლოკის ქვეყნების – საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთისა და სერბეთის მოკავშირე რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ.

აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონები, როგორც აღვნიშნეთ, ამ დროს მეფის რუსეთის მიერ ოკუპირებულ, ახალ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებს წარმოადგენდნენ, ასევე ოკუპირებული ქართული სამეფოს ტერი-

ტორიაზე. შესაბამისად, თანამედროვე ქართული კონფლიქტური რეგიონები იმ დროისთვის, ფაქტობრივად არანაირ პოლიტიკურ როლს არ ასრულებდნენ რეგიონალურ ან მითუქმეტეს, მსოფლიო პოლიტიკურ ასპარეზზე განსხვავებით კოსოვოს ვილაიეთისგან, რომელიც XX საუკუნის პირველი დეკადის მიწურულს, მნიშვნელოვან პოლიტიკურ-ტერიტორიულ ერთეულს წარმოადგენს დიდ სახელმწიფოთა პოლიტიკურ საჭადრაკო დაფაზე.

იმავე დიდი პოლიტიკური თამაშის ნაწილად გვევლინება 1913 წლის ლონდონის კონფერენციის შემდეგ, ყოფილი კოსოვოს ვილაიეთის გადაცემა სერბეთის სამეფოსთვის, სადაც ჯერ კიდევ 1903 წლიდან მოყოლებული, ტანტზე კარაგეორგევიჩების მმართველი დინასტია გვევლინება. სერბეთის მეფე პეტრე კარაგეორგევიჩი საკუთარ საგარეო პოლიტიკაში მკვეთრ პრო-რუსულ კურსს ატარებდა, რისი პირდაპირი შედეგიც იყო მეფის რუსეთის ძალისხმევა ლონდონის კონფერენციაზე კოსოვოს სერბეთის სამეფოსათვის გადაცემის თაობაზე.

საბოლოოდ, როგორც ვნახეთ, პირველი მსოფლიო ომის დასრულებისა და ოსმალთა იმპერიის დაშლის პროცესში, ბალკანეთზე შეიქმნა სერბთა, ხორვატთა და სლოვენთა სამეფო. აღნიშნული სლავური სამეფოს ლიდერად მიიჩნეოდა სერბეთის სამეფო. ომის დასრულების შემდგომ შექმნილი ახალი პოლიტიკური რეალობის გამოისობით, რომლის მიხედვითაც სერბები გამარჯვებულთა ბანაკში მოხვდნენ, კოსოვოს რეგიონი ექცეოდა სერბეთის შემადგენლობაში.

საკითხავია, თუ როგორ შეიძლებოდა გადაწყვეტილიყო კოსოვოს ბედი იმ შემთხვევაში, თუ გერმანია და ავსტრია-უნგრეთი პირველი მსოფლიო ომიდან გამარჯვებულები გამოვიდოდნენ, რადგან როგორც ამ პერიოდში განვითარებულმა მოვლენებმა ცხადჰყო, რეგიონის ბედს დიდწილად საერთაშორისო პოლიტიკური კონიუნქტურა განსაზღვრავდა. თუკი საერთაშორისო ასპარეზზე მოვლენები სერბეთისა და მისი დიდი მოკავშირის – მეფის რუსეთის – იმპერიის სასიკეთოდ იცვლებოდა, კოსოვო ჩვეულებრივ სერბეთის შემადგენლობაში ექცეოდა, როგორც ეს მოხდა 1913 და 1918 წლებში. ხოლო თუკი ვითარება სერბების საზიანოდ შეიცვლებოდა, ეს როგორც წესი კოსოვოს რეგიონზეც აისახებოდა აღნიშნული რეგიონის დაყოფითა თუ მისი ალბანელთათვის გადაცემით, რასაც ადგილი ჰქონდა 1912 და 1916 წლებში.

ამგვარად, კოსოვოს რეგიონი პირველ მსოფლიო ომამდე, ისევე როგორც თავად ომის დროს და მისი დასრულების შემდეგ, მსოფლიო პოლიტი-

კურ ძალთა დაპირისპირების თავისებურ, ერთ-ერთ მცირე ცენტრად გვევლინება. ეს ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ კოსოვოს რეგიონში მიმდინარე მოვლენები, გარკვეული თვალსაზრისით, ჯერ კიდევ XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში ექცეოდა მსოფლიო პოლიტიკის ყურადღების ცენტრში, მაშინ როდესაც არც აფხაზეთში და მითუმეტეს არც ცხინვალ რეგიონში ამ პერიოდში მსგავსი ტიპისა და მასშტაბის კონფლიქტს უბრალოდ ადგილი არ აქვს. ამ რეგიონებში ჯერ მეფის რუსეთის, ხოლო მოგვიანებით საბჭოთა რუსეთის იმპერია მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი კოლონიური ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებდა.

აფხაზური და ოსური სეპარატიზმის საწყისებთან, როგორც ვხედავთ მეფის რუსეთის და შემდგომში საბჭოთა რუსეთის იმპერია დგას. სწორედ რუსული ადმინისტრაციის პირობებში ხდებოდა, როგორც აფხაზთა, ასევე საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე ოსთა იდეოლოგიური შემზადება საქართველოსა და ქართველთა წინააღმდეგ გამოსვლისთვის. ამის ნათელი მაგალითია 1862 წელს აფხაზეთის რუსული ფრაფიკის საფუძველზე შექმნილი დაძვრელობა და 1907 წელს ვორონოვის ავტორობით გამოსული ზემოაღნიშნული წიგნი: „აფხაზეთი საქართველო არ არის“.

მსგავს პოლიტიკურ ქმედებებს ჰქონდა ადგილი საქართველოს ტერიტორიაზე დასახლებული ოსების მიმართაც. 1843 წელს ოსეთის სამხედრო ოლქის შექმნით მეფის რუსეთის ადმინისტრაციამ, აღნიშნულ ტერიტორიაზე მომავალში ოსთა განსახლების პოლიტიკური ატმოსფეროს მომწიფების წინაპირობა შექმნა.

აფხაზეთისა და შიდა ქართლის მიმართ კოლონიალურმა პოლიტიკამ უფრო მკვეთრი ფორმა მიიღო რუსეთის ხელისუფლებაში ბოლშევიკების მოსვლის შემდეგ. როგორც დავინახეთ, ე.წ. „რევოლუციური კომიტეტების“ შექმნით, საბჭოთა ხელისუფლება ცდილობდა საკუთარი უკანონო ქმედებების „ლეგიტიმაცია“ საქართველოს ტერიტორიაზე და ამისათვის აქტიურად იყენებდა, ამ დროისთვის უკვე საკმარისად გაღვივებულ სეპარატისტულ ტენდენციებს აფხაზებსა და ოსებში. ამ პოლიტიკამ ბოლშევიკებს ერთბაშად ორი მნიშვნელოვანი პოლიტიკური უპირატესობა მისცა საქართველოსთან მიმართებაში: 1. 1921 წლის თებერვალში საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ არსებობა შეწყვიტა და საბჭოთა იმპერიის ნაწილი გახდა; 2. აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში ჩამოყალიბებულმა სეპარატისტულმა განწყობებმა რუსეთის ბოლშევიკურ ხელისუფლებას უდიდესი პოლიტიკური უპ-



ირატესობა და ბერკეტი ჩაუგდო ხელთ – ამერიიდან, საქართველოს მიერ დამოუკიდებლობისკენ გადადგმული ნებისმიერი ნაბიჯი ავტომატურად აამოქმედებდა იმ ნაღმებს, რომლებიც საბჭოთა რუსეთის ხელისუფლების მიერ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში იქნა „დამონტაჟებული“ 1920-იანი წლების დასაწყისში.

ამრიგად, დასკვნის სახით, უნდა ითქვას, რომ XIX საუკუნის მანძილზე და XX საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში კოსოვოსა და ქართული რეგიონული კონფლიქტები ერთმანეთისაგან მკვეთრ თვისობრივ განსხვავებებს გვაჩვენებენ. მათ შორის მთავარ განსხვავებად უნდა მივიჩნიოთ აღნიშნულ ტერიტორიულ ერთეულებზე მიმდინარე მოვლენების პოლიტიკური მნიშვნელობა კოსოვოს შემთხვევაში – ბალკანეთის, ხოლო აფხაზეთისა და შიდა ქართლის შემთხვევაში – კავკასიის რეგიონისთვის.

კოსოვოს ვილაიეთი მთელი XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისის მანძილზე დაპირისპირების მნიშვნელოვან კერას წარმოადგენდა ჯერ ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში, ხოლო მოგვიანებით უკვე რეგიონულ და საერთაშორისო ასპარეზზე. მიუხედავად იმისა, რომ კოსოვოს საკითხი ნაკლებად ჩანს პირველ მსოფლიო ომამდელ, ომისდროინდელ და ომის შემდგომ დიპლომატიაში, აღნიშნული რეგიონი, როგორც ვნახეთ, მუდამ წარმოადგენდა ბალკანეთის რეგიონული პოლიტიკის მნიშვნელოვან ნაწილს.

აფხაზეთისა და შიდა ქართლის რეგიონები მსგავს რეგიონულ მნიშვნელობას ნამდვილად მოკლებულია ჩვენს განსახილველ პერიოდში და უფრო ვიწრო – ქართული სახელმწიფო ინტერესების დონეზე განიხილება, რადგან როგორც აფხაზები, ისე ოსები თვალსაჩინო როლს ასრულებენ ჯერ მეფის, ხოლო მოგვიანებით საბჭოთა რუსეთის კოლონიალურ გეგმებში საქართველოს მიმართ.

*Kakhaber Kalichava*

PhD Student,  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

**KOSOVO, ABKHAZIA AND TSKHINVALI REGION – COMMON  
AND UNCOMMON TRENDS OF HISTORICAL DEVELOPMENT IN  
CONTEMPORARY CONFLICT REGIONS: FROM THE BEGINNING  
OF 19<sup>TH</sup> CENTURY TO 1920s**

Summary

In Georgian scholarly Kosovo's history has not been broadly studied and researched. Especially little has been done in terms of the comparative studies of Kosovo, Abkhazia and Tskhinvali regions' conflicts. Generally, the interest about this topic throughout Georgian society has been rising after February 2008, when the independence of Kosovo was declared by the United Nations. This event significantly reflected on the political situation in the Georgian breakaway regions.

The main goal of this work is the comparative analysis of Kosovo, Abkhazia and Tskhinvali region's conflicts. To achieve this goal, the article will focus on the historical period from the beginning of the 19<sup>th</sup> century till 1920s. The period during which, the main political, cultural, ethnic and demographic processes took place in Kosovo as well as in Abkhazia and Georgian – Shida Kartli – region: evolving Serbian and Albanian national movements on the Balkans, as well as the newly born Georgian national movement emerging in the Tsarist Russian empire in the 19<sup>th</sup> century, combined with the international and regional policy in these regions. These factors, finally defined the nature of the conflicts on the Balkans as well as in the Caucasus, which were to arise lately in the 20<sup>th</sup> century.

Using various sources and scholarly literature, this paper attempts to examine the main common and distinctive aspects and characteristics of these conflicts. It aims to construct a broader scientific picture of the main

peculiarities these modern conflict regions might share in the past. It will focus on the main political and geo-political factors surrounding these regions and examine to what extent the political circumstances in these regions were actually determined by the changing nature of the international relations and world policy by that time.

*როლანდ თოფჩიშვილი*

პროფესორი, თსუ

### **ზნეობრივი ნორმები შუა საუკუნეების საქართველოში**

ადამიანთა ყველა საზოგადოებას, არქაული საზოგადოებიდან დღემდე, გარკვეული ზნეობრივი ნორმები ახასიათებდა და ახასიათებს. ზნეობრივი ნორმები გულისხმობს ქცევის წესების ერთობლიობას, რომელშიც გამოყოფენ სწორსა და არასწორ წარმოდგენებსა და იდეების სისტემას. პირველი მათგანით საზოგადოება მოითხოვს ერთი გარკვეული ქმედების შესრულებას და მეორე, ასევე, გარკვეული ქმედების აკრძალვას. ზნეობრივი/ქცევის ნორმები, მისი ერთობლიობა ეთნოლოგიის კვლევის საგანია, რადგან ის უშუალოდ სწავლობს ხალხთა ცხოვრებას. ზნეობრივი ნორმები ტრადიციის ერთ-ერთი სახეა, ისინი ტრადიციით ერთი თაობიდან მეორეს გადაეცემა. სხვაგვარად ზნეობრივ ნორმებს ეთნოლოგიურ/სოციალურ და კულტურულ ანთროპოლოგიაში *სოციონორმატიულ კულტურას* უწოდებენ. სოციონორმატიულ კულტურაში, ანუ ნორმატიულ ეთნოლოგიაში, ჩვეულებრივ, ესმით სოციალური ნორმების ეთნიკური თავისებურებანი, ქცევის ნორმები.<sup>1</sup> ეტიკეტის, ზნეობის ეთნიკური თავისებურებანის ჩამოყალიბება მთელმა რიგმა ფაქტორებმა განაპირობა, რომელთა შორის შეიძლება დავასახელოთ საზოგადოების სოციალური კულტურის (სოციალური, კონფესიური, პროფესიული და სხვა სახის განშრეება) გართულება. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვან როლს თამაშობდა კულტურათაშორის კავშირები. ამრიგად, ყველა ხალხს/ეთნოსს მისთვის დამახასიათებელი სოციონორმატიული კულტურა გააჩნდა და გააჩნია. ეტიკეტი, ზნეობრივი ნორმები აგერთვე არეგულირებდა სხვადასხვა „წონითი კატეგორიის“ ადამიანების ურთიერთობას. აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დასავლეთის საზოგადოებამ საყოველთაოდ მისაღები ქცევის წესები და

---

<sup>1</sup> Свод этнографических понятий и терминов: Социально-экономические отношения и соционормативная культура. М. 1986, გვ. 6.

ეტიკეტის ნორმებიც შექმნა, რომელიც აწესრიგებდა ცივილიზებული საზოგადოების ადამიანთა ერთმანეთს შორის და ინდივიდის სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებთან ურთიერთობას.<sup>2</sup>

ამთავითვე უნდა ითქვას, რომ საკუთრივ ზნეობრივი ნორმების შესწავლას ეთნოლოგიური მეცნიერება, სოციოკულტურული ანთროპოლოგია თავდაპირველად მხოლოდ სხვა პრობლემებთან მიმართებით სწავლობდა. ამ თემის ცალკე შესწავლა მხოლოდ მოგვიანებით დაიწყო. მისი ცალკეული ელემენტები განიხილებოდა სხვა (არაეტიკეტურ) წეს-ჩვეულებებთან, საკითხებთან ერთად. ამიტომაც, რომ მისი ცალკეული ელემენტები (მაგალითად, სტუმართმოყვარეობა, უმძრახობა) მეცნიერთა ყურადღების ცენტრში უფრო მეტად აღმოჩნდა. ზნეობრივი ნორმების კვლევის სფეროს ზოგჯერ „ურთიერთობათა ეთნოლოგიასაც“ უწოდებენ.

თუმცა, აქვე არ შეიძლება იმის უთქმელობა, რომ მოდერნული პროცესები ასეთ კულტურას (ქცევის წესების ერთობლიობას) გარკვეულ „საფრთხეს“ უქმნის. სიტყვა „საფრთხე“ ბრჭყალებში შეგნებულად მოვითავსეთ, რადგან ზოგიერთი ზნეობრივი ნორმა თანამედროვე საზოგადოებისათვის ფაქტობრივად მიუღებელია და მათმა შემონახულობამ შეიძლება ერთგვარი მუხრუჭის როლიც ითამაშოს.

მეცნიერები სოციონორმატიულ კულტურას ისტორიულ ჭრილშიც განიხილავენ, რაც, ასევე, ბუნებრივია, რადგან ეთნოლოგიური მეცნიერებისათვის მისი ჩამოყალიბების დღიდან გარკვეული ისტორიზმია დამახასიათებელი. უფრო მართალი ვიქნებით, რომ ვთქვათ – დღევანდელი ეთნოლოგია ასეთ ტრადიციებს ერთდროულად სწავლობს, როგორც თანამედროვე, ისე ისტორიულ ჭრილში, რაც იძლევა იმის საშუალებას, რომ არსებული ზნეობრივი ნორმების მომავალი განვჭვრიტოთ.

სოციონორმატიული კულტურა მოიცავს ისეთ პრობლემებს, როგორცაა სამართალი (იმის დაწესება, რისი გაკეთება შეიძლება და რისი – არა), ეტიკა (წარმოდგენა იმის შესახებ, როგორ უნდა მოვიქცეთ და როგორ არ უნდა მოვიქცეთ), ესთეტიკა (წარმოდგენა ლამაზსა და სიმახინჯეზე). სოციონორმატიული კულტურა განსაზღვრავს ადამიანთა ქცევას, უფრო სწორად მის საზღვრებს.<sup>3</sup>

<sup>2</sup> Правила светской жизни и этикета. Хороший тонь. Сборник советов и наставлений на разные случаи домашней и общественной жизни. СПб. 1893.

<sup>3</sup> დაწვრილებით იხ.: რ. თოფჩიშვილი, ქ. ხუციშვილი, რ. გუჯეჯიანი. თეორიული ეთნოლოგია, თბ. 2010, გვ. 289-400.

ზნეობრივ ნორმებზე როდესაც ვსაუბრობთ, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ეთნოლოგიას/კულტურულ და სოციალურ ანთროპოლოგიას ამ საკითხების კვლევისას გადაკვეთა აქვს ისეთ მეცნიერებებთან როგორცაა სამართალი, ეთიკა. ეთნოლოგიას კი ის აინტერესებს როგორც ტრადიცია, რომელიც ერთი თაობიდან მეორე თაობას გადაეცემოდა და არეგულირებდა ადამიანთა ურთიერთობებს ერთმანეთთან და საზოგადოებასთან. ამრიგად, სოციონორმატიული კულტურა მეცნიერთა მიერ ორ ძირითად კატეგორიად არის დაყოფილი. ესენია: სამართალი და მორალი (ზნეობრიობა და ეთიკა), რომელიც რელიგიურ ზნეობრივ წარმოდგენებსაც მოიცავს. არსებობს აგრეთვე მეორეხარისხოვანი ხასიათის ნორმები, რომელთა შორის შეიძლება დავასახელოთ ზრდილობის წესები, ეტიკეტი, გარკვეული ასოციაციისადმი მიკუთვნებულობასთან დაკავშირებული წესები.<sup>4</sup>

ზნეობრივი ნორმები სხვადასხვაგვარი იყო სხვადასხვა საზოგადოებაში. რა თქმა უნდა, არქაული საზოგადოების ზნეობრივი ნორმები განსხვავდებოდა სოციალურად დიფერენცირებული საზოგადოების ზნეობრივი ნორმებისაგან. იგივე შეიძლება ითქვას რელიგიის შესახებაც – პირველყოფილი საზოგადოების რწმენა-წარმოდგენები სხვაგვარ ზნეობრივ ნორმებს აყალიბებდა, მონოთეისტური რელიგიები კი სრულიად სხვაგვარს. მონოთეისტურმა რელიგიებმა კი (იუდაიზმმა, ქრისტიანობამ, ისლამმა, ბუდიზმმა) თავის მხრივ სხვადასხვაგვარი სოციონორმატიული კულტურა შექმნა. ბევრი მაგალითის მოხმობა შეიძლება, მაგრამ მხოლოდ ერთის მოყვანით დავკმაყოფილდებით. შუა საუკუნეების ნებისმიერ საზოგადოებაში ფეოდალების ძირითად ღირებულებად მიიჩნეოდა ვაჟკაცობა, გამბედაობა, სამხედრო ხელოვნება, სიუხერენისადმი ერთგულება, ვასალთა უფლებების პატივისცემა, გულუხვობა, ხოლო გლეხებისათვის – შრომისმოყვარეობა, მორჩილება, ბატონისადმი ერთგულება, მომჭირნეობა.<sup>5</sup>

რელიგიისა და ზნეობრივი პრინციპების/მორალის ურთიერთმიმართების შესახებ გარკვეული ურთიერთსაწინააღმდეგო შეხედულებებია გამოთქმული. ბუნებრივია რელიგიამ საკმაოდ დიდი გავლენა მოახდინა ზნეობრივი პრინციპების ჩამოყალიბებაზე, მაგრამ იმასაც აღნიშნავენ, რომ ყველა მონოთეისტურმა რელიგიამ თითქმის ყველა ზნეობრივი პრინციპი უფრო ადრინდელი რელიგიებისაგან მიიღო. არაბული ცივილიზაციის ცნობილი მკვლევარი *გუს-*

<sup>4</sup> რ. თოფჩიშვილი, ქ. ხუციშვილი, რ. გუჯეჯიანი. თეორიული ეთნოლოგია, გვ. 290.

<sup>5</sup> რ. თოფჩიშვილი, ქ. ხუციშვილი, რ. გუჯეჯიანი. თეორიული ეთნოლოგია, გვ. 296.

ტავ ლეონი (1841-1931 წწ.) იმასაც აღნიშნავდა, რომ ღრმა რელიგიურობა თავისთავად მაღალი ზნეობრივი მორალის დამადასტურებელი არაა. საამისოდ მას მოჰყავს ესპანეთისა და რუსეთის მაგალითი. ის აღნიშნავს, რომ ორივე ამ ქვეყანაში რელიგიურ წეს-ჩვეულებებს განსაკუთრებით გულმოდგინებით იცავენ. მაგრამ ისინი შეიძლება იმ ხალხების რიცხვს მივაკუთვნოთ, რომელთა მორალური დონე განვითარების მაღალ დონეზე არ იმყოფებიან.<sup>6</sup>

ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ მორალი ნორმების ერთობლიობაა და ის შემოღებული არაა სახელმწიფოს მიერ, არამედ საზოგადოების მიერ და უზრუნველყოფილია საზოგადოებრივი აზრის ზემოქმედებით. ცნობილი მეცნიერის ლ. უაიტის მიერ ნორმები სამართლიანადაა ორ კატეგორიად დაყოფილი, რომელთაგანაც პირველს „ეთიკას“ უწოდებდა და მეორეს – „ეტიკეტს“. ის მიუთითებდა, რომ ეთიკა, რომელიც ქცევის ნორმებია, საერთოა მთელი საზოგადოებისათვის, ეტიკეტი კი ნორმების ისეთ კატეგორიას მიეკუთვნება, რომელიც არეგულირებს სხვადასხვა ჯგუფის წევრებს შორის ურთიერთობებს, მაგალითად, მამაკაცებისა და ქალების, დიდებისა და პატარების, სხვადასხვა სოციალური სტატუსის ინდივიდებს და ა. შ.<sup>7</sup>

ამა თუ იმ ეთნოსის/ხალხის კვლევისას ძირითადი აქცენტები კეთდება: მორალურ ფასეულობებზე და სოციალურად მისაღებ ნიშან-თვისებებზე (მოკრძალებულობა, სიამაყე, ტოლერანტობა...); სხვა სქესის წარმომადგენლებისადმი, სოციალურად სხვა საფეხურზე მდგომი ადამიანებისადმი დამოკიდებულებაზე; ურთიერთობის თავისებურებებზე (მაგალითად, ნათესავებს შორის, სხვადასხვა ეთნიკური და ნაციონალური ჯგუფების მიმართ); ეტიკეტურ ქცევაზე სხვადასხვა ადგილებში (მაგალითად, საკუთარ და სხვის სახლში, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში); ზნეობრივი ნორმების დარღვევაზე ადამიანთა ჯგუფების რეაქციაზე; ამ სფეროში ინოვაციების წარმოქმნაზე.<sup>8</sup>

ბუნებრივია, ჩვენს ინტერესს იწვევს როგორი იყო ქართველთა ზნეობრივი ნორმები. ქართველებს ყოველთვის ესმოდათ, რომ მათი ქცევა განსხვავდებოდა სხვათა ქცევისაგან, მაგალითად შეიძლება ამონარიდი მოვიყვანოთ *კაპუნა ორბელიანის* თხზულებიდან: „*მსწრაფლ აღასრულეს ბძანება, დააგროვეს ქალი და ვაჟი, ვისა ყვანდა საკადრი კელმწიფისა და დაადგინეს ქალაქსა*

<sup>6</sup> Г. Лебон. История арабской цивилизации. Минск. 2009, გვ. 429.

<sup>7</sup> რ. თოფნიშვილი, ქ. ხუციშვილი, რ. გუჯეჯიანი. თეორიული ეთნოლოგია, გვ. 296.

<sup>8</sup> А. А. Байбурин. Об этнографическом изучении этикета. Этикет у народов Передней Азии. М. 1988, გვ. 14.

*შინა სწავლად საქციელთა ქართულთა*“.<sup>9</sup> კიდევ: „ნახეს მეფეთა ქართლისა და კახეთისათა, მიეგებნენ, მიიხნივეს დიდი პატივი, დაიდვეს ნადიმი, *ქნეს მეფლისი გამოჩვენებით, რომელი ზნეობა და ქართლის წესი იყო, იმ რიგით აჩვენეს ღზინი*“.<sup>10</sup> სამწუხაროდ, ჩვენს ეთნოლოგიურ მეცნიერებაში ეს პრობლემა ფაქტობრივად მკვლევართა ყურადღების მიღმა დარჩა. მანამ, სანამ ქართველთა ზნეობრივ ნორმებს/სოციონორმატიულ კულტურას უშუალოდ შეეხებით, ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ თანამედროვე მოდერნიზაცია და კულტურული გლობალიზაცია საფრთხეს სწორედ ეთნოლოგიის ამ სფეროს უქმნის. ეთნოლოგიის ამ სფეროში ცვლილებები ჯერ კიდევ ადრე, XIX საუკუნეში, დაიწყო, როდესაც საქართველოში (განსაკუთრებით ქალაქებში) ევროპეიზაციამ ფართოდ გაიკაფა გზა. ჩვენს ეპოქაში ყოველდღიური კულტურის სტრუქტურისა და ფორმების ცვლილებას კი მასმედიის საშუალებები, უპირველეს ყოვლისა, ტელევიზია განაპირობებს.<sup>11</sup> ამ პრობლემაზე ქართველ ეთნოლოგებს XIX საუკუნის ყოფა დაფიქსირებული აქვთ, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ მისი მეცნიერული მონოგრაფიული კვლევა არ მოუხდენიათ. ისტორიის სიღრმეში ქართველთა ზნეობრივი ნორმების გარკვეული რაოდენობა დაფიქსირებულია, განსაკუთრებით ეს ითქმის მხატვრულ ლიტერატურაზე. ეს ნორმები გვხვდება ყველაზე უძველეს ნაწარმოებში „შუშანიკის წამებაში“, ქართული ლიტერატურის შედევრში „ვეფხისტყაოსანში“, *იოანე ბაგრატიონი* „კალმასობაში“ *იოანე ხელაშვილს* ათქმევინებს: „ვეფხისტყაოსანი“ სწორედ ზნეთსწავლულობა არს და ვინც როგორ იხმარება, იმ ნაყოფს გამოიღებს...!<sup>12</sup> ქართული ლიტერატურის შედევრიდან არაერთი ზნეობრივი ნორმა შეიძლება დავადასტუროთ. ამ მხრივ შეიძლება გავიხსენოთ საყოველთაოდ ცნობილი აფორიზმები: „რასაცა ვასცემ შენია, რაც არა დაკარგულია“; „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი“... ქცევის ნორმებზეა საუბარი დავით გურამიშვილის „დავითიანში“. მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის *ვახუშტი ბაგრატიონს*, *იოანე ბაგრატიონის* „კალმასობას“. რაც მთავარია, XVII საუკუნის მეორე ნახევრის მეფე-პოეტმა *არჩილმა* ამ პრობლემას სპეციალური ნაწარმოები „საქართველოს ზნეობანი“ მიუძღვნა.

<sup>9</sup> პაპუნა ორბელიანი. ამბავნი ქართლისანი. ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა. თბ. 1981, გვ. 55.

<sup>10</sup> პაპუნა ორბელიანი. ამბავნი ქართლისანი, გვ. 238.

<sup>11</sup> Социокультурная антропология: история, теория и методология: Энциклопедический словарь. Киров. 2012, გვ. 694, 700.

<sup>12</sup> იოანე ბატონიშვილი. კალმასობა. ქართული პროზა. წ. VI. თბ. 1984, გვ. 63.



არჩილი თავიდანვე ზნეობის კლასიფიცირებას ახდენს; ის ცალ-ცალკე გამოყოფს „სამღვთო“ და „სამხედრო“, „მშვეებელის“ (მღვწის) და „მოვავლახის“ (გაჭირებულის), „ლამქრობის“ და „ნადირობის“ ზნეობას. ზნეობრივ საქციელებს პოეტი სინათლეს ადარებს და მოუწოდებს მკითხველს, ისინი დაისწავლოს: „*ზნეობა საქციელები არ ბნელობს, არის ნათელი, // კამკამებს დაუფარავად, ვითა წყვდიადში სანთელი, // ეს უნდა კაცმა იცოდეს, მის-მის დროს რაა ნათელი. // ნურას მიზეზობთ, ისწავლეთ, ეს არის თქვენი მსწავლელი*“ (გვ. 561, სტრ. 64). „*ისა კარგი ზნეობაა, ვინც გულით არვის ბოროტობს*“ (გვ. 563, სტრ. 72).

როგორც ქრისტიანი, მეფე-პოეტი უპირატესობას **საღვთო ზნეობას** ანიჭებს: „*თავსაც სამღვთო სჯობს, ბოლოსაც, კაცთა ზნე საქმე რაც არი*“. როგორც ქრისტიანი, არჩილი ადამიანის ყველაზე საუკეთესო ზნედ სიყვარულს მიიჩნევს. განსაკუთრებით გამოყოფს სპორტული თამაშობებისადმი მიდრეკილებას, რომელიც მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში სამშობლოს დამცველთა მომზადების საუკეთესო საშუალება იყო: „*დია კარგია სხვებიცა ზნეობა-საქციელები, // მშვილდ ისარი და ბურთობა, ორივე ცხენ ფიცხელები, // რადრებაგანს და გადრზელა მარჯვეთ იხმაროს ხელები, // წავლა, წამოვლა, ცხენს ჯდომა მწვედ ვარგა ნასახელები*“.<sup>13</sup> მე-13 სტროფში ის მიზანში სროლის, ბურთის სროლის, ყაბახის, ისინდის, ჯირითობის „ზნეს“ აქებს: „*აშფაქი და ყაბახი, ბურთის სროლა, მესეფქობა, // კარზედ ცხენის გაჭენება, ხელ-ძალიან ჯირითობა, // ახლაც ესეც ზნედ დაიდვა მოუცდენი მეთოფობა, და უწინაც ვარგებულა ხელ-ფეხი და ქვეითობა*“. (გვ. 552, სტრ. 14). ამ სტროფში არჩილი „უწინდელ“ და „ახლანდელ“ ზნეს უპირისპირებს ერთმანეთს. ზნეობადვე მიაჩნდა მეთევზეობა, მეძებარი ძაღლის გამოზრდა, „ჩოგნის მოხვერტა“ და „ბურთის გამოჭრა“, „ცხენის მოხტომა უხელოდ“, „ხმლის ცემა“, „ლახტის თამაში“...

არჩილისათვის, ისევე როგორც ახლა, სიმღერა და თანაც „შეწყობილი სათქმელი“, სტუმარმასპინძლობა კარგი ზნეა, განსხვავებით მემთვრალეობისაგან: „*სიმღერა და დასდებელი ესეც ასრე დავითვალთ, // მასპინძლობა და ჩუქება ერთმანერთსა დავავალთ, // კარგი ხმა და თან უსული შევიყვაროთ, და ვითვალთ. // ვინც მემთვრალობს მარტო სადგომს, ავად უგდებ, დავავალთ*“ (გვ. 551, სტრ. 7). ზნეობრივია ცეკვა და საკრავებზე დაკვრა, მაგრამ

<sup>13</sup> არჩილი. საქართველოს ზნეობანი. ქართული მწერლობა ოცდაათ ტომად. ტ. VI. თბ. 1989, გვ. 551, სტროფი 6 (მითითება შემდეგ ტექსტში).

ბევრი ჭამა-სმა და თანაც ისეთი, როდესაც ადამიანი მას არ შეირგებს, და-სადრახია: „რაც საკრავია ყველა რამ, თვითო ზნეობად ჩავაგლოთ, // ზაპი, ცეკვა და სამაი, კუბანიც რასთვინ დავაგლოთ? // წმიდათ ჭამა და ღიდი სმა, ვინ პირით აღარ წავაგლოთ, // კარვია ვინც კი შეირგებს, ვინც არწყევს, კარში ვავაგლოთ“ (გვ. 551-552, სტ. 10). საერთოდ, **ქართული ტრადიცია განუსაზღვრელ ჭამა-სმას გმობდა**. ადამიანს მხოლოდ იმდენი უნდა დაეღია, რამდენსაც იტანდა; ის სუფრიდან ისე უნდა ამდგარიყო, რომ ფეხი არ არეო-და. თუ ვინმე მემთვრალე გამოჩნდებოდა, ყოველთვის მას მასხარად იგდებ-დნენ. ქართული სუფრის ტრადიცია, სადაც ერთმანეთს ენაცვლებოდა სად-ლეგრძელო, სიმღერა, ცეკვა, ლექსი, აგრეთვე, სუფრაზე რამდენიმე სასმისის არსებობა (ჩამოტარება), სიმთვრალეს გამორიცხავდა. არ არსებობდა ღვინის დაძალების წესიც. XVII საუკუნის ფრანგი მოგზაური *ჟან შარდენი* წერდა: „ერთ-ერთი ქართველი მარწმუნებდა, – „ათას კაცზე, ერთი ლოთი თუ შეგ ხვდება, ისიც ნაცემი და სასაცილოდ ავდბული არისო“; „კახეთში ბევრ ღვინოს აყენებენ, ბევრსაც სვამენ, მაგრამ არ თვრებიან“.

მეფე-პოეტის მხატვრული ნაწარმოებიდან ირკვევა, რომ ქართველებში **გადამეტებული გლოვა, თავიდანვე არ ყოფილა ტრადიცია და ის ზნედ ერთ დროს დადებულა**: „მოტიროლობა, გლოვის წესი, ზარი, ახა ზნედ დაიღო, // უსარგებლო მკვდრის და ცოცხლის ვინ ძმა იძმო, ან და იღო, // ერთმანეთის წაბაძვითა დაწედა, ხიდად გაიღო, // წლაძღინ ვინ ხორცი არ სჭამო, ბძანე წინა ვიდგა ი ღო?“ (გვ. 553, სტრ. 16). ამრიგად, ხაზგასმულია ქართველთა ერთმანეთის წამბაძველური ხასიათი, რისგანაც, სხვათა შორის, ჩვენი საზო-გადოებაც არაა თავისუფალი. მას არც ის მოსწონს, რომ მიცვალებულის პატრონები მთელი წლის განმავლობაში ხორცს არ ჭამდნენ. ძალიან შეზღუ-ღული იყო მიცვალებულის ტრაპეზი. ტრაპეზს უშლიდნენ მხოლოდ შორი სოფლიდან მოსულ ნათესავებს. სამი (შემდეგ კი შვიდი) შესანდობრის შემ-დეგ მალევე წამოიშლებოდნენ. ზნეობრივი ნორმა იყო ისიც, რომ შესანდობ-რის შემდეგ სასმისი ბოლომდე არ უნდა დაეცალათ. სამეგრელოში გადამეტე-ბული გლოვის შესახებ *ჟან შარდენი* მიუთითებდა: „ეს არის სასოწარკვეთი-ლების გლოვა. თუ ქალს ქმარი ან ახლობელი მოუკვდა, შემოიხვევს ტანსაც-მელს, შიშვლდება წელაძღე, იგლეჯს თმებს, ფრჩხილებით იკაწრავს სხეულს და სახეს, იცემს გულმკერდში, კივის, ღრიალებს, კბილებს აკრაჭუნებს, ცოფდება, შმაგდება და ბორგავს უკიდურეს სასოწარკვეთილებამდე მისული. მამაკაცებიც ასევე ბარბაროსულად ამუღავნებენ თავიანთ მწუხარებას, იგლე-

ჯენ ტანსაცმელს, იპარსავენ თმებს და მჯილს იცემენ მკერდში“.<sup>14</sup> ამრიგად, ფრანგი მოგზაურისათვის გლოვის აღნიშნული ტრადიცია მიუღებელია, რაც ამკარად ჩანს მისი შეფასების იმ ერთი სიტყვიდან, რომელიც ზემოხსენებულ ტექსტშია – ის მას ბარბაროსობას უწოდებს. კიდევ ერთი: მის მიერ მოწოდებული ინფორმაცია ზოგჯერ არარეალურია. მაგალითად, მას აღნიშნული აქვს, რომ სამეგრელოში მიცვალებულს მეორმოცე დღეს ასაფლავებენ.

ზნეობრივი ადამიანის იდეალად მიაჩნდა არჩილს ენების მცოდნე და განათლებული ადამიანი: „ენა და წიგნი რამდენი ვინც იცის, ესეც იმდენად // ჩავაგლოთ თვითო ზნეობად, სხვის ქვეყნის ამბავ მოსმენად“ (გვ. 555, სტრ. 31). ზნეობრიობის კატეგორიაში გადის აგრეთვე „გარდმოვლით ხუმრობის ადვილ შეტყობა“ და „წყენისა არას დატყობა“. მისივე აღნიშვნით, ადამიანი არა მხოლოდ „თავის-გუნების კაცს გარდა“, ბევრ სხვასაც უნდა უწყობდეს ხასიათს და თუ „ის ვერ მოგვეების, შენ მიჰყევ, მობრიყობს, რევს ამყობა“ (გვ. 556, სტრ. 34). დადებით ზნეთა შორის მეფე-პოეტი ასახელებს საილუმლოს შენახვის უნარს („კარგკაცობა შენახვა ყოვლისა ხოშიადისა“), მატყუარა ადამიანისათვის ყურის არ დაგდება, ენატანიაობა. კარგ ზნეთა შორის მიიჩნევს შრომისმოყვარეობას: „მუშაობაც კარგი ზნეა, ზედ-ძღვომობა და სარქრობა, // ბარვა, წიდნვა, ზნა და თესვა მის-მის დრობა, // კაცს შემატს და გაახარებს მოსავლის ბერის მოსწრობა. // ვის მუშა ჰყავსთ, თვითონ შვრება, ურევია არ ზაქრობა“ (გარყვნილება – რ. თ.) (გვ. 557, სტრ. 40).

არჩილი ფეოდალისა და მისი ხელქვეითის ურთიერთობის დაკანონებულ ზნესაც აღნიშნავს, რაც შემდეგი სიტყვებით აქვს გადმოცემული: „ბატონის დარბაზის კარი რავინდ რომ მაღალი იყოს, // თავმოხრით უნდა შევიდეს, არც ლაჯში თავი გაიყოს; // უმცროსის კაცის უფროსმან ხელი საჭმელზედ წაიყოს, // მეფისგან მონაკითხავი ამხანაგებსა გაუყოს“ (გვ. 557, სტრ. 42). ამრიგად, ზნეობრივი ნორმა იყო უფროსის მიერ უმცროსის დაპურება და „მონაკითხავის“ ამხანაგებისათვის მიცემა. ტრადიცია იყო უმცროსის უფროსისადმი მოწიწება და პატივისცემა: „უმცროსმან კაცმან უფროსი არ უნდა დაიწვიოსო, // ადგეს სჯობს, ისრე მჯდომელმან ქვემოზე დაიწვიოსო, // საჩოქეთ რა შეიყარნენ, უწინ მან წაიწვიოსო, // არცა უხამსად დამდაბლდეს, არც ბეწვად აიწვიოსო“ (გვ. 558, სტრ. 44).

<sup>14</sup> ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში. ცნობები საქართველოს შესახებ. ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა. თბ. 1975, გვ. 201.

ამკარაა, რომ გვიან შუა საუკუნეებში ქართლ-კახეთის პრივილეგირებულ ფენაში სპარსული ზნეობრივი ნორმები ვრცელდებოდა. აი, რას წერდა XVII საუკუნის 70-იან წლებში საქართველოში ნამყოფი ჟან შარდენი: „შაჰ-ნავაზ-ხანი მოითხოვს მასთან პირველად მიახლოებისას ისეთივე წესით მიესალმონ, როგორც სპარსეთის ხელმწიფეს: მისგან ორი თუ სამი ნაბიჯის დაშორებით მუხლს იდრეკენ და ზედიზედ სამჯერ თავსა ხრიან მიწამდე ... მთავარს მივესალმე სამჯერ თავის დაკვირით, მუხლი კი არ მომიდრეკია“.<sup>15</sup> სპარსელები სხვა სფეროებშიც მოითხოვდნენ არსებული ტრადიციების შეცვლას. იგივე შარდენი იმასაც აღნიშნავდა, რომ „მას აქეთ, რაც ქართველები სპარსეთს დაემორჩილნენ, აქაურ ქალებს მამაკაცებთან ყოფნა ეკრძალებათ, მაგრამ ეს აკრძალვა მხოლოდ ქალაქებში მოქმედებს, რადგანაც სოფლებში და იმ ადგილებში, სადაც სრულებით არ არიან მამაკაცები, ქალები ჩადრის გარეშე დადიან, სრულიად თავისუფლად ხვდებიან და ელაპარაკებიან მამაკაცებს“.<sup>16</sup>

ტრადიცია არ იყო სოციალურად და ასაკობრივად ორი თანაბარი ადამიანის მიერ მესამის მიწვევის შემთხვევაში, ეს უკანასკნელი მათ შუაში რომ დამჯდარიყო: „ორმან ტოლმან ამხანაგმან დაიწვიოს რა მესამე, // ორთავ თავს არ გარდუარო და ჩაუჯე შუა სამე, // ეს შენ კარგად ჩამოგართონ და იმათაც ორთავ ამე, // უდროვოდ და უაღაგოდ ნურც იმღერი, ნურც ისამე!“ (გვ. 558, სტრ. 45). მოყვანილი სტრიქონებიდან კარგად ჩანს, რომ საქართველოში სიმღერას და ცეკვასაც თავისი დრო და რიგი ჰქონდა.

საქართველოში ჯდომისა და დგომის გარკვეული ტრადიცია არსებობდა – მიუღებელი იყო ადამიანს ჯდომისას ფეხი ფეხზე გადაედო, ადგომისას ხელით დაბჯენა და საზოგადოებაში ჯოხის მხარზე გადადება: „ჯდომაში ფერხი გარეთი ზეთ არ უნდა დაიდო, // პირში რა გედვას, ნუ უბნობ, სიტყვის აღვირი აილო; // მეორემ სიტყვა აცალე, თუ არ გონდეს ლუკმა წაიგდო, // ხელს ნუ დაიბჯენ, ადგე რა, იქ ჯოხი მხარს არ გაიდო“ (გვ. 558, სტრ. 46). შუა საუკუნეებში ქართველებისათვის მიუღებელი იყო ჯდომისას კედლისათვის ზურგის მიყულება, თავის უკიდურესად დახრა, სკამზე ნახევრად ჯდომა, ცხვირის გამოჩინება: „წინ ჯდომით, უკან უკუხრით ზურგს ნუ მიპყულებ კედელსა, // ნურც თავს დაჰკიდებ, არ გვანდე თვალნაკლებს ოქრომჭედელსა, // ცალს თეძოზედან არ დაჯდე, რად ეჭვ ძნელს მოსადებელსა. //

<sup>15</sup> ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, გვ. 328.

<sup>16</sup> ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, გვ. 344.

ცხვირის გამოკრენა არ წავცდეს, ნუ ეძებ კბილის საჩრჩნელს“ (გვ. 558, სტრ. 47). წესი იყო ჩამოსართმევად გამოწვდილი ხელისათვის ორი ხელით ჩამორთმევა. მიუღებელი იყო საზოგადოებაში სასმელის „აწრუწუნებით“ დალევა, თხილის კბილებით დამტკრევა („ვინ კბილებითა ბატონთან თხილს ამსხვრევს, აღაწუნებს“), უფროს ადამიანთან ჯდომისას გადაყუდება, ზეზე ღვომისას ფეხის მოკაკვა, ბოძზე ხელის შემოხვევა, ხმამაღლა სიცილი, ჯოხზე „ჩამოყუდება“, ხელ-ფეხის „ათამაშება“, მუღმივად უღვაშის გადაგრეხა... მკითხველს პოეტი მოუწოდებს, რომ „თუ ვინ ასრე არა ზრდილობს, მაშ იქნება სვანი ყულო“ (ე. ი. უბირი). არჩილი ასეთ „უგუნურების“ ცემითა და საუბრით, ბაასით აღზრდის აუცილებლობაზე მიუთითებს: „თუ არ დაშლით, მოწვრთნა გიჯობს ჯოხითა და ვინდა ბაქით“.

არჩილი თავისი ეპოქის – ფეოდალური საზოგადოების – შვილი იყო და, ბუნებრივია, მთელი რიგი ზნეობრივი ნორმები ბატონისა და გლეხის ურთიერთობას ეხება. აი, ერთი მაგალითი: „ოდეს ბატონი ბრძანებდეს სიტყვასა რასმე ქართულსა, // მოკლეს თუ გრძელსა ამბავსა, ერთმანერთხედაც წართულსა, // ნუ ლაპარაკობ, დაჩუმიდი, ნუ ჰვევხარ კაცსა ქურთულსა! // მწვედ გაეწყობა მეფენი ზნეკეთილს, ასრე მორთულსა“ (გვ. 560, სტრ. 58); „მეფეს ცხენით სერნობაზედ მარტო იქით ნუ მოუვლი, // საითაც რომ კარგი რამ ჩნდეს, და ნურც წინა გარდაუვლი, // ნურც ცხენის თავს დაუსწორებ, ნურც სწორად წინათ უვლი, // ჯარისკენაც ნუ მოჰყვები, რასა ქვიან მასთან შუღლი“ (გვ. 561, სტრ. 61).

ჯერ კიდევ ადრე შუა საუკუნეებიდან ქართული ხასიათისათვის ნიშანდობლივი იყო წვეულების, ლხინის გამართვა, ქონების გაცემა, სხვათათვის მიცემა, ვაჟკაცობა. საამისოდ შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ გახსენებაც კი საკმარისია. არჩილისთვისაც ეს ზნეობრივი ნორმები შესაქებია: „ჭურადობა და გაცემა, მამაცობა ყველას სჯობს“.

მეფე-პოეტისათვის ზნეკეთილობისათვის უმთავარესია განათლება/სიბრძნე და ქრისტიანული მორალის ცოდნა: „სიბრძნე არის სამუდამო, სიკვდილამდინ ვერ გააგდებ“; „სიბრძნე ის უფრო მტკიცეა, ვის ოსტატი ჰყავს, ასწავლის“; „სამღვთო საქმის უმეტარი ბევრს ავს საქმეს წაადგება, // ეშმაკს ვერსა ვერ შეუტყობს, რა საცთომლად შეადგება, // მერმე მისად საპასუხოდ კარს მღვთის რისხვა მიადგება, // შერცხვება და წა-ცა-წყმდება, ველარასდროს აუღვება“ (გვ. 564, სტრ. 80); „თუ ოსტატი ვერ იშოოს, ხელთა იგდოს სამღთო წიგნი, // უნდა ბევრჯელ წაიკითხოს, შეუიღეს შიგან შიგნი, //

ღირღლოვანი, ღრმად მეტყველი ეცადო, რომ სულ შეივნი, // მაშინ სიბრძნის გზა და კვალი უსათუოდ მალ გაივნი“ (გვ. 565, სტრ. 84). „სამლო წიგნის“ ცოდნა მშობარას მხნეობას მისცემს, მხდალს გაამამაცებს, ანჩხლს დაატკობს, სულელ და უვიც კაცებს „განსწავლის“, ბრძენს კიდეც უფრო სიბრძნეს შემატებს...

ქრისტიანობიდან მომდინარე ზნეობრივი ტრადიცია იყო ლოცვისას, წმინდანთა ხსენებისას, ეკლესიის სიახლოვის გავლისას ქუდის მოხდა. ეს ტრადიცია დღემდეა შემორჩენილი: „სვანი მიხრობელები ახლაც წმინდანთა და, მათ შორის, თამარ მეფის ხსენებისას, ქუდს იხდიან და ფეხზე დგებიან“.<sup>17</sup>

მეფე-პოეტის მიზანი იყო ქართველი ხალხის საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული ზნეობრივი ნორმების შენარჩუნება. ეს აზრი პირდაპირ აქვს გაცხადებული 43-სტროფში: „*ნუ მომიწყინებ, მსმენელო, მოხსენებითა აძღენით, // არ მიხდა იყენეთ ზნეობის ავსაქციელად წახდენით, // წავლა, წამოვლა, ზე ღოგმა, აღვომა მოხდენით, // მენუზლეობაც (საჭმლის გავ ზავან – რ. თ.) ვარვისობს, თან უკლებ სხვისაც მოდენით*“ (გვ. 557-558).

კითხვა იმის: რატომ დასჭირდა მეფე-პოეტ არჩილს ქართველი ხალხისათვის შეესხენებინა ის ზნეობრივი ნორმები, რომელიც ქართულ საზოგადოებაში საუკუნეების განმავლობაში იყო ჩამოყალიბებული და ტრადიციით ერთი თაობიდან მეორეს გადაეცემოდა? მანამ, სანამ ამ კითხვაზე პასუხს გავცემთ, გვინდა აღვნიშნოთ, რომ პოეტის სიტყვით ქვეყანაში იმდენი ზნეობრივი ნორმა იყო, რამდენი წმიდა გიორგის ეკლესიაც არსებობდა: „*საქართველოში იტყვიან სამსსამოცდახუთსაო // ზნეობას, სხვას არ აგდებენ ქვეყნისას თუ არ მათსაო*“. ახლა პასუხი დასმულ კითხვაზე: გვიან შუა საუკუნეებში ქვეყნის დაშლას მოჰყვა მთელი რიგი ნეგატიური მოვლენები, მათ შორის, ზნეობრივი ნორმების სფეროშიც. ამიტომ არჩილმა საჭიროდ მიიჩნია თანამედროვეებისათვის მათი შეხსენება და იმის იმედსაც იტოვებდა, რომ მისი „საქართველოს ზნეობანი“ ყველასათვის „მსწავლელის“ როლს შეასრულებს: „*ბევრი კაცი იმიზეზებს: არა მყონდა მოძლეელიო, // ზნეობა რამ დამესწავლა ხარისხ-ხარისხ აძვლეელიო, // ახლა რაღა პასუხი ვაქვსო, აი თქვენი მსწავლეელიო! // ვინ არ იწვრთნა, მალმც მოჰკვდები, ნუ ხარ ხანის წაძვლეელიო*“ (გვ. 568, სტრ. 103).

ქრისტიანული ზნეობრივი ნორმების დიდი ჩამონათვალი აქვს *იოანე*

<sup>17</sup> რ. გუჯეჯიანი. ისტორიის რეპრეზენტაციის ეთნოლოგიური ასპექტები. თბ. 2017, გვ. 23.

ბაგრატიონს ისეთ მნიშვნელოვან ნაწარმოებში, როგორცაა „კალმასობა“. იოანე ბაგრატიონმა ამ ზნეობრივი ნორმების საზოგადოებისათვის შეხსენება აუცილებლობად იმიტომ მიიჩნია, რომ საზოგადოებაში მას ერთგვარად საფუძველი ჰქონდა შერყეული, კონკრეტულად კი, როცა გაარკვია, რომ სოფელ *საღოლაშენში* თავადის – მინბაშ ამირეჯიბის ვაჟებს „მომგლეღი“ (ზნეობრივი ნორმების მასწავლებელი) არ ჰყავდათ. თუმცა, ვიდრე ქრისტიანული მორალისა და ზნეობის იოანე ბაგრატიონისეულ ჩამონათვალს შეგვხვები, აუცილებლად უნდა აღინიშნოს შემდეგი: „კალმასობის“ ავტორს კარგად ესმოდა, რომ ყველა ქვეყანას/ხალხს თავისი „ყოფა-ქცევა“ გააჩნდა. ფალავანდიანთ ელიაზართან საუბრისას იოანე ხელაშვილი ელიაზარს მიუთითებს, რომ უცხო ქვეყანაში დესპანად/ელჩად წასულმა კაცმა აუცილებლად უნდა იცოდეს „იქაური ყოფა-ქცევა“, ენები და „დეოგრაფია“. როგორც ირკვევა, დესპანად გამზადებულმა ელიაზარ ფალავანდიშვილმა არც ერთი იცოდა, არც მეორე და არც მესამე. ამ თვალსაზრისით ქვეყანაში სავალალო ვითარება იყო: „ელიაზარ: თვალიც დაგვიდგება: სხვამ ვინ იცის ჩვენში, რომ მე ვიცოდე? და თუ მაგას მიხედა ჩვენმა ბატონმა, ელჩს ვეღარსად გაგზავნის“.<sup>18</sup> იქვე ის დესპანის აუცილებელ თვისებებზედაც მიუთითებს: „პირველად უნდა იყოს მტკიცე თავისსა სარწმუნობასა ზედა და ფიცსა; მეორე – უნდა იყოს ერთგული მამულისა და მეპატრონისა თვისისა; მესამე – არ იყოს ანგარი და ქრთამისმოყვარე; ხოლო მეოთხე – სწავლული და ჭკვიანი და მდიდარი, რომ სხვის ხელს არ შესთხოვდეს“.<sup>19</sup> იოანე ბაგრატიონის ამ შეგონებას აქტუალობა დღესაც არ დაუკარგავს. ყველა ელჩის ზნეობრივი ნორმები აღნიშნულ ჩამონათვალს უნდა აკმაყოფილებდეს.

იოანე ბაგრატიონის მიხედვით ზნეობრივი ადამიანი უნდა იყოს: მართლმადიდებელი; გააჩნდეს სიყვარული, პირველ რიგში კი, მშობლებისა; არ უნდა ჩაიდინოს ბოროტება; უნდა ერთგულებდეს მეფეს (ანუ სახელმწიფოს), მამულს (ანუ სამშობლოს) და სჯულსა (სარწმუნობას); უნდა შეეძლოს განჭვრიტოს დაწყებული საქმე რას მოიტანს („სჭვრეტდე დასასრულსა საქმისას“); უნდა შეეძლოს კეთილისმყოფელის სიყვარული და „მოძულეთა თქვენთა ულოცვიდეთ“; ადამიანმა ყველაფერი არ უნდა თქვას, რაც იცის („ნუ ყოველსა იტყვი, რა, ცა იცი, ანუ გაგეგონოს, არამედ თვისსა დროსა და უამსა ზედა“); ადამიანი არ უნდა შეეგებას ისეთ საქმეს, რის გაკეთებაც არ

<sup>18</sup> იოანე ბატონიშვილი. კალმასობა, გვ. 32.

<sup>19</sup> იოანე ბატონიშვილი. კალმასობა, გვ. 33.

შეუძლია; ადამიანი უნდა იყოს მომთმენი, მოკრძალებული; არ უნდა შურდეს არავისი; არ შეიძლება ცილის დაწამება; არ უნდა დააბეზლო არავინ, „გარდა სჯულისა, მამულისა და მეფისა მუხანათისა კიდე“; ადამიანმა „უჯეროდ“ არ უნდა ჭამოს, იმდენი არ უნდა დალიოს, რომ დაითვრეს („უჯეროდ ნურას სჭამ და ბევრს სამთვრალოს სასძელს ერიდე, ვითარცა საწამლავს“); ადამიანი უნდა იყოს მშვიდი და არა თავხედი; უფრო მეტად უნდა მღუძარე იყოს, „ვიდრე მოუბარ“ („ოდეს იწყოს ვინმე უბნობად, მაშინ შენ სდუმენ“); არ უნდა იყოს მკვეხარა („მოქადული“), ამაყი, ამპარტავანი („ზვაგი“), პირმოთნე, ქურდი („ნურარაი ვსურინ სხვისა და უფრორე ნუ იპარავ“); რის გაკეთებაც არ შეგეძლოს, არავის დაპირდე მის შესრულებას და „რადიცა აღსთქვა, აღასრულე“; უნდა იყო მხნე და შრომისმოყვარე და „მცონარება (სიზარმაცე – რ. თ.) არს დასაბამი ყოვლისა უბედურებისაი“; აუცილებელია სწავლა („ვიყვარდეს სწავლა და, უკეთუ არას ისწავლი, დიდის კაცის შვილს უსწავლელს ფილასოფონსი ოქროს ვირს უძახიან“); დიდი უბედურების დროს ადამიანი ძალიან არ უნდა შესწუხდეს, ბედნიერების დროს კი არ უნდა მოუძღურდეს; „იყავ კეთილმადრეკილ და მოწყალე“; „დავრდომილთა შეეწიე, უკეთუ შეგეძლოს“; „თუ შეგაწუხოს ვინმე, მიუტევე მას“; „ვინცა დაგპატიუოს, მადლობა ჰკადრე და შენც მიიწვიე“; „შეწუხებულთა ნუგეში ეც“; არავინ არ უნდა გბუღდეს და ყველასადმი კეთილისმსურველი უნდა იყო.<sup>20</sup>

„კალმასობიდან“ ირკვევა, რომ ქართლში სუფრაჯი (სუფრის ზედამხედველი) საჭმლის დარიგებისას პირველად თვითონ დაისხამდა და მერე სხვებს მიართმევდა. გმობდნენ ნაყროვანებას („უწესოდ სიმაძღრესა“). საქართველოში გლენსაც და დიდებულსაც ჰქონდა საგზაო, საშინაო და გამოსასვლელი/სასტუმრო ტანისამოსი: „იოანე მცნობი ამისა, მივალს მისთვის გამზადებულსა შინა, განიხდის საგზაოსა ტანისამოსსა, შთაიკვამს სხვასა და ესრეთ წარვალს მიტროპოლიტთან“.<sup>21</sup> როდესაც იოანე ხელაშვილთან „დაბებკულად“ მოსილი მღვდელი მივა, ის ბოდიშს მოუხდის, რომ „სამუშაო ტანისამოსით“ ეახლა. მიტროპოლიტს მხოლოდ ხელზე ეამბორებოდნენ. უნდა აღინიშნოს, რომ მეფეს დიდებულები მუხლზე ეამბორებოდნენ. როდესაც თეიმურაზ მეორე ირანიდან სამშობლოში დაბრუნდა, „მოვიდნენ ქართველთა დარბაისელნი, მიესალმნეს მუხლს კოცნით და ეგრეთვე კახთ დარბაისელნი“.<sup>22</sup>

<sup>20</sup> იოანე ბატონიშვილი. კალმასობა, გვ. 41-44.

<sup>21</sup> იოანე ბატონიშვილი. კალმასობა, გვ. 46-47.

<sup>22</sup> პაპუნა ორბელიანი. ამბავნი ქართლისანი, გვ. 157.



ფეოდალური საზოგადოებისათვის კანონი იყო – დიდებული დიდებულზე უნდა დაქორწინებულყო, გლეხი – გლეხზე. მაგრამ, როგორც ირკვევა, დარღვევებიც ხდებოდა. „კალმასობაში“ ამის ერთი ფაქტიცაა დადასტურებული: „მაჩაბელი: ჩემი უფროსი შვილი ჩემ უნებურად გლეხის ქალს ირთავს. და ეს არის, კაცი მომივიდა, რომ თუ არას უშველით, ამ კვირას ჯვარს დაიწერსო. და ამ სიბერის დროს ამ სირცხვილში მავდებს. იოანე: რატომ თავადის ქალზედ არავისზედ რთავთ? მაჩაბელი: რამდენი გამოურჩიე, მაგრამ ის ქალი შეჰყვარებია. იოანე: სიყვარულს ბევრი რამ შეუძლიან, მაგრამ შვილს კი არ უჯობს თავის დედამის ურჩობა, ამისთვის – სულთაც მავნებელ ექმნების და ხორცითაც“.<sup>23</sup> ნაწარმოებიდან ჩანს, რომ „ახლანდელი შვილნი არ არიან ძორჩილ თვისთა მშობელთა“. როგორც ჩანს, ეს ყველა ეპოქისათვის დამახასიათებელი მოვლენა იყო. მოყვანილი ციტატა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დასკვნის გაკეთების საშუალებას გვაძლევს – სოციალურად დიფერენცირებული ფეოდალური საზოგადოების წარმომადგენლისათვის თუ წარმოუდგენელი იყო დაბალი ფენის ადამიანზე დაქორწინება, ამას ოფიციალური მართლმადიდებელი ეკლესია არ კრძალავდა, – თავადი თუ გლეხის ქალზე ჯვარისწერას გადაწყვეტდა, ის ამ სურვილს დააკმაყოფილებდა.

საქართველოში ტრადიცია იყო სამგლოვიარო ტანისამოსით შემოსვა. როდესაც იოანე ხელაშვილი თელავში სასულიერო სასწავლებლის რექტორს ეწვია, აღმოჩნდა, რომ ეს უკანასკნელი ძაძით იყო შემოსილი. იოანეს კითხვაზე: „ძაძ რასთვის გაცვიათ, ვინ გარდაცვალებიათ?“, გაირკვა, რომ რექტორს მეუღლე ჰყავდა გარდაცვლილი. ასე რომ, მწუხარებისას საქართველოში სამგლოვიარო სამოსით არა მხოლოდ ქალები, არამედ კაცებიც იმოსებოდნენ.

ჩაცმა-დახურვის თავისი წესი ჰქონდა ეკლესიაში სალოცავად მიმსვლელთ: „ჩემი ისე იმ სახით შემოსვლა ეკლესიაში რად იუცხოვე და ან რად აპირებდი ქადაგებაში ჩემს შეურაცხებას, და ან კენინას რად ამხილ თავდაუბურველობა? იოანე: რადგან მონაზონების სახე გმოსიათ, მეუცხოვა თქვენი იმ სახით შემოსვლა ეკლესიასა შინა, რომელ მეფეთათვისცა მაღალი საქმე იყო, კენინასიც თავშიშვლობა და მარაოს ქნევა ეკლესიაში. პირველი ნახვა იყო, რომ ქართველთ დედანი დია კრძალულნი არიან ლოცვა-წირვაზედ, რომ ჩადრით იბურვენ სახეთა და სულ მეტანიით და გულში ცემით დაასრულებენ თვისსა ლოცვასა, და ამისთვის ვიკადნიერე, რომე სხვანიც არ

<sup>23</sup> იოანე ბატონიშვილი. კალმასობა, გვ. 53-54.

შეუდგნენ იმ კვალსა და არ განუგრილდეთ გული ლოცვა-წირვისათვის“.<sup>24</sup>

„კალმასობიდან“ ირკვევა, რომ XIX საუკუნის დასაწყისში ვერცხლის-მოყვარე ბევრი სამღვდლო ყოფილა საქართველოში, რომლებიც ნათლობისა და ჯვარისწერის დროს გადასახადს ახდევინებდნენ, ზოგჯერ კი მექორწინეებს ნეფე-დედოფლისათვის ხალიჩა უნდა გაეშალათ, რომელიც, ასევე, მღვდელს მიჰქონდა. გარდაცვლილის ოჯახსაც ფულს ახდევინებდნენ. გადასახადს იხდიდნენ სახლის კუროთხვევის დროსაც: „ზურაბა: მე ძნელად სადმე ვიპოვნე სამღვდლოს, რომ თეთრი არ უყვარდეს. ბოდბელი: როგორ? ზურაბა: ასე, რომ მონათვლენ ვისმე, იმ ყმაწვილის ნათლიას ან დედამამს გამოართმევენ მოსანათლავს; დააქორწინებენ ვისმეს, საყდრის კარსაც დაუკეტენ, ვინემ არას მისცემენ, და ჯვარის-საწერსაც გადაახდევინებენ; იმსაც არ დასჯერდებიან, ხალიჩა და ფარჩაც უნდა გაუშალონ მექორწინეთ, რათა ისიც იმათ წაიღონ; მოკვდება ვინმე, სასაფლაოს ფასს, საიმტვერიოს, საწირავს, კიდევ წლის შაბათის საწირავს და პანაშვილისას გამოართმევენ; სახლის გასანათლავს, საშობაოს, იმსაც გამოართმევენ. აგრეთვე ნიშანს ეძახიან, კარგი ცხენი ჰყავს ან კარგი თოფ-იარაღი აქვთ, მასაცა წაიღებენ და ტაბლას ხომ, ასიც მივიდეს სასაფლაოზედ, ერთს ლუკმას გლახაკსაც არ დაუდებენ წილს. ამასთან ქვეშაეებს, ტანისამოსსაც მკიდრისას მთლად წაიღებენ. ესრეთ დაანელებენ ერთს ოჯახს და სხვა საკანონოები რაღა მოვახსენო საზოგადოდ. ბოდბელი: ასე სწერს მოციქული სამღვდლოსათვის: უკეთუ ჩვენ სულიერი დავთესეთ, რა არს თქვენგან, თუ ხორციელი მოვიძკოთ ჩვენ! ზურაბა: ჭეშმარიტად ბძანებთ, მაგრამ ამ საბრალო ბერმა სადაც რა ქადაგება ანუ სწავლა დათესა, მოძკის მაგიერ ჯოხი, ბუშტი, წვერის გლეჯა და ანაფორის დახვევის მეტი ვერა მოიძკო რა; არ ვიცი, კარგი ქადაგებისათვის რას მოიძკის“.<sup>25</sup>

სამღვდელოებას შორის ქრისტიანული ზნეობიდან გადახრა როსტომ მეფის დროსაც მომხდარა. ამის შესახებ ბერი ეგნატაშვილი გვაუწყებს: „და ამისა უამსა შინა არა იყო ზრუნვა სულიერი ერისკაცთა შორის, არამედ იყვნეს ფუფუნეულ და ჭორცთ-მოყუარე, რამეთუ თვით სამღვდლონიცა და მღვდელთმთავარნიცა და მიდრკეს კეთილისაგან და აღერივნეს ერთა თანა, გოდებისაებრ იერემიას, რამეთუ იყვნეს მოყუარე ღ ნისა და ზმისა და შუები-სა და განცხრომისა, უმღერდნენ ურთიერთას სიძვა-მრუშობასა და მეძაობას. ამას შინა მოუძღურდა სჯული და განირყუნა წესი ეკლესიისა, რამეთუ არ-

<sup>24</sup> იოანე ბატონიშვილი. კალმასობა, გვ. 106.

<sup>25</sup> იოანე ბატონიშვილი. კალმასობა, გვ. 183.

ღარა ეძიებდეს სულიერსა საქმესა, არამედ კორცთათვის ზრუნვიდნენ ყოველნივე“.<sup>26</sup>

უცხო, კონკრეტულად სპარსული, ქცევის წესები დანერგილა აღმოსავლეთ საქართველოში იმ დროს, როდესაც ქვეყანას ქრისტიანი მეფეები აღარ განაგებდნენ. ამის შესახებ პაპუნა ორბელიანიც მოგვითხრობს: „მეფემან კეთილმორწმუნემან და პატრიარქმა, სათნოებისა საფუძველმან, იხებეს და სურვილითა მოიძიეს სჯულნი ქრისტესნი და სიმართლით და ღმრთის მსახურებით წეს-ქცეულებანი ქართლისანი. კარგა ზანს გამოველო, რომ ქართლს ქრისტიანი მეფე აღარ სჯდომოდა. აგარიანნი პყრობდნენ მრავალ ჟამ. ამის მიზეზით მრავალრიგად მართლმადიდებლობის რიგი შეცვლილიყო, რომელნიმე ნათესაობისა აღრევითა, რომელნიმე მრუშებისა მიზეზით წმიდასა სახარებაზე წინააღმდეგომ ეწებოდეს, რომელნიმე სამღუდელოთა დასთა თვისი ქცევა და ეკლესიის რიგი შეეშალათ, სხვაცა რაიმე ამგვარი საქმით მრავალრიგად კლებულ ქმნილ იყვნეს მყოფნი ქართლისანი. ... შემოკრბეს ქართლისა და კახეთის ეპისკოპოსნი ანუ სამღვდელონი დასნი სრულად, დაბძანდა მეფე ერეკლე ... განარჩივეს და აღმოფხვრეს ყოველივე უწესოდ ქცევანი...“.<sup>27</sup>

ანალოგიური ინფორმაცია აქვს სამეგრელოს შესახებ XVII საუკუნის მოგზაურს ჟან შარდენს, როდესაც ის მიცვალებულის დატირების წესის შესახებ საუბრობს: „მისი (მიცვალებულის – რ. თ.) მეგობრებისათვის, მეზობლებისა და ყველა იმათთვის, ვინც სატირალში მოვიდა, აწყობენ სუფრას. ქალები კაცებისაგან განცალკევებით ჭამენ. ეპისკოპოსი წირავს და ამით ყოველივე იმის მისაკუთრების უფლებას იძენს, რაც მიცვალებულს პირადად ეკუთვნოდა, როგორც მისი ცხენი, ტანსაცმელი, იარაღი, ვერცხლელული – თუ იგი გააჩნდა – და სხვა ამგვარი ნივთები. სამკლოვიარო ცერემონიალი ახადგურებს მეგრელის ოჯახს. მაგრამ მიუხედავად ამისა, ვალდებულად თვლიან თავს დიდი ბრწყინვალეობით მოაწყონ იგი. ეპისკოპოსი სულის შესანდობარს წირავს ძალდატანებით იმ სარგებლის გამო, რომელსაც ის ამისათვის ღებულობს“.<sup>28</sup> შეიძლება გვეფიქრა, რომ კათოლიკე ჟან შარდენს ზედმეტად ნეგატიურური დამოკიდებულება ჰქონდა მართლმადიდებელი სამღვდელოების მიმართ, მაგრამ რა ვუყოთ იმ ფაქტს, რომ ასევე კრიტიკულად იყო მათ მიმართ განწყობილი იოანე ბაგრატიონი? რაც შეეხება ფრანგი მოგზაურის იმ

<sup>26</sup> ბერი ეგნატაშვილი. ახალი ქართლის ცხოვრება. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II. თბ. 1959, გვ. 425.

<sup>27</sup> პაპუნა ორბელიანი. ამბავნი ქართლისანი, გვ. 154-155.

<sup>28</sup> ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, გვ. 202.

ინფორმაციას, რომ ჭირის სუფრაზე დედაკაცები და მამაკაცები ცალ-ცალკე ჯდებოდნენ, ეს უძველესი ქართული ტრადიცია იყო. საამისოდ *აიკობ ხუცესის* „შუშანიკის წამება“ შეიძლება გავიხსენოთ, როდესაც შუშანიკს ჯოჯიკი და ჯოჯიკის ცოლი პურის ჭამას აიძულებდნენ, „*ჰრქუა მას წმინდამან შუშანიკ რისხვით: – ოდეს ყოფილ არს აქამოდღე, თუმცა მამათა და დედათა ერთად ეჭამა პური?*“. სხვათა შორის, ქალებისა და კაცების სუფრასთან ცალ-ცალკე დაჯდომა მხოლოდ ქართული ტრადიცია არ ყოფილა, მაგალითად, ასევე სხდებოდნენ ქალი და მამაკაცი მექორწილეები ბიზანტიაში.<sup>29</sup>

ეთნოგრაფიული მონაცემებით, წესი იყო, საქართველოში სტუმარს ძილის წინ ოჯახის დიასახლისი ფეხს ბანდა. ეს ტრადიცია „კალმასობაშიცაა“ ასახული. როდესაც მეკალმასე იოანე ხელაშვილი სოფელ ნორიოში *მასხარა ოთარიკას* ოჯახში აღმოჩნდება, ეს უკანასკნელი ძეულღეს მიმართავს: „*დედაკაცო, ფეხთ დაბანე იოანეს, რადგან რიგი არის სტუმართა*“.<sup>30</sup>

„კალმასობაში“ იოანე ბაგრატიონი იოანე ბერს იმასაც ათქმევინებს, თუ როგორი თვისებები უნდა ჰქონდეს თანამდებობის პირს: „*ზაალ: კარგა თქვი და მითხარ: მდივანბევი ანუ მსაჯული ვითარი გვაში უნდა იყოს? იოანე: უნდა იყოს სარწმუნო კაცი და მამულის ერთგული; მეორე – დიდის კაცის შვილი, რომ არავისი ემინოდეს; მესამე – სწავლული, რომ უმეცრებით უსამართლო არა ქნას რა; მეოთხე – მდიდარი, რომ ქრთამმა არ მოატყუოს; მეხუთე – პირუთვნელი; მეექვსე – ჭკვიანი, მეშვიდე – არა ქრთამის მოყვარე, მერვე – საზოგადო გულისა, რომ თავის მონათესავეს, მეგობარს არ მიუდგეს და მხარეს არ დაიჭიროს სამართალი; მეცხრე – ღვთის მოყვარე*“.<sup>31</sup>

ნათქვამს მხოლოდ იმას დავსძენთ, რომ XIX საუკუნის დასაწყისში იოანე ბაგრატიონის მიერ თანამდებობის პირისათვის დამახასიათებელი ზნეობრივი ნორმები დღესაც აქტუალურია. როგორც ჩანს, ისევე როგორც დღეს, მაშინაც საქართველო ასეთი ზნეობრივი ადამიანების დეფიციტს განიცდიდა: „*ზაალ: ბერო, სულ სანთლით რომ იარო, მავისთანა კაცს ვერ იშოვნი ჩვენში!*“

იოანე ბაგრატიონი „კალმასობაში“ რამდენჯერმე ახსენებს სადღეგრძელოს. როდესაც ლორეში (სანაიანში) ერთ-ერთი მასპინძელი, კონკრეტულად კი თავადი *სოლომონ არღუთაშვილი-მხარგრძელი*, პირველ სადღეგრძელოს

<sup>29</sup> А. А Чекалова, В. П. Даркевич. Культура Византии. IV-XII вв. Быт и нравы. Прикладное искусство. М. 2010. გვ. 66.

<sup>30</sup> იოანე ბატონიშვილი. კალმასობა, გვ. 190.

<sup>31</sup> იოანე ბატონიშვილი. კალმასობა, გვ. 229.

საზოგადოებისას შესთავაზებს, იოანე ხელაშვილი პასუხობს, რომ „ჯერ ასეა რიგი, ვინც მეპატრონე გყავს, მისი უნდა დავლით სადღეგრძელო და მერე საზოგადოებისა“.<sup>32</sup> მოყვანილ ციტატას მხოლოდ იმას დავამატებთ, რომ „მეპატრონეში“ მეფე იგულისხმება. **საქართველოში ნამდვილად ტრადიცია იყო იმისა, რომ პირველი სადღეგრძელო ნამდვილად მეფისა უნდა შეესვათ.** მაგრამ, როდესაც „კალმასობა“ იწერებოდა, ქართველებს საკუთარი მეპატრონე/მეფე აღარ ჰყავდათ. მოკალმასე ბერს თანამოსაუბრე ახსენებს: „ახლა ჩვენა ვართ მეპატრონენი ჩვენის თავისა“. ასე რომ, იმდროინდელი ქართველები რუსეთის იმპერატორს საკუთარ მეპატრონე/მეფედ არ მიიჩნევდნენ.

„კალმასობაში“ ქართული ტრადიციების რღვევის შესახებაცაა საუბარი, პირველ რიგში კი, ზედაფენაში. იოანე ბაგრატიონი იოანე ხელაშვილის სიტყვით ღალადებს, რომ „პირველი, რომ, როგორც რიგია, ისე ვერა იზრდებიან სწავლითა მეფის ძენიცა და თავადნიცა, ზოლო მეორე – რადგან **აზიელთ ჩვეულება შემოსულა ამ ქვეყანაში,** ისე ვიქცევით ჩვენ და ამისთვის, ვითარცა მათ შორის არს ძმათა შორის ამბობება და ურჩება, ვგრეთვე აქ მიუღიესთ“.<sup>33</sup> მოყვანილი ციტატა ერთ მნიშვნელოვან ფაქტსაც ადასტურებს – შუა საუკუნეების ქართველები აზიელებად არ მიიჩნევდნენ თავს, რომელთა ზნეობრივი ნორმებიც მიუღებლად მიაჩნდათ.

იოანე ბაგრატიონი ქართველთა ზოგად დახასიათებასაც იძლევა, რომელთა შორისაც ზნეობრივ ნორმებში ექცევა შემდეგი: „**ქართველნი ჭირთა და ლხინთა შინა ერთი მეორისა შემწენი, მამაცობითა კარგნი და მტერთა შემმართებელნი, ... ზრდილობათა შინა კარგნი, სტუმართ-მოყვარენი და უცხოთა შემწენარებელნი, გარნა მცირედ ამყენი, მალ-განრისხებადნი, და ღალდნი, მოზმე-მოხუმარნი, და ერთი მეორესთან მიწვეულნი – უცხოდ გამცხრობნი, მგალობელ და მოძღერალნი; ამასთან უშურველნი, უკეთუ ვინმე ვისამე სთხოვდეს რასმე. ... მიმბაძვნი სხვათა ქვეყნისა კაცთა ყოფაქცევისა და ტანისამოსისა. თვისთა უფროსთა მალე უარმყოფელნი, ოღონდ თვით ირვოს რა მე; თვისთა უფროსთა მალე უარმყოფელნი გამორჩომისა გამო, და ამასთან მეშურენი და მბეზღებელნი ერთი მეორისა მეუფროსისადაც თვისისა, ჭორისა და ცუდ-მიმოთქმისა მოყვარენი, და ცუდის საქმისა ამყონი და თავხედნიცა“.<sup>34</sup> აღნიშნულს ჟან შარდენის სიტყვები უნდა დაუმატოთ: „ქარ-**

<sup>32</sup> იოანე ბატონიშვილი. კალმასობა, გვ. 250.

<sup>33</sup> იოანე ბატონიშვილი. კალმასობა, გვ. 275.

<sup>34</sup> იოანე ბატონიშვილი. კალმასობა, გვ. 554.

თველები თავაზიანნი და კაცთმოყვარენი, ამასთანავე დარბაისელნი და თავდაჭერილნი არიან. მათი ადამ-წესები გარშემო მცხოვრები ხალხების უმეტესობის ზნე-ჩვეულებათა ნარევს წარმოადგენს“.<sup>35</sup> იქვე ის ქართველთა ისეთ უარყოფით ზნეზე საუბრობს, როგორცაა შურისმაძიებლობა. **შურისმაძიებელ პიროვნებად ჟან შარდენი დიდ მოურავს ასახელებს.**

ისტორიული ვითარებიდან გამომდინარე უცხოთა გავლენა ფრიად ნეგატიური ყოფილა კახეთში, ხოლო იმერეთი ამ გავლენისაგან შორს იყო, თუმცა ზნეობრივი ნორმების დარღვევა აქ ჩასული კახელების გავლენით მომხდარა: „პირველად იმერელნი იყვნენ გულწრფელნი და ბატონის თვისისა ერთგულნი. და რაჟამს ჩავიდნენ კახნი იმერეთს, და იყოფოდეს მრავალჟამ მუნ. ხოლო კახნი ჩვეულებისამებრ იყვნენ ერთმანერთისა მშურენნი და მტერნი და მრავლის ზაკუსა და ჩხუბის მოქმედნი, ლაღნი და ამპარტავანნი, ტანთ-ჩაკმისა და სილამაზის გამოძიედნი და მოყუარენი, რამეთუ ესრეთცა იყო პირველითგან ჩვეულება მათი. და წაბაძეს მათ იმერელთაცა, ისწავეს კახთა წესი და კიდევაც გარდაამეტეს. მიერთგან დამკვლრდა იმართეს ჩხუბი და დაუნდობლობა“.<sup>36</sup> როგორც ჩანს, ტრადიციული ზნეობრივი ნორმებიდან მიქცევა უცხოთა გავლენით ყოველთვის ხდებოდა საქართველოში. მაგალითად შეიძლება 1843 წელს საქართველოში ნამყოფი მორიც ვაგნერიის სიტყვები მოვიყვანოთ: როცა ქართულ მოსახლეობას რუსებისაგან თავდახსნის „იმედი გაუცრუვდა და თანდათან შეაძმნია, თუ ვის მხარეზე იყო მეტი ძალა სპარსელებთან, თურქებთან და კავკასიის მთის ხალხებთან ბრძოლაში, შეეშვნენ სიძულვილს და შეურიგდნენ დამპყრობელს. ... მრავალრიცხოვანი ქართველი თავდაზნაურობა (წარჩინებულები) ... გახდა საკმაოდ მორჩილი, გამოეკიდა თანამდებობებს და ჯილდოებს და რუსეთის იმპერატორის ნაცვალს თავი დაუხარა, თუმცა პირფერობასა და ძღაბალ მლიქვნელობაში სომხებზე შორს არ წასულან. ... ტფილისში ცოტადა იყო წარჩინებულთა ოჯახი, რომლებიც ნათესაური კავშირით, ან აგრეთვე პირადი ინტერესებიდან გამომდინარე დამეგობრებული არ იყო დამპყრობელთან“.<sup>37</sup> რუსული მმართველობის დამყარების შემდეგ ზნეობრივ ცვლილებაზე ამახვილებდა ყურადღებას ვაჟა-ფშაველა ლექსში „ქებათა-ქება“: „დროება გამოიცვალა, // ზნეც შეეცვალა მელასა; //

<sup>35</sup> ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, გვ. 297.

<sup>36</sup> ბერი ვენატაშვილი. ახალი ქართლის ცხოვრება, გვ. 436-437.

<sup>37</sup> მორიც ვაგნერი საქართველოს შესახებ. გერმანული ტექსტი თარგმნა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ვია გელაშვილმა. თბ. 2002, გვ. 37.

სხვადასხვა ფერი დაედვა // კაცსა და ცხოველს, ყველასა. // ძველმა უარ-  
პყო ძველობა, // ცხვრის ზნე დასჩემდა ტურასა // და პირზე კლიტეც დაედ-  
ვა // სახლის პატრონსა მურასა“.<sup>38</sup> ვაჟა-ფშაველა მისი დროინდელი ადამი-  
ანის, „კაცის“ გარდასახვასაც შეეხო ლექსში „ვინ არის კაცი?“. „კაცი ის  
არის, ვინაცა // შესტრფის, შეჰხარის ღვინოსა // და ჰსახავს იდეალადა //  
სალხინო სამიკიტნოსა. // კაცი ის არის, ვინაცა // არა კითხულობს გაზეთ-  
სა, // წიგნისთვის შაურსა ზოგავს, // მქარღნეს აძლევს მანეთსა. // გადაამ-  
ტერებს ერთმანეთს // ქართლსა, იმერეთს, კახეთსა, // საკუთარს ანბანს შე-  
უღვერს // სამეგრელოს და სვანეთსა“.<sup>39</sup> ვაჟას ეს სიტყვები თითქოს დღევან-  
დელი საქართველოს შესახებაცაა დაწერილი.

საგარეო ფაქტორით გამოწვეულ ზნეობრივ დაცემას საქართველოში  
ზნეობრივი გამოცოცხლებაც მოყვებოდა ხოლმე. იგივე მემატიანეს ასეთ პე-  
რიოდად შაჰნავაზის მეფობის დრო მიანიხი. მის დროს ქრისტიანულ ზნეობ-  
რივ სწავლებას დიდი ყურადღება ექცეოდა, განსაკუთრებით – რაინდობასა  
და „ყოველსავე სამამაცოსა ზნეობასა“.

ქართველები უცხო ყოფაქცევის/ზნის ადვილად მიმყოფნი ნამდვილად  
რომ იყვნენ, ამის შესახებ ბერი ეგნატაშვილიც საუბრობს. ასეთი ცვლილება  
მართლაც ხდებოდა ქართლში როსტომის მეფობისას: „და მას ჟამსა იყო  
ქართლის წესმან და რიგმან გარდაცვალება, და ყოველთავე შეიყუარეს ანგა-  
რება და სიძლიდრის-მოყუარება, ჯამბავირი და სოფლის მიცემა ყაენისაგან და  
განმრავლდა ტანთ-ცმა ყიზილბაშურად“. „და აღაშენა სახლი ყიზილბაშური,  
კეკელუცად და ტურფად ნაგები, შემოიღო მოფენილობა (იგულისხმება სახლე-  
ბის ნოხებითა და ფარდაგებით მოფენა – რ. თ.), სმა-ჭამა, გამორჩეულება და  
კეკელობა („სილამაზისა და კოხტაობის მოყვარულობა“ – რ. თ.). და მიიქ-  
ცნენ სრულიად წესსა ზედა ყიზილბაშისას, და განმრავლდა სახლსა შინა  
მისსა სიძვა და არა-წმინდება, ცოდვა იგი სოდომ-გომორული და მრუშაობა  
დედათა თანა აღრევა“. „და იყვნენ დღითი-დღე სმასა და განცხრომასა შინა,  
ხოლო სულისათვის არარას ზრუნვიდნენ: მოიყვანა მეჩანგენი და მუტრიბნი,  
და აქებდნენ ქართველნი დარბაისელნი, და მათცა ეგრეთვე იყოლიეს მუტრიბ-  
ნი და მრავალნი მკეკალნი და არღარა იყო სირცხვილი სიძვისა და მეძაობი-  
სა“. „და ქართველთაცა ისწავეს სმა და ჭამა ყიზილბაშური და დიდად სირ-  
ცხვილ უჩნდათ სერსა ზედა უფლაობა და არა-კეკელობა (ე. ი. „სირცხვი-

<sup>38</sup> ვაჟა-ფშაველა. თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად. ტ. I. თბ. 1964, გვ. 323-324.

<sup>39</sup> ვაჟა-ფშაველა. თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად. ტ. I, გვ. 305.

ლად მიაჩნდათ პურის ჭამის დროს დაეცვათ სიღარბისლქ“ – რ. თ.). და, რომელსაცა არა შეეძლო ამ წესის ქმნა და უღონო იყვნენ მონაგებთაგან, განყიდნეს მამაპაპათაგან დაგდებული მამული და აგარაკები და იცვემდნენ და სჭამდნენ და სმოდნენ და არარას ზრუნვიდნენ შეილისათჳს“.40 მოყვანილი ციტატის შემდეგ მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ ზნეობრივი ნორმების ცვლილება როსტომის მეფობის დროს ზედა ფენას – თავად-აზნაურობას შეეხო. ასეთი ცვლილებები ქართული საზოგადოებისათვის სხვა პერიოდებშიც იყო დამახასიათებელი – გარკვეული ცვლილებები დაიწყო რუსეთის შემადგენლობაში მოქცევის შემდეგ. ის დღესაც, ახალი მოდერნიზაციის ვითარებაშიც მიმდინარეობს, ხდება მთელი რიგი ქართული წესების „გარდაცვალება“ და უცხოური ყაიდის, ტრადიციების დანერგვა; ხშირ შემთხვევაში გზას იკვლავს არასწორად გაგებული დასავლური ცხოვრების წესი.

საქართველოში ტრადიციულ ზნეობრივ ნორმებს შეეხო ვახუშტი ბაგრატიონიც. პირველ ყოვლისა ის აღნიშნავს, რომ საქართველოში „ზნენი აქუნდათ პირმტკიცობა, მტერთა ზედა ერთობა, თავისუფლებისათვის მკნედ ბრძოლა. ... ერთის ცოლისა ქმრობა, რამეთუ მოიყვანიან თჳსთჳსთა თანასწორთა“.41 ბატონიშვილი ხშირად საუბრობს ქართულ ქცევა-ზნეზე, კერძოდ, როდესაც ის თბილისისა და ქვემო ქართლის სომხების შესახებ საუბრობს, ხაზს უსვამს, რომ ისინი „ქცევა-ზნითა ქართულითა“ არიან.

ვახუშტი ბაგრატიონი განსაკუთრებით ეხება ჭამის ტრადიციას: „ტაბლასა ზედა სჭამდიან და ნადიმობდნენ, სკამთა ზედა სხდიან, ბოდიშობდიან ქუდის მოხდით“.42 მას არც გლოვის წესები გამორჩენია: „მუედარსა დაჰველიდიან ყოველთა შესამოსლითა, და საჭურველითა, და სამკაულითა თჳსითა, ტიროდიან და საბნელოსა სხდიან მ დღე, აღიპარსიან თავნი, წვერ-ულვაშნი, წარბნი, წაშქაშნი, და ჩაიხდიან წელამდე სამოსელთა მამრნი და მდედრნი, იცემდიან, ვიდრე სისხლდინებისადმდე. არა სჭამდიან კორცსა და ცხოელსა წლამდე, გარნა მამინაც იძულებითა დიდითა; შთაიცივიან ძაძა-ფლასნი და დაიბურიან თავსა თხისურნი ჩაჩნი; განჰყვებიან საფლავამდე ცოლნი ქმარსა და ქმარნი ცოლთა, და სხვათა ახლოს მოყვასთაცა, ჯინსა შინა მსხდომარენი ბნელსა, ძაძითა მოკრულითა, იდღერიან მწუხარისა მითა ტყებისა ჟამსა არა ჭირისუფალნი, არამედ სხვანი მუნ მყოფნი (ხოლო წესნი ესენი მოშალა ჟა

40 ბერი ვენატაშვილი. ახალი ქართლის ცხოვრება, გვ. 424.

41 ვახუშტი ბაგრატიონი. საქართველოს გეოგრაფია. მთ. რედ. ზ. ტატაშიძე. თბ. 1997, გვ. 12.

42 ვახუშტი ბაგრატიონი. საქართველოს გეოგრაფია, გვ. 18.



მეფემ გიორგომ, რა ჟამს მოვიდა მისა პატრიარქი ირუსალიმისა, მის გამო, თუნიერ შავის ჩაცმისა, კორცის უჭმელობისა და ტყება-ტირილისა<sup>43</sup> მოყვანილი ციტატიდან აშკარაა, რომ სამეფო ხელისუფლებამ საუკუნეების განმავლობაში არსებული ზოგიერთი ზნეობრივი ნორმა აკრძალა, რადგან ისინი მართლმადიდებელი ეკლესიის ნორმებში არ ჯდებოდა. თუ დავაკვირდებით, ვახუშტი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს იმ ტრადიციებს, რომლითაც ქართველები განსხვავდებოდნენ მეზობელი ისლამის მიმდევარი ხალხების ზნეობრივი ნორმებისაგან; ესენია: სამოსელით დაკრძალვა, მიცვალებულის საფლავამდე მიცილება ქალების მიერ, სამგლოვიარო სამოსით შემოსვა, სამგლოვიარო სიმღერები („ზარი“), ტაბლასთან ჭამა, ჭამის დროს სკამზე ჯდომა... იქვე იმასაც აღნიშნავს, რომ „წესნი ესენი რომელნიმე ფლობასა თათართა ყენობისასა შეიშლებოდნენ, ვითარცა დაბლა ნოხთა ზედა სხდომანი, ეკლესიასა შინა მოუხდებოდა ქუდისა თუ არა ჟამად, რამეთუ საუფლოთა სიტყვათა ზედა მოიხდიდნენ, თუნიერ მისსა არა, არცაღა ბოდიშობდიან ქუდის მოხდით, და სხვანიცა უჯერონი მრავალნი, ვითარცა იტყვის ორცილიანობასა და სამცილიანობას... ხოლო შემდგომად ბრწყინვალემან მეფემან გიორგომ კვალად ავო წესსავე მას ძველსა ზედა“<sup>44</sup> ამრიგად, სამეფო ხელისუფლება, საგარეო ფაქტორით გამოწვეული, შეცვლილი ზნეობრივი ნორმების აღდგენაზე ზრუნავდა, რადგან მას კარგად ესმოდა, რომ ეთნიკურობის შენარჩუნების ერთ-ერთი აუცილებელი ფაქტორი ეთნიკური ტრადიციების („ქცევა-ზნის“) შენარჩუნებაც იყო.

ვახუშტის თხზულებიდან კარგად ჩანს ქართველთა ჩაცმა-დაზურვისა და ვარცხნილობის წესებიც: „ქალთა თმა გარდაშვებული და დაწნული, ხოლო კაცთა ყურთა ზედა მოკვეცილნი“. ერთმანეთისაგან განსხვავებული იყო ქალიშვილისა და ქალის ვარცხნილობა.

ჯერ კიდევ სულ რამდენიმე ათეული წლის წინ საქართველოში არ იყო ტრადიცია ყოველი შეხვედრის დროს კოცნისა, მითუმეტეს არ კოცნიდნენ ერთმანეთს მამაკაცები. საპატრივცემულო პიროვნებებს, ასაკით უფროსებს მხარზე ეამბორობოდნენ. მამაკაცების მიერ ერთმანეთის კოცნა შეხვედრისა თუ ქეიფის დროს საბჭოთა პერიოდში დამკვიდრდა. ასაკით უფროს ადამიანებს, ალბათ, ახსოვთ, როგორ კოცნიდნენ ერთმანეთს კომუნისტური პარტიის „ბელადები“ პარტიულ შეკრებებზე და ურთიერთშეხვედრის დროს. ეს სენი –

<sup>43</sup> ვახუშტი ბაგრატიონი. საქართველოს გეოგრაფია, გვ. 18-19.

<sup>44</sup> ვახუშტი ბაგრატიონი. საქართველოს გეოგრაფია, გვ. 23.

მამაკაცების ერთმანეთის კოცნისა – მაშინ შეეყარა ქართულ საზოგადოებას. სხვათა შორის, საქართველოში სულ რაღაც სამი თაობის წინ მშობლების მიერ ბავშვების/შვილების კოცნაც კი არ იყო მიღებული. ამ მხრივ ფრიად მნიშვნელოვანი ინფორმაცია აქვს დაცული XVIII საუკუნის ფრანგ *დე გრაი და ფუას*, რომელიც რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოში მოვლენილი ავანტურისტი გენერლის *ტოტლებენის* ადიუტანტი გახლდათ. *ტოტლებენის ერეკლე მეორესთან* მიღებაზე მიყვანისას *დე ფუა* შემდეგს გადმოგვცემს: „როდესაც *ტოტლებენმა* ჩარდახის წინკარს მიაღწია, მას წარუდგა ერეკლეს ვაჟი. *ტოტლებენი* გადაეხვია მას, რამაც განაცვიფრა ეს ყმაწვილი კაცი, ვინაიდან ჩვეულება იმისა, რომ მამაკაცები ერთმანეთს გადაეხვიონ, საქართველოში ჯერ მიღებული არ არის. შემდეგ კარებში მას დახვდა ერეკლეს ბიძა, საქართველოს პატრიარქი (კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ I, იესე მეფის ძე – რ. თ.). გრაფმა მონიღომა გადახვეოდა მას, მაგრამ პატრიარქმა უკან დაიხია, პირჯვარი გადასახა მას და პირველი შევიდა ჩარდახში“. სხვათა შორის, მამაკაცების მიერ ტუჩებში ერთმანეთის კოცნა შუა საუკუნეების ევროპაში გაჩნდა, რაც თავდაპირველად სამშვიდობო ზრახვისა და პატივისცემის დამადასტურებელი იყო; დროთა განმავლობაში კი სიყვარულის ნიშნად იქცა.<sup>45</sup>

სულ ბოლო დრომდე ქართლში ტრადიცია იყო: მიცვალებულიდან მომავალი არავის ესალმებოდნენ, თითქოს შემხვედრებს ვერც ხედავდნენ. მიუღებელი იყო საზოგადოებაში გულხელდაკრეფილი ყოფნა, რადგან ასე მხოლოდ მწუხარები ღებოდნენ. საყოველთაოდ იყო გავრცელებული უმძრახობის წეს-ჩვეულება, რაც, პირველ ყოვლისა, ოჯახში ახლად შემოსული რძლისა და მამამთილის ურთიერთდამოკიდებულებას ეხებოდა; პირველი შვილის გაჩენამდე ისინი ერთმანეთს არც კი ეკონტაქტებოდნენ. იმერხევში ჩაწერილი ეთნოგრაფიული მონაცემებით, ოთახში თუ მამამთილი იმყოფებოდა, იქ მყოფი რძალი ზურგშექცევით ვერ გავიდოდა, აუცილებლად უკანსვლით სტოვებდა იქაურობას. საერთოდ, უმძრახობა თაობებს შორის დისტანცირებისა და გარკვეული პატივისცემის გამოხატულება გახლდათ. იმდროინდელ საზოგადოებას ამ „ქცევა-ზნეზე“, რომელიც ჩვენთვის დღეს მიუღებელია, მოთხოვნილება ჰქონდა. წერილობით ძეგლებში არ ჩანს ბილწსიტყვაობისადმი საზოგადოების დამოკიდებულება, მაგრამ ეთნოგრაფიული მასალებით, ბილწსიტყვაობა-გინებას და წყევლას გმობდნენ. სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია, რომ „სვა-

<sup>45</sup> Жак Ле Гоф. Рожденные Европы. СПб. 2007, гл. 97.

ნები გაურბიან უხეშ გამოთქმებს და თუ მაინც ვერ უვლიან გვერდს ამგვარ გამოთქმებს, იმ შემთხვევაში ბოდიშს იხდიან. მათ რეპერტუარში არ შემხვედრია არცერთი უხამსი სიტყვა“.<sup>46</sup> გინება გაცხარების ჟამს რომ იცოდნენ ქართველებმა, ეს „შუშანიკის წამებიდან“ კარგად ჩანს: „*მაშინ იწყო უჯეროსა გინებად ვარსქენ...*“; „*და ვერვინ იკადრა თავსა მისსა დაბურვად, რამეთუ პიტიახში იგი მხედრ შეუდგა უკანა კვალსა მისსა და აგინებდა მას მრავლითა გინებითა*“. სულ ცოტა ხნის წინ თუ მთელი რიგი „უცენზურო“ სიტყვის თქმა ერთმანეთთან საუბრის დროს ორ მამაკაცსაც კი ეუხერხულებოდა, დღეს ქართულმა ტელევიზიებმა ზღვარს ძალიან გადააბიჯეს და გინებისა და უხამსობის დემონსტრირება ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. ასე რომ, მიმდინარეობს ძველი მორალური ნორმების ნგრევა და ახლის დანერგვა.

დასავლეთ ქართველთა ზოგიერთ ზნეობრივ ნორმას შეეხო XVII საუკუნის ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი. მისი სიტყვით, მეგრელები „*არიან თავაზიანები, ზრდილნი, დარბაისელნი და გულთბილნი*“. „*ერთმანეთს მიმართავენ ზრდილობითა და ქათინაურით*“. ამავე დროს მიუთითებს მათ სიამაყეზე, ქედმაღლობაზე და უღმობლობაზე.<sup>47</sup> იგივე ავტორი მიუთითებს მეგრელების კარგ მეომარულ და მხედრულ თვისებებზე. „*მშვილდ-ისრის სროლას ოთხი წლიდან ასწავლიან ბავშვებს, რომლებიც ისე კარგად ეუფლებიან მას, რომ გაფრენილ პატარა ჩიტსაც კი ახვედრებენ ისარს*“.<sup>48</sup> საყურადღებოა, რომ აღმოსავლურ-მუსლიმური ზნეობრივი ნორმები აქაც დამკვიდრებულა, მაგალითად, „*დიდებულები საჭმელს მიირთმევენ ნოხებზე მჯდარნი, აღმოსავლური წესით*“. ხოლო გლეხობა ამ მხრივ კვლავ ქართული წეს-ჩვეულებების მიმდევარი იყო: „*მდაბიონი ჯდებათ გრძელ მერხზე და წინ იდგამენ ასეთივე სიმაღლის მეორე სადგამს, რომელიც მაგიდის მაგივრობას სწევს*“.<sup>49</sup> ტრადიცია ყოფილა სადილის დროს ღვინის მხოლოდ სამჯერ ჩამოტარებისა. ჟან შარდენის ყურადღება იმასაც მიუქცევია, რომ ლხინის სუფრაზე, სადაც ისიც იმყოფებოდა, თავდაპირველად ღვინოს საერთოდ არ სვამდნენ და „*მხოლოდ მესამე თავი კერძის შემოტანისას მიეძალნენ ღვინოს*“. XIX საუკუნის პირველ მესამედში საქართველოში ნამყოფი გერმანელი ელჟარდ აიხვალდი სამეგრელოს შესახებ აღნიშნავდა, რომ „*სუფრაზე უზრდელობად ითვლება როგორც ღვინის მოთხოვნა, ისევე მასზე უარის თქმა*“. სამეგრელოში ზნეობრივ

<sup>46</sup> ქ. სიხარულიძე. ნარკვევები. ტ. I. თბ. 1958, გვ. 404.

<sup>47</sup> ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, გვ. 117.

<sup>48</sup> ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, გვ. 117.

<sup>49</sup> ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, გვ. 120.

ნორმად მიიჩნეოდა მაღალ საფეხურზე მდგომი ადამიანისადმი მუხლმოდრეკით მისაღმება.<sup>50</sup> „ბატონებთან საუბარის დროსაც მხოლოდ ასეთსავე მუხლოყრილ ძღვომარეობაში იმყოფებიან“. ჟან შარდენი იმასაც აღნიშნავს, რომ მისაღმებისა და საუბრის ეს წესი შავი ზღვის სანაპირო ქვეყნების მთავრებმა ბიზანტიელთაგან გადაიღესო.<sup>51</sup> ტრადიცია ყოფილა დილით, პირის დაბანის დროს ღმერთის ხსენება („ამბობენ: „დიდება ღმერთს“) და პირჯვარის გადასახვა.

ეთნოგრაფიული მასალებით, ცნობილია, რომ არცთუ ისე დიდი ხნის წინ ტუალეტში ან ტუალეტთან შემხვედრი ორი ადამიანი ერთმანეთს არ ესალმებოდა, უფრო მეტიც, სამეგრელოში დადასტურებული მასალებით, შვილებსა და შვილიშვილებს არასდღოს არ უნახავთ უფროსი თაობის წარმომადგენლები (ბებია და ბაბუა) როგორ ახერხებდნენ მათ დაუნახავად ტუალეტში შესვლას. არ ვიცით, როგორი იყო ორი სქესის წარმომადგენელთა ურთიერთობა, მაგალითად, ცოლისა და ქმრის, როდესაც მთელ ოჯახს ერთი დიდი საერთო საძინებელი ტახტი ჰქონდა; არ ვიცით, ტანსაცმლით წვევოდნენ, თუ თავიდანვე ჰქონდათ ღამის პერანგი. დასავლეთ ევროპული წერილობითი წყაროები ამ მხრივ უფრო ბევრი და საინტერესო ინფორმაციის შემცველია. მაგალითად, შუა საუკუნეების ინგლისში ოჯახის წევრებთან ერთად მათი სტუმრებიც ერთ ოთახში, თანაც XVI საუკუნემდე ყველანი შიშვლები წვევბოდნენ.<sup>52</sup> აქედან გამომდინარე, გასარკვევია იმდროინდელ ინგლისელებს ჰქონდათ თუ არა სირცხვილის გრძნობა, ან რა ხარისხის იყო ის. ცნობილია, რომ მთელი შუა საუკუნეების მანძილზე საქართველოში, ყოველ შემთხვევაში, თბილისში, ტანის დაბანა, აბანოში ხშირი სიარული ჩვეულებრივი ამბავი იყო. შუა საუკუნეების ინგლისში კი მეფე მხოლოდ სამ კვირაში ერთხელ იღებდა აბაზანას.<sup>53</sup> უფრო მეტიც, რუსეთსა და ევროპის ბევრ ქვეყანაში ქალები და კაცები აბანოში ერთად იბანდნენ.

ზნეობრივი ნორმების კატეგორიაში ექცევა ჩვენ მიერ 1974 წელს ივრის ხეობის ზემო წელის (ერწო-თიანეთი) სოფელ ლიშოში ჩაწერილი ეთნოგრაფიული მასალა. სოფელში ერთმანეთის ნათესავები, ფაქტობრივად ერთი სოციუმის – თემის წევრები მკვიდრობდნენ. XX საუკუნის დასაწყისში

<sup>50</sup> ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, გვ. 122.

<sup>51</sup> ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, გვ. 123.

<sup>52</sup> Л. Ф. Зальцман. Жизнь Англии в Средние века. СПб. 2009, გვ. 111-112.

<sup>53</sup> Л. Ф. Зальцман. Жизнь Англии в Средние века, гв. 111-114.

ერთ დღეს ამ სოფელში ერთ-ერთ ახალგაზრდას ქორწილი ჰქონდა. მეზობელ სახლში მისი ახალგაზრდა ავადმყოფი ბიძაშვილი ლოგინში იწვა. ქორწილის დღეს დილით ავადმყოფი გარდაიცვალა. გარდაცვლილის დედამ შვილის სიკვდილი ყველას დაუმალა. ახლოდან თუ შორიდან ქორწილში მოსული ნათესავები, ბუნებრივია, ავადმყოფის ნახვის სურვილს გამოთქვამდნენ. თუმცა ყველა მათგანს უკვე გარდაცვლილის დედა კარებში ხვდებოდა და ეუბნებოდა, რომ მისი შვილი კარგადაა და მშვიდად სძინავს. მთელი დღისა და ღამის განმავლობაში შვილმკვდარმა დედამ მოახერხა და არავის გააგებინა შვილის სიკვდილი. მხოლოდ მეორე დღეს, დილით აუწყა სოფელსა და ნათესავებს ვაჟის გარდაცვალება. ქართველ ხალხში ანალოგიური შემთხვევები სხვაგანაც არის დაფიქსირებული. მოყვანილი მასალის განზოგადება შეიძლება. ეს არის ქართველი ქალის სულიერების, გაუტეხლობის, მაღალი კულტურის, თავშეკავებულობის, ზნეობრიობის მაჩვენებელი. ქართველმა ქალმა ერთგვარი გმირობა ჩაიდინა, უაღრესად დამწუხრებული დედა ყველაფერზე მაღლა დადგა და ახალგაზრდა კაცს და ახლო ნათესავებს სიხარულის, ზეიმის, ბედნიერების დღე არ ჩაუძწარა. ასეთი რამ მხოლოდ იმ ხალხს შეეძლო გაეკეთებინა, რომელთა შეგნებითაც სიკვდილი და სიცოცხლე, ბედნიერება და უბედურება, სიხარული და მწუხარება განუყოფელია. უბედურების დროს ქართველებმა იცოდნენ დიდად შეცხადება, დიდი გლოვა, მაგრამ ამასთან ერთად სიმაგრის გამოჩენა, გულგაუტეხლობა; მათთვის „მამაპაპური მხნეობაც“ (ილია) იყო დამახასიათებელი.

შუა საუკუნეებში ქართული საზოგადოება ზნეობრივი ნორმების დაკანონებას ცდილობდა და დარწმუნებული იყვნენ, რომ ის ღმერთისაგან იყო ნაბოძები. ამავე დროს მიიჩნეოდა, რომ ზედაფენას მაგალითი უნდა მიეცა ქვედაფენისათვის. საამისოდ შეიძლება უცნობი ავტორის დაუთარილებელი „მეფეთა საღარო“ დავასახელოთ. ამ თხზულებაში ცალკე გამოიყოფა ერთი თავი „საქციელისათვის“, რომელშიც ვკითხულობთ: „და ის არის საქციელი, რომე კაცმან თავი თვისი პატიოსნად შეინახოს და ყოველი კაცი პატიოსნად მოიხსენიოს და ესათნოვოს და რჯულზედა მაგრად და მტკიცედ იდგეს. კარგი საქციელი ყოველთვის კაცს ეფერების და უფროსად – ხელმწიფესა, ამაღ რომე ყმა ბატონისაგან ისწავლის საქციელსა, მაშინლა ქვეყანა დაწყნარდეს და გარიდეს. ბრძენთა და ჭკუის მქონეთაგან ნათქვამი არის, ვითა: რაცა ღმერთსა კაცთათვის ზნეობა მიუცემია, ყოველსავე კარგი საქციელი უჯობს,

მეტადრე – ქვეყნისათვის მპყრობელს ხელმწიფესა“.<sup>54</sup> იქვე ისიც ხაზგასმულია, რომ „ხელმწიფობასა და სიძლიერეს დიდად ქცევაც უნდა გვერთოს ახლდეს, თორემ უერთმანეთისოდ არ ვარვა“.<sup>55</sup> ვფიქრობთ, ეს შეგონება არ მოძველებულია და თანამედროვე ხელისუფალთათვისაც სახელმძღვანელოდ უნდა იქცეს. „მეფეთა სალარო“ აღმზრდელითი ნაწარმოებია და ის ერთ-ერთ პირველად ზნეობრივ ნორმად შენდობას ასახელებს: „შენდობა ის არის, დამნაშავეს არ გადაახდევინოს და დანაშაული შეუნდოს. ეს იცოდეთ, რომე შენდობა სჯობს სხვას ყოველს სამადლოს საქმესა“.<sup>56</sup> კიდევ: ხელისუფალი უნდა იყოს მოძომენი, მშვიდი, გულკეთილი, მწყალობელი, შემწყალებელი, კაცთა პატივისმცემელი, თავმდაბალი... ამკარაა, რომ „მეფეთა სალარო“ საქართველოში იმ დროს შეიქმნა, როდესაც ქვეყანაში ზნეობრივი ნორმები ირღვეოდა და ის მამინ ხდებოდა, როდესაც სახელმწიფოებრივი კრიზისის პერიოდი დგებოდა. სრულიად სამართლიანად აღნიშნულ ნაწარმოებს „ზნეობის სალაროსაც“ უწოდებენ. დავამატებთ, რომ „მეფეთა სალარო“ ფაქტობრივად არის დოკუმენტი, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ქრისტიანობის ნიდაგზე შექმნილი ორიგინალური ქართული ზნეობრივი ნორმების დაცვის სადარაჯოზე დგას. მასში ვხვდებით ეროვნულ და სოციალურ, განყენებულ ეთიკურ იდეალებსა და პრაქტიკული ქცევის ნორმებს.

საქართველოში ზნეობრივ ნორმებს გარკვეული საფრთხე შეექმნა მონღოლთა ბატონობის პერიოდში. ასეთი არაერთი ფაქტი აქვს გადმოცემული ჟამთააღმწერელს. ქვეყანა უცხო და შეუფერებელი ზნე-ჩვეულებების გავრცელების საშიშროების წინაშე დადგა. ბუნებრივია, ზნეობრივი გაუკუღმართება პირველ ყოვლისა ზედაფენას შეეხო – ისინი ფუქსავატობას, დოვლათით ნებიერებასა და დროსტარებას მიეცნენ. მემატთანე რეალურ სურათს გვიხატავს, როდესაც წერს: „ყოველი ასაკი ბერთა და ყრმათა, მეფეთა და მთავართა, დიდთა და მცირეთა, მიდრკა სიბოროტეთა, რამეთუ დაუტყვევს სიმართლეს და ჭეშმარიტებას, ვინათგან თვით მღვდელთა მიერ იხილვებოდა არაწმინდება, ვინათგან ყოველი ერი იქმოდეს სიბილწესა“.<sup>57</sup> მოყვანილი სტრიქონებით ამკარაა, რა ზნეობრივ კრიზისს განიცდიდა იმ დროს მთელი ქართული საზოგადოება. გაბატონებული იყო „ამპარტავნება, ზაკვა (ცბიერება, ვერაგობა – რ.

<sup>54</sup> ქართული მწერლობა. ოცდაათ ტომად. ტ. V. თბ. 1988, გვ. 338.

<sup>55</sup> ქართული მწერლობა. ტ. V, გვ. 339.

<sup>56</sup> ქართული მწერლობა. ტ. V, გვ. 360.

<sup>57</sup> ჟამთააღმწერელი. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II. თბ. 1959, გვ. 186.

თ.), შური, ღომა, სიძულვილი, ანგარება, მიძლავრება, კლვანი, პარვანი, სიძვანი, უწესობანი“. ეს ნეგატიური ზნეობრივი ნორმები კი უამლთააღმწერელს ყველა ბოროტების საწყისად მიაჩნდა: „*ჰოი, შური, ყოველთა ბოროტთა დასაბამი!*“. მტრის სიძლიერსთან ერთად, ქართველთა წარუმატებლობის ძირითად მიზეზად სწორედ ზნეობრივ გადაგვარებას მიიჩნევს. გადაგვარების გზა ქართველებს კი ხელისუფალმა მისცა: „*რამეთუ იყო ესე ლაშა-გიორგი ... ღვინის მოყუარე და გემოთ-მოყუარე. და მშვიდობა იყო სამეფოსა მისსა, და შექცეულ იყო სმასა და ამასა, რომლისთავს დასწერენ მამანი, ვითარმედ: „სამნი არიან მიზეზნი ვნებათანი, რომელთაგან იშვებიან ყოველნი ბოროტნი: გემოთ-მოყვარებანი, ვერცხლისმოყუარება და დიდების-მოყუარება; ამთნი პირმშონი არიან: სიძვანი, მრუშობანი, რისხვა, მწყნარობა, ამპარტავნება“.* „*ეგრეთვე იქმნა ნათესავსაცა ამას შინა ქართველთასა, რამეთუ განძღეს და იშუებოდეს და უწესობად მიდრკეს სიძვათა შინა და მთვრალობათა უგუნური კაცნი, მეფის კარსა ზედა არა-ყოფისა-ღირსნი და აწ კი კარსა ზედა მყოფნი“.*<sup>58</sup> თუმც მემპტიანე მომავალ საქართველოზეც ფიქრობდა და ქართველებს ზნეობრივ პრინციპებსაც უქადაგებდა კონკრეტული მაგალითების ჩვენებით. ამავე დროს შეახსენებდა თანამემულებებს, რომ ისინი ზნეობრივად გამორჩეული თვისებების მატარებელნი იყვნენ (მაგალითად, *ცოტნე დადიანი, დავით ვეჯიბი*) და სხვებისაგან, მაგალითად, სპასელებისაგან განსხვავდებოდნენ, რომლებიც იყვნენ „*ცრუ, მოღალატე და ფიცის არშემნახველ და მრავალნი იპოვებიან მწამლველნი* (მისნები – რ. თ.) *და მამათმავალი ურცხვი-ნოდ“.*

ქართველთა ზნეობრივი ნორმები ხალხურ პოეზიაშიცაა ასახული. „უადრესად ლაპიდარული ქართული ხალხური საგმირო აფორიზმები გამოხატავენ საუკუნეთა მანძილზე ხალხის მიერ განზოგადებულ იდეალს ვაჟკაცისა. სამშობლოსათვის თავგანწირვა, მხნეობა, მეგობრისათვის თავდადება, დაჩაგრულთა და სუსტთა მოსარჩლეობა და ყოველგვარი სილამაზე გმირობის სავალდებულო ნორმად არის აღიარებული ქართულ ხალხურ პოეზიაში საერთოდ და – კერძოდ აფორიზმებში“.<sup>59</sup> აი, ზოგიერთი მათგანი: „*შავს ლუდსა, წითელ ღვინოსა, // განა სწორ სწორად სმა უნდა? // ენაზე მოსულს სიტყვასა // განა სუყველას თქმა უნდა?*“ „*სმა უძღერელი არ ვარგა, // ჭაბუკი უხელებელი; // ჭაბუკსა უხელებელსა // ქალი სჯობს უხსენებელი*“; „*კაი ყმა*

<sup>58</sup> უამთაღმწერელი, გვ. 157.

<sup>59</sup> ქართული ხალხური პოეზია. ტ. III. თბ. 1974, გვ. 15.

ხმალსა ჩახედავს: „ნეტარ, გამიჭრის, თუ არა? // ცუდაი – ქალის უბესა: // ნეტარ, შამიხვევს, თუ არა?“; „თუში ვარ მთაში გაზრდილი, // მტერსაც არ დაუვარდები, // უქულოდ ქვეყნად არ ვივლი, // კლდეზედაც გადავვარდები“; „არ ვარგა იგი ვაჟკაცი, // შუა ქალებში მჯდარია. // მან დაიხუროს მანდილი, // იგივე ცოცხალი მკვდარია“; „ვაჟკაცსა მოტრიაბახესა // ზოგი ქალი სჯობს თმინი, // თოფსა უჯიშო მყვირალსა // ზოგი ხმალი სჯობს ფხიანი“; „ფანდურ, მიყვარს შენი ჩქამი, // სტვირო, შენი ხმიანობა, // ვაჟი-კაცი, ფარი, ხმალი, // ქალო, შენი თმინობა!“ „ღმერთო, ნუ შაჰყრი ვაჟკაცსა // ცოლსა ყბელსა და მძინარსა, // ის დააბერებს, ის მაჰკლავს, // ის შერთავს წყალსა მდინარსა!“ „ნუ სცროობ, ნუ ამპარტავენობ, // ნუ ელესები ქალთაო, // აგებ სად გამაგაქციონ // ამოღებულთა ხმალთაო!“

ქართველთა ქცევის წესები, ღირებულებები მრავლადაა გადმოცემული მხატვრულ ლიტერატურაში. მის ერთ-ერთ ნიმუშს ვაჟა-ფშაველას ლექსი „ის კი არ არის ბიჭობა“ წარმოადგენს: „ის-კი არ არი ბიჭობა, // რო გამაგრებდნენ, ჰმავრობდე. // ბიჭს მაშინ დაგიძახებდი, // თავისთავადა ჰვარვობდე. // არც ის მგონია ბიჭობა, // ვისაც ერევი, აზრჩობდე. // ბიჭს მაშინ დაგიძახებდი, რომ სხვის დამრჩვალსა სწამლობდე. // მითხარ, ვის უთქომ ბიჭობად, // დამჩავგრელებსა სწყალობდე? // აბა, ბიჭობა ის არი, // დამჩავრულთათვის სწვალობდე. // არც-რა ბიჭობა ევ არი, // მადლარი მღერდე, ჰვალობდე, // თავი მოვჰქონდეს სხვებზედა // და ამის გამო გვშარობდე. // მგონსობას არვის აცლიდე, // მუდამ ჰკეხხდე და სცხარობდე. // ბიჭს მაშინ დაგიძახებდი, // მშვიერ-მწყურვალიც ჰვალობდე“.<sup>60</sup>

ქართველთა ზნეობრივი ნორმების შესახებ კიდევ ბევრი შეიძლება ითქვას. ამჯერად მხოლოდ ერთი რამის აღნიშვნა მიგვაჩნია საჭიროდ – მოწინავე ქართული საზოგადოება ყოველთვის ცდილობდა თავის ხალხში ქრისტიანული მორალის შეხსენებას. ამას განსაკუთრებით კი მაშინ მიმართავდნენ, როდესაც სხვადასხვა მიზეზების გამო ეს ნორმები შერყევას იწყებდა. ამ მიზნით შეეხო ქართველთა წეს-ჩვეულებებს ზემოთ ხსენებული იოანე ბაგრატიონი. ქრისტიანულ ზნეობრივ ნორმებს მიუძღვნა თხზულება „სწავლანი“ სულხან-საბა ორბელიანმა, რომელიც, ასევე, დიდ ყურადღებას აქცევს მიუღებელ ქცევის წესებს.<sup>61</sup> სულხან-საბას ტრადიციული ქართული ზნეობრივი წესები სწავლით ჰქონდა შეძენილი. მის აღზრდაში კი მონაწილეობა მიუღი-

<sup>60</sup> ვაჟა-ფშაველა. თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად. ტ. I. თბ. 1964, გვ. 272-373.

<sup>61</sup> სულხან-საბა ორბელიანი. სწავლანი. ქართული პროზა. თბ. 1983, გვ. 297-378.



ათ როგორც საერო, ისე სასულიერო პირებს. „ყოველთა ზნეთა“ აღმზრდელ-მასწავლებელი ყოფილა მცხეთელი აზნაური ბერუკა ზედვინიძე. ეს ფაქტი კი, სხვა მრავალ მონაცემთან ერთად,<sup>62</sup> აშკარად ადასტურებს იმას, რომ ქართველები შუა საუკუნეებში კონსოლიდირებულ ეთნოსს – ერს/ნაციას წარადგენდნენ.

ამრიგად, საქართველოში გარკვეული ზნეობრივი ნორმები არსებობდა, რომელიც აწესრიგებდა ურთიერთობას ადამიანებს, ადამიანებსა და საზოგადოებას შორის. ზნეობრივი ნორმების გარეშე არცერთი საზოგადოება არ არსებობდა. ვიცით, რომ ერთგვარად განსხვავებული იყო მთიელთა ზნეობრივი ნორმები – მას შენარჩუნებული ჰქონდა ისეთი ურთიერთობები, რომელიც სოციალურად არაადაფერენციზებული საზოგადოებისათვის იყო დამახასიათებელი. საამისოდ *გაგა-ფშაველას* შემოქმედების განსენებაც კი საკმარისია. ყველაზე კონსერვატიული იყო ხევსურეთი; აქ ფაქტობრივად ცალკე პიროვნება არც არსებობდა. მთელი ტერიტორიული თემი ერთ ერთეულს წარმოადგენდა. დადგენილი ნორმებიდან გამოსვლა თემთან დაპირისპირებას ნიშნავდა და ასეთი პიროვნების ადგილი აქ ერთგვაროვან საზოგადოებში აღარ იყო.

მორალური/ზნეობრივი ნორმები ქართველებს განსაკუთრებული ჰქონდათ; შეიძლება ითქვას, რომ ის ქართული ეთნოსის ერთ-ერთი მახასიათებელიც იყო. ღრთოთა განმავლობაში მორალურ-ზნეობრივი ნორმები იცვლებოდა. ის ბევრად შეიცვალა საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების კვალდაკვალ. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით ტეხილი მოხდა საქართველოში ევროპეიზაციის შედეგად, რომელიც XIX საუკუნიდან მიმდინარეობდა. სამაგალითოდ შეიძლება გრიგოლ ორბელიანის სიტყვები მოვიყვანოთ, როდესაც ახალი მოღური სამოსი უფროსი თაობის გაღიზიანებას იწვევდა (ამ სფეროში თაობათა დაპირისპირება, როგორც ჩანს, მუდმივმოქმედია): „ერთხელ ივანე მალხაზიჩის (ანდრონიკოვის) დედასთან, მარიამთან, შვედი და ბატონიშვილი დიდად და დიდად გაჯავრებული დამხვდა. – რაო, ბატონიშვილო, რამ გაგაჯავრა ასე, ვინ რა გაწყენინა? – როგორ რამ გამაჯავრა; უი სირცხვილო! შვილო, გავიწილა? ოთარის ცოლს ქოშები გაუხდია და ბაშმაკები ჩაუცკამს“.<sup>63</sup> ზნეობრივი ნორმები იცვლება ჩვენს დღეებშიც, თანამედროვე საზოგადოებში, რაც ახალი მოდერნიზებული ცხოვრებისათვის არის დამახასიათ-

<sup>62</sup> რ. თოფნიშვილი. საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები. თბ. 2017, გვ. 454-484.

<sup>63</sup> ი. ბალახაშვილი. ძველი თბილისი. თბ. 1951, გვ. 30.

ებელი. ამკარაა, რომ ახალი ზნეობრივი ნორმები საქართველოში ჯერ საბოლოოდ ჩამოყალიბებული არაა. თავისუფლების „თანამდეროვე“ გაგება საუკუნების წინ ჩამოყალიბებული ზნეობრივი ნორმების მნიშვნელოვან შერყევას იწვევს.

უდავოა, რომ საქართველოში ზნეობრივი ნორმები საზოგადოებისათვის ერთ-ერთი წამყვანი და პრიორიტეტული იყო; ის ქრისტიანობით იყო ნა-საზრდოები და უძველეს ქართულ ტრადიციებსაც ეყრდნობოდა. „ვეფხისტყაოსნის“ აფორიზმები – „ათასად კაცი დაფასდა, ათიათასად ზრდილობა“; „სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსა“; „ვკვძობ კაცსა აუციანსა, ცრუსა და ღალატაინსა“ – ქართული საზოგადოების ზნეობისადმი მხოლოდ იმდროინდელ დამოკიდებულებას არ გამოხატავდა, როდესაც *შოთა რუსთაველი* მოღვაწობდა. ამის დამადასტურებელია XVII-XVIII საუკუნის ნაწარმოებები, რომლებსაც ზემოთ შევეხეთ. როგორც სამართლიანად მიუთითებდა *ნიკო ბერძენიშვილი*, „ზრდილობაში“ აღზრდა, განათლების, რაინდული განსწავლულობისა და გაწვრთნილების მთელი კომპლექსი იგულისხმებოდა. „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით, მოყმეს ამშვენებს გარეგნული სილამაზე, ფიზიკური ძალღონე, ზნეობრივი სიწმინდე და გონებრივი სისრულე.<sup>64</sup> ერთი სიტყვით რომ ვთქვათ, დარბაისლური ქცევის პატრონი უნდა ყოფილიყო, ისეთი, როგორც პოემის „მოყმე-რაინდები“ იყვნენ. პოემაში ხაზი ესმის ადამიანის ზნეობრივ ღირსებებს და ადამიანები დახატული არიან ზნეობრივად და ფიზიკურად სრულყოფილი პიროვნებები.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ქართველ ხალხს ზნეობრივი ნორმები საუკუნეების წინ ჰქონდა ჩამოყალიბებული – მისი ერთ-ერთი ნორმა უკვე პირველ ქართულ წერილობით ძეგლში „შუშანიკის წამებაშია“ დაფიქსირებული. ქართულ „ქცევა-ზნეზე“ მომდევნო დროის წერილობით ძეგლებსა და მხატვრულ ლიტერატურაშია საუბარი. შუა საუკუნეების ავტორთა ერთ-ერთი მიზანი ქრისტიანობის საფუძველზე ჩამოყალიბებული ქართველთა ზნეობრივი ნორმების შენარჩუნება იყო, რასაც საფრთხე საგარეო ფაქტორების გამო, არაერთხელ ექმნებოდა.

<sup>64</sup> ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. წ. VII. თბ. 1974, გვ. 137-138.

*Roland Topchishvili*

Professor,  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

## **MORAL NORMS IN MEDIEVAL GEORGIA**

### Summary

All human societies have been characterized by certain moral norms from archaic period up to present. Moral norms imply a combination of behavioral rules that emphasize the right and wrong ideas and system of ideas. Moral norms are one of the forms of tradition transferred from one generation to another by tradition. All the peoples/ethnicities possessed and possess socio-normative culture characteristic to them. Etiquette, moral norms also regulated relationship among people of different “class categories”.

Moral norms of the archaic society differed from the moral norms of the socially differentiated society. The main values of feudals in any medieval society were bravery, courage, warfare, loyalty to suzerain, respect of the rights of vassals, generosity, and for the peasants – industriousness, obedience, loyalty to landowners and frugality.

What were moral norms of the Georgians? Georgians always understood that their behavior differed from the behavior of others. Moral norms of Georgians are rooted in the depth of history as seen in the Georgian literature. We come across these norms in the oldest work “Martyrdom of Shushanik” and in the masterpiece of the Georgian literature – “The Knight in the Panther’s Skin”. This paper cannot avoid “History of Georgia” by Vakhushti Bagrationi and “Kalmasoba” by Ioanne Bagrationi. The king-poet of the second half of 17<sup>th</sup> century Archil dedicated a special work to this “Morality of Georgia”.

From the very beginning King Archil makes classification of moral norms; he separately outlines “divine” and “military” norms, the moral norms of “reliever” (cheerer) and “needy”, “war” and “hunting” morality. As the Christian king-poet he prefers divine morality and considers love to be the top moral norm. He especially outlines inclination to sport games, which in the medieval period was the best means for preparation of the defenders of homeland.

The Georgian tradition condemned unlimited eating and drinking. A man should drink as much as he could; he should leave the feast table so that to walk straight. If any drunken person appeared somewhere, he was always mocked. It becomes also clear that unlimited mourning was not a tradition among Georgians either.

King Archil also mentioned the relation legalized between a feudal and his subject to be a moral norm. It was considered to be a moral norm feeding a person of lower rank by nobles. Reverence and respect between a lower-rank person and a senior one were the tradition. Tradition of standing and sitting existed in Georgia – it was unacceptable for a man, while sitting, to put his foot on the other foot. In the Middle Ages relying on the wall with a back while sitting, bending the head extremely, sitting on half part of the chair and putting a finger in the nose were unacceptable for Georgians. “Sipping” drinks in the society, cracking nuts with teeth, laughing loudly, and twisting the mustache permanently could be added to the above-mentioned list.

Why did the king-poet need to remind the Georgian people those moral norms established in the Georgian society for centuries and transmitted from one generation to another? Disintegration of the country in Late Middle Ages was followed by a whole number of negative processes, among them, in the sphere of moral norms. That is why King Archil considered it necessary to remind to compatriots, hoping that his “Moralality of Georgia” would play the role of a “teacher”.

According to Ioanne Bagrationi, a moral person should love, first of all, the parents; should not do evil; should be devoted to king (state), homeland and belief (religion); should understand what this action could bring as a result; should love a well-wisher; should not say everything whatever he knows; a person should not do whatever he is not able to fulfill; a person should be patient, modest; should not be envious to anyone; should not defame anyone; should not be an agent and spy against anyone. A man should not eat “improperly”; should not drink as much as to be drunk; should be calm and not impudent; should be silent; should not boast, should not be proud and arrogant; in great misfortune a man should not worry excessively and in happiness should not be weakened. In Georgia both peasants and nobles had travel, home and festive/guest garments. At the feast table women and men sat separately, according to the oldest Georgian tradition. The same tradition can be confirmed for the wedding participants in Byzantium.

It is obvious that the royal authorities took care to restore the moral

norms changed under the influence of foreign factors. There was no tradition of kissing at each meeting in Georgia, even more, the men did not kiss one another. Honorable persons, seniors in age were kissed on the shoulder. Habit of kissing among men at the meeting or at feast is the heritage from the Soviet period.

We should say some words on the tradition preserved up to the present in Kvemo Kartli: people, coming from the funeral did not greet anyone, as if they did not see people walking. In the society it was not a good manner to sit with hands crossed on the chest, because this was characteristic only to mourners.

Thus, certain moral norms existed in Georgia, which regulated relations among people. There is no doubt that the moral norms nourished with Christianity and based on the oldest traditions were important in Georgia.

In conclusion, it should be said that the Georgian people had moral norms established centuries ago. The medieval authors aimed at preserving the moral norms based on Christianity and endangered by foreign factors.

*ელენე გოგიაშვილი*

ასისტენტ-პროფესორი, თსუ

**მამა-შვილის ორთაბრძოლა აღმოსავლურ და დასავლურ ეპიკურ  
ტრადიციებში („როსტომიანი“ და „ჰილდებრანდის სიმღერა“)**

მამა-შვილის ორთაბრძოლა შუა საუკუნეების ლიტერატურულ და ზეპირ თხრობით ტრადიციებში<sup>1</sup> ფართოდ გავრცელებული სიუჟეტია, რომელიც თაობათა შორის დაპირისპირებას მწვავე ბრძოლის აღწერით გამოხატავს. მამა და ვაჟი, მოწინააღმდეგე მხარეებს წარმოადგენენ ომში და ერთმანეთს ხვდებიან, როგორც უცნობები. ბრძოლა ტრაგიკულად მთავრდება. ევროპასა და ახლო აღმოსავლეთში უამრავი ლიტერატურული და ფოლკლორული ვერსია არსებობს თქმულებისა, თუ როგორ ეძებს სხვაგან დაბადებული შვილი თავის მამას და მერე მისივე ხელით კვდება. ამ სიუჟეტს იცნობს კავკასიის ყველა ხალხი და მისი ვარიაციები განსაკუთრებული მრავალფეროვნებით გამოირჩევა.

უძველესი ტექსტი, რომელშიც მამა-შვილის ბრძოლაა დრამატულად ასახული, ფიქსირებულია არაბულ ისტორიულ თხზულებაში. ეს არის აბასიდი ხალიფას, აბდალაჰ იბნ მუჰამად აღ-მანსურის (754-775) ამბავი. მეომარი უცხოეთში მოგზაურობისას გაიცნობს ქალს, რომელიც მისგან დაორსულდება. მეომარი ქალს უტოვებს ბეჭედსა და ტანსაცმელს, რათა ამით შვილის ცნობა შეძლოს. მამა-შვილი ერთმანეთს ორთაბრძოლაში ხვდება და ვაჟი იღუპება. ეს თქმულება არაბულ ზეპირსიტყვიერებაშიც არის ცნობილი და ისტორიული სახე აქვს.<sup>2</sup>

<sup>1</sup> კვლევა ნაწილია პროექტისა „აღმოსავლეთი და დასავლეთი ქართულ ხალხურ ზღაპრებში: ზეპირი და ლიტერატურული ტრადიციები“, რომელიც ხორციელდება შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ხელშეწყობით (FR 217488).

<sup>2</sup> O. Spies. Arabisch-islamische Erzählstoffe, in Enzyklopädie des Märchens 1. Berlin/New York. Walter de Gruyter. 1977, გვ. 685-718.

პირველი წერილობითი ძეგლი ევროპაში მამისა და შვილის საბედისწერო შეხვედრაზე არის IX საუკუნეში ანონიმი ავტორის მიერ შექმნილი „ჰილდებრანდის სიმღერა“ („Das Hildebrandslied“). გარდა იმისა, რომ ეს არის ერთადერთი შემორჩენილი ნიმუში საერთოგერმანიკული საგმირო სიმღერისა გერმანულ ლიტერატურაში, სხვა თვალსაზრისითაც არის მნიშვნელოვანი: სწორედ მისი შესწავლით დაიწყო მამა-შვილის ორთაბრძოლის ლიტერატურულ-ფოლკლორული სიუჟეტის კვლევის ისტორია. ძმებმა გრიმებმა 1812 წელს გამოაქვეყნეს ჰილდებრანდის სიმღერის ხელნაწერი, რომელსაც ახლავს ფილოლოგიური გამოკვლევა, თარგმანი ძველი გერმანულიდან ბჟკარედის სახით, მრავალრიცხოვანი შენიშვნა ენობრივი, სტილისტური, პოეტიკური საკითხების გარშემო და თქმულებათა მთელი ციკლის მიმოხილვა.<sup>3</sup>

„ჰილდებრანდის სიმღერის“ ხელნაწერი დაცულია კასელის ბიბლიოთეკაში, თვითონ ხელნაწერი კი, რომლის ძირითად კორპუსს შეადგენს ლათინური საღვთისმეტყველო ტრაქტატი, ფულდას მონასტერს ეკუთვნოდა. „ჰილდებრანდის სიმღერა“ მიწერილია ტრაქტატის პირველსა და უკანასკნელ გვერდებზე. ტექსტი ნაკლებია, დასასრული დაკარგულია, თუმცა აშკარაა მისი კავშირი ეპიკურ ტრადიციასთან. ქვემოთ მოცემულია „ჰილდებრანდის სიმღერის“ სრული თარგმანი.

ჰილდებრანდის სიმღერა<sup>4</sup>

ამბობენ,

საომრად გაემზადნენ

ჰილდებრანდი და ჰადუბრანდი ორ ლაშქარს შორის.<sup>5</sup>

იარაღი აისხეს, შვილმა და მამამ,

აბჯარი ჩაიცვეს, წელზე მახვილი შემოირტყეს,

იარაღი აისხეს გმირებმა.

ჰილდებრანდმა ჰკითხა, ჰერიბანდის ძემ, ჭარმაგმა,

<sup>3</sup> Die beiden ältesten deutschen Gedichte aus dem achten Jahrhundert: Das Lied von Hildebrand und Hadubrand und das Weißenbrunner Gebet zum erstenmal in ihrem Metrum dargestellt und herausgegeben durch die Brüder Grimm. Kassel, bei Thurneisen. 1812.

<sup>4</sup> ბჟკარედი შესრულებულია თანამედროვე გერმანულიდან ჩემ მიერ. კონსულტაციისთვის მადლობას ვუხდის დოქტორანტებს, სიმონ ჰოელშერსა (იენის უნივერსიტეტი, გერმანია) და ანდრეი კაპცარს (მასარივის უნივერსიტეტი, ჩეხეთი).

<sup>5</sup> თქმულების ისტორიული ფონია გერმანულ ტომთა ბრძოლები რომის იმპერიის წინააღმდეგ. 456 წელს რომი ოდოაკერმა დაიპყრო. ამავე ხანებში რომს აუჯანყდნენ გოთები თეოდორიხის ხელმძღვანელობით. გერმანულ ხალხურ თქმულებებში თეოდორიხისგან მომდინარეობს დიტრიხ ბერნელის სახელი. მასთან დაკავშირებული გადმოცემები სამეცნიერო ლიტერატურაში დიტრიხ ბერნელის თქმულებათა ციკლად მოიხსენიება.

გამოცდილმა, გამოჰკითხა  
ორიოდ სიტყვით, თუ ვინ იყო მისი მამა,  
რა ერქვა, სადაური იყო.  
„მითხარი ვინმე და მეც გეტყვი, ვის ვიცნობ  
ამ სამეფოში, მთელ ქვეყანაზე“.  
ჰაღებრანდმა მიუგო, ჰილდებრანდის ძემ:  
„ჩემმა ხალხმა მიაბბო,  
ძველმა და ბრძენმა, დიდი ხნის წინ რომ ცხოვრობდა,  
მამჩემს ჰილდებრანდს ეძახდნენ, მე კი ჰაღებრანდი მქვია,  
ოლაკერის<sup>6</sup> რისხვას გაექცა და აღმოსავლეთს მიაშურა  
დიტრიხთან<sup>7</sup> და მის მეომრებთან ერთად.  
შინ დამწუხრებული ცოლი და მცირეწლოვანი ვაჟი  
დატოვა: აღმოსავლეთს მიაშურა.  
ამიტომაც დააღონა ფრიად დიტრიხი  
უიმისობამ: უმეგობრო კაცი იყო,  
ოლაკერი სასტიკად სძულდა და [ჰილდებრანდი – ე.გ.] მისი ერთგუ-  
ლი მეომარი გახდა,  
მუდამ წინ მიუძღოდა ჯარს, ბრძოლის ჟინით,  
სიმამაცით განთქმული.  
არა მგონია, ცოცხალი იყოს...“  
„მხოლოდ დემერტმა უწყის“, თქვა ჰილდებრანდმა, „არ მოგიხდეს  
ბრძოლა შენივე მოყვასთან“.  
მოიხსნა მკლავზე შებმული რგოლი,  
ოქროს რგოლი, მეფის ნაბობები,  
ჰუნების მბრძანებლის.<sup>8</sup> „მეგობრობის ნიშნად მიიღე!“

<sup>6</sup> თქმულებებში აღწერილი თეოდორიხისა და ოლაკერის დამოკიდებულება არ შეესაბამება ისტორიულ სინამდვილეს. დიტრიხი ამ თქმულებებში ტახტის კანონიერ მემკვიდრედ არის მიჩნეული მანამ, ვიდრე გამეფდებოდა. ოლაკერზე გამარჯვების მოპოვებამდე იგი ვერონას მთავრადაა გამოყვანილი (დაწვრილებით იხ. გრ. ხავთასი. შუა საუკუნეების გერმანული ლიტერატურის ისტორია. თბ. 1980, გვ. 434).

<sup>7</sup> თეოდორიხმა ბიზანტიელების დახმარებით გაილაშქრა ოლაკერის წინააღმდეგ და დაამარცხა. ოლაკერი თავისი ჯარით ჩაიკეტა რავენაში. რამდენიმე წლის შემდეგ მხარეები დაზავდნენ და ხელშეკრულების მიხედვით, თანაბრად უნდა ეცხოვრათ რავენაში, მაგრამ თეოდორიხმა დაარღვია ეს ზავი, მოაკვლევინა ოლაკერი და თვითონ გამეფდა აპენინის ნახევარკუნძულზე. დიტრიხ ბერნელის ციკლის თქმულებებში ისტორიული სიზუსტე არ არის დაცული. ეს კარგად ჩანს თქმულების პერსონაჟ დიტრიხის (თეოდორიხის) გაიდელბუგული სახით წარმოდგენაში (იხ. გრ. ხავთასი. შუა საუკუნეების გერმანული ლიტერატურის ისტორია, გვ. 42).

<sup>8</sup> ისტორიულად დადასტურებულია, რომ თეოდორიხის ბრძოლაში ოლაკერის წინააღმდეგ ჰუ-



ჰაღებრანდმა, ჰილდებრანდის ძემ, მიუგო:  
„შუბით ავიღებ შენს საჩუქარს,  
შუბი შუბის წილ!  
თავს იკატუნებ, ბებერო ჰუნო,  
მაცლუნებ მაგ სიტყვებით, რომ შუბი აღმართო,  
მზაკვრობაში გაგილევია შენი ღლენი, ბერიკაცო.  
მეზღვაურებმა მითხრეს,  
ოკეანის დასავლეთით, ბრძოლაში დაეცა და  
მკვლარია ჰილდებრანდი, ჰერიბანდის ძე!“  
ჰილდებრანდმა, ჰერიბანდის ძემ უთხრა:  
„აბჯარზე გეტყობა,  
კეთილშობილი პატრონი გყავს,  
და რომ სამეფოდან ჯერ არავის განუდევნიხარ.  
დადგა ავისმომასწავებელი ჟამი, ღმერთი მოწამეა:  
სამოც ზაფხულ და ზამთარს<sup>9</sup> ვეხეტებოდი უცხო ქვეყანაში,  
მუდამ მეომართა რიგებში ვდგებოდი,  
ვერ მომიხელთა სიკვდილმა,  
ახლა კი ჩემმა საკუთარმა შვილმა უნდა შემომკრას მახვილი,  
დანა დამცეს, თუ არა და, მე გავხდები მისი მკვლელი.  
თუ ძალა გერჩის, წაიღე ბერიკაცის აბჯარი,  
წაიღე ნადავლი, თუ თავს უფლებას მისცემ,  
აღმოსავლეთის ხალხიდან ყველაზე ლაჩარიც კი არ იტყვის უარს  
შენთან ბრძოლაზე, ასე რომ გწადია,  
დაე, ვიბრძოლოთ; ვნახოთ, რომელი ჩვენგანი  
აყრის აბჯარს მეტოქეს“.  
და იშიშვლეს იფნის მახვილები  
ფიცხელ ბრძოლაში, ფარებს აძგერეს,

---

ნები მონაწილეობას არ იღებდნენ, რომ ღიჭრის დაკარგული პოზიციების დაბრუნებაში დახმარება ბიზანტიელებმა გაუწიეს და არა ჰუნებმა. თქმულებებში კი ღიჭრის დამხმარედ ჰუნები არიან წარმოდგენილი და არა ბიზანტიელები. ისინი აძლევენ თავისი ქვეყნიდან ღიჭრის თავშესაფარს და ჯარსაც, რომლის დახმარებითაც თეოდორიხი ამარცხებს თავის მოწინააღმდეგეს. ჰუნების ქვეყანაში ღიჭრის გაქცევისა და იქ სამხედრო დახმარების მიღების ამბავი პოეტური გამონათხრობი (იხ. გრ. ხავთასი. შუა საუკუნეების გერმანული ლიტერატურის ისტორია, გვ. 43-44).

<sup>9</sup> შუა საუკუნეების ჩრდილოეთ ევროპაში მიღებული დროითი საზომით, წელიწადის 60 სეზონი შეესაბამება 30 წელს.

ერთუროს შეერკინენ, ფარებს სცემდნენ,  
საზარლად სცემდნენ,  
სანამ არ დაემსხვრათ ცაცხვის ფარები  
იარაღისგან...

მამა-შვილის ბრძოლის მოტივის შემცველი გადმოცემები ევროპაში ფიქსირებულია XIII-XV საუკუნეების ხელნაწერებში, ძველ ისლანდიური საგებში: “Didriks saga” (XIII საუკუნის მეორე ნახევარი), “Ásmunar saga kappabana” და “Kjalnesinga saga” (XIV ს.), “Ásmundar saga” (XV ს.). “Das jüngere Hildebrandslied” (XV ს.).

ირლანდიური თქმულება გმირ კუ ჰულაინსა და მის ვაჟ კონლაზე XIV საუკუნის ხელნაწერის სახით არის შემორჩენილი, თუმცა კელტური ფოლკლორის მკვლევრები მას ჰილდებრანდის სიმღერის თანამედროვედ მიიჩნევენ.<sup>10</sup> რუსული სიმღერები ილია მურომეცსა და მის ვაჟზე, სოკოლნიჩეკზე შუა საუკუნეებიდან უნდა მომდინარეობდეს, მაგრამ პირველი ჩანაწერები მხოლოდ მოგვიანებით, ბილინების ჩაწერის დროიდან არსებობს.<sup>11</sup>

კავკასიურ ფოლკლორში ფართოდ არის გავრცელებული თქმულება როსტომზე, ფალავანზე, რომელმაც ორთაბრძოლაში თავისივე შვილი მოკლა. პერსონაჟის სახელი XI საუკუნის სპარსული პოემიდან – ფირდოუსის „შაჰ-ნამედან“ მომდინარეობს (რუსტამისა და ზოჰრების ამბავი). თავად მოტივი მამა-შვილის ბრძოლის შესახებ კი იმდენად ორგანული ნაწილია კავკასიის ხალხთა ფოლკლორისა, რომ მკვლევართა გარკვეული ნაწილი მის ხალხურ წარმომავლობას ვარაუდობს. „შაჰ-ნამეს“, როგორც ლიტერატურული პირველწყაროს, შესახებ მოსაზრებები გამოთქმული აქვთ: ვს. მილერს, ნ. მარს, ალ. ხახანაშვილს, ექვ. თაყაიშვილს, ი. აბულაძეს, ალ. ბარამიძეს, ა. შანიძეს, თ. ბეგიაშვილს. ამ მეცნიერთა აზრით, კავკასიაში გავრცელებული თქმულებები როსტომზე „შაჰ-ნამედან“ მომდინარეობენ, მაგრამ ამასთან, ზოგიერთი მათგანი არ გამორიცხავდა მათი უძველესი დროით დათარიღებასაც. კერძოდ, ვ. მილერმა როსტომის თქმულების სვანური, ფშაური და ოსური ვარიანტების შესწავლისას დაასკვნა, რომ სვანური ვარიანტი თვით ფირდოუსის ნაწარმოებზე ძველი უნდა ყოფილიყო. მან სპარსული თქმულების კავკასიაში

<sup>10</sup> M. Chesnutt. Vater-Sohn-Motiv, in Enzyklopädie des Märchens 13. Berlin/New York. Walter de Gruyter. 2010, გვ. 1348-1354.

<sup>11</sup> Былины в 25 т. Илья Муромец и Сокольник: Былина № 85. СПб. 2001, гв. 428-431.

შემოსვლის დროის დადგენაც სცადა: სპარსთა ამიერკავკასიაში შემოჭრა VI საუკუნეში. ვ. მილერსვე ეკუთვნის მოსაზრება, რომ ირანული თქმულებები კავკასიის ხალხებში საქართველოდან გავრცელდა. მანვე დაინახა მსგავსება რუსულ ბილინებისა და „შაჰ-ნამეს“ პერსონაჟთა შორის.<sup>12</sup> „შაჰ-ნამესა“ და ხალხური ზღაპრების საერთო მოტივებზე მინიშნებები აქვს ალ. ხახანაშვილსაც.<sup>13</sup>

ქართველ მეცნიერთა შორის არსებობს მოსაზრებები (ვ. წერეთელი, დ. კობიძე, ვ. მაცაბერიძე, მ. ჩიქოვანი, ალ. ლლონტი), რომ მამა-შვილის ბრძოლის ქართული სიუჟეტი ბევრად ადრე არსებობდა ქართულ ხალხურ ეპოსში, ვიდრე „შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიები გახალხურდებოდა და, უფრო მეტიც, თვით ფირდოუსის „შაჰ-ნამეზე“ ძველიც კი უნდა იყოს, როგორც ინტერნაციონალური მოტივი: „მამა-შვილის ბრძოლის ამბავი რამდენიმე ეპიზოდად შეიძლება გაიყოს და თითოეული მათგანის შესაფერისი გადმოცემები დაიძებნოს საკუთრივ როსტომიანის გარეშეც. ეს გარემოება მამა-შვილის ბრძოლის სიუჟეტის საქართველოში ადრინდელ, შაჰნამამდეც გავრცელებაზე მიუთითებს“.<sup>14</sup>

Эти три основы определяют сферу фальсификации Хоренаци и её главное направление, а конкретная аргументация, необходимая для её реализации, такова: 1. И. Маркварт обратил внимание на одно место в армянской версии романа об Александре Псевдокалисфена<sup>48</sup> – сатрап Дария III оповещает его письмом о большом поражении, ранении некого **Косара**, и возвращении его в **свой шатер**. В связи с этими событиями упоминается и Михрдат.<sup>49</sup> Фонетическое сходство слов «свой шатёр» с армянским номиналом Иберии, а Косара – с эпонимом Гугарка Гушаром<sup>50</sup> даёт возможность автору связать личность Михрдата в политическом аспекте с грузинской этнокультурной средой – согласно Хоренаци, царь Валаршак передал Гушару и его потомку в правление часть территории Гугарка, остальные части получили наследники сатрапа Михрдата (Хоренаци. II. 8). Их предок получен в результате слияния Михрдата, упомянутого Псевдокалисфеном, и правителя Киуса. Автору известна и грузинская историческая традиция, повествующая о назначении Александром правителя Иберии, она использована автором в своих целях – в его сочинении этим правителем является нахарар Дария Михрдат. По каким причинам приписывает автор его потомкам именно Гугарк? Потому что, связанные политически и социально с Картли и, одновременно, действующие в армянском Понте и Каппадокии Митридатиды могли быть нахарарами только тех грузинских территорий, которые подчинялись царям Армении т. е. могли быть только бдешхами Гугарка. 2. В этом аспекте интересен ещё один момент. У Иосифа Флавия упоминается Митридат, современник Тиграна, которого преследует Лукулл и который бежал в Иберию.<sup>51</sup>

Выше говорилось лишь об основных аспектах конкретной

<sup>48</sup> J. Markwart. Die Genealogie der Bagratiden. Caucasia. Fasc 6, 2 Teil. Leipzig. 1930, стр. 74-75.

<sup>49</sup> The Romance of Alexander the Great by Pseudo-Callisthenes. Translated from the Armenian version with an introduction by A. M. Wolohojan. New York. 1969, стр. 91 (глава 168).

<sup>50</sup> Д. Л. Мухелишвили. Главные вопросы исторической географии Грузии. ч. I. Тб. 1977, стр. 147.

<sup>51</sup> Flav. Ios. Ant. Jud. XIII. 421; Josephus. works. v. VII, стр. 438-441. Некоторые специалисты не вводят «Археологию» в круг источников Хоренаци; см. Moses Khorenats'i. Перевод Томпсона, стр. 25-28. Но без Ant. XI. 184 был бы невозможным тот синтез Арташеса и Кира, который имеется у Хоренаци. см. Г. Халатянц. Армянские Аршакиды в «Истории Армении» Моисея Хоренского, стр. 64; Josephus. With an English translation by R. Marcus. v. VI. Jewish Antiquities. Books IX-XI. London. Cambridge, Massachusetts, Harvard University Press. MCMLXVI, стр. 402 зам. 2, стр. 403 зам. С. Очень интересным является также Ant. XI. 11 (стр. 318-319) о хранителе казны при Кире Митридате.



фальсификации.<sup>52</sup> С фальсификацией Хоренаци связан также факт пребывания Малой Армении в составе Понтийского царства во II-I вв. до н. э., частое оккупирование Каппадокии Евпатором, схематичность информации об Ариаратидах в классической литературе, случай упоминания Митридата (Митридат II) у Евсевия в связи с Каппадокией и др. Заслуживает внимания факт, что и дошедшая до нас вместе с сочинением Себеоса «Начальная история»<sup>53</sup> характеризуется такими же тенденциями.<sup>54</sup> Нужно подчеркнуть и общие стимулы – во времена Хоренаци факты древнейшей истории Армении передавались или изустно, или существовали на уровне апокрифической «Начальной истории», созданной на базе тех же преданий. Всё это давало автору возможность импровизировать; так как эволюции Малой и Большой Армении были независимыми процессами, историческая память восточных армян в минимальном количестве вмещала исторические перипетии первого политического объединения и здесь существовали большие перспективы для импровизации.

Таким образом, информация о назначении Александром нахарара Дареха Михрдата правителем Иберии целиком сочинена Мовсесом во имя определённой цели и не имеет основой устные предания. Активность Понта в «Закавказье» в эти времена логически исключена, да и конкретная аргументация отсутствует. Так что же должно подразумеваться под «Сабердзнети», которая противостоит «Асурастану»? Какое царство оказывает военную помощь Эшере? Возможны только общие рассуждения.

Дата конфликта Азо и Фарнаваза устанавливается, с одной стороны, её хронологической близостью с царствованием Александра, с другой стороны, фактом её синхронности с конфронтацией «царя Асурастана Антиоха» и «Сабердзнети». Эти данные указывают на время

---

<sup>52</sup> Что касается собственно Понта, армяне, оказывается, подчинили его ещё во времена Арама (I. 14); Валаршак заново идёт походом на Понт (II. 4); Аршак и Арташес вынуждены применить военную силу (II. 9); Михрдат защищает Понт и Каппадокию от имени армян. Мажак (Мазака) был уступлен римлянам (II. 18).

<sup>53</sup> см. Г. Халатянц. Армянские Аршакиды в «Истории Армении» Моисея Хоренского, вступ. VII; История епископа Себеоса, стр. 132-135, зам. 3, стр. 141-142, зам. 2; Moses Khorenats'i. Перевод Томпсона, стр. 52-55. Мы согласны с мнением Адонца и Халатянца, но не видим причин датировки выполненной анонимом редакцией не ранее VII в.

<sup>54</sup> История епископа Себеоса, стр. 16-17. В связи с Каппадокией, этот момент является ещё одним аргументом, на основе которого невозможно утверждать, что I и II главы принадлежат Хоренаци.

დიადოхов, а связь самого Антиоха с Асурастаном и наличие подчинённых ему армянских эриставов<sup>55</sup> датируют интересующий нас вопрос временем после битвы при Ипсе.<sup>56</sup> Исходя из общей политической конъюнктуры, единственный, кто мог иметь претензию на гегемонию над всем Черноморьем – это царь Фракии Лисимах (он первый монарх, носитель этой идеи; Фарнак I и Митридат VI в этом аспекте являются его политическими наследниками). Политическая эволюция Фракии исключала возможность интеграции и абсолютизации процесса социальных контрактов из-за специфической социально-экономической и этнокультурной ситуации. Даже успехи Лисимаха в данном экономико-географическом регионе были внешними, временными и нестабильными, на таком базисе было бы абсурдом наметить большие перспективы. Политическая активность Лисимаха в основном ограничивалась собственным государством. Аккумуляция в следствии экономии сил дала ему возможность воспользоваться удобной политической ситуацией (302/1 гг. до н. э.) и укрепить свои позиции в Азии; в сферу его влияния попадает также Гераклея, важный пункт для контактов с Восточным Причерноморьем. Для ведения рентабельной социальной политики в Азии (Пропонтида с греческими городами, Геллеспонтская Фригия, полисы побережья Эгейского моря, Лидия, часть Большой Фригии, Писидия) существовали ещё более неблагоприятные условия. Царство Лисимаха, несмотря на внешний блеск, являло собой лишённый какой-либо экономической идеи конгломерат, хотя и сильный в финансовом отношении – для этого имелись ряд субъективных и объективных причин. На мощной финансовой базе создавались профессиональные армии, реальный оплот царской власти, но в условиях слабо развитого социального контракта они часто бывали ненадёжными. Одним словом, царь Фракии, одновременно сильный и слабый, в 301 г. до н. э. стал диадохом первой категории – в условиях рационального дипломатического курса, который исключал политическую изоляцию, его стратегический потенциал был бесспорно велик, особенно в начале III в.

<sup>55</sup> Может именно этот момент из «Жития Картли» (см. Картлис Цховреба. т. I, стр. 23) указывает на неточность утверждения К. Туманова?! см. С. Toumanoff. Studies in the Christian Caucasian History, стр. 68-69, 72-73, 285-292, ср. История армянского народа, стр. 32-33.

<sup>56</sup> И. Г. Дройзен. История Эллиназма. т. II. История Диодохов. М. 1893, стр. 311-312; С. Toumanoff. Studies in the Christian Caucasian History, стр. 73; История армянского народа, стр. 32.

до н. э. В 291 г. до н. э. Лисимах уже побеждённый монарх, находящийся в противостоянии с сильной оппозицией; в это же время и Гераклея разрывает с ним отношения. Но всё это временные явления: в 288 г. до н. э. Лисимах блестяще использовал промахи Димитрия Полиоркета и, успешно интригуя против Пирра, он впервые за своё царствование получил реальный субстрат – трон Македонии, который стал опорой его экспансии. Одним из объектов этой экспансии стала Гераклея. Она имеет на данном этапе особый статус. Но из-за внутренних кардинальных причин не существовало реальных шансов сохранения доменов вне Македонии. Достаточно было внешнего вмешательства и марш Селевка в Малой Азии стал триумфальным. Лисимах допустил ошибку – он не укрепился в Македонии.<sup>57</sup>

Нашим исходным постулатом является то, что в дела Иберии и Колхиды вмешивается одна и та же сила. В специальной литературе встречается тот же принцип, только ошибочно указывается на Понтийское царство (иного мнения придерживается только И. М. Гагошидзе<sup>58</sup>, с которым мы в общем согласны, хотя его рассуждение не является полным).

Перипетии отношений Лисимаха с приморской зоной Колхиды и вообще, проблема греческих колоний здесь, которая теперь не является предметом наших исследований, в общих чертах представляется нам следующим образом: Восточное Причерноморье стало объектом греческой колонизации в VI-III вв. до н. э. Вначале активную роль в колонизации играл Милет, затем – Афины. Установить наличие какой-либо другой метрополии сложно, хотя она, повидимому, существовала. Вместе с этим сведения об 1. ойкисте Фазиса Фемистагоре, которого аргіогі можно считать главой многочисленных колонистов, 2. эллинском типе Фазиса и Гиеноса, 3. политике – государственном строе Фазиса; факт наличия в Фазисе культа Апполона-Гегемона; концентрация раннеантичных нумизматических памятников на побережье Колхиды, указывая как-бы на монополизацию всей региональной внешней торговли местными городами; а также другие менее категоричные аргументы, напр. греческая стилистика и, отчасти, типология Колхидок (чеканились в V-III вв. до н. э.), указывают на полисный тип хотя бы крупнейшего из

---

<sup>57</sup> И. Г. Дрейзен. История Эллинизма. т. II. История Диодохов.

<sup>58</sup> Ю. М. Гагошидзе. Самадло. Тб. 1979, стр. 97-99.

поселений – Фазиса. Конкретная аргументация должна быть восполнена другими интересными данными – в КЦ речь идёт об особых политических связях Егриси (т. е. Колхиды) с греческим миром, такую же информацию содержит эпиграфический памятник из Эшеры (III в. до н. э.); в 105-90 гг. до н. э. Диоскурия чеканит собственную городскую монету; симптоматично также наличие Тихе, типичного греческого городского божества, на монетах Аристарха Колха. Но есть и сведение о Фазисе как о торговом городе колхов в I половине I в. до н. э. (аналогичное сведение имеется и о Диоскурии). Этнически смешанный тип города отражается на археологическом материале, как и на негреческой «хоре». Фактически отсутствует информация о промышленном потенциале Фазиса и других интересующих нас городов. Учитывая всё это, можно сказать, что крупнейшие из греческих поселений представляли собой поселения типа полиса с самоуправлением, собственной экономической базой и культом, перенесённым из метрополии. Под экономической базой, в первую очередь, подразумевается торговля с хинтерландом. Восточнопричерноморские города завладели монополией на внешнюю торговлю Колхиды. В развитии Фазиса важнейшую роль играл серебрянный рудник, которым владел город и который стал базой для широкомасштабных эмиссий. Посредством этих денег закупали товары и вывозили на западный рынок. Города контролировали небольшие сельскохозяйственные придатки – «хору», где почти совсем не заметно греческое культурное влияние. Причина тому чисто торговая, а не промышленная специализация Фазиса. Той же причиной обусловлен слабый экономический и политический потенциал Восточнопричерноморских греческих городов по сравнению с полисами других регионов.

Города были смешанного типа в этническом отношении. Трудно сказать какими правами пользовалось местное колхское население. В хозяйственной жизни оно, должно быть, было тесно связано с греками. В IV-III вв. до н. э. в Колхиде наблюдается общий экономический подъем. Темп производственной эволюции во внутренних районах страны был значительно выше прибрежных из-за специфического экономического профиля и ограниченности социального пространства полисов. В IV в. до н. э. вся Западная Грузия объединилась под эгидой колхов. Правда, она быстро распалась на отдельные «княжества» (скептухии), но это не изменило новый расклад сил. Над греческими полисами нависла явная

угроза со стороны скептухий и они с начала эпохи эллинизма начали активно искать союзников против колхов. В III-II вв. до н. э. полисы подчинились колхам. С этой точки зрения весьма симптоматичен факт прекращения чеканки колхидок в III в. до н. э. – Фазис теряет монетную регалию. С экономической точки зрения эта монета утрачивает своё значение с тех пор, как в Колхиду в большом количестве начинают поступать статеры Александра и Лисимаха или статеры данных типов, которые были в обращении и во внутренних районах страны, этим как-бы указывая на потерю греческими городами торговой монополии. Греческое население вначале должно было поддерживать политику Митридата Евпатора в Западной Грузии и играть роль социальной опоры царской власти. Как раз в это время становится формально автономной Диоскурия и получает право на чеканку собственной городской медной монеты, но причерноморские города так и не смогли вернуть себе утраченные торговые привилегии. В известной степени к ним благоволил Аристарх Колх (63-49 гг. до н. э.). С этой точки зрения следует отметить его фазисскую чекань с греческим полисным божеством Тихе – покровительницы городов.

Экономический кризис, который начался в Колхиде в II в. до н. э., и политические катаклизмы обусловили падение городской жизни во всей Западной Грузии на грани летоисчислений. Её восстановление начинается в I-II вв. благодаря политической стабилизации и факту появления римских гарнизонов, необходимость обслуживания которых дала дополнительный стимул развитию городской жизни. На этом этапе не может быть и речи о полисной организации.

Итак, кризис полисной системы в Западной Грузии достигает своей кульминации в IV-III вв. до н. э. Греческие города пытаются сохранить свою квази-автономию с помощью внешних союзников. Когда могло это произойти? Только после 301 г. до н. э., когда Лисимах укрепляет свои позиции. Интерес Селевка I к делам Картли должен быть датирован концом 80-ых годов, когда произошёл разрыв между двумя монархами. Мы считаем, что одной из причин разрыва была проблема «транскавказского» пути.

Походы Александра наметили хорошие перспективы торговли с Индией. Караванные пути, ведущие в Индию, проходили через Иран и находились под контролем Селевка, а освоение морского пути дало бы

большие привилегии Египту. В то же время Селевк пытается эксплуатировать и более дешевую речную магистраль и начинает изучать её коммерческие возможности – путь начинался бы у г. Фазиса и состоял бы из следующих этапов: р. Фазис (магистраль Риони-Квирила), р. Кура, Каспийское море, р. Окс (Аму-даря), р. Бактра. Вместе с тем, «транскавказская» магистраль являлась единственной возможностью для Лиси́маха установить прямые отношения с Индией и получить дополнительный доход, который был так необходим в условиях его перманентно неустойчивой позиции. Используя экономические связи Гераклеи<sup>59</sup> (понтйские цари позже пользовались Синопой и Амисом) с городами Восточного Причерноморья, которых притесняли скептухи, он включает их в сферу своей политики. Царь Фракии поддерживает полисы в борьбе с колхами и этим получает начальный отрезок пути. Желая осуществить контроль над хинтерландом, Лиси́мах выбирает своим клиентом правителя Ариан-Картли Азо и делает его владыкой всего Картли (сначала только «Сабердзнети» – регион, включающий Малую Азию и Балканский п-ов – является активным здесь<sup>60</sup>). Современная этим событиям диффузия Картлийского царства по направлению Эгриси и Эрети<sup>61</sup> обусловлена поддержкой Лиси́маха. В связи с этим симптоматичен факт альянса Фарнаваза с колхами. Дальнейшее продвижение должно было осуществиться посредством дипломатии.

Право на эксплуатацию «транскавказского» пути стало актуальной проблемой ряда Причерноморских монархий, в том числе и Понта.

<sup>59</sup> О. Д. Лордкипанидзе. Наследие древней Грузии. Тб. 1989, стр. 280; М. П. Инадзе. К вопросу греческой надписи из Эшеры, стр. 149-150.

<sup>60</sup> Картлис Цховреба. т. I, стр. 20.

<sup>61</sup> Картлис Цховреба. т. I, стр. 19.

**ზაზა აბაშიძე**

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს  
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი

**არჩილ კობრეიძე**

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს  
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის  
უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი

**ღვაწლმოსილი**

**(აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძის გარდაცვალების გამო)**

2018 წლის 8 იანვარს გარდაიცვალა მარიამ ლორთქიფანიძე.

დავკარგეთ არა მარტო დიდი მეცნიერი, არამედ ერისა და ქვეყნის დიდი ჭირისუფალი.

ოჯახთა სიახლოვის გამო ჩვენთვის ბავშვობიდანვე მახლობელი იყო მისი სახელი, თუმცა სხვა ხიბლი ჰქონდა პირად შთაბეჭდილებას, რაც ძვირფას მასწავლებელზე, როგორც მეცნიერზე, ლექტორსა და საზოგადო მოღვაწეზე მივიღეთ უნივერსიტეტში განსწავლის ჟამს.

XX საუკუნის 70-იან წლებში ისტორიის ფაკულტეტზე ერთიმეორეზე უკეთესი პროფესორ-მასწავლებლები ასწავლიდნენ – გივი ჟორდანიას და ნუკრი შოშიაშვილი, ნათელა ვაჩნაძე და ოთარ ჯაფარიძე, გივი კილურაძე და გაია ავალიშვილი, ვახტანგ ბერიძე და გურამ მაძულაია, მამა-შვილი აბელ და იაზო კიკვიძეები, ახალგაზრდა როინ მეტრეველი და სხვები. მათ შორის დიდად გამოირჩეოდა ქალბატონი მარიამ ლორთქიფანიძე – საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

მარიამ ლორთქიფანიძის ლექციებში მჟღავნდებოდა დიდი ცოდნა, ფართო ერუდიცია, ღრმა და სინთეზური აზროვნება, თუმცა უპირველეს ყოვლისა სხვა მხარეზე გვინდა გავამახვილოთ ყურადღება. პირველკურსელებთან მისი

ყოველი ლექცია იწყებოდა თავისი მასწავლებლის სიმონ ჯანაშიას შეგონებით, რომ შეიძლება არ იყო კარგი ისტორიკოსი, მაგრამ ვალდებული ხარ იყო კარგი პიროვნება, რითაც ხაზს უსვამდა ერისა და ქვეყნის წინაშე ჩვენ პასუხისმგებლობას. პატარაობიდანვე გვესმოდა, რომ მარიამ ლორთქიფანიძე იმ 46 ქართველთა შორის იყო, რომელთაც უკანასკნელ გზაზე გააცილეს ექვთიმე თაყაიშვილი, რაც თითოეული მათგანისგან მოქალაქეობრივი გმირობა იყო. თანდათან ვაცნობიერებდით თუ რაოდენ დიდი იყო მისი ღვაწლი XX საუკუნის 60-70 წლებში საშუალო სკოლებში საქართველოს ისტორიის დამოუკიდებელ საგნად დატოვებასა და უნივერსიტეტში საგნების რუსულად წაკითხვის დაკანონების მცდელობის უარყოფაში. ჩვენი თვალთვლით იმ ძალისხმევას, რომელიც მან გამოიჩინა 1978 წლის 14 აპრილის წინააღმდეგობაში და როგორ იბრძოდა ე.წ. „თვითმფრინავის ბიჭების“ გადასარჩენად (ბოლო მათგანის შესახებ კარგად იცის ერთ-ერთმა ჩვენგანმა, რომლის მამიდაშვილი სოსო წერეთელი ამ ტრაგედიას შეეწირა). ქალბატონი მარიამი საქმით გვიჩვენებდა თუ როგორ უნდა იღვწოდეს მშობელი ქვეყნის კეთილდღეობისათვის, გვზრდიდა მოქალაქეებად.

დიდი საზოგადო მოღვაწე, დიდი მეცნიერი ბრძანდებოდა. ასპირანტურის დამთავრების შემდეგ, 1947 წლიდან, სიმონ ჯანაშიას მიწვევით მარიამ ლორთქიფანიძემ მუშაობა დაიწყო ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტში. ის თავისი დიდი მასწავლებლის სიმონ ჯანაშიას ბოლო ასპირანტი გახლდათ. თავად ბატონმა სიმონმა შეუჩინა საკანდიდატო თემა „თბილისის საამირო“ და მის ნაშრომთა ნაწილიც, ბუნებრივია, ქართულ-არაბულ ურთიერთობებს ეხება: „ჰაბიბ იბნ მასლამას „დაცვის სიგელი“ (1951), „თბილისის საამიროს ისტორიიდან“ (1951), „ძველი თბილისის ისტორიული გეოგრაფიიდან (სოლდებილი)“ (1954), „არაბთა მფლობელობის საკითხისათვის საქართველოში“ (1963), „არაბთა სახელმწიფო ხელისუფლების დამყარება ქართლში. ქართულ-არაბული ურთიერთობანი VII-VIII საუკუნეებში“ (1998), „ძველი თბილისის ისტორიული გეოგრაფიიდან (ისევ სოლდებილის გამო) (1999), „ჰაბიბ იბნ მასლამას „დაცვის სიგელი“, როგორც საქართველოს ისტორიის წყარო“ (2009). მათში კარგად გამოჩნდა მეცნიერის ნიჭი, განსწავლულობა, წყაროების, მათ შორის, ცხადია არაბული წყაროების შესანიშნავი ცოდნა (თუმცა, მოგვიანებით წერდა, რომ ისე ვერ ისწავლა არაბული, როგორც ეს გიორგი წერეთელს სურდა, მაგრამ ეს „აღიარება“ თავისთავისადმი უზომოდ მომთხოვნი ავტორის გადაჭარბება იყო).



მრავალმხრივი იყო ქალბატონ მარიამის ინტერესების სფერო – პოლიტიკური და სოციალური ისტორია, ისტორიული გეოგრაფია, წყაროთმცოდნეობა და ისტორიოგრაფია. ეს მისი ნაშრომების სათაურებიდანაც კარგად ჩანს. უნივერსიტეტში ჯერ ფილოლოგებთან, შემდეგ ისტორიკოსებთან და აღმოსავლეთმცოდნეებთან ლექციების კითხვის დროს ეს ინტერესები კიდევ უფრო გაღრმავდა. საკანდიდატო დისერტაციას ლოგიკურად მოჰყვა დაინტერესება ისეთი თემით, როგორც იყო ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება. ამ საკითხისადმი მიძღვნილმა შრომებმა და მონოგრაფიამ ავტორს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი მოუტანა (1963 წ.).

1972-1997 წლებში მარიამ ლორთქიფანიძე განაგებდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრას. გააგრძელა მისი სახელოვანი ტრადიციები, მოიზიდა ახალი კადრები – კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტიდან ნ. შოშიაშვილი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტიდან გურამ მამულია, ხოლო გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან ფართოდ გაგვიღო კარი კათედრასთან არსებულ საქართველოს ისტორიის სამეცნიერო წრეში გაერთიანებულ სტუდენტებს, ზოგი კათედრის თანამშრომელი გახდით (ზ. აბაშიძე, მ. ქანთარია, ქ. ნადირაძე), ზოგიც ასპირანტი (ა. კოხრეიძე). კათედრაზე შეიქმნა უაღრესად საქმიანი, კოლევიალური, მეგობრული ატმოსფერო. ქალბატონ მარიამს ამ დროისათვის უკვე გამოქვეყნებული ჰქონდა „ადრეფეოდალური ხანის ქართული საისტორიო მწერლობა“, «Эпоха Руставели», „საქართველო რუსთაველის ხანაში“ (XX ს. 60-იან წლებში წიგნის გამოცემა არ იყო იოლი და მისმა თანაკლასელმა, საქართველოს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ეთერ სალუქვაძემ ყველაფერი გააკეთა, რომ სამივე მათგანი 1966 წელს რუსთაველის იუბილისათვის გამოსულიყო), რასაც მოჰყვა «История Грузии (XI нач. - XIII вв.)» (1974), „ქართლი V საუკუნის II ნახევარში“ (1979), „რა არის „ქართლის ცხოვრება“ (1989), «Тбилиси. Исторический очерк (IV нач. - XII вв.)» (1991) და სხვა მრავალი წიგნი და სტატია ქართულ, რუსულ, ინგლისურ და გერმანულ ენებზე.

მარიამ ლორთქიფანიძემ რუსულად თარგმნა, წინასიტყვაობა და კომენტარები დაურთო ორ უმნიშვნელოვანეს წყაროს – „მატიანე ქართლისას“ და სუმბატ დავითის-ძის „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონიანთას“, რითაც თავისი

წვლილი შეიტანა „ქართლის ცხოვრების“, ამ „წმინდა და პატიოსანი წიგნის“ (ნ. ბერძენიშვილი) უცხოელ მკვლევართათვის გაცნობის საპატიო საქმეში.

XX საუკუნის 70-იან წლებიდან მარიამ ლორთქიფანიძე დაინტერესებული იყო საქართველოს ეკლესიის (განსაკუთრებით ავტოკეფალიის მოპოვების), აფხაზეთისა და შიდა ქართლის (საქართველოში ოსების ჩამოსახლების) საკითხებით, რომელთა გარკვევას მეცნიერულთან ერთად გარკვეული პოლიტიკური დატვირთვაც ჰქონდა და თავისი წიგნებითა და წერილებით სიცხადე შეიტანა მათ შესწავლაში.

2016 წელს გამოიცა მარიამ ლორთქიფანიძის „რჩეული ნაწერების“ I ტომი, აღინიშნა მისი დაბადების 95-ე წლისთავი, აწყობილია II ტომის საგრძნობი ნაწილი. ქალბატონი მარიამის შრომები მნიშვნელოვანი ნაბიჯია საქართველოს ისტორიის შესწავლის საქმეში, იგი ესაჭიროება ყველას, განსაკუთრებით მომავალ თაობას, რომელიც ბევრს შეიძენს სახელოვანი ისტორიკოსის მეცნიერული მემკვიდრეობის ღრმად და საფუძვლიანად გაცნობით. ამიტომ „რჩეული ნაწერების“ მომდევნო ტომების გამოცემით ამ საქმისთვის შემდგარი საშუალო ჯგუფი (ხელმძღვანელი ქ-ნი ნათელა ვაჩნაძე, წევრები – მარიამ ლორთქიფანიძის, ნუკრი შოშიაშვილის და თავად ნათელა ვაჩნაძის ასპირანტები) თავის ზნეობრივ ვალს იხდის, როგორც ქალბატონი მარიამის – სახელოვანი ისტორიკოსისა და ცნობილი საზოგადო მოღვაწის, ისე ყოველი მომდევნო თაობის ქართველ ისტორიკოსთა თუ საერთოდ ქართველოლოგთა წინაშე.

*მერაბ კალანდაძე*

ასოციირებული პროფესორი, თსუ

### **აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძის გახსენება**

ევროპაში ბევრი უნივერსიტეტი არსებობს, რომელიც ჩვენს უნივერსიტეტზე ძველია, მაგრამ ძნელად მეგულება ისეთი უნივერსიტეტი, რომლის თავზე ისეთი წისქვილის ქვა დატრიალებულიყოს, როგორც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტზე. უნივერსიტეტის საქმიანობაში ტოტალიტარულ-ბოლშევიკური სახელმწიფოს ჩარევა ლაიტმოტივად გასდევს უნივერსიტეტის მთელს ისტორიას და ანალოგი ძნელად მოეძებნება.

თუ არა საქართველოს ისტორიის „პატარა ოქროს ხანა“, საქართველოს სუვერენული რესპუბლიკა 1918-1921 წლებში, დიდი ალბათობით, ქართული უნივერსიტეტი არ გვექნებოდა. არც მეფის რუსეთის და არც ბოლშევიკების მიზანს არ შეადგენდა ქართული უნივერსიტეტის შექმნა. ბოლშევიკებს ეკალივით ესობოდათ თვალში ქართული კულტურისა და სულიერების სავანე – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და მისი დამაარსებელი დიდი ივანე ჯავახიშვილი. მათ ვერ გაბედეს უნივერსიტეტის დახურვა. 30-იანი წლების დასაწყისში უნივერსიტეტის ცალკე ინსტიტუტებად დაშლა ამის უკერტურად გაისმა, მაგრამ უნივერსიტეტის ავტორიტეტის შებლაღვაში, უეჭველად, ლომის წილი დაიდეს. დღეს, მნიშვნელოვანწილად ამის შედეგს ვიმკით. მიუხედავად ამისა, უნივერსიტეტის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან მაინც შეძლო რაღაც პოზიტივის გადარჩენა, რაც მისი წარმატება იყო.

\* \* \*

1970 წელს ჩავირიცხე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე. ამ დროისათვის, როგორ უკვე აღვნიშნეთ, ტოტალიტარულ-ბოლშევიკური, კომუნისტური სახელმწიფოს მიერ უნივერსიტეტის დანაგვიანების პროცესი უკვე კარგა ხნის დაწყებული იყო, რომლის ათვლის

წერტილად 1926 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობიდან დიდი ივანე ჯავახიშვილის გათავისუფლება უნდა მივიჩნიოთ.

მე ყოველთვის მეამაყებოდა და არაერთიგზის აღმინიშნავს, რომ მოვესწარი უნივერსიტეტის „ოქროს ხანის“ კულს, ბოლო მონაკვეთს. უნივერსიტეტში ასწავლიდა არაჩვეულებრივად ერუდირებული ბრწყინვალე ლექტორთა მთელი პლეადა, რომლებიც დიდი ივანე ჯავახიშვილის, სიმონ ჯანაშიას, ნიკო ბერძენიშვილის, სიმონ ყაუხჩიშვილის, ალექსანდრე წერეთლის, გრიგოლ ნათაძის, ალექსანდრე ნამორაძის აღზრდილები იყვნენ. საქართველოს ისტორიას მასწავლიდნენ: შოთა მესხია, გია გელაშვილი, ნოდარ ასათიანი, შოთა ხანთაძე. არქეოლოგიას – ოთარ ჯაფარიძე. ეთნოლოგიას – გერცელ ჩაჩაშვილი, უძველეს ისტორიას – გიორგი მელიქიშვილი, ანტიკურ ისტორიას – ნოდარ ლომოური და გივი გამრეკელი. რუსეთის ისტორიას – იასე ცინცაძე, ვალერიან მაჭარაძე, აკაკი სურგულაძე, შუა საუკუნეების ისტორიას – გივი ჟორდანი, კუკური ლილუაშვილი, გურამ კუტალია, ახალ ისტორიას – გივი კილურაძე, კოტე ანთაძე, უახლეს ისტორიას – ვარლამ დონაძე. მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიას – გიორგი ფუთურაძე. ამ ტალანტთა ჭეშმარიტ საკრებულოში, უდაოდ, ერთ-ერთი კოლორიტული და გამორჩეული ფიგურა იყო ქ-ნი მარიამ ლორთქიფანიძე.

ამჯერად დიდი პატივისცემითა და სიყვარულით მინდა გავიხსენოთ თვალსაჩინო ქართველი ისტორიკოსი აკადემიკოსი მარიამ ლორთქიფანიძე. მე საქართველოს ისტორიის სპეციალისტი არ გახლავართ და უშუალოდ ქ-ნი მარიკას-მოწაფეების რიცხვს არ ვეკუთვნი, მაგრამ როგორც მის უძეგროს კოლეგასა და უნივერსიტეტის თანამშრომელს გარკვეული შეხების წერტილები ქ-ნი მარიკასთან მქონია და სიამოვნებითა და მადლიერებით მინდა გავიხსენოთ ეს ყველაფერი.

პირველად მას შევხვდი მეოთხე კურსის პირველ სემესტრში, როდესაც ის გვიკითხავდა ძალზე საჭირო და საინტერესო კურსს „საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობა და ისტორიოგრაფია“. ეს იყო პარასკევი, 10 საათი და 15 წუთი 107-ე აუდიტორიაში. მე ევროპის ისტორიოგრაფია ძალიან მაინტერესებდა და ქართული ისტორიოგრაფიის ცოდნა ნამდვილად არ მაწყენდა. იყო კიდევ ერთი გარემოება, რომელიც განაპირობებდა ქ-ნი მარიკასადმი ჩემს კეთილგანწყობილებას. ვიცოდი, რომ ის ჩემი მასწავლებლის პროფ. გივი კილურაძის ახლო მეგობარი იყო. ლექცია ერთ-ერთი საუკეთესო იყო, რომელიც მომისმენია უნივერსიტეტში. ამ ლექციებზე ძალიან ბევრი რამ

ვისწავლე ისტორიული ნაშრომის შეფასების თვალსაზრისით. მის სიტყვებს „საეტაპო მოვლენა იყო“ სოლიდური, ფუნდამენტური გამოკვლევა, შემდგომში ხშირად ვიყენებდი, როგორც ჩემ ლექციებში, ისე სამეცნიერო შრომებში. შემდგომ, როდესაც ქ-ნ მარიკას ეს ვუთხარი ძალიან გაეხარდა და ესიამოვნა. მისი ლექციები ჩემს მეხსიერებაში კარგად ჩაიბეჭდა და დღემდე შემორჩა. აბა მაშინ რას წარმოვიდგენდი, რომ ამით იწყებოდა ჩვენი, როგორც უფროსი და უმცროსი კოლეგის ურთიერთობა, რომელიც თითქმის ნახევარ საუკუნეს ითვლის.

ჩვენი ურთიერთობის მეორე საფეხური იქიდან იწყება, როდესაც მე ჯერ უნივერსიტეტის ასპირანტი, ხოლო შემდეგ კი თანამშრომელი გავხდი. ყოველ ნაბიჯზე ვგრძნობდი მის თანადგომას და კეთილგანწყობას, რომელსაც საფუძვალად წმინდა პროფესიონალური მიდგომა ჰქონდა, აქ ის არაფერს არ დაგიტოვებდა. ქ-ნი მარიკა თხემით ტერფამდე პროფესიონალი იყო. ეს ეხება ჩვენს თანამშრომლობას, არა მარტო უნივერსიტეტის შრომებში, არამედ ჟურნალ „გეორგიკაში“. ქ-ნი მარიკას თანადგომით ჩვენ ცვალებად ევროპელი, პირველ რიგში კი, გერმანელი მკითხველისათვის გაგვეცნო ქართული ისტორიოგრაფიის წვლილი დასავლეთ ევროპის ისტორიისა და ისტორიული აზროვნების შესწავლის და პოპულარიზაციის საქმეში.

მინდა გავიხსენო ერთი კურიოზი ამ ურთიერთობიდან. უნივერსიტეტის შრომებში იბეჭდებოდა ჩვენი ნაშრომი გამოჩენილ რუს ისტორიკოსზე კიევის უნივერსიტეტის პროფესორზე პავლე არდაშევიზე, რომელიც კიევის უნივერსიტეტში, ცნობილი ქართველი ისტორიკოსის პროფ. ალექსანდრე ნამორაძის მასწავლებელი იყო. მე უნდა გამეკეთებინა კორექტურა. ქ-ნ მარიკას ყველაფერი სანიშნოდ ჰქონდა დალაგებული, თავისი წარწერებით თუ ვისი ნაშრომი იყო. ამიტომ ჩემი ნაშრომის მოძიება სულაც არ წარმოადგენდა ძნელ საქმეს, მაგრამ სტამბიდან მხოლოდ ნაშრომის ერთი ნაწილი იყო მოსული, ხოლო მეორე არა, პირველი ნაწილი შეცდომით, პროფ. ნანა გელაშვილის ნაშრომში ჩაუდიათ. ვებებთ ნაშრომს ვერ ვპოულობთ. ახლა ქ-ნმა მარიკამ მითხრა, ნახე ფურცელ-ფურცელ. ენახე და არ იყო. მივიღე ნანა გელაშვილის ნაშრომთან ვჩერდები. რას წარმოვიდგენდი, რომ ეს შიგნით იქნებოდა ჩადებული. ქ-ნი მარიკა მაშინ ძალიან გაბრაზებული იყო სწავლულ ექსპერტთა საბჭოს (სეს-ი) გადაწყვეტილებით, ვერაფერს ვერ ვაგებინებო და მთელი ეს რისხვა მე დამატყდა თავს. მეორე დღეს ნაშრომის დასკვნითი ნაწილიც მოვიდა სტამბიდან და ნაშრომიც გამოჩნდა. სეს-ზე გაბრაზებული ქ-ნი

მარიკა მირეკავს და გაბრაზებული მეკითხება; „შენ კითხვა იცი?“. ბოლოს მითხრა მოდი ხვალ და წაიკითხე კორექტურაო. მე, ცხადია, მივედი მეორე დღით და წავიკითხე ნაშრომი. ინცინდენტი ამოიწურა, მაგრამ მოსაყოლი დამრჩა ერთი დეტალი. წინა საღამოს სამჯერ დამირეკა ჩემმა მასწავლებელმა პროფ. კოტე ანთაძემ და კატეგორიულად მომთხოვა, ქ-ნი მარიკა სეს-ზეა გარბაზებული და რაც არ უნდა გითხრას, ხმა არ ამოიღო. მე ყველაფერი კარგად ვიცოდი, რაშიც იყო საქმე და მშვიდად ვიყავი. შემდგომში ეს ამბავი გავახსენე ქ-ნ მარიკას და ძალიან ბევრი ვიცინეთ.

ჩემი სადოქტორო დისერტაციის ერთი მოზრდილი მონაკვეთი საქართველოს ისტორიას შეეხებოდა და მიზნად ისახავდა ცნობილი ისტორიკოსის პროფ. გრიგოლ ნათაძის, შრომების განხილვას საქართველოს ისტორიის შესახებ. ჩემმა მასწავლებელმა პროფ. კოტე ანთაძემ, რომელსაც ძალზე თბილი და მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდა ქ-ნ მარიკასთან, სთხოვა მას, გაცნობოდა ნაშრომის ამ მონაკვეთს, როგორც საქართველოს ისტორიის კომპენტენტური სპეციალისტი. თავდაპირველად ქ-ნმა მარიკამ თავი შეიკავა. ეტყობა, ფიქრობდა, რომ ეს გრ. ნათაძის ქება იქნებოდა, მაგრამ ბ-ნ კოტეს ანგარიში გაუწია და ბოლოს და ბოლოს დათანხმდა. მართლაც, მან გულღასმით წაიკითხა ჩემი ნაშრომი და ერთ დღეს თავისთან დამიბარა. ეს იყო 1997 წლის 13 თებერვალი. ქ-ნ მარიკას შეეძლო შემოქმედებითი ატმოსფეროს შექმნა. ამიტომ მასთან მუშაობა საინტერესო იყო. ამაში იმ დღეს მე კიდევ ერთხელ დავრწმუნდი. ქ-ნ მარიკამ ნახა, რომ ეს ნაშრომი არ წარმოადგენდა გრ. ნათაძის შრომების აპოლოგეტურ შეფასებას, მე ველეავდი და ველოდი ქ-ნი მარიკას ვერდიქტს. ქმან მკაცრ მეცნიერულ ფილტრში გაატარა ჩემი გამოკვლევა. ყველა დებულება დაწვრილებით განიხილა, მომცა საინტერესო შენიშვნები, რომელიც დიდად დამეხმარა ამ მონაკვეთის შემდგომ დახვეწაში, სრულყოფაში. ეს იყო წმინდა პროფესიული გარემო, რომელსაც დავიწყება არ უწერია. ქ-ნ მარიკას ვერდიქტი იყო მკაცრი, მაგრამ სამართლიანი: „მე მეცოდება თქვენ ხელში გრ. ნათაძე“ ალბათ, ეს ნაშრომის მოწონება იყო?!

ქ-ნ მარიკამ თავისი წონიანი სიტყვა თქვა ჩემი სადოქტორო დისერტაციის დამტკიცების დროს. მის მთავარ მოწინააღმდეგედ ჩვენთვის სრულიად მოულოდნელად პროფ. ედუარდ კოდუა მოგვევლინა. ჩვენ შვთავაზეთ მას, გამოსულიყო დაცვაზე, პრესაში, მაგრამ უარი თქვა ამაზე. ის იმედოვნებდა, რომ, როგორც სწავლულ ექსპერტთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, გაიტანდა თავის სიტყვას და ჩააგდებდა ჩემს დისერტაციას. ფრიად, სიმპტომა-

ტიურია, რომ ვერც პროფ. ედ. კოდუამ და ვერც იმან, ვინც პროფ. ედ. კოდუას ზურგს უკან იდგა, მათი აზრით, ერთ სუსტ დისერტაციაზე ერთი უარყოფითი რეცენზია ვერ დაწერეს. ბოლო სიტყვა, როგორც ისტორიკოსმა, აკად. მარიამ ლორთქიფანიძემ თქვა. მან აღნიშნა, რომ „თუ აინტერესებდათ მისი აზრი, რატომ დროზე არ ჰკითხეს. ახლა კანონი დარღვეულია და ამის გაკეთებას არ აქვს აზრი“. მან მოახსენა სეს-ს, რომ ის იცნობს ამ ნაშრომს, კერძოდ იმ ნაწილს, რომელიც შეეხება საქართველოს ისტორიას და ნორმალური შთაბეჭდილებას ტოვებს. „ის იცნობს დისერტანტსაც და ის წიგნიერი კაცია“, პროფ. ედ. კოდუას კოვზი ნაცარში ჩაუვარდა. ის იძულებული გახდა, უკან დაეხია, ინციდენტი ამოიწურა. მე მომენიჭა ძიებული ხარისხი. ქ-ნი მარიკას დადებითი შეფასება მე შეამაყება.

ქ-ნი მარიკას საინტერესო გამოსვლების გარეშე ყოველად წარმოუდგენელი იქნებოდა ჩვენ მიერ ჩატარებული საიუბილეო სხდომები, რომელიც ეძღვნება პროფ. გივი კილურაძის 80 წლისთავს, პროფ. უშანგი სიღამონიძის 75 წლისთავს. პროფ. ვარლამ ღონაძის 100 წლისთავს, პროფ. კოტე ანთაძის გახსენებას, პროფ. კოტე ანთაძის 90 წლისთავს. გავიხსენებთ ერთ საინტერესო დეტალს, რომელიც ძალიან კარგად ახასიათებს ქ-ნი მარიკას ადამიანურადაც და პროფესიონალური კუთხით. 2004 წლის 12 ნოემბრის უნივერსიტეტში აღვნიშნავდით ცნობილი ქართველი ისტორიკოსის პროფ. უშანგი სიღამონიძის დაბადების 75 წლისთავს. მოწვეულ სტუმრებს შორის იყო აკად. მარიამ ლორთქიფანიძე, როგორც პროფ. უშანგი სიღამონიძის სადოქტორო დისერტაციის ირგვლივ ამტყდარი არაჯანსაღი აჟიოტაჟის უშუალო თვითმხილველი და სამეცნიერო საბჭოს წევრი. ზუსტად ორი კვირით ადრე ქ-ნი მარიკას უდიდესი ტრაგედია შეემთხვა, შვილიშვილი დაეღუპა. ვიფიქრეთ, რომ ის, ალბათ, საზეიმო სხდომაში მონაწილეობას არ მიიღებდა, მაგრამ მოსაწვევი ბარათი მაინც დაუუტოვეთ. ძალიან გვწყდებოდა გული, რომ ქ-ნი მარიკა სიტყვით ვერ გამოვიდოდა, მაგრამ რას ვიზამდით, სხვა გზა არ იყო.

12 ნოემბერს სხდომაზე ქ-ნი მარიკა მობრძანდა. მაშინვე ძალზე მორიდებულად ვკითხეთ, ხომ არ გამობრძანდებით – მეთქი, აუცილებლადო, – მომიგო. შვებით ამოვისუნთქეთ. საღამომ თავისი ხიბლი დაიბრუნა. მან ძალზე საინტერესოდ გაიხსენა ის არამეცნიერული ვითარება, რომელიც უშანგი სიღამონიძის სადოქტორო დისერტაციის ირგვლივ ატყდა და მეცნიერულ პაექრობაში სამართლიანად მოპოვებული სამეცნიერო ხარისხი პარტიულმა ორგანომ თბილისის ცკ-მ ჩამოართვა. ეს იყო მეცნიერებაში უხეში ადმინისტრაცია-

ციული ჩარევის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუში. საქმე ის იყო, რომ უშანგი სიღამონძემ ორიგინალურად, არატრაფარეტულად გააშუქა საქართველოს უახლესი ისტორიის მთელი რიგი საკვანძო საკითხები, ხაზი გაუსვა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის პროგრესულობას და ეს, ცხადია, არ აპატიეს. ძალიან მორიდებით ქ-ნ მარიკას სასწრაფოდ ვთხოვეთ დაეწერა მოგონებები. მან ორ კვირაში მოგვაწოდა საინტერესო მოგონებები, რომელიც შევიტანეთ ჩვენს წიგნში უშანგი სიღამონძის შესახებ. აი ასეთი გულისხმი-ერი იყო ქ-ნი მარიკა.

ჩემს სადოქტორო დისერტაციას უკავშირდება ქ-ნ მარიკაზე კიდევ ერთი საინტერესო მოგონება, რომლის გვერდის ავლა არ შემიძლია. საქმე ის გახლავთ, რომ ჩვენი მონოგრაფიის ორი კომპონენტი მკაფიოდ იყო გამოკვეთილი და მიზნად ისახავდა ორი ცნობილი ქართველი ისტორიკოსის პროფ. გრ. ნათაძის და პროფ. ალ. ნამორაძის მეცნიერული მემკვიდრეობის შესწავლას, შეფასებას. რაც შეეხება მესამე მონაკვეთს, ის ჯერ კიდევ არ იყო სათანადოდ გამოკვეთილი, ძიების პროცესი მიმდინარეობდა. გვქონდა სხვადასხვა ვერსიები. მუშაობის პროცესში ყურადღება მიიპყრო ნიკოლოზ დუბროვსკის საინტერესო პიროვნებამ. ჩემს მეცნიერ-კონსულტანტს, პროფ. კოტე ანთაძეს, გაგონილი ჰქონდა ნ. დუბროვსკის გვარი, მაგრამ მის შრომებს არ იცნობდა. მას ჩამოუყალიბდა ისეთი მეცნიერის იმიჯი, რომელიც ძალზედ ერუდირებული იყო, მაგრამ არაფერს არ წერდა. ბ-ნმა კოტემ მიჩნია, მეკითხა ქ-ნი მარიკასთვის, თუ იცოდა რამე ნიკოლოზ დუბროვსკიზე. მაშინვე მიემართე ქ-ნ მარიკას. გამოირკვა, რომ ქ-ნ მარიკას ნ. დუბროვსკი კოლონიური ქვეყნების ისტორიას ასწავლიდა. ამიტომ ვთხოვეთ სასწრაფოდ დაეწერა მოგონებები ნ. დუბროვსკიზე, მან ჩვეული გულმოდგინებით შეასრულა ეს თხოვნა და ეს მოგონებები შევიტანეთ ჩვენს მონოგრაფიაში. ეს მოგონება შეიძლებოდა აქ დაგვესრულებინა, რომ არა ერთი გარემოება. საქმე ისაა, რომ ქ-ნმა მარიკამ კარგად დამაკვალა და მითხრა, რომ ნიკოლოზ დუბროვსკი იყო აკადემიკოს ვახტანგ ბერიძის მეუღლის, ქ-ნ ნატო ფალავანდიშვილის, მამინაცვალი. მე დაუყოვნებლივ დავეუკავშირდი ბ-ნ. ვახტანგს და ვთხოვე შეხვედრა. მე მქონდა ბედნიერება სამჯერ შეხვედროდი მას. ეს იყო არაჩვეულებრივი წუთები, რომელსაც დავიწყება არასოდეს უწერია. როდესაც ბ-ნი ვახტანგი გარდაიცვალა, მცირე მოგონებები გამოვაქვეყნე „საქართველოს რესპუბლიკაში“. ჩვენი შეხვედრების კეთილმოსაგონებლად მე მისგან საჩუქრად დამრჩა ორი წიგნი. „კულტურა და ხელოვნება დამოუკიდებელ საქარ-



თველოში 1918-1921 წლებში“ და მოგონებები. ორივეს აქვს მისი ავტოგრაფი „ბ-ნ მერაბ კალანდაძეს კეთილი სურვილებით. ვახტანგ ბერიძე“ როგორც ირკვევა ჩვენი პირველი შეხვედრა შედგა 1993 წლის 17 სექტემბერს, ხოლო მეორე 1995 წლის 6 დეკემბერს. მესამე შეხვედრა მოხდა ჩემი მონოგრაფიის გამოსვლის შემდეგ, 1999 წელს. მან ძალიან გაიხარა, რომ ნ. დუბროვსკიზე ღაღაღა და მითხრა, რომ „თქვენ ფაქტობრივად ის გააცოცხლეთ“. ძალიან გული მწყდება, რომ ის ვერ მოესწრო ნ. დუბროვსკის შრომების გამოცემას. ეს წიგნი მე ვაჩუქე ქ-ნ მარიკას და ძალიან გაუხარდა. მითხრა, რომ კარგი საქმე გააკეთო.

ახლა ორიოდე სიტყვა უნდა ვთქვათ ქ-ნ მარიკაზე როგორც პროფესიონალ ისტორიკოსზე, მკვლევარზე. დღევანდელი გადასახედიდან მისი მკაცრად განსჯა ადვილი გზით სიარული იქნებოდა და ჰიპერკრიტიკულად მიგვაჩნია. უწინარესად, უნდა აღინიშნოს, რომ ქ-ნი მარიკა არ იყო ვიწრო ფაქტოლოგი, ემპირიკოსი, ისტორიკოსი. საქართველოს ისტორიის საკვანძო საკითხებთან ერთად მას აინტერესებდა საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობისა და ისტორიოგრაფიის, ისტორიული აზროვნების საკითხები. თეორიული თემატიკისადმი მისი ინტერესი მისასაღებელია და მისი, როგორც ისტორიკოსის, პლიუსია. ქ-ნი მარიკა იყო სერიოზული მეცნიერი, პირველხარისხოვანი მკვლევარი. ის შესანიშნავად იცნობდა პირველწყაროებს, საკითხის ირგვლივ არსებულ საკვლევ ლიტერატურას და თავის მსჯელობას ამ საინტერესო მასალაზე აგებდა. ეს იყო საკითხისადმი მეცნიერული მიდგომა, რომელსაც, ბუნებრივია, გააჩნია თავისი პლიუსები და მინუსები. რა თქმა უნდა, ამ შრომებმა, გარკვეული დოზით განიცადა მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის რადიაცია, მაგრამ მთავარი ეს არ უნდა იყოს. თუ მას იდეოლოგიურ გარესამოს ჩამოვაცლით, მასში ჩადებული მეცნიერული ინფორმაცია საინტერესოა და სწორედ ეს ფასეული უნდა გახდეს მეცნიერული მსჯელობის საგანი. ქ-ნ მარიკას გააჩნია წარსულის საკუთარი ვერსია. მთავარი სწორედ ეს უნდა იყოს. ხშირად ისტორიას უყურებენ როგორც არაზუსტ მეცნიერებას. რბილად რომ ვთქვათ, ამგვარი მიდგომა ძალიან საკამათო უნდა ჩანდეს. ამგვარი მიდგომა აკნინებს ისტორიის მეცნიერულ სტატუსს და ანტიისტორიზმამდე მივყავართ. ვფიქრობთ, საინტერესოა ქ-ნ მარიკას მოსაზრება ისტორიულ მეცნიერებაზე. მისი ღრმა რწმენით, ისტორია ზუსტი მეცნიერებაა. ეს იყო სწორი თვალსაზრისი. არსებობდა თუ არა ძველი ეგვიპტე ან საბერძნეთი? საფრანგეთის დიდი რევოლუცია დაიწყო 1789 წელს. ნაპოლეონი

თავს დაესხა რუსეთს 1812 წელს. ყველაფერი ეს ძალიან კარგად არის დაფიქსირებული წყაროებში და მასში ეჭვის შეტანის არანაირი საფუძველი არ გაგვაჩნია. „ფაქტები წმინდათა წმინდაა. ინტერპრეტაცია თავისუფალია“. ეს ფაქტები არსებობენ თავისთავად ისტორიკოსისაგან დამოუკიდებლად. პოსტმოდერნისტული დევიზია „არ არსებობს ისტორია ისტორიკოსის გარეშე“. ამგვარი ხედვა საკამათო შეიძლება იყოს.

ისტორიული მოვლენებისადმი ისტორიკოსების დამოკიდებულება არასოდეს არ ყოფილა ერთგვაროვანი და სერიოზულ აზრთა სხვადასხვაობას იწვევდა. XX საუკუნის პოლანდიელი ისტორიკოსის, ლეიდენის უნივერსიტეტის პროფესორის პიტერ ჰეილის თქმით, „ისტორია დაუსრულებელი პოლემიკაა“. ისტორიულ მეცნიერებაში არსებული „კონცეფტუალური ანარქია“, ამის ლოგიკური შედეგია. თუმცა ეს უკვე ეხება ისტორიოგრაფიას და არა ისტორიას. ინტერპრეტაცია სუბიექტურია და ამას ვერსად გაექცევი. ამას აქვს თავისი მიზეზები. ჯერ ერთი, ეს არის თვით ისტორიკოსის შეხედულებები, მსოფლმხედველობა, პოლიტიკური მრწამსი, იდეალები. მეორეც, ისტორიკოსმა უარი რომ თქვას შეფასებაზე და მხოლოდ ფაქტების აღნუსხვით შემოიფარგლოს, მისი თხრობა მაინც ვერ იქნება ნეიტრალური. ნებისთი თუ უნებლიეთ მისი სიმპათია ან ანტიპათია მაინც გამჟღავნდება. ასე რომ, ქ-ნი მარიკა სავსებით მართალი იყო, როდესაც ფიქრობდა, რომ წარსულის რეკონსტრუქცია სულაც არაა ადვილი საქმე და ისტორია რთული მეცნიერებაა.

ქ-ნი მარიკას სახით საქმე გვაქვს XX საუკუნის ქართულ ისტორიოგრაფიაში საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიის ერთ-ერთ თვალსაჩინო და გამორჩეულ მკვლევართან, რომლის შრომებსაც ამ ეპოქის ვერცერთი მკვლევარი გულგრილად ვერ აუვლის გვერდს. მიუხედავად ძლიერი იდეოლოგიური ზეწოლისა, უნდა ითქვას, რომ ქ-ნი მარიკა იყო XX საუკუნის ქართულ ისტორიოგრაფიაში პოზიტივისტური მიმდინარეობის ერთ-ერთი თვალსაჩინო და გამორჩეული წარმომადგენელი. ეს კი ვეროპული ღონე იყო. ქ-ნი მარიკას მრავალმხრივ მეცნიერულ მოღვაწეობას, ალბათ, ერთი საინტერესო მონოგრაფია შეიძლება მიეძღვნას. ვიმედოვნებთ, რომ მომავალში მისი მოწაფეები არ დაიზარებენ და გულმოდგინედ, გამოწვლილვით და, რაც მთავარია, ობიექტურად შეისწავლიან მის მრავალფეროვან მეცნიერულ მემკვიდრეობას.

დასასრულს ძალიან მოკლედ უნდა შევეხოთ ბოლო წლებს, რომელიც ჩვენი ურთიერთობის კულმინაციად შეიძლება მივიჩნიოთ და დასკვნით აკორდად მოგვევლინა. ბოლო წლებში ქ-ნი მარიკა ხშირად ავადმყოფობდა, სახ-

ლიდან ძალზე იშვიათად გამოდიოდა. მე ხშირად ვურეკავდი, ვნახულობდი, ვსაუბრობდი. ეს საუბრები უმთავრესად სამ თემას ეხებოდა: თანამედროვე საქართველოს სვებედს, უნივერსიტეტს და მეცნიერებაში შექმნილ რთულ სიტუაციას. უნდა ითქვას, რომ ბევრ საკითხში ჩვენი აზრები ერთმანეთს ემთხვეოდა. იყო საკითხები, სადაც განსხვავებული აზრი გაგვანდა. ასე მაგალითად, ის გულისტკივილით შემომჩივლებდა, როგორც ერი ხომ არ დაგებრდით? ჩვენზე ბევრად ძველი ერები აღარ არიანო. მე კონტრპასუხი მქონდა. ჩვენ ხომ არ ვართ ისეთი ერი, რომელსაც დამოუკიდებლად არსებობა არ შეუძლია?

ბოლო ხანებში აკადემოფობამ უკვე ძალიან შეაწუხა და მითხრა. ძალიან გაგწვალდიო, თუმცა მხნეობას, და სად აზრს ბოლომდე ინარჩუნებდა. მე უძალ გააწყვეტინე და ვცადე გამემხნეებინა, მაგრამ ეტყობა ზელმეტი მომივიდა და სიცილით მითხრა. „ვის უქნევ თითსო“ ფრიდრიხ ნიცშეს ნათქვამი გამახსენდა: „დროზე სიკვდილი ჯობიაო“. ცხადია, ქ-ნი მარიკასთვის ეს არ მითქვამს, მაგრამ გული მეტკინა.

ბოლოს ვნახე 8 ოქტომბერს. მასთან სახლში აივანზე ვისხედით და ვსაუბრობდით. განვიხილავდით ჩემს ნაშრომს პროფ. კოტე ანთაძეზე, რომლის დაბეჭდვას ვაპირებდი ჟურნალ „გეორგიკაში“, რომლის ერთ-ერთი რედაქტორი თვითონ ბრძანდებოდა. მას ძალიან აფიქრებდა ჟურნალის მომავალი და დარდობდა, რომ ეს ჟურნალი არ დაგვარგოთო. ამის მერე რამდენჯერმე დავრეკე, მაგრამ ის ცუდად იყო, აღარ დამლაპარაკებია. მიუხედავად იმისა, რომ უკვე შეგუებული ვიყავი ამ აზრს, როდესაც 8 იანვარს ეს ამბავი შევიტყვე, ძალიან გული დამწყდა. დარჩა დიდი სიცარიელე, რომელსაც ვერავინ და ვერაფერი ვერ შეავსებს.